119
1978/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

6

1978

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 55-ე | № 6 | ივნისი, 1978 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

26142

## შინაარსი

რევაზ ჯაფარიძე — მძიმე ჯვარი. რომანი. წიგნი მესამე. გაგრძელება . 3
იონა ვაკელი — ლექსები . . . . . . . . . . . . . 33
მურმან ჯგუბურია — ლექსები . . . . . . . . . . . . . 36
მიხეილ მრევლიშვილი — ბარათი მეგობარს. მოთხრობა . . . . . 40
შალვა ფორჩხიძე — ლექსები . . . . . . . . . . . . . 64
ალი ისაევ-ავარსკი — შეხვედრა ქართველ ქალთან. ლექსი. თარგმნა ო. შალამბერიძემ . . . . . . . . . . . . . 68
გურამ კაპანაძე — მოთხრობები . . . . . . . . . . . . . 70
გივი ბოსტოლანაშვილი — მოთხრობები . . . . . . . . . . 86
ბონდო კეშელავა — ლექსი . . . . . . . . . . . . . 106
მირიან მირნელი — ლექსები . . . . . . . . . . . . . 111
ვანო ურჯუმელაშვილი — ერთი ქართული ბატალიონი. რომანი. გაგრძელება . . . . . . . . . . . . . . . . 114
ალექსი რაზიკაშვილი — ლექსები . . . . . . . . . . . 130
ლიტველი პოეტები — ლექსები თარგმნა ლია ჭავჭავაძემ . . . 131
იოჰან ვოლფგანგ გოეთე — ფაუსტი. ტრაგედია. გაგრძელება. გერმანულიდან თარგმნა გ. ჯორჯანელმა . . . . . . . . . . 136
ლუდმილა ცერცვაძე — სამშობლოს მამაცი ქალიშვილები. ნარკვევი . 152

### ნარკვევები ხუთწლედის დღეებზე

ჯემალ მეხრიშვილი — შირაქელი თავმჯდომარე . . . . . . 159

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

გურამ გვერდწითელი — ახალი გმირის ძიებაში . . . . . . 167
ელიზბარ ზედგინიძე — რევოლუციის ქარიშხალა . . . . . . 182
ნათელა გიორგობიანი — „თუ ვინმემ უწყის“ . . . . . . . 186

### წიგნები. მიმოხილვა

რუსუდან შამელაშვილი — გერმანული მოთხრობები ქართულ ენაზე . 191

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია:

ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერულავა, ო. გიგინეიშვილი, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11, მოადგილის — 93-55-18, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 5/V-78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/VI-78 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 13, სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.
უე 08537. ტირაჟი 14.400. შეკვ. 1310.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

© საქ. ცკ-ის გამომცემლობა, 1978.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

# მძიმე ჯვარი

## რომანი ოთხ წიგნად

## წიგნი მესამე

## თავი XXI

ოსმალთა მხედრობის პირველი რაზმები ხანისწყლის ხეობაში მოულოდნელად გამოჩნდნენ. ხეობაში წაბლი იყო შემოსული, დაფჩხალული ბუძგვებიდან ბროწი ნაყოფი თავისით ცვიოდა და თუ ნაწვიმარზე არ დაიზარებდი და დილაადრიან გამოხვიდოდი, მზის ამოსვლამდე გზებზე თუნდ ცხენის საპალნეს აჰკრეფდი.

უნაგირაზე ახალი თოვლი დასდო. ისე ჰგავდა, ცამ წრეულსაც მშვიდობიანად გადაიქუხა და ქვეყანა რბევააკლებას გადაურჩა.

ლაშქრად წვევის წიგნებით დაბარებული ჯარები, გარდა თერთმეტი ათასი რჩეული მხედრისა, სკანდის ციხის მახლობლად, ჩიხორს რომ იდგა და თვით მეფე სოლომონის თვალწინ და მისივე მოთავეობით საომარ წვრთნას გადიოდა, ნელ-ნელა დაიშალა, დანაწევრდა და იმ პირობით, რომ პირველი შეტყობინებისთანვე დათქმულ ადგილზე უკლებლივ გაჩნდებოდა, წლის მოსავლის მისაკარებლად და სახლ-კარის დასახედავად წავიდ-წამოვიდა.

სახიზარში გასვლის მომლოდინე ხალხმა შვებით ამოისუნთქა. კაცსა თუ ქალს წირვაზე მარტო წასვლისა აღარ ეშინოდა. მათთვის რომ გეკითხათ, ქვრივ-ობლისა და ღარიბ-ღატაკის განმკითხავი მეფე სოლომონის სახით ქვეყანას თავს მფარველი ანგელოზი ადგა და ყოველივე ბოროტისაგან იფარავდა. გოგო-ბიჭები, რამდენიც არ უნდა წაეყვანათ და უცხოეთის ბაზრებზე დაეყიდათ, ყოველ წელიწადს ხელახლა რომ დაფრთიანდებოდნენ ხოლმე, ისე გათამამდნენ, ზამთარ-ზაფხულ ბროლივით ანკარა ხანისწყლის ხეობაში, ერთიმეორის წაქეზებითა და წამხედურობით, სულ უფრო და უფრო ღრმად შედიოდნენ და წაბლსა და პანტას აგროვებდნენ. კაკასხიდის საბაჟოსთან საგანგებოდ დაყენებული მოყარაულეები ბალღებს უცაცხანებდნენ, სად მიხვალთ, თქვე კაი დედმამიშვილებო,

* გაგრძელება. იხ. „მნათობი" № 5.

კ. მარქსის ... საქ. სსრ
სახელმწ... ...უბლიკ.
ბიბლი...თეკა

უპატრონოები ხომ არა ხართ, ფათერაკს რომ რაიმეს გადაეყაროთ, ვინ გიშველით, მწედ ვინ გეყოლებათო, მაგრამ წყრომა და ხვეწნა-მუდარა ყოველთვის როდი სჭრიდა. ერთ დღეს ახლომახლო სოფლების წვრილფეხობა ხიდსაც გადასცდა და ძროკუნწულო გოდრებითა, კალათებითა და ჯარისკაცური ვაშკარანებით ხელუხლებელ ტყეს შეერია. ყარაულებმა რომ გოგო-ბიჭების წივილ-კივილი, დამცემთა გაბმული ყიჟინა და ცხენების თქარათქური გაიგონეს და თავადაც საპირისწამლეებს ეცნენ თოფის ძუძუზე ფალიის დასაყრელად, უკვე გვიანი იყო: ხმალამოწვდილი ბაშიბუზუკები, სათვალავი რომ არა ჰქონდათ, თავზე ქორივით წამოაფრინდნენ. სროლას, ხმლების ჩახაჩუხს, დაჭრილ-დაკოდილთა კვნესას, აყალყული ცხენების ფრუტუნსა და ბალღების განწირულ წივილ-კივილს, ვისი მიზეზითაც ეს უბედურება და ცოდვისკითხვა დატრიალდა, ზედ ზარბაზნის ქუხილი დაერთო. ვერავინ მოიმხრო, სად და ვინ გაისროლა, ზემოთ, ჩამოსავალში, კათოლიკე სომხის დუქანთან, თუ ქვემოთ, ხეობის ყელში, სადაც აქაურობის რისხვა თხმელისციხე აღმართულიყო და აჩიკ-ბაშ მოლაშქრეთაგან ალყაშემორტყმული უკვე მერამდენე თვეა, მაშველი ჯარის მოსვლას ელოდა.

კაკასხიდზე, საბაჟოს ჯიხურთან მომხდარი უთანასწორო შეტაკება მეტად ხანმოკლე გამოდგა. მოყარაულეთა მცირერიცხოვანი გუნდი, რომელიც აქ იმ მიზნით დაეყენებინათ, რომ თავისიანებისათვის მტრის გამოჩენა ემცნო, თვით კი, თუ უკან დახევას ვედარსაით მოახერხებდა, სამკვდრო-სასიცოცხლო ომში ჩაბმულიყო და მტრის მოძალება მცირედ მაინც შეეყოვნებინა, მომხვდურთა რაზმმა ერთი დარტყმით გადაქელა, მწვანე მინდორი სისხლით მორწყო, გვამებით მოჰფინა, საბაჟოს ჯიხური ჯერ გაძარცვა, შემდეგ ცეცხლს მისცა, ტყის პირას გაშლილ სალაშქრო კარვებსაც ცეცხლი მოუკიდა და ხიდზე გადასვლის მაგიერ, ემანდ დანაღმული არ იყოს და ფეხქვეშ არ აგვიფეთქდესო, გახვითქული ცხენები ყინულივით ცივ წყალში შეჰყარა.

ოსმალოს შემოსევის თავზარდამცემმა ამბავმა სკანდის ციხემდე, სადაც სოლომონი იმყოფებოდა და სახლეულთან ერთად ღამეს ათევდა, მხოლოდ საღამოჟამს მიაღწია, როდესაც მიუვალ სახიზრებისაკენ დაძრული აზიაქებული ვაკე იმერეთის სოფლები დედაბუდიანად ყვირილას მიაწყდნენ და ურმებზე დაყრილი მცირეოდენი ბარგითა და ურმებზევე გამობმული საყოლებლით გაღმა ნაპირზე გადავიდნენ. ღმერთი მოეხმარათ, ზაფხულის გვალვების შემდეგ წყალი დავარდნილი იყო და ფონის მიგნება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, თუმცა ალაგ-ალაგ წყალი ხარებს მაინც ჰფარავდა და ხალხით დახუნძლულ ურმებს მდინარე ხმელი ნაფოტივით ატივტივებდა.

ამასობაში, თუ გავრცელებულ ხმებს ერწმუნებოდი, დაუჯერებელი კი აქ არაფერი ჩანდა, ურჯულომ უკვე მოსრა ბაღდათი და მისი უახლოესი შემოგარენი, ასობით უიარაღო ადამიანს, ვინც კი გახიზნვა ვერ მოასწრო და მტერს ჩაუვარდა, ხელ-ფეხში ბორკილი გაუყარა და ახალციხეში გადასარეკად განამზადა. თხმელისციხის მოალყე ჯარმა, რომელსაც ჩიჯავაძეები სარდლობდნენ, ვერ გაუძლო მტრის ზარბაზნებს, ციხეს ალყა ჰაიჰარაზე მოხსნა და თავის შესაფარებლად, ხოლო მოგვიანებით მამია გურიელის ჯართან შესაერთებლად, თუკი ამის საშუალებას მტერი მისცემდა, სებეკას მიაშურა. გაალმასებული სანჯაყ-ბეგი რუსტამი, ოსმალთა მეწინავე რაზმის სარდალი, მოალყეებს ფეხდაფეხ დაედევნა, რათა ცოცხალი არავინ გაეშვა, აქეთ ობჩასა და იქით ფერსათის ხმლის წვერით მისწვდა, სამხრობისას აჯამე-

თის ტყეშიაც შევიდა და „კრაზანების ბუდე ვარციხე“ თითქმის უომრად იგდო ხელთ.

სასახლეს ოკრიბელ მოლაშქრეთაგან შემდგარი მეციხოვნეები იცავდნენ, რომელთაც ნაბრძანები ჰქონდათ, თუ ვინიცობაა, აგარიანთა დიდი ჯარი შემოუტევდათ, უაზრო მსხვერპლის გაღებას მორიდებოდნენ, სასახლე დაეტოვებინათ და სრული წესრიგით კახნიაურისაკენ დაეხიათ, სადაც მეფის განკარგულებისამებრ, მთავარი ძალები მოიყრიდნენ თავს და გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართებოდა.

რაკი აქ ის ვერ ნახა, ვისი ნახვაც გულით სწყუროდა და ტყვედ ერთი კაციც ვერ ჩაიგდო, რუსტამმა თვით სასახლეზე და ქვითკირის მაღალ გალავანს შიგნით მოთავსებულ სხვა შენობებზე იძია შური. სასახლეს სამი მხრიდან ხანძარი გაუჩინეს და რასაც კი ცეცხლი ეკიდებოდა, უწყალოდ დასწვეს. იგივე ბედი ეწია სამოახლოს, საჯინიბოებს და სხვა ნაშრალებსაც. აიკლეს და შებილწეს კარის ეკლესია, საკურთხეველი ააფეთქეს და შემდეგ ცეცხლი წაუკიდეს.

შეუპოვარი და თავგანწირული წინააღმდეგობა მტერს არსად შეხვედრია. სანჯაყ-ბეგ რუსტამსა და მის ათასისთავებს ეს სიხარულსაც ჰგვრიდა, ყოველი ბოროტების სათავე აჩიკ-ბაშთა ურჩი ქვეყნის სულ მალე შიწასთან გასწორების იმედსაც უნერგავდა და, ამავე დროს, მწარე საგონებელშიაც აგდებდა. რა ხდებოდა? სად იყო გიაური მეფე სოლომონი? საფაშოში მიღებული უტყუარი ცნობების თანახმად, აჩიკ-ბაშები საომრად ემზადებოდნენ და, მაშინდელისა არ იყოს, ისე არ იქნებოდა, სადმე ხაფანგი არ დაეგოთ. ამიტომ ფიცხელი ბრძანება გამოიცა, სიფრთხილე გამოეჩინათ, იოლ გამარჯვებას არამც და არამც არ აჰყოლოდნენ, ძარცვა-ტყვევნისაგან თავი შეეკავებინათ, დაკავებულ სოფლებში მხოლოდ სურსათ-სანოვაგის მარაგი შეევსოთ და ახალი ბრძანების მიღებამდე დაეცადათ.

სერასკირი ბაშალა არ ჩქარობდა. იმ ანგარიშით, მთელ უღელტეხილზე გაწელილ ლაშქარს იმერეთის თავქვეებზე დავეწევიო, ახალციხიდან ორი დღის დაგვიანებით გამოვიდა და ათას ხუთასი რჩეული მხედრის თანხლებით უკანასკნელი ღამე ნაცარტუტად ქცეული კაკასხიდის მიდამოებში გაათია.

ჯარი ჯერ კიდევ მიდიოდა.

თხმელისციხის გარშემო, ბაღდადის, ფერსათისა და დიმის ფერდობებსა და ტრიალ მინდვრებში ათასობით კარავი დასცეს. გაჩნდა ქუჩები, მოედნები, გასასვლელ-გამოსასვლელები, სადაც ცეცხლის დასანთებად გამზადებული ზარბაზნები გაემწკრივებინათ. გამრჯე გლეხკაცის მარჯვენით მოვლილი, სიმწიფეში შესული ვენახები, შიგ რომ ღვთის თვალი ტრიალებდა, ცხენოსანმა ჯარმა გადაჯეგა და ფეხქვეშ გაიგდო. ცხენები ბალახობდნენ ბოსტნებში, ღობეებშემორღვეულ კოპწია ეზოებში, ჭიშკარმოღიავებულ სასაფლაოებზე, ცხენების პატრონები კი დიდ-დიდ ჯგუფებად კარდაკარ დადიოდნენ, ყველა სახლს, ბეღელსა და ბოსელს ჩხრეკდნენ, სარჩოს ეძებდნენ და თუკი ვერაფერს ნახავდნენ, ისლის სახურავს ცეცხლს უკეთებდნენ და გაპარტახებული კარმიდამოდან სხვა სახლ-კარის მოსათხრელად და გასაპარტახებლად მიდიოდნენ.

გვიან ღამით, მთვარე რომ ამოვიდა, თხმელისციხეში ფუსფუსი შეექნათ, დიდი ბატონები მობრძანდებიანო.

ციხისთავმა უსეინ-აღამ იქაურობა მაშხალებით გაანათებინა, ციხის ქონგურზე სერასკირ ბაშალას ალამი აღმართა, თავად კი შუბებით შეიარაღებული ორმოცი კაცი გაიყოლა და უფროსების შესახვედრად წყლისპირზე ჩავიდა.

ბანაკში ჩოჩქოლი იდგა.

— გოლა-ფაშა მობრძანდა, გოლა-ფაშა! — ისმოდა ხან აქ, ხან იქ.

ამ სახელის გაგონება შინაურსაც და გარეულსაც შიშის ზარსა სცემდა. გოლა-ფაშას, სულთნისა და ძვალ-რბილში გამჯდარი ისლამის უსაზღვროდ ერთგულ სარდალს მუდამ იქ აგზავნიდნენ, სადაც ბრწყინვალე პორტას ყველაზე უფრო საშიში მტერი გამოუჩნდებოდა და სისხლის გუბე უნდა დაეყენებინათ. გოლა-ფაშაზე უკეთ ამ საქმეს ვერავინ იქმოდა. ის როდი დაგიდევდათ, ვისი უნდა ყოფილიყო ეს სისხლი, მტრისა თუ მოყვრისა, ვინაიდან მცირედი დანაშაული, თვითნებობა თუ უბრალო გაუფრთხილებლობა კმაროდა, რომ გოლა-ფაშას თავის მიერვე დაწინაურებული ათასისთავიც კი გაემეტებინა, მტრად ეცნო და მისი სასტიკად დასჯა ებრძანებინა. დასჯას თვით ესწრებოდა და ვაი იმ უბედურის ბრალი, ვინც მსხვერპლს შეიბრალებდა და მისი ტანჯვის ოდნავ მაინც შემსუბუქებას მოიწადინებდა!

უკანასკნელი ორი-სამი წელიწადი გოლა-ფაშამ ბალკანეთის ქვეყნებში გაატარა. ბულგარეთი ცეცხლითა და მახვილით მოვლო, აჯანყების ყველა კერა სისხლში ჩაახრჩო, აქედან სერბიასა და დალმაციაში გადავიდა, დუნაი აჯანყებულთა სისხლით შეღება და რვა თვე სარაევოში ერთპიროვნულ განმგებლად იჯდა, ბეგლარბეგის ანუ ვალის მოვალეობას ასრულებდა. მაგრამ სადაც არ უნდა ყოფილიყო, გული მაინც აქეთ, ქართველთა ქვეყნისაკენ მოუწევდა. გოლა-ფაშა მანამ ვერ მოისვენებდა, მანამ ვერ ჩააგებდა ხმალს ქარქაშში, ვიდრე გიაურ გურჯებსა და აჩიკ-ბაშებს ბედნიერი სულთნის ფეხქვეშ განრთხმულსა და მაჰმადის ჭეშმარიტი სარწმუნოების აღმსარებლად არ ნახავდა. სანამ გურჯები და აჩიკ-ბაშები ფეხზე იდგნენ და ხმალს იქნევდნენ, გოლა-ფაშას არავინ დაუვიწყებდა, რომ თავადაც მათი სისხლი უჩქეფდა ძარღვებში. სულთნის კარზე დაწინაურებული ოსმალო დიდკაცები, რომელთა უმრავლესობა მდაბიო წარმოშობის იჩოღლანი ან კაფუჯი იყო, არც კი მალავდა გოლა-ფაშასადმი მტრულ დამოკიდებულებას, რასაც საფუძვლად მისი ქართული წარმომავლობა ედო. მხოლოდ გურჯთა და აჩიკ-ბაშთა დაუნდობელ ხოცვა-ჟლეტას, მათი ეკლესია-მონასტრების რბევა-აოხრებას და გაუსწორებელი ღვთისმგმობელი ერის ადგილზე მართლმორწმუნე ტომების ჩამოსახლებასა და მოშენებას შეეძლო წარეხოცა ეს ლაქა, გოლა-ფაშას აჯანყებულ პატივმოყვარეობას ლახვარს რომ სცემდა და აღზევების ყველა გზას უხშობდა.

გურჯობა, ამ წყეული ქვეყნის შვილობა, მაშ რა იყო მიზეზი და მიზეზთა მიზეზი იმისა, რომ დიდების დაფნის გვირგვინებით მოსილ მხედართმთავარს, მთელი ბალკანეთის მძვინვარე დამაშოშმინებელს, ნიშნად სულთნის მადლიერებისა, ერთი თუღიც კი არ მოუმატეს, სარაევო დაატოვებინეს და წყალობის მაგიერ ჩილდირის საფაშოში უსახელოდ დაბრუნება არგუნეს!

სულთნის კარზე თბილად მოკალათებულმა აშკარა თუ ფარულმა მტრებმა, სერალის ვირთხებმა, ესეც არ იკმარეს. ავად მოსაგონარი წინაპრების — თავად ვაჩნაძეების კუთვნილ ხერთვისის საგვარეულო ციხე-სიმაგრეში განმარტოებულმა გოლა-ფაშამ, ის იყო, მხედრობის მოგროვება დაამთავრა და, მაღალი ალაჰის ნებით, გიაური სოლომონის ასალაგმავად აჩიკ-ბაშთა ქვეყნის გზას უნდა გასდგომოდა, რომ არზრუმიდან ორმოცდაათი ათასი კაცისაგან შემდგარი არმია გამოგზავნეს და სერასკირობა მას, გოლა-ფაშას, კი არა, სხვას, უქნარა და უნიჭო ბაშალას მიანდეს.

იქნებ სცდიდა სულთნის კარი? იქნებ მის სულგრძელობას ამოწმებდა? გოლა-ფაშამ ბოლმა გულში ჩაიხვია, კბილი კბილს დააბჯინა და ჩილდირის ვილაიეთში შეკრებილი და სამაგიეროს გადახდის წყურვილით ალტკინებუ-

ლი თავისი ოცი ათასი კაცით სალაშქროდ აღიჭურვა.

თხმელისციხეში ფაშას ზარ-ზეიმით დაუხვდნენ, ისე როგორც სერასკირს შეჰფეროდა და ბაშალას ალმის გვერდით ქონგურზე მისი საომარი ალამიც აღმართეს. გოლა-ფაშა იხტიბარს არ იტეხდა, საპატიო ყარაულს, მის შესახვედრად რომ ჩაამწკრივეს, ამაყად ჩაუარა, ციხეში შევიდა და შესვლის უმალვე ლევან აბაშიძე მოიკითხა.

ლევანი აქ ორი დღით ადრე მოვიდა, სანჯაყ-ბეგ რუსტამს მოჰყვა, ჯარების მოქმედებას ციხიდან თვალს ადევნებდა და ოსმალო სარდლების ზოზინი და აუჩქარებლობა გულს უსივებდა.

გოლა-ფაშა მობრძანდა და გიხმობთო, რომ აუწყეს, ძილგატეხილმა, სხვის კარზე გაუთავებელი წანწალით მოღლილმა, მაგრამ ჯერ მაინც მხნე და გაუტეხელმა თავადმა შავი ახალუხის ჩახსნილი ღილკილოები ბოლომდე შეიბნია, მხარბეჭზე ლაზათიანად მორგებული კაბა ჩაიცვა, ხმალ-ხანჯალი შეიბა და მეჰმანდარს უსიტყვოდ გაჰყვა.

მუდამ მედიდური და მიუკარებელი არგვეთის ბატონი, ოდესღაც მარჯვენა ხელი და უპირველესი დასაყრდენი იმერეთის მეფეებისა, ოსმალო მხედართმთავრებთან წინაუკუმო დარბაზობებს, ზოგს თავისი თხოვნითა და ზოგსაც იმათი სურვილით, ბოლო დროს დიდი გაჭირვებით შეეჩვია, ვინაიდან მტკიცედ გადაწყვეტილი ჰქონდა, იობისებური მოთმინებით სვრელი თავში აეტანა და შელახული ღირსების აღდგენაზე მხოლოდ მაშინ ეზრუნა, როდესაც ყველაფერს თავის ადგილზე დასმულს იხილავდა.

კართან ლოდინი მოუხდა. ფაშას სანჯაყ-ბეგი რუსტამი ჰყავს და მოხსენებას ისმენსო. აბაშიძეს გულში გაეღიმა. კარგად იცოდა, რა ჭიაც აწუხებდა პატივმოყვარე ფაშას, მისი არასახარბიელო მდგომარეობა მშვენივრად მოეხსენებოდა და შიშობდა კიდევაც, ვაითუ ორი გავლენიანი ხელისუფლის ყოლამ საერთო საქმეს ავნოს, სოლომონი სისუსტეს მიგვიხვდეს, შინაგანი უთანხმოება გაგვიღვივოს და კუდით ქვა გვასროლინოსო. სახელგანთქმული და ყოველმხრივ დამსახურებული სარდლის საფაშოს ფარგლებში ყოფნა არც თვით ბეგლარბეგ ჰაჯი-აჰმადს სიამოვნებდა. გოლა-ფაშას სიახლოვე და ღენთით სავსე კასრზე ჯდომა ხომ ერთი და იგივე იყო. ამიტომაც ბევრი არ უყოყმანია, ადგა და საქმე გაუჩინა: იმერეთის დასალაშქრად გამოგზავნა!

ლევან აბაშიძეს განმეორებით უხმეს და გოლა-ფაშას კაზემატში შესასვლელად ნახევრადბნელ ტალანში შეუძღვნენ. გოლა-ფაშამ თავი დაიმდაბლა, აჩიკ-ბაშ თავადს კართან მოეგება, მუსულმანური წესით სალამზე სალმითვე უპასუხა და წინ გაუშვა. წამოდგა მესხურ ჩაქურაში გამოწყობილი ოლთისის სანჯაყ-ბეგი რუსტამიც, ბოლოებჩამოშვებულ მეჩხერ ულვაშებზე ხელი ჩამოისვა, ლევანს მზერა აარიდა და სახედაძმარებული ისევ დაჯდა. ძნელი გამოსაცნობი არ იყო: აბაშიძის აქ შემოსვლამდე სარდლები ფრიად დამაფიქრებელი ამბების გამო ბჭობდნენ და ამ ბჭობის შედეგი არც ერთ მათგანს არ აკმაყოფილებდა.

— ლევან-ბეგ, — ოსმალურად დაიწყო მწვანე სალამურ ხალათში გამონაკვთულმა, მორგვივით მრგვალმა, ნელსაცხებლით თმაწვერაბზინებულმა გოლა-ფაშამ. — სად არის შენი პირობა, აჩიკ-ბაშში შევალთ თუ არა, დიდი და მცირე დაჩოქილი გვეახლება და ფიცის გამტეხ გიაურ სოლომონს გაკოჭილს მოიყვანსო?

გრძელი ხელები ლევან აბაშიძემ გულზე დაიჭდო, მთელი თავით დაბალ გოლა-ფაშას ზემოდან დაჰხედა და სუფთა ოსმალურითვე უპასუხა:

— მე ეგ პირობა არავისთვის მიმიცია, თქვენო ალმატებულებავ, ე პირო-

ქით მოგახსენებდით, იმერეთში ომის გამალებული სამზადისია და თუ დიდი ჯარი არ გავიყოლეთ, ვაითუ გამარჯვება საეჭვო გახდეს-მეთქი.

ფაშას აღიზიანებდა ამ კაცის სიმაღლეც, თავდაჯერებაც და მოჩვენებითი მოწიწებაც, რითაც გულში ღრმად ჩამარხულ ათვალწუნებასა და ზიზღს მალავდა.

— თქვენ კარგად იცით, ბეგ, რომ ჯარი ჩვენ არ გვაკლია, მაგრამ აქ იმისთვის კი არ მოვსულვართ, აჩიკ-ბაშ ყაჩაღებს ტყე-ტყე ვდიოთ და თავი შევაკლათ! სად არის არგვეთის ჯარი, რომელსაც თქვენ გვპირდებოდით?

— სერასკირსაც მოვახსენე, თქვენო აღმატებულებავ, — ლევან აბაშიძეს არაფრად ეპიტნავა გოლა-ფაშას დამამცირებელი კილო და გადაწყვიტა, ამით ეგრძნობინებინა, რომ იმერეთის დასასჯელად მოსულ მხედრობაში შენზე უფრო მაღალი უფლებამოსილების მქონე პირიც მოიპოვებაო. — მე ჩემს დაპირებაზე უარი არ მითქვამს, მიბოძეთ მხოლოდ ერთი კვირის ვადა და ჩემი ერთგული მარგველებით ბანაკში გავჩნდები.

ახლა გოლა-ფაშას რიგი იყო და წყენა მანაც უხმოდ გადაყლაპა.

— მაინც რამდენ კაცს ვარაუდობთ?

— მარტო მარგველები სამი ათას კაცამდე მოიყრიან თავს, თქვენო აღმატებულებავ.

— მერე სამი ათასი კაცით ვაპირებთ ტყეში გასული სოლომონის დატყვევებას?

— რაჭის ერისთავ როსტომის მალემსრბოლებს ყოველ წუთს ველი. თავიდანვე ასე ვიყავით შეთანხმებული...

— ორპირი და მოღალატეა ეგ შენი როსტომი, ლევან-ბეგ, ჭკუიანი კაცი მგონიხარ და მიკვირს, აქამდე რით ვერ გაიგე, რომ როსტომს კვირაში შვიდი პარასკევი უთენდება!

ლევანს ყურები წამოუხურდა, მეტისმეტ გაშინაურებასა და თავზე წამოჯდომას თვით გვირგვინოსან მეფეებისგანაც კი ჩვეული არ იყო, მაგრამ უდრტვინველი სიმშვიდე მაინც შეინარჩუნა და დინჯად უპასუხა:

— თუ გამოსვლაზე ვერ დავიყაბულე, იმას მაინც ვიზამ, რომ მეფესა და მის სახლეულს თავშესაფარი არ მისცეს და ომში მონაწილეობაზეც ხელი აიღოს. როსტომი ჩემს სიტყვას ვერ გადავა, თქვენო აღმატებულებავ. იცის, ეს უგუნურება იქნება და ძალიან ძვირი დაუჯდება.

უკანასკნელი სიტყვები ლევანმა ისე სარწმუნოდ, ისე დაჯერებით თქვა, ძნელი იყო, მათს ჭეშმარიტებაში ვინმეს ეჭვი შეჰპარვოდა. მაგრამ ვითომ ერისთავთან შეთანხმება გადაწყვეტდა ომის ბედს? გოლა-ფაშა გამოცდილი სარდალი იყო, სად, ვის ქვეყანაში, ვის წინააღმდეგ არ ეომა და ის, რაც რამდენიმე წუთის წინ სანჯაყ-ბეგ რუსტამისაგან მოისმინა, ერთობ დამაფიქრებლად და საგანგაშოდ მოეჩვენა.

ბაღდადსა და ვარციხეს მოშორებული სოფლები, სადამდეც კი მტრის მიახლოების ამბავს ადრევე მიეღწია, რიონის ჭალებიდან ვიდრე ლადოს მთებამდე, თითქმის მთლიანად დაცლილ-დაცარიელებული დაუხვდათ. ხალხი ერთბაშად აყრილიყო და თავი ტყისათვის მიეცა. ნუზლის ასაკრეფად საგანგებოდ გამოყოფილი რაზმები ამაოდ დაეძებდნენ კლდესა და ღრეში გახიზნული მოსახლეობის მიერ წინასწარ გადამალულ სურსათ-სანოვაგეს, თხრიდნენ ქერის, ხორბლისა თუ ღომის შესანახ ორმოებს, მაგრამ გაწეული შრომა აუნაზღაურებელი რჩებოდა. სახიზარში გასულ ხალხს პირუტყვის ჯოგებიც თან გაერეკა და მომხვდური მტრის კუჭის გამოსაძღომი, გარდა ხეებზე შერჩენილი საგვიანო ხილისა, კიტრისა და ბოსტნის პირებზე დაგორებული თათრული კვახებისა, თითქმის არაფერი დაეტოვებინა.

გოლა-ფაშამ, ძველმა და გამობრძმედილმა ჯარისკაცმა, სხვებზე უკეთ

უწყოდა, რომ ლაშქრობაში გასულმა ჯარმა, თუ არა სურს იშიმშილოს და კუჭი გამოიხმოს, ერთი ადგილი კი არ უნდა ტკეპნოს, სულ წინ და წინ უნდა იაროს და ახალი და ახალი მიწები დაიპყროს, სადაც ალაფიც ბევრი დახვდება და სასმელ-საჭმელიც, მაგრამ ომის ეს დაუწერელი კანონი აქ, მთაგორიან, ხრიოკ და ღარიბ-ღატაკ ქვეყანაში ნაკლებ გამოსადეგი იყო.

ლევან აბაშიძემ მდუმარედ მოისმინა გოლა-ფაშას არცთუ უსაფუძვლო თათბირი, კოპები შეჰყარა, ნიკაპს მომუშტული მარცხენა ხელი შეუყენა და მცირედი ფიქრის შემდეგ სარწმუნოდ შენიშნა:

— მე თვად ვეახლები ბაშალას კაკასხიდზე და ავაჩქარებ. თქვენც გირჩევთ, თქვენო აღმატებულებავ, წამობრძანდეთ და სერასკირი დაარწმუნოთ.

— მე? — გოლა-ფაშამ გულზე ბაწჯგვლიანი, ლომის ტორივით დაკუნთული კოტიტა ხელი მიიდო. — ბაშალას ვეახლო? მერე რა მესაქმება მე ბაშალასთან?

— სანამ ის აქ მოვიდოდეს, დრო მიდის, თქვენო აღმატებულებავ. ჯობს ისევ ჩვენ მივბრუნდეთ და გავაგებინოთ, რომ არც ერთი წუთის უქმად დაკარგვა არ შეიძლება, ყოველ წუთს ოქროს ფასი ადევს. მტერს კვალში უნდა ჩავუდგეთ და არ მივცეთ ამოსუნთქვის საშუალება. თუ ამოისუნთქა და თავზე ხელი მოისვა, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, მერე აქეთ მოგიტრიალდება.

— ლევან-ბეგ, საცა სამართალია, სულთნის კარმა უნდა დაგიფასოს ეგ ერთგულება. მე არ მოვუცდი ბაშალას, არც შენ გრთავ ნებას, უკან გაბრუნდე და მაგ ლოთთან და მცონარასთან უთავბოლო ბაასში ძვირფასი დრო დაჰკარგო. ხვალ დილას, გათენდება თუ არა, მე ავყრი ჩემს ჯარს და ქუთაისზე წავალ. მამედ-ალი კიკიანი რამდენი ხანია, ციხეშია გამომწყვდეული და აჩიკ-ბაში ყაჩაღების შიშით ცხვირი გარეთ ვერ გამოუყვია. გზადაგზა სოფლებს ხელს შევავლებ და შემდეგ ქალაქში შევალ. არა მგონია, გიაურმა სოლომონმა გამოჩენა და რაიმე წინააღმდეგობის გაწევა გაბედოს. მაგრამ სადამდე დამემალება? ადრე იქნება თუ გვიან, ხმალმა უნდა გაგვასწოროს! ამაზე რას იტყვი?

ლევან აბაშიძემ მხრები ეჴვიანად აიწურა, რადგან პატივმოყვარე სარდლის განცალკევებული მოქმედება ჭკუაში არ უჯდებოდა, თქმით კი ესა თქვა:

— მზად გახლავარ, ყველა თქვენი ბრძანება უყოყმანოდ შევასრულო!

— აი, აგრე! ქუთაისში გიბარებ შენი ჯარით. ვინძლო რაჭის ერისთავი როსტომიც თან მოიყვანო!

— ძალ-ღონეს არ დავზოგავ, თქვენო აღმატებულებავ. ამაღამვე გავიყოლებ ერთგულ კაცებს და არგვეთში გადავალ. ვეცდები, ერისთავიც იქ მივიწვიო, ან, თუ საჭირო გახდა, თავად გადავიდე რაჭას.

— შენ იცი, ლევან-ბეგ, ოთხი დღის ვადა მომიცია. მაგრამ რომ ვინმემ შეგიცნოს და თავზე მეფის კაცები დაგახვიოს?

— ღვთის განგებას ვერსად გავექცევით!

— გაბედული ვაჟკაცი ხარ, აფსუსია შენი გაფუჭება. ჩვენგან ხომ არაფერია საჭირო?

— თეთრი... საქმეს გამოადგებოდა, ასიოდე ქესა თეთრი რომ გვეგულებინა.

— თანახმა ვარ! კიდევ? თეთრს ახლავე ჩაგითვლის ხაზინადარი. ალაჰს ვფიცავ, არ მენანება. ორ და სამ მაგდენს სოლომონის კისრიდან ამოვიღებ!

— მეტი არაფერი, თქვენო აღმატებულებავ, — დაღვრემილ სახეზე ლე-

ვან აბაშიძეს რაღაც ღიმილისმაგვარი გამოესახა. — გამარჯვებული მენახო!

— ჩვენც გამარჯვებული გვენახო, ლევან-ბეგ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი XXII

ახალი ნანათლები იყო, ასკია აბესაძის ლასტის ჰიშკართან ძაღლმა რომ შეჰყეფა და მერე ვიღაც უცნობს გაწიწმატებული მიეტანა. ჩაბნელებული ქოხიდან ბაიბური არ ისმოდა. ცოტა ხნის შემდეგ, ეზო-ყურის ერთგული დარაჯი რომ გაალმასდა და უბნის სხვა ძაღლებიც აიყოლია, ქოხის სარკმელში კვარის სუსტი სინათლე აკიაფდა. რამდენიმე წუთმა ისე გაიარა, გარეთ არავინ გამოსულა.

— ასკია! — გაისმა მამაკაცის ფრთხილი ხმა სიბნელეში, რამაც ძაღლი სულ გადარია. იმავე წამს ეზოში ქვა თუ მძიმე ბელტი დაეცა. თუმცა სიბნელეში ვერაფერს ხედავდა, ძაღლმა ის მარჯვედ აიცდინა და წკმუტუნგარეული ყეფით ჰიშკარს ახლა მეორე მხრიდან მიეძალა, რათა ეზოში არავინ შემოეშვა.

— რომელი ხარ? — დაირხა ღამის სიჩუმეში.

ქალის ხმა იყო. ქალი ლაფაროში იდგა და ხელში ანთებული კვარი ეჭირა.

— ასკია გამოვიდეს ერწამა, — უპასუხეს ჰიშკრიდან.

— მტერი ხარ თუ მოყვარე, კაცო, რა შორიდან იძახი? გლახა ამბავი ხომ არაფერია ჩემ თავს?

— ასკია გამოვიდეს, შენ ეს სამგლე ძაღლი მოგვაშორე, სოფელი შეგვიყარა.

— ასკია არ გახლავს, ბატონო, ამ დილას ჯარში გეახლა, მოურავის კაცებმა მოაკითხეს.

— ე, ხომ ვთქვი, მოგვეჭრა მარჯვენა ხელი და ეგ არის! — ჩაილაპარაკა პირველზე უფრო ბოხმა და მყიფე ხმამ ჰიშკართან. — ჩააჩუმეთ ეგ მგლის არჩივი, სამი ვაჟკაცი ერთმა ჭირიანმა ძაღლმა შეგაშინათ?

ამ სიტყვებზე სამი ლანდი ჰიშკარს ზემოდან გადაევლო და ეზოში გაჩნდა. ძაღლმა ჯერ ერთი ავად შეჰყეფა, მერე საწყალობლად დაიწკმუტუნა და ბოლოს ხმაც ჩაიწყვიტა.

— რას ერჩი, შე არდასაცალებელო, ძაღლს რაზე მიკლავ! — ხმა აიმაღლა ქალმა და წინ უშიშრად წამოვიდა, მაგრამ როგორც კი ლანდები გაარჩია, განწირული ხმით შეჰკივლა: — მეზობლებო, მიშ...

სიტყვის დამთავრება აღარ დასცალდა, ანთებული კვარი წაჰგლიჯეს, პირზე ხელი მიაფარეს, აიტატეს და ქოხში შეიყვანეს. ქალი ღმუოდა, პირისახეს აქეთ-იქით ატრიალებდა, ხელებით, ფეხებით, კბილებით, მთელი ტანით იბრძოდა და ცდილობდა, რკინის მკლავებს როგორმე გასხლტომოდა. კაცები აშლილ საწოლთან მიდგმულ აკვანს წაემტვრნენ და ბუზღუნითა და გინებით გვერდზე მისწიეს. ერთი კაცი ლოგინიდან დედის მისაშველებლად წამოვარდნილი ნამძინარევი ბიჭის გაკავებას მოუნდა.

— გაუშვით ხელი! — ბრძანა უცხოელი პატრის შავ ანაფორაში გახვეულმა წარმოსადეგმა მოხუცმა და ქოხის კარი ზურგსუკან მიხურა. — რამ გადაგრია, დედაკაცო, ქალი ხარ თუ ქაჯი, ადამიანისშვილი არ გინახავს?

ხელი უშვეს თუ არა, იმის მაგიერ, მოძალადეებს სახეში დასტაკებოდა და ვიდრე თავში რაიმეს დაჰკრავდნენ და გონებას დააკარგვინებდნენ, თვალები ფრჩხილებით ამოეკორტნა, ქალი აკ-

ვანს ეცა, ზედ გადაეფოფრა, დედის გამოსასარჩლებლად წამოყვინჩილებული ბიჭუნაც გულზე მიიხუტა და სავაზნე ფალასკებით მკერდგადაჯვარედინებულ და სატევრითა და თოფდამბაჩით შეიარაღებულ კაცებს შეუტია:

— არ გაბედოთ!... ახლოს არავინ მომეკაროთ!.. ყელს გამოგღადრავთ!..

— არავინაც არ გეკარება, ქალო, — თქვა ბერმა. — ან შენ ვისი ყელის გამომღადვრელი ხარ, ერთ ლუკმადაც არავის ეყოფი. დაწყნარდი, გონი მოიკრიბე. ასკია ჩემი ერთგული კაცია. მე დავასახლე, გავააზატე, სამოსახლო და სავენახე მიწა მივეცი...

— ღმერთო, დიდებულო! — შეჰყვირა ქალმა, ორივე ხელი თმაში იტაცა და ზეზე წამოიჭრა .— ჩვენი დიდი ბატონი ლევანი ბრძანდები?

— ლევანი ვარ, ჰო, არა ვგავარ, განა? ახლა მიჭირს და კარზე თქვენ მოგადექით, შენ და ასკიას. ჩემმა შვილიშვილმა, მეფე სოლომონმა, ჩემი თავი ხუთას ყურუშად შეაფასა და ძაღლის კერძად გამხადა. ხუთასი ყურუში დიდი ფულია, შვილო, არ გამიკვირდება, თუ ვინმეს ცთუნება წასძლევს, გაბრიყვდება და...

— უი, მაგას რას ბრძანებ, ბატონო, — შეიცხადა ქალმა, მიირბინა, ლევან აბაშიძის წინაშე დაიჩოქა და შუბლი სოხანეს დაჰკრა. — მაშინ მარჯვენა შეგვახმოს მამაზეციერმა მეც და ასკალონსაც. ხუთასი ყურუშიც წყალს წოუღია და ისიც, ვინც სულს წეიწყმედს და თავისიანს ფულზე გაყიდის!

— შენი სახელი, ქალო?

— ერმონია მქვია, ბატონო...

— ღვთისნიერი ქალი ყოფილხარ, ერმონია და ღმერთიც უნუგეშოდ არ დაგტოვებს. აპატიე ჩემს ბიჭებს, თუ... ძაღლმა შემოგვიტია, შენ კივილი ატეხე... ზარალს აგინაზღაურებთ...

— რავა გეკადრება, დიდო ბატონო, სული შენით გვიდგია. რაღაი კი ცა გაგვეხსნა, სალ-სალამათი დაგინახეთ და შენი ბედნიერი ფეხი ჩვენს ღარიბულ ეზო-ბაკეში დაადგი!..

— მაშ, ასკია ამ დილას წასულა?

— ამ დილას გეახლა, ბატონო, გუშლამ დოუძახეს.

— სხვაც ბევრია წასული სოფლიდან?

— კი არ ვიცი, ბატონო, ბოდიში და, ძუძუთა ბოვშის პატრონი ვარ, აქეთ წვრილფეხი, იქით ბოსტანი, საქონელი, თავის მოსაფხანად არ მცალია.

— ამაღამ ხომ არ ელი ასკიას?

— ასკალონს, ბატონო? ვინ გამოუშვებს, თუ არა... წყალგალმა ურუმის დიდი ჯარი მოვიდაო. შიშით აღარა ვართ. თქვენ უკეთ გეცოდინებათ...

— კი, მოვიდა, — უგუნებოდ დაეთანხმა ლევანი და კითხვა შეუბრუნა. — აქეთ რას ამბობენ?

— ჯარს უყრიან თავს, ბატონო, გზებს ხერგავენ, ციხეებს ამაგრებენ. ხალხი მთაში იხიზნება.

— შენ რაღას უცდი, რატომ არ გახიზნულხარ!

— ასკალონმა დამიბარა, ხმას მოგაწვდენო. მარტვა მე კი არა, სხვებიც იმისი მაყურებელი არიან, ბატონო.

— წასვლით ნურსად წახვალთ. საშიში არაფერია. ცოტა, თუ რამე გაგაჩნიათ, ქონება მიმალ-მომალეთ. ურუმის ჯარი სოლომონის დასამხობად არის მოსული, ერს რას ერჩის! მეფის ჯარი სად გროვდებაო?

— უიმე, რაღა ვქნა, არც ეგ დოუბარებია!

— ერმონია, — აბაშიძემ, თითქოს ნიშანში უნდა ესროლოსო, მარცხენა თვალი მოჭუტა, ტუჩებზე კი სილურჯემ გადაჰკრა. — ეშმაკი ქალი უნდა იყო შენ!

— ღმერთო, დამიფარე! — ერმონია მიხვდა, ბატონი მირისხდებაო, ხელები გაასავსავა და პირჯვარი გადაიწერა. — ეშმაკი და ავი სული მამაზეციერმა გარიდოთ შენც და ჩემს ქმარშვილსაც!

— დღეს და ამაღამ მე აქ ვრჩები, — ლევანი ჩამქრალ კერიასთან მორჩილად აწურულ მხლებლებს მიუბრუნდა. — ხვალ ღამ პასუხი უნდა მომიტანოთ და აქ მომაკითხოთ. ღმერთი იყოს თქვენი შემწე!

— ასე უხემსურად, ბატონო? — დიასახლისი აწრიალდა და თოფ-იარაღში ჩამჯდარი მოლაშქრეების მაგიერ მუდარით სავსე თვალები ისევ ლევან აბაშიძეს მიაპყრო. — ერთი წუთი დამაცალეთ და ჭადებს გადავაკრავ. მომკლავს ასკალონი!

კაცებს არც მადლობა უთქვამთ, არც ერთმანეთისათვის შეუხედიათ, მოვიცადოთ თუ არაო, წელანდელი უშნო ბოლარძუნის გამო დარცხვენილები გატრიალდნენ და უსიტყვოდ ლაფაროში გავიდნენ. ლევანიც მათ გაჰყვა. უკან მხოლოდ ორნი შემობრუნდნენ, ლევანი და კიდევ ერთი შეიარაღებული მოლაშქრე, რომელიც აქამდე, ეტყობოდა, გარეთ იცდიდა და ქოხში მყოფთ დარაჯობდა.

— მე და ეს კაცი, — ლევანს დიასახლისისათვის არ შეუხედავს, თავის გადაქნევით მოლაშქრეზე აჩვენა. — რიგ-რიგობით თვალს მოვატყუებთ. შენ ნურაფერზე შეწუხდები. დაღალულები ვართ, ფეხზე ძლივს ვმაგრდებით. ოღონდ ცხენებს გვიჭმიე და დაგვიმალე. რა იყო, რამ შეგაშინა, ქალო? — მოხუცებულ თავადს აშლილ საწოლისაკენ თვალი გაექცა და ახლაღა შენიშნა, რომ ერმონია ძლივსშესამჩნევად კანკალებდა და თვალებად ქცეულ თავის ქომაგ ბიჭს კვლავ გულში იკრავდა.

— ნუ დაგვღუპავ, ბატონო, ნუ დაგვისხამ ცეცხლზე წყალს, — ის ერთბაშად მუხლებზე დაემხო, ხელები აღაპყრო და სასიკვდილოდ განწირულივით ლევანს შეევედრა. — ნუ გამიუბედურებ ქმარ-შვილს, ნუ გაგვითხრი ნაადრევ სამარეს, შეიბრალე ჩვენი სიყმაწვილე!..

— შენ, ისე გატყობ, თავშესაფრის მოცემაზე უარს მეუბნები! — წარბი ავად შეიკრა და ხმა ოდნავ დაიდაბლა ლევან აბაშიძემ. — ფუ, თქვენს სტუმარ-მასპინძლობას, ნათელმირონობას, თქვენს ოჯახს და კერიას, თავსლაფი თქვენს ქრისტიანობას!...

— ნუ გაგვიწყრები, ბატონო, შენი მუხლების ჭირიმე, ნუ შეგვრისხავ! რა ვქნათ, რომ მეფის კაცები სანთლით დაგეძებენ და, მტრისას და ავისას, თუ სადმე მოგაგნეს, შენც ფარსაგს შეგამთხვევენ და ჩვენც ძირფესვიანად ამოგვაგდებენ, რავა გაბედეთ, ტახტის მოღალატე შეიფარეთ და ხელი შეუწყვეთო!...

— რაღას უყურებ, კიდევ ბევრს ალაპარაკებ? — დაიჭექა უკანასკნელი სიტყვების გაგონებით მთლად გაშმაგებულმა, პირზე დუჟმომდგარმა ლევანმა და ორწყალშუა ჩავარდნილ ქეშიკს დაჩოქილ დედაკაცზე მიუთითა.

ერმონიამ დაკივლებაც ველარ მოასწრო. პირი თავისივე თავსაფრით ამოუტენეს, გონწასული ქოხზე მოდგმულ მარანში გაათრიეს და შვილთან ერთად საწნახლის ინდურზე დააკრეს. იქვე დედის მახლობლად დადგეს რკალზე ავგაროზჩამოკიდებული აკვანიც, რომელშიაც რა ხანია ბავშვი ჩხაოდა და გულამოვარდნილი იქაურობას იკლებდა. ქეშიკმა რაღაც ჩვარი იპოვნა, ჩვილსაც პირი ამოუტენა და ქოხში, როგორც იქნა, ნანატრი სიჩუმე ჩამოწვა.

უკვე საგრძნობლად მოთენებული იყო. გარეთ მამლების გაბმული ყივილი და ბოსლიდან ახალი გამოშვებული პირუტყვის ნებიერი ზმუილი ისმოდა. თუ აქამდე შეუმჩნეველი დარჩა, ასკია აბესაძის ჭიშკართან მიბმულ შეკაზმულ ცხენებს აწი ვინმე შეამჩნევდა და სტუმრის ვინაობის გასაგებად ცნობისმოყვარე მეზობლები ერმონიას მოაკითხავდნენ.

საგონებელში ჩავარდნილმა ლევან აბაშიძემ, თავის მამაპაპეულ სამფლობელოში დღეს რომ უცხო კაცივით

იმალებოდა და აქ ჯარის შეკრების ყოველგვარ იმედს თანდათან კარგავდა, ეს უმალ იანგარიშა და აბესაძის ჯალაბი მიაწყნარეს თუ არა, ერთადერთი მხლებელი ცხენების მისახედავად გაგზავნა. ორივე ცხენი ქოხში შემოიყვანეს, ღედაბოძზე გამოაბეს და პირი თოფრით აუკრეს. თუ ვინმე მოვიდოდა და ქოხში ძალად შემოსვლას დააპირებდა, სხვა გზა აღარ იყო, თავი იარაღით უნდა დაეცვათ.

ლევანი აწრიალდა, ერთხანს წინ და უკან იარა ნახევრადბნელ გლეხურ დარბაზში, შემდეგ მარანში გავიდა, აკვანში ჩაკრულ თოთო ბავშვს დახედა და ფრთხილად პირიდან ჩვარი ამოაძრო. ბავშვი ჩაძინებული იყო. ხელის შეხებისთანავე გაიღვიძა და ჩახლეჩილი ხმით ტირილი მორთო. საწყნახლის ინდურზე პირქვე დამხობილმა დედამ დაიგმინა, შეინძრა კიდევაც, მაგრამ თოკი ისე მაგრად ჰქონდა შემოჭერილი, ზეზე წამოწევის ყველა ცდა ამაო გამოდგა.

— სუ, სუ, დეიძინე, შე ძაღლიშვილო! — შეუტია პატარას ლევანმა და თავისდა უნებლიეთ აკვანი გადაარწია. ბავშვი უფრო ატირდა. ქოხიდან ქეშიკი გამოვიდა და დიდი ბატონი რომ ამ დღეში დაინახა, თოფი კედელზე მიაყუდა, აკვანთან მიირბინა და რწევა განაგრძო. ბოლოს, საშველი რომ აღარ დაადგა და ველარაფრით გააჩუმეს, ისევ ჩვარი მოძებნეს და პატარას პირში ჩაუდეს.

ლევანი საკარცხულში ჩაეშვა და მაშინვე მკვდარივით ჩაეძინა.

## თავი XXIII

წყალწითელას გაღმა, მოწამეთის კლდეებში გამაგრებულმა ფიცის კაცებმა, რომლებიც ქვემოხნის სარდალ ბერი ლორთქიფანიძის ბრძანებას ასრულებდნენ, ვარციხიდან მოსულ გოლა-ფაშას მეწინავე რაზმებს ტყვია სეტყვასავით დააყარეს და გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს. სანჯაყ-ბეგმა რუსტამმა სასწრაფო უკანდახევა ბრძანა და გოლა-ფაშას მალემსრბოლები გაუგზავნა, ზარბაზნები მომაშველეო. საქმეს ის ართულებდა, რომ არტილერია ჯერ ისევ ბაღდადის მიდამოებში იდგა, უშუალოდ სერასკირის განკარგულებას ექვემდებარებოდა და სანამ ბაშალა ნებას არ დართავდა, იქიდან ერთ ზარბაზანსაც ვერ მოხსნიდნენ. გოლა-ფაშამ ბაშალას წინაშე ქედი არ მოიდრიკა, ზარბაზნები არ სთხოვა, ისიც კი არ შეატყობინა, ქუთაისის კარიბჭესთან შეჩერებული სანჯაყ-ბეგი რუსტამი ამას და ამას იტყობინებაო, მალემსრბოლები უკანვე გაისტუმრა და რუსტამს ფიცხელი ბრძანება გაუგზავნა, რაც არ უნდა დასჯდომოდა, მოწამეთაში შეჭრილიყო და კლდეებში ჩასაფრებულ „აჩიკ-ბაშ ყაჩაღებისათვის“ ზურგიდან შემოევლო.

იცოცხლე, ეს კარგი იქნებოდა, თუ გზას გაიგნებდი და მტერი შენს ჭკუაზე გადაადგილების საშუალებას მოგცემდა!

რაკიღა არტილერია არ გამოგზავნეს და საიმედო საფარში ჩამჯდარ აჩიკ-ბაშებს მარტოდმარტო შეატოვეს, სანჯაყ-ბეგმა რუსტამმა მთელი იმედი ჯარის მოსაგროვებლად არგვეთში წასულ ლევან აბაშიძეზე გადაიტანა. ადგილის კურდღელი ისევ ადგილის მწევარს უნდა დაეჭირა.

ისე დაღამდა, არგვეთიდან არც ვინმე მოსულა, არც რაიმე შეუტყობინებიათ, მხოლოდ ვარციხიდან მოაღწია

ამბავმა, რომ იქ შეჩერებული სერასკირი ბაშალა შუამავალს შუამავალზე აგზავნიდა სკანდის ციხეში, სადაც მათი აზრით მეფე სოლომონი იყო გახიზნული და კისერზე ხმალშებმული აჩიკ-ბაშთა ბატონის ბანაკში გამოცხადებას მოითხოვდა.

სოლომონს, რუსტამისათვის რომ გეკითხათ, ასე უნდა ექნა, თუ სადი გონება ჯერ კიდევ შერჩენოდა და არ უნდოდა, თავისი პირადი უშიშროებისათვის ქვეყნის სვე-ბედი ენაცვალებინა. საფაშოდან მოსულ ურიცხვ ლაშქართან შებმა კარგად გაწვრთნილ და კბილებამდე შეიარაღებულ არმიასაც კი გაუძნელდებოდა, არამცთუ აჩიკ-ბაშთა პატარ-პატარა რაზმებს, ათწილ და კიდევ უფრო ძლიერ, ომებში გამობრძმედილ მტერს ხან აქ რომ ესხმოდნენ, ხან იქ და უმნიშვნელო ზარალს აყენებდნენ.

ბაშალა ჩინებულად ხედავდა და აფასებდა თავის ძალებს. ის აქ იმავე გზას ადგა, რასაც ეგვიპტის დასაშინებლად წარვლენილი დიდი ვეზირი ალეპოში და დარწმუნებული იყო, თოფ-ზარბაზნის გაუსროლელად და ყოველგვარი მსხვერპლის გარეშე, ბედნიერი სულთნის მბედრობის მხრივ, დასახულ მიზანს მიაღწევდა.

მაგრამ ეს მსხვერპლი ნაწილობრივ უკვე გაღებული იყო. კლდეებში ჩასაფრებულმა აჩიკ-ბაშმა მეთოფეებმა სანჯაყ-ბეგ რუსტამს ორმოცი კაცი მოუკლეს და პირველსავე შეტაკებაში თითქმის სამი ამდენი მძიმედ დაუკოდეს. კლდეებიდან მიზანში ისროდნენ, არც ერთ ტყვიას უქმად არ ხარჯავდნენ და ვაი იმას, ვინც სიფრთხილეს უკუაგდებდა და თავს სამიზნეზე ამოჰყოფდა. დაჭრილ-დაკოდილები რის ვაივაგლახით უკან გამოხოხდნენ, დახოცილების აკრეფა, ზურგში გამოტანა და დამარხვა კი მხოლოდ ღამით მოხერხდა.

ცხენზე ამხედრებულმა რუსტამმა ნავახშევს პირადად ჩამოუარა ბანაკის ოთხივე კუთხივ დაყენებულ მოყარაულეებს, მტრის დასაშინებლად დანთებულ კოცონებს ახალი შეცეცხლურები მიუჩინა და თავისი კარვის წინ სწორედ ცხენიდან ჩამოხდომას აპირებდა, რომ კოცონების შუქზე ბანაკში შემოსული ორასიოდე მხედრისაგან შემდგარი რაზმი დაინახა.

ეს უთუოდ ლევან აბაშიძეა, თავისი მარგველებით მოსულაო, გაიფიქრა რუსტამმა და უნაგირზე შეყოვნდა. მაინც უნდა შეეჩერებინათ, ბანაკში ამდენი ხალხის შემოშვება როგორ შეიძლება! ღამის სიჩუმეში, თითქოსდა ამის პასუხად, თოფმა დაიჭექა და თვალის დახამხამებაში ყველა და ყველაფერი ერთმანეთში აირია. რუსტამი გახევდა, პირში ნერწყვი გაუშრა. ეს ყოველივე გულში ჩაყოლილი სიზმარი ეგონა. გონს მაშინღა მოეგო, როდესაც ცხელმა ტყვიამ ყვრიმალთან გაუზუზუნა და ყურის ბიბილოზე ცხელი შანთის შეხება იგრძნო.

— გიაურები! აჩიკ-ბაშები! შაითან!.. — მთელი ხმით დაიღრიალა, კი არა, დაიხავლა მან, ხმალი იძრო და აჰხვინებულ ცხენს თავი იქით მოუღრიჯა, სადაც მოსულნი და დამხვდურნი ფუტკრის ნაყარივით შეჯგუფდნენ, ერთმანეთში ჩაიხლართნენ და სროლა, ხმლების ჩახაჩუხი, გაშმაგებული ყიჟინა და დაჭრილების წუევლა-კრულვა გაისმა.

სანჯაყ-ბეგის ხმალს ვიღაცამ ხმალი დაახვედრა, ქვემოდან ზემოთ ყუით ამოჰკრა. დარტყმა ისე ძლიერი და მოულოდნელი იყო, რუსტამს კინაღამ ხელი მაჯაში გადაუტყდა. რუსტამმა ხელი მოინაცვლა. დაინახა ჩაბალახიანი თავი და ერთი წამით გაელვებული თვალები. ახლა მას მოუხდა სიმარჯვის გამოჩენა და მთელი ძალით მოქნეული ხმლის ხმლითავე აცდენა. ჩაბალახიანი როდი დაცხრა, მეორედ კიდევ უფრო გამეტებულად მოუქნია და ხმლის წვერმა ამჯერად ნაკვერჩხალივით გავარვარებულ ყურთან გაიშხუილა. ცხენი ყალყზე შედგა, წინა ფეხე-

ბით ჩაბალახიანის ყურებდაცქვეტილ ცხენს მიაწყდა.

— როსაფი ვარ, ურჯულო რუსტამ, მაჭავარიანი, დამიდექი, თუ გული გერჩის! — შემოესმა სანჯაყ-ბეგს და სულ ახლო მანძილიდან დახლილმა დამბაჩამ კინაღამ ყურის აპკი გაუხეთქა.

„ამცდა! მადლობა ალაჰს!“ — გაიფიქრა რუსტამმა და გაშმაგებული მტერს ისევ ხმლით მიეჭრა. მაჭავარიანმა ახლა გრძელი შუბი მოუღირა და, ალბათ, კიდევაც განგმირავდა, ცხენს რომ მომაკვდინებელი საშიშროება არ ეგრძნო და ტყვიანაკრავივით გვერდზე არ გამხტარიყო.

„დროა, თავს უშველო!“ — ჩასძახა შინაგანმა ხმამ რუსტამს.

გაქცევის განზრახვას თითქოს მტერიც მიუხვდა, თავი დაუარა, ცხენი ზედ მიაგდო და შუბის მაგიერ გასანთლული თოკის მარყუჟი სტყორცნა.

რუსტამს მოეჩვენა, რომ რაღაც ზებუნებრივმა ძალამ ცხენი ლაჯებიდან გამოაცალა და ის მთელი სიმძიმით მიწაზე დაენარცხა. ტკივილი არ უგრძვნია. წამოიჩოქა და მაშინვე მოინდომა ზეზე წამოვარდნა, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. ჩამოქვეითებული მხედრები მისცვივდნენ, ქვეშ მოიგდეს, გასანთლული თოკით მაგრად გაკოჭეს, უნაგირზე პირქვე გადაჰკიდეს და რომ არ განძრეულიყო, ზედ ხურჯინივით დააკრეს.

რუსტამს ცეცხლი ეკიდა ყურზე და მთელ მარჯვენა ლოყას სწვავდა. ნეტავი კი ხელის გათავისუფლება და ლოყაზე მოსმა შესძლებოდა და ამის საფასურად თუნდაც მთელ სიცოცხლეს გაიღებდა. თქმა აღარ უნდა, საიდანღაც გამომტყვრალმა აჩიკ-ბაშებმა მთელი მისი რაზმი გაანადგურეს, ბანაკი აიკლეს და სანჯაყ-ბეგის მსგავსად ბევრი სხვაც ტყვედ წამოიყვანეს.

რუსტამმა დაიღმუვლა და გაიბრძოლა. ახლაღა იგრძნო, რომ კბილებს შუა რაღაც რბილი, ნერწყვისაგან გასლიკინებული ედო და ცხვირში გულისამრევი სუნი სცემდა. სიკვდილის უკვე აღარ ეშინოდა, ოღონდ ეს სიბინძურე ამოეღო ვინმეს პირიდან და ცხენზე წაღმა დაესვა. სანახევროდ თავდაღმა დაკიდებულს სისხლი შუბლზე და თვალებში აწვებოდა. კიდევ რამდენ ხანს გასძლებდა ასე? ცხენი, რომელზედაც ის იყო დაკრული, ხან ნელა მიდიოდა, ხან ჩქარა, ხან აღმართს შეუდგებოდა, ხანაც ფრთხილად და მოზომილად მიაბიჯებდა თავდაღმართში. ირგვლივ სხვა ცხენების ფეხისხმა და მხედრების კანტიკუნტი გადაძახება, ყაყანი და დროდადრო უდარდელი სიცილი ისმოდა.

რაზმმა გარიჟრაჟამდე შეუსვენებლივ იარა. მტრედისფრად რომ ინათა და მთებიდან დილის ნოტიო ნიავმა დაჰქროლა, ღელის პირას შეჩერდნენ, ცხენები დაარწყულეს და ისევ გზა განაგრძეს. რუსტამთან არავინ მისულა, არავის უკითხავს, მკვდარი იყო თუ ცოცხალი.

გზა ამჯერად ციცაბო აღმართს მიჰყვებოდა. დაწალიკებული ცხენები ერთმანეთს კუდში მისდევდნენ და სულ მაღლა და მაღლა მიიწევდნენ. უკვე კარგად მოთენებული იყო, აღმართი რომ დამთავრდა და აგარიანებთან ნაომარი მხედართა არცთუ მცირე რაზმის წინაშე რაჭა-იმერეთის ქედის ძირში გაშლილი ღელეებითა და ვიწრო ხევებით რამდენიმე მოზრდილ უბნად დაყოფილი დიდი სოფელი მუხურა გადაიშალა. სოფლის თავში, იქ, საიდანაც მიხვეულ-მოხვეული საურმე გზა აღმა-აღმა მიიკლაკნებოდა, ფრიალო კლდის წვერზე მოჩანდა დაკბილული გოდოლებით ცამდე აზიდული მუხურის ციხე, იმერთა დიდი მეფის, ბაგრატ მესამის ხელში აშენებული და არასოდეს აღებული მტრის მიერ.

უკანასკნელ დღეებში, როდესაც ხანისწყლის ხეობიდან ოსმალთა დიდძალი ჯარი შემოიჭრა და ბაღდადისა და მეფეთა სადგომი ვარციხის აოხრების ამბავი ქვეყანას ხანძარივით მოედო,

სოლომონმა სკანდის საიმედოდ გამაგრებული ციხე ზემომხრის სარდალ ქაიხოსრო წერეთელს ჩააბარა და სამეფო კარითურთ სკანდაზე უფრო უშიშარ და მიუდგომელ მუხურის ციხეში გადაინაცვლა.

მეფემ ამით ორი სასარგებლო საქმე გააკეთა: ჯერ ერთი, მტერს გზა-კვალი აუბნია, თავისი ადგილსამყოფელის პოვნა გაუძნელა და მეორეც, სამხედრო ბანაკის გასამართავად და ჯარების შესაკრებად ზედმიწევნით გამოსადეგი, ყოველი თვალსაზრისით მოხერხებული ადგილი აირჩია. სოლომონი აქედან მარჯვედ ადევნებდა თვალს ყვირილას გაღმა დაბანაკებული მტრის ჯარების სულ მცირეოდენ მოძრაობასაც კი და ყველა ღონეს ხმარობდა, იგი მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიმართულებით — ჯერ ქუთაისისაკენ, ხოლო შემდგომ ოკრიბისაკენ წარემართა.

იმერთა მეფის ბანაკში, თვით მეფით დაწყებული და უკანასკნელი მოლაშქრით დამთავრებული, ყველა ნათლად ხედავდა, რომ სერასკირი ბაშალა და გოლა-ფაშა ვარციხის ტრიალ მინდვრებში ფეხს განზრახ ითრევდნენ, ვინძლო სოლომონი გავაბრიყვოთ, მიუვალი ციხე-სიმაგრეებიდან გამოვიყვანოთ, გაშლილ ადგილას გარს შემოვერტყათ და მისი მცირერიცხოვანი და ცუდად შეიარაღებული მხედრობა ჩვენი ჭარბი ძალებით რკინის სალტეში მოვაქციოთო.

უბირი ბალღიც კი მიხვდებოდა, რომ მტრის მიერ დაგებულ ანკესზე წამოგება დაღუპვის ტოლფარდი იყო და სერასკირიც დროს ამაოდ ჰკარგავდა, სულ ტყუილად ელოდა სოლომონს ვაკე იმერეთის მინდვრებში და მას უკეთ მომზადებისა და დახვედრის საშუალებას აძლევდა.

ბაშალას უცნაური და ძნელად ასახსნელი აუჩქარებლობით სოლომონმა მართლაც ისარგებლა. თერთმეტი ათასი კაცისაგან შემდგარ რჩეულ მხედრობას, რომელსაც თავად წვრთნიდა სკანდის ციხის მიდამოებში, ჩიხორის ველზე, ოკრიბის, არგვეთის, საწერეთლოს, ქვემომხრის და საწულუკიძეოს ჯარიც მიემატა და ყველა ამან რაჭა-იმერეთის ქედის ძირას დაიბანაკა. შეკრებილი ჯარის დიდი უმრავლესობა, თითქმის თვრამეტი ათასი კაცი, თუ იმ თერთმეტი ათასსაც ჩავთვლიდი, ცხენოსანი იყო, არცთუ ურიგოდ შეიარაღებული და გამოცდილი სარდლის ხელში მრისხანე ძალას წარმოადგენდა.

მეფემ სადროშოები ერთმანეთში აურია, ცხენოსანი ჯარი ცალკე გამოჰყო და ბოქაულთუხუცესი ბერი წულუკიძე უწინამძღვრა, დანარჩენი — ქვეითი მეთოფენი — ქაიხოსრო წერეთელს დაუქვემდებარა და ციხეების გამაგრება დააკისრა. ამათვე უნდა ედოთ თავს დიდი ხნის წინათ აგარიანთაგან მისაკუთრებულ ცუცხვათისა და ხრესილის ციხეებში შეღწევაც, უკეთუ ქრისტემოსავ იმერეთა ლაშქარს ომის ღმერთი გაუღიმებდა და თავის მახვილს შემოსეული ურჯულოს დასათრგუნავად წარმართავდა.

ჯერაც არ ჩანდნენ რაჭის ერისთავი როსტომი და გურიის მთავარი მამია. ვიდრე ურუმის ჯარი ვარციხეს იდგა და ქვეყანას თითქმის შუაზე ჰყოფდა, მტრის ზურგსუკან დარჩენილ მამიას არამცთუ მეფესთან შემოერთება, თავისი ამბის შეტყობინებაც კი უჭირდა. ამავე გასაჭირში ჩავარდა მეფის ბანაკიც, მაგრამ სოლომონი მაინც იმედოვნებდა და სხვებიც კვერს უკრავდნენ, რომ ბრძოლის ველზე შექმნილი ვითარება მამიას თავად უკარნახებდა, სად, რა და როგორ უნდა გაეკეთებინა მტრის დასამხობად და გასაცამტვერებლად.

რაჭაში დიდი სამზადისი იყო. როსტომი ჯარს კრებდა, აიარაღებდა და, სულ ცოტა, ხუთი ათასი კაცით და ზარბაზნებით დანიშნულ ადგილზე მოსვლის იმედს იძლეოდა. ეს სასიხარულო ამბავი სოლომონს თვით ერისთვიშვილმა გიორგი სარდალმა მოუტანა

და იმ წუთიდან გვერდიდან აღარ მოსცილებია, ყველგან თან ახლდა. ერისთავის კარზე, ჩანდა, ყველა ჰო და არა ასწონეს და სასწორის პინამ ბოლოს მეფის მხარეზე გადმოსძალა. სოლომონმა შესხი ოქრომჭედლის ნახელავი ზურმუხტისთვლიანი ბეჭედი წაიძრო და ნიშნად მხურვალე მადლობისა, ერისთვიშვილ გიორგი სარდალს უბოძა.

გამამხნევებელმა ცნობამ მოაწია ოდიშიდანაც. მეფის ძველ ნაცნობ თავად ფაღავას პირით დადიანის ძე კაცია იტყობინებოდა, რომ სვანაფხაზ-ოდიშართა ლაშქარს ლეჩხუმში, დეხვირის ციხესთან აგროვებდა და იმერეთში შემოსასვლელად ემზადებოდა.

დეხვირის ციხემ სოლომონს ფაღავას სულმოკლეობა გაახსენა, გაახსენა უდანაშაულოდ დასჯილი ფოთელი ვაჭრები და უსიამოვნო მოგონებები რომ გაეფანტა, თავად ჯერ მამად სახადი სიმამრის, ოდიშის ბატონ ოტიას, ხოლო შემდეგ აფხაზეთის მთავრის შვილ ხუტუნია შერვაშიძის ამბავი ჰკითხა.

ფაღავას, ეტყობოდა, თავადაც დიდებულად ახსოვდა, რაც იმერთა სამეფო ტახტისათვის გადამწყვეტ წუთებში დეხვირის ციხესთან შემთხვა, რადგან გაჭირვების ტალკვეს აფხაზეთის მთავრის შვილის სახელის ხსენება მეფის ბაგეთაგან ყვედრებასავით გაისმა, მაგრამ ეს არ შეიმჩნია და იმერთა გვირგვინოსან ბატონს სრული და დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

აგარიანთა მეწინავე რაზმების შესავიწროებლად გაგზავნილი ჯარის უვნებლად, თითქმის უდანაკარგოდ დაბრუნება და ტყვეების მოყვანა მუხურის ბანაკში მანამდე შეიტყეს, სანამ დაწალიკებულად მომავალი მხედრები ამოივაკებდნენ და სოფლის გარეთ, კალოებზე გადმოდგებოდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, გადმოდგნენ კიდეც, ერთმანეთზე საბლით გადაბმული ტყვეები სოფელ-სოფელ აატარეს და ციხის გვერდოს შეუდგნენ. სოფელში ხმაჩახლეჩილი ძაღლები ლავლავებდნენ, მაგრამ ისე იყვნენ მიუნავებული, გამოდევნებისა და ვისიმე კბენის თავი არც ერთს აღარ ჰქონდა. თავის ბედს შერიგებული ტყვეები ქვეითად მოლასლასებდნენ, ცხენებზე მხოლოდ ისინი შეესვათ, ვისაც ღონე მთლად გამოლეოდა და ფეხით სიარული აღარ შეეძლო. ზურგზე თოფგადაკიდებული სამი მოლაშქრე რაზმის უკან სამმარი ალაფით დასაპალნებულ მათსავე ცხენებს მოერეკებოდა.

მეფემ ტყვეების სათითაოდ დაკითხვა და ციხის ჯურღმულში ჩაყრა ბრძანა. დრომდე, სანამ ომი არ დამთავრდებოდა, ისინი აქ, მუხურის ციხეში, უნდა შეენახათ და თითოეულის შემდგომი ბედი გარემოების კვალობაზე გადაეწყვიტათ. რაც მთავარია, კიდით კიდემდე ხმა უნდა გავარდნილიყო, რომ აჩიკ-ბაშები ტყვეებს არას ერჩოდნენ და თავისივე ნებით ტყვედ ჩავარდნილთ შეწყალება და შინ მშვიდობით გაშვება ელოდა.

სალაშქრო კარავში სარდლებთან ერთად განმარტოებული სოლომონი ტაბაკზე გადაფენილ ვახუშტისეულ რუკას ჩასცქეროდა და ციხისთავ აგიაშვილის მიერ შემოთავაზებულ ომის გეგმას განიხილავდა. გეგმა სულ ახალი წამოყენებული იყო, გონებამახვილური ჩანაფიქრით გამოირჩეოდა და, თუმცა ზოგიერთი დიდებული ეჭვის თვალით უყურებდა, მეფის ცხოველ და შეუნელებელ ყურადღებას იმსახურებდა.

საქმე ის გახლდათ, რომ იმერთა ბანაკში აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი. ეს იყო სწორედ, რაც ხელმწიფეს ყველაზე მეტად აშინებდა. ურუმის ჯარის სიმრავლემ დარბაზის ერზე მეტისმეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და აზრი ორად გაჰყო. თვით ყველაზე უფრო ხნოვანსაც არ ახსოვდათ, რომ იმერეთის ასაკლებად და ხელახლა დასაყმობად სამცხიდან ამოდენა ჯარი მოსულიყოს. თუ ზოგიერთ

2. „მნათობი" №6.

მარქსის ... სახელმწიფო ... ბიბლიოთეკა

ცნობას მიენდობოდი და სარწმუნოდ მიიჩნევდი, ოსმალთა მხედრობის საერთო რაოდენობა ოთხმოცი ათას კაცს აჭარბებდა. სხვები მეტსაც ვარაუდობდნენ. ამას ზედ ემატებოდა თვით იმერეთის ციხეებში მდგომი მეციხოვნე ჯარები და ყოვლისშემძლე, საქვეყნოდ განთქმული ოსმალური არტილერია, რომლის წინააღმდეგაც, ჯარი თუნდ ურიცხვიც გყოლოდა, შიშველი ხელებით ვერაფერს გააწყობდი.

რამდენი კაცის გამოყვანა შეეძლო სოლომონს ოსმალთა ამ უზარმაზარი არმიის საპირისპიროდ? ბევრი-ბევრი, ორმოცდახუთი-ორმოცდაათი ათასი კაცისა და ისიც მაშინ, თუ სადროშოები სიტყვას არ გასტეხდნენ, ათასეულების შემადგენლობას დამატებით გამოყვანილი ყმაგლეხების ხარჯზე გაზრდიდნენ და დამხმარე სვანაფხაზ-ოდიშარიც მტრის სიმრავლეს არ შეუშინდებოდა.

დარეკა სასოწარკვეთის წუთმა, როდესაც ღამის უძილოდ გატარების შემდეგ სოლომონმა ხელი ჩაიქნია, გამოწვეული ჯარების დათხოვნა და სერასკირ ბაშალას ბანაკში უიარაღოდ წასვლაც კი იფიქრა. წინ იყო სრულიად საქართველოს ნეტარხსენებული მეფის, დემეტრე თავდადებულის, მოწამებრივი მაგალითი...

აქ იდროვეს, უმცროს-უფროსობა დაივიწყეს და ხმა აიმაღლეს სარდლებმა, უწინარეს ყოვლისა, ქაიხოსრო აგიაშვილმა, ბერი წულუკიძემ და ქაიხოსრო წერეთელმა. მეფის სულ მცირეოდენი მერყეობა და სისუტე თვით მეფის გარდა ყოველ მათგანს დედაბუდიანად დაღუპავდა. ოსმალოსაგან თავიც რომ დაეღწიათ, გამარჯვებული ლევან აბაშიძე მკაცრად გაუსწორდებოდა ყველას, ვინც მის ურჩ შვილიშვილს გვერდში უდგა და ჭირსა თუ ლხინში ზურგს უმაგრებდა. ეგეც არ იყოს, როდის მომხდარა, თავქვე დაშვებული მძვინვარე ზვავი კენჭს შეეჩერებინოს! სერასკირ ბაშალას ბანაკში საკუთარი ფეხით მისვლა და სამარცხვინო მორჩილების გამოცხადება, რაც ჯირკზე თავის დადებას მოასწავებდა, მტერს გულს კი არ მოულბობდა და ნამუსზე არ შეაგდებდა, პირიქით, გაბედულებას მოუმატებდა და დაუსჯელი პარპაშის, ძარცვა-ტყვევნისა და ქვეყნის ძირფესვიანად ამოგდების საბაბი გახდებოდა.

— მაშ, ომი ომისა წილ? — უფრო თავის თავს ჰკითხა სოლომონმა, რომელსაც ესალბუნა გაფიცხებული სარდლების თათბირი და ისიც კარგად მოეხსენებოდა, რომ სამივე პირუთვნელი და ცამდე მართალი იყო.

— ქვეყანა შენ შემოგყურებს, მეფეო, — ხმაში გარეული მუდარით მიმართა ხელმწიფეს ოკრიბის ბატონმა ქაიხოსრო აგიაშვილმა და თავისი სიტყვებისათვის მეტი დამაჯერებლობა რომ მიენიჭებინა, მის წინაშე ცალ მუხლზე დაიჩოქა. — სად უნდა გავამხილოთ, მტრის ჯარის სიმრავლემ წაგვახდინა და წინააღმდეგობის გაწევაზე ხელი ავიღეთო? შენ იქ წახვიდე, მტერს ჩაბარდე, ჩვენ რაღა პასუხი გავცეთ სოფელ-ქვეყანას? არ გვეტყვიან, მოღალატეები ყოფილხართ, ტახტი და სამშობლო ოცდაათ ვეცხლად გაგიყიდიათო? ჩვენ არ ვიყავით, შენი ბრძანებით, დიდსა და პატარას, ერსა და ბერს, გულში იმედს რომ ვუნერგავდით და ურჯულო აგარიანისაგან ქვეყნის ერთხელ და სამუდამოდ გამოხსნას ვპირდებოდით? დღეს სადღა არის ჩვენი შემართება და გმირული სული? ნუ იქმ მაგას, მეფეო. ერი არ გვაპატიებს, არც შენ და არც ჩვენ, შეგვაჩვენებს, შვილსა და მომავალს დაგვიწყევლის. ნურავინ მიწყენს, თუ ყველას მაგიერ ამის მთხოვნელი და მავედრებელი ვარ. ჯარი შეყრილია და შენს ბრძანებას ელის. შენი დროშის ქვეშ დარაზმულები ან ვძლევთ ურჯულოს, ანდა, თუ ასეთია ღვთის ნება, ყველა ერთად გავწყდებით. ასე არ არის, ბატონებო?

ეს რომ გაიგონეს, თითქოს წინასწარ შეთანხმებულანო, ქაიხოსრო წერე-

თელმაც და ბერი წულუკიძემაც მუხლი მოიდრიკეს და თავი უსიტყვოდ დაჰხარეს.

— მადლობელი ვარ... — ძლივს ამოთქვა სოლომონმა, რადგან ყელში გორგალი აწვებოდა და სუნთქვას უგუბებდა, ტახტიდან ჩამოვიდა, მუხლმოყრილ სარდლებს თავზე დაადგა და ჯერ ერთს დაადო მხარზე ხელი, მერე მეორეს და მერე მესამეს. — უნდა მეპატიოს... მეც თქვენებრ კაცი ვარ, რა ვუყოთ თუ თავზე მეფის გვირგვინი მადგას. პატიოსან სიტყვას გაძლევთ და მამის სულს ვფიცავ, დღეის ამას იქით... ანდა რას უნდა შევუშინდე თქვენისთანა სარდლების პატრონი? ერთით ათს ვძლევ!

— ღმერთმა გისმინოს, მეფეო!.. — შესძახეს ორთავე ქაიხოსრომ და ბერი წულუკიძემ, წამოიშალნენ და სოლომონთან ერთად ტაბაკს მიაშურეს, რომელზედაც ოკრიბა-ლეჩხუმის ვახუშტისეული რუკა იყო გადაშლილი.

## თავი XXIV

ოსმალთა ლაშქარში მეხივით გავარდა მეწინავე რაზმის პირწმინდად ამოწყვეტისა და ქრისტიან თანამოძმეთა შეურიგებელი მოძულე ოლთისის სანჯაყ-ბეგ რუსტამის დატყვევების ამბავი. სერასკირ ბაშალას ყურამდე საგანგაშო ცნობამ მხოლოდ მეორე დღეს მიაღწია, ყვირილას პირზე ბანაკად დამდგარმა გოლა-ფაშამ კი იმავე დილას შეიტყო, რაც „ყაჩაღ აჩიკ-ბაშებს“ ღამის საფარქვეშ წყალწითელას ხეობის ყელში მოემოქმედებინათ. განრისხებულმა სარდალმა პირადად დაჰკითხა რაღაც მანქანებით უვნებლად გადარჩენილი მოლაშქრეები, რომლებსაც თავისი თვალით ენახათ, როგორ დაატყვევეს და წაიყვანეს სანჯაყ-ბეგი რუსტამი, მაგრამ ისე დამფრთხალი და შეშინებული ჩანდნენ, ვერც იმაზე, თუ წყეული აჩიკ-ბაშები საიდან გაჩნდნენ, ვინ უძღოდათ, ანდა ვარაუდით სულ რამდენი უნდა ყოფილიყვნენ და ვერც იმაზე, თუ ღამის მეკობრეებს გზა საით ედოთ, საყურადღებო ვერაფერი თქვეს. ფაშა ცოფს ჰყრიდა. მაშინვე ბრძანა, ლაჩრები და გარეწრები, ბრძოლის ველიდან რომ უსირცხვილოდ გამოიქცნენ და ჭეშმარიტი ღმერთის მგმობელ მტერს ზურგი უჩვენეს, მწყობრის წინ სამაგალითოდ დაესაჯათ, ვინძლო ეს სხვებს გაკვეთილად გამოსდგომოდა.

შეპირებული უმკაცრესი სასჯელი— გაროზგვა ან სამუდამო დასახიჩრება — უბედურებს არ აცდებოდათ, ბანაკს დილაადრიან ანაფორაშემოფლეთილი კათოლიკე ბერი რომ არ მოსდგომოდა და გოლა-ფაშას ადგილსამყოფელი არ ეკითხა.

მოყარაულეებმა პატრს აგდებულად აჰხედ-დაჰხედეს, ერთხანს იპამპულეს, ხან დაემუქრნენ, აქ რა ჯინდა, ხუცესო, შე წვერცამეტავ, რა დაგკარგვია, რას ეძებო, ხან დაუტკბნენ, ჩამოჯექი, პური გავტეხოთ, სვირულ ღვინოს გაგასინჯებთ, რა ვუყოთ, თუ ქრისტიანი ხარ, კაცის ავ-კარგი მარტო მაგით ხომ არ განიზომებაო, მაგრამ როდესაც ლაზღანდარობაზე ვერავითარი პასუხი ვერ მიიღეს და მოსულის მედიდურ სახეს, ჭაღარა წარბებს ქვემოდან ქორულად გამომზირალ თვალებს და მკაცრად მოკუმულ უფერულ ტუჩებს წააწყდნენ, ენა მუცელში ჩაიგდეს და პირქუშ ბერს გოლა-ფაშას მეფური ბრწყინვალებით მორთულ კარვისაკენ წაუძღვნენ.

— ლევან-ბეგ! — შესძახა დილის

ხალათწამოსხმულმა გოლა-ფაშამ, როგორც კი კარის ზღურბლზე თვალებგამოღამებული, მაგრამ მაინც შინაგანი მხნეობით აღსავსე პირხმელი ბერიკაცი დაინახა. — კეთილი იყოს შენი მოსვლა! სადა ხარ, რა ამბავი მოგვიტანე? რას მივაწერო ეგ შენი ჩაცმულობა და დაღვრემილობა? სად არის შენი ჯარი?

— ჯარი არ არის, — ლევანმა მიმქრალი, მოგუდული ხმით უპასუხა, ერთ წერტილზე მიჩერებული თვალები კი ანთებიანივით უელავდა. — მარტო მე მოვედი.

— როგორ თუ მარტო? მხლებლები რა უყავი?

— მიმატოვეს, გამიდგნენ, სოლომონს მიეყიდნენ. ორი დღე და ორი ღამე ტყუილად ვუცადე. მეფის კაცები დამასიეს...

— მერე როგორ გადარჩი? აქ როგორღა მოხვედი?

— ღამემ და იღბალმა მიხსნა. მიმალვა მოვასწარი.

— შაითან! — გოლა-ფაშამ ქრისტიანის დასახასიათებელი საყვარელი სიტყვა იხმარა. — ხეებზე დავკიდებ ყველას. ჯერ ვინმე ხელში ჩამივარდეს!..

— მე თავად დავკიდებ, თქვენო აღმატებულებავ, თუ ღმერთმა ისე არ მომკლა, ჩემს სამკვიდრო მამულში თავისუფლად გავლა მაღირსა. ახლავე უნდა ვსცეთ ბუკი, ჯარი ავყაროთ და წყალგაღმა გადავიდეთ. სოლომონი მცირე ჯარით უნდა იდგეს სკანდას. მეგზურობას თავად მე ვკისრულობ. ჯარს წინ გავუძღვები. ჩემს დამღუპველ და თავლაფის დამსხმელ შვილიშვილს ან მკვდარს ჩავიგდებ ხელში, ან ცოცხალს. ვაი მის დედას! მეხვეწებოდა, შვილს არაფერი მომიწიოო. სადაც არ უნდა იყოს, თუნდაც მიწაში, ვიპოვნი, ვფიცავ ჩემს ჰაღარას, და, ღმერთო და მამაზეციერო, — გამწარებულმა ბერიკაცმა კარის გუმბათს აჰხედა, გაძვალტყავებული ხელები ზეაღაპყრო. — ნუ მიწყენ, ნუ დამსჯი ამისათვის, შენ ხომ უწყი, ასე არ მინდოდა... მის სისხლს წვეთ-წვეთად დავლევ!

გოლა-ფაშას ერთობ ეამა გაწბილებული თავადის, გიაურ სოლომონის ღვიძლი პაპის, უკიდურესი სასოწარკვეთა. შიგადაშიგ ჯერ კიდევ ეჭვობდა, თუმცა ეს ეჭვი ხმამაღლა არავისთან გამოუთქვამს, ვაითუ ბერიკაცმა გადამწყვეტ წუთებში გვიღალატოს, ტვინი გადაუბრუნდეს და საძულველ, სასიკვდილოდ გამეტებულ შვილიშვილს მიუვიდესო. არგვეთიდან მარტოდმარტო მობრუნებული, ყველასაგან მიტოვებული და გარიყული ლევანი ახლა ისე სულით ხორცამდე შეეპყრო და დაემორჩილებინა სამაგიეროს მიზღვის სურვილს, საეჭვო და საჭოჭმანო ვგონებ უკვე აღარაფერი რჩებოდა.

სხვა შემთხვევაში, როგორც ომის წესი და რიგი მოითხოვდა, გოლა-ფაშა კაცებს გაგზავნიდა მთავარბანაკში ან თავად წავიდოდა, სერასკირს ყოველივეს წვრილად ამცნობდა და შემდგომი მოქმედების გეგმას შეათანხმებდა, მაგრამ ამა ქვეყნის ძლიერთაგან განაწყენებულმა სარდალმა თავი არც ამჯერად დაიმდაბლა, გადაწყვეტილება სერასკირთან შეუთანხმებლად მიიღო და იმის მაგიერ, მოწამეთას კლდეებში გამაგრებულ აჩიკბაშ მეთოფეებს შებმოდა და ქუთაისისაკენ გზა გაეწმინდა, პირი იბრუნა და ჯარი ყვირილას მარჯვენა ნაპირზე გადასხა.

გოლა-ფაშას გაშმაგება კიდევ მეტი იქნებოდა, გულთმისანი რომ ყოფილიყო და სერასკირ ბაშალას ფარული ზრახვების ამბავი სცოდნოდა. ბაშალა შორიდან ადევნებდა მას თვალს და, თუმცა უფლებამოსილი იყო, თავისი ნება-სურვილის წინააღმდეგ ნაბიჯიც არსად გადაედგმევინებინა და საველე სასამართლოთიც კი დამუქრებოდა, ხელს არ უშლიდა, სისულელე სისულელეზე ჩაედინა. მეშურნე ფაშა არ შეიძლება, სადმე დიდ განსაცდელში

არ ჩავარდნილიყო, ქედი არ მოედრიკა, სერასკირისათვის შემწეობა თვითვე არ ეთხოვა და თუ ამ შემწეობას რაიმე მიზეზის გამო დროით ვერ მიიღებდა, გამოუსწორებელი მარცხიც ეწვნია...

ყვირილაზე გადასვლისთანავე გოლა-ფაშამ ლაშქარი ორად გაჰყო, ერთი, სამი ათასი მხედრისაგან შემდგარი, ჰასან ისკანდერის სარდლობით, ჰალატყის კოშკების ასაღებად გაგზავნა, თვით კი მეგზურადა და მრჩევლად არგვეთის გზებისა და ბილიკების ყველაზე უკეთესი მცოდნე ლევან აბაშიძე დაიტოვა და დანარჩენი ლაშქრით, თითქმის რვა ათასი მხედრითა და ამდენივე ქვეითით, ქვემო საზანოს მიაშურა. ვითომდა საწერეთლოს მოსარბევად მიმავალი გოლა-ფაშა აქ ანაზდეულად გეზს შეიცვლიდა, მარცხნივ, რაჭა-იმერეთის მთებისაკენ მიბრუნდებოდა და სკანდის ციხეს აღმოსავლეთიდან შემოუვლიდა. სოლომონი, ამგვარად, საწერეთლოსაგან მოწყვეტილი აღმოჩნდებოდა და, უკეთუ ციხიდან გამოსვლას გაბედავდა, პირი ნაკლებ მისანდო ქვეშევრდომის, როსტომ რაჭის ერისთავის სამფლობელოებისაკენ უნდა ექნა. წინასწარი პირობის თანახმად, რომელიც როსტომმა ახალციხის ბეგლარბეგ ფაშა ჰაჯი-აჰმადს დაუდო, აჩიკ-ბაშთა გიაურ მეფეს იქ უეჭველი შეპყრობა და ოსმალთა ხელში გადაცემა ელოდა.

მდინარეზე გადასვლისათვის ხელი არავის შეუშლია, თუმცა შესაფერი ფონის მოძებნა გაძნელდა და ამ საქმემ რამდენიმე საათი შეიწირა. მცირეოდენი წინააღმდეგობა ჯარს სიმონეთის ბოლოზე, გაუვალ ჭაობთან მიახლოებისას შეხვდა. წინასწარ გამართულ სახუნდარში ჩასაფრებულმა მეთოფეებმა, ალბათ, ამ სოფლის მკვიდრებმა, სროლა ატეხეს, შვიდიოდე მხედარი ცხენიდან ჩამოაგდეს და, როგორც კი დაინახეს, ერთზე ასი მოდის, მტერს ვერ გავუმკლავდებითო, გატრიალდნენ და გაუვალი ჭაობის შუაგულისაკენ დაიხიეს.

ეს, რაღა თქმა უნდა, ფანდი იყო, რასაც ომის ჭიანაჭამი აჩიკ-ბაშები დროის მოგების მიზნით მიმართავდნენ.

გოლა-ფაშამ ბრძანება გასცა, პატარ-პატარა გამოხდომებისათვის გზადაგზა ყურადღება არ მიექციათ, მეკობრეები გაეფანტათ, მათს გამოხადევნებლად ან ალაფის საშოვნელად კი დრო არ დაეკარგათ და მხოლოდ წინ ევლოთ.

ჯარი კარგა დიდ მანძილზე გაიჭიმა. ცხენები დაიმშნენ. თუ სადმე არ შეჩერდებოდი და ბალახს არ მოაძოვებდი, ვაითუ სულ დავარდნილიყვნენ და მაშინ საქმე კიდევ უფრო დაბრკოლდებოდა. ამაზე უფრო გაუჭირდა ქვეით ჯარს, რომელიც ცხენოსანი ესკადრონების უკან მოჩანჩალებდა და ცალკერძ ხშირი აღმართ-დაღმართისა, წამდაუწუმ რომ ხვდებოდათ, ცალკერძ უგზოობისა და ცალკერძ უწყლობის გამო ღონე თანდათან ელეოდა.

წყაროები იშვიათად ხვდებოდათ, ჭები კი თითქმის ყველგან გაბინძურებული იყო. გაბინძურებული წყლის დალევა ლაშქარს საოფლითა და შავი ჭირით ემუქრებოდა. გოლა-ფაშამ სიფაჰიები დაგზავნა და ჯარს ჭებთან მიახლოება აუკრძალა, ზედვე დასძინა. შუბზე წამოვაგებ, თუკი ვინმე დანაშაულზე წავისწარიო. აკრძალვამ ხალხი სულ გადარია და წყლის უნახავი გახადა. საკმაო იყო, უფროსებს თვალი მოეშორებინათ, მოლაშქრეები, ქვეითები თუ ცხენოსნები, საეჭვო წყალს ჭიდან იმით იღებდნენ, რაც ხელში მოხვდებოდათ, ხარბად ეწაფებოდნენ, ცხენებსაც ასმევდნენ და სხვებსაც აქეზებდნენ იგივე ექნათ. ლაშქარში შავი ჭირის გავრცელების თავიდან ასაცილებლად გოლა-ფაშამ მეთაურები დაიბარა და ყველას სათითაოდ დაავალა, ქვეითი ჯარის ასეულებსა და ცხენოსანთა ესკადრონებში

სასმელი წყლის ხელუხლებელი მარაგი შეექმნათ. ამ უკანასკნელმა განკარგულებამ მართლაც გასჭრა. საიდანღაც გაჩნდა ტიკები, რუმბები, კოლოტები, გუდები, რომლებიც წყაროს წყლით აავსეს და სასაპალნე ცხენებს აჰკიდეს.

მეწინავე რაზმს საქარასა და ღვანკითს შუა დაღამდა. გოლა-ფაშა და ლევან აბაშიძე ასეც ანგარიშობდნენ. მინბაშებმა ათასეულებს ჩამოუარეს და ბანაკად დადგომის თადარიგი გასწიეს. კარვები ჯერ ხეირიანად არც კი გაეშალათ და ვახშმის მოსამზადებლად ხმელი შეშაც არ მოემარაგებინათ, რომ საქარის ბოლოზე თოფებისა და ზამბულაკების ისეთი ხშირი სროლა ატყდა, საძოვარზე მიშვებულმა ფეხებდაბორკილმა ცხენებმაც კი ყურები სცქვიტეს და ავისმომასწავებლად აჭიხვინდნენ.

საქარის ბოლოზე, ვარაუდით, ქვეითი ჯარის სულ უკანასკნელად მოსული რაზმები უნდა მდგარიყვნენ. თქმა არ უნდოდა, მტერს აქ საფარი ჰქონდა გამართული, ანდა ოსმალთ მთელი დღე კვალდაკვალ მოსდევდა, მოწინააღმდეგესთან შესაბმელად მარჯვე დროსა და ადგილს არჩევდა და, ღამის გასათევად შეჩერდნენ თუ არა, თავდასხმაც არ დააყოვნა.

გოლა-ფაშამ მინბაში აფრინა ამბის შესატყობად, თავად კი, შეფიქრიანებული, ცხენს მოახტა, სიფაჰიების მცირე ამალითურთ ბანაკს სამი მხრიდან შემოუარა და ყველასა და ყველაფრის საომარ მზადყოფნაში მოყვანა ბრძანა.

ამბის შესატყობად გაგზავნილი მინბაშის კაცები მალე მოიჭრნენ. თვით მინბაშს ბრმა ტყვია მოხვედროდა, მხარში დაკოდილიყო და მისივე თხოვნით გზისპირა ვენახში დაეტოვებინათ.

გოლა-ფაშას თმა აებურძგლა, გულმა გამალებით დაუწყო ბაგაბუგი.

არიერგარდში მდგომ ქვეით ათასეულს საიდანღაც გამოვარდნილი, თითქოსდა მიწიდან ამოსული ცხენოსანი ჯარი დასცემოდა და საშინელი ჩეხვა და სისხლისღვრა გაეჩაღებინა. მსხვერპლი დიდი უნდა ყოფილიყო, რადგან მომხვდურთ ადვილად გადმოეთელათ ქვეითთა ბანაკი, სროლითა და ყიჟინით სოფელში შემოჭრილიყვნენ და ახლა, ალბათ, აქეთ მოიწევდნენ.

გოლა-ფაშა მიხვდა თავის საბედისწერო შეცდომას: წყეულმა სოლომონმა, თუ ეს სწორედ სოლომონი იყო და არა სხვა ვინმე, აგარიანის ზურგის მოშიშვლებით ისარგებლა, აცალა, სანამ ის ვარციხის მინდვრებს მთელი დღის სავალზე გამოსცილდებოდა და, როგორც კი მარტო დაიგულა, სწორედ იქ ეკვეთა, სადაც ყველაზე ნაკლებ მოელოდნენ.

გოლა-ფაშას ვარაუდი ამჯერად სწორი გამოდგა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მუხურის მიუვალ ციხეში მყოფი მეფე სოლომონის მაგიერ იმერთა მხედრობას ქვემომხრის სარდალი ბერი ლორთქიფანიძე მოთავეობდა, რომელსაც თავისი ხელმწიფის ბრძანებისამებრ, მტრისთვის იმოდენა ზარალი უნდა მიეყენებინა, რამდენსაც შეიძლებდა, ხოლო შემდეგ იმავე გზით, გოლა-ფაშამ დღისით რომ გაიარა, ვითომდა შემდრკალსა და შეშინებულს, უკან უნდა დაეხია.

საქარისა და ღვანკითის მიდამოებში და თვით უკაცრიელ სოფლებში ბრძოლა გათენებამდე გაგრძელდა. ღამე ბურუსიანი იყო, ცაზე არამცთუ მთვარე, ერთი ვარსკვლავიც არ ჩანდა და ორივე მხარეს ერთნაირად უჭირდა თავისიანი მტრისაგან გაერჩია. გოლა-ფაშამ იმდენი მაინც მოახერხა, მთელი თავისი ჯარით, ვინც ჯერ კიდევ ფეხზე იდგა და ხმალს იქნევდა, მაღლობზე გამაგრდა და შუბოსნები კარედ დააყენა. საქმეს არც ამან უშველა. სისხლმოწყურებული აჩიკ-ბაშები აგარიანთ მაღლობზეც აჰყვნენ და კარეს ზურგსუკანაც სატევარი და თოფდამბაჩა დაატრიალეს. მაღლობის კალთები, ორივე სოფლის ყველა შუკა და

მოედანი სისხლით მოირწყო და გვამებით მოიფინა.

გამთენიის ჟამს ბრძოლა მინელდა. მერე თანდათან შესამჩნევი გახდა, რომ ღამის მეკობრეები თავიანთ მკვდრებსა და დაჭრილებს კრეფდნენ და უკან, ზორეთისაკენ იხევდნენ. დღისით ოსმალთა რიცხობრივი უპირატესობა თავისას იზამდა და იმერთა მცირერიცხოვანი მხედრობა, უმთვარო ღამით რომ ისარგებლა და მტერს აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა, მწარე ხვედრს ველარსად გაექცეოდა.

ლევან აბაშიძე დასაბმელი გამხდარიყო. როგორ წარმოიდგენდა, თუ გარეწარი შვილიშვილი ამდენს გაუბედავდა და იმის ნაცვლად, პატიება ეთხოვა და წინ მუხლმოყრილი შემოგებებოდა, უგუნურად თავს დაესხმოდა.

ამღვრეული გოლა-ფაშა თვალს არიდებდა მოხუცებულ თავადს. ჯერ კიდევ არა სჯეროდა, რომ ყოველივე ეს სწორედ მან მოაწყო, რადგან მამხილებელი საბუთები ხელთ არა ჰქონდა, მაგრამ საბაბს კი გაფაციცებით ეძებდა, უცაბედი მარცხი ვინმე სხვისთვის გადაებრალებინა, ჯარის წინაშე თავი პირნათლად გამოეყვანა და ჯოხი მსხვერპლის ზურგზე გადაეტეხა.

სკანდის ციხისაკენ გზის განგრძობამ ყოველივე აზრი დაჰკარგა. თუ ზურგში მოქცეულ იმერთა ლაშქარს მთლიანად არ ამოწყვეტდნენ, ყოველ წამს დენთით სავსე კასრზე უნდა მსხდარიყვნენ და ახალი მუხანათური თავდასხმის შიში და რიდი ჰქონოდათ.

უკანდახეულ მტერს, როგორც მეფის ბანაკში იწინასწარმეტყველეს, გოლა-ფაშამ მთელი ცხენოსანი ჯარი დაადევნა, საქარა-ღვანკითში მხოლოდ ხუთასიოდე კაცისაგან შემდგარი გარნიზონი დასტოვა დაჭრილ-დახოცილთა მისახედავად და თავადაც „სოლომონის ყაჩაღებს“ გამოუდგა.

იმერთ ერთხელაც არ უცდიათ, სადმე შეჩერებულიყვნენ, ფეხი მოეკიდებინათ და პირი მდევრისაკენ ექნათ. იმისდა მიუხედავად, რომ თან ომში აკაფულ მიცვალებულებს მოასვენებდნენ და დაჭრილ-დაკოდილებიც მიჰყავდათ, საკვირველ გამძლეობას იჩენდნენ და თითქმის უკვე წამოწეული მტრის ცხვირწინ უკვალოდ მიმალვას ახერხებდნენ.

მხოლოდ ერთგან, ზორეთსა და რუფოთს შუა, დაიმარტოხელეს მხედართა ერთი პაწაწინა რაზმი, თავი დაუარეს და ალყის მარყუჟში მოაქციეს. ხელისდადება ადგილზე, ნამეწყრალ დუბეში, უამრავი ჯარი მოგროვდა. შეიქნა ჯგლეთა და ზედახოცვა. რაკი სხვა საშველი აღარა ჰქონდათ, უბედურმა ლტოლვილებმა მკვდრები და დაჭრილები დაჰყარეს და გარსშემორტყმულ მტერს თავგამეტებით შემოუტიეს. ნამეწყრალს ნიადაგის წყლებისაგან დაჭაობებული საფლობი გასდევდა. იმერთ, ეტყობოდა, ეს კარგად იცოდნენ, წინასწარვე შეეთვალიერებინათ, და მტერს ცალ მხარეს, საფლობისაკენ მიაწვნენ. ატყდა ყვირილი, ღრიალი, ყიჟინა. მოალყეთა ბევრი ცხენი წებოსავით სქელ ტალახში მუცლამდე ჩაეფლო და შესაბრალისი ჭიხვინი მორთო, შველას ითხოვდა.

თეთრონზე გადამჯდარი გოლა-ფაშა ბექზე იდგა, უზანგებში ფეხები ღრმად წაედგა და თვალს ადევნებდა ერთ მუჭა განწირულთა შეუპოვარ ჭიდილს ათწილ მრავალრიცხოვან მტერთან. სარდალს მოუთმენლობა ეუფლებოდა. ალყაშემორტყმულები, რომელთა წუთები უკვე დათვლილი იყო, ძვირფას დროს ართმევდნენ: უკანდახეულ აჩიკ-ბაშთა მთავარი ძალა ამასობაში პატარა მანძილს როდი გაივლიდა!

დევნა დაღამებამდე გაგრძელდა. გზაში ბევრ მხედარს ცხენი დაუვარდა და შემდგომი წინსვლა თითქმის შეუძლებელი გახდა. მშიერი, ღამენათევი და გადატანილი ორთაბრძოლით დაღლილ-დაქანცული ჯარი უკანდახეულთ ნელ-ნელა ჩამორჩა და ბოლოს სულაც მოწყდა იმერთა უკანასკნელ-

მა რაზმებმა წყალწითელას ხეობაში შეუხვიეს და თვალს მიეფარნენ.

გოლა-ფაშას გამწარებასა და სასოწარკვეთას საზღვარი არ ჰქონდა. საგანგებოდ დაგზავნილმა კაცებმა ის იყო შეატყობინეს, ღამის ბრძოლაში ხუთი ათას მეომარზე მეტი დაგვიკარგავსო. მწყობრიდან გამოყვანილთა უმეტესობა მოკლული იყო, დანარჩენები ალალის საზიდრებზე იწვნენ და ზედმეტ ბარგად ქცეულთ ბრძოლაში მონაწილეობის მიღება აღარ შეეძლოთ.

აბა, თავი სადღა უნდა გამოეყო მრავალი მხედრული დიდებით მოსილ გოლა-ფაშას! ბალკანეთის ომების გმირს, ბოლღართა რისხვას, ბელგრადის ციხის დამაქცეველს, ცათა სწორი სულთნის უზენაეს მოხელეს დალმაციის სატახტო ქალაქ სარაევოში გზად თითქოს გაუბედურებული დედებისა და დაობლებული ბალღების წყევლა წამოეწია და მუხლი მოჰკვეთა. მაგრამ რაც უფრო მეტი იყო მარცხით გამოწვეული ბოღმა და ჯავრი, გოლა-ფაშას, ძველი, გამოცდილი ჯარისკაცის გულში მით უფრო იზრდებოდა მოსისხლე მტრისადმი ჯიბრი და კრძალვა. საქარის ბრძოლის შემდეგ, რომელშიაც აჩიკ-ბაშებმა საოცარი მხედრული მოხერხებულობა, სიმკვირცხლე და შეუპოვრობა გამოიჩინეს, ამპარტავან ფაშას უკვე აღარ შეეძლო, მეფე სოლომონი აწინდებურად ველური აზიელი ტომების ველურ წინამძღოლად მიეჩნია. დღითიდღე ირკვეოდა და ყველასათვის, უპირველეს ყოვლისა თვით გოლა-ფაშასათვის, საცნაური ხდებოდა, რომ აჩიკ-ბაშთა გიაური მეფე გონივრულად გაწვრთნილი ჯარის გონიერი სარდალი იყო და თუ ამ გარემოებას ჯეროვან ანგარიშს არ გაუწევდი, ვაითუ საქმე სანანებელი და თავში საცემი გაგხდომოდა.

## თავი XXV

მუხურაში დაბანაკებულმა იმერთა ლაშქარმა ღვინობისთვის 18-ს დაბლობში დაშვება და ძევრისა და სიმონეთის მიდამოებში თავმოყრა დაიწყო. მომდევნო საღამოს ისე დიდი ჯარი მოგროვდა, როგორც ხალხში იტყვიან ხოლმე, საძრაობა აღარსაით ჰქონდა.

სიხარულის მომგვრელი ცნობა მოიტანეს ქედს გადაღმიდან: რაჭის ერისთავი როსტომი ვაჟებითა და ხუთი ათასი რჩეული მხედრითურთ უკვე ნაქერალაზე იდგა და ოკრიბაში დასაშვებად მეფის ნიშანსღა ელოდა.

ღამით რაჭა-იმერეთის ქედზე პირველი თოვლი მოვიდა და დაკბილული კლდოვანი თხემები ერთთავად გადაათეთრა. თოვლს, რასაკვირველია, ზეკარის უღელტეხილზედაც დასდებდა და საფაშოს უამისოდაც ვიწრო და ძნელად სავალ გზას კიდევ უფრო გაუვალს ხდიდა. ამჯერად ეს იმერთათვის საზიანო იყო: უკან დასახევი გზის უქონლობით დაშინებული აგარიანები უკანასკნელი ვაზნის გასროლამდე იომებდნენ და ცოცხალი თავით ადგილიდან ფეხს ვერ მოაცვლევინებდი.

ღვინობისთვის 20 მზიანი და უქარო დღე გათენდა. გვიანი შემოდგომის ერთი ჩვეულებრივი დღე იყო. გზისპირას რთვილი დნებოდა და ამომავალი მზის სხივებზე ობოლი მარგალიტივით ციმციმებდა გათელილ ბალახებში.

ზედა სიმონეთის სასოფლო საყდარში, რომელიც სოფლის ქვედა უბნებს ასწლოვანი ცაცხვებითა და მუხებით დაბურული გორაკიდან გადაჰყურებდა, კათალიკოსმა ბესარიონმა და მის ამალაში მყოფმა საეკლესიო მამებმა პარაკლისი გადაიხადეს, ჯარი დაამწყა-

ლობეს და ცად სამართლიანი საქმის გამარჯვების სავედრებელი აღავლინეს.

სოლომონი დიდებულებსა და სარდლებს შორის იდგა საყდრის კონქის ქვეშ, კათალიკოსის გაგრძელებულ ღაღადისს ყურს უგდებდა და ოქროცურვილ შანდლებში მობრდღვიალე სანთლების შუქით გასხივოსნებული პირჯვარს იწერდა. ეკლესიის გალავანი და გორაკის დამრეცი კალთები ჯარით იყო სავსე. სამრეკლოზე დინჯად, ყოველი ათი-თორმეტი წამის გამოშვებით რეკდა ზარი და ყველა ღვთისმოსავს ზეწაარის სადიდებლად მოუწოდებდა.

ეკლესიის ყურთამდე გაღებულ კართან ჩოჩქოლი შეიქნა. შუბების ტყე შექანდა და უკან დაიხია. მონასტრის მორჩილებმა ეკლესიიდან ძვირფას ჩარჩოებში ჩასმული ჭედური ხატები გამოასვენეს და ორსაფეხურიანი ქვის კიბის წინ, მწვანე მინდორში ერთიმეორის პირისპირ დადგნენ. გამოიტანეს ოქრომკედით ნაქერი საეკლესიო დროშებიც და აქეთ და იქით ხატებს უკან ჩაამწკრივეს.

— მეფე, ხალხო, მეფე! — გაისმა ჯარში და ამ ხმამ ეკლესიის გალავანი და გორაკის ფერდობები ნიავივით შემოირბინა.

— დიდება მეფეს!.. გაუმარჯოს ჩვენს მეფე სოლომონს და დედოფალ მარიამს!..

— დიდება! დიდება მეფეს!..

შეძახილებს მთელი ხალხი და მხედრობა აჰყვა, ვაშამ იგრიალა და გაზაფხულის პირველი ჭექა-ქუხილივით ახწლოვანი ცაცხვებისა და მუხების თავზე გადაიგრუხუნა.

თავშიშველი, ბერულად თმაწვერმოშვებული სოლომონი მართლმადიდებელი... ტო იდგა ეკლესიის ღია კარის წინ, მარჯვენა ხელი ოდნავ აეწია და სმენასა და გაგონებას ითხოვდა:

— ქართველნო! — ხმადაბლა დაიწყო მან, როდესაც ხალხი თანდათან მიწყნარდა და ეკლესიის გალავანში, წამის წინ რომ ძარღვებში სისხლის ამაჩქროლებელი მჭექარე შეძახილებით ზანზარებდა, სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა. — მამულიშვილნო! იმერნო! ლიხგადმოღმელო ქართლოსიანნო! ქრისტეს ცხოველმყოფელ ჯვარს მინდობილნო! ჩემო შვილებო და ძმებო!..

— დღეგრძელი იყავი, მეფევ!..

— გწყალობდეს მამაზეციერი!

— არ მოულიოს ვაი და უი შენს მტერს და დამაწყევარს!..

უკანასკნელი სიტყვები ერთსულოვანმა სიცილმა დაჰფარა და ერი ისევ ახმაურდა. სოლომონმა წამით შეიცადა, ხალხს გულის მოოხება აცალა და მარჯვენა ხელი კვლავ ზეასწია:

— ...ღვთის რისხვა თავს დაგვატყდა და ჩვენი ოფლითა და სისხლით მორწყული მამული მომხვდური მტრის მხედრობით აივსო. ორ კვირაზე მეტია, რაც არზრუმის სერასკირი ბაშალა და სისხლისმსმელი გოლა-ფაშა, ორივე გადაგვარებული, მტრის რჯულზე შემდგარი ქართლოსიანი, და მრავალზე უმრავლესი მათი მსგავსი, ბინძური ფეხით თელავს ვაკე იმერეთის ველ-მინდვრებს, ყანას და ვენახს, ბაღსა და ბოსტანს, ხალხს ატყვევებს და უცხოეთის ბაზრებზე გასაყიდად გზავნის, წვითა და დაგვით მოდონიერებულ ქვეყანას მიწასთან გვისწორებს. ურჯულო მტერმა უკვე აიკლო და აახხრა ბაღდათი და ფერსათი, საჩიჯავაძეოს დიდი ნაწილი, დიმი, ობჩა და ვარციხე, ყვირილაზედაც გადმოვიდა და გამოღმა ქვეყანაც ულვთოდ აგვიწიოკა. უკვე ნანგრევებად და ფერფლად არის ქცეული მამაჩემ მეფე ალექსანდრეს და თქვენი გარჯით აშენებული ვარციხის სამეფო პალატები, თვით თქვენს მეფეს კი სერასკირი ბაშალა ბანაკში იბარებს და მისგან უსიტყვო დამორჩილებას, უსაზღვრო ხარკის გადახდას და სამეფოში ჩვენს მიერ აკრძალული ტყვისმსყიდველობის ხელახლა შემოღებას მოი-

თხოვს!.. ვინ არის ჩვენს შორის, ამას რომ მოითმენს?

— არავინ, შენი ჭირიმე, მეფევ!..

— არავინ, არა, არავინ არ მოვითმენთ!..

— სიკვდილი ბაშალას! — იღრიალა ჯარმა და შუბების ტყე ისევ შეირხა. — სიკვდილი გოლა-ფაშას! სიკვდილი ურჯულოებს!..

— გაჩუმდით, ხალხო, ადროვეთ.

— არ გესმით კაცის სიტყვა?

მეფემ მომუშტული ხელი ასწია, იქაურობას მძვინვარე მზერა მოატარა, თითქოს აზვირთებულ-ატორტმანებული თავების ზემოთ ვიღაცას ეძებსო და ახლა უფრო გაბედულად, მეჭქარე ხმით განაგრძო:

— ჩვენ იმ აზრს ვადგავართ, რომ არ დავთმოთ ჩვენი მშობელი მიწა, ჩვენი ნაწვავ-ნადაგი და მტერს მტრულად მივაგოთ. ყველამ უწყის, ღვთის შეწევნით დღეს თქვენი ტყვეა და თქვენს სამართლიან მსჯავრს ელის საქრისტიანო საქართველოს ერთი პირველი მოძულე, ოლთისის სანჯაყ-ბეგი რუსტამი. ეს ის რუსტამია, ხანისწყლის ხეობის სოფლები რომ აიკლო, როცა ჩვენ შინაურმა მტერმა დაგვძალა და იძულებული შევიქენით, თავი ტყისთვის მიგვეცა. მან მოჰკლა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული საბა მღვდელი, მან შეაგინა ჯვარი და ხატი. ეს გახლდათ მტარვალი, ვინც ცხვართან მგელი იყო და უმწეო ქალისა და ბავშვის შებრალებაც არ იცოდა. აღარ არსებობს სანჯაყ-ბეგის მტაცებელი ჯარი. ის ან ბრძოლაში გავწყვიტეთ ან ტყვედ შევიპყარით და მუხურის ციხის საკნებში გამოვკეტეთ! ვფიცავ მაღალ ღმერთს, პირშავი რუსტამის ბედი არც სხვებს ასცდება!..

სოლომონმა ერთხელ კიდევ მოავლო თვალი ლაშქარს, აცალა, ვიდრე კვლავ სიჩუმე დაისადგურებდა და შუბლზე ღვარად წამოსული ოფლი მოიწმინდა.

— დიდებით შემოსეს თავიანთი სახელი ქვემომხრის სადროშოს ჯარებმა, რომელთაც საწერთულის ერთი ათასეულიც ეხმარებოდა. მადლიერი სამშობლო არასოდეს არ დაივიწყებს მამულის საკურთხეველზე დაღვრილ სისხლს. ქუთაისის კართან სანჯაყ-ბეგრუსტამის განადგურების შემდეგ მათ ერთობლივ სძლიეს ჩვენს შესაპყრობად სკანდის ციხისაკენ წამოსულ გოლა-ფაშას ურიცხვ ლაშქარს საქარასა და ღვანკითში, ღამის ბრძოლაში მტერს უზღვავი ზარალი მიაყენეს და ჩვენი ბრძანების თანახმად უკან დაიხიეს. დიდია ჩვენი მსხვერპლიც. გამარჯვება ძვირი გვიჯდება. ნათელი დაადგეს ყველა დაცემულის სულს! ბედნიერია, ვინც სამშობლოსათვის იღუპება. ჩვენ დავრწმუნდით, რომ მტრის დამარცხება შეიძლება და კიდევაც დავამარცხებთ, რა ძალასაც არ უნდა ფლობდეს და რა იარაღითაც არ უნდა შემოგვესიოს, ვინაიდან ჩვენთან არს ღმერთი, ჩვენთან არს სიმართლე! გამარჯვების რწმენას ის გვინერგავს და გვიასკეცებს, რომ ლიხთიმერეთი დღეს წვრილ-წვრილ სათავადოებად დაქსაქსული ქვეყანა კი არ არის, ერთ მუშტად შეკრული სამეფოა. ჩვენი დროშის ქვეშ დგანან და მალე მტერს თავისი მახვილის ძალას უჩვენებენ გურიელი მამია და რაჭის ერისთავი როსტომი. უკვე გზაშია და ჩვენს გვერდში ამოსადგომად მოისწრაფვის დადიანის ძე კაცია სვან-აფხაზ-ოდიშართა დიდი ლაშქრით. ესაა მალემსრბოლი გვეახლა და ამბავი მოგვიტანა, რომ გუშინ ნაშუადღევს ჩხერის ციხიდან გამობრძანდა მეფე ერეკლეს სიძე არჩილ ბატონიშვილი და ჩვენს მოსაშველებლად ქართლ-კახეთის უძლეველი მხედრობით მოეშურება!..

თვით მეფის პირით განცხადებულმა ახალმა ცნობამ ჯარს განუზომელი სიხარული მოჰგვარა. ეკლესიის გარეშემო გორაკზე თავშეყრილი ამდენი ათასი კაცი თითქოს ერთსულად და ერთხორცად გადაიქცა. ნაცნობი თუ უცნობი, ახლობელი თუ შორებელი,

ვისაც, ვინ უწყის, ხვალ იქნებ მზეც უნდა დაჰბნელებოდა, ერთმანეთს ეხვეოდა და დიდი ხნის ნანატრი დღის დადგომას ულოცავდა. ვაშასა და ჰაერში დაცლილი თოფების გრიალისაგან ყურთასმენა აღარ იყო. ბევრი კიდევაც ტიროდა, სიხარულის ცრემლები დაპაღუპით ჩამოსდიოდა, იარაღს იქნევდა და მოზეიმე ხმებს თავის ხმასაც უერთებდა.

—მამულიშვილნო! — დაიწყო ისევ სოლომონმა და აღტყინებული ლაშქარი ხელის ერთი აწევით გააჩერა. — იმერნო! ლიხგადმოღმელო ქართლოსიანნო, ქრისტეს ცხოველმყოფელ ჯვარს მინდობილნო! ტახტის ერთგულო ქვეშევრდომნო! შვილებო და ძმებო! მაშ, ვახსენოთ ღმერთი, პირჯვარი დავიწეროთ, შევუნდოთ ერთმანეთს, თუ რაიმე გულსატკენი მიგვიძღვის და წავიდეთ იქ, სადაც სამშობლოს ბედი წყდება. ვხედავ, ციხისთავ აგიაშვილს ცხენი უკვე მოართვეს, — თქვა ესა და მეფეს ღიმილი მოერია. — სარდალმა უკეთ იცის თავისი საქმე. პური მეპურესაო, ჯდანი მეჯდანესაო, ხომ გაგიგონიათ? ღმერთო და იესო მაცხოვარო, შენ ეყავ მწედ და მფარველად ჩვენს მაშვრალ, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას, შენ დაიფარე ურჯულო აგარიანის მსახვრალი ხელისაგან, შენ გვაცხონე და შეუნახე ესე მიწა-წყალი შვილთა და მონაგართა ჩვენთა!..

— ამინ! — დაიგუგუნა ჯარმა და როგორც კი თავისი მეფე ეკლესიიდან გამოსვენებული ჯვარცმის წინაშე მუხლმოყრილი დაინახა, მხურვალე პირჯვრის წერითა და ლიტანიობით დაიჩოქა.

ეკლესიის გალავანი და ფერდობები ნელ-ნელა იცლებოდა. ჯარი, ცხენოსანი თუ ქვეითი, ასეულებად ეწყობოდა ძევრის გზაზე, უკანასკნელ თადარიგს სწევდა და დაძვრის ბრძანებას ელოდებოდა. ბრძანებამაც აღარ დააყოვნა. სოლომონმა ცხენდაცხენ აუარა გვერდი ასეულებს და მრავალრიცხოვანი ამალითურთ, რომელსაც წინ დედოფალყოფილ თინათინის ხელით შეკერილი დროშა მიუძღოდა, გეზი პატარა მთის მდინარე ქვევრულის ბოგირისაკენ აიღო, სადაც გზა მარცხნივ, მთებისაკენ უხვევდა და აღმართ-აღმართ წინწკილას უღელტეხილისაკენ მიიკლაკნებოდა.

## თავი XXVI

მეფის ბანაკში უკვე იცოდნენ, რომ ბერი ლორთქიფანიძის კვალდაკვალ უკან გაბრუნებულმა გოლა-ფაშამ წყალწითელას მიაღწია, მაგრამ იქ დაღამებამ მოუსწრო და იძულებული გახდა ღამის გასათევად ბანაკად დამდგარიყო. ლორთქიფანიძის ფიცის კაცებსაც სწორედ ეს უნდოდათ და წყალწითელას ვიწრო, სალკლდოვან ხეობაში ისე ღრმად შევიდნენ, გათენებამდე შიში უკვე აღარაფრისა უნდა ჰქონოდათ. მათ აქ მიწას მიაბარეს თავიანთი მიცვალებულები და დაჭრილ-დაკოდილთ სისხლშემხმარი ჭრილობები შეუხვიეს.

გოლა-ფაშა გათენებისთანავე, მართალია, დევნას განაახლებდა და მის შემარცხვენელ იმერთ თუნდაც ღდინამდე ჩაჰყვებოდა, მაგრამ ლაშქრის გასაშლელად მოუხერხებელ ხეობაში, სადაც ურემი ურემს გვერდს ძლივს უვლიდა, ზარალის მეტს ვერაფერს ნახავდა.

ჰკვიანი სარდალი ჯარს ორად გაჰყოფდა, ერთ ნაწილს ქვემოთ, ხეობის ყელში დასტოვებდა, რათა ხაფანგში გაბმულ შეჭირვებულ იმერთ იქიდან

უკან გამოსვლა აღარ შესძლებოდათ, მეორე ნაწილით კლდეებს შორიდან, მოწამეთასა და გელათის მხრიდან მოუვლიდა და ხეობაში მყოფთ კლდეკარიდან ასასვლელსაც დაუხშობდა.

ბერი ლორთქიფანიძემ და მისმა ქვეშევრდომმა ათასისა და ასისთავებმა ეს შესაძლებლობა წინასწარ განჭვრიტეს და საქარა-ღვანკითის ბრძოლაში საგრძნობლად შეთხელებული ჯარი შეუჩერებლივ ოკრიბისაკენ წაიყვანეს. ყიამეთ ღამეში ყველაზე რთული და საშიში გზის გავლას თითქმის ორჯერ და სამჯერ მეტი დრო მოუნდა, ვიდრე დღისით დასჭირდებოდა, მაგრამ შიშს დიდი თვალები ჰქონდა და მოლაშქრეები თავს აღარ იზოგავდნენ, ოღონდ გათენებამდე კათალიკოსის ადგილსამყოფელ გელათის მონასტრამდე აეღწიათ.

მოხდა ის, რასაც მოელოდნენ: გოლა-ფაშამ ჯარი მართლაც ორ უთანაბრო ნაწილად გაჰყო, უფრო დიდ ნაწილს, თითქმის თორმეტი ათას კაცს, რომელიც მტრის დასადევნებლად იყო განკუთვნილი, თვით უწინამძღვრა და რიონისპირა ტაფობში გაშენებული სატახტო ქალაქის აღმოსავლეთ გარეუბანს, საფიჩხიას, მიმართა, სიიდანაც მოწამეთას სამეფო საკირეებსა და ქვის სამტეხლოებს გზა ქალაქის მხრიდან უვლიდა და შემდეგ ტყე-ტყე ოკრიბაში ეშვებოდა. გოლა-ფაშა დარწმუნებული იყო, სკანდის ციხიდან ლტოლვილი მეფე სოლომონი თავს უთუოდ ოკრიბაში აფარებსო და არ უნდოდა, მისი ცოცხლად შეპყრობის სიამოვნება ვინმე სხვისთვის დაეთმო.

ქალაქისაკენ წინსვლა დაუბრკოლებლივ მოხერხდა. გოლა-ფაშამ სამეფო საკირეებსაც მშვიდობიანად მიაღწია და თუმცა ახლა ამის არავითარი საჭიროება არ იყო და დროც აღარ ითმენდა, ამფეთქებლები გამოჰყო და კარგა ხნის ჩამქრალი საკირეების მოწასთან გასწორება დაავალა. აფეთქების ხმამ შესძრა მიდამო. შემდეგ კიდევ კარგა ხანს ისმოდა წვრილ-წვრილი აფეთქებები და [illegible]ზარებდა. გოლა-ფაშამ გზად წმიდა მოწამეთა, დავით და კონსტანტინეს, სახელობაზე უხსოვარ დროს აგებულ მამათა მონასტერსაც გაუარა და გალავნის ჩაგმანულ კარიბჭეს თოფ-ზამბულაკების სროლა აუტეხა.

ამ დროს აუწყეს სწორედ სერასკირის ვარციხიდან აყრა და არტილერიითა და ალალითურთ ყვირილას მარჯვენა ნაპირზე გადმოსვლა.

გოლა-ფაშა მედიდურად თავაწეული უსმენდა მალემსრბოლს, რომელიც უმაღლესი სარდლობის ჩანაფიქრის შესატყობინებლად ბაშალას გამოეგზავნა და როდესაც მან სერასკირის დანაბარების გადმოცემა დაამთავრა და უკუდგა, პასუხიც კი არ გაუცია, ცხენი გააბრუნა და მონასტერს უსიტყვოდ გაშორდა.

მტერთან პირველი შეხვედრა და შეტაკება ნაშუადღევს, წყალწითელაზე გადებულ ქვის ხიდთან მოხდა. ხიდს გადაღმა რაჭა-იმერეთის საქარავნო გზა იდო, რომელიც საწირის გორაკებამდე წყლისპირს მისდევდა, მეორე, ვენახებით დაფარულ ფერდობზე ამავალი გზა კი საქარავნო გზას აქვე ეყოფოდა და აქა-იქ სიყვითლეშეპარული მწვანე მთის თხემზე გადმომდგარ, ქვითკირის მაღალი გალავნით შემოვლებულ გელათის მონასტრისაკენ მიდიოდა.

ქვემომხრის სადროშოს მეთოფეები სწორედ ამ ფერდობზე ჩასაფრებულიყვნენ. დანდობილად მომავალი აგარიანი ცხენოსნები, რომელთაც შიში არაფრისა ჰქონდათ, რადგან მტერი კლდეკარებში ეგულებოდათ, მათ სულ ახლო მანძილზე მოუშვეს და ცხელი ტყვია მიბრჯნით დააყარეს.

ეს ამბავი ისე ანაზდეულად მოხდა და თანაც ჩასაფრებულნი ისე სწრაფად და შეუცდომლად ისროდნენ მიზანში, ოსმალები შედრკნენ და ვისაც ტყვია ჯერ არ მოსწეოდა, უაზრო სიკვდილს სამარცხვინო გაქცევას არჩევდა, ამის სულ მცირეოდენი საშუალება რომ ყოფილიყო. ციცაბო

თავდაღმართზე, წყლისპირა ფლატესთან, რომელიც ცხენისა და მხედრის სიმძიმეს ვერ უძლებდა და ქვიშის ხუხულასავით იშლებოდა, წინანი უკანებს აწვებოდნენ, უკანანი კიდევ უფრო უკანებს და წუთის წინ რკინის კოჰორტებად მომავალი ლაშქარი არაადამიანური შიშით გულგახეთქილ ბრბოდ გადაიქცა.

— რა ამბავია, რა ხდება აქ? — იკითხა ამრეზილმა გოლა-ფაშამ, როდესაც წყლისპირს გადაადგა და თვალი ჰკიდა, რაც წყალწითელაზე გადებულ ქვის ხიდთან ხდებოდა.

ეს კითხვა პასუხს არ საჭიროებდა. გოლა-ფაშამ ყვრიმალებზე ორივე ხელი იტაცა და მერე სასწრაფოდ ჩამოქვეითდა, სადავე ჩოკადარს შეატოვა, მტრის საფარზე უეცარი წაწყდომით დაბნეული მინბაშები იხმო.

ცოტა დრო როდი მოანდომეს ჯარში სიმშვიდისა და წესიერების აღდგენას.

გოლა-ფაშა ბრდღვინავდა, თვალებიდან ცეცხლს ჰყრიდა და ვაი იმ უბედურის ბრალი, ვინც ცხელ გულზე ხელში ჩაუვარდებოდა.

არანაკლებ ბრაზსა და ბოღმას შეეპყრო მტრის ურდოს მიკედლებული ლევან აბაშიძეც, რომელიც ოსმალო სარდალს გვერდიდან არ შორდებოდა, მაგრამ, მისდა გულგასახეთქად, თან ერთი მარგველი მეთოფეც არა ჰყავდა და თანამდგომს ვერაფრით ეხმარებოდა. გოლა-ფაშამ ორჯერ თუ სამჯერ მწარედ გადმოჰკრა. ისე ჰგავდა, ბევრ რამეში სწორედ მას ადანაშაულებდა, ეს იმ დროს, როდესაც წარუმატებლობის სათავე ოსმალთა ჯარების შეუთანხმებელ მოქმედებასა და თვით გოლა-ფაშას პატივმოყვარულ გამოხდომებში იმალებოდა. ლევანს პასუხი არ გაუცია. „საველე სასამართლოს ვერ ასცდება, — ფიქრობდა გულში. — ამოდენა ჯარის ტყუილუბრალოდ დაღუპვას მაგას არავინ აპატიებს. შეიძლება, ღალატიც შესწამონ. თავს გააგდებინებენ და ახიც იქნება!“

ცხენოსანი ჯარის იერიშით, თანაც ქვემოდან ზემოთ. საფარში საიმედოდ ჩამჯდარ აჩიკ-ბაშ მეთოფეებს ვერაფერს დააკლებდი, ამიტომაც თოფის გასროლის მანძილზე უკანდახეულ ლაშქარს ჩამოქვეითება და იერიშის ქვეითად მიტანა ებრძანა. იანიჩართა ხუთი ასეულისაგან შემდგარი მოიერიშე რაზმი სროლითა და ყიჟინით წყალწითელას გაღმა ნაპირზე გადავიდა და თოფმოღერებული სირბილით ფერდობს აუყვა. საფარიდან, საიდანაც დღისით აჩიკ-ბაშები მიზანში ისროდნენ და ყოველი გასროლით სიკვდილს თესავდნენ, ახლა, საღამოს ბინდბუნდში, ჩამიჩუმი აღარ ისმოდა. მოიერიშენი ერთი ღამის განმავლობაში გამართულ სიმაგრეს დაეუფლნენ და, მათდა გასაოცრად, იქ ერთი აჩიკ-ბაში მეთოფეც ვეღარ იპოვნეს. სად გაქრნენ? როდის და რომელი მიმართულებით დაიხიეს?

— ასე როგორ უნდა გამაცუროს და მასხარად ამიგდოს? — ბრდღვინავდა გოლა-ფაშა და მოუხელთებელი მტრის გამოდევნების ახალ გეგმას სახავდა. — მაჰმადის წვერს ვფიცავ, ვერსად დამემალება. ამ ხელებით მოვახრჩობ!

ადგილმდებარეობის დასაზვერად გაგზავნილი ცხენოსანი იანიჩრები დილაადრიან მობრუნდნენ და სარდალს ერთობ ბუნდოვანი ცნობები მოუტანეს. ხეობის მომდევნო სოფლის, ყურსების, მისადგომთან წყლის დასალევად შეჩერებული მზვერავები კიდევ ერთ საფარს წასწყდომოდნენ და, ბრძანების თანახმად, მაშინვე უბრძოლველად უკან დაეხიათ.

ვინ იდგა იქ? დიდი თუ მცირე ჯარი?

იანიჩრებს ცა ფიცით მიწაზე ჩამოჰქონდათ, წყალგაღმა, ტყის ჩამოყოლებაზე, სამი რუსული ზარბაზანი დავინახეთ და სასწრაფოდ უკან გამობრუნებაც ამან გვაფიქრებინაო.

გოლა-ფაშა გულხელდაჭდობილი უსმენდა, დროდადრო ლევან აბაში-

ძეს გადახედავდა და ყოველ სიტყვას გონების სასწორზე სწონიდა.

— აკი სოლომონს ზარბაზნები არა აქვსო? — მიმართა მან ლევანს და თვალებში აუწერელი ზიზღი და მძულვარება ჩაუდგა. — საიდან გაჩნდა აქ რუსული ზარბაზნები?

ლევან აბაშიძემ მხოლოდ მხრები აიჩეჩა, რადგან სათქმელი არაფერი ჰქონდა, გულში კი ფიქრობდა, რომ ეს ზარბაზნები მხდალი იანიჩრების ავადმყოფური გამონაგონი იყო: მათ წყალგაღმა სულ სხვა რაიმე დაინახეს და ის სხვა ზარბაზნებად მიიღეს!

გოლა-ფაშა უნაგირზე გასწორდა და ჯარს მიმართა:

— მართლმორწმუნე მუსულმანებო! ასკერებო და იანიჩრებო! თქვენი უძლეველი მახვილით უკუქცეული, სისხლისაგან დაცლილი აჩიკ-ბაშები, ვინც კი ცოცხალი გადაგირჩათ და სულს ღაფავს, უწესრიგოდ დაიფანტნენ ოკრიბის სოფლებში და თავიანთი დედაკაცების კალთის ქვეშ იმალებიან. სანამ სერასკირი მოგვეწეოდეს და გამარჯვებაში წილს დაიდებდეს, მომიცია თქვენთვის სარბევად ამ ნაყოფიერი ხეობის ყველა სოფელი, ყველა სახლი და სასახლე, ეკლესია და მონასტერი.

— ვაშაა!.. — იღრიალა ჯარმა. გოლა-ფაშას გარს შემოეხვივნენ და კინაღამ ცხენიანა ჰაერში აიტაცეს. სარდალმა ყური არ ათხოვა მათ და განაგრძო:

— ურჯულო აჩიკ-ბაში თქვენი მონაა და მისი დედა, ცოლი ან ასული — თქვენი ხარჭა. ნადავლში არავინ შეგეცილებათ. ბევრია ცხენი და საზიდარი, აქაც ცოტას როდი იშოვნით, რომლებიც თქვენ შეგიძლიათ ომში პატიოსნად ნაშოვნი ქონებით დატვირთოთ და შინ გამდიდრებული დაბრუნდეთ. ვფიცავ ალაჰს, ყოველთვის არ მოგეცემათ ასეთი ბედნიერი შემთხვევა. აი, — გოლა-ფაშამ მათრახიანი ხელი აზწია და იმ ადგილისაკენ გაიშვირა, სადაც რიყის მეორე მხარეზე გადავარდნილ პატარა წყალწითელას ძველი კალაპოტი დაეგდო და სარკესავით მოსწორებული ქვიშიანი ჭალა დაეტოვებინა. — იქ დადგეს ყველა მამაცი, ვისაც გული ერჩის, მტრის სოფლებს პირველი ეკვეთება და პირველი ნადავლის აღების უფლებასაც ის მოიპოვებს!

ჯარი არ შეყოყმანებულა, გოლა-ფაშას უკანასკნელი სიტყვა მოთავებულიც არ ჰქონდა, რომ გახარებულმა იხუვლა და ჭალისაკენ დაიძრა, სარდალი იდგა, დარახტულ საომარ ცხენს, ლაგამს რომ ღეჭდა და ფეხებს მოუსვენრად ინაცვლებდა, თავს ძლივს უკავებდა და ლაშქრის გადაადგილებას მოთმინებით თვალს ადევნებდა. გარდა დაჭრილ-დაკოდილებისა, ძველ ადგილებზე აღარავინ დარჩენილა. სოფლების მოსარბევად დარაზმულ მოლაშქრეთ ბოლოს ისინიც შეუერთდნენ, ვინც სხვადასხვა მიზეზის გამო ფეხს ითრევდა და ახლა გზის განგრძობას ხელს უკვე აღარაფერი უშლიდა.

გოლა-ფაშა სულ ბოლო რაზმს გაჰყვა და ყურსებში უკანასკნელი შევიდა. გზად სერასკირის მზირები დაეწივნენ, ჰვით ფაშას ვერ შეჰბედეს და მხლებლებს დაუწყეს გამოკითხვა, თუ აქ რა ვითარება სუფევდა, დანამდვილებით იცოდნენ თუ არა, სად იდგა მტერი, რა ძალას ფლობდა და სად აჯობებდა მასთან პირისპირ შეხვედრა. ჩვენც აგერა ვართ და თქვენც, აბა რა ვიცითო, განზრახ ხმამაღლა მიუგეს გოლა-ფაშას თანაშემწეებმა, რათა სარდალს გაეგონა და სიამოვნებოდა, მისი კაცები სერასკირ ბაშალას კაცებს ასე აგდებულად რომ ეკიდებოდნენ და წესიერი პასუხის გაცემის ღირსადაც არ თვლიდნენ. გაწბილებულმა მზირებმა წინ წასვლა დააპირეს. ამის ნება გოლა-ფაშამ არ დართო. როგორც ხედავთ, წინ ჩვენ მივდივართ და დაკისრებულ საქმეს როგორმე სხვათა დაუხმარებლად მოვუვლით, თქვენ, თუ გნებავთ, უკან მოგვდიეთ და რის

შეტყობინებასაც საჭიროდ დავინახავთ, თვად შეგატყობინებთ.

მოსახვევში, სოფლის წყაროსთან, ოსმალო ჯარისკაცები ირეოდნენ. ბევრი ცხენდაცხენ მიიწევდა წინ და შეჯგუფებული ბრბოს შუაგულში რაღაცის დანახვას ლამობდა, ბევრი კი ჩამოქვეითებულიყო, ცხენისათვის აღვირში ხელი ჩაევლო და წინ ექაჩებოდა.

— გაიგეთ, რა მოხდა, ახლა აქ გაჩერების დროა? — ბეჭებში ღრმად ჩარგული სქელი კისერი ძლივს მოაბრუნა და პირველსავე მხლებელს მიმართა გოლა-ფაშამ.

— სოლომონის მსტოვარია, თქვენო აღმატებულებავ, — მოახსენეს რამდენიმე წუთის შემდეგ. — ბიჭებს დაუჭერიათ და აკუწვას უპირებენ!.

— ეგ არავინ გაბედოს. როგორ თუ აკუწვას!.. ახლავე აქ მომგვარეთ! ვინ არის, სადაურია?

— მართლმორწმუნე გახლავს, თქვენო აღმატებულებავ, ხიზაბავრელი თიმარი, — განაგრძო იმავე იანიჩარმა, რომელმაც ამბავი მოუტანა, დანარჩენები კი სარდლის განკარგულების აღსასრულებლად გაიქცნენ. — დაუქინია, ჩემი ნამდვილი სახელი გიორგია, გვარად ოსმან-ოღლი კი არა, ბალიაშვილი ვარო. ჩვენ ყველას ქართული სისხლი გვიდგას ძარღვებში, რა ვუყოთ თუ ძალით გაგვათათრეს, ჩვენი ძველები ხომ პირჯვარს იწერდნენ და გურჯებივით და აჩიკ-ბაშებივით ქრისტიანები იყვნენო.

ამასობაში ოცი-ოცდაორი წლის, თმა-წვერმოშვებული, ცემისაგან არაქათგამოცლილი ახალგაზრდა კაცი მოიყვანეს და, როგორც უსულო რამ საგანი, გოლა-ფაშას წინ ქვის გროვაზე დააგდეს. მოკლე შავი ჩოხა კაცს ორ ადგილზე გახეოდა და იღლიის ქვეშ თეთრი პერანგი მოუჩანდა. ფეხთ კოხტად ამოწკეპილი ქალამნები ეცვა, პაჭიჭებში წითელი შარვლის ტოტები ჩაეტანებინა. მხრები გაკრული ჰქონდა ბაწრით. წელზე სატევრის უბრალო ქარქაშიღა ეკიდა, როგორსაც მხოლოდ ხელმოკლე მხედრები ატარებენ, თვით სატევარი და თოფდამბაჩა უკვე აერთმიათ.

— ააყენეთ! — ბრძანა სიბრაზისაგან მთლად გონებაარეულმა გოლა-ფაშამ.

ორი იანიჩარი მყის მივარდა, ჩოხიანს მხრებში შეუდგა და თუმცა უბედური ჯერ ისევ გონზე არ იყო და თავს ვერ იმაგრებდა, ზეზე წამოაყენა.

— წყალი მოიტანეთ, სახეში შეასხით!

სახეში შეშხეფებულმა წყაროს ცივმა წყალმა ბალიაშვილი მსწრაფლ მოასულიერა. ლოდივით დამძიმებული თავი ძლივსძლივობით ასწია.

— ხალხს აგულიანებდა, თქვენო აღმატებულებავ, — მოახსენა ფაშას ახმახმა იანიჩარმა, რომელიც შეპყრობილის ზურგსუკან იდგა. — იარაღი დაჰყარეთ და ჩვენს ძმებს, აჩიკ-ბაშებს, შეუერთდეთო. რა გვაქვს იმათთან გასაყოფი და სამარი, ერთ ბედში ვყრივართო.

— მერე თქვენ რა ჰქენით? — შეუღრინა იანიჩარს გოლა-ფაშამ, რადგან არ მოეწონა, ეს ბრიყვი რომ მსტოვრის ნათქვამს იმეორებდა და იმათაც აგებინებდა, ვისაც თავისი ყურით ვერ გაეგონა.

— ხელი ვტაცეთ და პირში ენა ჩავაგდებინეთ, სხვა რა გვექნა!

— შენ, ეი, — დაუყვირა ქრისტიანი მეფის მსტოვრად მიჩნეულ ბალიაშვილს გოლა-ფაშამ, ცხენიდან გადმოიხარა და მხარზე მათრახის ტარი უბიძგა. — მართალია, რასაც შენზე ამბობენ?

ბალიაშვილმა ცრემლჩამდგარი თვალები ასწია, ფაშას გაუსწორა და უსიტყვოდ თავი დაუქნია. მგონი ისევ გონებას ჰკარგავდა.

— გიაურ სოლომონის მსტოვარი ხარ მართლა?

ეჭვმიტანილმა თავი ახლა უარის ნიშნად გადააქნია.

— იმდენს გირტყამ, ნახევარი ვერ დათვალო, მერე წიწილასავით თავს წაგაცლი. გირჩევნია, შენით გამოტყდე. აჩიკ-ბაშების მსტოვარი ხარ? მსტოვარი ხარ თუ არა, მე შენ გეკითხები!

— არა ვარ, არა!.. — გაისმა ნაგვემი კაცის პასუხი.

— გგონია, აგრე ადვილად დაგიჯერებს ვინმე? აბა, ერთი კიდევ უცხუნეთ მათრახები! მე ძალიან მძიმე ხელი მაქვს და ეგ ღორიშვილი ვაითუ ფეხზე ვეღარ წამოდგეს!..

ცხენებიდან ჩამოქვეითებული იანჩიჩრები, რომლებიც ამ ბრძანებას კარგა ხანია მოელოდნენ, ბალიაშვილს მშიერი მგლებივით მისცვივდნენ, აქეთ-იქით ამოუდგნენ, ჩოხა-ახალუხი ტანზე შემოახიეს, პერანგისამარა დასტოვეს და მათრახები დაატრიალეს. სხვებზე მეტად ახმახი იანიჩარი ცდილობდა. ბალიაშვილი დაიმანჭა, დაიგრიხა, სახეზე საშინელი ტანჯვა გამოეხატა და ქვის გროვაზე ჩვარივით მიგდებულმა ისევ გრძნობა დაჰკარგა. მაინც სცემდნენ. ზურგი გადაუტყავდა. თეთრი პერანგი სისხლით ილებებოდა. სისხლი გახეთქილი წარბიდანაც წამოუვიდა და ქვებზე მბზინვარე ლაქად დაიღვარა. გოლა-ფაშამ მათრახი ასწია. ხელახლა მოიტანეს წყაროს წყალი, გონწასულს სახეზე მიასხეს. საბრალო მთლად გაილუმპა. ქვების გროვას სისხლშერეულ ნაკადული გასდიოდა.

— ახლა რაღას იტყვი? — დამცინავად ჰკითხა გოლა-ფაშამ, როდესაც ყველასდა გასაკვირლად ბალიაშვილმა თვალი გაახილა და იანიჩრები დარწმუნდნენ, რომ ის ისევ ცოცხალი იყო. — თუ ცოტა კიდევ დაგიმატოთ?

— ურჯულოებო!.. —მხოლოდ სულ ახლო მდგომთა გასაგონად გამოსცრა გლეხმა. — ალაჰი მოგიზღავთ... სამაგიეროს... არ შეგრჩებათ!..

გოლა-ფაშა მთლად გაცოფდა. უბრალო თიმარის სიამაყე და შეუპოვრობა ყველა წრეს გადადიოდა

— რაღას მიყურებთ, თუ არ უნდა, გატყდეს, ვინ მოისყიდა და აქ ვისი დავალებით მოქმედებდა, გააყრევინეთ ფეხები ბაწარში და ხეზე დაჰკიდეთ. დაე, ყველამ უყუროს! მანამ არ ჩამოხსნათ, სანამ ყვავ-ყორანი არ დაძიძგნის და ძვლები თავისით არ ჩამოცვივა. დამიხედეთ, გიორგი რქმევია, გვარად ბალიაშვილი ყოფილა! ათისთავი ვინ არის ამისი?

— მე გახლავარ, თქვენო აღმატებულებავ! — ახმახი იანიჩარი, დარწმუნებული, რომ სულთნის ერთგული სამსახურისათვის ფაშა მადლობას უცხადებდა, წინ წამოდგა და სარდალს მხედრული წესისამებრ გამოეჭიმა.

— თვალები სადა გაქვს, თხის თავო, — მადლობის თქმის ნაცვლად სარდალმა მრისხანედ შემოუტია. — ათ კაცში ერთი მსტოვარი გყოლია და ახლა შეიტყვე? აქამდე სად იყავი, გეძინა, შე... — ფაშამ მათრახი აღმართა, კბილებდაკრეჭილმა დაიქნია და მთელი ძალით ახმახს ბეჭებზე გადააწნა. — ვინ იცის, იქნებ ათივე მსტოვარია! ჰა? იქნებ შენც მსტოვარი ხარ, იქნებ.. .ხელ-ფეხი გაუკარით და ესეც ხეზე დაჰკიდეთ, ერთად დაჰკიდეთ ორივე, ყველა გამვლელმა და გამომვლელმა უნდა უყუროს!...

სიბრაზისაგან ცეცხლმოკიდებულ ფაშას ბრძანების განმეორება აღარ დასჭირვებია. იანიჩრები ახლა თავიანთ ამხანაგს მისცვივდნენ, სანამ მოისაზრებდა თუ რა ხდებოდა, თოფი წაართვეს, ერთი შემოკვრით დაარეტიანეს, ხელები ზურგსუკან გადაუგრიხეს, ბაწრით გაუკრეს და კონდახების ცემით წინ წაიგდეს. ახმახი იანიჩარი გადაირია, ეს რა უპატიური რამ მაკადრესო, აქეთ-იქით აწყდებოდა, უნდოდა როგორმე ფაშასაკენ მობრუნებულიყო, რაღაც სათქმელი ჰქონდა, მაგრამ ისე ჰყავდათ გაძაგრული, განძრევის საშუალებას აღარავინ აძლევდა, ბოლოს კეფაში ყრუ დარტყმა იგრძნო, თვალებმა ნაპერწკლები გაჰყარეს და იმავე წამს გონებაც წაერთვა.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იონა ვაკელი

## ჩემი ქუთაისი

ო, რა დიდი ქმნილებაა სიყვარულის ღირსი,
შეფენილი მთაგორაკზე ჩემი ქუთაისი...
დიდი ტაძრის ნანგრევები, არქიელის გორა,
აი ახლაც ძველმა ფიქრმა თვალწინ გაიქროლა...
აქ რიონი თეთრ კალაპოტს მძაფრ ტალღებით ლოკავს,
ლამაზმანებს თითქოს მზად აქვთ საკოცნელად ლოყა,
ყველაფერი ქართულია, მშობლიური ეშხიც,
ღმერთმა თვითონ დაგვასახლა თავის სამოთხეში!

ო, რა წმინდა განცდებია, რა გრძნობები დიდი,
ახლაც მაღლით გადმოჰყურებს რიონს თეთრი ხიდი...
წიგნის ჩანთით ზამთრის სუსხში მასზე მეც მივლია,
სკოლის შემდეგ დაქანცული ვბრუნდებოდი გვიან —
და პატარა, მცირე ქოხში გრძნობით ანთებული,
იმედით და პოეზიით კვლავ ცოცხლობდა გული!

და აქ იშვა ჩემი სუნთქვა, მძაფრი როგორც ქარი,
უმაღლესი შემართება, შთაგონების ქნარი,
ჩემი რწმენა, ჩემი ენა და მართალი გული,
სულის ძალაც სხვაზე მეტად აქ გვაქვს შენახული...
ყველაფერი ქართულია, სიყვარულის ეშხიც,
თვითონ ღმერთმა დაგვასახლა თავის სამოთხეში!

## საწუხარი

ეძებ იმედს დიდ საუკუნეში,
ეძებ და მაინც სევდით ივსები...
ო, რა ცოტაა სულის ნუგეში
და რა ბევრია ობელისკები!

აგერ, საფლავზე ხე იფოთლება,
უკვე გაშლილა ობლად ყვავილიც...
და აქვე ახლოს გესმის გოდება:
დედის მოთქმა და მამის ბღავილი.

იგი გულს გიკლავს და გტანჯავს მნახველს,
მაინც საწუხარს არ ემონები
და უსაშველოდ მოწოლილ ნაღველს —
ებრძვი სულით და ებრძვი გონებით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოდი, ჩემო მშვენიერო

მოდი, ჩემო მშვენიერო,
აქ ვარ შენი შევარდენი...
თავი მივდოთ შენს კალთაზე
და დავატკბოთ თვალნი ჩვენი.
ახლაც ხშირად მაგონდები,
თუმცა დრომ კი გაიარა,
აღარ მიდის, აღარ ქრება,
არც ცრემლი და არც იარა...
იცი როგორ ძნელი არის,
ეს უძილო თეთრი ღამე,

არ მშორდება მწუხარების
თვალზე ცრემლი მოკამკამე...
მაგონდება ის დრო ტკბილი,
როცა ვქროდით მინდვრად ორი,
უკან პეპლებს რომ დავდევდით
და ვიჭერდით როგორც ქორი,
ვიჭერდით და კვლავ ვუშვებდით
თავისუფლად ბუჩქებს შორის....
ახლა მხოლოდ ეს ღა დაგვრჩა —
ფიქრი ტკბილად მოსაგონი!

## თანამედროვე

წინ, გაბედულად, დრო არის მკაცრი,
არ უნდა იყო კაცი მედროვე,
უნდა იბრძოდე, თუ ხარ ვაჟკაცი
და შენს უფლებას ბრძოლაში ჰპოებ!

დაძლიე ვნება თუ გქონდა ოდეს,
ყოველ დღეს რამე შემატე ცოტა..
იყო ქვეყნად და არ არსებობდე,
ეს არის კაცის პირველი ცოდვა.

ჩვენამდე იყო აშენებული
იყალთო — ჩვენი გონების თვალი,
ბევრჯერ ვყოფილვართ მტრისგან ვნებული,
მიწას რომ ვხნავდით, წელს გვერტყა
ხმალი...

მაგრამ დღეს ჩვენი ხელით ავაგეთ —
სასახლეები ცათაბჯენილი,
დიდი ხრამები ვაქციეთ ვაკეთ
და დღეს იქ ლაღად ღელავს ჯეჯილი!

და მიდის ასე წუთისოფელი,
ვარდით არ არის გზა მოფენილი,
თუ შრომობ — დიდად ხარ ბედნიერი
და თუ არ შრომობ — ხარ მოწყენილი.

წინ, გაბედულად, დრო არის მკაცრი,
არ უნდა იყო კაცი მედროვე,
უნდა იბრძოდე თუ ხარ ვაჟკაცი
და შენს უფლებას ბრძოლაში ჰპოებ!

## დროთა ღაღადი

ფეხქვეშ იწოდა მიწა ქართული,
წყდებოდა ყველგან სევდით სიმები,
ციურ სამოსში გამოკვართულნი,
მაინც გალობდნენ სერაფიმები.
თითქოს ქარიშხლის დაქროდა რაში,
სად იყო მოცლა ან იდილია,
და ამ დიდებულ საერთო ხმაში —
ქუხდა აკაკი, ქუხდა ილია!

რუსთველიც თავის აწმყოს ტიროდა,
ასე ტიროდა ალიგიერიც,
უცხო, შორეულ სანაპიროდან
ისმოდა ყველგან ხმები ძლიერი...
გაყინულიყო ცხოვრების გზაზე,
ცისა და მიწის დასალიერი,
ბურუსით მოცულ ამ ქვეყანაზე,
კაცი არ ჩანდა სვებედნიერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გული აგრე შეწუხებული,
უიმედობის სევდამ დანისლა,
იბრძოდა სული ამბოხებული,
იყო ტრიალი ბასრი ხმალისა,
გარემოც წუხდა ბედის მგმობელი,
სიცოცხლე ყველას მიაჩნდა რისხვად...
ბევრი დაემხო დასამხობელი,
არ იცნო ხალხმა პატივის ღირსად!

და რომ შეიცნო საფრთხე დიდია —
ფაუსტმა იხმო მეფისტოფელი,
გველისმჭამელიც გახდა მინდია,
რომ უკეთ ეცნო წუთისოფელი...
კაენის ცოდვა ისევ ტრიალებს,
რად აანთოო აბელმა ცეცხლი,
იუდა ისევ თვალს აბრიალებს
ღალატისთვის რომ მიიღოს ვერცხლი.

და მაინც ცოცხლობს დღეს ერთგულება,
ბრძოლებში სისხლი მოდის ჩქერებად,
დიდი საქმისთვის განწირულებმა,
მაინც იპოვნეს ბედნიერება.
მათი სახელი სახალხო გახდა,
ნუგეშით, ზრუნვით თავზე ვევლებით...
გეთსიმანიის უბედურ ბაღთან —
ხან ზეიმი და ხან ცრემლები!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მურმან ჯგუბურია

## მეგობარ პოეტს

მე მაგონდება ძველისძველი ერთი სურათი:
ჯუმში, ბალახში, ჩვენ ვიჯექით და ვუყურებდით, —
ეკრანზე — ომში მიდიოდა სოფლის მახარე,
ჰქუხდა ორკესტრი, და ყმაწვილი იყო მაღალი,
ის მიდიოდა, აცილებდა ჭაბუკს სოფელი,
ტიროდა მისი ახლობელი და მეზობელი.
„დარდს ნუ ახარებთ! მალე ჰიტლერს ვუტირებთ ყოფას!“
ჭაბუკი იგი ვერ დაბრუნდა ომიდან სოფლად!
რა ჩემი ბრალი არის თითქო, მე აღარ ვიცი,
მაგრამ სინდისზე მაწევს დღემდე სიკვდილი მისი,
ვინც მიდიოდა რიხიანი შუბლით ჯგლეთაში, —
დაბადებულიც არ ვიყავით ოდეს მე და შენ!

* * *

ის ჟამი, როცა ჩქაფუნა ჯუმში
გვედგა პაწია ნავი,
წავიდა, მაგრამ, მდინარე დარჩა,
მხოლოდ მცირე აქვს განი;
და აღარც ნავი არა ჩანს არსად,
ხოლო წითელი მზე კი
ამოდის ისევ, როგორც იმხანად
ჯუმის მახლობელ ფერდით.
წავიდა სვიმო-ბაბუაც; მალე
ალბათ ბებიაც წავა;
უცვლელი რჩება ეს ჯუმის წყალი
და ონარიის კავა.

მაინც ყველაზე გასაკვირია
და სასაცილოც ის, რომ
სოფლად ჩასული გახა ქირიამ
ვერა და ვეღარ მიცნო!
არა და, მხარზე შესკუპებული
ვუტარებივარ წლობით,
გვიან კი, ჯუმში ერთად მოვვისვამს
მცირე ნავისთვის ხოფი!
სად მიდის ხსოვნა, რამ დაავიწყა
პერიკაცს ჩემი თავი, —
ის ჟამი, როცა ჩქაფუნა ჯუმში
გვედგა პაწია ნავი!

## დგას სოფელში ძველი ოდა

მე ამ სახლში დავიბადე,
მე ამ სახლში ლექსს ვწერ ახლა;
მე ვწერ, როგორ გავიზარდე,
რანაირი დარდი მახლდა!

რატომ ცხვება ობლის კვერი
გვიან, თუმცა კარგად ცხვება;
დავამარცხე როგორ მტერი
და ვიგემე გამარჯვება!

სულ ეს არის, რაც აქამდე
თავს გადამხდა, და ვწერ მოკლედ:
მე ამ სახლში დავიბადე,
და ამ სახლში უნდა მოვკვდე!

## წვიმაში ვიგონებ აბაშას

რამე ხომ აღარ უჭირს აბაშას,
მე ვფიქრობ ჩემთვის და წვიმების ისმის ჩხრიალი;
წვიმს საუკუნეს, აწვიმს ყანებს, სახლებს, გარაჟებს,
მობუზულია ადამიანი!

იქნება დარი, გოლუაფირო, ნუ გეშინია,
მზე დაუღლელი ცაზე გამოვა;
მთელი კვირაა, რაც ეშმაკებს ცაში ლხინი აქვთ,
მაგრამ შეხედე, რა საღამოა!

რა სინათლეა პონტოს მხარეს! დარი იქნება,
წაიკარწახებს გლეხკაცი მკლავებს;
ნუმც, მახარია, ნურაფერი ნუ გეფიქრება,
საკვირველია ნაავდრალზე მშობელი მხარე!

## ქვიშხეთში

### I

მე ვხედავ ბავშვებს: აშენებენ ისინი სახლებს,
ერთი მათგანი მეთაურობს და ხელში სახრე
უჭირავს მყიფე, — აბა, ჩქარა! — იძახის იგი,
და მიდი-მოდის მშენებელთა რიგი და რიგი.
მათ დასვრილი აქვთ შარვლები და თეთრი წინდები,
და მოქარგული წინსაფრებით დააქვთ მიწები,
დააქვთ აგურის ნატეხები, ქვიშა და ხვიჭი,
გულმოდგინეობს უჩვეულოდ მალხაზი ბიჭი,
მას ციცქნა გოგო ეხმარება, როგორც ჰგონია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არნახული სუფევს ახლა აქ ჰარმონია.
ვიღაცას ხერხი უკავია ვითომ ნამდვილი,
ვიღაცას კიდევ, აღარ არის თუმცა ადვილი, —
თითქოს საკარეს ჭრის ჩუქურთმას — არის გართული,
და იაკობის უნაზესი ისმის ქართული.
ხოლო ერთ ცირას — სხვაზე დიდს და სხვაზე ფიქრიანს
ატატებული ჰყავს დაია, როგორც ტიციანს —
აქვს როსმე თავის ხელობაში გამოსახული
და ემატება ქვიშას—ქვიშა, აგურს—აგური.
იზრდება სახლის კედლები და ჩნდება სარკმელი,
ვიწრო, მაღალი და ახალი მზის მისარქმელი,
სახლი იყოფა ოთახებად, კარი იჭრება,
მაგრამ უეცრად გამაკვირვეს გოგო-ბიჭებმა,
როცა დარეკეს სასადილოს მჭეხარე ზარი,
ყველამ ერთბაშად მიატოვა ქამჩა და ბარი,
ფეხიც კი წაჰკრეს აშენებულს თავისი შრომით,
მოშალეს სახლი, დაარღვიეს და როგორც ომით
დანგრეულ უბანს დაემგვანა ნაღვაწი მათი,
და გავიგონე მე უეცრად „თუ, ჩემი ხათრი
გაქვს, ეს სარკმელი არ მოშალო, დატოვე ასე,“ —
მაგრამ რაკიღა არ იცოდა არავინ ფასი
სამზეო სარკმლის—და დასძინა მალხაზმა ბიჭმა:
„ახალს აგიგებ და უკეთესს“, ატირდა ციცა,
და მსხვილი ცრემლი აუყვავდა პაწია ლაწვზე;
დარეკეს ზარი, — მშენებლობა დამთავრდა ასე!

II

და ეკერება დედის კალთას პატარა ბექა:
მზე ჩაიწურა და სანახებს ბინდ-ბუნდი ფეთქავს,
მჩატე ნისლებით იბურება გორაკი მცირე,
და ეძახიან დედა-ჩიტნი ბუდეში შვილებს,
და უყვებიან ზღაპრებს, სადაც ასული დილეგს
არის ჩასმული, და ჭაბუკი ქოხში შობილი,—
მიდის საომრად, გამოიხსნას რათა დობილი!
ნაცარქექია ბერტყავს ტომრებს, ტყუილი სცვივა,
ხოლო ბაყბაყდევს შია ძლიერ და თავი სტკივა,
წიქარა ველად გაიტაცებს მხსნელს და მეგობარს,—
„ეყოფა ღონე მას მამიკო!“ — „ალბათ, ეყოფა!“ —
იძინებს ბექა კმაყოფილი და დიდი მთვარე
თვალს არ აშორებს საქართველოს უმთავრეს კარებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

თავს იტკიებდა ხოლმე ბაბუ და ფხალის ფოთლებს
რომ წაიკრავდა, დაღვრემილი გასცქერდა სოფელს.

და როგორც ტახტზე, ის ჯორკოზე იჯდა მდუმარი,
ჭკუის საკითხად მოდიოდა მასთან სტუმარი.
ო, ის გვირგვინი! ფართო-ფართო ფოთლები ფხალის,
შვენოდა ბაბუს, როგორც მეფეს მწუხარე მხარის!

## ომისშემდგომი ქალაქის განაპირა უბანი

თუმცა ეს ძველი ამბავი არის,
იგი მარადის მახსოვს ასეთი:
უბანი ჩვენი ღარიბი არის,
და კანტი-კუნტად მოდის გაზეთი!
ომი ახლახან დამთავრდა, აგერ
ცალფეხა კაცი მოჰყვება ქუჩას,
ეზოში ვიღაც აგროვებს ნაკელს,
შორით ოდიშის მთები ჩანს ლურჯად!
ჩანს სასაფლაოს ლამაზი ბორცვი
და იმ ბორცვამდე გზის გაყოლებით,
ცხოვრობს აქ ჩემი სისხლი და ხორცი
ტანჯვით, იმედით და მოგონებით.
ხოლო გზის პირას მდგარი სახლები
სამლოცველოებს მოჰგვანან შორით,
გაყუჩებულან შხვერთი ცაცხვები
და სინწის თავზე მიფრინავს ქორი.
არც ხმაურია, აღარც ხალისი,
მხოლოდ მზე ბრწყინავს ჩვეულად ასე,
და ამზეურებს ცირა ბალიშებს,
სინწა ლიკლიკით გადადის ქვაზე.
დუქანი მუდამ ცარიელია,
და პურის წერტში ბუზი არ დაფრენს,
აღარ თვრებიან, აღარ მღერიან,
და ადრიანად გმანავენ ფანჯრებს.
ყველას თავისი საქმე აქვს ქვეყნად,
სხედან ქალები, კერავენ საბნებს,
ახლა ტუსაღს ჰყავს გამზრდელი-დედა,
ხოლო სახლები მოჰგვანან საკნებს.
მაგრამ თუ შორით დახედავ უბანს,
თავის ადგილას არის ყოველი,
კაცს სანატრელი არა აქვს ლუკმა
და ცა წყალობის არის მთოველი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ მრევლიშვილი

# ბარათი მეგობარს

მოთხრობა

სალამი ანტონს! იქნებ გაიკვირვო კიდეც, — ეს ვისი ბარათიაო? — მაგრამ რას იზამ კაცი, ძველი მეგობრები თუ არ გიგონებენ, შენ თითონ უნდა მოაგონო თავი. ხომ გაგიგონია — „თვალი თუ ვერ ხედავს, გულიც ივიწყებსო“. მითუმეტეს ჩვენს შფოთიან საუკუნეში. დღეს წერილებს თითქმის აღარ ეტანებიან. კვდება ეპისტოლური ჟანრი. ახლა საალერსო უსტარს მშრალი დეპეშა და ტელეფონის ცივი ყურმილი სცვლის. ჩქარა შვილიშვილებს საშუალება აღარ ექნებათ სხვენში მიგდებულ საიდუმლო სკივრში აღმოაჩინონ აბრეშუმის ზონარით გულმოდგინედ შეკრული წერილების დასტა, გულის ფანცქალით გადაიკითხონ სანთლის აკანკალებულ შუქზე დაწერილი ბარათის ჩანავლული სტრიქონები, სადაც „ჩემო“ და „შეგეწირები“ ქრუანტელმომგვრელ სითბოსა ღვრის. ამ მტვრიანი ნაწერებიდან უნდა მიხვდნენ შთამომავალნი, რომ ბებიაც ყოფილა ოდესღაც სადარი მზისა და სადარი ცისკრისა, რომ მის ტანმოყვანილობას ალვას ადარებდნენ და მასაც ჰყვარებია თურმე იასამნის ფანჩატურში პაემანზე მისვლა.

შენ იმ დღეთა სურნელების ტრფიალი ხარ, ჩემო ანტონ, და მეც ამ კილოზე ავაწყე ბარათი. გახსოვს ალბათ ჩვენი მგზავრობა იყალთოში. ისიც გეხსომება უთუოდ, — მყუდროება პირველყოფილი და ამ მყუდროებაში ამოზიდული აკადემიის ნანგრევები, ხავსში რომ მალავენ საუკუნოების წარსულს და დიდი შოთას ნატერფალის კვალს.

გარინდებული შეჰყურებდი მდუმარე კედლებს, მერე მომიბრუნდი და სასოებით ჩაიჩურჩულე:

— დამეთანხმები, არის რაღაც უხილავი ხიდი იმ წარსულსა და ამ აწმყოს შორის. ის უხილავი გიალერსებს და გხიბლავს, გაქეზებს და გტუქსავს, გამაღლებს და არარად გხდის!..

ვიცი, დიდი თაყვანისმცემელი ხარ ხავსმოდებული ლოდებისა და სანანებლად ისლა დამრჩენია, რად არ დაგტოვე იქ, იმ სამასწლიანი ცაცხვის ჩრდილში.

ჰოდა, ვითომ, რითი იქნებოდა ცუდი! კიდევ ერთი მეინახე გვეყოლებოდა ედემის კუთხეში, ბეჯითი მსმენელი — აკადემიის ჩრდილს შეხიზნულ გოგი შათირიშვილის სახალხო უნივერსიტეტს და მოუსვენარი მომჩივარი — ღვთაების კედლებივით მიძინებულ „სიძველეთა დაცვის კომიტეტს“.

შენ ნუ გეფიქრება, ჩემო კარგო, ბერად ალკვეცილს ბინას გაგიწყობდით

ახალ ყაიდაზე, სამების სახატოს ღამის მთეველთა ზემოთა სენაკში რადიოთი, ტელევიზორით და საღვთო წიგნებით. ტელევიზორმა არ შეგაკრთოს. წინათ ბერები სანთლებს უნთებდნენ ივერიის ღვთისმშობლის ხატს. შემდეგ ამ ხატზე მთელი რუსეთი ლოცულობდა.

ჰოდა, იჯდებოდი აგიზგიზებულ ბუხართან, დათოვლილი ჩუმათხევის მყუდროებაში. მოგესალბუნებოდა ლადო მრელაშვილის ტკბილი ქართულით დაწერილი წიგნი, დაგატკბობდა ლია მიქაძის ალერსიანი ღიმილი ცისფერი ეკრანიდან, მოუსმენდი რადიოს ნანას, რულმორეული მიწვებოდი დაფარდაგებულ ტახტზე კრიალოსანით ხელში და გეწვეოდნენ მიძინებულს არსენ და ზენონ იყალთოელები, მოიკითხავდნენ მრევლს და გეტყოდნენ „ამინ“.

რა გგონია, სრულიად საქართველოს სამართლმადიდებლო ეკლესიას კადრები აკლია და იქნება ღვთაების ძალას, შუამთის მარიამს, აწყურის შუბმოლერებულ თეთრ გიორგის და ალავერდის ცადაწვდილ წმინდა სასოებას წყალობა მოელოთ, შუქი უკვდავებისა თავზე დადგომოდა და უნეტარეს კათალიკოსობას ზიარებოდი. რა, შახი არა გაქვს, თუ ეშხი!

აკი მიმტკიცებდი სარწმუნოებრივმა ტრადიციამ საქართველო მტრებისგან და განადგურებისგან იხსნაო. აკი მარწმუნებდი, „ნეტარ არიან მორწმუნენიო“, საყვედურობდი — რა მოგვცა ვითომ კბილებდაკრეჭილმა ცივილიზაციამ აოხრებისა და მილიონების ჟლეტის მეტიო“. მოთქვამდი, — ამ ჩვენი „სრულიად საზოგადოების“ — ოქმები თუ სჯობია საგალობლებსა და „შენ ხარ ვენახოსო?“ აკი ირწმუნე და ჩემი დარწმუნებაც სცადე — „მწვერვალებისკენ მხოლოდ ბილიკებს მივყევართ და სტრატოსფეროში ნურაფერს ეძებთ, მხოლოდ დაუსრულებლობაშია ღმერთიო“.

ჩემო ანტონ, მე მაშინაც გითხარი და ეხლაც გიმეორებ, მე არ ვიცი სად არი ღმერთი და თუ არის, რად შექმნა ადამი და ევა და თუ შექმნა, რად უნდა ვატაროთ მათი ცოდო ჩვენ უკუნითი უკუნისამდე?.. რაც შეეხება ტრადიციებს, ისინიც ისე ჩნდებიან და იხოცებიან, როგორც იმათი წარმომშობი ადამის ძენი.

ამაში ჩვენ ყოველდღიური წვრილმანები გვარწმუნებენ: ცხოვრების სურათები, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალები და ხიდან უცაბედად მოწყვეტილი ვაშლიც კი უშველებელი აღმოჩენების სათავე ხდება. შეუდარებელმა სერვანტესმა თავის გმირად ქარის წისქვილებთან მებრძოლი, გაძვალტყავებული მეოცნებე, ლამანჩელი აზნაური აირჩია. განუმეორებელმა გოგოლმა ყველასგან მივიწყებული, პატარა მოხელის ლანდი უკვდავყო. დიდმა ილიამ მცონარა და გაუმაძღარ საცოდაობას ძეგლი დაუდგა. ეს ყველაფერი ცხოვრებისეული წვრილმანების ოსტატურმა შეკოწიწებამ შექმნა.

მაგრამ... თავი დავანებოთ გიგანტებს. ირგვლივ აუარებელი თიხაა და ამ თიხიდან ტანწერწეტა ლიტრიანის გამოჩარხვა ოსტატის უნარზე და ნიჭზე ჰკიდია. მე კი ისევ ტრადიციას დავუბრუნდები და მათ სევდიან შეუსაბამობაზე გიამბობ, გიამბობ ჩემი აზრის ნათელსაყოფად და თუ ვერ შევძელი, უნდა მაპატიო.

ერთხელ იყო და...

ნასადილევის ტკბილი ძილი ტელეფონის ზარმა გამიკრთო. შაბათი იყო და გადაუდებელს არაფერს ველოდი, ამიტომ ალბათ ხმაურს მივუყრუე და თავი მუთაქებში ჩავრგე. ზარი თავისას არ იშლიდა, გაბმით წკრიალებდა და მითვლემილ ოთახს ქოთქოთით ავსებდა.

— ერთი წუთით არ მოგასვენებს, ეს წყეული, — გავიფიქრე გაჯავრებულმა. მაგრამ მაინც ძალა დავატანე თავს. წამოვდექი. ნამძინარევი ძლივს მივლასლასდი აპარატთან. ყურმილი ავიღე და გულმოსულმა ჩავღრინე შიგ:

— გისმენთ!

— ელაპარაკეთ...

საქალაქთაშორისო რეკდა.

— სალამი ლევანს!.. პირობაზე რაოიგადა ხარ, პირობაზე?

ვიცანი კილო და ტანში გამაცია. ტელეფონის ხაზის მეორე ბოლოზე ჩემი ნათლიმამა — გულუხაიძე ბობოქრობდა.

მართალი იყო, კაცმა რო თქვას. რამდენჯერ შევპირდი — ამოვალ მეთქი-უსათუოდ, — მერე რამდენჯერ გადავუდექი ამ დანაპირებს.. რა გახდა ვითომ მთაში ავლა! რას ვამადლი ამ ხალხს ჩემს თავს?... — გავიფიქრე გაჯავრებულმა და ყურმილში დარცხვენილმა წავილუღლუღე:

— საქმეები, ჩემო ლუკა, საქმეები მატეხინებენ პირობას!..

— კარგი, მაგაზე მერე იყოს. ეხლა მისმინე, კვირა დილით ყიზლარს მივდივარ მანქანით...

— ესე იგი ხვალ დილით?.,

— ჰო, რაიკომის დავალებაა სასწრაფო, გაიგე?

— გაგიგე, მოხევე, გაგიგე...

— იცი, რა გითხრა, ხუმრობას თავი დაანებე!..

— არის, უფროსო, ხუმრობას თავი დავანებე!..

— ჰოდა, შენც მინდა გინახულო. მამენატრე, შე ღმერთგამწყრალო!..

— როდის იყო წინასწარ მთხოვდი ნახვის ნებას?..

— რა ვიცი აბა, ჟურნალისტები მწყემსებივით დახეტიალობთ წარამარა, ხან ალთასა ხართ და ხან ბალთასა. გარდა მაგისა... — აქ ყურმილში ლუკას ხითხითი გაისმა... — ახალ ბინაში, შენისთანა სანდომიანი ვაჟკაცი, თანაც უცოლო და უძირო, კვირის მადლით წაქეზებული, იქნებ სანატრელ მზეთუნახავს ულოლიავებს, მოდი და ხელი შევუშალო! — ჩაიკუჰკუჰა მილში ლუკამ.

— ეგ ნუ გაშინებს, ჩემი ქოხი მუდამ ღიაა შენისთანა მეგობრისათვის.

— ჰოდა, შევთანხმდეთ. სრულ ხუთ საათზე შენი სახლის წინ გავაჩერებ მანქანას, შენც იქვე დამხვდი, ახალ უბნებში შენობები ტყუპებივით ერთმანეთს ჰგვანან, მეშინია, არ ამერიოს გზაკვალი, მე კი აბა, დროც არ მექნება თქვენ ხრიალაზე ზემოთქვემოთ საწოწიალოდ. მინდა მხოლოდ თვალი შეგავლო, მოგითათუნო ლოყაზე და ნათლიდედას ძღვენი გადმოგცე.

— ხომ კარგადაა მყავს ნათლიდედა?..

— გემდურება, დაგვივიწყა ნათლიამამო... მაშ ასე, ლევან, დამხვდები ხვალ დათქმულ ადგილზე?

— უსათუოდ გამომიარე, მეც ძაან მინდა შენი ნახვა.

— მაშ შევთანხმდით. ხვალ ხუთ საათზე!...

— აგრე იყოს. ხვალ ხუთ საათზე ჩემს სადარბაზო შესასვლელთან გუშაგივით ავიტუზები...

ამ ბაასში შეკვეთილი სამი წუთი შეუმჩნევლად ამოიწურა. ქალიშვილმა სატელეფონო სადგურიდან არ შეისმინა გულუხაიძის ვედრება და გაგვთიშა.

ყურმილი დავდე. სინანულით გადავხედე ტახტზე მიყრილ მუთაქების მიმზიდველ ხროვას. ვიცოდი ჩემი ხასიათი, ნასადილევის ტკბილ ძილს ვეღარ დავიბრუნებდი. გაწბილებულმა ოთახში ბოლთა დავარტყი და თვალი მაგიდას შევაპარე.

ჩემ სამუშაო მაგიდაზე დასტად ეყარა წუხანდელი ნაჯახირევი. ნაწერებს თვალი ავარიდე. ვიცოდი, რომ წუხანდელმა ღამის თევამ ჩაილულის წყალი დალია არაფერი გამომივიდა. სირცხვილია. რედაქცია ელის მასალას გადაუდებლივ და სასწრაფოდ. კიდევ დამრჩა ორი ღამე და ერთი დღე. ამაღამაც უნდა ვეცადო, უნდა დავძლიო დასაძლევი!.. თუ წუხანდელმა უძილობამ არ შემიტია... თუ ძილმა თავი არ წამართვა...

— ნეტა რა დროს ყიზლარი და ჯანაბა იყო!... — ფიქრით ისევ გულუ-

ხაიძეს დავუბრუნდი. შემრცხვა ჩემი უსაფუძვლო გაბოროტების, — რა ვუყოთ მერე, რომ ნარკვევია დასაწერი რა კავშირი აქვს შენ მეგობარს ოინბაზთა საქმოსნობასთან?...

ასე იცოდა მუდამ ლუკამ. არა ჰკარგავდა არც ძველ გზას და არც ძველ მეგობრებს. ამხანაგებში მარტო იმასღა შერჩენოდა სკოლის მერხთან ნაჩურჩულევი ძმადნაფიცობის ერთგულება, მაგრამ ჩვენ რომ ვეღარ ვუბამდით ხმას და კილოს?

სად იყო და სად არა, არწივივით ჩაუქროლებდა მთიდან ბარსა და ხეობებს. მოულოდნელი გრიგალივით მოგვეჭრებოდა აქა-იქ შემორჩენილ სიყრმის მეგობრებს. შეგვანჯღრევდა შეგვატოკებდა. აგვირევდა განრიგში ჩამჯდარ ცხოვრებას და მერე ისევ აჰყვებოდა თავის მთიანს და ღორღიანს.

გულუხაიძის წასვლის შემდეგ კიდევ კარგა ხანს ვწივწივებდით მეგობრები შიშნაჭამი წიწილებივით და აგერ როდის ვტოვებდით სამალავს. ყველა ჩვენგანს ლუკას სტუმრობა გვნათლავდა და გვასუფთავებდა. მე პირადად, ჩემს ყოველდღიურ ფუსფუსში და ორომტრიალში, მუდამ მაკლდა გულუხაიძის ომახიანი შეძახილი, კაცური სითბო, მისი ლაღი სიცილი და სქელ წარბებში მიმალული შავი თვალების თბილი მზერა. მაგრამ იყო წყალგამყოფი უხილავი რაღაც ქედი ჩვენს უმწიკვლო მეგობრობაში.

გულუხაიძე რაინდია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მაგარია, როგორც სიპი კლდე. მთლიანია, როგორც ლოპოტას მარმარილოს ვეება ლოდი. ლუკა ბუნების შვილია და ბუნების ერთგული მოყმე. ის განსწავლული მწყემსია და თავკაცი თანატოლთ შორის. ეს ხელს არ უშლის მტკიცედ დაიცვას მამა-პაპათა ადათი და ზნე-ჩვეულება. განთიადისას ქარაფებზე მიმავალი გულუხაიძე იმედიანად უღიმის მზეს, მზის ჩასვლისას იმავე ღიმილით აცილებს მას.

მე?.. მე იშვიათად ვუყურებ ცას. განთიადზე ტკბილათა მძინავს. ავდგები და დიდი ქალაქის ორომტრიალში ვიძირები. ისე დავქრივარ ერთი უბნიდან მეორეში, ისე ვღელავ და ვქოთქოთებ, ისე ვდრტვინავ და ვფუსფუსებ, თითქო უჩემოდ ეს ცხოვრება ფასსა და ლაზათს დაჰკარგავსო. საღამოთი გამოფიტული ვბრუნდები შინ. ლიფტით მივღოღავ საოცნებო მერვე სართულზე, შევდივარ ჩემს მყუდრო ბინაში და ბადუზანის საოცნებო ქაფის ალერსში ვიძირები. სადღა მცალია ჩამავალი მზის შუქთფენის ფერებით დავტკბე.

ერთი სიტყვით, მე ურბანიზმის მონა ვარ და სხვა არაფერი. მართალია, განსვენებული წინაპრები ვაზის ერთგულნი მყოლიან და გულადი მონადირენი, მაგრამ მე თითონ არასოდეს არა მქონია სურვილი ვაზის ნებივრად მოვლისა და ტყე-ღრეში უგზოუკვლო ხეტიალისა.

და, საერთოდ, არ მიზიდავს მთის ბილიკები. არ მიტაცებს უფსკრულებში ჩაწოლილი შავი ღრუბლები, არ მამშვიდებს ნისლის თივთიკით შემოსილი, თეთრ სუდარაში გახვეული, მოლოდინში გაყინული გოლიათები.

მე მუდამ უხმოდ ვიზიარებ თანამგზავრების აღტაცებას და არასოდეს არ ვამჟღავნებ ჩემს განწყობას ბუნებისადმი, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ არა მსურს აურზაური შევიტანო მოყვასთა შორის. თორემ, აბა, რა ბედენაა ცისკრის ცვარ-ნამში გალუმპული, სუსხიანი ალიონით ათრთოლებული, სანადირო თოფით ხელში, ეკალბარდებში ჩაცუცქული ,გულის ფანცქალით უცდიდე მოსაკლავად განწირულ მსხვერპლს, რომელსაც, ვფიცავ, არავითარი დანაშაული არ მიუძღვის კაცთა წინაშე. ანდა, რა ისეთი ეშხი სძევს მდინარის პირას ჩამომჯდარ გაქვავებულ კაცის სილუეტს, საათობით რომ შეჰყურებს წყალში რგოლებად მოტივტივე ანკესის კვალს.

მე ვიცნობ ხალხს საათობით რომ

გაჰყურებენ უსასრულო ზღვას, ცაში აზიდულ დათოვლილ მწვერვალებს, დაჰხარიან დილის ნამით დაცრემლილ ვარდს, უცხოდ დაჩითულ პეპლების ფრთებს და ნაწვიმარზე ნაზად გაწოლილ ლოკოკინას. დამკვირვებელთა თვალებში აღტაცება და სასოება კიაფობს, რადგან ისინი ამ წუთში, უერთდებიან ბუნების დიად მაჯისცემას.

პლანეტა მათ ერთ მთლიან, ცოცხალ მუზეუმად წარმოუდგენიათ, სადაც უზარმაზარი დარბაზები სავსეა თვალწარმტაცი პეიზაჟებით, საუცხოო ნატურმორტებით და შესანიშნავი პორტრეტებით.

მაგრამ... მაგარი ის არის, რომ მუზეუმში ყველაფერი გარინდულია. მთის მწვერვალიდან ჩამოხეთქილი ჩანჩქერიც და ვაკის მდინარეც, მტრის გასაგმირათ აღმართული მახვილიც და ყალყზე შემდგარი მერანიც, მიქელ ანჯელოს შესანიშნავი „დავითიც! და ლეონარდოს ფერშემკრთალი მოციქულებიც. ხოლო ის, რაც გარინდულია საბოლოოდ, ყველაფერი მომქანცველია, მომქანცველია თუნდაც თავისი სიდიადით, თუნდაც თავისი მომხიბლავი მშვენიერებით.

გამოცდილი მოყვარული ხელოვნებისა თვეებს უთმობს მარტოოდენ „სიქსტის კაპელას“ მოქარგულ ჭერს. მოგზაური სწრაფმფრინავი ლაინერიდან ერთ საათში ცდილობს აღიქვას ვატიკანის მუზეუმის უთვალავი დარბაზების გარინდული დიდებულება.

მაპატიოს ყველა მგზავრმა და მონადირემ, მშვენიერების მოყვარულმა და ყველა მეთევზემ, თუ მათი გატაცების საგანს უბირად შევეხე, მაგრამ „კაცია და გუნებაო“, ამბობს ძველი ანდაზა და მეც ჩემი მოგახსენეთ მხოლოდ.

მე პირადად ჩვენი მშფოთვარე საუკუნის აჩქარებული მაჯისცემის ტრფიალი მქვია. ვამაყობ, რომ დღემდე ირნახული სოციალური ძვრების და ბრძოლების მოწმე და პატარა ჯარისკაცი ვარ, რომ მხოლოდ ჩვენს ხანაში მითი და ზღაპარი სინამდვილედ იქცა, ადამიანმა იკაროსის აწ უდნობი ფრთები შეისხა, პრომეთეს მიერ მოპარული ცეცხლი მავთულებში ჩაჭედა და ქვეყანა აასხივოსნა, თანამედროვე ქალაქების ცათამბჯენებმა ბაბილონის ზღაპრულ კედლებს გადააჭარბა სიმაღლეში და დღევანდელმა ხეივნებმა — სემირამიდას დაკიდულ ბაღებს.

ჩემი არსებობა წარმოუდგენელია მჩქეფარე ქალაქის რიტმის გარეშე, შემიძლია საათობით ქუჩაში ვიდგე და ვუსმინო მის დაუსრულებელ ქოთქოთს, ვუცქირო ნაირფერადი მანქანების განუწყვეტელ თქეშს, აეროპორტიდან მოწყვეტილი თვითმფრინავების კამარას, მეტროპოლიტენის ესკალატორებიდან ამოღველფილ ადამიანთა ნაკადს. რკინიგზის ხიდიდან გადავხედო გველივით დაკლაკნული მატარებლების შემპარავ სრიალს, თვალი შევავლო მთაწმინდიდან ჩემი მშობლიური თბილისის ახმიანებულ მოედნებს და აყირავებულ ქუჩებს.

ერთი სიტყვით, ვცხოვრობ ეხლა, ჩემო ანტონ კათალიკოსო, გარეუბნის მეცხრე მასივში. კვარტალი შვიდი. კორპუსი ათი. სადარბაზო შესასვლელი მარცხნივ მესამე. სართული რვა. ბინა რიგით ოთხმოცდახუთი.

ესეც ასე, ჩემი ბინის მისამართიც შეგატყობინე. თუ მინახულებ. გამახარებ. მერვე სართულს არ შეუშინდე, ლიფტი გვაქვს და ფიქრი ნუ გაქვს. ეს არის, რომ ცოტა ზორბა ხარ და, თუ როგორმე შეეტიე იმ ვიწრო ყუთში. ან თუ არსად არ გაიჩხირე სართულებს შუა. მაშინ უთუოდ სწრაფად მოხვდები ჩემს ბინაში.

არა, მაინც კარგი ბინაა!.. იცი რა მითხრა ალმასკომის თანამშრომელმა, როცა ბინის ორდერს მაძლევდა: — არამია უცოლშვილო კაცისთვისაო. — სიხარულისგან არეული, ვერც კი მივუხვდი წყევლა იყო თუ კურთხევა ეს სიტყვები. გაოგნებულმა დიდი მადლობა ვუთხარი და სულელურად დავეკრიჭე.

მე ძალიან მომწონს ჩემი ბინა და ბოს გარეცხილი პერანგები ისეთივე სხვისა რა მოგახსენო. ერთი ოთახი საკუთარი სათავსოებით და აივნით. თუ მეზობლები ხმამაღლა არ ლაპარაკობენ და ცას ღრუბლები არა ჰფარავს, ბინა მყუდროა და მზიანი. თუ ნინელი მეცხრე სართულზე გამებს უკრავს, მყუდროებას ჯოჯოხეთური ხმაური სცვლის და მზიანეთიც ფერმკრთალდება. შემოსასვლელში კედლის კარადის ფუღუროა დატოვებული. არაფერია, მშენებლები, როგორც ეტყობა, ჩქარობდნენ და ეს ფუღურო საალმშენებლო ნაგავისთვის გამოიყენეს. ფუღუროში ბლომად ეყარა კირის მტვერი, დამტვრეული აგური და ნაწილები დამსხვრეული უნიტასისა. ონკანებიც ვერ არის რიგზე, ცხელს მოუშვებ, ცივი გაგთოშავს, ცივს გასინჯავ — არც ცხელი მოდის და არც ცივი. ტელეფონისას ნულა მეტყვი!... მირეკავენ — ხან მორიგე ექიმსა მთხოვენ, ხან ბაგა-ბაღს. ვურეკავ და — ხან საგიჟეთში მოვხვდები და ხან მეუღლეთა კინკლაობის დაუსწრებელი მოწმე ვხდები.

მიუხედავად ყოველივე ჩამოთვლილისა, ჩემი ბინა მაინც კარგია, მყუდრო საკანი თავის თავთან ყოფნისა და წუთიერი განსვენებისა. წამიერი ამოსუნთქვის ეს წყნარი კუთხე სანატრელი ოაზისია სტანდარტების და ნომრების თვალმიუწვდენელ უდაბნოში, სადაც ყველა და ყველაფერი დანომრილია — კაციც, მანქანაც, პანჩიკიც და ღამის პერანგიც.

მეც თანდათან აუარება ნომრებით ვმშვენდები. გასულ შაბათს ჩვენს სამრეცხაო კომბინატში, კიდევ ერთი, ახალთახალი ნომერი მივიღე. ეს არის ჩემი თეთრეულის დამღა-ნიშანი. ამ დამღით უნდა ჩავაბარო და მივიღო თეთრეული და სხვა წვრილმანი. ეხლა მთელი კომბინატისთვის ვარ ნომერი — 123104 და სხვა არაფერი. არავითარი ინტერესი ჩემდამი.

აფსუს ჩემო პელო ბებია!.. რა პერანგებს მირეცხდა და მიუთოებდა. ბებოს გარეცხილი პერანგები ისეთივე ალერსიანი და თბილი იყო, როგორც თითონ ტკბილი მოხუცი. გეალერსებოდა პერანგი, გეთათუნებოდა, და, შენც ამაყად მიდიოდი ქუჩაზე. ზრდილობიანად და ღარბაისლურად ესალმებოდი ნაცნობებს.

პელო ბებოს ვუყვარდი და მანებივრებდა. მოხუცი ჩემში თავისი უკვდავების ნაპერწკალს ხედავდა და ეს ახარებდა ალბათ. — ენაცვალოს ბებო, ასლია თავისი პაპისა და ცოტა მეცა მგავს მგონი, — იტყოდა ხოლმე პელო ბებო და მორცხვად ჩამალავდა თავსაფარში ღიმილს. მერე მიუბრუნდებოდა თავის საწოლთან ჩამოკიდებულ, ამ ქვეყნიდან ნებსით თუ უნებურად წასულ მახლობლების სურათებს, დაჟინებით დააშტერდებოდა მეორე მსოფლიო ომში დაღუპული მამაჩემის გადიდებულ პორტრეტს და თვალცრემლიანი ჩამიხუტებდა, მეფერებოდა და ალერსში დნებოდა.

ბებიაჩემი ღვალაძიანთ ლამაზი და თავმომწონე ქალი ყოფილა. წინათ თურმე ღვალაძეები მუხრან-ბატონის კარის ფარეშნი ყოფილან, მერე როცა რუსთმეფობა ჩამოვარდნილა, წინაპრები აყრილან და დელისში დასახლებულან. იქ აუშენებიათ კრამიტით დახურული, ორსართულიანი ქვითკირის სახლი თავისი საბძელ-გომურითა და საჩეხ-სათონით. იმ შარას თურმე სადაც ჩვენებიანთ სახლ-კარი იდგა ფარეშაანთ უბანს ეძახდნენ.

ახლა იქ, სადაც ფარეშაანთ უბანი იყო, ლარივით გაწვდილი ქუჩები და უშველებელი შენობები წამოჭიმულა. ასეთია ცხოვრების მკაცრი კანონი. ქალაქები სოფლების და საფლავების კვალსა ყლაპავენ. მეხსიერების ნისლს შემორჩა პელო ბებოს ალერსი და აივნის კუთხის ფანჯარა თეთრი მარმაშის ფარდებით და იქვე კასრი მუდამ მწვანე ლიმონის ხით.

ცხონებული ბებიაჩემის უკანასკნელი თხოვნა იყო, მუსიკოსი გამოვსულიყავ, ან უკიდურეს შემთხვევაში, და-

სტაქარი აუცილებლად. მე კი საწყალს ვერც ერთი და ვერც მეორე თხოვნა ვერ შევუსრულე. ბოლოს ისევ ჟურნალისტიკას მივაშურე და შედარებით მოკლე ხანში, დიდი გაზეთის საკუთარი კორესპონდენტის, სადარბაზო ბარათებიც დავაბეჭდინე, იმავე გაზეთის სტამბაში და იმავე გაზეთის რედაქტორის წყალობითა და შემწეობით.

გულუხაიძის ზარის შემდეგ ჩემს ოთახში დავბორიალებ, მერე ტახტზე მოყუჩებული ფიქრს ვეძლევი. ჩემი ფიქრი ორად იყოფა: საგაზეთო ნარკვევი და გულუხაიძე.

...დარვინის აზრით, ადამიანის უძველესი წინაპარი ბანჯგვლიანი მაიმუნია. სამწუხაროდ, ჩვენს დროშიაც და ჩვენშიაც ხშირად არიან ბანჯგვლიანი მაიმუნები.

...ხვალ ხუთ საათზე გულუხაიძეს უნდა შევხვდე. ლუკა ჩემთვის ძმადნაფიცი მეგობარია, ყრმობის ოცნების მოზიარე, დავაჟკაცების თანამგზავრი. მართალია გამაფრთხილა, — მეჩქარება, მხოლოდ გავლით გინახულებო, — მაგრამ, ეს მხოლოდ ზრდილობისთვის, თორემ ისე როგორ იქნება ახალ ბინაში არა მნახოს, ჭერი მაინც არ დამილოცოს.

...არა, მაინც რა უნდათ ვითომ მაიმუნებს. ჩვენს წმინდათა წმინდა მიწაზე. დადიან და იბღინძებიან, უფაქიზეს ვარდებს ჰყიდიან დაუბანელი ხელებით და გვარცხვენენ მთელ საბჭოეთში. ერთადერთი რაც დაგვრჩა ძველთაგან, რაინდული პატიოსნება, იმასაც ფეხქვეშ თელავენ, ამ გათელილის ნაკვალევზე სააგარაკო პალატებს და სახლებს აგებენ.

ნეტავი გამაგებინა, სად ჩამორჩნენ, როგორ ჩამორჩნენ ბუნებრივი შერჩევის გარდუვალ წესს?.. უთუოდ მათი წინაპრები პიტეკანტროპთა ბრძანებლობის დროს ეკუთვნიან. აპა, გულდასმით დააკვირდი მათ შუბლსა და წინწამოწეულ ყბის მონახაზს.

...ჯანაბამდე გზა ჰქონია პიტეკანტროფთა მოდგმასაც და ნარკვევსაც. მთავარია ეხლა ჩემთვის — გულუხაიძე. ერთი სიტყვით, ხელგაშლილი უნდა შევხვდე ჩემს ნათლიმამას. მაგრამ რა ვქნა, შინ რომ არა გამაჩნიარა?.. არაფერია, მარტოხელა კაცი ვარ და მეპატიება. ხვალ უთუოდ ადრე ავდგები, ჩავალ მახლობელ სასურსათო მაღაზიაში და ყველაფრით მოვმარაგდები".

ამ ფიქრებში ჩამძინებოდა. ძილში ვშფოთავდი და გადაბმით მესიზმრებოდნენ მაიმუნების ჯოგები, მათთან მებრძოლი კუნთმაგარი გულუხაიძე და რედაქტორის მტუქსავი, მრისხანებით სავსე თვალები:

— სად არი-მეთქი, ნარკვევი?.. მე გეკითხებით! — ყვიროდა ჩემი რედაქტორი.

— მაიმუნები... დიახ, ბანჯგვლიანი მაიმუნები... — ვუპასუხე თავჩაქინდრულმა.

— რაო? — შეჰყვირა ისევ რედაქტორმა და წამოხტა.

შიშმა უცბად გამომაღვიძა. ოფლში ვიყავი გალუმპული. გამიხარდა. თავისუფლად ამოვისუნთქე. ეს ხომ მხოლოდ სიზმარი იყო და სხვა არაფერი.

თენდებოდა. — რამდენი ხანი მძინებია, რა დამემართა! — გავიფიქრე გაჯავრებულმა და საწერ მაგიდას გადავხედე.

ერთი სიტყვით, ჩემო ანტონ, საღამოს ხუთი საათისთვის სუყველაფერი მზადა მქონდა გულუხაიძის შესახვედრად. ეგ არის, რომ ჩემი ნარკვევი გაიყინა მაიმუნებზე.

სრულ ხუთ საათზე სოსანისფერმა მანქანამ დაამუხრუჭა ბორბლები ჩვენს მესამე სადრბაზოსთან. მანქანიდან ლუკა გამოძვრა, მკლავებგაშლილი წამოვიდა პირდაპირ ჩემკენ. გადამეხვია. გადამკოცნა, მერე განზე გამწია და ამხედ-დამხედა:

— უპირო ძმაკაცს გაუმარჯოს! — ჩაიხრიალა ლუკამ და კიდევ ერთხელ გადამეხვია, თავზე ქოჩორი ამიწეწა, თვალებში ეშმაკები აუთამაშდნენ: —

— რასა იქ და როგორა მყევხარ, საკუთარო კორესპონდენტო?

— მაგაზე ჩემთან, ბინაზე ვილაპარაკოთ — ვუთხარი მე და ხელი მკლავში გავუყარე, თან მანქანაზე მივუთითე, — იქ ვინა სხედან მანქანაში?.. ყველანი ჩემთან ამობრძანდნენ!..

— არა, ლევან, ეგ არ გამოვა! — თქვა ლუკამ და განზე გამიდგა.

— რად არ გამოვა? — შევეკითხე გაკვირვებულმა.

— იმათა, რომ საქმე არ ითმენს, აკი გუშინაც გითხარი, გავლით ვარ-მეთქი, — დაყვავებით ამიხსნა ლუკამ.

— ერთი წუთით მაინც ამოდით, ახალი ჭერი დამილოცეთ, თითო ჭიქა ღვინო დალიეთ! — ვიწყინე მე.

— იოლად გინდა გამოხვიდე, კორესპონდენტო? — ჩაილიმა გულუხაიძემ.

— რათა იოლად, რამდენიც გინდათ, როგორც გინდათ! — გაბუტულმა წავილუღლუღე.

— დაბრუნებისას გინახულებ, მაშინ ალბათ დროც საკმარისი მექნება და გუნებაც. შენც კარგად იცი, გულუხაიძეს ნაუცბათევი არც საქმე უყვარს და არც ლხინი. ასე იყოს, ნათლია ჩემო, დაბრუნებისას გავნათლოთ ახალი ბინა, ისეთი ცეცხლი დავანთოთ, მუდამ ღუოდეს. ეხლა კი უნდა მაპატიო, უნდა გავიჭრა — თქვა ლუკამ და მანქანაში მჯდომს გასძახა, — ხვთისო, თუ ძმა ხარ, საბარგულიდან ის ამანათი გადმაიღე, მზექალამ რო გამოგვატანა.

საჭესთან მჯდომი გადმოიზლაზნა მანქანიდან, საბარგულს ხუფი აჰხადა და იქიდან ჯერ ბატკანი ამოათრია, მერე თუშური ყველის გუდა.

— ეს ამანათი ნათლიდედამ გამოგიგზავნა, თან მოკითხვა შემოგითვალა შორიდან ხელის ჩამორთმევით და პირზე კოცნით, — მითხრა ლუკამ, — გადამეხვია, გადამკოცნა და მანქანისკენ გაეშურა.

გაოგნებული, ხან მგზავრობისგან ცოცხალ-მკვდარ ბატკანს დავცქეროდი, ხან გუდასა და ხან მანქანას. უცბად მანქანა შეტოკდა და მანქანის ღია ფანჯრიდან გულუხაიძის ომახიანი ხმა გაისმა:

— კორესპონდენტო, ეგ მოძღვნილი კოლექტივისა არ გეგონოს, ემანდ გაზეთში არ გაგვწერო, საკუთარი ნაჯაფარია!

მანქანა მოსწყდა ადგილსა და საერთო ნაკადს შეერია. დავრჩი მარტო ობოლი ბატკნით, ყველის გუდით, აგორებული ქუჩითა და აყუდებული შენობებით. მიმომავალი მგზავრები გაკვირვებით შემომყურებდნენ. როგორც ეტყობოდა, მე და ეს ტვირთი ერთმანეთს არ ვეხამებოდით.

აგერ როდის გონზე მოვედი. ლიფტიორს ვუხმე. ვთხოვე ტვირთის ატანაში დამხმარებოდა. გაკვირვებულმა მარინიკამ წამოწოლილ ბატკანს დაჰხედა, სიბრალულით სავსე მზერა მერე ჩემზე გადმოიტანა:

— კვდება? — შემეკითხა შეწუხებული.

— არა მგონია...

— მაშ რა მოსდის? სულს ძლივსღა ლაფავს, ვერა ხედავთ!

— რა ვიცი აბა, იქნება მართლა მოკვდეს კიდეც, ულევი გზა გამოიარა მანქანით.

— აქ დამიცადეთ, ჩვენ ეზოში ცოტაოდენ ბალახს დავგლეჯავ და მოვუტან, როცა შინ ახვალთ, აჭამეთ. იქნებ ცოტა მოსულიერდეს! — წამოიძახა მარინიკამ და გაიქცა.

ცოტა ხანში მარინიკას წყალობითა და დახმარებით ბინის კარი შევაღე და თავისუფლად ამოვისუნთქე. დერეფანში ყველის გუდა ქვედა თაროზე მოვათავსე. ბატკანს საფენი დავუგე და ფინჯანით წყალი მივართვი, იქვე ბალახი დავუყარე და დავმშვიდდი.

დრო იყო, ეხლა, ისევ ნარკვევს დავბრუნებოდე.

ოჰ, ეს ნარკვევი!.. ასე სასტიკად არაფერი გამჭირვებია.

„მეე“ — ჩამესმა ყურთ ბატკნის ბღავილი. უცბად შევკრთი და უნებურად მოვიხედე. მაგიდასთან თმახუჭუ-

ჭა ბატკანი იდგა და სევდით სავსე თვალებით შემომყურებდა. იყო რაღაც ნოსტალგიური მის მზერაში და ბღავილში. ჩემს წინ იდგა კაცთა ცოდვების გამწმენდავი, ღმერთებისადმი შეწირული, პირველი ვერძის პირდაპირი შთამომავალი.

„მეე“ — გაკვირვებით შებღავლა კრავმა.

— ჰო., ჩემო კარგო, — ვუთხარი მე და თავზე ხელი გადავუსვი, — სულდგმულთა შორის უცოდველი და უბიწო შეგარჩიეს. შესაწირავად ყველა მკვლელთა და ორგულთა ცოდვების საპატიებლად.

„მეე“ — შემომტირა საცოდავად ჩემმა სტუმარმა.

— სათნოებამ დაგღუპა შენ! — პათეტიკურად შევძახე მე.

ბატკანი თითქო მიმიხვდაო, პირი იბრუნა ჩემგან და მარინიკას კერძს მიუბრუნდა. წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. ამ მყუდროებას ქუჩის გაბმული გუგუნი თუ არღვევდა, სხვა არაფერი. აივანზე გასასვლელი კარი დავხურე და სამუშაოს დავუბრუნდი. კარგა ხანს ვიჯექ გარინდული და თან ნარკვევის შესავალს ვუკირკიტებდი. აზრი ხტოდა.

„მეე“ — კვლავ გაისმა ბეკეკას შემზარავი წამოძახილი. გიჟივით ფეხზე წამოვვარდი. თავი მტკიოდა. სუნთქვა მიჭირდა. გული ყელში მებჯინებოდა. ძლივს მივბარბაცდი ტახტთან. და აზრმიუცემლად ჩამოვჯექი...

მიჭქრის ახლა კმაყოფილი ნათლიამა საქართველოს სამხედრო გზით. კავკავისაკენ და აინუნშიაც არ მოსდის რა განსაცდელში ჩააგდო ახლობელი ადამიანი.

ამ ამანათის წყალობით, მარტოხელა კაცის ბინაში, დარჩა მხოლოდ ხუჭუჭა ბატკნის გულშემზარავად გაბმული „მე“, დაბლა თაროზე მიგდებული ყველის გუდა თავბრუდამხვევი წათხის სუნითა და ცურცლები ნოხის ხაოზე.

როგორც კი ლუკამ ყველის გუდა და ბატკანი ფეხთით — დამიწყო, მაშინვე ვიგრძენ კარსმომდგარი უხერხულობა. ვიგრძენ, მაგრამ რა უნდა მექნა, რა მიზეზით მეკრა ხელი სამეგობრო ამანათისათვის. როგორ ამეხსნა ლუკასათვის, რომ ბატკანი მერვე სართულზე გამართლებას მოკლებული ეგზოტიკაა, რომ წმინდა კრავის განუწყვეტელი ბღავილი კრავივით მშვიდი მეზობლების აჯანყებას გამოიწვევდა. ლიფტის მეუფე მარინიკა გაგვექცეოდა, ჩემი ბინის დამლაგებელ სირანას წყევლა-კრულვის საბაბს მისცემდა.

თქმა იმისა, რომ ეს ძველი ადათ-წესები არ ეხამება ჩვენს დღევანდელ ყოფა-ცხოვრებას, ლუკას გრძნობებს შეურაცჰყოფდა და ჩვენს კეთილ ძმადნაფიცობას აუცილებლად ბზარს მისცემდა, მე კი ჩემი სიყრმის მეგობრის დაკარგვა არ შემეძლო და არცა მსუროდა.

გარდა ამისა, გულუხაიძის გულისწყრომას მომხრეებიც გაუჩნდებოდნენ. რადგან კარგად მოგეხსენებათ, რა რიგად ფასობს სამაისოდ, გურმანთა შორის, ჯიგრის ყაურმა, შეზავებული ტყემლის წვენით, ბატკნის მწვადი ოდნავ გამკრავი ბოლის სუნით, თუშური ყველი თონის პურით, ქორფა კიტრითა და ტარხუნით. მაგრამ გურმანთა პირის გემო ტვირთს ვერაფრით მოსუბუქებდა. საჭირო იყო დაუყოვნებლივ ბატკნის ბინიდან გასახლება, მაგრამ როგორ რა საშუალებით?..

რაღაც განგებამ გამახსენა ჩემი მეზობლის შვილიშვილი, თერთმეტი წლის თმახუჭუჭა ონავარი ვაჟა ნოზაძე, „იმას მგონი აქვარიუმიც აქვს, უყვარს, ეტყობა ცხოველები“ — გავიფიქრე მე და უმალ ტელეფონს მივაშურე:

— გისმენთ? — ჩამესმა ყურში დარბაისელი მანდილოსნის მოკლე შეკითხვა.

— უკაცრავად... თუ შეიძლება ვაჟას სთხოვეთ, — წავიბორძიკე ყურმილში

— ვინ ბრძანდებით? — შემეკითხა მანდილოსანი.

— მერვე სართულზე მცხოვრები მეზობელი, ქალბატონო! — რიხიანად ჩავძახე მილში.

— უფრო ზუსტად?..

— მუდამ თქვენი პატივისმცემელი, ლევან ხირსელი, ქალბატონო!

— ბატონო ლევან!... რამ მოგაგონათ ჩვენი თავი, რაში დაგჭირდათ ჩემი გიჟი?

ამ შეკითხვაზე დავიბენი. არ ვიცოდი რა მეთქვა და როგორ ამეხსნა. ბატკნით დამეწყო თუ ბეკეკათი. არარც ის ვიცოდი ვინ იყო ჩემი მობაასე, ვაჟას დედა თუ ბებია.

— იცით რა გითხრათ, ქალბატონო, თქვენმა ვაჟამ თავი ძალიან შემაყვარა. თმახუჭუჭა ბატკანსა ჰგავს... — ეს რა წამომცდა, რასა ვროშავ — გავიფიქრე ელდანაცემმა

— რასა ბრძანებთ, ბატკანი კი არა გიჟია, ნამდვილი გიჟი! — მომესმა მილში სიცილის ხმა.

არა, ეს ვაჟას დედა უნდა იყოს, მაგრამ რა ჰქვია ნოზაძის ცოლს?... მგონი ქეთინო, მგონი ლია, იქნებ თამარი?...

— ლევან ბატონო, მაინტერესებს რისთვის დაგჭირდათ ჩემი ვაჟი, ხომ არაფერი გაწყენინათ? — შემეკითხა ცოტა შემკრთალი მობაასე.

— რასა ბრძანებთ, რა სათქმელია... მე მინდოდა ერთი პატარა საჩუქარი გადამეცა თქვენი ვაჟისთვის... ის ისეთი კარგი ბიჭია... თუ შეიძლება, ერთი წუთით გამომიგზავნეთ...

— თქვენ ძალიან მავალდებულებთ, მაგრამ, აბა, რა გაეწყობა, მხოლოდ ერთსა გთხოვთ, ნუ დააყოვნებთ ვაჟას თქვენთან, გაკვეთილები აქვს სასწავლი ჩემ ზარმაცელას...

— აუცილებლად, ქალბატონო, სულ ერთი წუთით!

ყურმილი დავდე. თავისუფლად ამოვისუნთქე. იბღავლე ეხლა რამდენიც გსურს, ჩემო ბეკეკა! ჩქარა სიწყნარე დამკვიდრდება ლევან ხირსელის ბინაში. გაფიქრებაც ვერ მოვასწარი, რომ შემოსასვლელ დერეფანში ზარმა დარეკა. კარი გავაღე. ჩემს წინ იდგა თმახუჭუჭა, ლურჯთვალება, უბნის ცნობილი ონავარი, მეგობრებში ცაცია-ბიჭად მონათლული ნოზაძის ვაჟი:

— თქვენ მეძახოდით, ლევან ძია? — მოუსალმებლად შემეკითხა ჩემი სტუმარი და თვალები შემომანათა.

— შემოდი, ვაჟა, შემოდი, — მოვიპატიჟე სტუმარი.

ვაჟა ოთახში შემოვიდა და მოლოდინში გაირინდა. მიყუჩებულმა ბატკანმა თითქო იცნო მეგობარიო, პირდაპირ მისკენ წამოვიდა და საცოდავად შესჩივლა — „მეე“.

ვაჟას თვალები გაუბრწყინდა. დასწვდა ბატკანს, მიუალერსა. გასინჯა:

— ლევან ძია, რა ლამაზია! — წამოიძახა აღტაცებულმა ბიჭუნამ.

— მოგეწონა?

— ძალიან... ლევან ძია, იცი რა ყოჩი გაიზრდება!...

— რაშიატყობ?

— ვატყობ. — მოკლედ მომიჭრა ონავარმა.

ვაჟას მხარზე ხელი დავადე:

— გინდა გაჩუქო ეს ბატკანი?

— ეე!.. — გაკვირვებით წამოიყვირა ვაჟამ და უნდობლად შემომაგება თავის ბრიალა თვალები.

— არა გჯერა? — შევეკითხე ჩემ გაოგნებულ ონავარს.

— მჯერა მაგრამ... — არ დაამთავრა ბიჭუნამ.

— ჰოდა, თუ გჯერა, წაიყვანე.

— უჰ!.. რა კარგია, რა ყოჩს გავზრდი!

— მხოლოდ იცოდე, ერთი პირობა უნდა მომცე, დედა არ უნდა გააჯავრო. გაკვეთილები თავის დროზე უნდა ისწავლო, სკოლა არ უნდა გააცდინო. დაჰკა ხელი, თუ შეგიძლია ამ პირობების შესრულება!

ვაჟამ ხელი ვაჟკაცურად გამომიწოდა. ბატკანი ზურგზე მოიგდო და გახარებულმა მოჰკურცხლა.

[illegible] დასადგურდა ჩემს სავა-

ნეში. კმაყოფილებით გადავხედე არეულ ბინას. არა, კარგად გამომივიდა, ორი კურდღელი დავიჭირე—სიმშვიდეც და ონავარის გულის მოგებაც. უნდა გენახა რა ბედნიერი იყო ვაჟა, რა ამაყად მიაბიჯებდა თავისი ტვირთით. არა, მაინც რა ცოტა ჰყოფნის ადამიანს. ჩემო ანტონ, რომ შეგვეძლოს ყველგან სიკეთეს ვთესავდეთ და ყველა სიკეთით ვცოცხლობდეთ!...

შესაღამოვდა. არეულ ბინას მივუბრუნდი. აყრილ-დაყრილი ავეჯი სათანადოდ გავანაწილე. მოქანცულმა მეც აივნის სავარძელში მოვიკალათე და ბინდში წასულ თბილისის ქუჩებს გადავხედე. მერვე სართულის მყუდროებას საბურავების შრიალი და მუხრუჭების ჭრიალი თუ არღვევდა და, კიდევ სადღაც ჯურღმულიდან ბატკნის ბღავილი მოისმოდა ყრუთ და გაბმით.

უცებ, თითქოს ოინბაზის ჯოხის მოქნევით, მთელი ქალაქი ნათურების აკიდოებით აბრჭყვიალდა. ქვემოთ, ქუჩაზე აციმციმდნენ წითელ-ყვითელი შუქფარები. ამ შუქთაფენამ გამახსენა ჩემი ნარკვევი. ამ გახსენებამ ელექტრონის დენივით დამკრა, და მეც ზლაზვნით კერამიკულ ნიმუშებს და ძველ ამფორებს დავუბრუნდი.

სამუშაო თითქო აეწყო. აზრი აზრს მიჰყვა და სიტყვა სიტყვას. ხან მონახაზი უსწრებდა სათქმელს და ხან სათქმელი იკეცებოდა, წინადადების ჩარჩოში ნილბები ყალიბდებოდნენ, ხორცს ისხამდნენ, ცოცხლდებოდნენ, ხელშესახები ხდებოდნენ.

ყინული გალხვა, თავისუფლად ამოვისუნთქე. ამაღამ ალბათ კისერს მოვუგრეხ ამ ნარკვევს და დილამდე საბოლოო წერტილს დავუსვამ, გავიფიქრე დამშვიდებულმა და მყუდროებით სავსე ოთახს თვალი შევავლე. ფიქრი ისევ ნარკვევის ირგვლივ ტრიალებდა:

„თუ ჩანაფიქრს ბოლო მოვაბი, თუ რედაქტორმა არ შეკრიჭა, როგორც ყოველთვის, — ვფიქრობდი მე, — ჩემი ნარკვევი როგორც ნაღმი, ისე გასკდება. შეიქმნება ალიაქოთი, მითქმა-მოთქმა, აყალმაყალი. [illegible] ბევრი ჩემ მხარეს დაიჭერს და ცოტა სხვისას. ბოლოს, ეს ცოტაც უნდა მიხვდეს, რომ შრომა და პატიოსნება ჩვენი ყოფის საძირკველია, რომ...“

უცბად შევკრთი. სიზმარია თუ ცხადია... ჩემს შემოსასვლელ დერეფანთან ბატკნის ბღავილი მომესმა. — „არა, უთუოდ მომეჩვენა, უბრალოდ ყურმა მომატყუა. სამწუხაროდ, ისევ გაისმა ბღავილი. დერეფანში ზარმა მეხად დაიგრიალა. დიახ, მეხად, როგორც ბრძანებამ, როგორც მოკლე ულტიმატუმმა.

ელდანაცემი; წამოვვარდი — „ვინ უნდა იყოს?... ღამის თერთმეტი საათია, ნუთუ... ნუთუ...

კარი გავაღე. ჩემს წინ ფერმკრთალი, თმაგაწეწილი ქალი იდგა. ხელში ბატკანი ეჭირა და გამკიცხავად შემომყურებდა:

— შემობრძანდით... — გაუბედავად მივმართე მე.

— ბატონო ლევან, რა დაგიშავეთ ისეთი, რომ წყნარი ოჯახი ამირიეთ?

— რასა ბრძანებთ, განა რა მოხდა? შევეკითხე სახეალეწილ მანდილოსანს.

— როგორ თუ რა... ამ ბატკანმა აიყოლია ჩემი ვაჟა, გაკვეთილებიც დაავიწყა, ჭამაც, ძილიც. ისე რა იყო, და ამ ბატკანმა სულ ერთიანად გადარია. აიკვიატა, ყოჩად უნდა გამოვზარდოვო, ჩემთან უნდა დაიწვინოვო, გაჯავრებულმა მამამისმა ძალით ჩააგდო ლოგინში, და ძლივსძლიობით დააძინა. ძილში ბორგავს და ბუტბუტებს. გადამერია უთუოდ. რა მეშველება არ ვიცი! — თითქმის ტირილით დაამბოლოვა მოულოდნელმა სტუმარმა.

— დაკალით, — მოკლედ მოვუჭერ პასუხად.

მანდილოსანი გაცეცხლდა.

— მეხუმრებით თუ დამცინით? — ხმას აუწია სტუმარმა.

— რასა ბრძანებთ. ბატკნის მწვადებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა შეედრება, — დამშვიდებით მივუგე მე.

— იცით რა გითხრათ... ჩაიბარეთ თქვენი ბატკანი. გინდა დაკალით, გინდა შეწვით, გინდა დააღრჩეთ, მხოლოდ იცოდეთ, ამაღამვე უნდა გააქროთ. რომ ჩემმა ბიჭმა არ მიაგნოს მაგის გზა და კვალს. გესმით, ლევან?!

თითქმის მიბრძანა გაცეცხლებულმა ქალმა და ჩემ სადგომს ლანდივით მოწყდა.

დავრჩი ასე, ბატკნით ხელში, ღია კარს ზურგით მიყრდნობილი, საცოდავად გაშტერებული, უსაბაბოდ დამცირებული, მოულოდნელად შერისხული.

როგორც იქნა, მოვედი გონს. ნოზაძეების ბინიდან გაძევებული ბატკანი აივანზე რკინის მოაჯირს მივაბი, მარინიკას დაგლეჯილი ბალახ-ბულახის ნარჩენებით გავუმასპინძლდი, მაგრამ ბალახი რად უნდოდა საცოდავ კრავს. იმას ეხლა დედა უნდოდა, რძე უნდოდა, სითბო უნდოდა და რადგან არცერთი არ გააჩნდა, განუწყვეტლივ ბღაოდა საბრალო და მუდარით მშობელს უხმობდა.

ვცადე ნარკვევს დავბრუნებოდი, მაგრამ ამაოდ. ბატკნის ბღავილში აზრს სადავეს ვეღარ ვუჭერდი. სიტყვები ხტოდნენ ჭინკებივით უადგილო ადგილას იჭედებოდნენ. ასოები დავლურს უვლიდნენ, მძიმეები თაგვებივით ქაღალდზე დაცუცუნებდნენ, წერტილები ნაწვიმარის წვეთებივით ითხლაპებოდნენ პატარ-პატარა გუბეებად. უმწეობით გაოგნებული შევყურებდი ხან ბატკანს და ხან ჩემ ნაწერებს.

ტელეფონის ზარმა დარეკა. გამხნევებული დავწვდი ყურმილს:

—მეზობელო, მოგვასვენეთ ღვთის გულისათვის!... — ჩამესმა ყურთ მუდარის ხმა. „მეე“ — უპასუხა ჩემს მაგიერ შეჩვენებულმა ბატკანმა.

ვერ მოვასწარ მილის დადება და ზარი უმალ აწკრიალდა:

— გისმენთ!.. — შევეპასუხე უხილავს.

— გააჩუმე შენი ბეკეკა, თორემ არ ვიცი რას გიზამ!

— რას მემუქრები, ბატკანი ბღავის, მე კი არა!

— შე ურჯულო, ექვს საათზე ვარ ასადგომი, გესმის თუ არა, როგორ მავუჯდე მანქანას და როგორ გავყვე ლოჯინის გზას ღამენათევი, შენ აგებ პასუხს ჩემ მაგიერ საჭეზე, რომ წამით წამთვლიმოს?!

— ღმერთი-რჯული, ბატკანი არის დამნაშავე, მე რა შუაში ვარ?..

— რაკი აგრეა, ამოვალ და ორივეს დაგკლავთ!..

მილში ზუილი გაისმა, მილი დავდე. იქვე ჩამოვჯექ მაგიდასთან და გონმიხდილი მივეკარი სავარძლის ზურგს.

წუთით ჩამთვლიმა. ტელეფონის ზარის წკრიალმა სავარძლიდან წამომახტუნა რეტმორეული გიჟივით. დავწვდი ყურმილს და ჩავძახე გაანჩხლებულმა:

— ბატკანი ბღავის, ბატონო, ბატკანი!.. რაო?. რად იშლით ნერვებს, დაწყნარდით... არაფერი არა მესმის რა, დიახ, დავყრუვდი... დიახ, დიახ, ბატკნის ბღავილმა... და კიდევ თქვენმა ისტერიკამ სმენა დამიხშო... სიამოვნებით შემოგწირავთ უბიწო კრავს, როგორც ხატებს, როგორც უბიწო ღვთისმშობელს, რას მიბრძანებ?.

მილში მკაფიოდ გაისმა კაპასის ხმა:

— მაგათი მადლი გაგწყრომოდეს, ნეტა რას მიედ-მოედები!.. შენ ეს მითხარი, მერვე სართულზე ბატკანი ვის გაუგია?.. არა, ეგ შენი სადგომი მთის საძოვრები თუ გგონია, ან ცხვრის ფარეხი?.. მომიყვა აქ ზღაპრებსა და იგავარაკებს. ვაი შენ დღეს, უსუსურო პროვინციელო!

ჩემმა უცნობმა მეზობელმა ყურმილი დადო, ბაასი შეწყდა. მართალნი იყვნენ ბინადარნი, იმათ ადგილას მეც აგრევე მოვიქცეოდი. მაგრამ რა ვუყო საცოდავს, ვის მივაჩერო, ვის მივუგდო ამ შუაღამისას.

კრავი თითქო მიუხვდაო გაჭირვებას მომიახლოვდა, თანაგრძნობით შემომა-

ცქეროდა და ტირილით მომისამძიმრა — „მეე“.

რა უზომო სევდა იყო იმის თვალებში და რა გოდება მის ბღავილში, რომ იცოდეთ, გაგიკვირდებათ!

ვიდექი ერთ ხანს გარინდული და არ ვიცოდი რა მეღონა. ჩემმა ახალმა ბინადარმა ბღავილს უმატა .ყოველი მისი ამოკვნესა ტანში მზარავდა .

— უცოდველო, ცოდვილთა შორის, უნდა დავშორდეთ ერთმანეთს, სხვა გზას ვერ ვხედავ... — ავუხსენ ჩუმად, სტუმარს და ხუჭუჭა გულში ჩავიკარ. დავუკოცნე შავი ტუჩები, ცრემლიანი თვალები და ჩემი მტირალა მეგობრით ლიფტს მივაშურე.

მთვარის შუქით განათებულ ფართო ეზოში მარაოსებრ ჩრდილებსა ფენდნენ ჭადრები და ვერხვის ხეები. იასამნების ბუჩქებთან ხასხასა მოლი ბიბინებდა.

— აი, შენთვის ედემის კუთხე! — გავამხნევე ჩემი ობოლი და გავუშვი. ბატკანმა ცერად შემომხედა, უკანასკნელად შემომტირა და იასამნის ბარდებში გაუჩინარდა.

ფეხაკრეფით გავშორდი იქაურობას, როგორც ქურდი და უსინდისო მოღალატე.

ჩემი ბინა აოხრებულ ბუნაგს ჰგავდა, მაგრამ ამჟამად აღარაფრისთვის არ მეცალა. გამოფიტული და დაღლილი ძლივს მივლასლასდი საწოლთან და პირქვე დავემხვე. ძილმა წაიღო ყველაფერი: გულუხაიძეც, ბატკანიც და მაიმუნებიც.

მაგრამ ამით არ გათავდა ჩემი გოლგოთა, ჩემო ანტონ, მართალია ეს ბარათი ცოტა გაგრძელდა, მაინც უნდა მოუსმინო მეგობრის ჩივილს... ერთი სიტყვით, მრავლად არიან წვრილმანები ადამიანის ცხოვრებაში, რომელთა ფასიც გროშია და არსად არ მოიხსენება, არც საანკეტო კითხვაში და არც ავტობიოგრაფიაში.

დილით ადრე, წათხის სუნმა გამომაღვიძა, თავი მტკიოდა. მაზიდებდა წამოვდექი, უნდოდ გავხედე აფორიაქებულ ბინასა და საწერ მაგიდას, ნამთვრალევი კაცის ნაბიჯით მივადექი ივნის კარს და გავაღე. ლისის სიომ მომიალერსა, მესიამთვნა ეს ალერსი და აივნის წნულ სავარძელში ჩავეშვი. მახათის მხრიდან მზის შუქი ავარდისფრებდა ალიონს. იღვიძებდა თბილისქალაქი. იღვიძებდა ჩემი აზრიც და წუხანდელი წამებაც.

ამას მოჰყვა კიდევ ერთი გადაუჭრელი პრობლემა; რა მოვუხერხო ყველის კვერებს?.. წათხის სუნი აქოთებს ჩემ. ბინას და მშენებლობის წყალობით სხვის ბინებშიაც მოურიდებლად შეიჭრება, ამას მოჰყვება ტელეფონების ჯახი და აურზაური.

მზე შუბის ტარზე გადმოდგა. აცაგდნენ ნაირფერი სახურავები, აბორიალდნენ სხვადასხვა ჯურის მანქანები, ბატონმა ავტოინსპექციამ წივილ-კივილით შეუტია დილის სიჩუმეს. ხალხის ნაკადი დაიძრა ნანიაღვრალი ღვართქაფით. დაიწყო დღე ჩვეულებრივი ქშენითა და ჩვეულებრივი ფუსფუსით. იგ არის, რომ ჩემი დილა ამოუცნობ ამოცანას წარმოადგენდა ყველა უცნობით.

„გუდაში დევს თუშური ყველის ორი კვერი. თითო კვერი ხუთ კილოგრამს აღემატება. ესე იგი, ჯამში სულ ათი კილოგრამი. ცხიმიანობა უმაღლესი. არომატი — თავბრუს დამხვევი. ხარისხი — გაჭრი კვერს და ობოლი ცრემლი დაგორდება ვერცხლის წყალივით. ყველის გემო — მადის მომგვრელი, განსაკუთრებით თუ თონის შოთი თან ახლავს და ცოტა ახალი ტარხუნა. ქორფა კიტრსაც არა უშავსრა. ჩამოთვლილი კომპონენტები ხელს უწყობენ „თუშური ყველის“ უმაღლეს აღიარებას.

მაგრამ სად არის „თუშური“?.. სრულიად გაქრა. სრულიად. ის არც ავლაბრის ბაზარშია, არც თელავში, არც ახმეტაში და არც მთიანეთ-ომალოში. ამბობენ — ოსტატები აღარა გვყავსო!..

— ჰოდა, აი. მე ამ სიმდიდრის მფლობელი ვარ, მაგრამ რა ვუყო ამ დოვლათს?..

— ვთქვათ მარტო მე!.. ესე იგი, მარტო ჩემთვის გამოვიზოგო, უპირველესად ყოვლისა, ეგ ღორობაა. ჩვენში რომ ვთქვათ. გარდა მაგისა, რა შემაჭმევს ორ კვერს!..

— არის მეორე ვარიანტიც: ჩამოურიგო მეზობლებს ეს ამანათი წუხანდელი შეწუხების გასაქარვებლად?.. მაგრამ არა, ძილგატეხილთა გუნებას ყველი ვერაფერს უშველის. არც ეყოფათ, [illegible] არიან ბინადარნი ჩაჭედილები სართულებში, როგორც თაფლი სანთლის ფიჭაში. ერთს უძღვნა და მეორეს არა, სადაური სამართალია! ისა სჯობია მახლობლებში თანაბრად გავანაწილო ლუკას ძღვენი...

გადაწყდა!.. გამოსავალი ნაპოვნია!.. მაგრამ... მაგრამ ამისათვის საჭიროა ორივე კვერი დაიჭრას ზუსტად თანასწორ ნაწილებად. ორი კვერიდან გამოვა ათი მოზრდილი ნაჭერი. ყოველი ნაჭრის შესაფუთად საჭიროა გასანთლული და მოვერცხლილი ქაღალდი... ეს იმად, რომ საჩუქარმა პეწი დაიდოს. რომ არ შეგრცხვეს მიართვა ძვირფას ადამიანს, ვერცხლის ქაღალდში შეხვეული ეგზოტიკური საჩუქარი.

ერთი სიტყვით, კვერები კოხტად დავჭერი, სანთლისა და ვერცხლის ქაღალდიც ვიშოვე, ვიშითა და ვაი-ვაგლახით. ნაჭრები კოხტად შევფუთე განოცდილი გასტრონომივით და მაგიდაზე ჩავამწკრივე დათარსული ნარკვევის გვერდით. (ოთახში ერთი მაგიდა დგას საწერიცა და საპურ-მარილოც.)

რომ გენახა რა გულნატკენნი შეჰყურებდნენ გადაბღაჯნილი ფურცლები და ნაწიოკები სიტყვები მათ წინ აღმართულ გოლიათებს. თვალზე ცრემლი მოგადგებოდა.

ეს ეტაპი, კაცმა რომ თქვას. სანაქებოდ დავაგვირგვინე. მერე ოთახი დავგავე, ყველაფერი დავასუფთავე, ნაგავი და წუხანდელი ბალახ-ბულახი ყველის დაფუკულ გუდაში ჩავყარე და ნაგავგამტარში გადავუძახე.

დაღლილი ტახტზე წამოვწექი. წამთვლიმა კიდეც, მაგრამ ფიქრმა გამომაფხიზლა. ამაღამაც უნდა უთიო, მძიმე ტვირთივით წამოკიდებულ დავალებას. არაფერია, ერთ ღამეში კისერს მივუგრეხ უთუოდ! — გადავწყვიტე უყოყმანოდ და ალმაცერად გადავხედე მაგიდაზე გამწკრივებულ ჩემს ამანათებს.

მაგრამ ძღვენის განაწილებას ადრესატები სჭირდებოდა. განვიზრახე სიის შედგენა. ეს მონაკვეთი ყველაზე ძნელი აღმოჩნდა ამ უცნაურ ესტაფეტაში.

ოფლის ღვრამა და ჭაპანწყვეტამ სია ოც კაცზე დაიყვანა. ვინ ამოვიღო ამ სიიდან!.. ხელს ვერავის ვერ ვახლებ. არადა ათი ოცზე, ხუთასი გრამი გამოდის, თან ხელახლა დანაწილება და შეფუთვა — ეს ჩემ ძალას აღემატება. გარდა ამისა, რა არი ხუთასი გრამი თუშური?.. წამალი თუ თავის შერცხვენა!.. მართალია არც ათასია ბედენა, მაგრამ მაინც კილოგრამია!

გულგატეხილი ისევ ჩემ სიას დავუბრუნდი და უეცრივ წამოვიყვირე:

— ევრიკა!

ჩემ სიაში ოციდან ათი (სწორედ ათი) რედაქციის ხელმძღვანელი ამხანაგი აღმოვაჩინე „მლიქვნელო“ — ვუსაყვედურე ჩემს თავსა და ათივეს ხაზი გადავუსვი. სიაში დარჩნენ მახლობლები, ჩემი სკოლის საყვარელი მასწავლებლები და ერთი მერხის მეგობრები.

მერე ამ სიის ორად გაყოფა მომიხდა: ტელეფონების მფლობელები და უტელეფონო მდგმურები.

— მამიდა!

— ჰო. შვილო...

— ყველი გინდა?

— ჰა?!

— გუდის ყველი, მამიდა, თუშური ყველი!..

— როდის გახდი ბიჭო მეცხვრე?..

გაბეზრებულმა მილი დავდე.

მოდი და ეხლა აუხსენი მამიდაჩემს, როდის გავხდი მეცხვარე და როგორ გაჩნდა მერვე სართულზე გუდის ყველი და ბატკანი. დანარჩენ ორს ხვალ დავურე ა. შვილს ტელეფონი არა აქვს. იმათ

მე უნდა მივართვა. რა გაეწყობა. კარგა ხანია არ მინახავს ჩემი ახლო ძერნახეენი, ჩამოვურიგებ საჩუქრებს და მოვუბოდიშებ.

საღამოს შვიდი საათია. ვჩქარობ. დღესვე უნდა ჩამოვუარო შვიდივეს, ყველის ნაჭრებს ჩანთაში ვაწყობ საათუთად. ცოტა მძიმე გამომივიდა. არაფერია. გავუძლებ. ამ შვიდეულში ყვე-ლაზე ახლო ვინ ცხოვრობს?.. აჰა!. რუსული ენის საყვარელი მასწავლებ-ელი, იაკობ ივანეს-ძე ბელოვი. სკოლაში „იაშკად“ მონათლული ონავარი მოწაფეების წყალობით. საუცხოო ადამიანი, კარგი რუსი ინტელიგენტი, განსწავლული მრავალმხრივი და უბრალო, კაცური კაცი.. პატივცემული იაკობი ამჟამად პენსიაზეა, მაგრამ მაინც არ ივიწყებს თავის საყვარელ მოწაფეებს, საყვარელი მოწაფეები კი ბლომად ჰყავს გაფანტული უკიდეგანო საბჭოეთში. მას სწერენ და ისიც პასუხს არ უგვიანებს. როცა შემხვდება, სევდანარევი კილოთი მეპატიჟება ჩაიზე და ნადის ცნობილ ნამცხვარებზე.

„ნადი“ — ნადეჟდა სემიონოვნას შემოკლებული სახელია. ქალბატონი ნადეჟდა კი იაკობ ბელოვის მეუღლეა. ნადეჟდა ერთ დროს მსახიობი ყოფილა და „ჰამლეტში“ ოფელიას სახე გამოუძერწავს ბრწყინვალედ, რომელიღაც პროვინციულ თეატრში. მაგრამ იაკობ ბელოვს უჯობნია ჰამლეტისათვის და ნადეჟდა სემიონოვნა მოუტაცნია.

ნადის დღესაც გაგიჟებით უყვარს თეატრი, შორიდან იცნობს მსახიობებს. ტელეეკრანზე უცქერის სმოკტუნოვსკის და ჩუმ-ჩუმად იცრემლება. საერთოდ ნადეჟდა სენტიმენტალურია. უყვარს სევერიანინი და ზეპირად იცის ნადსონის თითქმის ყველა ლექსი. ქმარი ლმობიერად ეპყრობა ცოლის გატაცებას და ათასში ერთხელ მოაგონებს:

— ეგ სხვა ეპოქაა, ნადი!

— მე იმ ეპოქისა ვარ! — ჯიუტად უპასუხებს ცოლი და ზეპირად წაიჩურჩულებს:

Если это возможно, устрой
Наше счастье, разбитое мной,
Ощущений отцветших пусть рой,
И в душе полумрак ледяной.

— ცუდათა ქღერს?..

— არა, რათა, მაგრამ ეგ მაინც, ჩემო კარგო. ეპოქების შეტაკებაში გასრესილი ადამიანის კვნესაა და სხვა არაფერი.

— ცოტაა ეგ?

— ახალ სამყაროს გაორებული ლანდებისათვის აღარ სცალია, სხვათა შორის, არც ცხრაკლიტულში. ჩაკეტილი ლამაზმანისთვის... დამიჯერე, ბლოკის „თორმეტი“ ყიჟინაა ბრძოლისა და ჰიმნია გამარჯვებისა!

დაახლოებით ასეთია სტენოგრამა იაკობის და ნადის დავისა. კამათი მუდამ მინორულ ჰანგში გადადის ლირიკული დაბოლოებით.

ეს პაექრობა ნადეჟდას ხელს არ უშლის იყოს კარგი დიასახლისი, მოსიყვარულე მეუღლე და სტუმართმოყვარე მასპინძელი. მათ ბინაში მუდამ ტკბილი მყუდროებაა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გამოცდილმა ბიბლიოთეკარმა დამსახურება მიიღო და პენსიაზე გადავიდა.

მეც ბელოვების მყუდრო ბინისაკენ გავეშურე ჩემი ძვირფასი ტვირთითა და იმედით გულში.

კარი ნადეჟდამ გამიღო.

— მადლობა ღმერთს!.. რომელმა ქარმა გამოგრიყათ ჩვენს ნაპირებთან?.. — თქვა ესა და პასუხს აღარ დაელოდა ისე გასძახა მეუღლეს — იაკობ, ნახე ვინ გვესტუმრა!

კუთხეში მივდგი ჩანთა და ნადეჟდას ხელზე ვემთხვიე, თან უნებურად გავიფიქრე: — კიდევ უფრო შებერებულა ჩვენი ნადეჟდა სემიონოვნა... როგორ გარბის წყეული დრო...

დერეფანში შალმოსხმული იაკობი გამოკუნკულდა. გადამეხვია, გადამკოცნა, გულში ჩამიკრა, თან ხმის კანკალით მომმართა:

— ყოჩაღ, ლევან, არ ივიწყებ შენ მოხუცებულ მასწავლებელს, მართალია

არ მანებივრებ, მაგრამ მაინც არ მივიწყებ, ესეც კარგია!

ბაასმა დერეფნიდან სასტუმროში გადაინაცვლა. ყველგან სითბო და ალერსი. სლავური ორნამენტებით ამოქარგული საფენები, მოჩუქურთმებულ ჩარჩოებში ჩასმული რეპინისა და ადრინდელი პიკასოს სურათების რეპროდუქციები, ბელოვის მიერ ნახატი პუშკინისა და რუსთაველის პორტრეტები, თაროებზე ქართული ქაშანური და რუსული კერამიკა. ყველაფერი ზომიერად, სადად და ლაზათიანად.

ნადი, ჩემი კატეგორიული პროტესტის მიუხედავად, მრგვალი მაგიდის გაწყობას შეუდგა. მე და ჩემი საყვარელი პედაგოგი რბილ სავარძლებში მოვთავსდით და ბაასმა აგვიყოლია.

— იაკოვ ივანოვიჩ, როგორ ბრძანდებით, შეეჩვიეთ პენსიონერის მდგომარეობას?

— პირველ ხანებში მიჭირდა, მერე თანდათან შევეჩვიე, თუ მანამდე გაზეთების წაკითხვის დრო არც კი მრჩებოდა, ეხლა ყველაფერს ვკითხულობ აუჩქარებლად. ნადის წყალობით ხშირად დავდივარ თეატრში. მიყვარს ოპერა, ბალეტი, დავუბრუნდი საყვარელ წიგნებს, ვუსმენ რადიოგადაცემებს. ამ ბოლო დროს ისევ პორტრეტებს მივმართე, ძალიან მიყვარს მხატვრობა. შეიძლება... — აქ მოხუცმა ამოიოხრა და გაჩუმდა.

— რა შეიძლება?.. აზრი რათ გაგიწყდათ საყვარელო მასწავლებელო? — ალერსიანად შევეკითხე ჩემს მობაასეს.

— კარგად მოგერგო გეტყობა ცნობისმოყვარე კორესპონდენტის ბუნება.

— ვერ გავიგე.

— „შეიძლება“ ეს მხოლოდ ჩემი სამყაროა, ახალგაზრდობის ფრთებშეკვეცილი ოცნება, ასე ვთქვათ ბიოგრაფიის დაუწერელი ფურცლები. — თქვა მოხუცმა და მზერა პუშკინის პორტრეტს მიაპყრო.

გუმანით მივხვდი რა აწუხებდა და რბაისელი ბელოვის გულს შეცდომა, დაშვებული ცხოვრების გარიჟრაჟისას. შეცდომა, რომელსაც ვერავინ ვერ გამოასწორებს. ყმაწვილობისას ის ოცნებობდა რენუარზე, ვრუბელზე და მოხეტიალე ფიროსმანზე. სიბერის ჟამს მას შერჩა ხელთ ზმნა, თანდებული და მარტივი წინადადება.

შევეცადე ბაასი სხვა საგანზე გადამეტანა:

— იაკოვ ივანოვიჩ, თქვენ ბინაში მე ვერ ვხედავ ჯადოსნურ სარკეს!

— ტელევიზორსა გულისხმობ?

— დიახ.

— ვერ შევეგუე, ჩემო ლევან, მეცნიერების და ტექნიკის ამ ეპოქალურ მიღწევას. მართალია ეგ „სარკე," როგორც შენ ბრძანე, ინფორმაციის გადმოცემის დაუშრეტელი წყაროა, მაგრამ მე მაინც მირჩევნია „პრავდის“ ფურცლებზე წავიკითხო საინტერესო წერილი, ვიდრე ვუსმინო ცისფერთვალება გოგონას თავდახრილი მოწაფესავით...

— იაკოვ ივანოვიჩ, არა სჯობია ფერად ეკრანზე უცქირო ფეხბურთს, კალათბურთს, ან თუ გნებავთ ყინულზე ცეკვის ილეთებს?

— ეგ ჩემთვის, ლევან, ჩემო კარგო, გარდასულ დღეთა სიზმარია. არც იმაზე გეკამათები, რომ ტელეეკრანს მრავალ დარგში მყარი ადგილი უჭირავს, არც იმაზე, რომ მას დიდი მომავალი აქვს. მე ინტელექტის არსს ვგულისხმობ!..

— მაპატიეთ, ვერ მიგიხვდით!

— ბოლო წლებში უფროს კლასებში ვასწავლიდი ტოლსტოის „ანა კარენინას“ და სამწუხაროდ დავრწმუნდი, რომ ამ შედევრზე ისინი მსჯელობდნენ კინოეკრანზე ნახული შთაბეჭდილებით. მათ წაკითხული არ ჰქონდათ ეს დიდებული რომანი. მათ დახატული არ ჰყავდათ თავისი ანა, ისინი მხოლოდ მსახიობთა მონახაზი სახეებით იფარგლებოდნენ. ეს არ ნიშნავს ინტელექტის გაღარიბებას?

— იაკოვ ივანოვიჩ, ტარასოვა დიდებულია ანას როლში!

— მე მაგაზე არ მოგახსენებთ. მე ვგულისხმობ რაც კინო და ტელე-

ეკრანის მიღმაა, რაც ყველაზე საგულისხმოა, ის რაც ავტორის უკიდეგანო სამყაროა. როცა თქვენ წიგნსა კითხულობთ, ესე იგი, შედიხართ მწერლის სამყაროში, მაშინ თქვენ თქვენდა უნებურად თანაავტორის ხვედრს კისრულობთ: ხატავთ გმირებს ავტორთან ერთად, ხშირად იქნებ არც ეთანხმებით, ხშირად თქვენ ფერებს უმატებთ, ხშირად ამუქებთ, ეს ამდიდრებს თქვენს ბუნებას, თქვენს აზროვნებას. მე ჩემი სტივა ობლონსკი მყავს; თქვენ ალბათ თქვენი, სხვას თავისი, მაგრამ ყველა ტოლსტოისებურად მოქნეული ფუნჯის მოსმიდან გამოვდივართ: «Он был на «ты» со всеми, с кем пил шампанское, а пил он шампанское со всеми...».

ერთი კადრი გადაგიშლით გმირის ხასიათს, მისცემს საზრდოს გონებასა და ფანტაზიას.

— მართალია, მშვენივრად არის მოცემული, უბრალო შტრიხით, სტივა, ობლონსკის ქარაფშუტული ხასიათი, — დავუდასტურე მასპინძელს.

— ანდა, კეთილი ინებეთ და ეკრანზე გადაიტანეთ შოთას უკვდავი სიტყვები: — „ბოლოს შეჰყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მცხოვანი, სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!“

— ეგ ტაეპი შეიძლება ლეიტმოტივი გახდეს რომელიმე კინო ან ტელესურათისა, იაკოვ ივანოვიჩ!

— შეიძლება, მაგრამ ის გალხვება მოქმედებაში და დაჰკარგავს თავის სურნელებას. და რაც ყველაზე მთავარია ანდამატსა და ბრძნული აზრის ბრწყინვალებას.

— გასაკვირი არაფერია, ენისა და ლიტერატურის პედაგოგს ყველაზე ძლიერ თავისი საგანი უყვარდეს! — სიტყვა მოვუჭერი მობაასეს.

— არა, ძმობილო, პედაგოგიკა უძლურია ამ შემთხვევაში, ის ეპოქის არტახებშია მომწყვდეული. აბა, ერთი წარმოიდგინე, მოწაფე თვრამეტი წლისა, რომელსაც ჯერ დოსტოევსკი არ წაუკითხავს. წავა ასეთი ყმაწვილი კინოში, ან მიუჯდება ტელეეკრანს, ნახავს კადრებში კარამაზოვთა ტრაგედიას და ამითი წერტილს დაუსვამს ბუმბერაზის შემოქმედებას. ის რაც კადრების მიღმაა, ის არომატი სიტყვისა, გმირთა სამყაროს სულიერი ფერადოვნება, ის რაც საზრდოა მკითხველის ავტორთან მსჯელობის და პაექრობისა, ესე იგი უკიდეგანო სამყარო დოსტოევსკისა, გაჩალებული ეკრანის იქითა რჩება. წარმოიდგინე რა სულიერი საზრდოს მარაგი დაჰკარგა ამ ახალგაზრდამ.

— მაშ რა ვუყოთ, აიკრძალოს კლასიკური ნაწარმოების გადატანა ეკრანზე?

— დიახ, ყველას თავისი პალიტრა აქვს. თეატრს პიესა, კინოს და ტელეს— სცენარი, ოპერას თავისი ლიბრეტო, ბალეტს თავისი ნახაზი. ანას განცდანი ეპოქაა, ის ცეკვით ვერ გადმოიცემა. დაგვტოვეთ მარტო ჩვენ გმირებთან. სორელს და მე შუამავალი არა გვჭირდება და ეკრანი ნუ აფერმკრთალებს სტენდალის მიერ ნაკარნახევ ჩემი გმირის საყვარელ სახეს. ის ჩემთან დარჩეს, ჩემს გულში!

ჩვენი ბაასი დიასახლისის ხმამ შეწყვიტა:

— ჩაი მზად გახლავთ. გთხოვთ მობრძანდეთ! — მიგვიპატიჟა ნადეჟდამ.

ქათქათა სუფრით დამშვენებული მაგიდა სავსე იყო სხვადასხვა ფორმის ნამცხვრებით, ბროლის ლამაზი ფიალები ხმელი ხილით და ტკბილეულით, მაგიდის შუაში — ლარნაკი ვარდებითა და ყვავილებით, ლარნაკის გასწვრივ, „მატრონას“ ფრთებს შეფარებული, ჩაიდანი, გარსშემორტყმული ფაიფურით.

ვარდებისა და ყვავილების დანახვაზე შუბლზე ხელი შემოვიკარი. ნადეჟდა სემიონოვნა ყვავილების გიჟია და რა ჯანაბამ გადამავიწყა! გარდა მაგისა, ეს უზრდელობად ჩამეთვლება და სხვა არაფერი. რას იფიქრებენ ეს მშვენიერი მოხუცები:

ნადეჟდა სემიონოვნა, საყვავილე და-

ხურული დამიხვდა და ვარდები ვეღარ მოგართვით, მაგრამ, აი სამაგიეროდ...

— აქ სიტყვა აღარ დავამთავრე, დერეფანში გავარდი და სასტუმროში ვერცხლის ქაღალდში შეხვეული ყველით დავბრუნდი:

— მიირთვით იშვიათი დელიკატესი!

— წამოვიძახე ამაყად და ყველი ნადიას გავუწოდე.

— რა არის ეგ? —დაინტერესდა იაკობი.

— ყველი... იშვიათი საშოვნელია!

— როკფორია?..

— არა, პატივცემულო მასპინძლებო!

— პიკარინა?! — წამოიძახა იაკობმა.

— უფრო ახლო, იაკოვ ივანოვიჩ!..

— ვიქტორინას გვეთამაშებით?.. წამოიძახა დიასახლსმა.

— რასა ბრძანებთ... მე თუშურ ყველსა ვგულისხმობდი... ცხვრის სუფთა რძიდან გამოყვანილ გემრიელ პროდუქტს... — ავუხსენი ნადეჟდას მობოდიშებით.

— არ მიყვარს კავკასიური ყველები! — ცივად მომიჭრა სემიონოვნამ.

— რასა ბრძანებთ, სამწუხაროა! — ვუპასუხე დიასახლისს იმავე კილოთი.

— სამაგიეროდ მე მიყვარს... რა სჯობია სულგუნსა და თუ გნებავთ პიკანტურ ნადუღს! — წამომეშველა მასპინძელი.

— გემოვნებაზე არ დაობენ, გემოვნება პირადულია, — ჩავურთე მე და დიასახლისს გადავხედე, რომელიც ამ დროს ფინჯნებში ჩაის ასხამდა.

— ეგ „თუშური“ მე დამიტოვე. ჩემზე უკეთესს დეგუსტატორს შენ ვერ იპოვი! — დაბეჯითებით დაასკვნა პატივცემულმა იაკობმა და ამანათი ჩამომართვა.

თავისუფლად ამოვისუნთქე. თითქო ნადეჟდაც გახალისდა. „ჩაიობაც“ ლირიკულ ჰანგზე აეწყო. მხოლოდ მე ვიყავ მოუსვენრად. კედლის საათის ბოხი ხმა ჟრუანტელს მგვრიდა. რა ხანია ამოიწურა ბელოვებისთვის განკუთვნილი ვიზიტის დრო. ბაასი ხტოდა ტოტიდან ტოტზე მოფარფატე ბეღურასავით.

ბოლოს ნადეჟდა სემიონოვნა გარდასულ დღეთა ტკბილ მოგონებას შეეხო, სევდანარევი კილოთი ჩაიჩურჩულა ნაწყვეტი კრუჩინინას მონოლოგიდან.

— ნადეჟდა სემიონოვნა, თქვენ დღესაც კი დაამშვენებდით სამხატვრო თეატრის სცენას, რა გარდასახვის უნარი და რა გრძნობების ექსპრესია! — პათეტიკურად შევძახე და დიასახლისს ხელზე ვემთხვიე.

— რა ბრძანებაა დაჩრდილავდა, მე რომ არა, სარა ბერნარს, — ჩაიდუდუნა მეუღლემ და ეშმაკურად თვალი ჩამიკრა.

ნადიმ ამაყად გადახედა თავის ქმარს და მე მომიბრუნდა:

Не говорите мне:
  он умер — он живет,
Пусть жертвенник разбит, —
  огонь еще пылает,
Пусть роза сорвана —
  она еще цветет,
Пусть арфа сломана, —
  аккорд еще рыдает!

გუმანით ვიგრძენ... ოჯახური ქარიშხალი ახლოვდებოდა. წამოვდექი. მოკრძალებით გამოვეთხოვე ცოლ-ქმარს და ჩემი ჩანთით ქვევით დავეშვი.

მეორე სტუმრობა ბებიაჩემის კარის მეზობლებთან მქონდა. სილიბისტრო ანთაძის უშვილძირო ოჯახი და ეზეკიაბიცოლას პილპილმოყრილი ალერსი მუდამ მხიბლავდა.

სადარბაზო კარი სილიბისტრო ბიძიამ გამიღო და გახარებულმა შინ მიმიწვია. გადამეხვია, გადამკოცნა. განზე გამწია და ღიმილით მითხრა:

— კორესპონდენტი კაცი ხარ და ჩემი ალერსი რაღათ გინდა აწი, მარა რედაქტორადაც რომ დაგნიშნონ, მე მაინც სილიბისტრო ბიძია ვარ შენი, აი ფაქტია და საით გაექცევით ამას!

— არც მინდა და არც გაგექცევი, სილიბისტრო ბიძია! — მტკიცედ ვუპასუხე მოხუცს, ჩანთა გავხსენი, ანთაძეებისათვის განკუთვნილი ყველის ნაჭერი ამოვიღე და თავმომწონედ გავუწოდე გაკვირვებულ მასპინძელს.

— რაია, ბიძია, აი? მკითხა სილიბისტრომ ჩვეულებრივი გურული კილოთი, ვერცხლის ქაღალდში შეხვეული ამანათი ჩამომართვა და ცნობისმოყვარეობით აჰხედ-დაჰხედა საჩუქარს.

— გუდის ყველია, სილიბისტრო ბიძია, თუშური ყველია სუფთა! — ამაყად წამოვიძახე მე.

— თუშური ყველი?.. — გაიკვირვა სილიბისტრომ და შეშინებიული მზერა ოთახში შესასვლელი კარისაკენ გადაიტანა.

— დიახ, სილიბისტრო ბიძია, ამხანაგმა ჩამომიტანა მთიდან. თითონ მეცხვარეა და საგანგებოდ ჩამომიტანა, — ავუხსენი მასპინძელს და მხოლოდ ეხლა შევამჩნიე, რომ ჩემი მობაასე გარინდული იდგა და ყველის ნაჭერს შიშით დასცქეროდა.

— კაია მარა!.. ბორძიკით დაიწყო სილიბისტრომ და მზერა ისევ კარს შეაპარა.

— რამ ჩაგაფიქრათ, სილიბისტრო ბატონო? — შევეკითხე გაოცებულმა.

— კაია აი... მე ძალიან მიყვარს გუდა... მარა.., შენ კი იცი, ბიცოლაშენი ახირებული ქალია და სახლში არ აჩერებს, ბიძია, ამ ყველს. ერთხელ ბაზარში ვიყიდე და უკან მომახალა თავში. პიწკი ქალია და სუნს ვერ იტანს, იცი?.. — ამიხსნა დარცხვენილმა სილიბისტრომ და ყველის ნაჭერი უკან მომაჩეჩა.

დაბნეულმა ხელი ავარიდე უმიზეზოდ გალანძღულ საჩუქარს:

— რასა ბრძანებთ, ბატონო ჩემო, თუშურს ყველი ვერ შეედრება დუნიაზე, ჩესტერი, პიკარინო და როკფორი მოგონილია თუშურთან· დამიჯერეთ, ყველა მათგანი გამისინჯავს საზღვარგარეთ მგზავრობის დროს, მაგრამ თუშურზე უკეთესი არაფერი არ მიგემნია!

— კაი, აპა, შენ თითონ მიართვი ბიცოლაშენს მაი რაცხა ყველია და ვნახოთ!.. — მოტყდა სილიბისტრო, ამანათი იღლიაში ამომიდო და მტკიცეს რომ ჰგავდა, ისეთი ნაბიჯით გამიძღვა წინ.

— ეზეკია ქალო, გამოდი ელენე, უცხო სტუმარი მოგვივიდა და თუ გამოიცნობ ვინ? — ოთახის კარის შეღებისთანავე ომახიანად შესძახა სილიბისტრომ.

— დეიდუპე საცხა, შე პლუტო-უკუღმართო! — წამოიყვირა მეორე ოთახიდან გამოსულმა ეზეკია ბიცოლამ და გახარებულმა გულში ჩამიკრა.

ამის შემდეგ ვისღა ახსოვდა ჩემი საჩუქარი. აქაოდა მოვიდაო, აქაოდა მოგვიგონაო, მოხუცები დაგვაფასაო, ბებიის კვალს მიჰყვაო, გაიშალა სუფრა, დაპიწკინდა ხაჭაპურები, შეთბა მაცივარში უცაბედი სტუმრისათვის შემონახული შემწვარი გოჭის დაბრაწული ნაჭრები, პიტნაში გადაზელილი „ჭყინტი“ ყველი და აჰყვა სუფრას სილიბისტროს გაუთავებელი სადღეგრძელოები. ეზეკიას გიტარაზე ჩამომღერებული „შალვა, ჩემო საყვარელო...“ მერე ცოლქმრის ჩახვეული კრიმანჭული ჩემი საეჭვო ბანითა და აიტანა ჭერი სიმღერამ.

სანთლის არაყთან და ადესა-ღვინოსთან ერთად, ამ ობლად დარჩენილი მოხუცების სიყვარულიც მათრობდა და თრობასთან ერთად სითამამეც მემატებოდა. ათასში ერთხელ გადავხედავდი ხოლმე, ტელევიზორის ხუფზე მოკალათებულ, ვერცხლისფრად მობრჭყვიალე ამანათს და გული სიამაყით მითრთოდა.

ბოლოს ველარ მოვითმინე, გოჭის ბარკლით გართულ სილიბისტროს დრო ვუხელთე, დიდი ჭიქა ღვინით ავავსე, ჩემის აზრით ყოჩაღად წამოვდექი, ამანათი ხელში ავიტაცე და ეზეკია ბიცოლას მივმართე:

— ჩემო კარგო და საყვარელო ეზეკია ბიცოლა, ყველგან ვეძებე თქვენთვის საჩუქარი, სად პარიზში და სად ათინაში, სად ვენაში და სად ნიქოზიაში, მინდოდა რამე უცხოური ჩამომეტანა, ფული არ მეყო, ეზეკია ბიცოლა, უცხოურისთვის... მერე ის იყო გამახსენდა... აეროპორტში გამახსენდა, თვითმფრინავის გამოფრენის წინ, თქვენი პიწკინა ხაჭაპურები და აი ყველი გიყიდე, ისე გიყიდე გასასინჯად!.. —

წარმოვთქვი ეს და ხელგაწვდილი გავიქიმე ეზეკია ბიცოლას წინ.

სილიბისტრომ გოჭის ნაჭერს ხელი შეუშვა და პირდაღებულმა ამომხედა შეშინებული თვალებით. პირზე მომდგარი ღიმილი ეზეკიამ თავშალის ყურით დაფარა. მდგომარეობა დაიძაბა, მაგრამ მე რა მენაღვლებოდა, ვინ ასმევს კაცს სანთლის არაყს და ადესას ერთბაშად. მე პირადად ჩემი სიცრუის მჯეროდა გულწრფელად.

— მაო, რაცხა, უცხოდ შეფუთულს არა გავს, — შემეპასუხა დაეჭვებული ეზეკია.

— რასა ბრძანებ ბიცოლაჩემო, როკფორია, სუფთა როკფორი, ორლის აეროპორტში ვიყიდე, თქვენთვის ვიყიდე, არა გჯერათ?..

— დასურ? — გაიოცა დიასახლისმა.

სილიბისტრომ წამოიფხორა, ყველი ხელიდან გამომტაცა და ეზეკიას შეუტია:

— გეყოფა, ქალო, რას ჩააცივდი ამ ყაძახს?.. ნაჩუქარ ცხენს კბილებს რომ არ უშინჯავენ, არ იცი შენ?..

ამაზე შეწყდა ძლევნზე დავა. ჩვენ ერთ ხანს სუფრას დავუბრუნდით, მაგრამ სიმღერა და ბაასი ვეღარ აეწყო. სილიბისტროს ხმა ჩაეხლიჩა, ეზეკიამ სამზარეულოს მიაშურა, მე რაღაცა გაურკვეველს ვბოდიალობდი, თავდაყირა რომ ჩამოკიდოთ, არ ვიცი რას. ბოლოს ავდექი, ფეხარეული მასპინძელი მხარში შემიდგა, სადარბაზო შესასვლელთან ძლივს მივლასლასდით, უკან მოგვდევდა ეზეკიას ვიშვიში და ხვეწნა-მუდარა: „სილიბისტრო, არ გაუშვა, ნასვამიაო“

ქუჩაში გასულს გრილი სიო შემომეფეთა. სიომ თითქო გამომაფხიზლა, მაგრამ სასმელმა მაინც თავისი გაიტანა. აღარ მახსოვს როგორ აღმოვჩნდი დიდი შენობის სადარბაზო შესასვლელის საფეხურზე ჩაძინებული. ძილში ვხედავდი მაიმუნების ჯოგებსა და შუბლშეკრული რედაქტორის მრისხანე სახეს.

— მოქალაქე! — ჩამესმა ყურში ბრძანების ხმა, ვიღაცამ მძიმედ დამადო ხელი მხარზე.

— ორლის აეროპორტში ვიყიდე...

— წავიბუტბუტე ჩემთვისა და მხარი ვიცვალე.

— რაო! — შემაჯანჯღარა ვიღაცამ. ავხედე ჩემს წინ ატუზულ ლანდს. ლანდმა თანდათან ხორცი და ფერი შეისხა. წამოვდექი გამხნევებული.

— ესე იგი... „მე მიცავს ჩემი მილიცია“, არა?

— მოქალაქე, ხუმრობას თავი დაანებეთ. რა არი ეს?

მითითებულ ადგილს დავხედე და გავშეშდი — ჩემს გარშემო, ჩემი ჩანთიდან გადმოყრილი ყველის ნაჭრები ეყარა.

— ყველი, თუშური ყველი... იცით...

— გასაგებია, მოქალაქე, გთხოვთ საბუთები მიჩვენოთ! — გამაწყვეტინა სათქმელი მილიციელმა.

ჯიბეები გადავიქექე, მაგრამ ამაოდ, ვერაფერი აღმოვაჩინე.

— არა მაქვს, სახლში დამრჩენია, — წავილუღლუღე დარცხვენილმა.

— უბანში უნდა წამობრძანდე, იქ ყველაფერი გაირკვევა! — მოკლედ მომიჭრა მორიგე მილიციელმა.

— შეიძლება დიდი პრესის კორესპონდენტის დაკავება? — აღვშფოთდი მე.

— კორესპონდენტი ყველით მოვაჭრე არსად არ გამიგონია. ჩააწყეთ თქვენი დოვლათი ჩანთაში და გამომყევით უბანში! — მიბრძანა უკვე მორიგემ.

რაღა გზა მქონდა, ჩემს წინ კანონი იდგა მთელი თავისი უფლებამოსილებით. ეს ცხოვრება, ჩემო ანტონ, საოცარი იონბაზია, რომელიც ისე გაგთოკავს, როგორც სურს. ჩემი წრფელი მიზანი იყო თაღლითთა და არაკაცთა დღის სინათლეზე გამოყვანა, ჩვენი ცხოვრების და ბაღჩა-ბაღის გამარგვლა სარეველა მავნებლებისაგან. მე კი, აი, მივდევ მორიგე მილიციელს ლაფდასხმული, კრიჭაშეკრული და უფლებაჩამორთმეული. თითქო ნაბიჯიც ქურდული მაქვს, გამოხედვაც აცეცებული. ვიცი უბანში ყველაფერი გამოირკვევა.

მაგრამ, თურმე, გრძელი ყოფილა დიდი სახლის სადარბაზოს საფეხურიდან უახლოეს სამილიციო უბნამდე.

ყველაზე ძლიერ თანმყოლი მილიციელის ჩახმახშემდგარი მზერა მკლავს, მზერა ცივი, გამკიცხავი და დამცინავი.. „ამან ალბათ განაჩენიც გამომიტანა“, ვფიქრობ ჩემთვის და ალიონის ზოლს გავყურებ. ამ ცის ზოლმა მკრთალი იმედით გამკენწლა. ქუჩაში ჯერ არავინ ჩანდა. ათასში ერთხელ ტვირთმზიდავები თუ არღვევდნენ ბინდის სიჩუმეს.

— თენდება, — წავიჩურჩულე ჩემთვის და ამოვიოხრე.

— თენდება! — დამიდასტურა მილიციის თანამშრომელმა და შუბლშეკრულმა ცივად, მაგრამ ზრდილობიანად მომმართა:

— აქეთ მობრძანდით..

— მოვედით? — მაშინალურად ვიკითხე.

ობლად დარჩენილ შეკითხვას კარის ჭრიალმა მისცა ბანი.

გრძელსა და ვიწრო დერეფანში ყანჩასავით აზიდული მილიციელი „პრიმა“ სიგარეტს გულმოდგინედ ექაჩებოდა. ჩემმა თანმხლებმა მორიგის კარი შეაღო და გზა მომცა. ზურგში მომხვდა ტყვიასავით ყანჩასაგან გულუბრყვილო ნასროლი სიტყვა: — საღოლ, გრიშა!

სამორიგეო ოთახში თითქმის ბნელოდა. ელექტროშუქი დანათოდა მილიციის თანამშრომლის მაგიდას და ახლო მდებარე გარემოს, ელექტროშუქის ანარეკლი კუთხეში მიდგმულ გრძელ სკამებს და გასწვრივ ფიცხით გადაღობილ მცირე გალიას ლანდავდა. გალიაში ვიღაც ტკბილადა ხვრინავდა და სიზმარში ილანძღებოდა, ეტყობა რაღაც აწუხებდა და ვიღაცას ედავებოდა. გრძელ სკამზე მხოლოდ ორნი ისხდნენ, შავულვაშა ზორბა ვაჟკაცი და ტანწვრილი მანდილოსანი.

გრიშამ (ჩემი თანმხლების სახელი ყანჩამ მაჩუქა) მორიგეს უპატაკა რა და როგორ, მერე ჩემი ჩანთაც გადასცა და თავის დასკვნაც მოახსენა, დაკავებულ მოქალაქის საქციელში ყველაფერი საეჭვოაო.

მორიგემ ამხედ-დამხედა, მერე თვალებში ჩამაშტერდა, ამწონ-დამწონა, სუფთა თაბახი გაშალა, საწერ-კალამი მოიმარჯვა და დაკითხვა ზანტი კილოთი დაიწყო: სახელი და მამის სახელი, გვარი და გვარიშვილობა, საცხოვრებელი ადგილი და ბინის ზუსტი მისამართი, მეზობლები ვინა მყავს და როგორ არიან განწყობილნი ჩემდამი, სადა ვმუშაობ და რა ხელობის პატრონი ვარ. ჩემმა პასუხმა ამ კითხვაზე დამკითხველის გაოცება გამოიწვია:

— ჟურნალისტი?..

— დიახ!

— მოქალაქე, კანონსა სწამს სიმართლე და მხოლოდ სიმართლე!

— დიახ.. მეც სიმართლეს ვემსახურები.

— მაინც?..

— თქვენთვის ცნობილი გაზეთის საკუთარი კო.. რე.. სპონ.. დენ... ტი...

— საბუთები?

— თქვენ საბუთების უფრო გჯერათ, თუ ცოცხალი ადამიანის?

— ამ შემთხვევაში საბუთების...

— რამ დაგაეჭვათ მაინც ჩემში?

— ყველაფერმა.. მაგალითად ყველის ნაჭრებით სავსე ჩანთამ... თქვენმა ძილმა უცხო კიბეზე... ცოტა საეჭვო საქციელმა... ცოტა სასმელის ოხშივარმა.. ცოტაა განა შეიცნო მოხეტიალე სპეკულიანტი?..

— ვერაფერი ფიზიონომისტი და ფსიქოლოგი ყოფილხართ, როგორა ფიქრობთ არა სჭირდება თქვენ საქმეს ეს თვისებები?

— მოქალაქე, დაკითხვას ვინ აწარმოებს თქვენა თუ მე?!

— მე ვაწარმოებ დაკითხვას!

— რა უფლებით?

— გალანძღული ადამიანის უფლებით, დიახ!

— ვინ გაგლანძღათ, ან ვინ მოგექცათ უხეშად?.. ქუჩაში ძილი შუაღამისას და უსაბუთოდ ხეტიალი აკრძალულია კანონით. რაც შეეხება ყველის

საკითხს, ამასაც ჩქარა გამოვარკვევთ. მიკარნახეთ რედქციის ტელეფონების ნებისმიერი ნომერი!..

დაკითხვის ამ შემობრუნებამ, ცოტა არ იყოს, შემაკრთო. დატრიალდება ეხლა იქ, დასაწვავ რედაქციაში საშინელი კორიანტელი და სენსაციას მოყვარული ქალიშვილების ჩურჩული... რედაქტორთან ნაღვლიანი სახით შესული ჭორიკანა მდივანი და განრისხებული რედაქტორი... გათავდა ლევან შენი საქმე... ამ აზრების წუთიერმა კორიანტელმა წამიღო და მორიგეს ცივად უპასუხე:

— უთენია ვინ იქნება რედაქციაში?

— ვცადოთ...

— ვცადოთ... — დავეთანხმე მორიგეს და ამ დროს სამორიგეო მაგიდაზე უეცრივ მწვანე ფერის ელექტრონათურა აენთო, მორიგე სწრაფად წამოდგა, ტანისამოსი შეისწორა და სარივით გაჭიმული გაუჩინარდა.

— მოვიდა აი, ნაჩალნიკი! — წამოიძახა გრძელ სკამზე მჯდომმა ულვაშამ.

— ვნახოთ ეხლა რა დღეს დაგაყრი! — დაემუქრა ულვაშას ტანწვრილი მანდილოსანი?!

— შენ ემანდ ენა ჩაყლაპე! — შეუტია ზორბამ ტანწვრილს. თან თვალები ბუღასავით დაატრიალა.

— შენ ჩაგყლაპოს მიწამ და დატირება ჩემზე იყოს... მოვსწრებოდე შენი კუბოს წაჩანჩალებას კუკიაზე! — აქოთქოთდა კაფანდარა მანდილოსანი.

— ეი თქვენი დედა ავატირე, არ მასვენებთ ადამიანს! — ჩაიხრიალა გალიაში წამოფხორილმა უცნობმა.

— ადექ, გათენდა, ბიძაჩემო, სასაუზმეში წასვლის დროა. ეხლა შენთვის პილატეს ცრემლი მისწრებაა, — ურჩია ზორბამ გალიაში აფხორილ დათვს.

— წადი შენი... — შეუკურთხა გალიაში გამომწყვდეულმა.

— ყოჩაღ, ბიძია, გინებაში ხუთი გეკუთვნის, ბედი შენი გალიაში ხარ! —

— ხუმრობაში გადაიტანა ზორბამ და მერე პირდაპირ მე მომმართა, — ხასვამია და რას უზამ!

— რას უზამ, — დავუდასტურე ულვაშას.

თანაგრძნობით გამხნევებული ულვაშა მომიახლოვდა:

— რაში გაები? ვაჟკაცურად!

— ყველში... — მოკლედ მოვუჭერ ცნობისმოყვარე მოსამძიმრეს.

— ვახ!..

— თუშურ ყველში...

— აფსუს!. .

— მეგობარმა გამომიგზავნა.

— გასაყიდად?

— არა, მეგობრებში დასარიგებლად.

— ესე იგი, საფეშქაშოდ?

— ჰო...

— მერე?

— მერე გავები!

— ვინ გაგაბა?

— მილიციის თანამშრომელმა.

— მარტო იყო?

— ჰო...

— ვახ, ძაან არიფი ყოფილხარ!

— რათა ვითომ?

— შე კაი კაცო, ერთი წითელი თუმნიანი რა ბედენაა!

— მე მაგისი კაცი არა ვარ

— არა ხარ და იჯექი აქ, მანამ შენ საქმეს გაარკვევენ, უყურე ამ დათვს გალიაში, უსმინე ცოლ-ქმრის კინკლაობას და კარგი დახლი დაგიდგება!

— ვითომ თქვენ რაღა გაჩხუბებთ, რა გინდათ აქ? — ვკითხე ხმადაბლა ულვაშას.

— ჩვენში დარჩეს. — აქ ულვაშამ ბაასი სულ ჩურჩულში გადაიტანა, — ზარში წავაგე, არა ვთამაშობ, მაგრამ ჩამითრიეს და წავაგე, გაიგე, ფული არ მეყო წანაგების დასაფარავად ავიღე და. ჩემ დედაკაცს მამისეული ოქროს საათი გავუყიდე. გაიგო და დასაბმელი გიჟივით ამიწიოკდა. არც დაპირება, არც ხვეწნა და არც მუდარა არ გაჭივიდა, მეც ბეზარზე მოვედი და მაგრა შევბეგვე!..

— მერე?

— მეტიჩარა მეზობლებმა აურზაური ასტეხეს. ვინ სასწრაფოს გამოუძახა ვინ

მილიციას. იმათ ეხლა ტკბილათა სძინავთ, ჩვენ კი აი, აქ ვათენებთ...

ბაასი შეწყდა. უფროსის კაბინეტიდან ჩვენი მორიგე გამოვიდა. ულვაშა წამში თავის ადგილას აღმოჩნდა. შემოსულმა ამხედ-დამხედა და წყნარად მითხრა:

— მობრძანდით, უფროსი გთხოვთ...

უბნის უფროსი მომესალმა ზრდილობიანი ღიმილით და სავარძელზე მიმითითა, მერე თითონაც წამოდგა და ჩემს გვერდით მოიკალათა:

— მე თქვენ გიცნობთ, პატივცემულო ჟურნალისტო, მართალია პირადად არა, მხოლოდ თქვენი ფელეტონებით, მამხილებელი წერილებით და საუცხოვო ნარკვევებით!

— ჩემ ყოფაში სასიამოვნო შეხვედრაა! — მორცხვი ღიმილით წარმოვთქვი მე.

— მე და ჩემმა ხელქვეითებმა გადაუჭრელ ამოცანას თავი და ბოლო ვერ ვუპოვეთ. სად თქვენ, სად ძილი შუაღამისას სადარბაზოს საფეხურებზე, სად თქვენ და სად ყველის ნაჭრებით სავსე ჩანთა და ბოლოს არავითარი საბუთი მოქალაქის პიროვნების დადგენისათვის. დამერწმუნეთ, დიდი სურვილიც, რომ მქონდეს, ჩემ თანამშრომლებს ვერაფერში ვერ გავამტყუნებ! — დაბეჯითებით ამიხსნა უბნის უფროსმა.

— ადამიანის ცხოვრება, პატივცემულო უფროსო, სავსეა აბსურდამდე დაყვანილი კურიოზებით! — შევეპასუხე უფროსსა და თავი დავხარე.

— კი, მაგრამ... — არ დაამთავრა უფროსმა

— კურიოზებით. რომელთაც ვერც თავს უპოვნი, ვერც ბოლოს!..

— უფრო ზუსტად?..

— თქვენს წინაშე ამჟამად მსხვერპლია ამნაირი კუროზისა.

— მაპატიეთ, ჩვენი ბაასი მიზნად დაკითხვას არ ისახავს, მე მხოლოდ თქვენი წუხანდელი... ასე ვთქვათ.., „კურიოზის“ მიზეზი მაინტერესებს და არა როგორც უბნის უფროსს. არამედ როგორც თქვენს პატივისმცემელ ადამიანს... — შინაურულად ამიხსნა უბნის უფროსმა.

ამ კილოთი გამხნევებულმა პირი მოვხსენი სათქმელს და ყველაფერი დაწვრილებით ჩავუარაკე მობაასეს. ჩემ ნაამბობზე გულიანად იხარხარა უბნის უფროსმა და როცა გული იჯერა, მირჩია: — ამას იქით უსაბუთოდ არ იაროვო.

სამორიგეო ოთახში მორიგე ფეხზე წამომიდგა, გამიღიმა, ჩანთა გადმომცა და თითქო მობოდიშებით გზა მშვიდობისა მისურვა.

მე ადგილიდან არ ვიძროდი, მძიმე ჩანთა ჯაჭვით შეკრული ტყვესავით წელში მღუნავდა. ფეხის გადადგმა მიჭირდა. გადაღობილში ჭაღარა ისევ ბორგავდა. გრძელ სკამზე ზურგშექცეული ცოლ-ქმარი გაწუწული ბეღურებივით კანკალებდნენ. დინჯი ნაბიჯით მივუახლოვდი ულვაშას და ცოდვის ტვირთი გავუწოდე.

ულვაშა შეკრთა, წამოდგა. თვალებში შიში და გაკვირვება აუციმციმდა.

— ეს თქვენა და, აღარ იჩხუბოთ... „ზარს“ თავი უნდა დაანებო... რედაქციაში მომნახე და ოქროს საათის ყიდვაში დაგეხმარები... გაიგე? მერე მორიგეს მივუბრუნდი: — გაუშვით, აღარ იჩხუბებენ, სიტყვა მომცეს! — ვთქვი ესა და სამორიგეო დავტოვე.

ქუჩაში გასულს თავბრუ დამხვია დილის სიომ. ქალაქი უკვე ცხოვრობდა თავისი ჩვეული ქოთქოთით. მანქანების გრძელი რიგი ხალხის ნაკადს უერთდებოდა და ზვავივით უფსკრულებში იკარგებოდა.

მხოლოდ მე ვიყავ მოწყვეტილი საერთო რიტმს. უძილობისაგან დაღლილი და საოცრად გამოფიტული, სულიერად დაცლილი და ფიზიკურად დაშრეტილი აზრმიუცემლად მივლოლავდი ილაჯგაწყვეტილ ნაბიჯით და მეგონა, რომ ყველა მე შემომყურებდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველამ იცოდა „საკუთარი კორესპონდენტის“ წუხანდელი გულისამრევი ოინები.

რა ოინები?.. ყველაფერში სილიბისტროს ორნახადია დამნაშავე...დამაცადოს. მე დავუნთებ იმას სანთლებს.

ფიქრების ნაფლეთები, შუაში გაწყვეტილი აზრი, ღამის თევა უცხო კიბეზე. „სალოლ გრიშა“, ღრენია დათვი გალიაში, ზარში წაგებული ულვაშას ცოლის საათი... — აქ უცნობმა მანქანა ცხვირ წინ გამიჩერა.

— ლევან! — ჩამესმა ყრუდ. დავაცქერდი და ვიცანი.

— ოჰ, ჩვენ ფოტოკორესპონდენტს გაუმარჯოს!

— მოდი, ჩაჯექი!

ჩავჯექი.

მანქანა ნება დაიძრა და ქუჩის ნაკადს შეუერთდა.

— არა, მაინც სად დაიკარგე? რედაქცია ორი დღეა შენ ძებნაშია, რედაქტორი ცოფებსა ყრის!..

— ცოფები საქმეს ვერ უშველის, ჩემო ტარიელ! — წამოვიძახე სევდანარევი კილოთი.

— დავალება?.. — შემეპასუხა გაკვირვებული ტარიელი და გზას წამით თვალი მოსწყვიტა.

— გზას უყურე თორემ...

— რა თორემ?

— გალაკტიონის თქმისა არ იყოს, „ღამე-ნათევი და ნამთვრალევი ცივ სამარეში ჩავესვენებით“.

— რაში დაგჭირდა ეგ პერიფრაზი?

— იმიტომ, რომ ორნი ვართ და, აქ მრავლობითი უხდება.

— პოეტი თავის განწყობილებას გადმოგვცემს და შენ თუ „ღამე-ნათევი და ნამთვრალევი“ ხარ, მე პირადად კარგა ხანია ღვინოს არ გავკარებივარ, ჩემო ლევან!

— მე კი ვსვი და მილიციის საუბნოს ღამე უთენე!...— და ეხლა ჩემი ოცნებაა შინ მიმიყვანო, შხაპი მივიღო, განვიწმინდო ცოდვებისაგან და თავი მივდო ბალიშზე.

— მერე ნარკვევი?

— ხვალ მოვიტან, შეფსაც ავუხსნი. რა და როგორ...

რას აუხსნი ღამენათევის და ნამთვრალევის ოინებს?

— ნუ სულელობ!

— მე ფოტოები მზადა მაქვს და შენი არ ვიცი.

— ჩვენ ერთმანეთი არ გვინახავს... შევთანხმდით?

— რა გაეწყობა, აგრე იყოს...

— ხვალ უთუოდ მოვიტან ნარკვევს და ყველაფერს მოვაწესრიგებ!

ჩქარა ჩემი სადარბაზოც გამოჩნდა და თავისუფლად ამოვისუნთქე. გამოვეთხოვე ტარიელს და ავყევი ლიფტს.

ასე დამთავრდა, ჩემო ანტონ, შენი მეგობრის ოდისეა...

მყუდრო ბინა ეხლა უდაბნოდ მეჩვენება. ჩემი თავი, ამ უდაბნოში მოხეტიალე პილიგრიმად გატრუნული ვდგევარ ოთახში და მეჩვენება განწირული ბატკნის ბღავილი. უმწეო ბღავილს დაჯოგილ პითეკანტროფთა ღმუილი სცვლის, შემზარავ ღმუილს გადაღობილში დამწყვდეულლოთის გინება, შემდეგ პაუზა და რეპლიკა.. „სალოლ გრიშა!“

ამ შეძახილზე სახეს ალმური მოედო. ამიწითლდა ბიბილოები...

მაგრამ კმარა...

ნამდვილად კმარა. იმედია უპასუხოდ არ დასტოვებ ჩემს ეპისტოლეს. კარგად იცი, როგორ მიყვარს შენი ბარათის კითხვა და შიგადაშიგ დაუწერელის ამოხსნა.

ჩემი სალამი შენ ტყიანეთსა და ახოებს, ფიცხ ლურჯასა და დაუნდობელ „ატილას“, ველარ გაძღა მგლების სისხლით დ ბრაკონიერთა დაგეშვით, ეგ საძაგელი?.. — ჭეშმარიტად დაუნდობელ ბარბაროსთა სისხლი სჩქეფს მაგის ძარღვებში!

ჩემი ამბორი სამამულო ომის ჯარისკაცს და ორდენების კავალერს!

შენი ლევანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა ფორჩხიძე

## ეს ცა რომ არა...

ცა როა ლურჯი,
დღე როა მშვიდი, —
ამაში ხელი ურევია მწვანე ბალახის...
მამის საფლავზე —
ასკილის რტო ტკარცალებს წითლად,
დედის საფლავზე —
იღიმება ყვითელი შინდი...
და მერე თეთრი რომ ელავს დილა—
ეს მზე რომ არა,
ეს ცა რომ არა,
ჰასაწულს ამდენს როგორ ვნახავდი?!

რომ არა ეს მზე,
რომ არა ეს ცა,
რომ არა შენი მართალი ხელი,
რომელიც ჩემი მამულის მწეა,
რომლისგან ღალატს აროდეს ველი, —
ვინ მაღირსებდა
მე ამ სინათლეს,
რომელშიც ხელი ურევია მწვანე ბალახის,
რომლის უნათლეს
არა არს ქვეყნად,
რომ არა ეს მზე,
რომ არა ეს ცა,
როგორ ვნახავდი?!

რაც მაღორძინებს,
რაც მახარებს,
რაც მაძლებინებს,
ეს შენა ხარ,
შენ ხარ,
უხილავო სისხლო ცხელი მზის,
და ნუთუ წამით ეჭვდება ვინმე,
ნათელი შენი —
ქვეყნის მხსნელი
და ჩემი შემწე —
ჩემს გულში მიწყივ
უცოდველი ჩიტივით არ ზის?!

ეს შენა ხარ,
შენ ხარ,
ხატკეთილი სახე ნათლისა,
შუბლს რომ გადაგდის
მადლი შრომის მამულის მწედა,
აყავავებული ვაზის ტოტი,
ფერი ქართლისა,
ხელდაწიფული,
ჭირთა მთმენი,
მზრუნველი დედა....

მე შენს ხულს
უკვდავს ვქძახი ვენახს,
ნაშენს ამ ჩემი მართალი ხელით,
ოღონდ
შენ მიწყივ მეყოლე მხნედა,
მე თუნდაც სიმწრის მადინე ცრემლი,
მიმიღე შენი შვილების მწედა
და ღალატს ჩემგან ნუროდეს ელი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

უკანასკნელი მიბჟუტული ჩაქრა ვარსკვლავი,
სინათლის ჰიმნი რახანია სთქვა მაფშალიამ...
სალოცავ ნიშთან დაკლეს უდვთოდ
სადმრთო საკლავი
და თითქოს სისხლი ღვთისმშობელის ცრემლის ფშანია!..

გადახმა მზეზე უცოდველი სისხლის ლაქები,
გაუჩინარდა ყელგაღადრულ კურატის კვალიც.
აქ მისი მზერაც აღარა ჩანს
(ჩემი საქმები),
ჯალათმა ხელზე გადაივლო გულგრილად წყალი!

## სხვა მაღამებდა, შენ მათენებდი...

ნუ...
ნუ...
ნუ მეტყვი,
რამდენი დამრჩა
ლურჯ ბილიკებზე საფრენ-სარბენი,
განა მინდვრებში ყაყაჩოდ არ ჩანს
სისხლი გულიდან გადმონადენი?!

შენ მადიდგულე და მაბატონე,
ახლა კი...
ნუ...
ნუ...
ნუ შემიცოდებ!
ნე შენ სამდურავს არ გაგაგონებ —
შემომიწირავს შენთვის სიცოცხლე!

მე დაგიგროვე მზე და ბადახში
და შენთან მორცხვად მიტომ მოვედი,
ღვთის ნაფეხურებს მწვანე ბალახში
მეგონა, შენი მადლით ვპოვებდი...
ნუ...
ნუ...
ნუ მეტყვი,
რამდენი დამრჩა
ლურჯ ბილიკებზე საფრენ-სარბენი,
განა მინდვრებში ყაყაჩოდ არ ჩანს
სისხლი გულიდან გადმონადენი?!

ჟამის სიმოკლე
მე არ მადარდებს,
თავს დამჟივიან მინდვრის ჩიტები.
ვწირავ ხორცსა და
სულს შენ გაბარებ,
თითქოს დაჭრილი მკლავზე გიკვდები.

წვიმს ჩემი სისხლი
შენს თეთრ ხელებზე
და ბალახებით მიხვევ იარებს,
თითქოს ვიწვოდე საკურთხეველზე,
მანთებ კოცონად
და მაბრიალებ!

სხვა მაღამებდა, შენ მათენებდი,
წაიღე სული ამის სანაცვლოდ.
მე
შენს უსახო ხატს ვადმერთებდი
და ღმერთის ხილვა უნდა მაცალო!..

## საღამო... ფიქრი... კახეთის მთვარე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხებს ტოტებზე
აუსხიათ რკონი ვაზნებად,
ცხვირსახოცივით
იის წყალში ცა ფოთლებს რეცხავს.
შორს ალაზანი
კამეჩივით მიიზლაზნება
და გრილი დილა
თითქოს ფრთებზე
შეუსვამს მერცხალს...

ფშვინავს მაისი,
ვარდის სუნმა სივრცე გაბურა,
არი პატიჟი,
წითელი მზე ყივის,
არ ცხრება,
უცხო გოგონამ
მოუქცია სიტყვა კახურად:
— მიირთვით ხილი,
ვიდრე შოთი პური დაცხვება!

ხილი — რა ხილი!
სუფრა — რა სუფრა!
ღვინო —რა ღვინო,
წვენი კამურის!
თავზე კახური ქუდი მახურავს,
და ჯამში წვეთავს
მადლი მამულის!..

მუხის ფოთლებში ჯერ არ ჩანს მთვარე,
მთებს დადებია ფერი ბადახშის,
გაფაცხებია
ფრთა ხორშაკ ქარებს,
კრუხი კაკაბი
დაკრიახობს მწვანე ბალახში.

მიწაზე წვეთავს ცხელი მზის სხივი, —
ადუღებული სპილენძის ღვარი.
და ხანჯალივით ქვებზე ელავს
წითლად შემხმარი
ჩემი წინაპრის ალალი სისხლი...

იწვის თონეში
ხმელი ჩალა,
კვრინჩხი,
წალამი,
ცა დაბზარულა
თითქოს ალმურით,
მოაქვთ მარნიდან ხელადა სველი
და მიწას ტკბილი ასდის სურნელი...
და ვგრძნობ,
მეხვევა მხრებს სანუკველი
ვაზის შტო —
ჩემი ქვეყნის ალამი,
მუხის შტო —
მოძმის მკლავი კახური...

ფშვინავს მაისის თეთრი დილა, —
ვარდის ნათელი.
ვეწევი უღელს,
ვით ალაზნის შავი კამეჩი.
რაც მაქვს, ყაბულს ვარ,
სხვას არაფერს შენგან არ ველი,
მაცალე ცოტაც,
ღმერთო ჩემო,
ნეტა რას მერჩი!..

## ახალი თოვლი... სიცილი... სევდა...

ციდან შრიალით ჩამოდის თოვლი
და თითქოს ჩიტებს ათრობს სინათლე...
ვიღაც მიწაზე ეცემა თრთოლვით,
ფეხქვეშ ახალი თოვლი ჭრიალებს...

სახეზე ყველას ღიმილი აკრავს,
თოვს, ხვავრიელად თოვს...
ყველაფერს თოვლი ფარავს, —
სინათლე ღუნავს რტოს!

ის მიდის ქუჩაში ნელა,
გვერდით ბიჭუნა ახლავს...
მიდის,
ჩერდება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღელავს,
გულში რაღაცას მალავს..

ვიღაცა ვაჟმა ვიღაცას
მის თვალწინ ესროლა გუნდა,
გადაჰყვა სიცილის ნიაღვარს,
იქნებ გუნდაობა სურდა!..

ის მიდის ქუჩაში ნელა,
თეთრად შრიალებს ალვა,
მიდის,
ჩერდება,
ღელავს,
და გულში სევდას მალავს...

მის თვალწინ ვიღაცამ სიცილით
ისროლა გუნდა

და შებრუნდა...
იმ დარბაისელ ქალს,
ვინ იცის,
გოგონას კისკისი შეშურდა!..

სახეზე ყველას ღიმილი აკრავს,
თოვს, ხავერიელად თოვს..
ყველაფერს სინათლე ფარავს
და თოვლი ღუნავს რტოს!

ის მიდის ქუჩაში ნელა,
ირხევა როგორც ალვა,
მიდის,
ჩერდება,
ღელავს,
და გულში ვნებას მალავს!..

## მე პოეტი ვიქნები...

ღიმილს რატომ მიძვირებ,
რად მკლავ ასე უწყალოდ?
შევბით ვეღარ ვიძინებ,
ვეღარც ჩიტებს ვუგალობ!

მოდი, ნუღარ იმორცხვებ,
მოშრიალდი ჩემამდე,
შენგან მიყვარს სიცოცხლე,
შენგან, შენი კენესამე!

ავედევნოთ ჩიორებს
ქართლში, როგორც შურდული.
ვიგრძნოთ მთების სიშორე,
ტირიფების ჩურჩული.

მოდი, თუ აინთები,
ჩემთვის თეთრი ასული, —
მე პოეტი ვიქნები
შენი კარგი მამულის!..

## ვედრება

არ ამიტირო სული — ღრუბელი,
რაღაცა იმგვარს დამაპატრონე.
დამადგი შენი მძიმე უღელი,
გავიწევ,
ვივლი
და გაბატონებ!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ალი ისაევ-ავარსკი

### შეხვედრა ქართველ ქალთან

თანატოლთ შორის თავმომწონედ
მითქვამს მრავალჯერ:
მთელი ქვეყანა ლამის არის
ფეხით გადავჭერ.
სად არ ვყოფილვარ, უცნობ გზებზე,
უცნობ ქვეყნებში,
მივლია უცხო ქარაფებზე,
უცხო კლდე-ღრეში...
„აბა, რა სიბრძნით აღიჭურვე,
რა მოგყვა თანა, —
შემომაგება ერთხელ კითხვა
მოხუცმა ქალმა, —
ამვლელ-ჩამვლელი ჩვენც გვინახავს,
მოგეცა ლხენა,
თუ დარგე სადმე ხეკეთილი,
ისა თქვი შენა".
სიტყვები იგი ფოლადივით
გამკვრივებული.
შიგ გულში მომხვდა, და მე დავრჩი
გაკვირვებული
ამ მაგიური სიტყვისა თუ
სიბრძნის წყალობით,
დავხარე თავი, მოვიხიბლე
მისი ქალობით.
საკუთარ სულში ჩახედული
ვფიქრობდი ასე:
რაც თვალს წყურია, ის ყოველთვის
გულს როდი ავსებს!
ხშირად მას აკლებს, აღაზევებს
რაც ადამიანს
და მას სთავაზობს, რაც ქარისთვის
გასატანია.

და კვლავ ანდაზა მომაგონდა
ბრძნული, მისნური,
მამა-პაპათა მიერ თქმული,
შორს გამიზნული:
უნდა ხტოდესო თავის გვარზე
ყოველი კვიცი,
შარა ძნელი და უსასრულო
თუნდ იდოს მის წინ.
მას ახვევს თავბრუს სხვისი ზნე და
სხვისი ბუნება,
მშობელი მიწის ვინც უარყოფს
მიზიდულებას...
თითქოს საქვეყნოდ სილა მტკიცა
მოხუცის სიტყვამ,
თავჩაქინდრული მის წინაშე
ვიდექი დიდხანს.
მერე უეცრად გამიწია
გულმა მთებისკენ,
მშობელი მიწის ჯადოსნური
სუნთქვა შევიგრძენ.
ასე მთას ესმის მთის წუხილი
თუ სატკივარი,
ასევე არწივს სხვა არწივი
იცავს მყივარი.
გადავცდი მწვერვალს, დავუყევი
დაღმა ფერდობებს,
სადღაც ღრიალით მდინარენი
ალაპერდობენ...
ველარ მოვასწარ ამოსუნთქვაც,
(კვლავ რაღას ველი?)
იქ, უკან დარჩა უტურფესი
ალაზნის ველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოდან მონაბერმა
    დამკრა ზეფირმა,
მეგონა, ჩემი სტრიქონები
    წარსთქვა ზეპირად...
და მე აღვივსე თვითშეცნობის
    უსაზღვრო ჟინით,
რას ბუბუნებენ საქართველოს
    ტყეები ხშირი?!
რა სიბრძნეს მაწვდის ფესვმაგარი
    მუხა ლეკ ყმაწვილს,
რა სურს მირჩიოს ამაყ ყაზბეგს
    ყანწივით აწვდილს!..
შთაგონებული გავყურებდი
    ალაზნის ჭალებს,
მზეში გათაფლულს, მზეზე გართხმულს,
    მზით განამჭვალებს.
მადლობა ბრძენ ქალს, რომ მაჩვენა
    ჩემი სავალი,
წინ კიდევ მზე და შთაგონება
    მელის მრავალი.
მისი მადლია, ლომგულები
ქართლს რომ უზრდია,
და იგი მადლი ამ დღისთვისაც
    გადმოუცია.
აქ, ჩემს ლეკეთშიც, ჩემს ლეკეთშიც
    არიან მსგავსნი,
მათაც იციან უწმინდესი
მანდილის ფასი.
ჰე, ნათლის სვეტო, დაო, დედავ,
    სატრფოვ ძვირფასო,
მტრისთვის რისხვა ხარ, მოყვრისათვის
    ნათობ, კისკასობ...
ერთს ვიტყვი კიდევ, ჩემს მზექალას
    მივართმევ მხოლოდ:
უცხო მხარისა არ გეგონო,
    ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობთ.
ერთი გვყავს დედა-შუქმფინარი
    სამშობლო ჩვენი,
სულს რომ აღავსებს შთაგონებით,
    იმედით, რწმენით.
ალაზანს გაღმა სეტყვისმფრქვევი
    ღრუბლების იქით,
ჩემი ლეკეთი გელოდება,
    გიყვარდეს იგი.

თარგმნა ოთარ შალამბერიძემ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ კაპანაძე

# მოთხრობები

## სუფრული

1.

გეოგრაფიის მასწავლებლებში ბედი არ გვწყალობდა. ნახევარი წლის განმავლობაში სამი გამოვიცვალეთ.

ერთი შემოდგომის დასაწყისში გამოგვეთხოვა სამუდამოდ.

— ჩემო კალიებო... — დაიწყო მან და ყანყრატოსთან რაღაც მოაწვა.

რაჭაში თხოვდებოდა.

— იმ საწყალს, თურმე ცხვირი კავკასიონზე მიუბჯენია, — წამჩურჩულა ერთმა „კალიამ“.

— ვის?

— ამ უბედურის საქმროს, ხო და გლოვობს...

სხვა „კალიებსაც“ არ აუჩუყდათ გული. ცრემლის გუბე არ დამდგარა. უკანასკნელი გაკვეთილის შემდეგ შეგვკრიბეს, გვციოდა, შიმშილი გვაწუხებდა და ერთი სული გვქონდა შინისაკენ მოგვეკურცხლა.

შემდეგ ერთი ბრაზიანი მასწავლებელი მოგვიყვანეს. თავიდანვე ვერ მოვუვედი თვალში. ექვსი თვის განმავლობაში ძლივს ვუძლებდით ერთმანეთს. ექვსი თვის შემდეგ იადონივით გაყვითლდა და წავიდა.

მაშინ გივი მასწავლებელი გამოძებნეს. გეოგრაფიის გარეშე ხომ არ დავრჩებოდით?

სათვალეს ატარებდა. მის ნაკვთებში უკვე შემოდგომა დანავარდობდა. მესამე გაკვეთილზე შევეკითხე:

— მასწ, ცხელ ქვეყნებში ქალები მართლა შიშვლები დარბიან?

წარბებ ქვეშიდან ამომხედა მარსის მრისხანე თვალებით.

სიყმაწვილეში გამოჩენილ პოეტად გახდომის სურვილი ტანჯავდა. დროზე აუხილეს თვალები და შემდეგ, როგორც უხშირეს შემთხვევაში ხდება, სხვა მილიონ ჩვეულებრივ ადამიანივით, მანაც იპოვნა თავისი პატარა უფერული ნავსაყუდელი. თუმცა დარწმუნებული იყო, განსაკუთრებით ახლა, ბედი ერთხელ მაინც რომ ამოდგომოდა გვერდში, ჩვენისთანა ბრიყვებთან არავითარი საერთო არ ექნებოდა.

ამ შეკითხვის შემდეგ მანაც ამითვალწუნა. ცხოვრებაში გაბითურებული კაცი, მითუმეტეს მასწავლებელი, მაინცდამაინც სასიამოვნო როდია.

ერთხელ გვერდზე გამიხმო და მითხრა:

— ცხოვრების მსახიობო...

მე ვუთხარი, რომ რესტორნის დირექტორობას ვაპირებდი გუჯაბიძის მამასავით, გუჯაბიძის, ჩემს გვერდით რომ იჯდა მერხზე და ხუთიანებს რომ უკიწკიწებდა ჟურნალში.

— ნუ მაწყვეტინებ... — განმირისხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, — ცხოვრების არტისტო, კომედიანტო, ცხოვრებაში ხშირად ისე ხდება, რომ მაიმუნის სხეულზე ადამიანის თავია დაყუდებული... მიმიხვდი?

— ვერა... თავი მაინც ადამიანისა მაქვს?

— სული გაქვს მაიმუნის.

შემდეგ რატომ ვუთხარი ასე, ახლაც მიკვირს.

— სული არ არსებობს, — მივუგე მე, — მოგონილია.

— მდაბიო ხარ.

— რათა?

— დაბალი შუბლი, უმეტყველო თვალები და თევზის სისხლი გიჩქეფს ძარღვებში, თავზე სახედრის ორი ყური გაბია. ცხვირს თითებით იხოცავ და საზოგადოებაში ხმამაღლა ლაპარაკობ. დილით ნივრის სუნი ამოგდის სტომაქიდან. ხოლო შენი გონების გეოგრაფია პატარა ფარგლით შემოიხაზება,— ცერითა და საჩვენებელი თითით მაჩვენა შაურიანის ოდენა წრე, — პატივმოყვარეს, საშუალო სიმაღლით გინდა მისწვდე ვარსკვლავებს. მწიკვლიანო, ფეხებს თვეში ერთხელ იბან, ღარიბ კაცს პატივს არ სცემ და გამდიდრებაზე ოცნებობ.

კვერი დავუკარი, ოღონდ ჩემთვის კი გავიფიქრე, რომ ჯობია, ყველამ თავის თავს უცქიროს-მეთქი.

ბიჭებო, ნუ დამანახვებთ ლუტს. უფულობას ვერ ვეწყობი. მიყვარს მზესუმზირა, კინო, კანფეტი, ლიმონათი და ზოგჯერ ტროლეიბუსით გასეირნება. როდესაც კარგ კინოსურათს ვუყურებ, ქვეყანაზე ყველაფერი მავიწყდება. ის კაცი, რომელსაც ხუთი მანეთიც კი არ უდევს ჯიბეში, ყველაზე მაღალ ბოძზე უნდა ჩამოკიდო ფეხებით. მეზობლებო, მოწაფეებო! შეხედეთ სიღარიბეს, შეხედეთ რა საზიზღრობაა! ლამაზო გოგოებო, უტვინო ბიჭებო, არ დაუჯეროთ გიჟი მასწავლებელს და გამდიდრდით, ვიტელიუსის მიმდევრები გახდით...

„ჯარისკაცის ბედი ამერიკაში“ — აი, რას იუწყებოდა კინოაფიშა, აი, რატომ ვფიქრობდი ასე მკაცრად უფულო კაცზე და ჩემს თავზედაც.

თავჩაღუნული მივყვებოდი გუჯაბიძეს. მზესუმზირას აკნატუნებდა, ახალი ყავისფერი პალტო ეცვა და ჯიბის ფულიც მუდამ თავსაყრელი ჰქონდა. დღეზებით დაიბადაო, ასეთებზე ამბობენ.

მამა არ მყავს. ბუნდოვნად დარჩა ჩემს მეხსიერებაში. უფრო სურათებიდან ვიცნობ. ოთახში გაკრულ სურათებიდან უცხო მამაკაცი მიყურებს, თითქმის ისეთივე შორეული, როგორც ამ პროსპექტზე გამვლელები. ნეტა ამ გამვლელებს საით მიეჩქარებათ? კინოსკენ, ალბათ. ერთ ლაწირაკს, ჩვენი სკოლის მეექვსეკლასელს, ხელში ნამდვილად კინოს ბილეთი უჭირავს. რესტორან „ინტურისტთან“ ძაღლი შემეფეთა. მოვეფერე. ნაღვლიანი თვალებით შემომაცქერდა. კეთილი ჩანდა, მაგრამ რაც გინდა კარგი ძაღლი იყოს, ორიოდე გროშსაც კი ვერ გამოტყუებ, გავიფიქრე და მივატოვე.

უცებ ისეთი სევდა მომაწვა, ისე მომინდა ჩემი სანუკვარი, დიდი ნატვრის (კინოში მოხვედრის) ასრულება, რომ მუცლის ქვემოთ რაღაც მომაწვა, გუჯაბიძე გაფხორილ ინდაურივით მიაბიჯებდა, შემეშინდა უკან არ მოეხედა და ჩემი სულმოკლეობა არ შეემჩნია. შავი სათვალე ვინატრე, რომ მისგან და საერთოდ ყველასაგან დამეფარა თვალში ჩამდგარი ნაღველი, ღამე და უფსკრული.

ბაბუაჩემი ზოგჯერ მეტყოდა, ცხოვრებაში რაიმეს თავდავიწყებით სიყვარული გონების სიჩლუნგეზე და სულის სიცარიელეზე მიუთითებსო. ამას მაშინ მეუბნებოდა, როცა კინოს ბილეთის ფულის თხოვნას დავაპირებდი, მაგრამ ერთხელ ბაბუაჩემს წამოცდა, ნამდვილი მამაკაცი ავაზაკივით დაუნდობელი უნდა იყოს, იგი წარბშეუხრელად უნდა მიიწევდეს იდეალისკენ. კაცი, რომელსაც თავისი იალბუზი, ესე იგი, მწვერვალი — მიზანი არ გააჩნია, საცოდავი და უბადრუკია.

მაშინ თანაკლასელს ვუთხარი:

— მომისმინე, გუჯაბიძე, „ჯარისკაცის ბედზე“ შემიყვანე და მიწამ მიყოს პირი, თუ ერთ თვეში გიტარაზე დაკვრა არ გასწავლო.

მან მიპასუხა:

— ნწ... ეგ საკენკი თეკლე ბებიას დაუყარე.

ახლა მანქანა რომ დამჯახებოდა, ეს წვინტლიანი მეორე დღეს კლასში ერთ ალიაქოთს ატეხავდა, საუკეთესო მეგობარი დავკარგეო.

— ჭადრაკში რომ მოგაგებინო ყოველთვის?

— ვერ მოგართვეს პატრიჯანი... ისედაც მოგიგებ.

— გინდა სანაძლეო დავდოთ?

—რომ წააგო, მაშინ?

კვიცივით აჭიხვინდა, მაგრამ ვერ გაიბედა ეთქვა, ტილიანი ხარო.

კინოთეატრთან შევჩერდი, რატომ მერგო წილად უბედობა? რატომ არ მიმართლებს ცხოვრებაში?

ცოტა ხნის შემდეგ გუჯაბიძე მხარზე მარტყამს ხელს.

— ამ ჩანთას ხომ ხედავ?

— მერე?

— ერთი თვის განმავლობაში შენ ატარებ ჩემს მაგივრად, თანახმა ხარ?

— რა თქმა უნდა, თანახმა ვარ, — ვიყვირე მე, — თუ კი „ჯარისკაცის ბედს“ მანახებ.

დარბაზში კიდევ რაღაც ბზიკმა უკბინა და ნაყინით გამიმასპინძლდა. იარუსზე მოვიკალათეთ. აღელვებული, ძალიან აღგზნებული ვიყავი. წარამარა მხრებს ვათამაშებდი და ქოჩორზე ვისვამდი ხელს. მერე გუჯაბიძეს ვკითხე, სეირის ყურება თუ გინდა-მეთქი. აბა, მაჩვენეო, გულგრილად მითხრა.

— ახლავე, ოღონდ პაწია მაცალე.

როდესაც დარბაზში სინათლე ჩაქრა, დარჩენილი ნაყინი პარტერში გადავუშვი.

— თოვს, გუჯაბიძე, ბარდნის, ლელვის ფოთლის ოდენა ფანტელები ცვივა ციდან.

— ყოჩაღ, — მითხრა მან.

ულიმღამო ჟურნალს უჩვენებდნენ. ეს ასეა ყოველთვის. დიდებულს წინ უფერულობა უძღვის, სიმღერების მოლოდინში კბილები მიკაწკაწებდა. მაგრამ მითხარით, უანაწერო კაცი თუ გინახავთ, კაცი, რომელსაც აღმართშიც კი ქვა ეწევა?

2

კინოჟურნალის დამთავრების შემდეგ მე და გუჯაბიძე დარბაზიდან გაგვიყვანეს.

— რა მოხდა? — ვკითხე შუახნის, ჩაფსკვნილ მამაკაცს, როდესაც ყური აგვიწია ორივეს და გასასვლელისკენ გვანიშნა თვალებით, — ძია, რა დავაშავეთ?

იარუსმა სტვენით გაგვაცილა. კიბეები ჩავიარეთ და კორიდორში გავუხვიეთ.

— ვაი, დედა, — დაიყვირა გუჯაბიძემ, — ცოტა ფრთხილად, მეტკინა ყური.

— მამაძაღლო, ნაყინს რომ ისროდი, მაშინ კარგი იყო?

—ვაი ,დედიკო, მკლავ?.. მე არ ვყოფილვარ, ეს იყო.

დირექტორის კაბინეტში შეგვყარეს. გუჯაბიძეს სული კოჭებში გაეპარა. მე კი ტუჩებს ვიკვნეტდი.

— ეს იყო, უდანაშაულო ვარ, — ტიროდა გუჯაბიძე.

ჯერ კიდევ დარბაზიდან გამოყვანისას გადავწყვიტე, რომ ჩემს ეტლს უდრტვინველად შევხვედროდი, მაგრამ ეს კი მართლაც მეტისმეტი იყო, ჩემს პატარა ძალღონეს დიდად აღემატებოდა. მართლაც, თქვენ თვითონ განსაჯეთ, განა გაუგონარი არ იყო, რომ ჩვენი (ჩემი და გეოგრაფიის მასწავლებლის) ბედის გზები დღის განმავლობაში ორჯერ გადაეხლართნენ ერთი-მეორეს!

— წერას ხომ არ აუტანიხარ, ბიჭო? ლენცოფა ხომ არ გიჭამია? — მკითხა გივი მასწავლებელმა.

ცბიერი, კადნიერი წუთები გადაებნენ ერთმანეთს. შემდეგ ქალის ხმა გავიგო-

ნე, გეოგრაფიის მასწავლებლის საცოლის თუ საყვარლის ხმა.

—პირუტყვო, ავანტიურისტო, მძორო, ავაზაკო, მწყემსის შვილო, წარმართო, ჯიბგირო, კაციჭამიავ!

ჩაფი გინება გადამასხა თავზე.

— დაწყნარდი, მარიამ, —ამშვიდებდა მასწავლებელი.

ქურდულად ავიხედე, ქალს მოდურად აზვინულ თმაზე გამდნარი ნაყინი დატყეპნოდა.

— ფეხს არ მოვიცვლი, სანამ ამ წიწილას გაპუტულს არ ვნახავ... გამოუძახეთ მილიციას!

— მილიცია ზედმეტია, მარიამ, ჩემი მოწაფეა. ხვალ მე თვითონ ავუგებ ანდერძს.

— მაპატიეთ, — წავილუღლუღე.

— მიტევებას არ მივიღებ, არარაობავ...

მასწავლებელმა ხმადაბლა მითხრა:

— მაშ, ასე, ხვალ ფიზიკურად გაგისწორდები.

მე კი სიმწრის ოფლს მასხავდა, ხვალ გამანადგურებდნენ, დღეს კი თითებს შორის მეპარებოდა ბედნიერება, ესვენებოდა ჩემი მზე.

„რას მიშვებით, ლამპარი ქრება და სურათი საცაა დაიწყება. მომიტევეთ, უნებლიედ მომივიდა, მაპატიეთ, ამიწიეთ ყური, ჩონჩორიკი დამიძახეთ, მომჭერით ხელი...“

არ მაპატიეს, საპნის ბუშტივით გამიქრა „ჯარისკაცის ბედი“.

3

მეორე დღეს ქართული ენის გაკვეთილზე შორეულმა მოგონებებმა შემიპყრეს. მასწავლებელს თვალებში ვუყურებ, ოღონდ მის თვალებში, მის მიღმა სხვა სამყაროს ვხედავ: მიუკარებელსა და სუსტს, ზვიადსა და ღატაკს, ჰაეროვანსა და ალაგ აბანოზივით შავს, ამპარტავანს, ჯიუტს, თავნებას, ზემო იმერეთის ერთ კუთხეს ვხედავ, ერთი ნაბდის გაშლა სოფელს, დალრანჭულსა და ლამაზს, კადნიერსა და მყუდროს...

ქრუანტელი მივლის სხეულში. მშობლებს კი ჰგონია გაკვეთილის ახსნით მომაჯადოვა, ჰგონია თავის მრევლში გადამიბირა. თვალებს აპრიალებს, საიამოვნოდ უთრთის ხმა:

— პრეფიქსები და სუფიქსები...

„პრეფიქსები და სუფიქსები კი არა... ღელეები და კიბორჩხალები, ორღობეები და ძაფზე დაკიდული ბონდი, ქინიანი მთები და თავკომბალები, ქორები და ხვლიკები, უჯიშო ძაღლები და წითელდეზებიანი მამლები, ხვილიფი, ნიჩაფას წყალი და ფუჭი ოცნება, შავი ყვირილას ხეობა, მარიამ ღვთისმშობელი და შრომის გმირობის კანდიდატები, ჭრიჭინები, მთის სულები და ციცინათელები, ჭურისთავი და ქამა სოკო, საჩხერე და სხვიტორი, პრასი და ცხელი მჭადი, ჯოყოეთი და ბოსლევი, ულევი და საქორია, აკაკი და იასონი, ოჩანი ხარები და მცირედის კმაყოფილი იმერელი, ბავშვური სიყვარული და ცაზე ჩამოკიდებული მახათაძეების სასაფლაო, „კიე“ და „აპა“, თევზი ქამაყი, წვერა, ღლავი, მამა გიორგის ეკლესია და შაქრიანი ღვინო, „შენი ჭირიმე“ და რაიკომის მდივანი, სააღდგომო წითელი კვერცხები და ბურჭალობა, კოლმეურნეობის თავმჯდომარის მიერ გაგანია ომის პერიოდში ნაბოძარი ერთი ბათმანი სიმინდი და სიხარული, იმედები, ოცნებები, გაფრენები“...

გეოგრაფიის გაკვეთილზე მთქნარება ამიტყდა. შიშმა იცის, არა?

მასწავლებელი შუბლშეკრული კითხულობს სიას. არდიშვილი კი სულ გადარია. დაიწყო თუ არა გაკვეთილი, საპირფარეშოში მოუნდა გასვლა. გავიდა, გააჭრიალა კარები, შემოვიდა, მოაჯახუნა კარები. მერე მერხთან ფეხი წამოკრა იატაკს და წაქცევისას ცხვირი გაეკაწრა. ახლა იოდის წასასმელად გავიდა. ისევ ჭრიჭინი და ჯახუნი.

კლასი კი გატრუნული ზის მოლოდინში. ვის არ უყვარს სეირის, წარმოდგენის ყურება. მასწავლებელი არ ჩქარობს. უბის წიგნაკს ფურცლავს ნელ-ნელა: სათვალეს იხსნის, ცხვირსახოცი ამო-

აქვს ჯიბიდან და მშვიდად წმენდს გაოფლილ მინას. ისევ იკეთებს სათვალეს და ფეხზე დგება.

— ბავშვებო, ნება მიბოძეთ მეოთხედის ნიშნები გაგაცნოთ.

ამ განცხადებამ გაგვაკვირვა, ვინაიდან მეოთხედის ნიშნები მეორე დღეს უნდა წაეკითხა.

— არდიშვილი, — ამოიკითხა უბის წიგნაკიდან.

—იოდს ისვამს ცხვირზე, მასწ, საცაა შემოვა.

— კეთილი, გადაეცით, რომ ორი ორიანი გამოყვება მეოთხედში: ქართულ წერაში და ალგებრაში, დანარჩენ საგნებში სამიანები უბოძეს.

გვარად ყანჩაველი ვარ, სიის ბოლოში ვწერივარ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ჩემი ჯერიც დგება, „ორიანი გეოგრაფიაში“, მეტყვის ახლა. მაგრად მიჭირავს თავი. ფეხზე ვდგები.

— ყანჩაველი... ქართული — სამი, ალგებრა — სამი, ისტორია — სამი, გეოგრაფია — სამი... ფიზმომზადებაში — ოთხი, სიმღერაში — ოთხი.

პირველ მომღერლად ვითვლები კლასში. ამ ნიჭის გამო ერთი-ორჯერ დაბადების დღეზეც კი დამპატიჟა გუჯაბიძემ. რაც თავი მახსოვს, სიმღერაში ყოველთვის ხუთიანებს ვიმსახურებდი.

— ყანჩაველი ყველაზე მაგრად მღერის ჩვენს კლასში, — დამიცვა ერთმა გაძვალტყავებულმა, მოცორომზმა მოწაფემ. რატომ ხდება ასე? ვისგანაც სულ არ მოელი, სწორედ ის გამოგიწვდის ხოლმე გაჭირვების დროს ხელს.

მასწავლებელმა მხრები აიჩეჩა, ისევ ჩაიხედა წიგნაკში და თქვა:

— არა მგონია, შევმცდარიყავი, — შემდეგ მკითხა: — მართლა მღერიხარ, ბიჭო?

— ვმღერივარ, მასწ...

არ დაიჯერა, გულდასმით დამაკვირდა და ისევ მკითხა:

— ხინამდვილეში მღერიხარ?

— მართალია, წიგნის კითხვას გულს ვერ ვუდებ, მაგრამ სიმღერა კი ნამდვილად ჩემი დონჟონია. (ფრანგულს ბავუაჩემი მასწავლიდა). მაშინ იგი კლასიდან გავიდა და საიდანღაც სიმღერის მასწავლებელი მოიყვანა.

— ყანჩაველო, სამოსანო, ოთხიანი დაგიწერე და მეტი რა ჯანდაბა გინდა?

— ხუთიანი.

— ხუთიანებს უპრაგონოდ აღარა ვწერ.

„გუჯაბიძეს, ყურზე ვირმა ფეხი რომ დაადგა, იმ გუჯაბიძეს რა დაუწერეთ“, მინდოდა მეკითხა, მაგრამ თავი შევიკავე, ან რა უნდა მოსთხოვო კაცს, რომელსაც სიმღერა არ უყვარს, რომელმაც შემთხვევით დაიწყო გალობა.

გეოგრაფიის მასწავლებელი მეკითხება:

— შეგიძლია ახლა იმღერო ბიჭო?

— ვიმღერებ, — ვპასუხობ მე.

— თქვენ ხომ არაფერი გაქვთ საწინააღმდეგო?

— მე რა, იჭიკჭიკოს მოლაღურმა,— ელიმება სიმღერის მასწავლებელს.

მართალია, შთაგონება მაშინ მოდის, როდესაც „მას“ უნდა, და არა მაშინ, როცა შენ მოგესურვება, მაგრამ კისრის ძარღვები დავჭიმე და ძალიან ვცდილობდი.

დროულად ვცვლიდი სიმღერის ტემპს, მოდულაციას, ესე იგი გადავდიოდი ერთი ტონალობიდან მეორეზე. „სუფრულს“ ვმღეროდი, ბეთჰოვენის დიდებულ „შოტლანდიურ სუფრულს“. იმ წუთას ხმით ისე ვფლობდი, როგორც მოქნილი დაშნითა. მხოლოდ ერთი-ორჯერ დაემსგავსა ჩემი ხმა მამლის ყივილს. შემდეგ სწორედ ამაზე მიმითითა სიმღერის მასწავლებელმა.

— აი, ამიტომაც მოგართვი ოთხიანი.

— არდიშვილმა შემიშალა ხელი, უდროოდ შემოაღო კარები.

— ეგ მე არ მეხება... ახლა კი მშვიდობით, მაგრად გართმევ ხელს, ბენიამინო ჯილი!

გავიდა.

გეოგრაფიის მასწავლებელი სამი, არა, ოთხი ყურით უსმენდა „სუფრულს“. სიკეთე იმარჯვებდა მის სახეზე. მე კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ ახლოს მიმქონდა ჩემი „დაშნის“ მეტისმეტად მახვილი წვერი მის გულთან.

იღიმება. საცაა ფეხზე წამოხტება და ტაშს დამიკრავს. არწივის, სწრაფვის სიმბოლოს, ფრთებზე ვზივარ, მეზობლებო, მოწაფეებო!

— შენმა „სუფრულმა“ ძალზე გამაკვირვა, — მითხრა გეოგრაფიის მასწავლებელმა, როდესაც ცალკე ოთახში გამიყვანა, — დღემდე ვიგინდარა, ყველაფერში უნიჭო და ფუტურო მეგონე... ყანჩაველო, გულს ნუ გაიტეხ, რა ბედენაა ნიშანი, შენ აპოლონმა გადაგაფარა კალთა.

—რომელმა აპოლონმა, ხაზვის მასწავლებელმა?

— არა, ხელოვნების მფარველმა ღმერთმა... რომ იცოდე რა ტკბილი წუთები მოგელის წინ ცხოვრებაში... მიგულე მეგობრად, ძმობილო!

ხელი გამომიწოდა და მეც ჩამოვართვი.

4.

როდესაც კლასში დავბრუნდი, გუჯაბიძემ მკითხა:

— დაგაპანღურეს სკოლიდან?

ყეყეჩი ბიჭი იყო, მაგრამ უკვე რალაც ისე გაბედულად ველარ მეკითხებოდა.

„რუსთაველში“ მეთორმეტე რიგში დავჯექით. გივი მასწავლებელმა წამიყვანა. სულგანაბული ვუყურებდი სურათს. ხოლო ჩვენს შორის, მე და მასწავლებლის გარშემო ბეთჰოვენის დიდებული „სუფრული“ დაჰქროდა. იმ დღიდან მოყოლებული ყანჩაველი მხოლოდ ხუთიანს ღებულობდა გეოგრაფიაში.

ბიჭებო, ნიჭი , ყისმათი არასოდეს ეკარგება კაცს, გაიმაგრეთ გული. უტვინოებო, ბითურებო, იმღერეთ და სიკეთე თესეთ! სუსტ და ღარიბ კაცს გაუმარჯოს, დიდება ნიჭს, ვაშა ყანჩაველს!

## სამი სტუმარი

ფოთის მეორე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე მორჩილაძე ავადმყოფობდა. მოყვითალო ფერი ედო, ხშირ-ხშირად სუნთქავდა და ღრმად ჩაცვენოდა თვალები.

ზამთარი, რომელმაც წელს თავისი თეთრი ქათქათა გავა უჩვეულო სიმკაცრით გამოაჩინა დასავლეთში, გატყდა. ქარი ჩადგა. ტალღებმა მიიძინეს. თოლიები დამშვიდდნენ. მზემ გაიღიმა და ისევ მეორდებოდა შარშანწინდელი და შარშანდელი.

მან იცოდა, თოფი გაზაფხულს ელოდებოდა, სულ მალე თეთრი ცხენებით შემოიჭრებოდა გამარჯვებული. აყვავდებოდა ნუში, ჭერამი, ატამი და ქლიავი. ბიჭიკო მარინას გამოეკიდებოდა და დეკემბერში ან იანვარში კიდევ ერთი რეზიკო ან ნუციკო აჭყიპინდებოდა.

მორჩილაძე თვლემდა, მარცხენა ყურთან რვა სანტიმეტრის სიგრძის ნაიარევი აჩნდა. ეს მისი ახალგაზრდობის, დავიწყებას მიცემული წლების ნიშანი გახლდათ, გარდასულ ჟამთა დაღი. მაშინ ერთი დარტყმით ძირს აგდებდა კაცს, პატარა ნავით უშიშრად მოგზაურობდა ფეოდოსიამდე თუ გურზუფამდე, სამი დღე-ღამე გადაბმულად კამათლებს აგორებდა, ან დროს ატარებდა ქალებთან... ეს უწინ, წარსულში იყო. ახლა ერთგულად, მონდომებით მასწავლებლობდა.

ფერდინანდ მორჩილაძემ შუბლზე მომდგარი ოფლი მოიწმინდა პირსახოცით. მერე თვალი გაახილა და სამფეხა დაბალ სკამიდან ჭიქა აიღო. წყალი მოსვა და კედლის საათს მიაშტერდა. საათის ქანქარა პატიოსნად ირხეოდა აქეთ-იქით. ბუნდოვნად დაინახა, თვალებში პატარ-პატარა რგოლები, წერტილები უციმციმებდნენ. მოხუცმა ისევ გაახილა. ციფრები არ ჩანდნენ.

მაშინ იდაყვებს დაეყრდნო და კიდევ უფრო დაძაბა ყურადღება. მაინც ვერ გაარჩია, რომელი საათი იყო. დროს გაგება მაინცდამაინც არ ესაჭიროებოდა. მაგრამ მიხვდა, რომ ერთხელ აკვიატებული სურვილი, აღარ მოეშვებოდა. საბანი გადაიხადა და ლოგინზე წამოჯდა. წესად ჰქონდა დადებული, თუნდაც უმნიშვნელო ქინის შესრულება, პატარაობიდანვე მიხვდა, რომ დიდი მცირედისაგან შედგებოდა. რომ პატარა კვერცხიდან მოზრდილი დედალი იზრდებოდა, რომ ყველაზე დიდი მეცნიერება ფიზიკა ან პოლიტიკური ეკონომია კი არ იყო, არამედ — ჩვეულებრივი ცხოვრება. შემდეგ მონდომებით სწავლობდა ამ ყველაზე საინტერესო მეცნიერების კანონებს. მორჩილაძემ სწრაფად აღმოაჩინა, რომ მომავალი სამოთხე და ჰორიზონტები — ეს უმრავლესთა ხვედრი იყო, უმცირესობა კი დღეს მიირთმევდა ხიზილალას, ღორის სუკებს და ხაშლამას, „საერთაშორისო“ ვაგონით მოგზაურობდა, იმპორტულ ტანისამოსით იმოსავდა მშობლიურ სხეულს, „იქაურ“ წამლებით წამლობდა „აქაურ“ სნეულებას...

ფერდინანდმა ფეხები ძირს ჩამოუშვა. თავბრუ დაესხა და გაეღიმა. პირველად ავადმყოფობდა. როდესაც ხალათის წამოსხმა დააპირა, კარზე დააკაკუნეს.

— შემობრძანდით, ღიაა, — გასძახა მან.

შინ მარტო იყო. მეუღლე პორტში იქნებოდა წასული, ვაჟიშვილი — სკოლაში.

ისევ დააკაკუნეს. მაშინ უფრო ხმამაღლა დაიყვირა ფერდინანდმა. და ოთახში სამი უცნობი მამაკაცი შემოვიდა. კარი მიხურეს და შუა ოთახში შეჩერდნენ.

— ვინ გნებავთ, ბატონებო?

— ფერდინანდ მორჩილაძის ნახვა გვინდოდა, — თქვა უცნობმა, რომელიც ყველაზე წინ იდგა.

— რით შემიძლია გემსახუროთ?

— თქვენ ბრძანდებით?

— დიახ... დაბრძანდით, ბატონებო... მაპატიეთ, რომ ისევ ვწევარ, მაგრამ საცაა მეუღლე დაბრუნდება და ყველაფრის თადარიგს დაიჭერს, — ფერდინანდი პურმარილიან კაცად ითვლებოდა მთელ ფოთში.

— გმადლობთ, ჩვენ გვეჩქარება.

ის, რომელიც ლაპარაკობდა, მაღალი, გამხდარი კაცი იყო და რკინიგზელის თუ პროკურორის ფორმა ეცვა. ორი უცნობიც ისეთივე ტანისამოსით იყო გამოწყობილი.

— ი, ბიჭი მაინც ყოფილიყო სახლში... თქვენი სახელი?

— კონსტანტინე... ის ლუარსაბია, ის კი ანასტასე.

ლუარსაბმა და ანასტასემ თავი დაუკრეს.

— ბატონო კონსტანტინე, სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, — მიმართა მორჩილაძემ სტუმარს, — ოღონდ რა ცუდ დროს ვარ შეუძლოდ... ისე, სულ მალე დაბრუნდება ოლღა.

—ნურაფერზე იფიქრებთ, — გაუღიმა ლუარსაბმა.

სამი კითხვა აღელვებდა ფერდინანდს: ვინ იყვნენ? რა უნდოდათ? როგორ დაეჭირა თავი?

— ბატონებო, დაბრძანდით, — კიდევ ერთხელ შესთავაზა სტუმრებს.

დივანზე დასხდნენ. ერთხანობას სიჩუმე ჩამოწვა. თითქოს ფერდინანდის იქით იყურებოდნენ, თითქოს არც კი სუნთქავდნენ, სახეებიც რაღაც ცვილისებური ჰქონდათ, თავადური, მიუკარებელი, შორეული. „ხომ არ მეჩვენება,— გაიფიქრა ფერდინანდმა, — ავადმყოფური და ამინდის შეცვლით გამოწვეული წარმოდგენა ხომ არ არის?“ მაგრამ მაშინვე უკუაგდო ეს აზრი. კონსტანტინემ გაუღიმა.

— დავიწყოთ, — თქვა მან.

ფერდინანდმა ყურები ცქვიტა. საგანგებო ამბის მოსმენას მოელოდა. ცნობისმოყვარეობა მასაც ახასიათებდა.

— ძველად მედიცინა ფილოსოფიის ნაწილს შეადგენდა. მოსე, იესო ქრის-

ტე, პითაგორე, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე ექიმებიც იყვნენ...

— საინტერესოდ ყვებით, — თქვა ფერდინანდმა, დასახელებულ პიროვნებებიდან მისთვის მხოლოდ ქრისტე იყო ნაცნობი.

„ამით გინდათ გამაბათ მახეში?“

— შემდეგ ეს დარგი ცალკე გამოიყო. ოღონდ მერეც ბევრი ფილოსოფოსი, პოეტი, მწერალი ერთდროულად კარგი მკურნალიც იყო. ყოველ შემთხვევაში, ალბათ ომარ ხაიამსა და რაბლეს მედიცინაში მეტი ესმოდათ, ვიდრე ბევრ დღევანდელ პროფესორს.

— სხვა დროა, — ჩაურთო სიტყვა ფერდინანდმა და ხელები მაღლა აღმართა.

— ექიმები რჩეულთა შორის რჩეულები იყვნენ. პატიოსანი, გამჭვირვალე თვალები და სუფთა, კრიალა სული ჰქონდათ. მიხვდით?

— რა მიხვედრა უნდა, — გაიცინა ავადმყოფმა.

— ყველა ხისგან ექიმი არ გამოიჭრება... დღე და ღამე უანგაროდ დასტრიალებდა ავადმყოფებს ცნობილი რომაელი კლავდიუს გალენი, გლადიატორების მკურნალი, შემდეგ იმპერატორ მარკ ავრელიუსის ექიმი.

— ნათქვამია, მიეც კეისარს კეისრისაო, — თქვა ავადმყოფმა.

— ეს თავისთავად უნდა ხდებოდეს... როდესაც ექიმი შეძლებულ ავადმყოფს ღარიბისაგან ანსხვავებს, იგი უკვე გამომძალველია და არა მკურნალი.

— ყველა წმინდანი ვერ იქნება, — ილიმებოდა ფერდინანდი, — „ამათ რომ უსმინო, სული ამოგხდება შიმშილით... აბა, მიპასუხეთ, როგორ იქცევა მშიერი ვეფხვი?.. სანადიროდ გადის, თავისზე სუსტს იჭერს, ბღღვნის და სანსლავს“.

— ფერდინანდ, ვიდრე ძირითად საკითხს შევეხებოდეთ, მანამდის უნდა დარწმუნდეთ ჩვენი კეთილი მისიის თაობაზე. უნდა გვენდოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ გაგვიგებთ.

ფერდინანდ მორჩილაძემ იკითხა, თუ ვინ იყვნენ სტუმრები. რაღაც ბუნდოვნად უპასუხეს. ახსენეს გარდუვალობა, ძაფი, მორჩილება, მაგრამ რაინდებივით ეჭირათ თავი, უკვე სიმპათიითაც იმსჭვალებოდა მათდამი და აღარ ჩააცივდა.

— როგორც ვიცით, — თქვა ლუარსაბმა, — თქვენ ერთადერთი ვაჟი გყავთ და იგი წელს ამთავრებს სკოლას.

— დიახ.

— რა თქმა უნდა, ოქროს მედალზე.

— არაფერი მესმის, რაზე დაინტერესდით ასე ჩემი ყმაწვილით?... განათლების სამინისტროს ინსპექტორები ხომ არ ბრძანდებით?

ფერდინანდმა წყალი მოსვა. საით უბერავდა ქარი? ძველი კომპასიც, უტყუარი ინტუაცია, საბოლოოდ მოშლილიყო.

— ხატზე დავიფიცებ, ბუხუტი პირველი მოწაფეა ფოთში, საკუთარი ლექსიც კი გამოაქვეყნა სკოლის კედლის გაზეთში.

— სად განაგრძობს სწავლას საშუალოს დამთავრების შემდეგ?

— უმაღლესში.

— სამედიცინოზე?

— დიახ, ბატონო... ეს ჩვენი ოცნებაა.

ლუარსაბი წამოდგა. გასწორდა და ფანჯარასთან მივიდა. მსუბუქად მოძრაობდა, მეფურად ეჭირა თავი.

— ბუხუტისგან ექიმი ვერ გამოვა. აი, ეს გვინდოდა გვეთქვა... ათასი სხვა პროფესია არსებობს: სოფლის მეურნეობა, ქიმია, აღმოსავლური ენები, ბოლოს და ბოლოს, ვეტერინარია.

ფერდინანდი წამოიწია. სახეზე წამოწითლდა. „ვისი ტიკიტომარები არიან?.. როგორ შევცდი, პატიოსანი ხალხი მეგონა ეს თაღლითები“.

— რა ხდება, რატომ ლაპარაკობთ ბუნდოვნად?

— უნდა გაგვიგოთ. ეს ამბავი გადაწყვეტილია. აღარაფერი შეიცვლება. ჯიუტობა ამაოა.

— ვინ გადაწყვიტა, ჭიჭიკომ? — თანდათან ღიზიანდებოდა, თანდათან უბრუნდებოდა წარსულს, როდესაც მეორე სიტყვის შემდეგ, თუ კი არ ესმოდათ მისი, კბილებში ურტყამდა.

— თუ გადაიფიქრებთ, ეს ყველაზე ვაჟკაცური ნაბიჯი იქნება თქვენს ცხოვრებაში.

— თქვენს შვილებს გინდათ კონკურენტი რომ მოაკლდეს, არა?!

— იმ არმიაში, სადაც ჰიპოკრატე, ერაზისტრატე, ჰუა-ტო, ავიცენა, ვეზალიუსი, პიროგოვი მსახურობდნენ, ბუხუტი ფეხს ვერ აუწყობს ჯარისკაცებს... მკურნალობენ ერთდროულად გონებითა და გულით, სიყვარულითა და თავდავიწყებით.

— გამაგებინეთ, — იყვირა მორჩილაძემ, — ვისთვის თამაშობთ კომედიას? ორასი ათასს გადავიხდი და ჩემს ბუხუტის მაინც მოვაწყობ. ეჭვი ხომ არ გეპარებათ? პორტმანეში ხომ არ ჩაგახედოთ? „ახლა მეტყვიან, ჩვენ მოგიწყობთ მაგ საფასურითო“.

— ოჯახში, სადაც ყოველ კუნჭულში სიცრუის და ფულის დემონებია ჩასაფრებული, ექიმი ვერ გაიზრდება. ასეთი შემთხვევა ჯერ არ გვახსოვს.

— მომისმინეთ, — შეაწყვეტინა ფერდინანდმა, — ჩემს ბუხუტის მინდა მგელივით ვაყმუილებ, მინდა დეზერტირის ბაზარში კიტრს გავაყიდიებ და მინდა ქირურგად გავხდი.

— იაფფასიანი დემაგოგიაა, მეტი არაფერი, — თქვა კონსტანტინემ. აღარ ილიმებოდა, — ბატონებო, — ამხანაგებს მიუბრუნდა, — ჩვენი ვალი მოვიხადეთ.

— თქვენ არ გეჩვენებათ, რომ სხვის სულში ხელის ფათური უზრდელობაა. მომისმინეთ, ბუხუტი შეიძლება ტიბეტური ან ეგვიპტური მედიცინის ექიმი არ დადგეს, მაგრამ ჩვენი სამშობლოს ცნობილი დასტაქარი, პროფესორი მაინც გამოვა... ამის შემდეგ, როგორც ოტელოს მოწინააღმდეგემ თქვა, კრინტს აღარ დავძრავ.

წამოდგნენ. განურჩევლობა ეწერათ სახეზე ისევ სიდიადე, ზეკაცობა, მოუსყიდლობა. სათითაოდ გადიოდნენ ოთახიდან, თითქოს ორთქლდებოდნენ, იფანტებოდნენ სივრცეში. მაინც დაადევნა ფერდინანდმა:

— როდესაც ბუხუტის სამედიცინოზე მოვაწყობ, აუცილებლად გამოგიგზავნით დეპეშას. ბატონებო, მეგობრებო, დუდუკზე და დოლგარმონზე გაქეიფებთ... — ცერი შუა და საჩვენებელ თითებს შორის გაჰყო. — ამას ხომ ხედავთ?... თქვენთვის მომირთმევია! ეგდა მაკლია კურდღლებს თავი დავაჭამინო!

დიდხანს იცინოდა.

— მას შემდეგ მრავალი გემი შემოსულა ფოთის ბოღაზში. გავიდნენ წლები. არ ასრულდა სამი სტუმრის წინასწარმეტყველება, — თქვა ფერდინანდ მორჩილაძემ.

—მაინც ვინ იყვნენ?

ფერდინანდი ჩაფიქრდა.

— ვინ იყვნენ?.. ახლაც ვერ გეტყვით. შეიძლება მომეჩვენა, შეიძლება სიზმარიც იყო. დასუსტებული ვიყავი და გონება თუ დავკარგე. თუმცა... — აზრი არ დაუმთავრებია, შეხედა შვილს და ისევ ჩაფიქრდა.

ძლივს ბჟუტავდა ნავთის ლამპა. რამდენიმე საათის წინ მთელ ფოთში ჩაქრა სინათლე და ახლა მკრთალ შუქზე ძლივს მოჩანდა მრგვალ პატარა მაგიდის გარშემო შემომსხდარ მოსაუბრეთა სახეები.

ერთი ფერდინანდი იყო, მეორე მისი ვაჟი, მესამე კი თბილისიდან ჩამოსული რაიონის განათლების განყოფილების გამგე. სკოლების რაღაც ფორმალურ შემოწმებას აწყობდა და მორჩილაძის მიპატიჟებაზე უარი არ უთქვამს.

— ბედის განმგებელი ქალღმერთები ხომ არ იყვნენ? — გაიცინა განყოფილების გამგემ. სპილოსავით ვეგეტერიანელი იყო, მაგრამ დროდადრო სმა უყვარდა.

— არა, მამაკაცები გახლდნენ.

— ღმერთები ადვილად იცვლიან სახეს, იცინოდა ერემია, განყოფილების გამგე.

წითელი იზაბელა სიამოვნებას გვრიდა, სიცილის გუნებაზე განაწყობდა.

— მაშ, შევსვათ, — თქვა ფერდინანდმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შევსვათ, — კვერი დაუკრა თბილისელმა სტუმარმა.

— ვისი სადღეგრძელოა? — იკითხა ბუხუტი მორჩილაძემ.

— რა მნიშვნელობა აქვს, — თქვა ფერდინანდმა.

— მართლაც, — გაიღიმა ერემიამ.

— მაინც დაგველოცა ვინმე, — თქვა ფოთის მთავარმა ქირურგმა, — გადამთიელები ხომ არა ვართ.

— რა მნიშვნელობა აქვს, თუ ვის ვადღეგრძელებთ?.. პეტრეს, პავლეს თუ არჩილს?

— კლოტოსის, ლაქეისის თუ ატროპოსის? — იცინოდა ერემია. პორტში გაჩირაღდნებული გემი იდგა. შორიდან სათამაშოს ჰგავდა... „შორიდან ჩვენც თოჯინები ვართ, — გაიფიქრა ფერდინანდმა, — მხოლოდ შორიდან?“

დააკაკუნეს. ფერდინანდ მორჩილაძე წამოდგა, მაგიდას შემოუარა, კართან მივიდა და გააღო.

შესასვლელთან მოხუცი და ბიჭი იდგნენ. მოხუცის ფეხებთან ინდაურს ჩაეყვინთა. ყეყეჩებივით იდგნენ, თითქოს მატარებელს ელოდებოდნენ სადგურზე.

— ვინ არის? — იკითხა ბუხუტიმ.

— შენ უნდებხართ ალბათ, — ფერდინანდი ისევ მიუჯდა მაგიდას.

როდესაც თვალი მოჰკრა მოსულებს, ქირურგმა ხელები გაასავსავა:

— რა უნდა შეაგნებინო უბირ გლეხს... მთელი დღე დამდევს ამ ჭუკთან ერთად.

მოხუცს დამჭკნარი, უმეტყველო, მუქისოდენა სახე ჰქონდა, ხოლო ბიჭი დიდ ხეებს შორის ამოსულ გვიმრას ჰგავდა. დალეული, ბეჭებში მოხრილი, ფერმკრთალი იდგა.

— ჩვენი გამკითხავი იყავი.

— ერთხელ ხომ მოგახსენე პასუხი.

— ე, ბიჭი ძალიან ავადაა, წელან ალებინა... კიდევ უფრო ატკივდა მუცელი.

— აპენდიციტი აქვს, — განყოფილების გამგეს აუხსნა ქირურგმა.

— ინდაურს? — იხუმრა ერემიამ.

— მაგ რა არის? — ჰკითხა მოხუცს ბუხუტიმ.

— ინდაურს, შენი ჭირიმე, ცოტა ღვინო დავუმატე... ხუთ მანეთსაც მოგართმევ.

მოხუცმა ინდაური იღლიაში ამოიდო. ბიჭს სამლიტრიანი შტოფი ეჭირა.

— გარეთ ელაპარაკე, — უთხრა მამამ შვილს.

ქირურგმა გაიცინა და მხარზე დაჰკრა ხელი ერემიას.

— ჩვენია, — თქვა მან, — შენ კი, — მოხუცს მიმართა, — ყურები იმიტომ გვაბია, რომ კაცის ნათქვამი გავიგონოთ.

— ამდენი არ მაქვს, შენი თავი ნუ მომიკვდება.

ჩვეულებრივ, ჭია ნაწლავის მოკვეთაში ბუხუტი მორჩილაძე ორმოცდაათ მანეთზე ნაკლებს არ ღებულობდა.

— ცუღლუტობ,—უთხრა მოხუცს, — თავს დავდებ მოსაჭრელად, რომ ქალამნებში ათჯერ მეტი ფული გექნება დამალული.

ერთხანობას გლეხი უძრავად იდგა. შემდეგ ინდაური ძირს დაუშვა და თვითონაც იატაკზე დაჯდა. მერე ისევ ადგა. ჯიბიდან რაღაც ნაჭერი ამოიღო, იატაკზე დააფინა და ინდაური ზედ დასვა.

„გაჩირაღდნებული გემი გედივით დგას, — გაიფიქრა ერემიამ და ღვინო მოსვა, — რაც იყო, აღარასოდეს დაბრუნდება. ლესბია, ვიცხოვროთ, ვიდრე ცოცხლები ვართ... დანარჩენი ჩვენ არ გვეხება“.

განზე გადგომა ჭკუიანი კაცის ხელობაა.

გლეხმა ქალამნები გაიძრო.

— წინდებსაც გავიხდი, — თქვა თავისთვის.

— შევსვათ, — ჰიქა ასწია ფერდინანდმა.

ერემიამ ღვინო დაისხა. ბავშვი განურჩეველი, გაყინული თვალებით დასცქეროდა მოხუცს.

— ამ ბიჭის მეტი არავინ გამაჩნია დედამიწის ზურგზე... რა უნდა ვქნა? — მოხუცი თავისთავთან საუბრობდა. მალი-მალ სუნთქავდა, თხელი მოლურჯო ტუჩები კი უთრთოდა.

— თბილისში წაიყვანე.

—გზის ფული სად ვიშოვნო!... მოდი რაც იქნება იქნება, გაუკეთე ოპერაცია. უმწეო ხმა. გაუბედავი თხოვნა.

— მაშინ კაკუბერს დაელოდე, მალე დაბრუნდება ქუთაისიდან.

— მანამდე მუცელი რომ გაუსკდეს?.. ვერ არის კარგად, ექიმო... ესღა დამრჩენია... მამამისი ფაშისტებმა აწამეს, მისი ხსოვნის ხათრით მაინც შეგვეწიე.

— არაფერი მოუვა... კაკუბერს კი საცივი ძალიან უყვარს, — გაიცინა ბუხუტიმ.

— თუ ეს ბიჭი მოკვდა, რაღად მინდა სიცოცხლე.

— მეტი აღარაფერი მაქვს სათქმელი, — ფოთის მთავარი ქირურგი ზეზე წამოდგა.

სწორნაკვთებიანი სახე, ხშირი შავი თმა და მამასავით განიერი მხრები ჰქონდა. ინგლისური მოშავო კოსტუმი ეცვა. თეთრ პერანგზე ღვინისფერი ამერიკული ჰალსტუხი ეკეთა, შუა თითზე ოქროს ბეჭედი.

მოხუცს მიუახლოვდა, მხარზე მოუთათუნა ხელი, ყოვლისშემძლე დასტაქარის ღიმილი აჩუქა და უთხრა:

— მოხუცო, აუდიენცია დამთავრებულად ჩავთვალოთ... ნუღარ შემაწუხებ... აღარ ვარსებობ, გავქრი, მოვკვდი, ორთქლად ვიქეცი.

მაშინ ისინი წავიდნენ. ბზობის ყვავებივით გაქრნენ. ბუხუტიმ კარები მიხურა, სიგარეტს ცეცხლი მოუკიდა და გააბოლა.

— სმის იშტაზე მოვედი, — დაიძახა ფერდინანდმა, — ბიჭო, ბაბუაშენის ყანწები გადმოიღე.

შემდეგ სინათლეც მოვიდა და თანამოინახეები კიდევ უფრო გახალისდნენ.

— ჩემო ერემო, — ამბობდა მორჩილაძე, — ექიმები საჭირო ხალხია. ხოლო ბედს თვითონ კაცი ქმნის... ექიმებს გაუმარჯოს!.. შევსვათ.

— ლესბია, — იმეორებდა დიდი, დიდი ხნის წინათ ნათქვამ სიტყვებს რაიონის განყოფილების გამგე, — გვიყვარდეს ერთმანეთი, ვიდრე შეგვწევს... ქვეყანას კი ჩვენ ვერ შევცვლით, ეტყობა, მართლაც სამი სტუმარი განაგებს მას“.

## ნოქარი და ძმისწული

ერთხელ ზაქარიას სამსახურში დააგვიანდა და მსუქანმა დირექტორმა საყვედური გამოუცხადა. საყვედური მეორე დღეს გამოაკრეს კედელზე. წინა დილით კი ზაქარიამ ზესტაფონის ბაზარში შეიარა. ჩაუარა დახლებს და პირდაპირ სარდაფში ჩავიდა. მეღვინე დიტო კასრზე იჯდა.

ზაქარია გამყიდველად მუშაობდა რკინა-კავეულობის მაღაზიაში, რომელიც ქალაქის ცენტრიდან, ვაგზლის წინ მდებარე მოედნიდან, სულ ათიოდე მეტრით იყო დაშორებული.

ზაქარია მიუახლოვდა მეღვინეს და მუშტი მოსდო ყბაში. სარდაფში გრიალოდა და სიწყნარე სუფევდა. მეღვინეს საცრისოდენა თვალები გაუხდა. მერე თავი მიაბრუნა გვერდზე და გადააფურთხა. ახლა მეორე მხრიდან გაარტყა ნოქარმა, დიტომ ისევ გადააფურთხა.

— ვა, რა ჩემი ბრალია, გოგოს მე თუ მოვწონვარ, — თქვა მან.

ზაქარია უკან გამობრუნდა. მეღვინე ძლივს ეტეოდა ორასლიტრიან კასრზე. ხარივით კისერი და მორივით მსხვილი მკლავები ჰქონდა. კარებში ნოქარმა წაიბორძიკა, მაშინ მეღვინემ დაუძახა:

— მოდი, თითო ჭიქა ღვინო დავლიოთ, შე კაი კაცო!

მეორე დღეს თავი სტკიოდა ნოქარს და მყიდველებს უხალისოდ ხვდებოდა. მაღაზიაში აუტანელი სიცხე იდგა. ხოლო ბუზებისაგან მოსვენება არ იყო. მოლარე ამალია მზესუმზირას აკნატუნებდა.

— ბიკენტია, — გასძახა წყლის გამ-

ყიდველ ბიჭს ზაქარიამ, — რას შვება ჩემი ფაიტონი?

თეთრი „ვოლგა“ გზის პირზე იდგა. წყლის გამყიდველმა ბიჭმა მარჯვენა ხელი მიიდო შუბლზე და დაუძახა:

— ბიჭოს, რა გოგოს დაუდგამს თვალები შენს ფაიტონზე... ტიტუ, რა თეძოები აქვს... ჩქარა გამოყავი თავი, თორემ ესეც გაგიფრინდება.

— მზე ხომ არ უცურებს? — იკითხა ნოქარმა, შემდეგ დაუმატა: — ბიკენტია, ლაფი დამასხი თავზე, თუ ერთ თვეში ცოლი არ მოვიყვანო.

აგვისტოს ერთ მშვენიერ დღეს ზაქარიამ სვირში ამოჰყო თავი.

— ბიჭო, ზღვა გინახავს? — ჰკითხა კიკიას. კიკია მისი ძმისშვილი იყო. ჩვიდმეტი წელი უსრულდებოდა და საცა იყო ულვაშებს დაიმშვენებდა.

— კიე, — გაიღრიჭა კიკიამ, — კინოში მინახავს.

ზაქარამ ქეჩოში მოსდო.

— შე დოყლაპია, მე კი არ გეხუმრები...

— იმე, არც მე არაფერი მაქვს სახუმარო.

მაშინ მანქანაში ჩასხდნენ და წავიდნენ. ცალი ხელით მართავდა ზაქარია საჭეს. თმა აბურძგვნოდა და ყურზე პაპიროსი გაეხირა. გრძელი ცხვირი და ოდნავ ფერმკრთალი სახე ჰქონდა. ასოც კილომეტრს უჩვენებდა სპიდომეტრი და იხვები, ქათმები, ინდაურის ჭუკები ბზიკნაკბენებივით იფანტებოდნენ აქეთ-იქით. გზაზე მტვრის კორიანტელი დგებოდა. ცაზე ღრუბლის ნატამალი არ ჩანდა და თაკარა მზე უსაშველოდ იკბინებოდა.

ზაქარიამ პაპიროსი გაირჭო პირში. მაგრამ ცალი ხელით ვერაფრით ვერ მოუკიდა ასანთს.

— რაზე წვალობ, ბიძია, მე აგინთებ.

ზაქარიამ შუბლი შეიკრა.

— ძალლი მიგაკვდა სულში, რავა გგონია, შენზე ნაკლები მარიფათი მქვს, თუ...

— რავაც გინდოდეს.

როცა გააბოლა, თქვა:

— იცოდე, ზღვა ყვირილა ან ძირულა არ გეგონოს, შორს არ შეს[illegible] კლავ, ყურს თუ არ მათხოვებ... [illegible] გოგოებს რამდენიც გინდა ელლაბუცე, თუ ფხა გაქვს.

კიკიამ გაიღიმა და თავი ჩაჰკიდა. შუადღე გადასული იყო, როცა ზღვა გამოჩნდა. სწორედ ისეთი გამოდგა ზღვა, როგორიც წარმოედგინა.

სოფელ განთიადში დაიდეს ბინა. სახლის პატრონი პირმცინარი, ჩასუქებული შუა ხნის დედაკაცი გახლდათ. ზაქარიას ოთახიც მოეწონა. ზღვის ხმაური ზედ ყურთან ისმოდა. სადღაც, კატარღაზე თუ ნავირზე, რადიოლა უკრავდა და ბიჭს, რომელიც რამდენიმე საათის წინ სვირში ეზოს გვიდა, თავი სიზმარში ეგონა. ზაქარიამ თავი გაჰყო ფანჯარაში. შორს მთები ჩანდა და მეჩხერი ტყე. ხოლო იქვე, ეზოში, საცურაო კოსტუმში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი იდგა.

— გენრიეტა, — დაუძახა ზაქარიამ.

— მე ჯულიეტა მქვია, — გაუღიმა გოგომ.

— ჯულიეტა, თუ საცურაოდ მიდიხარ ზღვაზე, მეც გამოგყვები.

— კეთილი, — თქვა ჯულიეტამ.

ზაქარია შემოტრიალდა, სკამზე ჩამოჯდა, ტანისამოსი გაიხადა და პატარა ჩემოდანი გახსნა. ბიჭი თვალს არ აშორებდა. როდესაც ზაქარიამ საბანაო ტრუსები ჩაიცვა, ქალიშვილის ხმა გაისმა:

— აუ, სად ხარ ამდენ ხანს, მეზობელო?

ზაქარიამ პირსახოცს დასტაცა ხელი და ეზოში გავარდა. ძმისწული უკან მიჰყვა. თავდაღმართი ჩაირბინეს, ხიდის ქვეშ გაძვრნენ და ზღვაც გამოჩნდა. ზაქარიამ და ჯულიეტამ მაშინვე წყალში დურთეს თავი. აყინჩული კიკია კი ნაპირზე დარჩა და მზეზე მოხუნტრუცე ქალებს დაასო თავისი ჯღატარა თვალები.

— გენრიეტა, — უთხრა ზაქარიამ გოგოს, — საღამოს რესტორანში გპატიჟებ.

— მე გენრიეტა არ მქვია.

— მაპატიე, ჯულიეტა...

— გაცნობის პირველსავე დღეს რესტორანში არ წამოგყვები.

— აბა როდის, ჯულიეტა?

— მესამე დღე რომ იყოს, მაშინ სხვა საქმე იქნებოდა.

ჯულიეტა თავისუფლად და სწრაფად ცურავდა, ზაქარია ბაყაყურს უსვამდა და ძლივს მისდევდა. ნაპირი ძლივსღა ჩანდა, როცა უკან გამობრუნდნენ. კიკია ისევ იმ ადგილზე დახვდათ დარჭობილი.

— ბიჭო, რატომ არ ცურაობ? — დაუძახა ზაქარიამ, როცა ფეხით შეეხო ქვიშას და სული მოითქვა.

— არ მინდა.

— გეშინია?

— აპა.

ჯულიეტა სახეს იმშრალებდა. გაჭიმული იდგა. თეძოები ოდნავ მსხვილი ჰქონდა, სწორედ ისეთი, როგორიც ზაქარიას მოსწონდა.

— რატომ არ შედის ზღვაში? — იკითხა გოგონამ.

— ალბათ შარვლის ქვეშ არაფერი აცვია, — თქვა ზაქარიამ.

ჯულიეტამ კისკისი ატეხა. იცინოდა და მუცელზე იკიდებდა ხელს. გრძელი, თლილი თითები ჰქონდა.

— რას გადაფიჩინდა? — იკითხა კიკიამ.

ზაქარიამ აუხსნა.

— რაზე მოატყუე ეგ გოგო, ბიძია, რავა არ მაცვია, — თქვა კიკიამ.

ჯულიეტა ქვებზე დაგებულ პირსახოცზე გაწვა და ხელები თავქვეშ ამოიდო. სავსე გულმკერდი და მიმზიდველი სახის ნაკვთები ჰქონდა, ხოლო გაპარსულ იღლიებიდან თვალის მოწყვეტა ძნელი გამოდგა. იწვა ღონიერი, სიცოცხლით სავსე ქალი და ზერელედ სუნთქავდა. ზაქარიას კი უკვირდა, რადგან ვნებათა ღელვა მაინცდამაინც არ ემლებოდა და, პირიქით, რაღაც მოწიწებას და მოკრძალებას გრძნობდა. შუმ ლტოლვას ჰგავდა. ძალზე გაუკვირდა. შეიძლება უკვე აღარ ვარგა მამაკაცად?

უცებ კიკიას მზერა დაეჭირა ბიჭზე. გამოთაყვანებული თვალებით დასცქეროდა ჯულიეტას.

— რას გადმოგიკარკლია ეგ თვალები, შე ხეპრე, — დაუყვირა ზაქარიამ.

— რავა, — ყურებასაც მიშლი?

— რო დარჭობილხარ აქ სარივით, ვერ გეინძრევი?.. გაიხედე, რამდენი ქალია შენს გარშემო. თუ ამის შნოც არ გაქვს?

— მომეშვი ერთი, თუ კაცი ხარ.

— ყველაფერში დალუპული რავა ხარ, შე მათხოვარო!

მზე საცა იყო ჩაეშვებოდა ზღვაში.

სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი უბერავდა და ოდნავ ირხეოდნენ ტალღები. სადღაც, შორს, სულ იქით, ჰორიზონტზე გემის სილუეტი ჩანდა. საჩრდილობლის ქვეშ კისერწაგრძელებული, გულზე ჯვარდაკიდებული ვაჟი გიტარაზე უკრავდა და საცოდავად ამღერებდა. უსაქმობისა და მზისაგან გამოთაყვანებული დამსვენებლები კი პირში შესცქეროდნენ.

ჯულიეტა რესტორანში წასვლაზე რომ დაყაბულებულიყო, ზაქარიას ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. ღვინო გაამხნევებდა და აალაპარაკებდა. ახლა კი ჯერჯერობით ვერაფერს ვერ გაუბედავს.

პირველი შეხედვიდანვე მოეწონა ჯულიეტა. რა ბედენაა სხვა დანარჩენი, რაში აინტერესებს მისი ვინაობა თუ წარსული, მისი განვლილი წუთები, გამარჯვებებით, სასოწარკვეთილებით, სულმოკლეობით თუ აღმაფრენით სავსე წამები. სიცოცხლე ყოველდღე თავიდან იწყება. ხოლო თუ წარსული ძალზე დალაქულია, უნდა შეგეძლოს მასზე ხაზის გადასმა. ადამიანს უნდა ჰქონდეს ამის უფლება. სხვანაირად მისი არსებობა უაზრო და სასაცილო იქნება. კაცს არ უნდა მოუსპო შანსი, რათა ერთხელ კიდევ სცადოს თავის ბედი. ზესტაფონელს რომ ჰკითხო, საცოლე გოგო აუცილებლად „ფაიტონიანი“ უნდა იყოს. ხმამაღლა თვითონაც ამას იტყვის. სინამდვილეში კი ეს სისულელეა. ალბათ, წლების მეხუთე ათე-

ულში უნდა გადადგა ფეხი, ამას რომ მიხვდე. ბოლოს და ბოლოს, ხომ მხოლოდ ავლი რჩება კაცისაგან. ქალში კი, განსაკუთრებით ზოგიერთ ქალში, არის რაღაც, რაც აგამაღლებს, რაც ჟრუანტელს მოგგვრის მთელ სხეულში და ფათერაკების საძებნელად გადაგადებინებს თავს.

— ა, ამიტომ არ გავიხადე შარვალი წეღან, — უთხრა კიკიამ ბიძას, როცა ჩამობნელდა და ოთახში განმარტოვდნენ.

— რაა მაგი, ბიჭო?

—ვერ ხედავ? — კიკიამ კიდევ უფრო მაღლა აიწია შარვლის ტოტი.

— რა უნდა დავინახო?

— ამხელა ტყლიპს რავა ვერ ამჩნევ.

— მერე, ამისთვის პაპლაუშობდი?

— იმე, იმდენ ხალხში რავა გამოვამზეურებდი ამას!

—შენ იცი, მაგრად შეინახე.

მერე კარტი ითამაშეს. რამდენ ხელსაც წააგებდა, გაბრაზებული იმდენ ყისტს მოსდებდა კისერში ძმისწულს ზაქარია. მხოლოდ ბოლო მოგება აპატია.

— ბიჭო, — უთხრა ზაქარიამ კიკიას, — ერთი საიდუმლოება უნდა გაგანდო.

— გისმენ, ბიძია.

— გენრიეტა ცოლად მინდა მოვიყვანო და შენ უნდა დამეხმარო.

— რას ამბობ ბიძია, ის გოგო შვილად გეკუთვნის თითქმის, — უთხრა კიკიამ. რატომღაც აფორიაქდა და ზეზე წამოდგა.

„რა ესმის ბალანას, — გაიფიქრა ნოქარმა, — რა უნდა მოთხვო წვინტლიან გლეხის ბიჭს. რა სისულელეა წლების სათვალავში მოტანა, ღმერთო, რა სისულელეა! გენრიეტაზე უფროსიც რომ ვიყო, მაინც სისულელე იქნება რაღაც ზღვარზე ლაპარაკი“. წლოთა ტოლობა არასოდეს ქმნის ლტოლვას, თუ ეგრეთწოდებულ მტკიცე კავშირს ქალსა და კაცს შორის. ეს ღვთის ნაბოძები უნარი, ნიჭია, ქალი რომ დაიპყრო და შეინარჩუნო, რაც ზაქარიას, ზესტაფონელ ნოქარს, აქვს, ხოლო ახვირაკების აზრები, ბოლოს და ბოლოს, ფეხებზე ჰკიდია.

— შე, პატრონძაღლო, მე, ბიძაშენს, მეუბნები უარს დახმარებაზე?

— მაგი არ მითქვია... მომიხმარე, როგორც გინდოდეს.

ჯულიეტა წესიერი გოგოა. მაგრამ, ყოველშემთხვევაში, თვალყურის დევნება საქმეს არ გააფუჭებს. ოღონდ ამის შესახებ არავინ არაფერი უნდა იცოდეს. კიკიაზე ერთგული კაცი კი მას ზესტაფონშიც არ ეგულება, არა თუ აქ, ხოდა, ამიტომ ეკისრება მას პასუხსაგები და საპატიო როლი.

— რა როლი, ბიძია? — იკითხა კიკიამ.

— მზვერავის, — მიუგო ზაქარიამ.

ამიერიდან კიკია დღე იძინებს, ხოლო ღამით ფხიზლად იქნება და ჯულიეტას თითოეულ გადადგმულ ნაბიჯს შეატყობინებს. საგუშაგოს დიდი ლეღვის უკან დაიდებს, ეზოში რომ არის, ჯულიეტას ფანჯრების პირდაპირ... იცის, ზაქარიამ ყველაფერი იცის, კიკიას ხიბნელეში წელში რომ ცრის ხოლმე. მაგრამ ბიძის ხათრით რამდენიმე დღით გულადი უნდა გახდეს. მაღლა, მაღლა ასწიოს თავი, წინ მრავლისაგან მრავალი დიდებული საქმე მოელით...

— მეიცა, ბიჭო, აგიტატებ, — ჩურჩულით თქვა ზაქარიამ.

— რათ მინდა შენი მოხმარება, ხეზე ასვლაში სვირში კაცი ვერ მჯობნის.

— აბა, ჰე, შენ იცი, არ შემარცხვინო.

თვალისდახამხამებაში ზედ კენწეროზე მოექცა ლეღვს ბიჭი. ერთი ფოთოლიც არ შეურხევია, ისე გაუსწორდა ჯულიეტას სარკმელს.

— რას ხედავ? — ვეღარ მოითმინა ზაქარიამ და ხმადაბლა იკითხა.

— ახლავე, ბიძია.

ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. ეძინა ზღვას და ნიავიც სადღაც გამქრალიყო.

— რა ალის ქარი ჩაგივარდა პირში, ვერ ამეიღებ ხმას?

— ვაი, დედაჩემო, ეს რა დეინახეს ჩემმა თვალებმა.

— კაცია ვინმე, ბიჭო? — ზაქარიამ მოიყელყელავა.

—არა, მარტოა... მთლად ტიტლიკანა დგას სარკის წინ... ვაი, დედაჩემო!

— დახუჭე თვალები, შე ღინტლიანო!.. ცხვირსახოცი აიფარე სახეზე და ძირს ჩამოეთრიე, თორემ დაგიმსხვრევ პოჭოჭიკს.

როცა კიკია ძირს ჩამოცოცდა, ზაქარიამ უთაქა და უთაქა კისერში.

— იმე, რას მერჩი...

— დამუწე ტუჩები, შე მათხოვარო!

ზაქარიამ პაპიროსი გააბოლა და ვრძელ სკამზე ჩამოჯდა. რატომღაც ზესტაფონი და ძმაბიჭები მოაგონდა. ახლა ისინი ან ღვინოს სვამენ, ან ქალებზე ლაპარაკობენ. ტრაბახით გულს მოიჯერებენ და დაიშლებიან, ის, ზაქარია კი, ნამდვილ საქმეს აკვარახჭინებს აქ.

— ბიჭო, — მიუბრუნდა ზაქარია ძმისწულს, — არაფერი დგინახია.

— იმე, აჰა, არა, არაფერი დამინახია.

— გაიმეორა კიკიამ და მოიყუჩა.

უცებ სადღაც ძაღლი აყეფდა. დიდხანს არ ცხრებოდა. „უპატრონოა ალბათ", გაიფიქრა ნოჭარმა. დღემდის იმ ძაღლივით მარტოხელა იყო თვითონაც. მეგობარი ყველას უნდა — კატას, ძაღლსა თუ ადამიანს. ხოლო თუ კაცს ასეთი ანგელოზი შეხვდა, როგორიც ჯულიეტაა, მართლა ქუდბედი დაჰყოლია. რას დააჭყეტენ ზესტაფონელები თვალს, როცა ჯულიეტას დაინახავენ! პირველ რიგში კი ბიკენტია გადაყლაპავს ნერწყვს.

— ბიჭო, ისე რავარია?

—უი, ნუ მკითხავ, ბიძია...

— აიტ, შე გათახსირებულო!..

მეხუთე დღეს პლიაჟზე იწვნენ, თაკარა მზე აცხუნებდათ. ზაქარია სილას აყრიდა ჯულიეტას. გოგონას ეღიმებოდა. კიკია კი მარჯვენა ხელს არ იშორებდა ბარძაყიდან. ზაქარიამ ძმისშვილს გადახედა:

— არა, რამე მაინც წა...აგედო, მთლად საიმედოდ დაფარავდი მაგ ტყლიპს.

— უჰ, მომკალი სიცილით და ეგ არის!

— შე მართლა ღვთის გლახა, რას მიზიხარ აქანე პირდაფჩენილი, გადაგმოიარე, წყალი მაინც დაალევინე მაგ თვალებს, თუ გამოჭერის შნო არ გაქვს... ბიჭო, შენხელა რომ ვიყავი, დღეში ორჯერ ვიცვლიდი ქალებს.

— გეტყობა, — ჩაიბურტყუნა კიკიამ.

— რაიო?

— რას ხოტონიკობ, ერთი ვიცოდე!

— უყურე ამ უჯილაგოს... ბიჭო ნუ მესიტყვები, თორემ გემრიელად დაგალეწჯოებ.

კიკიამ გვერდი იცვალა. მარჯვენა ხელს ერთი წუთითაც არ იშორებდა ბარძაყიდან.

— ვარ გლახა, რა ვქნა ეხლა, თავს ხომ არ ჩამოვიხრჩობ იმ ლედვზე.

მერე სადღაც ნავი იშოვა ზაქარიამ და ნაპირთან მიაცურა. ჯულიეტამ ნავის თავში მოიკალათა. კიკია ტანისამოსის საყარაულოდ დატოვეს, ხოლო ნოჭარმა სწრაფად აამუშავა ლონიერი მკლავები და შორს, შორს წაიყვანა ნავი. მთელი სიცოცხლე იცურავებდა ასე ამ გოგონასთან ერთად. „ღმერთო მომკალი, ცისფერი თვალები ჰქონია, ზღვაზე უფრო ლურჯი და ღრმა".

— ჯულიეტა, როდის წამომყვები რესტორანში?

— ზეგ, ძვირფასო.

„ზეგვენის კერძი გავხდე, თუ ზეგ ყველაფერი არ ვუთხარი... გაგვაქროლე, ნავო!"

სასიამოვნო მოთენთილობას გრძნობდა და ათი საათისათვის ლოგინში იწვა. მთვარე ვერცხლისფერ სხივებს უგზავნიდა ოთახში. მთელი ცხოვრება სირბილში, ოფლის ღვრასა და მანჭვა-გრეხაში გაატარა. ხან ვის უგორებდა კოჭს და ხან ვის. ბედნიერებაზე არასოდეს უფიქრია, ან სად ჰქონდა ამის დრო, იგი პატრონობდა დედას, პატარა ძმებსა და დას. თითქოს მისი მოვალეობა მხოლოდ ეს ყოფილიყო, თითქოს მხოლოდ ამისთვის გაჩენილიყო ამ ქვეყანაზე. მან იცოდა, რომ სამაგიეროს არავინ გადაუხდიდა, რომ მადლობასაც არავინ ეტყოდა. სხვა მის ადგილზე, ალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათ, ყველაფერს მიაფურთხებდა, ცხრა მთას იქით გადაიხვეწებოდა და თავის გემოზე იცხოვრებდა. ყოველ შემთხვევაში, დაფიქრდებოდა და შეეცდებოდა გამოერკვია, თუ რატომ იყო ცხოვრება ასე მოწყობილი. მაგრამ ნოქარმა იცოდა, რომ ამა თუ იმ მასშტაბით, ყოველთვის არსებობდნენ ტანჯულნი თუ მარტვილნი. ზოგი მაღალი იდეალებისათვის დებდა თავს, ზოგი სიყვარულისათვის. მან კი სიკეთეს გადაუხადა ხარკი. და ამიტომ გადმოხედა ალბათ ღმერთმა ერთხელ მასაც.

უცებ გულმა ბაგა-ბუგი დაუწყო. მოაგონდა, რომ დიასახლისი შინ არ იყო და იმისი ოთახიდან შეიძლებოდა ჭუჭრუტანიდან ჯულიეტას ოთახში შეხედვა. ეს ულირსი საქციელი გახლდათ, მაგრამ ისე მოეწადინა ჯულიეტას დანახვა, რომ გადაწყვიტა ჩანაფიქრი სისრულეში მოეყვანა.

ფეხაკრეფით შეაბიჯა დიასახლისის ოთახში და ყური მიუგდო. კედლის მეორე მხარეს არაფერი ისმოდა. როგორც იქნა ნახვრეტიც მოძებნა და შეიხედა. მთვარის შუქზე ყველაფერი ჩანდა. ორი სხეული, ორი წყვილი ერთმანეთში გადახლართული ფეხები. გედი და ვირიკელა, გაუელვა ნოქარს თავში...

კრინტს არ ძრავდა, ისე მიჰყავდა ზაქარიას მანქანა. კიკია გატრუნული იჯდა უკან, როდესაც სვირს მიუახლოვდნენ, ზაქარიამ თქვა:

— ბიჭო, ასე რავა გამომჭერი მძინარე კაცს ყელი.

კიკიამ ყური წაუგდო.

— შენ გეუბნები, ბეიტო... ასე გადამიხადე ხომ სამაგიერო... ზღვა განახვე, ხალხში გამოგიყვანე, „ვოლგაში“ ჩაგაჯინე და მთელი ქვეყანა მოგატარე. შენ კი კვანტი დამიდევი, არა?!

— უდანაშაულო ვარ, ბიძია, — წაილუღლუღა ბიჭმა.

— მითხარი ქე მაინც, რავა ჩამეცი ღანა, როდის დამადგი რქები?

— პირველ საღამოსვე.

— უყურე ამ ლირწს, მთლად გათახსირებული არ ყოფილა.

— თვითონ დამიძახა... ჯერ უარზე ვიყავი, მაგრამ, მართალი გითხრა, მარტო დარჩენის შემეშინდა და გავბედე.

— მერე.

— მერე არ ვეკარებოდი, მაგრამ გამაბრაზა.

— რა გითხრა...

— უშნო ხარ ბიძაშენსავითო... აპა, ამისთანა რამეს მეითმენდა კაცი?

— მერე?

— მერე, მერე დავუმტკიცე რაც ვიყავი.

ზაქარიამ კიდევ უფრო გააქანა მანქანა, მოუხვია მარჯვნივ, გაუხვია მარცხნივ, თხა ღობეზე შეახტუნა, და, როდესაც ძმის სახლი გამოჩნდა, მანქანა გააჩერა.

—მართალია, ბიჭო, შენთვის ორი დიდი ყური უფრო უპრიანია, ვიდრე ეგ გოგო, მაგრამ როცა კაცს ოლორი აქვს, რაღას უნდა ერჩოდე... ახლა ეს მიბრძანე, მტკიცედ გადაწყვიტე ამ გოგოს შერთვა?

— აპა, რავა!

— მამაშენის არ გეშინია, უარი რომ გითხრას?

ბიჭი გასწორდა და ზაქარია უცებ ყველაფერს მიხვდა. მახათაძეების ოჯახში კიდევ ერთი ვაჟკაცი გაიზარდა, რომელსაც მუდამ ეყვარება თავისი არჩეული გზით სიარული, რომელიც ჩუმად, უდრტვინველად და ამაყად განვლის მას.

ზაქარიამ თავი მიაბრუნა.

— მაშ, ვჭამოთ ერთი დიდი ქორწილი, ჯულიეტა? — თქვა მან.

— კეთილი, — კვერი დაუკრა გოგონამ. ბროწივით წითელ ლოყებზე ეტყობოდა, რომ სიამოვნებით ეთანხმებოდა.

მერე წამოშხუმფლა.

— უჰ, რა ლამაზი ყოფილა იმერეთი, — თქვა გოგონამ.

თითქოს მებაღემ საგანგებოდ მორწყა მთელი სვირი, თითქოს საქორწინო მზადება უკვე გაჩაღებულიყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი ბოსტოღანაშვილი

# მოთხრობები

## წერილი საიქიოდან

კარგად არ მახსოვს, თებერვლის მიწურული იყო თუ მარტის დასაწყისი. თუმცა მზიანი საღამო იდგა, ნიავი მაინც უბერავდა. იმედი გვქონდა, ჩრდილო აღმოსავლეთიდან დაცულ ტყის ბებერი, დაფუღუროებული მუხნარი დაგვიფარავდა. შევჩერდით კი მისგან შორიახლო, ტიტველ-ტოტება ნეკერჩხალთან, პატარა მინდორზე. იქვე მახლობლად გამავალი სამანქანო გზა ჩვენგან ჰყოფდა ცივგომბორის შეფერდებებზე გადაშლილ შედარებით ახალგაზრდა, მაგრამ ადამიანისათვის სიხშირისაგან თითქმის გაუვალ ტყეს. ეს ტყე თავისი მრავალსახეობით გამოირჩეოდა. იგივე მუხა, თელა, ჯაგი, რცხილა, შინდი, კუნელი, ნეკერჩხალი, იფანი და თვალით ერთბაშად შეუვლებშეუმჩნეველი კიდევ ბევრი ჯიშის ხე გამზადებულიყო დასაკვირტებლად. მხოლოდ ყველასმასწარა შინდს გაეშალა კვირტები და პაწაწა ფოთლები თამამად შეეგებებინა სიცივისათვის. მათი საშუალო სიმაღლე უკვე ორ-სამ სართულიან სახლს უტოლდებოდა.

— წალამი უნდ წამოგვეღო, — თქვა როდამმა.

— აბა რით უნდა წამოგვეღო? — იკითხა კახიმ.

— გამოვუბამდით და გამოვათრევდით, — განმარტა როდამმა, — ვაზზე კარგი მწვადი ღვიის, თუთისა და თელის ნაკვერჩხალმა იცის. აქ თელა ბევრია. თუ საკმარის ხმელ ტოტს გამოვარჩევთ, მაშინ არა უშავს. უპატრონოდ არის მიგდებული აქაურობა, ერთი რიგიანი გამოხშირვა რამდენიმე წელიწადში ნამდვილ ტყედ აქცევდა.

— გახსოვს, ძირკვებსაც კი ვთხრიდით, — ვთქვი მე.

— ვენახმა უშველა. რაც სოფლებში ამდენი ვენახები გაშენდა, ხალხი თონის გასახურებლად სულ წალამსა ხმარობს. ვილა წამოვა ეხლა ფიჩხისათვის ტყეში! შეშად კი აქედან არ გაატანენ. მაგრამ ეს რა არის! ერთი გაზი გაიყვანონ. მაშინ ნახე, რა ტყეები გაიზრდება. სადაც ტყეა კი, იქ ცხოველი და ფრინველიც ბევრია. აქაც, თუმცა არც ისე დიდი ფართობი უჭირავს, მომრავლდა ტურა, მელა, კურდღელი, შაშვი და ხოხობი. ასეთ პატარა ადგილებში განსაკუთრებით ფრინველთა მრავალფეროვნებაა შესამჩნევი. ახლა ჰაერს არ იტყვი, როგორ შეიცვალა? ზაფხულშიც კი თბილად თუ არ ჩაიცვი, სიცივისაგან გაყრუოლებს.

ქვევით, ხევებში, წყალი რომ შრე-

ბოდა ხოლმე ზაფხულობით და ძლივს მოწანწკარებდა, ეხლა მთელი წელიწადი ერთნაირი ქივილით მოდის, — ჰყვებოდა როდამი, სანამ ბიჭებს თელის ხმელი ტოტები გამოჰქონდათ, — ერთი რამე კი არ მომწონს. ამ ტყეებს, ძლივს რომ ამოისუნთქეს, თანდათან ავიწროებენ, მარცვლეულს თესავენ. ეგრე თუ გაგრძელდა, და დროზე ვერ მივხედეთ, აქა-იქა შემორჩენილ ტყეებს, სანახევროდ ამოაგდებენ. რა დაუშლით? ახლანდელი ტრაქტორები უკვე მკვეთრად დაქანებულ ადგილებში თავისუფლად მუშაობენ. ხვალინდელს კი ციცაბო აღმართებიც ველარ შეაშინებს. ეს ფერდობები ხირხატდება, იმ ვაკეებსაც, მათ რომ ეკვრის, ღალას ალის. გამოდის, რომ ჩვენ გავანადგურებთ ტყეებს, ჩვენი შვილები და შვილიშვილები კი იძულებულნი გახდებიან ისევ გააშენონ. გაშენებაც კარგი საქმეა. მაგრამ ერთი დააკვირდი ახალგაშენებული ტყის ნაკვეთებს, უმთავრესად აკაცია დ ვერხვია, მეტი არაფერი. ეს კი სულ სხვაა.

—მერე, რატომ აკეთებენ ამას?

ის მოიხარა თავისი მაღალი, გამხდარი ტანით და ახლადანთებულ ცეცხლს კარგახანი უბერა, რის შედეგადაც ისედაც ქერა, ჩაღაჟღაჟებულ სახეზე და ჰქონდა თვალებზე სისხლი მოაწვა და სიწითლე მოერია.

—ზოგიერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე მერე თავს იწონებს ამით, სახნავი გავაფართოვეო. ზევიდან კი არავინ ეკითხება, რის ხარჯზე ხდება ეს. აი, აქა,—თელაწყლის მხარეზე მიმახედა,—თუ გახსოვს, მშვენიერი ტყე გაიხარდა. ორი წლის წინ მიაყენეს ტექნიკა და ამთაგდეს სულ. შვიდი-რვა ჰექტარი მიუმატეს სახნავ-სათესს, თუმცა, როგორც გითხარ, დახირხატდება აუცილებლად, მოსავლიანობა დაეცემა, და ვერავითარი სასუქი ველარ ასწევს. ტყის დიდებული ნაკვეთი კი სამუდამოდ დაიკარგა შთამომავლობისათვის. ტყეებს ჩვეულებრივ, ჩირგვნარი აკრავს. ეხლა კი უკვე იშვიათად ნახავ მას. ის უფრო ადვილი მოსახნავია და იმიტომ. ჩვენ შეგნებამდე ვერა და[illegible], რომ საქართველოში დიდი ხანია გასაჩეხი ტყეების ნატამალიც აღარ დარჩა. თუ მიგიქცევია ყურადღება: ჩვენს გზებზე რომ მიდიხარ, მათ მახლობლად ხშირად შეამჩნევ ახალგაჩეხილ ტყის ნაკვეთებს, გადახნულსა და დამუშავებულს. უმთავრესად ფერდობებზე კეთდება ეს. ტყეებიც სულ უფრო და უფრო ზევით იწევს, მთებისაკენ. ჩვენს მინდვრებში კი, სადაც აგრერიგად საჭიროა ქარსაცავი ზოლები, არა და არ ექცევა სათანადო ყურადღება ამ საქმეს... ჩვენს მჭიდროდ დასახლებულ სოფლებს გახედე, გზის პირების გამწვანებაზე არავინ ფიქრობს. მაგრამ იმ ცოტას, რაც მაინც ირგვება, მოჰყვებიან ხოლმე ელექტრიკოსები, ტელეფონისტები, რადისტები და ჩეხავენ უწყალოდ. ან რა ქნან, გზებზე, ჰაერში, ათეულობით დენისა და სატელეფონო ქსელის მავთულია გახლართული. როდის იფიქრებენ ამ სადენებისათვის მიწისქვეშა გაყვანილობის გაკეთებას?

— მერე, რა უნდა ეშველოს? — ვკითხე.

— მე მგონია, სანამ სოფლის კეთილმოწყობის საკითხებს ისევე არ მოვთხოვთ კოლმეურნეობებს, როგორც გეგმების შესრულებას, იქამდე არაფერიც არ ეშველება. იმ სოფლებში, სადაც განახლებული, თანამედროვე ხელმძღვანელობაა, საქმეც კარგად მიდის. გამოდის, რომ მათზე ბევრი რამეა დამოკიდებული.

მაგრამ ჩვენ ხომ ტყეების გაშენებაზე ვსაუბრობდით. ჩვენს მინდვრებში უამრავი ადგილებია, სადაც მათი გაშენება შეიძლება. ეტყობა, გზის ნაპირებს პირველ რიგში უნდა მიექცეს ყურადღება; მაგრამ განსაკუთრებით გორაკებია ამ მხრივ გამოსადეგი. დიახ, უამრავი გორაკებია, რაც, თავისი მდებარეობისა და ნიადაგის შემადგენლობის წყალობით საძოვრადაც და სახნავადაც გამოუყენებელია. ისინი დაფარულია მაყვლისა და ასკილის ეკალ-ბარდებით, ძეძ-

ვით ჯაგებითა და ჩირგვებით; სადაც ესენი ხარობს, იქ ყველაფერი შეიძლება გაიზარდოს. სატყეო მეურნეობები ვერ აუდიან ყველგან ამ საქმეს. თვითონ კოლმეურნეობებში, სოფელში უნდა ექცეოდეს ყურადღება. მაგრამ ვისა აქვს მაგისი დარდი...

მწვადებმა შიშხინი დაიწყეს. კახიმ თქვა:

— როდამ, თამადობა უნდა ითავო.

— რატომ მაინც და მაინც მე უნდა ვითავო? — იუარა მან, — სავალდებულო არ არის აუცილებლად ყველაზე ჭკვიანი კაცი იყოს თამადად.

— შენა გცალიან. მაგ ხელოვნური კბილებით მწვადს ვერ შესჭამ. ამიტომ, როცა ჩვენ საჭმელს შევექცევით, შენ იმ დროს სადღეგრძელოებს იტყვი.

სიცილი წაგვსკდა. მას მართლაც ვერ ჰქონდა კარგად კბილების საქმე. იცინოდა როდამიც.

— გამოდის, მე მშიერი უნდა დავრჩე, არა? — იკითხა მან.

— არა, მშიერი რათა, ცოდვა ხარ. რაკი ხორცი ვერ გიჭამია, მაშინ შენ მანანის ბურღულის ფაფა უნდა მიირთვა.

— მერე, შე ოხერო, აქ საიდან გააჩინო ფაფა? — არ ნებდებოდა როდამი.

— ჰოო, აი ეგ უკვე სხვა არის. ახლავე მოგართმევ ფაფას — თქვა ეს, მივიდა იქვე მდგარ თავის მანქანასთან, გადმოიღო პატარა ქვაბი, მოიტანა და როდამს გაუწოდა. იმანაც გამოართვა, აჰხადა სახურავი. მართლაც ფაფა იყო მასში.

— კარგი. დავდგები, რა გაეწყობა. — საერთო სიცილში როგორც იყო, დათანხმდა.

—მაგრამ ტრადიციას არ უღალატო, — ისევ ჩაერია კახი.

— როგორ, უღალატოს? — ვიკითხე.

— როგორ და, წესით ხომ ჯერ მშობლების სადღეგრძელო უნდა შეისვას, და მერე მამულისა, ეს კი პირიქით აკეთებს. — თქვა კახიმ.

— რატომ არღვევ? — მივმართე როდამს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კი არ ვარღვევ, ვაუმჯობესებ. — თავი იმართლა.

— მე ვიცი, რატომაც არღვევს, მაგრამ რომ ვთქვა, ეწყინება. — თქვა კვლავ კახიმ.

ამასობაში ვანომ მწვადები წააძრო და სპილენძის მოზრდილ ქვაბში ჩაუძახა. მერე ქვაბს ცეცხლი გაუძლიერა. წმინდად დათლილი ხახვი მოაბნია, ბროწეულის დააწურა და, რამდენიმე წუთში მზად იქნებაო, დააყოლა. მერე ღორის ელენთები სიგრძეზე დასერეს, მარილი წააყარეს, ზოგი შამფურზე ააგეს, ზოგიც პირდაპირ ნაკვერჩხლებზე დაჰყარეს. ნაკვერჩხალი ალისფრად ღუოდა და ხორცის გრძელ ნაჭრებს გულში იხუტებდა.

— თქვი, შენგან რა უნდა მეწყინოს. — უთხრა როდამმა. თან გულიანად იცინოდა, გრძელ კბილებს აჩენდა.

— თქვი, არ ეწყინება. — წავაქეზეთ აქეთ-იქიდან.

— იმიტომ, რომ როცა მაგის პაპა გარდაიცვალა, თურმე ანდერძის დატოვება დაავიწყებოდა, ისევ გაცოცხლდა, ანდერძი დაუტოვა და ხელმეორედ მოკვდა. მაგის მამამ კი საიქიოდან ანდერძის წერილი გამოუგზავნა. ჰოდა, ესეც ასრულებს პაპისა და მამის ანდერძს.

— მართლა? — ვკითხე.

— არა, კაცო. ჯერ ერთი მკვდარი როგორ გაცოცხლდებოდა, თანაც ოთხმოცს წელს გადაცილებული. მეორეც, მამაჩემმა საიქიოდან კი არა, თბილისიდან გამომიგზავნა წერილი.

— აბა, ბიჭო, სიკვდილიდან ექვსი თვის შემდეგ ადგა სოფლავიდან, თბილისში ჩავიდა და იქიდან გამოგიგზავნა, თბილისის მარკიანი კონვერტით. ბარემ სიმართლე აღიარო? მაინც ხომ ვიცით, არა?

შევადექით, აღარ მოვეშვით და ისიც, ცოტაოდენი თავპატიჟის შემდეგ დაგვთანხმდა.

— პაპაჩემმა ხომ გვიანობამდე იც-

ოცხლა. ვენახში ჩვენ მარტო რთვლობაში ჩავიდოდით, მზამზარეულზე. ბოლოს რომ ჩაწვა, ერთი კვირა იავადმყოფა. უკვე გადავიწყვიტეთ იმედი. ერთ საღამოს სუნთქვა შეწყვიტა. ვიფიქრეთ, წავიდა უკვეო. შუაღამისას, მეზობლები რომ გაიკრიფნენ, მამაჩემი მელაპარაკებოდა, ეხლა ვენახის გამკეთებელი აღარავინ გვყავს, მე მთაში დავდივარ, უნდა გავყიდოთო. მე არ ვიცოდი ვაზის ყადრი, თანაც მეზარებოდა. დილით, მიცვალებულის გაპატიოსნებას რომ შევუდექით, თვალები გაახილა. გაოცებული შევყურებდით. ჩვენთან ხომ საქართველოსაც და ვენახსაც მამულს ეძახიან. ჰო და, პაპაჩემმა გვითხრა: მამული არ გაყიდოთ, გაყიდული მამული შვილებისათვის სამუდამოდ დაკარგულიაო. ესა თქვა და წაიღო თქვენი ჭირი. რა ვიცი, კაცო, ჩვენი ლაპარაკი ესმოდა, თუ რა, ეგრე კი იყო. ხალხმა კიდევ, მკვდარი გაცოცხლდაო... აღარც გაგვიყიდია.

მამაჩემი ისევ მთაში წავიდა. ეს ვენახი კი მე დამაწვა ზურგზე. აბა რას ვიზამდი. ვაზის ხელი კი ვიცოდი ცოტა-ცოტა. ორ წელიწადში დავვოჯახდი. პირველი ბავშვიც დაიბადა. მივხვდით, რომ ძველი სახლი საკმარისი არ იყო. ჩვენც, თუ კი რამე გვებადა, თავი მოვუყარეთ და ავაშენეთ ახალი. ყველაფერი დაიხარჯა. თუმცა ეს არ გვადარდებდა. მაგრამ მოულოდნელად მამაჩემი ჩაწვა. ორი წელი იავადა. ვერა და ვერ მოვარჩინეთ. აქეთ ეს, იქეთ ოჯახი, ინსტიტუტიც დასამთავრებელი მქონდა. მოკლედ, ძალიან გაგვიჭირდა. ვერც სახლსა ვცილდებოდი. ბევრი ვიფიქრეთ, ვითათბირეთ, და გადავწყვიტეთ, შემოდგომაზე დავკრეფდით თუ არა, გაგვეყიდა ვენახი. ცოტას ხომ მაინც ამოვისუნთქებდით. მერე სწავლასაც მოვრჩებოდი და გვეშველებოდა. გაზაფხულზე, მამაჩემი როცა ძალიან დასუსტდა, თბილისში დავაწვინეთ საავადმყოფოში. სამიოდე კვირა იქა გვყავდა. მაგრამ არაფერი ეშველა. ჩამოვიყვანეთ დ მალე მივაბარეთ კიდეც მიწას. ეს იყო მაისში. სექტემბერში კი მისი წერილი მივიღე. შენახული მაქვს, ბიჭებს ანდერძად უნდა დავუტოვო. საავადმყოფოში დაეწერა. ერთი არბოშიკელი კაცისათვის მიეცა. იქვე წოლილიყო. თან შვილები დაეფიცებინა, სექტემბერში მიიტანე და ჭიშკარზე საფოსტო ყუთში ჩააგდეო. მერე გამომიტყდა ის კაცი, რაკი დარწმუნებულიყო ვენახისადმი ჩემს ერთგულებაში. ამათ კიდევ, ამ ღდინძაღლებმა, შვილის იმედი არა ჰქონდა და საიქიოდან ჭკუის დასარიგებელ წერილებს უგზავნისო, მომიგონეს.

— კი, მაგრამ, აღარ იტყვი, რა ეწერა იმ წერილში?

— იქაც ეგრე ეწერა დაახლოებით. მამულის გამყიდველი წყეული იქნება შთამომავლობისაგან, გაუფრთხილდი, შენს შვილებს გამოადგებაო. ერთი რამე კი ეხლაც არ მესმის, რას გულისხმობდა ის ცხონებული მამაჩემი, მამულში, ვენახს თუ საქართველოს. თუმცა ამას რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, როცა ქართველ კაცს ვაზი სამშობლოს სიმბოლოდ მიაჩნია.

მორჩა როდამი ამ სევდიან ამბავს და პირველად მაინც მამული აღდეგრძელა.

— ამინ! — ვთქვით ჩვენც და კახმ მრავალჟამიერი წამოიწყო...

...ამ დროს მოკლე დღე იცის. აცივდა. კავკასიის მთების მხრიდან სუსხიანი ნიავი გვცემდა. მაგრამ ჩვენ ცეცხლს ვეფიცხებოდით. ღვინოსაც ვეძალებოდით. ბინდ-ბუნდი, განთიადისა არ იყოს, აღმოსავლეთიდან წამოგვეპარა, ჯერ ტყე ჩაბნელდა, და იქიდან მოედო ყველაფერს. ღამემ დაიბუდა ირგვლივ. სადღაც, ჩვენს მახლობლად ტურამ დაიკივლა. მას სხვები აჰყვნენ და მალე ამ სიჩუმეში მათი კივილი აღრეულ ღმუილში გადაიზარდა. გზას მივუყვებოდით ორი მანქანით, ღვინისაგან დაარხეინებულნი, სოფლისაკენ და არაფრის დარდი აღარა გვქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მიამიტი

ხე-ტყის ბაზას სატვირთო მანქანა მოადგა, უხეირო ფიცრებისაგან წაღმაუკუღმა შეკრულ, ყურთამდე გაღებულ ხრიხალში შევიდა და ორმოციოდე ნაბიჯით მოცილებულ ვეებერთელა ფარდალალა ფარდულთან შეჩერდა. შიგნით სახერხი გაემართათ. მის საპირისპიროდ, მთელ სიგრძეზე ჩაყოლებული ფანჩატურის ქვეშ ფიჭვის, ნაძვის, კედარის ფიცარი ელაგა დასტა-დასტა თავში, კუთხესთან, ქვით ნაშენი, პატარა, ვიწრო კარებიანი, ოთხივე მხრიდან სარკმელ-დატანებული ჯიხური იდგა. ჯიხურზევე მიდგმული ჰქონდა ხის უბრალო, მკვიდრად ნაკეთები ტახტი, რომელზეც დარაჯს ნაბადი კოხტად და თანაბრად გადაეკეცა. ტახტსა და სახერხს შორის, პატარა მაგიდას, მოხუცი უჯდა. მის ზურგს უკან უბეებით მიწაზე დაყრდნობილი ორთვალა ეგდო. მასზე ორიოდე იღლია ახალ-გათიბული, ხასხასა ბალახი ეყარა.

— დილა მშვიდობისა, ძია-კაცო! — მიესალმა წვერგაუპარსავი ახალგაზრდა.

— მშვიდობა მოგცეს, — წამოდგომითა და ხელის ჩამორთმევით უპასუხა, — შენ გოგროხაანთ ბიჭი არა ხარ, ჰიჭიტა?

— ჰო,, ისა ვარ! — გაიცინა ბავშვობის მეტსახელის გახსენებაზე.

—ეგ ვიღასია? — ანიშნა მანქანის საფეხურზე მდგომ მაღალ, ჩხიბა შოფერზე.

— აქაური არ არის. ჩემი ნათესავია.

— რუსთავში ხარ? — დარაჯი ისევ დაჯდა.

— ჰო.

— ისწავლე რამე?

— არაფერი, — უთხრა. — დურგლობა.

ერთხანს მიათვალიერ-მოათვალიერა სამი მხრიდან მოღობილი მოზრდილი ადგილი, ალაგ-ლაგ დაყრილ თუ დაწყობილ სხვადასხვანაირ ხის მასალასაც მიავლ-მოავლო თვალი.

— გამყიდველი მალე მოვა?

— ეგრე ადრე არა. — თავი გააქნია დარაჯმა. — ერთ-ორ საათში გამოჩნდება. ჯერ უფროსებთან ცხადდება დილაობით.

— დავუცადოთ? — ახლა შოფერს მიუბრუნდა.

— თუ გინდა საღამომდე.

— მერე, სამუშაო?

— ვეტყვი, გამიფუჭდა-მეთქი, — ზანტად გაიღიმა, — თან რაღაც-რაღაცეებს შევაკეთებ — თქვა და ღობესთან დარგულ ალვის ხეების ჩრდილისაკენ გააგორა მანქანა.

ჰიჭიტა ქვემოთ, რკინიგზის ხაზის გასწვრივ უწესრიგოდ დახვავებულ ხეებისაკენ გაემართა. მიუხლოვდა, აღმადაღმა აუარ-ჩაუარა, მერე ერთ მორჩილ ხეს ხელი წაავლო და გამოსწია. უმალ დაჰყვა.

— ხელი, ხელი გაუშვი! — იყვირა ამ დროს დარაჯმა. — დანიშნული აქვს.

ხელი ცივად გაუშვა, და საკუთარი სახლის მშენებლობაზე გვარიანად გაწვალებული კაცის კვალობაზე უილაჯო ნაბიჯით უკანვე გამოემართა.

ისევ დილა ეთქმოდა. ცის გაფერმკრთალებულ სილურჯეში ნაფლეთებად ქცეული ღრუბლები იცრიცებოდნენ. სიცხე ხშირდებოდა და თენთავდა ყოველივე სულდგმულს. ჩრდილი ტკბებოდა თანდათან.

— არ გენდობა? — ჰკითხა და ტახტზე ჩამოჯდა.

— რაო, არ გენდობაო? — გულწრფელად გაიკვირვა მოხუცმა, — ამნაირ საქმეში ძმაც რომ იყოს, ნდობა არ შეიძლება. საღამოთი ისე არ წავა, ცარცი არ დაიჭიროს და თავიდან ბოლომდე არ გადახაზოს ზემოთა პირზე დაყრილი ხეები. კარგი ბიჭი ხარ და, ისევე არ დახვდეს, როგორც დატოვა.

ტახტზე ჩამოჯდა.

— მანქანა ეყოლება, ალბათ, იქნება მალე მოვიდეს. — თავი გაიმხნევა ბიჭმა.

— ეხლა, ბიჭო, ვისაც ფული აქვს, ბევრი აღარ ყიდულობს, ეშინიათ. ან ძველისძველ ბარახლოებს დააგორებენ. აქაო და, შემოგვხედეთ, გვიჭირსო. ამ ჩვენ უფროსს კი არც ძველი აქვს. სამაგიეროდ თვიურად ქირაობს და ხშირად თბილისშიც დადის. იქაურია. დაუცდით?

— დავუცდით, მაშ რა ქვას ვიხლი თავში, დანა ყელთანა მაქს. ჭერიც უნდა დავამთავრო წასვლამდე, თორემ ჩამოხრდება სულ.

— მაშინ მე ცხენის ამოსაყვანად წავალ. იქნება ვინმე მოვიდეს. ხელს ნუ წაავლებენ ამ ოხერ-ტიალს. თუ უფროსი გამოჩნდა, უთხარ ცხენთან წავიდა-თქო.

ჭიჭიტამ თავი დაუქნია. მოხუცმა კი მორებს გვერდი აუარა, რკნიგზის ხაზები ერთი-მეორეზე გადაჭრა და თანდათან თვალს მიეფარა. თვითონ ტახტზე მიწვა, საკინძე კიდევ უფრო ჩაიღელა, და ის იყო თვალები უნდა მიელულა მრავალი დღის ძილ-ნაკლულს, რომ თითქმის იმავდროულად, ჭიშკარში ორთვალა შემოვიდა, შიგ სახედარი იყო შებმული. კოფოზე მოხუცი იჯდა. იქვე ღობესთან შეაბრუნა, გააჩერა, ნელა გადმოვიდა, პატარა, გამოკრული თოკი ჩამოიღო, და სახედარი ღობეზე ისე გამოაბა, რომ ბალახის მოძოვება შესძლებოდა. თვითონ შემობრუნდა, შოლტი მარცხენა ხელში აიკეცა და უკვე სიბერისაგან არაქათგამოცლილი, ფარდულისაკენ ლახლახით წამოვიდა.

მაღალი, ბეჭებში მოხრილი, ფეხებში ჩოგანივით გარეთ გაკვანტილი (რის გამოც ჩოგანას ეძახდნენ), მობერებულ სახიანი, ბრტყელცხვირპირიანი კაცი იყო.

მოვიდა, ხელი ჩამოართვა. მოიკითხეს ერთმანეთი. ჩოგანა უკან მიდგა, გასახერხად გამზადებული, მიწაზე დაგდებული მორის ბოლოზე ჩამოჯდა, ძველის-ძველი შოლტი იქვე ჩამოსდო და სიგარეტი გააბოლა.

— ორიოდე ხე მინდოდა. — მთელი დღე თუ არ დავკარგე, იოტის ოდენას ვერაფერს გააკეთებ. — თქვა მან, ასეთ რამეებს დიდი ხნის შეჩვეული კაცის კილოთი.

— ცოტა მოგვიანებით მოვაო, ზაქარა ძიამ.

— ე-ე-ჰ, თუ მოსასვლელი იყო, ალბათ უკვე მოვიდოდა. შუადღე წამოვიდა უკვე. თუმცა, აბა სხვა რა ჩარა გვაქვს! ახლა, მაინცა და მაინც ხალხი არა ჩანს. როცა რაიმე წესიერი მასალა აქვთ, ვინ იცის ორმოცი კაცი ელოდება ხოლმე .— ჩაურთო ჭიჭიტამ. — ბევრი დრო იკარგება მართლაც ტყუილ-უბრალოდ, აბა, რა ეშმაკია, ჯერ ამდენს გალოდინებს. მოვა, ან არ მოვა. როცა მოვა კიდევ, ერთი-ორად აგაფცქვნის...

— შარშან, ქვეით, დიდ ბაზაში, ჩემმა მეზობელმა ფიცარი იყიდა. შინ რომ ჩამოალაგეს, კარგა ბევრი დააკლდა ზომას. ჩავიდა და უთხრა, ხო არ შეგეშალა, ოთხის მაგიერ სამი კუბამეტრიაო. გაჯავრებულიყო, აქვე უნდა გეთქვაო. თან თურმე დაიფიცა თუ რამე მომეპაროს, ჩემს ცოლ-შვილს მოხმარდესო. რაღას იზამდა, გამობრუნდა, ეცა ცოლი კელასავით, რა გითხრაო. რა ვიცი, დაიფიცა. „თუ რამე მომეპაროს, ჩემს ცოლ-შვილს მოხმარდესო“. შე ოჯახდასაქცეო, მაშ ვის მოახმარებსო, გამოლანძღა ცოლმა. არა და ბრმა საქმეა. ეს ზომაო, ხარისხიო, ჯიშიო ფორმაო, სისქეო, სიგანეო და რაღა არა. მიდი და გაუგე რამე. თანაც, გრძივ მეტრებში იყიდება, ამათებურად კი, თურმე „გრძივი“ — „გრძელ“ მეტრს ნიშნავს. — გერგილიანად ჰყვებოდა ლაპარაკის სალერღაშლილი ჩოგანა.

— ერთი თუ ადამიანი მიეჩვია, ეტყობა, ძნელია მერე გადაჩვევა. მაინც რას არა კადრულობს ზოგ-ზოგი. — ჩაურთო ჭიჭიტამ.

— მღვდელს გალანძღვა შერჩა, თო-

რემ მკვდარი ცხონებული ვინა ნახაო. კარგა კი ცხოვრობენ და...

— ძველად?..

— ძველადაც, აბა, არა? — დიდი კმაყოფილებითა და სიდინჯით შეიფერა ჩოგანამ ახალგაზრდისაგან გამოხატული ყურადღება. ნამწვავი მიწაზე დააგდო, ბოდბისხევის ბაზარში ნაყიდი ჩუსტით გულდასმით გასრისა და განაგრძო: — კერძოობაში, სანამ კოლექტივებს ჩამოვაყალიბებდით და ცოტა ფიტს მოვიკრავდით, მე ცხვარში დავდიოდი მოჯამაგირედ. ჩემი ნართაული ძმა საბა და მამაჩემი ვენახს უვლიდნენ. გაზაფხულზე და ზაფხულში გვიჭირდა. შემოდგომაზე კი ხან ყურძენს ვყიდდით, ხან ცხვრებს, და პურს ვყიდულობდით. იმ ზაფხულს, სხვა გასაქანი რომ ვერ ეპოვნათ, მკათათვეში წინგორგოლაზე გასულიყვნენ, მოექუჩებინათ ცოტაოდენი ხორბალი, ორიოდე საცალო მოეფშვნიტათ კევრით. იმ დროს რამდენიმე დღით მეც ჩამოსული ვიყავი მთიდან. გედიქზე ჩავიტანეთ საფქვავი. საბა გამობრუნდა და წამოვიდა, ეზარებოდა ღამის თევა. ერთი მეწისქვილე იყო, ცლუნკაანელი, სატანას ეძახოდნენ. დავრჩით ორნი. მუშაობდა წისქვილი, ნელნელა ტრიალებდნენ დოლაბები და ჩამოდიოდა თითო ბეწვა ფქვილი. მინდი მაშინვე აილო. დიდი სასწორი რომ არა ჰქონდა, ავწყავდით ხოლმე საწყაოთი. ვზივართ ეგრე. მეცხვარე კაცისათვის, აბა რა არი ერთი ღამე! შუაღამე წამოვიდა, მე კი ვზივარ არხეინად და ვუყურებ ფქვილის ფთილებს. მეცხვარე კაცს მეხალისებოდა ხორბლის ფქვა. „ადექიო, მითხრა, ქვემოთ ხევზე ჩადი და დოქით წყალი ამაიტაო“. მე ვუთხარ, „მოდი ამ სიბნელეში ქვეით ნუ მაწანწალებ, ისევ ავიფარებ ხელებს თვალებზე და რაც გინდა გააკეთე-მეთქი.“ „ერთი უყურეო“. „ყურება ეგეთი არ უნდა, მე მოგივლი შენ, გაიფიქრე“ და ავტეხე მთქნარება, ვითომ მეძინებოდა. მივეგდე კუთხეში, თვალები მივლულე, ხვრინვა ამოვუშვი, თან ქვეშ-ქვეშ ვუყურებდი. ერთი ორჯერ დამიძახა, ხმა რომ არ [illegible] და დარწმუნდა მეძინა, მივიდა [illegible]თან, ერთი დიდი ვედრო ეგდო იქ, მისდგა და სამჯერ ჩაყარა თავის საფქვილეში. ვუყურე, ვუყურე. ბოლოს რო ინათა, გარეთ გავიდა. თვალი მივადევნე. ფეხისადგილისაკენ წარაცრაცდა მთელი ღამის უძილო. მეც ავიღე, ექვსი ვედრო იქიდან გადმოვყარე ჩემთან და მივწექ ისევ. რომ მობრუნდა, ცოტა ხანს ვაცალე, მერე ვითომ გავიღვიძე. ავდექ, გავიზმორ-გამოვიზმორე, და სიცალოების ავსებას შევუდექი. კარგადაც ჩავტენე. საბაც ჩამოვიდა იმასობაში. მეწისქვილემაც ხელი შეგვაშველა. დავუდეთ, მივაკარით ფქვილიც, ქატოც და ის იყო უნდა წავსულიყავით, მეწისქვილეს ვუთხარი, წუხელ სიზმარი ვნახე-მეთქი. როგორიო. ასეთ ხალხს ხომ ძლიან ეჯერებათ ეგეთები. როგორი და, ვითომ შენ სამი ვედრო ჩემი ფქვილი შენს ამბარში გადაჰყარე, მე კიდევ ვითომ შენი ექვსი ვედრო უკანვე გადმოვყარე. აი, რა დამესიზმრა-მეთქი. მაშინვე წავიდა ამბართან, ნახა ერთი კუთხე მორღვეული აქვს, გამოვიდა და — მეორედ აქ აღარ ჩამოაიტანო, არ დაგიფქვამო. ჩვენ კიდევ სიცილით გამოვუყევით გზას. აბა. ამნაირ ხალხს რა უნდ ეშველოს, ან რა გამოლევს... — მოხუცი წყნარად უცინოდა წარსულს.

ამასობაში ზაქარიაც გამოჩნდა. ცხენი შორიახლო, ღობის ძირას ბალახზე მიუშვა, თვითონ კი მოვიდა, თავის მეზობელს მიესალმა, წელანდრებურად გრძელ სკამზე ჩამოჯდა.

— ჩოგან, შე კაი კაცო, ცოტა გონზე გაგეყვანა, ნარგავები არ გაკორტნოს, შენსავით თარსი ჩანს, — უთხრა ზაქარიამ.

— მოგცლია, ერთი, — დაუდევრად ჩაიქნია ხელი, რაც ორში ერთს ნიშნავდა ალბათ: ან ნუ გეშინიაო, ან არა და — შენი ნარგავები არ მედარდებაო.

— გამოგეშვა მაინც, ცოდოა დაბ-

მული, სულიერია, რაც არ უნდა იყოს. კაი ხანს დააგვიანებს კიდევ.

— შე ოხერო, აქ დაბმა რომ საცოდაობა იყოს, სულ აქ არ აბიხარ, ბეწვს კი არ დაიბწკინებდი, უფალს მიაბარებდი მაგ ნაჯახირევ სულს. — თქვა ჩოგანამ, — გადაარჩიე? — იკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

— მე კი გადავარჩიე, მაგრამ სჯობია დახერხილი კოჭები გაუწყო მარანს, იქნება და იქნება. — უთხრა ზაქარამ.

— შე რჯულძაღლო, შენა გგონია გემოვნება მაკლია? დახერხილი კოჭი ორჯერ-სამჯერ ძვირი დაჯდება, არ იცი? აღარ არის, არა მაგდენი. ხო იცი, ქალაქელებს არაფერი გამოერთმევათ, ამ ბიჭს კიდევ იმაზე უჭირავს თვალი, იქეთ რა წამგლიჯოს. დახაცაცებულებივით არიან.

— რა ვიცი, თორმეტი წელიწადი კოლექტივის ცხვარში სარქალად დავდიოდი, ხელში კი არაფერი გიჭირავს. — მერე ჭიჭიტას მიუბრუნდა. — ძველი კომუნისტია. პატიოსანზე პატიოსანი.

— მართლა? ჰკითხა ჭიჭიტამ მოხუცს.

— მართლა, მაშ რა. ვეტყოდი ხოლმე მწყემსებს: არ დაგავიწყდეთ, მინდორში ჩვენები უფრო მძიმე საქმეს ეჭიდებიან-მეთქი. მაშინ ხომ ამდენი ტექნიკა არ იყო, მინდვრებს ხელით ამუშავებდნენ. არც მწყემსების დაქირავება გვჭირდებოდა. დიდი და პატარა, ხალისით მიდიოდა. ერთ ცხვარზე ჩვიდმეტ კილო რძეს ვიღებდით, რვაცხრა გირვანქა მატყლს. მაინც ადგნენ და მომხსნეს, უსწავლელი ხარ, ანგარიში არ იციო.

— მერე? — ისევ ჩაერია ჭიჭიტა.

— რაღა „მერე", ნასწავლი გაუშვეს. ორი გირვანქით მატყლის შემოსავალმა დაიკლო, შვიდ კილომდე კი — რძისამ. ყველი სამკილონახევრიდან ორ კილოზე ჩამოუვარდათ. „ანგარიში" იცოდა. თოთხმეტი წელიწადი გავიდა იმის შემდეგ. ჩვენდენს ვერც მატყლს იღებენ მაგ ყველს ხომ აღარავინ აქცევს ყურადღებას. ერთი-ორი ცენტნერით ძროხის წველადობა გაზარდეს და ცხვრის ყველი აღარ გვინდაო, მატყლის ზრდას უშლისო ხელს, ვითომ. ერთი ბეწოს-და აკეთებენ. ამიტომაც ღირს ბაზარზე ცხვრის ყველი შვიდირვა მანეთი, ახალი კი უფრო მეტი. მართალია ძროხის ყველი იშოვნება, მაგრამ აბა იაფი ცხვრის ყველიც რომ ჰქონდეთ ქალაქში ჩვენს ძმებს, მუშებს, დავიჯეროთ უარს იტყოდნენ? მაშინ ჩვენცა გვქონდა და იმათაც; ზოგს, ვისაც ეს საქმე ეკითხება, ეტყობა დღესაც ვერ გაუგია, რომ სიძვირე უქონლობამ და ნაკლებობამ იცის. ხელმრუდობისაკენაც ეს ეწევა კაცსა. თორემ, აბა პატიოსნებას რა სჯობია... მართალს არ ვამბობ, ბიჭო ზაქრო?!

— ეგრეა, ეგრე,—ჩაიცინა დარაჯმა და ახალგაზრდას მიხედა: — აწალიკდებიან ხოლმე ვირის კაჭკაზე ერთი მხრივ ჩოგანა თავისი დაკერებული შარვლით, მეორე მხრივ — პატიოსნება, და დადიან ერთად. კიდევ კარგი, პატიოსნებას წონა არა აქვს, და ესეც ძვალტყავად არის ნაქცევი, თორემ ეს საწყალი ვირი აქამდე შემოაკვდებოდათ. — გულკეთილად ხუმრობდა მოხუცი და თავის ნალაპარაკევზე თვითონვე ეცინებოდა.

ჭიჭიტამ მზერა ჩოგანას შარვალზე გადაიტანა. მუხლებზე დაკერებული შარვალი ეცვა მართლაც.

— მაგ პატიოსნებაზე მართალი ხარ. მაგრამ, შე ღმერთგამწყრალო, მაშ ვირის კაჭკაზე ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ხომ ვერ დავჯდები? — ცოტათი დაირცხვინა, ცოტათი იწყინა მან. — შენსავით ცხენი რომ მყავდეს, კიდევ ჰო!

— მაგრე არაო, — არ ეშვებოდა ის. — შენ იმ ერთი მწყემსივით დაგემართა.

— ეგ რომელი? — ისევ ჩაერია ახალგაზრდა. ზაქარას თავპატიჟი აღარ დაუდვია.

— ეს ამბავი, მართალია ძველად მომხდარა. ერთ ხელმწიფეს ერთადერთი მემკვიდრე შვილი გახდომია ავად. უამრავი ექიმი დაახვიეს თურმე თავზე, მაგრამ ვერაფერი უშველეს. ბევრი თათბირის შემდეგ, გადაწყვიტეს, რომ პატიოსანი კაცის საცვალი უნდა დაიწვას და ის უნდა დალიოს, ეგებ მაშინ გადარჩესო. გაუხარდა თურმე ხელმწიფეს, მაგრამ სიხარული ნაადრევი გამოდგა: არც ისე ადვილი საქმე აღმოჩნდა ასეთი კაცის პოვნა, ყველას რაღაცა ხინჯი ჰქონდა. სასახლეში ხომ ვერა და ვერ ნახეს, ვერც სატახტო ქალაქში მიაგნეს. ადგა და მთელ ქვეყანაში დააგზავნა ხალხი. ვერ იქნა და ვერ იპოვეს. დაღონდა მეფე, რაკი გაიგო, რა ცოდვა-ბრალიან ქვეყანაში უცხოვრია. ბოლოს, დიდი ძებნის შემდეგ, ამბავი მოიტანეს, სადღაც შორს, მიკარგულ მთებში, ერთი მწყემსი ყოფილაო, სწორედ ისეთი, ჩვენ რომ გვინდაო. წავიდნენ. გზადაგზა მიასწავლეს იმ კაცის ადგილ-სამყოფელი. როგორც იყო მიაგნეს კითხულ-კითხულით. მივიდნენ. ერთ ქოხში ცხოვრობდა, წვრილშვილი იყო და ცოტაოდენი თხები და ცხვრები ჰყავდა. შიშველ-ტიტველი ბავშვები აქეთ-იქით მიიმალნენ. გაუხარდათ, ღარიბ-ღატაკი ყოფილა, ადვილად გაიმეტებსო. მწყემსი შეწუხდა თურმე, ამდენ და ეგეთ საპატიო ხალხს რით გაგიმასპინძლდეთ, თითო ჯამი რძე მაინც დალიეთ და ქერის ფათირები მიატანეთო. არაო, უთხრეს, ჩვენ მეფის გამოგზავნილები ვართო. და შესთავაზეს ათასგვარი სიკეთე, ოღონდ საცვალი გაიხადე და მოგვეცი, ასე და ასეა ჩვენი საქმე. პატიოსანი კაცი ყოფილხარ, შენს მეტი სხვა ვერავინ ვნახეთ ამ ქვეყანაზეო. მწყემსი შეწუხდა თურმე, აღარ ,იცოდა რა პასუხი მიეცა. ამათ იფიქრეს, იცოტავაო და კიდევ დაჰპირდნენ ავლა-დიდებას, ოღონდ უარს ნუ გვეტყვიო. ბოლოს მიუცია პასუხი: მართალია, მე პატიოსანი კაცი ვარ. ჩემს საცვალსაც სიამოვნებით მოგართმევდით და არავითარ სამაგიეროს ხელს არ მოვკიდებდი. მაგრამ, აბა რა მოგცეთ, მოდი თუ გინდა ნახეთ, საცვალი არ მაცვია, მაგდენი ვინ მომაშავქვავაო... მოკლეთ, ეგრეა ამ ჩვენი ჩოგანას ამბავიცა, — ჩაამთავრა დარაჯმა.

მათი ტკბილ-მწარე საუბარი ანაზდეულად მოსულმა ბაზის ნოქარმა შეწყვიტა. ეს იყო კარგი აღნაგობის ოცდაათიოდე წლის კაცი. ჯინსები ეცვა. მიესალმა იქ მყოფთ. რა გინდათო, იკითხა. უთხრეს. ეხლავე, ჯერ ვნახოო. წავიდა, მთელი ეზო ძირი-ძირობამდე დაიარა. იმ ადგილას, პირბალნიანმა რომ ხე გამოსწია, კარგახანს უკირკიტა, და როგორც იყო, მობრუნდა. შეგიძლიათ აარჩიოთო, დართო ნება ორივეს. მხოლოდო, სქელ ხეებს ხელს ნუ წაავლებთო. რატომაო, ყასიდად შეეკითხა ახალგაზრდა, თუმცა არც მასა სჭირდებოდა მორები. ის უნდა დაიხერხოს და უფრო სარფიანი იქნებაო, გულახდილად აუხსნა გამყიდველმა.

პირბალნიანმა შეაჭანჭყარა ჩხიბა შოფერი, რომელიც კაბინაში არხეინად ფშვინავდა, გაალვიძა, და მანქანა ზედ ხეებთან მიაყენეს. შაქრომაც თავის მხრივ ორთვალა მიაგორა გადარჩეულ ხეებთან. ზაქარა ეხმარებოდა და ისინი დაბეჯითებით ალაგებდნენ ხეებს. მოხუცებმა ოთხი მეტრო სიგრძის ხუთი ხე ჯვარედინად მოხერხებულად დაალაგეს პაწაწინა ორთვალაზე, აპეურებით მაგრად დააკრეს. გამყიდველმა აზომა სათითაოდ და უთხრა, ჩემს სამუშაო ოთახში წადი და მოვალო. ის ოთახი შემოსასვლელთან მდებარეობდა. ბერიკაცმა შეუძახა ვირს. იმანაც გაიწია და თვითონაც უკან გაჰყვა.

— კარგად გათალე და ისე დაალაგე, თორემ თუ ქერქის ქვეშ ჰია გაუჩნდა, უყარე კაკალი. — ეუბნებოდა ზაქარა.

— მე კი არა, ხელოსანმა უნდა გათალოს.

— მეც მაგას ვამბობ, აჩქარდებიან ხოლმე. ხომ იცი იმათი ამბავი...

ახალგაზრდებიც გულდაგულ ეძებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ და თორმეტი გაცილებით მსხვილი ხე გადმოათრიეს პირდაპირ ძარაზე. გამყიდველმა ესენიც აზომა და თავისთან წავიდა. წვერგაუპარსავმაც აიღო თავისი მასალის ზომა, იქვე ფიცრის ფირფიტას შეხედა და სწრაფად დაიანგარიშა. ჭიშკართან მოაგორე მანქანაო, უთხრა შოფერს და იქით გაეშურა ფულის გადასახდელად.

ჯინსებიანი ნოქარი იჯდა და ციფრებს ამრავლებდა. მაგიდის კუთხესთან იდგა მოხუცი, მარცხენა მკლავზე შოლტი ჰქონდა გადაკიდებული, მარჯვენაში კი საფულე ეჭირა. ჭიჭიტამ მოხუცს ზურგს უკან გაუარა და გამყიდველის პირდაპირ, მაგიდის მეორე მხარეს დაჯდა. მოხუცმა ცხრამეტი მანეთი გადაიხადა, მადლობა მოუხადა და წავიდა.

ახლა ამისი იანგარიშა. პატარა, ფანჯრებჩარაზულ ოთახში, სადაც ჰაერი ერთობ ჩახუთულიყო, ნაუცბათევად ენერგია-დახარჯულ წვერგაუპარსავ ახალგაზრდას დანდობილა სახეზე ოფლი დააყარა. მაგრამ მას ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია.

— რამდენისაა? — იკითხა.

— სად მიგაქვს? — შინაურულად ჰკითხა გამყიდველმა.

— აქაური ვარ.

— იცი, რაშია საქმე? — თქვა, — რადგან არ გიცნობ, უნდა გითხრა ერთი რამ, — აქ მან პატარა პაუზა გააკეთა, და მყიდველმა ანიშნა, გისმენო, — საქმე იმაშია; რომ ეს მასალა, ერთი კუბური მეტრი, როგორც ნახე კიდევაც ალბათ, ღირს ოცდაჩვიდმეტი მანეთი: მაგრამ რაკი ჩვენ ხარჯი გვაქვს, ვყიდით ორმოცდაათ მანეთად. ახლა შენ იცი, როგორც გინდა ისე წაიღე, ნაწყენი რომ არ დარჩე. კაცნი ვართ.

პირგაუპარსავს უნდოდა ეკითხა, რის „ხარჯიო“ მაგრამ თავი შეიკავა. აშკარად არ მოელოდა ამ აღსარებას, მოულოდნელად უხერხულად იგრძნო თავი, მაგრამ არ გაამჟღავნა და მაშინვე უპასუხა:

— აიღე, როგორც სხვებისაგან, ისე ჩემგანაც.

— ოცდა რვა მანეთი, — განუცხადა მან.

გადაიხადა, გამოვიდა, იქვე მდგომი მანქანის კაბინაში შევიდა. მანქანა ყუთამდე გალებულ ხრიხალში ნელა გავიდა და ნაკეთებ გზას, შემთხვევით ხეები არ ჩამოგვიცვივდესო, ნელა გაუყვა.

— რაო, როგორ გიანგარიშა? — ჰკითხა ჩხიბა შოფერმა.

— ხარჯი გვაქვსო და ორმოცდაათად ვყიდი ოცდაჩვიდმეტმანეთიან ხეებსო.

— თუ ეგ „ხარჯი“ იმათთან არა აქვს, ვისაც ამათი კონტროლი ევალება, კიდევ კარგი.

— არა, ბიჭო და მე მიგზავნის ყოველთვიურად, ცოლშვილი არ მოგიშივდესო. — ჩაიცინა ჭიჭიტამ, და უკვე სერიოზულად დააყოლა: — ჩვენი ბრალია, ახია ჩვენზე: ხახადაღებულები შევყურებთ როგორ გვაცლიან ლუკმას ამისთანეები.

რამდენიმე წუთის შემდეგ ტაატით მიმავალ ორთვალას წამოეწივნენ. გაუპარსავმა მანქანა გააჩერებინა, ბერიკაცს გადასძახა, ძია კაცო, ცოტა ხანს გაჩერდიო. იმანაც ეგრევე შუა გზაზე შეაჩერა. ჩამოხტა. რკინის დასაკეცი მეტრიანი, ქაღალდი და ფანქარი ამოიღო ჯიბიდან და გულდადებით აზომა ხეები. იქვე, კოფოზე აიანგარიშა.

— ვიცი, მომატყუებდა ორ-სამ მანეთს, — თქვა მან.

— როცა გატყუებენ, ჯობია არ იცოდე, უფრო მეტად დაიბოღმები. მაგრამ მაინც გეტყვი: ეს ჯოხები, ჰა და ჰა, 6 მანეთისა და ორმოცი კაპიკისაა, ან, დიდი-დიდი, შვიდისა.

— მართალს ამბობ მაგასა? — გაოცდა მოხუცი. — ხომ არ გეშლება?

— რა უნდა შემეშალოს, დურგალი ვარ, სხვას რას ვაკეთებ. — დაამშვიდა, მერე კარგად ვიყავით, მიაძახა. და კაბინაში ავიდა. შეიცადეს, სანამ გზა განთავისუფლდებოდა. მოხუცი ერთხანს

გაოგნებულ-გარინდებული იდგა, მერე თავი გააქნივ-გამოაქნია და უცბად თითქოს სახედრის ბრალი ყოფილიყოს, ისე მაგრად გადაუჭირა შოლტი, რომ ის საწყალი ელდანაკრავივით მოწყდა ადგილს.

ბერიკაცი უკან გაჰყვა. შავი სატინის ხალათი ეცვა. ზურგზე ორი მრგვალი საკერებელი ედო, ორი დიდრონი, ფართოდ გახელილ თვალივით გულუბრყვილოდ რომ უმზერდა სოფელ ქვეყანას.

## მასპინძლობა

ზამთრის პირი იდგა. ნაწვიმარზე გზა ატალახებულიყო. კუბო ასე აჰქონდათ ზევით და ზევით. ეს უზარმაზარი პროცესია ნელა მიიწევდა, და სოფელს რომ ავცდით, უკვე ნისლმა დაგვბურა. როგორც იქნა, მივაღწიეთ სასაფლაოს. ჭირისუფლებმა იქ კიდევ ერთხელ იტირეს რიგ-რიგობით და მიცვალებული მიაბარეს მიწას. ჩემს მეგობარს, კოლმეურნეობის ინჟინერს მოსე ჩელებაშვილს, ხელი არ შეუშვია კუბოსათვის, თუმცა მთლად ტალახში ამოისვარა. მანქანა ქვემოთ გვეყენა. ძლივს გამოვეშვით გზაზე საგანგებოდ ჩაყენებულ ზონზრონა ვაქკაცებს.

— მასპინძლობა არ უნდა ამდენ ხალხს? — ვთქვი მე, როცა ნაკეთებ გზას დავადექით.

— მასპინძლობას კი კარგს გაუწევენ, ალბათ. მაგრამ განა არის კი საჭირო? ძალზე შორს შევტოპეთ, ეტყობა. სწორედ მიზეზია მთავარი, რამაც უნდა მიიზიდოს სტუმარი სუფრასთან. ეს შეიძლება იყოს თავმოყვარეობა, ან პატივმოყვარეობა, როგორც დღეს. ანგარება ან ვაჭრული ჩანაფიქრი, მომხვეჭველობა, რაც ძალიან გავრცელდა ამ ბოლო დროს. მოვალეობის მოხდა, წაბაძულობა, ვიღაცის ჯიბრი. ზოგჯერ იძულებაც.

არსებობს ნამდვილი სტუმართმოყვარეობაც, ყველა ამათგან თავისუფალი, ისეთი რაც მამა-პაპათა ყოფაცხოვრების ერთ-ერთი საფუძველი იყო...

მჭიდროდ დასახლებული სოფლის სველ გზაზე ნელა მიმყავდა მანქანა.

— ალბათ გაინტერესებს ვინ იყო ეს კაცი, არა?..

ახალგაზრდობაში ტრაქტორზე ვმუშაობდი, თანაც დაუსწრებლად ვსწავლობდი. ზაფხულობით, მოსავლის აღებისას. რამდენიმე წელიწადს ძველ „კომუნარს“ დავაგორებდი. 1952 წელს კი, „სტალინეც-6“ მივიღე. ო, რა მანქანა იყო, ბიჭო!

სანამ ჩვენთან, შირაქში ყანები გიმჭრებოდა, წინა მხარში გამაგზავნეს, ანაგის კოლმეურნეობაში. ალაზნის პირას გვერგო ასიც ჰექტრიანი ნაკვეთი. ათიოდე დღე მოვუნდით. დღე და ღამე ვმუშაობდით. ორას ტონაზე მეტი გავლეწეთ. იმ დროის კვალობაზე ეს ბევრი იყო.

ხარჯი კარგი გვქონდა. ღვინო ყოველდღე მოგვდიოდა პატარა ტიკით. რა ღვინო იყო მერე, უკეთესს ვერ ინატრებდი! აბა რა მესწავლება ამ საქმეში. ხორცი, ან ქათამი ყოველთვის გვქონდა. ძროხის ახალი ყველი, ქორფა მწვანილი, კიტრი და პამიდორი. ალაზნის ლოქო და ცოცხალი, — გოდორ-გოდორებით იჭერდა მოხუცი ყარაული. აბა შოთებს არ იტყვით? ამ სოფლებში ისეთი გრძელი წვერები აქვს, შეტანება არ გინდა არაფრის. თანაც რა სილამაზე! ალაზნის მარჯვენა ნაპირზე ყანა ეთესა, გაღმა ჭალა იწყებოდა, ჩვენს აქეთ — ვენახები... აი, — ვიტყოდით ხოლმე ერთმანეთში. — როგორ უნდა ფასდებოდეს მექანიზატორი. ოთხივენი — მე და ჩემი მეშტურვალე, ტრაქტორისტი და მისი ცვლა, ამ მხრივ კმა-

ყოფილი ვიყავით· მუშაობაც შეუფერხებლად მიდიოდა. იქ დავიწყეთ პირველად „გაზ-51"-ში კომბაინის გაუჩერებლად ხორბლის გადაცლა. მერე ხომ ყველამ გადაიღო ჩვენგან.

ბრიგადირი იყო, ერთი კაფანდარა, შუახანს გადაცილებული კაცი, ომის ინვალიდი, თუმცა მაინც ყოჩაღად ეჭირა თავი. არ იყო მაინცადამაინც ლაპარაკის მოყვარული. გვიან საღამოს ცხენით მიდიოდა, დილით ისევ ჩამოდიოდა. მისი ქცევა კი აშკარად არ მომწონდა. დღეში ერთი ხუთჯერ მაინც შეამოწმებდა მომკილს, მარცვალი ხომ არ გასდევსო. ერთხელ წააწყდა კიდეც, გაგვაჩერა, სანამ არ გაგვაკეთებინა, არ გაგვიშვა. ამოვიდოდა მაღლა, ბუნკერში ხელს ჩაჰყოფდა, პეშვით აიღებდა ხორბალს, ერთი პეშვიდან მეორეზე გადაჰქონდა, თვალები უბრწყინავდა და უფართოვდებოდა, ეტყობოდა, იცოდა პურის მადლი.

ეს, რა თქმა უნდა, არაფერი. ის კი გვწყინდა, რომ გვაკონტროლებდა, თითქოს შარაგზის ყაჩაღები ვყოფილიყავით. არ მომწონდა სხვა რამეც: როგორც წესია, ჩვენს მიერ გაწეული ხარჯი, საჭმელ-სასმელზე, ჩვენვე უნდა დაგვწერებოდა და დაექვითათ· ის კი, თითქოს მასპინძელიაო, დაუპატიჟებლად სუფრის თავში წამოჯდებოდა ხოლმე, აურჩევლად იწყებდა თამადობას, სადღეგრძელოებს ამბობდა. თან, სტუმრები ხართო, და პირველად ჩვენ გვადღეგრძელებდა.

ჩვენ გადავწყვიტეთ, ეს კაცი მუქთა სმა-ჭამის მოყვარულიაო, მაინც არაფერი გვითქვამს, ისედაც მალე უნდა წამოვსულიყავით აქეთ და ქერები გაგვეჭრა. მოკლედ, გვარიანად შემეჯავრა. ბოლო დღეს, მზე თავზე რომ წამოგვადგა, მოვრჩით. გვეჩქარებოდა, მაგრამ, აბა რა მიწის მუშები ვიყავით, თუ არ დავლოცავდით მოსავლის ბარაქას. ხარჯი კი არ იყო მოტანილი.

„რატომ არ გამოგზავნეთ-მეთქი" შევუღრინე ბრიგადირს.

„გამოვგზავნე, სად ჯანდაბაში არის აქამდეო."

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შენ მარტო საკუთარი სტომაქი გახსოვს-მეთქი".

მივდექი და, ერთი არ შემიგინებია, თორემ რაღა არ ვუთხარი, გვარიანად გავთათხე. ო, როგორ ეწყინა. მაგრამ თავი შეიკავა·

ეს კი მითხრა, „სტუმარი ხარ და აბა რა გკადროო".

„რა ვიცი, ათი დღეა შენ ზიხარ ჩემს ხარჯზე-მეთქი."

ენა ჩაუვარდა, ეს რომ ვუთხარ. ერთი ჩაიცინა კი, აი, იმგვარად, მათხოვარს რომ მისცემ რაღაცას და გათათხავ. მისთვის კი სულ ერთია, უსინდისოდ ჩაიცინებს...

ამასობაში ხარჯიც მოიტანეს. ბატკანი წამოეყვანათ, იქვე დაკლეს. ბიჭებს ვუთხარ, წავიდეთ-მეთქი, იმ კაცმა, კიდევ, უსინდისოდ მითხრა, დარჩი, პურმარილზე წიხლს ნუ მიკრავო..· რა დამარჩენდა, სატვირთო მანქანას გამოვყე კანტორაში. იქ მთელ საათს ანგარიშობდნენ, მერე მივიღე ნამუშევარი. კარგად გამოეწერათ. მე თვითონ სამასი თუმანი შემხვდა. „ხარჯისა დაკავებული რამდენი მაქვს-მეთქი", ვიკითხე, — ბიჭებისათვის ხომ უნდა მეთქვა. მოლარემ, არაფერიო. ბუღალტერი საწყობის გამგეზე გაბრაზდა, ეს როგორ გამორჩა მაგ დოყლაპიასო.

მოუყვანეს. კარგად გამოლანძღა. იმან უცბად ვერ გაიგო, რის ხარჯი, რა ხარჯიო. ბრიგადირს არაფერი არ წაუღიაო·

როგორაო, გაუკვირდა ბუღალტერს, მე ხომ დაგავალე, ოთხ კაცზე ყველაფერი ტეტელოს (იმ ბრიგადირს ერქვა) გაატანე ხოლმეო. პირველ დღეს მართლა შევუნახეო, მაგრამ არ წაუღია. როცა ვუთხარ, რატომ არ მიგაქვს მეთქი,-გამლანძღა: შე მამაცხონებულო, სტუმრებს, თანაც დასახმარებლად მოსულთ, აწონილი სურსათი როგორ ვაჭამოო...შენი არაფერი მინდა, მე გავწვდებიო...

უცებ მივხვდი, რამხელა ხეპრე ვა-

მოვდექ და რამდენი სიბრიყვე გამოვიჩინე იმ კაცთან. წარმოგიდგენია, რა დღეში ჩავვარდი?.. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. მინდოდა სამაგიერო გადამეხადა, მაგრამ სირცხვილი არ მაძლევდა გასაქანს. ვერა და ვერ გავბედე თვალებში შემეხედა. შორიდან კი ვიგებდი მის ამბავს. ეჰ, ესეთი კაცი ცხოვრობდა აქვე, ჩვენს გვერდით, მეზობელ სოფელში. წავიდა სამუდამოდ, როგორც ყველა. მე კი სინანული სამარემდე ჩამყვება ალბათ.

## რაინდული ბუნების კაცი

ზაფხულია. საღამო ხანი. მზის სხივები სანახევროდ გაწეულ ფარდებში, ნაწილობრივ გაღებულ ფანჯრებსა და თაროებზე დიდ ქოთნებში გალაღებულ ნაირნაირ ყვავილებში გახლართულან. ჭერზე ჩამოკიდებული სანიავებლები მოსაწყენად ზუზუნებენ და ენერგიულად ერეკებიან ჰაერის თბილ, ყანგბადგამოცლილ ტალღებს.

გრძელი მაგიდის თავში ზის ახალგაზრდა ქალი. მდიდარი მკერდი სასიამოვნოდ აუდ-ჩაუდის. სახეზე ატმის ყვავილის ფერი გადაჰკრავს. ლაპარაკისას ვარდისფერ ტუჩებს შორის თეთრი კბილები უკამკამებენ თაფლისფერი თვალების ირგვლივ ისეთი გრძელი წამწამები ჩარიგებულან, მიკვირს, დახამხამებისას ერთმანეთში როგორ არ იკვანძებიან.

აღმასკომის წევრები იმ გრძელ მაგიდას უსხედან. კედლის ძირებზე ჩარიგებულ სკამებზე კი განყოფილებათა გამგეები, სხვა დანარჩენი თანამშრომლები ჩამწკრივებულან, ვისი დასწრებაც სავალდებულოა.

აღმასკომის სხდომები კვირაში ერთხელ იმართება და დიდი საქმეებიც წყდება. აქ აძლევენ ბინებს, ამტკიცებენ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშნულთ, აგვარებენ რაიონის კეთილმოწყობისა და სხვა მრავალ საკითხს.

ყველაფერია გათვალისწინებული იმისათვის, რომ არ იქნეს შეცდომა დაშვებული, მაგრამ მაინც დიდი სიფრთხილეა საჭირო. ზოგჯერ ხდება კიდეც უცნაური და საინტერესო, როგორც ამჯერად.

...მორიგი საკითხი რომ მორჩა, ორმოციოდე წლის ახოვანი მამაკაცი შემოვიდა. ამდენი ხალხის ერთად დანახვა სხვებივით სრულებითაც არ იუხერხულა და თავის დაკვრით მიესალმა იქ მყოფთ. პასუხი არავის გაუცია. არც ამას ჩაუგდია ის უხერხულ მდგომარეობაში.

ინსპექტორს ის იყო, უნდა დაეწყო მოხსენებითი ბარათის კითხვა, მაგრამ თავმჯდომარემ ხელით შეაჩერა, და შემოსულს მიუბრუნდა.

— ნადირაძე ხართ?

— ნადირაშვილი გახლავართ, ქალბატონო! — შეუსწორა მან.

— ახლოს მოდით.

ის მოუახლოვდა მაგიდას.

— ახლა გვითხარით, როგორ იყო და რას ითხოვთ.

— მე, ბატონო, ვმუშაობ მოდების ატელიეს გამგედ. გამოყოფილი გვაქვს რვასართულიანი სახლის პირველი სართული. ჩვენს მაღლა, ორ ოთახიან ბინაში, ბებიასთან ერთად, ცხოვრობდა სამი-ოთხი წლის ბიჭუნა. მაგის დედა, ბოდიშს მოვითხოვ და, ვიღაცას შეუცდენია, მერე კი მიმალულა. ამ ბავშვს დედაც გარდაცვლია, ღვიძლის ციროზით. ბებიას ამარა დარჩენილა. ეზოში ჩამოდიოდა ხოლმე. ერთხელ ჩვენთან შემოვიდა. ტკბილეული მივეცი· მეორე დღესაც მოვიდა. მერე ყოველდღე მოდიოდა. გვებრალებოდა მოუვლელი ბავშვი. ყველა შევეჩვიეთ. სულ მალე ნარჩენებისგან ნაირნაირი სამოსი სამოსელები შევუკერეთ. სათამაშოებს ვუყიდიდით ხოლმე, ტკბილეულს.

საჭმელსაც ვუგზავნიდით მთელ დღეებს ჩვენთან ატარებდა. ამ ზამთრის გასულს, ერთხელ, ის მოხუცი საავადმყოფოში წაიყვანეს. ბავშვი ტირილით შემოვარდა ჩვენთან. დავამშვიდეთ, მილიციას გამოვუძახეთ. მათ დანახვაზე გული ამოუჯდა, ტიროდა, იხვეწებოდა, ოღონდ აქ დამტოვეთო, დავგვიო, გავწმენდავო, ყველაფერს გავაკეთებო. გაგიგონებთ, არ გაგაბრაზებთო. ყველა აგვატირა მე მაინც უფროსი ვიყავი. რაღაც გადაწყვეტილება უნდა მიმეღო. რა უნდა მექნა? თანამშრომლებს შევთავაზე, რამდენიმე დღით წაეყვანათ შინ, სანამ ბებია გამოვა-მეთქი. არავინ არ დათანხმდა. ავდექი და მეუღლეს დავურეკე ასე და ასეა, ბავშვს მოვიყვან, მოკლე ხანში ბებიაც დაუბრუნდება-მეთქი. კიო. წავიყვანე. ოთხი შვილი მყავს მე თვითონ, ამ ბიჭზე უფროსები. შეეჩვივნენ. ათიოდე დღეში მოკვდა მოხუცი. შინ გამოვუცხადე — უპატრონო ბავშვთა სახლს უნდა ჩავაბარო-მეთქი. ცოლმა მოიწყინა, შეეცოდა, იყოს, რას აშავებსო. მე გავბრაზდი, არა-მეთქი. მოგეხსენებათ, ისედაც საკმაოდ მყავს შვილები. მოვუნდომე კიდეც დილით წაყვანა. არ დამანებეს. ტიროდა ბიჭუნაც, ტიროდნენ ჩემებიც. მეც დავუფიქრდი და გადავწყვიტეთ ვიშვილოთ. ამჟამად ისე არიან შეჩვეულები, უკვე ველარ წარმომიდგენია სხვანაირად. სექტემბრიდან სკოლაში უნდა მივიყვანოთ უკვე...

— მერე? — ჩაურთო კითხვა თავმჯდომარემ.

— ეხლა, ბატონო, ერთი თხოვნა მექნება. მე მართალია, ოთხი შვილი მყავს, მაგრამ კარგი ბინა მაქვს, საკუთარი ეზოთი. მშობლებსაც ასეთივე სახლი აქვთ იქვე. ისე, რომ ბინით უზრუნველყოფილი იქნებიან. მაგრამ აი ეს ბიჭუნა, რომ გაიზრდება, რა ვიცი რა ხდება... ამიტომ, კარგი იქნება მას ჰქონდეს თავისი ბინა. ის ოროთახიანი, რომელშიც ეს ბავშვი ცხოვრობდა, ჩაიბარეთ გარანტიით... მე კი არაფერს დავაკლებ, მაგრამ მაინც რატომ უნდა დარჩეს უბინაოდ?.. გთხოვთ შეხვიდეთ ობოლი ბავშვის მდგომარეობაში, რომელიც ათიოდე წლის შემდეგ სრულწლოვანი მოქალაქე გახდება, და ნუ დაუკარგავთ ბინას...

— ჩვენ ბინას არავის ვუკარგავთ. პირიქით, — მკაცრად გააწყვეტინა თავმჯდომარემ.

რამდენიმე წამს სიჩუმე იდგა. მერე ერთბაშად დაიწყეს თანამშრომლებმა ჩურჩული ერთმანეთში. ყველა აღტაცებული იყო. მართლაც და, ასეთი რაინდული ბუნების ადამიანს ახლა ადვილად შეხვდებით, განა?..

— რას იტყვით? — იკითხა მანნებისმიერი საკითხის ამგვარად დაყენებისას, აღმასკომის თვითოეული წევრი ცდილობდა გამოეცნო თავმჯდომარის პირადი აზრი, გარდა, რა თქმა უნდა, რაიკომის მდივნისა. ამ ახალგაზრდა ქალისაგან კი ხშირად შეუძლებელი იყო გაგეგო, თვითონ რას ფიქრობდა. ამით, უმთავრეს შემთხვევაში, აიძულებდა სხვებს ელაპარაკათ ის, რასაც ნამდვილად ფიქრობდნენ.

მაგრამ აქ ყველაფერი გასაგები ჩანდა. რაიონის მთავარი ექიმის გამოსვლა ხომ საერთოდაც პრინციპულობით გამოირჩეოდა, თვით განათლების განყოფილების, გამგემაც კი, რომელიც ხშირად შეუცდომლად ხვდებოდა თავმჯდომარის აზრს, ალბათ ამიტომ, მგონი, არც გააჩნდა საკუთარი, მოითხოვა დაუყოვნებლივ გადაეწყვიტათ საკითხი ბავშვის სასარგებლოდ. ყველამ, ვისაც კი ხმა ჰქონდა, ეს, ერთადერთი სწორი, პოზიცია დაიკავა. კანონით ბავშვს ბინა ერგებოდა.

აი, ახლა იტყვის თავმჯდომარეც ერთ სიტყვას და ყველაფერი გადაწყდება ბავშვის სასარგებლოდ. მაგრამ მოხდა მოულოდნელი.

— აქ ორი სხვადასხვა საკითხია ერთად დასმული ჯერ უნდა დავამტკიცოთ შვილად აყვანა. რაც შეეხება ბინას, სხვა ამგვარ საკითხებთან ერთად

უნდა განვიხილოთ, — ბრძანა თავმჯდომარემ.

დაამტკიცეს შვილად აყვანა.

— თქვენ მოიცადეთ, დაგიძახებთ, — მიმართა მოქალაქეს და იმანაც დატოვა დარბაზი.

უკლებლივ ყველა გაოცებული იყო. მაგრამ მას ყურადღება არ მიუქცევია არავისთვის. მე მიმიხმო. მივუახლოვდი.

— აქ რაღაც სხვანაირად უნდა იყოს. ეს ვარაუდები დამიზუსტეთ.

გამოვედი. ხალხის ხმაურიან ჯგუფებს გვერდი ავუარე და იქვე გვერდით ჩემს კაბინეტში შევედი.

ქაღალდის ნაჭერზე ეწერა:

„საკითხი მოუმზადებელია. ერთ საათში გაარკვიეთ. ბინის გულისათვის ხომ არ აიყვანა ბავშვი? იქნებ სხვა რამეშია ძაღლის თავი დამარხული?“

მიდი და არკვიე, სად არის ძაღლის თავი დამარხული.

არ ვიცოდი როგორ შემომევლო ამ საქმისათვის. მაგრამ უმოქმედობა არ ივარგებდა და მდივანს ვთხოვე სასწრაფოდ გამოეძახა უბნის ინსპექტორი და სახლთმმართველი. შეიძლება ამათ მითხრან რაიმე ახალი!

მაგრამ ვერც ერთისგან იმაზე მეტი ვერ გავიგე, რაც უკვე ვიცოდი.

ვიჯექ დაღონებული და კედლის საათს შევყურებდი. ბინის საკითხი კი შეიძლება არასწორად გადაწყდეს, იმ დროს, როცა ამდენი უბინაო გვყავს ქალაქში.

სახუმარო საქმე არ გეგონოთ. ოროთახიანი კეთილმოწყობილი ბინა კერძოდ რომ იყიდო, თანაც კარგ ადგილზე, ოცდაათი ათასი მაინც უნდა მისცე. აქ კი სახელმწიფო უფასპატიოდ აძლევს ხალხს. დიდი სიფრთხილეა საჭირო. შეწუხებული ვიყავ. ნუთუ ამაოდ დავშვერ?

მაგრამ მოულოდნელად აქაც გამოჩნდა საშველი.

მდივანი შემოვიდა.

— რაზე დაღონებულხარ? დანა პირს აღარ გიხსნის, — მკითხა.

— არაფერზე. პატარა ამბავია, — თავი ავარიდე. აბა რად მინდა წყალი ვნაყო ტყუილად, მან რა უნდა მიშველოს?

ცოტა არ იყოს ეწყინა.

— მე არ ვიცი, რაშია საქმე. მაგრამ ინსპექტორმაც და სახლთმმართველმაც, აქედან რომ გამოვიდნენ, აივანზე გაიყვანეს ატელიეს დირექტორი, კარგა ხანს ეჩურჩულებოდნენ. იმან კი ორივეს მადლობა მოუხადა და ჩემზე იყოსო, უთხრა. თანაც, მაგათი მოლარე ჩემი ამხანაგია, და მე შეიძლება რაიმე მცოდნოდა. მაგრამ შენ რაკი არ გინდა, კარგად იყავი, ბატონო!

ეს თქვა, შეტრიალდა და ნიშნის მოგებით გავიდა გარეთ.

ერთი რამ უკვე ცხადი გახდა: ორივემ რაღაც დამიმალეს. ეს უკვე რაღაცას ნიშნავდა. ამანაც შეიძლება რაიმე იცოდეს. ყურმილი ავიღე. მდივანს ვთხოვე, ისევ შემოსულიყო ჩემთან. მან კი ბოდიში მოიხადა, არა მცალიანო. ავდექი მაშინ, გავედი მისაღებში. ნესტანი იჯდა და ტელეფონით ლაპარაკობდა. მთელი ჩემი ნებისყოფა მოვიკრიბე, ნაძალადევად გავიღიმე, წელში მოვიხარე და ვუთხარ:

— ნესტან, თუ შეიძლება, ჩემთან გამომყევი, კაბინეტში, რამდენიმე წუთით.

მას გაეღიმა. ამით ვისარგებლე, მკლავზე ხელი მოვკიდე, წამოვაყენე და წავიყვანე. რომ შევედით, კარები ჩავკეტე, ხელი მოვხვიე, მოვეფერე. დიდიხანია გასათხოვრად შეღერებული გოგოსათვის ცოტა მგონი ზედმეტი მომივიდა, რადგანაც შევნიშნე, ერთბაშად ვარდისფერმა დაჰკრა სახეზე და სუნთქვა აუჩქარდა. ხელი უმალ გავუშვი და ვუამბე ჩემი გასაჭირი. მან გულიანად გადიკისკისა. იმდენი იცინა, სახე კვლავ აუვარდისფერდა როგორღაც მთელი სხეულით იცინოდა. მე კი საათისკენ მიმირბოდა თვალი. დრო

იწურებოდა. ბოლოს, როგორც იყო, გაჩერდა.

— კარგი, მე გეტყვი, მაგრამ ირ გამამჟღავნო. მაგან არავინაც არ იშვილა. ეგ ყველაფერი ტყუილია.

— როგორ, ზღაპარს ნუ ყვები, დღეს დამტკიცდა ეს, სხდომაზე, — გავაწყვეტინე მე.

— არა, მე მაგას არ ვამბობ. თავისი საკუთარი შვილი წაიყვანა.

— ეს, როგორ?

— როგორ და, მაგას ოთხი გოგო ჰყავს. თვითონ ხომ შესანიშნავად ცხოვრობს. იცხოვრებს, აბა რა იქნება, ოცდაათი მანეთის მაგიერ მაგის ბიჭები ას მანეთს იღებენ პიჯაკის შეკერვაში. დიდი, კერძო სახლი აქვს მაგის მამა კიდევ უკეთესად ცხოვრობს; კბილის ექიმია, თურმე ძვლის კბილებს აკეთებს, კერძო პრაქტიკას ეწევა. ოქროს ხელი ჰქონია. იმასაც იქვე ცალკე სახლი აქვს. ამდენი ცხოვრება, და ბიჭი კი არ ჰყავდათ. ეს კაცი კი ქალების მოყვარული ყოფილა. ის საწყალი გოგო, სკოლა რომ დაუმთავრებია, მაშინ შეუცდენია. მეორე ცოლად ჰყავდა თურმე. ინახავდა კარგად... მამაც ხშირად აკითხავდა. აბა რა იქნებოდა, ძლივს ბიჭი გაუჩნდათ. დანარჩენი თქვენც იცით. ეს კი, რაც მე გითხარი, მთელმა მეზობლებმა და თანამშრომლებმა იციან.

— მეუღლემაც? — ვკითხე რატომღაც.

— მაგას აბა რა მნიშვნელობა აქვს. შეიძლება ხვდება რამეს. ეტყობა ეს ისეთი კაცი არ არის, ცოლს რომ ვერ მოუაროს.

— ბინა რაღა ეშმაკად უნდა, მერე? — ჩავილაპარაკე.

— ადამიანი რომ გამდიდრდება, მაშინ ხდება თურმე ხარბი. ეგაც არ იყოს, ქალების მოყვარულ კაცს, ცალკე ბინა... — ნესტანმა ისევ გაიცინა.

დიდი მადლობა მოვუხადე.

— იცოდე ზოგჯერ ჭორაობაც სასარგებლოა.

ბინა, რა თქმა უნდა, მას აღარ მიუღია. იმავე სხდომაზევე განაცხადა, არ მჭირდებაო, მადლობა მოიხადა და წავიდა. თავმჯდომარემ არ ცნო საჭიროდ, სახალხოდ, ორმოც კაცში, რაიმე განემარტა. ამიტომ ყველანი გაოცებულნი დარჩნენ. მას კი კარგა ხანს უკიაფებდა ლამაზი, მოზეიმე თვალები.

საღამოს, სხდომის დამთავრების შემდეგ, მითხრა: აი, ხომ ხდება ასეთი შემთხვევებიც. ფაქტიურად ბინა არავითარ შემთხვევაში არ ეკუთვნის, რადგანაც თვითონ ჭარბად არის უზრუნველყოფილი საცხოვრებელი ფართობით. მაგრამ იურიდიულად, პირიქით, აუცილებლად ერგება. სასამართლოში რომ შეიტანოს ,ვერაფრით ვერ დაუმტკიცებ და გაიმარჯვებს კიდეც, მაგრამ ჩვენ არა ერთხელ დავარღვევთ...

— მერე, რომ შეიტანოს მართლაც? — ვკითხე.

გაეცინა.

— არავითარ შემთხვევაში არ გააკეთებს ამას. და იცით, რატომ? თავმოყვარეობის გამო. თავისი ოჯახის საქმეს ხალხის ყბაში არ ჩააგდებს, სალაპარაკოდ არ გახდის. ქართველი კაცისათვის, ღარიბია ის თუ მდიდარი, ოჯახი ყოველთვის წმიდათა-წმიდა იყო.

## გულშემატკივარი

ნათქვამია, ცოდვა აღიარებული სჯობსო. როგორც მოულოდნელმა შემთხვევამ მიმახვედრა, თურმე ერთი დასაგმობი ჩვეულება მქონდა: მოვიდოდა ვინმე, შემოდი-მეთქი ვეტყოდი. შემოვიდოდა ის დალოცვილი. ვკითხავდი, რა სპეციალობა გაქვთ, ან სად და რომელ ქარხანაში თუ ფაბრიკაში

გინდათ მუშაობა, გამოვართმევდი შრომის წიგნაკს, ზეზეურად გადავათვალიერებდი, გამოვუწერდი საგზურს ისე, რომ ზოგჯერ ხეირიანად ზედაც არ შევხედავდი; იმავდროულად ქაღალდებს ვუკირკიტებდი. მუშები ბევრი გვჭირდებოდა და თითქმის ყველას უმალვე ვუძებნიდით ადგილებს.

ერთხელ ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე ქალი შემოვიდა, ჩემს წინ, მაგიდის მეორე მხარეზე გაჩერდა. ვკითხე, სად სურდა გამეგზავნა.

ფაბრიკაში მინდა, მაგრამ არ მიღებენო.

ვთხოვე შრომის წიგნაკი მოეცა და მარჯვენა ხელი გავუწოდე, მარცხენაში კი დადგენილება მეჭირა და ვკითხულობდი.

ამ დროს გაწვდილ ხელში გაკეცილი ქაღალდი ჩამიდო. ალბათ ცნობაა-მეთქი, გავიფიქრე. ზოგჯერ, როცა შესავსები შრომის წიგნაკები არა აქვთ, ცნობას აძლევენ ხოლმე. ხელი, მუჭაში ჩადებული ქაღალდით, უკან გამოვწიე, დადგენილება მაგიდაზე დავდე და მარჯვენა ხელზე დავიხედე. დავიხედე თუ არა, გველნაკბენივით წამოვხტი. წამოვხტი და მოულოდნელობისაგან შეცბუნებულმა, ვუყვირე, ეს რა არის-მეთქი. მაშინვე ნერვიული კანკალი ამივარდა.

ქალს შეეშინდა, ერთბაშად ტირილი დაიწყო და შეწუხებულმა ძლივს ქვითინით მითხრა:

— რა ვქნა, მეტი არა მაქვს, ჩემს ორ ბავშვს გეფიცებით, ხელფასს რომ ავიღებ, მაშინ მოგიტან კიდევ...

ახლა არ იკითხავთ, რა მქონდა ხელში? — ერთი დაძონძილი ათმანეთიანი... მე ფული კი არა, შრომის წიგნაკი მოგთხოვე-მეთქი. ფული უკანვე გამომართვა, ჩანთაში ჩაიდო, და შრომის წიგნაკი არა მაქვსო, ჩაისლუკუნა.

გვერდით, პატარა ოთახში, აღმასკომის ინსტრუქტორი იჯდა. ჩემს ყვირილზე შემოვიდა. ის ორმოც წელს მიახლოებული გაუთხოვარი ქალი იყო, გულკეთილი, გულისხმიერი, ცოდომადლიანი. „შენი ჭირიმე, ნუნუკა, — შევეხვეწე ,— აი ასე და ასე გამიკეთა, ან მოგზავნილია, ან რაღაცა არის ამ ქალის თავს, ერთი შენთან შეიყვანე და გამოკითხე ყველაფერი დაწვრილებით-მეთქი. ორივენი გავიდნენ. მე კი აღელვებულმა პატარა ოთახში აქეთ-იქეთ სიარული დავიწყე.

დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ შემოვიდნენ. მაგრამ თუ წეღან მარტო ის უცნობი ქალი ტიროდა, ახლა ნუნუც არანაკლებ იცრემლებოდა. როგორც იყო, მიამბო. ამის ქმარს, ეს გოგო სოფლიდან ჩამოუყვანია, არც სახლი ჰქონდა, არც კარი. სარდაფში დაუქირავებიათ. ოთხი წელიწადი უცხოვრიათ ასე. მერე ქმარი გაუორგულდა თურმე (ნუნუ გაფაციცებით სწყევლიდა იმ კაცს), ვიღაცა „ქუჩის ქალს“ გადაჰკიდებია, ჯერ გაჰყრია ცოლს — ამ ქალს, მერე კი უგზო-უკვლოდ მიმალულა. ამ ქალისთვის კი ორი მცირეწლოვანი ბავშვი შეუტოვებია ხელთ. ქალს სამუშაოს ძებნაში თუ რამე ებადა, გაუყიდია. შორს ვერ წასულა პატარების პატრონი იქვე ახლოს, სატრიკოტაჟო ფაბრიკაში კი ეუბნებიან — მოწაფედ მიგიღებთ თუ გინდა, ექვსი თვის შემდეგ კი გადავიყვანთ მქსოველადო. სახლის პატრონი, რაკი ქირას ველარ უხდის, აცლევინებს სარდაფსო. არც ბაღში იღებენ ბავშვებს, რაკი არსად არ მუშაობსო. თუ ახლავე არ გაგზავნი იმ ფაბრიკაში, ნორმალურ ხელფასიან სამუშაოზე, ჩემს ქალიშვილობას გეფიცები, სამუდამოდ ნაწყენი დავრჩები შენზეო. სხვა დროს, როცა ნუნუ თავის ქალიშვილობას იფიცავდა, ყოველთვის მეცოდებოდა ხოლმე: მაგრამ ახლა არც კი გამღიმებია. როგორც შემეძლო, დავამშვიდე ორივე, ფაბრიკის დირექტორს დავურეკე და ვთხოვე, როგორმე ისე მოეწყო, რომ კარგი ანაზღაურება ჰქონოდა. საგზური გამოვუწერე და წავიდა.

ნუნუ კი კიდევ კარგა ხანს უგზავ-

ნიდა იმ „დებილს“ წყევლა-კრულვას, მასთან ერთად, ყველა მამაკაცს, ვინც ქალებისა და ოჯახის ფასი არ იცის.

სამუშაოს დამთავრებას მთელი საათნახევარი უკლდა. დასავლეთისკენ გადახრილი მზე ერთადერთი ფანჯრის ყავისფრად შეღებილი მინების მეშვეობით მოპირდაპირე კედლის კუთხეს მკრთალად ანათებდა და მის შუქზე აბლაბუდები ჩანდა. თითოეულ მათგანში თითო ობობა ნებივრობდა. კომენდანტი გამოვიძახე და მთელი ჯავრი მასზე გადავანთხიე: — „თუ კიდევ შევნიშნე ოდესმე მსგავსი რამ, იმ წუთში დაწერ განცხადებას-მეთქი“, დავემუქრე. „ეხლავე გამოვიძახებ დამლაგებელს და როგორც კი წახვალთ, დავასუფთავებთო“. გავიდა. დავმშვიდდი თითქოს. თან გავიფიქრე, მოდი, ავდგები და წავალ, სუფთა ჰაერზე გავივლი-მეთქი, მაგრამ სწორედ აქ დაიწყო ხელახლა...

ალმასკომის მთავარი ინჟინერი შემოვიდა. სამოც წელს მიტანებული, უფრო დიდ თანამდებობებზე ბევრჯერ ხელმოცარული, მაგრამ კარგი სპეციალისტი შემოვიდა და მკითხა:

— ნუნუმ მითხრა, თურმე ქრთამი შემოგაძლია ერთმა ქალმა, მართალია?

— კი, — ვუთხარ უხალისოდ.

— მერე, უკანვე დაუბრუნე?

— დავუბრუნე და სამუშაოზე გავუშვი.

— აი, აი, აი. ვერ მოქცეულხარ კარგად. უნდა გამოგეძახა მილიციისათვის და პასუხისგებაში მიგეცა.

— როგორ გეკადრებათ, — გავიკვირვე მე, — გაუბედურებული ქალი, პაწაწინა ბავშვებით...

— მესმის, მესმის, — თვითდაჯერებით მითხრა, — პასუხისგებაში უნდა მიგეცა ორი გარემოების გამო. ჯერ ერთი, შეურაცხყოფა მოგაყენა· შენი სახით, კი რაკი შენ ხელისუფლების წარმომადგენელი ხარ, ისიც შეურაცხყო. მორალური მხარე. მეორე მხრივ, ქრთამის მიცემის მცდელობა სისხლის სამართლის დანაშაულია და სასჯელი კანონით არის გათვალისწინებული.კანონს კი შესრულება უნდა.

როგორც იყო გავიდა და თავისი ცხოველური გულგრილობაც თან გაიყოლა.

რამდენიმე წუთში მუდამჟამს მომღიმარე არქიტექტორი შემოვიდა. სპეციალობით რომ ემუშავა, სადღაც ხიდები უნდა ეშენებინა, მაგრამ როგორღაც ეს თანამდებობა ეკავა. თითქმის ისეთივე დიალოგი გამიმართა, მხოლოდ დასკვნა სხვანაირი გააკეთა:

— ბიჭო, ფული შეგაძლია და ვერ გამოართვი? საქმე ხომ მაინც გაუკეთე, უნდა გამოგერთმია. რაო? საწყალიო? ამბობენ საწყალი კაცის ფული უფრო ტკბილიაო, — ამას ამბობდა, თან იცინოდა. მე კი გვარიანად დავეჭვდი, დიდი თვალხარბი ვინმე უნდა იყოს-მეთქი. მართლაც და, მოდი და გაუგე, რა აქვს გულში.

ის რომ გავიდა, კეთილმოწყობის განყოფილების უფროსი ინსპექტორი შემოვიდა. ეს ნუნუკა, ეტყობა, ოთახებში შედის და ვინც კი ადგილზეა, ყველას უყვება დღევანდელ ამბავს. ახლა ეს ქალების მუსუსი დაიწყებს რაღაც აბდაუბდას· ცოლშვილი მიტოვებული ჰყავს და დროს მხიარულად ატარებს. სწორადაც მივხვდი, იგივე განმეორდა, მხოლოდ უფრო სხვა კუთხით. თავისი ნავარჯიშევი, ბრტყელი მხარ-ბეჭით კედელს მიეყუდა ,და მკითხა:

— ახალგაზრდა ქალი იყო?

— კი. ოცდახუთი-ოცდაექვსი წლის იქნებოდა.

— ლამაზიც? — თან ხელები ისე ჩაასავსავა, რომ ქალის მკერდი, წელი და თეძოები ჩახაზა ჰაერში.

— კი, კარგი ქალი იყო. — ვუთხარ. — მაგრამ, თუ ძმა ხარ, გამანებე თავი.

გულიანად გადაიხარხარა.

— მე კი გაგანებებ თავს მაგრამ ახალგაზრდა, ლამაზი, უქმრო... მაგ შემთხვევას ვინ გაუშვებდა ბიჭო ხელიდან?

— რას მიედ-მოედები თუ, იცი?

თავის გაჭირვება არ ეყოფა? — სერიოზულად გავჯავრდი.

— გაჭირვება ყველაზე მეტად უბიძგებს ქალებს აქეთკენ. ქალი, ბიჭო, ქალი...

როგორც იყო დამტოვა. ამათმა გულგრილობამ ისევ ამიმღვრია ხასიათი. ეხლა კი მტკიცედ გადავწყვიტე, სანამ კიდევ ვინმე შემოვა, უნდა წავიდე-მეთქი. ავდექ, გაშლილი, არეული მაგიდა ისევე მივატოვე, კარები გამოვიკეტე და ის-ის იყო წასვლა დავაპირე, რომ მდივანმა გამომიძახა. ირინე გიბარებსო, თავმჯდომარე.

ხუთი დღის წინ ერთი დავალება მომცა, ალბათ იმიტომ მეძახის და მისაყვედურებს-მეთქი. მაგრამ, რომ შევედი, ვხედავ, იღიმება. ლამაზი, მოვლილი ქალი იყო, ღიმილი ძალზე უხდებოდა, ლოყები ჩაეჩუტკნებოდა ხოლმე, თეთრ კბილებს კი აელვებდა. დავჯექი თუ არა, ფრანგული სუნამოს სურნელი მეცა.

— აბა, ვაჟბატონო, მიამბე დღეს რა გადაგხდა თავს!

—არაფერი, მაინც და მაინც, — ვთქვი დაბნეულმა.

— ნუნუმ მიამბო, როგორ არა.

ამას კი აღარ მოველოდი, თუ ის ჰინკა ამასაც შეაწუხებდა. რაღას ვიზამდი, დაწვრილებით ჩავუჭიკჭიკე ყველაფერი.

— გააგზავნე სამუშაოზე და შენ გგონია ყველაფერი გააკეთე? — მკითხა ისევ, ცოტა არ იყოს, ირონიული ღიმილით.

— აბა მე მეტი რა შემიძლია? — ვერ გავიგე მისი ირონია.

მას თანდათან სერიოზული გამომეტყველება დაუბრუნდა.

— აი, ხომ ხედავ, ჩვენი უყურადღებობით ზოგიერთი სანამდე მიგვყავს. წარმოების დირექტორები სულ მუშახელის ნაკლებობაზე წუწუნებენ. ადამიანი რომ მიდის კი, სათანადო პირობებს ვერ უქმნიან. შენც მათსავით ამბობ, მეტი რა შემიძლიაო. ავიღოთ მაგალითად, ყოფილი პატიმრები, არასრულწლოვანები, ახალგაზრდები, ომის ინვალიდები, ქალები, მარტოხელა დედები... იმათაც თუ გაუშვებ რა სამუშაოზე, იფიქრებ მოვალეობა მოვიხადეო, ეს ჯერ კიდევ ცოტაა. ჩვენი მამა-პაპა იმიტომ კი არ აშენებდა ახალ ქვეყანას, ჩვენმა შვილებმა გაჭირვებით იცხოვრონო. ამ დროს კი ზოგიერთს უჭირს, და ხშირად, ჩვენი გულგრილობით. მაგალითად, დღევანდელ შემთხვევაში, შენს ადგილზე მე ასე მოვიქცეოდი. ხვალ ჩავიდოდი ფაბრიკაში, ვნახავდი, რა საქმეზე დააყენეს, რამდენი ხელფასი დაუნიშნეს. თანაც ვთხოვდი, მეტი გულისხმიერება გამოეჩინათ. მთავარია, ფსიქიკურმა ტრავმამ გაუაროს. ფაბრიკასთან ბაგა-ბაღი არსებობს. გამგეს ვეტყოდი დაუყოვნებლივ მიეღო ბავშვები. არ დაგავიწყდეს, ისედაც გადატვირთულია. პროფკომის თავმჯდომარეს ვთხოვდი, მართალია ახალი მისულია, მაინც დახმარება მიეცა. მილიციის უბნის რწმუნებულს დავავალებდი, ჯერ ერთი სახლის პატრონი, ვის სარდაფშიც ის ცხოვრობს, გაეჩუმებინა, რომ ნერვები აღარ აუშალოს, ან კიდევ, უკეთესი იქნებოდა, თუ იაფად, ერთ შესაფერის ოთახს აშოვნინებდა. ბავშვთა პოლიკლინიკის გამგეს დავავალებდი მისი ბავშვების ჯანმრთელობის გამოკვლევას, პროფილაქტიკას და მეტ ყურადღებას. დავწერდი წერილს მილიციის განყოფილების უფროსის სახელზე, რათა დაეწყო გაქცეული ქმრის ძებნა, ყოველ დეკადაში ძებნის მიმდინარეობის შეტყობინებებით, რომ არ დაეკარგოს ალიმენტის არცერთი კაპიკი. და კიდევ ერთი: რამდენი წელია თბილისში ცხოვრობს? ოთხი? ე. ი. სამ წელიწადს კიდევ არ ერგება აღრიცხვაზე აყვანა. საბინაო განყოფილებას დავავალებდი თავმჯდომარის სახელით, რათა მათ გაემზადებინათ საჭირო ცნობები დასაბუთებული მოხსენებითი ბარათით. იქნებ როგორც გამონაკლისი, თუნდაც ქალაქის საბჭოს ნებართვით, აგვეყვანა აღრიცხვაზე და ერთი პატარა, გამონაკ-

ვილი ბინა მაინც მიეღო. ერთ წერილსაც ფაბრიკის დირექციას და მუშათა კომიტეტს გავუგზავნიდი როცა შეებულება მოუწევს, გაეთვალისწინებინათ მისთვის დედათა და ბავშვთა სანატორიუმის ან დასასვენებელი სახლის თუ პანსიონატის საგზური, აღმასკომისათვის შეტყობინებით... ხედავთ, რამდენი რამე შეგძლებია თურმე?...

„ბარემ... ცოლად შევირთო, რადა“ — გავიფიქრე უნებურად.

ცოტა არ იყოს, გაჯავრდა.

— ცოლად შეირთეო, მაგას არავინ გაძალებს. — უცბად ეჭვი შემეპარა, ხმამაღლა ხომ არა ვთქვი-მეთქი. — რაც ითქვა, ამას მე ვერ გავაკეთებ, სხვა უფრო დიდი საქმეები მაწევს. შენ კი ეს გევალება უშუალოდ. დაიმახსოვრე, ყველა პირნათლად რომ ვასრულებდეთ ჩვენს მოვალეობას, ყველაფერი გაცილებით უკეთესად იქნებოდა. დროა ვისწავლოთ მუშაობა. დიდიხანია დროა.

... მივდიოდი ქალაქის ხმაურიან ქუჩაზე და ისევ ჩამესმოდა მისი ნათქვამი: „დროა ვისწავლოთ მუშაობა. დიდიხანია დროა“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ბონდო კეშელავა

# ერთი მოხუცი

დიდი ხანია მე მასთან არ მისაუბრია,
გულში ჩამწვდომი სჯა-ბაასით მატკბობდა მუდამ,
ვერვინ დააფრთხო ის თვალების ბრიალ-ბრიალით,
უყვარდა კარგით ვინც ხარობდა და ავით წუხდა.

მომწყვდეულია მის სხეულში შრომით და შფოთვით
მრავალი წელი... დაგრაგნილი მრავალი წელი,
მისი მარჯვენით მოქნეული ზუზუნი შოლტის
სმენას არ ატკბობს... გაცვდა კაცი ქედმოუხრელი.

წინსვლა, სიახლე ამა სოფლის დღესაც ახარებს,
გულით მშრომელებს დღეგრძელობას ლოცვით თან ატანს.
უქნარა კაცის ბაქი-ბუქი აახარხარებს,
ეტყვის: მოთმენა შეარჩინოს ღმერთმა შენს ამტანს.

დარჩა, ისე, რომ ყველაფერზე და ყველას მიმართ,
ზოგიერთივით თავის ქიცინს აღარ კადრულობს,
განმარტოებულს იშვიათად შეხედავთ მღიმარს,
იპყრობს სურვილი ჭირში მყოფი მოინახულოს.

არა ქოთქოთით... წრფელი გულის ჩუმი ალერსით,
მსურს მის წინაშე მოვიხადო დიდი ხნის ვალი,
ცხოვრებას მისას მინდა ისე გავკრა ტალკვესი,
რომ დავაფიქრო მით ჩვენი ძე და მომავალი.

ექვსი ქალის და სამი ვაჟის მამა მაგარი,
ზურგს არასოდეს შეაქცევდა სასოფლო საქმეს.
ებრძოდა მიწას კავით, თოხით, წერაქვით, ბარით,
და ნაამაგარ სვრელს სტოვებდა უთუოდ საქმეს.

ქამგადასული, გაცვეთილი ჭრელი ხურჯინით,
პირმშოთა საზრდო ქალაქისკენ მხრებით მიჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან აისრულა გულს ნადები რწმენა და ჟინიც,
შვილებისათვის შესაფერი მიეცა ცოდნა.

ჩირად არ უღირს ვინაც იცის შვილის არჩევა,
ერთს უსათუთებს და მეორეს აკლებს ორწილად,
არ უღალატა წინაპართა ადათს და ჩვევას,
ყველა მათგანი საგანგებოდ დააქორწილა.

... ამ შემოდეგზე გადავწყვიტე მოხუცის ნახვა,
ორკაპა ჯოხით ვიწრო ბილიკს ავყევი უხმოდ...
ზვრებშია ხალხი.. რთველს საამო ხალისი ახლავს...
მწკრივში ჩამდგარი, გზად მიმავალს ყიჟინით უხმობს...

შეჩერება და ჟრიამულით ტკბობა მომინდა...
გზას აჩეროებს ასკილის და მაყვლის ბარდები..
და მესმის უცებ: ხმას იმაღლებს ერთი შორიდან:
— ვკრეფთ... წინ მივიწევთ... ბრიგადირო ნუ გვიცხარდები..

... ბრექზე ავედი და გამოჩნდა ძელქვები მისი,
ოდა კი არ სჩანს... აი წუთი ფერისცვალების.
ნუთუ გაყიდეს?.. არ გახადეს შვილებმა ღირსი
იმ სახლის ჭერქვეშ დაეხუჭა მოხუცს თვალები.

ჩაფიქრებული ვდგამ ნაბიჯებს, რაც შემიძლია
ვისწრაფვი... მაგრამ წინ მანძილი გრძელდება უფრო.
გულის უეცრად დამძიმება წყენის ღვიძლია,
კარგი იქნება შემხვდეს ვინზე.. გავესაუბრო.

არვინ არ მოდის... თვალი ვკიდე მოხუცის ჭიშკარს,
გავხედე ეზოს... ძელქვის ჩრდილში ზის წიგნით იგი,
ხელი შევავლე ბოძს, მით ვაძლევ შორიდან ნიშანს,
წამოიწია... შეიშმუშნა.... დაკეცა წიგნი..

და წამოვიდა, თავდახრილი აჩქარდა ოდნავ,
ერთი შემხედა, დამაკვირდა, მოჭუტა თვალი,
კარგად ყოფილა, არ ამშვენებს მხოლოდ ის ოდა
მას რომ უყვარდა... რა ბედია... რა სამართალი.

ამხედ-დამხედა, გვიან მიცნო, ნათელი სახე
გახარებულმა ღიმმორევით შემომანათა.
ჯერ ვერ ავუწყვეთ ხმა ერთმანეთს... ის კი ცახცახებს,
მიმოიხედა, შეჩერდა და ყელი ამართა.

— გნახეთ ნასახლარს უგემური თვალი შეავლეთ,
ამბის გაგება გსურთ. შეკითხვის კი გეკრძალებათ.
ბევრთან სიმართლე შეგნებულად დიდი ხნით ვმალე,
ღირსეულთან კი, როცა დარდი მომეძალება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ არ ამოვთქვი რაც მაღელვებს, მერჩის, მაწუხებს,
ჩემს კარგის მდომელს არ გავანდე, არ ვუზიარე,
ისე მომიჭერს განუყრელი სევდა მარწუხებს,
დახსნის ერთბაშად დასერილი გულის იარებს.

არ გაყიდულა.·. არ დამწვარა.... არ დანგრეულა...
ის ოდა სახლი ჯერჯერობით ისევ აქ არი...
სანამ ცოცხალ ვარ, გონი ჩემი არ ამღვრეულა,
მას ამ ეზოდან ვერ გაიტანს ერთი ლაშქარი.

ისურვეს, მაგრამ ხელთ ვერ მიგდეს მუდარით... რჩევით...
თვით შევარჩინე შვილებს ნდომა უკუღმართული,
შემომიტია... დამემუქრა ერთი ძე ჩემი,
ნაბოროტალით, ნაარმალით მხრებ ამართული.

ვიხმე დურგლები და მათ თვალწინ დავიწყე რღვევა,
რღვევა სახლისა, წვით და დაგვით რომ ავაშენე,
ისე შემბოჭა ცოლის უხმო ცრემლების ფრქვევამ,
მას იმ წუთებში, ერთი სიტყვაც ვერ მივაშველე.

მოფარებულში დავალაგე და გადავხურე,
ვაგლახად ფიცრებს ქარიშხალიც მტვერს ვერ მიაყრის,
და მე დროდადრო გულის ჭვალი თუ შემახურებს,
მამაგრებს ჩემი სიმტკიცე და გზა სიამაყის.

— ბატონო ბათუ!.. მჯერა ძალა სიყვარულისა
ხშირად აზრს უცვლის ადამიანს... დარდსაც უნელებს.
მინდა შეგკადროთ: თქვენ ისე რამ გაგაგულისათ,
ასე ერთბაშად შეეჭიდეთ საქმეს უძნელესს.

შეუჩერებლად იმ ცხელ გულზე დაიწყეთ რღვევა,
რღვევა სახლისა... დამორჩილდით წყენას წუთიერს,
არად ჩააგდეთ უწმინდესი ცრემლების ფრქვევა,
მეუღლის ღელვას ერთი ღამეც აღარ უთიეთ.

— არა ძვირფასო!.. წუთიერი წყენის მიზეზით —
ჩემს მაღალ ოდას ფიცარ-ფიცარ აღარ დავშლიდი.
ბუხარს სადაც მე, ცეცხლს ქარ-ბუქში ვაგიზგიზებდი.
არ ჩავაქრობდი... თუ დავმშვიდდი, ამით დავმშვიდდი.

— მაინც რა სურდათ, რა ინდომეს, რა დაიჩემეს,
მინდა გავიგო დაწვრილებით, თუ არ ვაჭარბებ,
მათი განზრახვა ასე უცებ რომ შეაჩვენეთ,
მათი სურვილი ახლოსაც არ გააჭაჭანეთ,

— უხერხულია აქ მოთხრობა მათი ნაღვაწის,
და რომ არ ვიყო გამვლელების რიდსა და შიშში,
მღელვარებისგან შეფაკლული შუბლი და ღაწვი
დაიფარება იმ მშვენიერ ძელქვების ჩრდილში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წინ წავიწიეთ... შემეგება მეუღლე მისი,
გავისაუბრეთ... ფერმიმკრთალი, წელში მოხრილი
მიბრუნდა უხმოდ... ღობის მიღმა ისმის კისკისი,
ჩვენ ჩავიმუხლეთ.. .მოგვაწოდეს ღვინო და ხილი.

ბათუმ განაგრძო საუბარი მშვიდად, ნელ-ნელა:
— ცხრა შვილთა შორის ის მექრთამე მეურჩა მეტად,
ხმა დაიბოხა და თანდათან მიიმხრო ყველა,
მე კი, მე მამა გამიმეტეს, დამტოვეს კენტად.

კი არ ვტრაბახობ, მაგრამ სიტყვას სიტყვა აბრუნებს,
გაუნიორწყლე რაც ისურვა, რაც მოინდომა,
აღარ დავზოგე, გავაშიშვლე, დავაძაბუნე,
ლაფი დავასხი, ლაფი, ლაფი მის „რაინდობას"...

ის სესხს აძლევდა დებს, სიძეებს რძლებსა და ძმებსა,
ვითომ სოფელში შემომტანი ძმური სიახლის...
მიქიაქებდნენ ოდას, როგორც დრომოჭმულს, ძველსა,
და აქაურებს აკვირვებდნენ უცნაურ სახლით.

ერთ სახურავ ქვეშ გადაწყვიტეს, რომ მოექციათ
და-ძმებს ორ-ორი ოთახები სათავსოებით..
ქვაში, აგურში ჩაეკირათ, როგორც მასალა,
ის ჩემი ოდა, ჩემი ლხენა და სასოება.

სად გაგონილა ერთ ოჯახში ამდენი სულის
ერთად თავშეყრა. სტუმრადაც კი იტყვი მეტია..
სწორედ ამიტომ ვამჯობინე, ეს დასასრული,
ახლა როგორ სჯით?.. ამ ელდისთვის ღამე მეთია?

— რა მოხდებოდა თქვენ ის ოდა, როგორც მასალა
დაგეთმოთ მათთვის, ვით ძვირფასი რამ სახსოვარი,
შემდეგ ჩაერთოთ ახალ სახლში... მან აქ მეტის თქმა
არ დამაცალა..
მდუღარე ხმაში ერია ცრემლი, წმინდა ცრემლი
აკვანში ჩაკრულ კარჩაკეტილ ძუძუმწოვარის...

— შვილებს აქ ბუდე დავუნგრიე... წავართვი შვება..
ვერ მოითქვამენ ამ ეზოში სულს დაღლილები...
მეუღლის თვალში ვხედავ ცრემლი, ცრემლი არ შრება,
ბევრჯერ მას სწრაფად შეუხსნია კაბის ღილები,

ჩაწოლილიყო და თავს საბან გადაფარებულს
ეგლოვა შვილთა, შვილისშვილთა აქ არსტუმრობა,
ხშირად გვერდს ვუქცევ, თავს ვარიდებ ცოლს გამწარებულს,
ამ დღეში ყოფნა, ნურვინ იტყვის, იყოს ხუმრობა..

მაგრამ რა მექნა, ცხადია და არა სიზმარი,
რომ ჩემი ოდა გაიმეტეს, როგორც მასალა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო, რარიგ ურცხვად მიყურებდა ის საზიზღარი,
თუ რამ სიკეთე იყო ჩემში, ამომაცალა...

ძმებს, დებს, სიძეებს ის შეუჩნდა, ის მოერია,
დასვრილი ფულით ღვთისმგმობელმა ყველა დასვარა..·
ჩემი კაცობა მან წაბილწა, მტერზე-მტერია...
ვითომ სულგრძელი ,მაგრამ ცხადში ტაკი-მასხარა...

იქნებ, ზაფხულში ყველამ ერთად მოსვლა ინება.
სად დამესვენა, სად მეცხოვრა, მითხარით ერთი...
ზოგმა დამცინა, ზოგსა აწიც გაეცინება,
მაგრამ მჯერა, რომ არ შემრისხავს მაღალი ღმერთი.

შევცდი?.· ვიჩქარე?.. დავაშავე?.. არა მგონია
სოფელს წააქცევს მომრავლება გულით ჩვილების,
ნაბიჯი ჩემი მე ამიწონ-დამიწონია,
მჯერა ჩემს ოდას აღმართავენ შვილიშვილები...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მირიან მირნელი

* * *

ძილმა წამიღოს, ერთი წუთით წამიღოს შორად,
როგორც მდინარემ დიდ წვიმებში ადიდებულმა,
გამომელვიძოს: ერთმა ტალღამ აზვირთებულმა
ჩემი ოცნების თეთრ მწვერვალზე ამომაგოროს,
თეთრი ქუდები მომიხადონ მთებმა — პირველად,
ისე ხმამაღლა იგუგუნონ შემდეგ ზარებმა,
რომ თვით აპოლონს მოესურვოს ჩამობრძანება
ჩემთა წმინდათა სავანეთა მოსახილველად.

* * *

ყველამ ვისწავლეთ წაკითხვა ჩქარა
ჯერ ქარაგმების, შემდეგ ნუსხების,
რადგან სოფელი მარად და მარად
ამოცანაა ამოუხსნელი
და ჩვენ მხსნელივით ვუდგევართ მხარში,
მოყვასის სიტყვა წვიმაში, ქარში
ჩვენ მოვისმინეთ ყველა უსიტყვოდ,
მტერი დავამხეთ დასამხობელი
და ტკივილამდე — დიდი მუსიკის
სიჩუმეს მოსდევს ხშირად რომელიც —
დაჭიმულია ჩვენი ნერვები.
ღმერთებს არაფერს არ ვევედრებით,
სანთელი მაინც არასდროს ქრება,
მაგრამ ჩვენ ზოგჯერ გვაწუხებს წყლული
და ვაძლევთ ბრიყვებს ყველაფრის ნებას,
რომ დავასვენოთ დაღლილი სული.

* * *

გვიან გავიგე — როგორ ცელავდა
დროს ეშმა ანუ ჭრელი მაცილი,
რომ ღიმილიდან მწარე ცრემლამდე
ძევს მეტისმეტად მცირე მანძილი.
და ბევრი რამის ასე შეცნობა
შევძელი, სადღაც ვიღაც მელოდა
და კვლავ აჩენდა ეჭვებს შეცდომა
ანდა ეჭვების უცთომელობა
წინ მიდევს ახლა გზა ერთადერთი
და ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო,
რომ ვარ იმგვარად გულდაწყვეტილი,
ვით ბავშვი, დასჯა რომელსაც ელის:

ამ პირველ თოვლშიც შავი წერტილის
დანახვა თურმე არ არის ძნელი. —
გუშინ ჩავრაზე ციხის კარები,
ზამთარო, ეგრე რად მეპარები,

რად ეპარები ეზოს მოთოვლილს,
თითქოსდა მართლა ხარ ქურდბაცაცა...
მე მცვივა ყველა ძველი ფოთოლი,
რომ გადავურჩე შენგან განძარცვას.

## სოფელში

დაკლეს მოზვერი. თბილი სისხლი დაიქცა ღვარად
და დილის ცვარში მოცახცახე მწვანე ბალახებს
სახე ალისფრად აელეწათ და გაირინდნენ, —
დაკლეს მოზვერი. თბილი სისხლი დაიქცა ბევრი,
ეზოში ატყდა ჟრიამული იმიტომ მხოლოდ
რომ თბილი სისხლის სურვილი და წყურვილი გენებს
მითა ჟამიდან წყევლასავით აწვებათ ყელში...

. . . . . . . . .

დაკლეს მოზვერი და სისხლის გამო,
სისხლის, რომელმაც თვალისჩინი
წაართვა ბალახს,
ერთურთს ულრენენ სოფლის ძაღლები.

* * *

ბაბუაწვერის ყვავილს ბავშვი სულს უბერავდა,
მიფარფატებდა ყვავილი ც ა შ ი, —
ბავშვს უხაროდა...
კისკისებდა...
სულს უბერავდა...
იქვე, ხის ჩრდილში, ეშმა თავის გუდას ბერავდა
იმ ბავშვის სულით,
თბილი სულით,
მხიარულ სულით
და კმაყოფილი საკუთარი შორსმჭვრეტელობით
სულ ჩიფჩიფებდა, ჩიფჩიფებდა ერთს და იმავეს:
„ვინ იცის, სად და როდის როგორ გამომადგება,
ვინ იცის, სად და როდის როგორ...
ვინ იცის, როდის?...

. . . . . . . . .

ვინ იცის?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ანთებენ სანთელს...
აქრობენ სანთელს...
ის,
ვინც ანთებს
და
ისიც,
ვინც აქრობს —
ორივე
სუნთქავს ერთი ჰაერით...
. . . . . . . . . .
შემოდგომის ჩრდილივით გაცრეცილი კედლიდან
დაღვრემილი შემომცქერის ყინწვისის ანგელოსი.

* * *

ნაწვიმარ ღამის ბადაგით მთვრალი —
რიჟრაჟი კარზე მადგება გვიან
და ისევ ვიწყებ ხეტიალს გზებზე,
ცვალებადობის კანონის ძალით
ცხელი და ცივი ქარები ქრიან
სულში, რომელიც მწვერვალებს ეძებს.
უძილო ღამის თეთრი დემონი
თითქოსდა ფხიან ორლესულს მიქნევს,
მაგრამ კალაპოტს გადმოდენილი
ჩხრიალებს წყარო შუქდაფენილი
და ფარდასავით ეშვება იქვე —
ქრისტეშობისთვის სიშიშვლის თვალწინ—
მარადიული სიმწვანე ნაძვის.
და მე ვიცილებ სიმძიმეს სივრცის,
ვით ხანგრძლივ დუმილს—სიმღერა ძველი,
მაგრამ ზარივით წკრიალა სიცილს
ჩაეწვეთება სიმლაშე ცრემლის
და ცას ერთბაშად სიჩუმე იპყრობს, —
ეტლს ზანზალაკი ჩამოწყდა თითქოს.
გატრუნულები და ფერმკრთალები
აქ ყურად იდგნენ ტაძრები გუშინ, —
არ მითხოვია ვანი მწირივით,
მაინც ფრთოსნების ხმატკბილ გალობას
თითქოს სოლივით ერჭობა სულში
ღამურის ბრმა და წვრილი წრიპინი.
კვლავ წრიალებენ ქარში ტოტები, —
გულში იხვევენ იმედს და წუხილს
და როგორც მარტის ჭრელი ნოტები,
ერთმანეთს ცვლიან დილა და მწუხრი —
მაუწყებელნი ავდრის და დარის,
და სწორედ იმ დროს, როცა მგონია:
აინთო ჩემი ციური კვარი,
ხელახლა იწყებს სული ფორიაქს...

და ინარჩუნებს სამყარო მაინც
თავის ლამაზ და მკაცრ ჰარმონიას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვანო ურჯუმელაშვილი

# ერთი ქართული ბატალიონი

კაპიტანმა ჭიჭინაძემ ნავახშმევს წითელი არმიის მხარეს გასაგზავნი ლეგიონერები თავის მიწურში დაიბარა.

ვახტანგ ბოტკოველი კაპიტანთან ამხანაგებზე ადრე გამოცხადდა.

ვახტანგის მამა — მიხეილ ბოტკოველი თვითნასწავლი მოქანდაკე იყო, ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების პორტრეტებს საჭრეთლით ხეზე ჰკვეთდა.

მიხეილის მამაც ხარატი ყოფილა.

ტყუილად კი არაა ნათქვამი, კვიცი გვარზე ხტისო, ამ ხელოვნებით იყო გატაცებული ვახტანგ ბოტკოველიც, ომამდე რომ თბილისის სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტზე სწავლობდა. როცა ქართულმა ბატალიონმა თავდაცვითი პოზიციები დაიკავა, ლეგონერებმა ცოტა თავისუფლება იგრძნეს და ბევრ მათგანს საყვარელი საქმე გაახსენდა. ზოგმა ბარის ტარები გათალა, ზოგმა მიწურს კარფანჯრები შეაბა, ვინ კიდევ კედლები შელესა და შიგ ჩასასვლელი კიბე მოაპირკეთა.

ერთმა ლეგიონერმა საპარიკმახერო მოაწყო; ამხანაგებს თმას კრეჭდა, სახეს პარსავდა.

ლეგიონერმა ვახტანგ ბოტკოველმაც გამონახა საქმე, ნახევარმეტრიანი დიამეტრის მუხის ხე მოჭრა, გახხიპა, ერთი მტკაველის სიგანეზე ჩამოახერხა, გაასუფთავა და მასზე დანით რაღაცის ამოჭრა დაიწყო.

ამხანაგები ეკითხებოდნენ, ბიჭო, გაგვაგებინე, რას ჩხირკედელაობო. თავს ვიქცევო, უპასუხებდა ბოტკოველი და თავაუღებლივ განაგრძობდა მუშაობას. მერე კი, როცა ბარელიეფზე ადამიანის ფიგურა გამოისახა, განაცხადა კაცის პორტრეტი მინდა ამოვკვეთოო.

ამის შემდეგ ცნობისმოყვარე ამხანაგები წარამარა ეკითხებოდნენ, ვახტანგ, აბა, ერთი შენი ნახელავი გვიჩვენე, გამოდის რამე თუ არაო. „დამაცათ, ბიჭებო, ამოჭრას მოვათავებ და მერე გაჩვენებთო“, — უპასუხებდა ბოტკოველი და ცდილობდა ბარელიეფი ამხანაგებისათვის დაემალა, მაგრამ ადვილი როდი იყო მათი თავიდან მოცილება.

„რა თავს იკატუნებ, ყოჩაღ. შენა, ეს რა კარგი მოქანდაკე ყოფილხარ“... — ეუბნებოდნენ ლეგიონერები და განცვიფრებას გამოთქვამდნენ, პატარა დანით ქვასავით მუხას როგორ ამუშავებსო.

ერთ მშვენიერ დღეს კი, ლეგიონერებმა დახედეს თუ არა ბარელიეფს, ერთხმად შესძახეს:

— ვაჰ, შენი ჭირიმე, ეს ხომ კაპიტანი ჭიჭინაძეა?

— მართლა ჰგავს, ბიჭებო? — იკითხა სიხარულით თვალებგაბრწყინებულმა ბოტკოველმა.

— ჰგავს რომელია, ზედგამოჭრილია!

მყისვე დაირხა ასეულში ხმა, ბოტკოველი კაპიტან ჭიჭინაძის სახეს მუხაზე ჰკვეთსო.

ამხანაგები ბოტკოველის გარშემო ტრიალებდნენ, აქებდნენ, ამხნევებდნენ. ერთმა ლეგიონერმა მონადირის დანა აჩუქა, საქმეს შეგიმსუბუქებსო. ერთმა კიდევ საიდანღაც საჭრეთელი მოუტანა, ამით უკეთ იმუშავებო.

ლეგონერებმა ბოლოს მოილაპარაკეს, ბოტკოველი საქმეს რომ არ მოეწყვიტათ, ყველა მისი დავალება მათ შეესრულებინათ, და ასე გასინჯეთ, ღამით პოზიციაზეც მის მაგივრად მორიგედ თვითონ წასულიყვნენ.

ამასთან, ლეგიონერებმა დათქვეს ეს ამბავი ჭიჭინაძისთვის არ გაემხილათ, მერე კი, როცა ბარელიეფი მზად იქნებოდა, მისთვის სი-

* გაგრძელება, იხ. „მნათობი“, № 5.

ურპრიზი მოეწყოთ და მთელი ასეულის სახელით მიერთმიათ.

ამხანაგების მხარდაჭერამ, თანაგრძნობამ ბოტკოველი ალაფრთოვანა, ხალისი შემმატა. შუაღამემდე ლუმელს უჯდა და ჭრაქის შუქზე თავაუღებლივ მუშაობდა.

კაპიტანმა ჭიჭინაძემ რომ დაიბარა, ბოტკოველს ეგონა, ალბათ ბარელიეფის ამბავი გაიგოო. ეგონა, კაპიტანი უსაყვედურებდა, რატომ აქამდე არ მითხარი შენი განზრახვის შესახებო. პასუხიც მოამზადა: წინასწარ იმიტომ არ გაგაგებინეთ, იმედი არ მქონდა, იქნებ კარგად ვერ შემესრულებია, შევრცხვენილიყავიო.

ბოტკოველი შევიდა თუ არა მიწურში, კაპიტანი შეეკითხა:

— ვახტანგ, კლდეზე ცოცვა თუ გეხერხება?

—ამხანაგო კაპიტანო, როგორ გითხრათ, ალპინისტი არა ვარ, მაგრამ მთელი ჩემი პატარა ბიჭობა გომბორის მთებზე გავატარე.

— ჰო, ეს კარგია! — თქვა კმაყოფილებით ჭიჭინაძემ.

მიწურს ღურჭუმელიძე და გოგიძე მოადგნენ.

— შეიძლება? — იკითხა კარებთან ალანდულმა ღურჭუმელიძემ.

— მოდით, მოდით, ბიჭებო! — მიუგო ჭიჭინაძემ.

ლეგიონერები მიწურში შევიდნენ და კაპიტანის მითითებით ბოტკოველის გვერდით ტახტზე დასხდნენ.

ჭიჭინაძე იმათაც შეეკითხა, შეგიძლიათ თუ არა კლდეზე ცოცვაო.

— ორი წელი მთამსვლელთა კლუბში დავდიოდი. რამდენიმე ლაშქრობაშიც მივიღე მონაწილეობა; ომი რომ არა, ალბათ, ცნობილი ალპინისტი ვიქნებოდიო. — მიუგო ღურჭუმელიძემ და ცრუპენტელა მონადირესავით ჩაიცინა.

— ამხანაგო კაპიტანო, მე კი ბახმარო და მისი ახლომახლო მთები ფეხქვეშ მქონდა ამოდებული! — თქვა თავის მხრით გოგაძემ .

— კარგია, კარგი! — კმაყოფილებით წაილაპარაკა ჭიჭინაძემ და ხმადაბლა განაგრძო,— ძმებო, საქართველო განსაცდელშია! თუ ქართველნი ვართ. გვიყვარს მამული, ახლა უფრო მეტი გაბედულება და რისკი გვმართებს. დაუყოვნებლივ ჩვენებს უნდა შევუერთდეთ. ფრონტის გადაკვეთა წითელი არმიის ნაწილების სარდლობასთან შეთანხმების გარეშე შეუძლებელია. ამიტომ გადავწყვიტე. თქვენ გაგგზავნოთ მათთან მოსალაპარაკებლად.

ზღუდედან ღამით გახვალთ, ზუსტ დროს მერე გაცნობებთ, მწვერვალი „აქლემის კუზის" მიმართულებით აიღებთ გეზს. სამასიოდე მეტრს რომ გაივლით, ბუჩქნარი შეგხვდებათ. იქ დაგხვდებათ ზაქრო სურამელი, რომელიც საბჭოთა დივიზიის მეთაურთან წასაღებ წერილსა და თეთრ ბაირაღს გადმოგცემთ.

განთიადს ხევში დაელოდებით, მერე კი გაღმა მხარეს გახვალთ, წინ პატარა ბუჩქნარი შემოგხვდებათ. აქედან ორასიოდე მეტრის დაცილებით ჩვენების პოზიციებია. ბუჩქნარის ნაპირზე ფრთხილად გახოხდით. თოფის ხიშტზე მორგებული ბაირაღი აღმართეთ. არ შეგეშინდეთ, საბჭოთა მეომრები არ გესვრიან. ერთი თქვენგანი ყოჩაღად, გაბედულად წამოდგეს და თეთრბაირაღ აწეული მათკენ გაემართოს. გადასვლისთანავე განაცხადეთ, დივიზიის მეთაურთან წერილი გვაქვს გადასაცემი-თქო. ჰო. მართლა, გერმანელებმა ასე იციან, რომ თქვენ ვითომ მიდიხართ მტრის ზურგის დასაზვერავად. ალბათ ბატალიონის მეთაური კაპიტანი ვაგნერი გაგესაუბრებათ, თავი მხნედ, უშიშრად გეჭიროთ, უთხარით, რომ ვერც მთა დაგვაბრკოლებს, ვერც ტყე, შეუმჩნევლად გადავლახავთ რუსების წინა ხაზს და დავალებას პირნათლად შევასრულებთო.

— გასაგებია, ამხანაგო კაპიტანო! — თქვა ვახტანგ ბოტკოველმა.

ღურჭუმელიძე და გოგიძე კი დუმდნენ, ერთმანეთს აცქერდებოდნენ, თვალით რაღაცას ანიშნებდნენ, ხან მზერა კაპიტანზე გადაჰქონდათ.

ჭიჭინაძემ იგრძნო მათი შეშფოთება, მიხვდა იმასაც, რომ რაღაცის თქმა ეწადათ, ამიტომ ჰკითხა:

— რა არი, ბიჭებო, რის თქმა გინდათ?

—ამხანაგო კაპიტანო, იქნებ ბოტკოველის მაგივრად სხვა ვინმე გამოგზავნოთ?! — მორიდებით თქვა ღურჭუმელიძემ.

— რატომ?

— ამხანაგო კაპიტანო. თქვენ, ალბათ, არ იცით, რომ ბოტკოველი მოქანდაკეა... ახლა იგი.,. არ ვიცი, როგორ გითხრათ.... დიახ, ახლა იგი ბრტყელ მუხაზე ერთ მეტად საინტერესო პორტრეტსა ჭკვეთს. მთელი ასეული ელოდება, ყველას უნდა მალე იხილოს ბარელიეფი! ბოტკოველის მაგივრად სხვა შევარჩიოთ, ამას კი საქმეს ნუ მოვწყვეტთ?!

— ერიჰა, ბიჭებო, ხომ არ გადარეულხართ. რა დროს, ეგეებია, ბარელიეფისათვის ვისა სცხელა, ახლა ჩვენი მთავარი ამოცანაა, ჩვენს ქვეყანას გამოვადგეთ! მტერს რომ მოვსპობთ, გავანადგურებთ, მერე რამდენიც გინდა იმდენი ვხატოთ, ვძერწოთ, ვაჩუქურთმოთ!

— გასაგებია? ამხანაგო კაპიტანო! — უმალ მიუგო ვახტანგ ბოტკოველმა.

ღურჭუმელიძემ და გოგიძემ პასუხი შეაგვიანეს, ყოყმანობდნენ, თითქოს ჭიჭინაძის ნათქვამით კმაყოფილი არ იყვნენ, მაგრამ ბოლოს კაპიტანს მოახსენეს, გასაგებია, მზად ვართ დავალების შესასრულებლადო.

ვაგნერი ნავახშმევს მივიდა მესამე ასეულის პოზიციაზე.

ჰიჰინაძემ მოახსენა, თქვენი ბრძანებით შევარჩიე მოწინაალმდეგის ზურგში გასაგზავნი მზვერავებიო.

— მომგვარეთ! გავესაუბრები, ამოცანას დავუსახავ! — ბრძანა ვაგნერმა.

— არის, ბატონო კაპიტანო! — მიუგო ჰიჰინაძემ და შორიახლოს გაჩერებულ გუშაგს უბრძანა, ბოტკოველი, ღურჯუმელიძე და გოგიძე ახლავე აქ მოვიდნენო.

ოფიცრები ჩაბნელებულ მიწურში ჩავიდნენ.

ჰიჰინაძემ ჰრაქი აანთო და ვაგნერს სკამი შესთავაზა.

— ოჰ, აქაც ცივა, ცივა! — დაჯდომისთანავე თქვა ვაგნერმა და, იმის მაგივრად რომ შავი ტყავის ხელთათმანები გაეძრო, თითებზე უფრო მჭიდროდ მოირგო და იკითხა:

— სად არის შენი ორდინარეცი? დაუძახე, ლუმელი აანთოს!

ჰიჰინაძე დაიბნა, ვერაფრის თქმა მოახერხა, გულში გაჰკრა, რაღა ზაქრო სურამელს კითხულობს, ხომ არაფერი შეიტყესო.

კაპიტანმა ვაგნერმა იგრძნო ჰიჰინაძის დაბნეულობა, რაც იმით ახსნა, ეტყობა, ჩვენს მიერ შეთავაზებული ორდინარეცი არ მოსწონს, იმის სიახლოვესა და ყურებას, სიცივეში ჯდომას ამჯობინებსო. ამიტომ დაუმატა, თუგინდ სხვა ლეგიონერს დაუძახე, ლუმელის ანთება ყველას შეუძლიაო.

— ახლავე ბატონო კაპიტანო! — მიუგო ჰიჰინაძემ, იმით გახარებულმა რომ ამ გამოუვალ მდგომარეობიდან თავი დააღწია.

მყისვე გარეთ გავიდა. მოსიაშვილს უბრძანა, სასწრაფოდ ხმელი შეშა მოიტანეო.

მოსიაშვილმა ერთი იღლია შეშა შეიტანა მიწურში და ლუმელი აანთო. ამასობაში ბოტკოველი და მისი ამხანაგები გამოცხადდნენ.

ჰიჰინაძემ სამივე კაპიტან ვაგნერს წარუდგინა. ისინი ბატალიონის მეთაურს მხედრულად მიესალმნენ.

ვაგნერმა მათ ნება დართო, მაგიდასთან ლატნით გაკეთებულ გრძელ სკამზე დამსხდარიყვნენ.

თარჯიმანის მოვალეობას კაპიტანი ჰიჰინაძე ასრულებდა.

ვაგნერმა მოწინაალმდეგის ზურგში გასაგზავნი ლეგიონერები ჯერ დაკვირვებით შეათვალიერა, მერე მათი ოჯახური მდგომარეობით დაინტერესდა. სამივე უცოლშვილო იყო, ჰყავდათ დედ-მამა, და-ძმა.

ვაგნერი ლეგიონერებს შეჰმუხვნილ წარბებქვეშ მომნუსხველად უმზერდა, ამიტომ სამივე თვალს არიდებდა.

ის კი არა, ჰიჰინაძესაც არ სიამოვნებდა ვაგნერისათვის პირდაპირ თვალებში შეხედვა, ხან რას ამბობდა, ხან რას, რომ ეს უხერხულობა დაეფარა.

ვაგნერი ბოტკოველს გამომცდელად დასჩერებოდა. ვახტანგმა უმალ მოკრძალებული მსმენელის სახე მიიღო. მორიდებულად შესცქეროდა ბატალიონის მეთაურს. აურჟოლებდა, ტანზე ბალანი აეშალა, მაგრამ თვალებს მაინც არ ხრიდა.

ჰიჰინაძეს ეგონა, ვაგნერს ბოტკოველი არ მოეწონა და ალბათ მისი შეცვლას მოითხოვსო, მაგრამ ბატალიონის მეთაურმა სრულიად საწინაალმდეგო რამ თქვა:

—ბოტკოველო. გნიშნავ ჯგუფის ხელმძღვანელად! შეგიძლია თუ არა რუკის წაკითხვა.

ბოტკოველმა არ იცოდა, რა ეპასუხა. ჰიჰინაძისათვისაც ვერ შეეხედა, რადგან ვაგნერი უთვალთვალებდა და ეს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა.

ჰიჰინაძე მიხვდა ბოტკოველის გასაჭირს და შეეკითხა:

— რა იყო, ბიჭო, რუკაზე ვერ უნდა მოძებნო ესა თუ ის მთა, გზა, ან მდინარე?

ბოტკოველი შეეცადა, რაც შეიძლება გულუბრყვილო გამომეტყველება მიეღო და ქეჩოს ფხანით მიუგო:

— ამხანაგო კაპიტანო, ცოტა გამიძნელდება.

ჰიჰინაძემ ბოტკოველის პასუხი ვაგნერს ასე უთარგმნა, ამბობს, რუკის წაკითხვა როგორ არ ვიცი, მაგრამ რუსულში მოვიკოჭლებ, გერმანულისა კი ინჩი-ბინჩი არ გამეგებაო.

— სამწუხაროდ, ქართული, ან რუსული რუკა ჩვენ არ გაგვაჩნია, — განაცხადა ვაგნერმა. მცირეხანს ჩაფიქრდა, მერმე კი თქვა. — მეტი საშველი არაა, როგორმე გერმანული რუკა უნდა გამოიყენოთ. ამოცანა იოლია. უნდა გაიგოთ რუსების სატანკო ნაწილების ადგილსამყოფელი. შემდეგ, საჰაერო დაზვერვის ცნობით, ფრონტის ამ უბანზე მტერმა გადმოისროლა გვარდიული ნაღმტყორცნების, ეგრეთწოდებული „კატუშების" შენაერთი. ეს დანადგარები რუსებს ტყეში, ან ხევებში ექნებათ შენიღბული. უნდა დაადგინოთ მოწინაალმდეგე ფრონტის ამ უბანზე ჯარებს უყრის თავს თუ არა, ან კონტრშეტევისათვის ხომ არ ემზადება. თუ ამ ამოცანას თავს გაართმევთ, სამივეს ჯილდოზე წარგადგენთ. მერე კი, როცა საქართველოში შევალთ, ქართველი ხალხის ეროვნულ გმირებად გამოგაცხადებთ. — ვაგნერი შეჩერდა, რათა ჰიჰინაძეს მისი სიტყვა ეთარგმნა. ბოლოს იკითხა. — იქნებ რაიმე შეკითხვა გაქვთ?

— ყველაფერი გასაგებია!

— რაკიღა გასაგებია, მაშ ლეიტენანტ მარტესთან კაცი გაგზავნე, მზვერავებისათვის მოეტანონ საჭირო იარაღი, ნივთები, სურსათი, — მიუბრუნდა ვაგნერი ვიქტორ ჰიჰინაძეს.

—არის, ბატონო კაპიტანო! — მიუგო ჰი-

ჭიჭინაძემ, მიწურიდან გავიდა და ლეიტენანტ მარტესთან მოსიაშვილი აფრინა.

ვაგნერმა, რაკი საუბარი მოათავა, სიგარეტი ამოიღო, ლეგიონერებს შესთავაზა, და თვითონაც გააბოლა.

ლეგიონერებს ეუხერხულებოდათ ოფიცერთან პაპიროსის მოწევა. წამოდგნენ, გარეთ აპირებდნენ გასვლას, მაგრამ ვაგნერმა ხელით ანიშნა, არა უშავს რა, აქ მოსწიეთო.

ჭიჭინაძემ კვამლით სავსე მიწურში შედგა თუ არა ფეხი, ლეგიონერებს დაუტატანა, როგორ ბედავთ, ბატალიონის მეთაურთან პაპიროსის გაბოლებას, ახლავე გარეთ გადითო.

ვაგნერი მიხვდა ჭიჭინაძე ხელქვეითებს რასაც უსაყვედურებდა:

— არა უშავს, მე დავრთე მოწევის ნება! — თქვა ვაგნერმა და ჭიჭინაძეს სიგარეტი გაუწოდა.

ჭიჭინაძემ პაპიროსი მოუშვნიტა, მოუკიდა და კმაყოფილმა, რომ საქმე კარგად ეწყობოდა, გემრიელად ზედიზედ ნაფაზი დაარტყა.

ამასობაში ლეიტენანტი მარტე და ზემდეგი ხარკაძე მოვიდნენ. მათ ფეხდაფეხ მეკუჭნავე და გერმანელი ჯარისკაცი მოჰყვნენ, ზურგზე სავსე ტომრები რომ წამოეკიდათ.

— ახლავე შემოსეთ, შეჭურვეთ! — უბრძანა ვაგნერმა ლეიტენანტ მარტეს, მერე კაპიტან ჭიჭინაძეს უთხრა, ჩვენ აქ ალარაფერი გვესაქმება, ლეიტენანტ მარტეს მიწურში წავიდეთო.

მწვერვალებს შავი ღრუბელი დასწოლოდა. სადღაც მთებში თოფებს ისროდნენ, მანათობელი ტყვიები ბნელ სივრცეს მოწყვეტილი ვარსკვლავებივით სერავდნენ.

მსუსხავი ქარი უბერავდა, მისი შემზარავი ხტვენა ყველა სხვა ხმებს ნთქავდა.

ლუმელი გავარვარებული იყო. მიწურში სიცხის ბული იდგა. ორივემ ფარაჯა გაიხადა.

ვაგნერმა მარტეს ორდინარეცი მესამე ასეულის ზემდეგის მიწურში გაგზავნა, წადი, ჩემს ადიუტანტს გადაეცი, ნახევარ საათში ცხენი მომგვაროსო.

— ბატონო კაპიტანო, მგონი ასე გვქონდა ჩაფიქრებული: მოწინააღმდეგის ყურადღების მოსადუნებლად, მზვერავების წინა ხაზზე გადასვლისას, ერთ-ერთ მეზობელ ნაწილს მოჩვენებითი შეტევა უნდა დაეწყო! — უთხრა ჭიჭინაძემ ვაგნერს.

— არა, ეს არ არის საჭირო. — დაბეჯითებით მიუგო ვაგნერმა. — რუსებს ადვილად ვერ გავაცურებთ, ბრძოლებში საკმაოდ გაიწვრთნენ, გაიწაფნენ, პირიქით შეიძლება ამით საქმეს უფრო ვავნოთ. მოწინააღმდეგე ფრონტის ყველა უბანზე ფეხზე დადგება, ცეცხლის ქარიშხალს დაატრიალებს.

ვაგნერმა საველე ჩანთიდან სამუშაო რუკა ამოიღო და მაგიდაზე გაშალა.

— აი, ამ მაღლობამდე! — თქვა ვაგნერმა და რუკაზე რომელიღაც წერტილს თითი დაადო. — მზვერავები შენ და ლეიტენანტმა მარტემ გააცილეთ.

ჭიჭინაძემ რუკაში ჩარგო თავი. ისე გაოცებით დასცქეროდა, თითქოს ვერ მიხვდა, რომელ მწვერვალზე იყო ლაპარაკი.

ეჰ, როგორ არ მიხვდა, მაგრამ ჭკუა-გონება იმან აუფორიაქა, ზაქრო სურამელი მაღლობის აქეთ, ბუჩქნარში ელოდა ამხანაგებს და საშიში იყო გეგმა არ ჩაფუშოდათ.

გადასვლის ადგილი რო დაუწუნოს, ვაგნერი იფიქრებს, ეშინია, ლეგიონერების გაცილება არ უნდა და ამასლა იმიზეზებსო. იქნებ სჯობდეს ოპერაცია დილისათვის გადაადებინოს. მოსაფიქრებლად დრო ექნება, რაღაცას იღონებს.

— ჭიჭინაძე, ისე გატყობ, შენც გიჭირს გერმანული რუკის კითხვა. — თქვა გულმოსულმა ვაგნერმა და ციფრს 456,7 საჩვენებელი თითი დაადო, — აი, ეს მაღლობია!...

—ვიცი, ბატონო კაპიტანო! — ვითომ მშვიდად მიუგო ჭიჭინაძემ, მაგრამ ხმა ოდნავ აუთრთოლდა, და ამის გასაქარვებლად ჩაახველა, — იქნებ, ვცდები, მაგრამ არ შემიძლია ჩემი აზრი არ მოგახსენოთ. მგონი უმჯობესია, მზვერავებმა წინა ხაზი დილის ოთხ-ხუთ საათზე გადალახონ, მე თუ მკითხავთ, ეს საუცხოო დროა. შუაღამე კი სახიფათოა. ადამიანები, მით უმეტეს ომში, ყველაზე უფრო შუაღამისას ფხიზლობენ. ამ დროს გადმოსხავენ მოწინააღმდეგის ზურგში დესანტებს, მზვერავებს, მოიენებზეც შუაღამისას ნადირობენ. მამლის პირველ ყივილისას კი, რაკი დილა ახლოვდება, კაცი ნაკლებად ფრთხილობს. სულიერი თუ უსულო თვლემს, ბურანში ეხვევა.

— საწინააღმდეგო არაფერი მაქვს! დილის ოთხ, ან ხუთ საათზე გადაკვეთონ მზვერავებმა წინა ხაზი. ოღონდ მე დრო არა მაქვს. ლეიტენანტმა მარტემ და შენ უხელმძღვანელეთ ოპერაციას.

— არის, ბატონო კაპიტანო!

ლეიტენანტმა მარტემ საბჭოთა არმიის ზურგში მიმავალ ლეგიონერებს ახალი გერმანული ტანსაცმელი ჩააცვა; სამივე ავტომატით, ფინური დანით და ორ-ორი ხელყუმბარით შეაიარაღეს. აირწინალი და საველე ჩანთა ზემდეგმა ჩაიბარა, ხელის შეშლის მეტს არაფერ სარგებლობას მოგიტანთო. ხუთ-ხუთი დღის სურსათი და თითოს სამი კოლოფი სიგარეტი მისცეს, მერე ზემდეგის მიწურში წაიყვანეს, ცოტა დრო კიდევ გაქვთ, დაიძინეთო.

მეთვალყურედ მიჩენილი ჯარისკაცი ლეიტენანტმა მარტემ მკაცრად გააფრთხილა, მზვერავებს უშენოდ ნაბიჯი არ გადაადგმევინო, მიწურშიც ნურავის შეუშვებო.

ლურჯუმელიძემ მინავლებულ ცეცხლს წაუჩიჩხილა, სულის ბერვით ფილტვები ასტკივდა.

სამივე აგიზგიზებულ ღუმელს მიუჯდა. ჯერ ნამცხვრით პირი დაიგემოვნეს, მერე პაპიროსი გააბოლეს.

მონოტონურად გაისმოდა გარეთ მოსიარულე გერმანელი ჯარისკაცის ფეხის ხმა. თავს ისე გრძნობდნენ, თითქოს პატიმრები იყვნენ და ყარაული ეყენათ. თავჩაღუნული ისხდნენ. კრინტს არ ძრავდნენ.

ბოლოს ღუმელის ირგვლივ ნამჯადაფენილ მიწაზე საწვიმარი ლაბადები გაშალეს, თავთით ცარიელი ყუთები ლაიდეს, დაწვნენ და ფარაჯები წაიფარეს. იშმუშნებოდნენ, ახველებდნენ, გაუთავებლივ ტრიალებდნენ, თითქოს ამით ერთმანეთს აგებინებდნენ, რომ ეძინათ.

— ბიჭებო, გღვიძავთ? — ხმადაბლა იკითხა ბოტკოველმა.

— მღვიძავს! რა დამაძინებს? — მიუგო ლურჯუმელიძემ.

— მეც ძილი გამიტყდა! — წაილაპარაკა გოგიძემ.

— დახე, გერმანელები, როგორ უნდობლობას იჩენენ! — თქვა ბოტკოველმა.

— მაშ, მაშ, საცვლებიც კი შეგვიცვალეს, ხომ არავინ გაგვთქვა? — იკითხა ლურჯუმელიძემ.

— ეტყობა ფრთხილობენ, მთლად არ გვენდობიან!

— მოდი და, ამის შემდეგ ჭიჭინაძეს ნუ დააფასებ. ყველაფერი რა გონივრულად მოიფიქრა. გერმანელებს რომ ბარათი და თეთრი ბაირალი ეპოვათ, ეს ამოდენა საქმეც ჩაგვივარდებოდა, ჩვენც შავი დღე დაგვადგებოდა.

— ჯერ კიდევ საშიშია, სურამელი რომ მოისაკლისონ, ძებნას დაუწყებენ:

— რასაკვირველია, — დაუდასტურა ბოტკოველმა, — ბიჭებო, იცით რა, ყველაფერს ისა სჯობია, ცოტა თვალი მოვატყუოთ, უთენია დიდი მხნეობა და გარჯა გვმართებს!

ღამის პირველი საათი იყო, კაპიტანი ჭიჭინაძე და ლეიტენანტი მარტე ბატალიონის მეთაურს რომ აცილებდნენ.

— ვიმედოვნებ, ოპერაციას წარმატებით ჩაატარებთ! აბა, თქვენ იცით, ღამე მშვიდობისა! — და კაპიტანი ვაგნერი ცხენზე შეჯდა.

— ბატონო კაპიტანო, ყველაფერს თქვენი მითითებისამებრ გავაკეთებ. — მიუგო ლეიტენანტმა მარტემ.

— კეთილ მგზავრობას გისურვებთ, ბატონო კაპიტანო! — სიტყვა გააყოლა ჭიჭინაძემ უკვე გზაზე გასულ ვაგნერს, უკან ამხედრებული ადიუტანტი რომ მისდევდა.

ლეიტენანტმა მარტემ კაპიტან ჭიჭინაძეს უთხრა, ოთხი საათი დრო დაგვრჩა, ცოტა დავიძინოთო, თან გააფრთხილა, სამ საათზე მზვერავები გავაღვიძოთ, გავამზადოთ და გზას გავუყენოთო.

— ასე სჯობია! — მიუგო კაპიტანმა ჭიჭინაძემ, ცივ, გამჭოლ ქარს ზურგს რომ აქცევდა, — შეცივნულ ხელებს ჰაერის შებერვით ითბობდა.

ლეიტენანტი მარტე მიწურში ჩავიდა თუ არა, კაპიტანი ჭიჭინაძე მარჯვედ შეტრიალდა, ჩქარი ნაბიჯით თავისი მიწურისაკენ გაემართა. აი, ახლაა ბიჭობა! იქნებ ვინმე უნდა აფრინოს და სურამელი გააფრთხილოს, ბუჩქნარში კი არა, „აქლემის კუზის" იქით დაელოდოს ამხანაგებს. არა, ეს არ ივარგებს... ჯერ ერთი, ასე უცებ სურამელთან გასაგზავნი კაცი როგორ გამონახოს, ან მერე ბოტკოველსა და მის ამხანაგებს როგორ გააგებინოს სად ელოდებათ სურამელი. იმათ ხომ გუშაგი დაუყენეს და ალბათ ლაპარაკების უფლებასაც აღარ მისცემენ. სხვა რაღაც უნდა მოიფიქროს... იქნებ.. მოიცა... მოიცა... ჰო, იქნებ სჯობდეს ერთ-ერთმა ოცეულმა ცეცხლი გახსნას? ბუნებრივია, წითელი არმიის ნაწილებიც ცეცხლითვე უპასუხებენ, ორივე მხრიდან ხმას აიმაღლებს არტილერია...

მართალია, ლეიტენანტი მარტე ძალლივით ერთგულია ჰიტლერისა, მაგრამ ბრძოლის დროს მის მიწურიდან გამოყვანა უფრო ძნელია, ვიდრე დათვის ბუნაგიდან გამოთრევა.

ცხადია, ამ შუაღამისას, ორივე მხრივ ატეხილ სროლის დროს ლეიტენანტი მარტე თავს ხიფათში არ ჩაიგდებს, უარს განაცხადებს მზვერავების გაცილებაზე!

იქნებ ლეიტენანტმა მარტემ შიშს სძლიოს და მზვერავების გაყოლა მოიწადინოს? თუ მარტეს ღმერთი გაუწყრება და მარტო გაბედავს წასვლას, სწორედ ტყვიას უთავაზებს კეფაში. კაპიტან ვაგნერს როგორმე დაარწმუნებს, ლეიტენანტი მარტე ვითომ ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა. თუ მარტე ორლინარეცსა და გერმანელ ჯარისკაცებს გაიყოლებს, მაშინ მზვერავები ხევში დაიმალონ და საღამოთი უკან გამობრუნდნენ. რა ვქნათ, რუსებს ყოველ ოც ნაბიჯზე გუშაგი უყენიათ და წინა ხაზის გადაკვეთა ვერ მოვახერხეთო. ალბათ გადასვლის ადგილს შეუცვლიან და ხვალ-ზეგ მზვერავებს მოწინაალმდეგის ზურგში ისევ გაგზავნიან. ეს იმითაცაა ხელსაყრელი, რომ ამის შემდეგ გერმანელები ლეგიონერებისადმი უფრო მეტ ნდობას გამოიჩენენ.

კაპიტანი მიწურში შევიდა, ჭრაქი აანთო, ფარაჯა გაიხადა.

ერთხანს მაგიდასთან იჯდა და ფიქრობდა, რომელ ოცეულს გაეხსნა ცეცხლი.

სამივე ოცეულის მეთაურს ენდობოდა, მაგრამ პირველი ოცეული ამჯობინა, რადგან მარჯვენა ფლანგზე ეკავა პოზიცია, ხევი კი

მარცხნივ იყო და უცებ გახსნილი ცეცხლი სურამელისათვის ნაკლებ საშიში იქნებოდა. იგი ნაცადი, გამოწვრთნილი მებრძოლია, არ დაიბნევა, საიმედო თავშესაფარს გამონახავს.

ჭიჭინაძეს შესცივდა, ღუმელში ნაცარი გაქექა, მიმქრალი ნაკვერჩხალი გააღვივა.

თავი მაგიდაზე დაყრდნობილ ხელებში ჩარგო, თვალი დახუჭა და უმალ ცოლ-შვილი წარმოუდგა.

პატარა ქალიშვილების ცოცხალი თვალები, ფუნჩულა ლოყები ისე კარგად აღბეჭდოდა მეხსიერებაში, თითქოს ახლაც თვალწინ უდგნენ. იმაზე კი გული სწყდებოდა, რომ მეუღლის სახე ასე მკაფიოდ არ ახსოვდა, მისი ნაზი, გულში ჩამწვდომი ხმა კი ყურში ედგა, გაფრთხილდი, ძვირფასო, ჩემი და ჩვენი შვილებისათვის შენი სიცოცხლე აუცილებელია, უშენოდ რაღა იქნება ჩვენი ცხოვრებაო.

ნეტავი როგორ არიან? ალბათ ცხოვრება უჭირთ, სახსარი არ გააჩნიათ. რა თქმა უნდა, ცოლ-შვილს მისი ხელფასის მიცემას შეუწყვეტდნენ, პენსიასაც არ დაუნიშნავდნენ. ადვილი შესაძლებელია, სამხედრო კომისარიატს უკვე აცნობეს, რომ იგი ტყვედ ჩავარდა, ე.ი. შერცხვენილი, თავმოჭრილი, განადგურებულია.

ღამის სამ საათზე ჭიჭინაძე პირველი ოცეულის პოზიციაზე მივიდა. ლეიტენანტი კახიძე მიწურშიაო, მოახსენა გუშაგმა.

— მარტოა? — იკითხა კაპიტანმა.

— არა, ამხანაგო კაპიტანო, მიწურში ათეულის მეთაურებიც არიან.

ჭიჭინაძემ კახიძე გარეთ იხმო, განზე გაიყვანა, მდგომარეობა გააცნო და უბრძანა, ღამის სამ საათზე შუშხუნებით გაანათეთ არემარე, მთელმა ოცეულმა ყველა სახის იარაღით სროლა ატეხოსო. როცა დაგირეკავენ, რაშია საქმე, მომახსენე, გუშაგებმა ჩვენი სანგრებისაკენ ხოხვით მომავალი რუსები შენიშნეს და ცეცხლი დავუშინეთო.

ბნელოდა. სურამელი დათქმულ ადგილზე რომ მივიდა, ბუჩქნარში მყუდროება იყო. თოფის ხმაც, აქა-იქ კანტიკუნტად რომ ისროდნენ, აქამდე ძლივს აღწევდა... ხის ძირებში ხმელი ბალახი გამოგლიჯა, სქლად დააგო, აირწინაღი თავის ქვეშ ამოიდო. ზევიდან საწვიმარი ლაბადა გადაიფარა. თოფი მკერდში ჩაიკრა.

მარტო ღამით კი არა, დღისითაც, დასვენების დრო რომ მიეცემოდა, წამოწვებოდა თუ არა, უმალ ტკბილ ხვრინვას ამოუშვებდა ხოლმე. ახლა კი ძალიან უნდოდა ცოტა წაეძინა, მაგრამ თვალზე რული არ გაეკარა.

რაღაც გაურკვეველ ბურანში იყო. არც ეძინა, არც ელვიძა. წუთები ტაატით გადიოდა.

როცა ვარაუდით საათ-ნახევარი გავიდა, წამოდგა. ძილ-ღვიძილში გასული დრო ხომ კაცს ყოველთვის ნაკლები ეჩვენება, თან ფეხები დამაზრა, გავიელ-გამოვიელი, გავხურდები და, ალბათ, ისინიც გამოჩნდებიანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადიოდა დრო. ამხანაგები არ ჩანდნენ.

იქნებ, როცა იწვა, მაშინ მოვიდნენ და ვერ იპოვეს? მის უნახავად წავიდოდნენ? იქნებ უკან გაბრუნდნენ? ან იქნებ გერმანელებმა ეჭვი აიღეს, ოპერაცია გადადეს?

ეს ფიქრები უტრიალებდა ზაქრო სურამელს, და თვითონაც კლდის გარშემო ტრიალებდა, რომ უეცრად ცაში აჭრილმა მრავალმა შუშხუნამ ხევში ალისფერი დაფიონი გადმოანთხია.

და მაშინვე ხეობის მარჯვნივ, მიძინებულ ბორცვებს შორის გაიელვა, აქა-იქ ცეცხლის ენები ავარდა. ჭურვების ხოშკაკალა ფერდობებზე ადგაფუნდა.

ტყვიას ბუჩქნარამდე არ მიუღწევია, ახლომახლო არც ჭურვი დანარცხებულა, მაგრამ სურამელმა მაინც ნიაღვრისაგან გამოთხრილ ხვრელს შეაფარა თავი.

სროლა შეწყდა.

სურამელი საფარიდან გამოძვრა და ისევ კლდეს დაუწყო ირგვლივ შემოვლა. „იქნებ, ბოტკოველი და მისი ამხანაგები ჩასაფრებულ წითელარმიელებს გადაეყარნენ და მათ შორის გაიმართა ბრძოლა?“ — ფიქრობდა სურამელი.

თითქოს ამ უსიამოვნო ფიქრის თავიდან მოცილება უნდაო, ხელი ღონივრად ჩაიქნია, თან დააყოლა: არა, ეს შეუძლებელიაო.

სიწყნარე რომ ჩამოვარდა, კაპიტანი ჭიჭინაძე ასეულის მეთაურთან გამოცხადდა.

ლეიტენანტი მარტე ტელეფონით კაპიტან ვაგნერს მოახსენებდა, ლეგიონერებმა პოზიციებისაკენ ხოხვით მომავალი რუსები შენიშნეს და ცეცხლი დაუშინესო. მოწინააღმდეგემაც მაშინვე გვიპასუხა, ჩვენს მხარეს მსხვერპლი არ არისო.

ლეიტენანტმა მარტემ ჭიჭინაძეს ხელით ანიშნა, დაჯექიო, და ისეთი დაბალი ხმით წაილაპარაკა, თითქოს ბატალიონის მეთაური გვერდით ედგა და მანჭვა-გრეხით ელაქუცებოდა.

— ბატონო კაპიტანო, ცამდე მართალი ბრძანდებით.., დიახ... ჭიჭინაძე ჩემთან არის ამ საკითხს ახლავე გადავწყვეტთ და მოგახსენებთ!

ასეულის მეთაურმა ყურმილი დადო, ხელი ჩაიქნია, რითაც გამოხატა, მოდი ახლა და ელაპარაკე ასეთ გაუგებელსო, და კაპიტან ჭიჭინაძეს ისე დააცქერდა, თითქოს წყვეტდა, ვიყო თუ არა ამ კაცთან გულახდილიო. რაკი უცებ ვერ შესძლო ამის გადაჭრა, ეს-ღა შეეკითხა:

— რას იტყვი, ჭიჭინაძე, ღირს ამაღამ ოპერაციის ჩატარება?

— ბატონო ლეიტენანტო, მიძნელდება პასუხი. როცა რუსებმა ჩვენი პოზიციებისკენ მზვერავები გამოგზავნეს, მაშასადამე არც იმათ სძინავთ! თანაც ადვილი შესაძლებელია, რომ

ბიბლიოთეკა

გზაში რუსებს გადავეყაროთ, ორი-სამი კაცი ხომ არ მივდივართ, მთელი ათეული ვგროვდებით?

— რა მოხდა, განა უკეთესი არაა, რაც მეტი ვიქნებით?

„ორდინარეცის გარდა ეტყობა სხვების წამოყვანასაც აპირებს!" და ჭიჭინაძემ მიუგო:

— დიახ, ეს საქმე ძალიან სარისკოა! ვაითუ მოწინაალმდეგის მახეში გავებათ.

— ამ მოტივით, ოპერაციას ვერ გადავდებთ. კაპიტანი ვაგნერი იფიქრებს, შეშინდნენ, სილაჩრე გამოიჩინესო.

— ბატონო ლეიტენანტო, მაშ, რა ვქნათ? კარგად ვიცი, რას ნიშნავს სიტყვის გატეხა, მაგრამ... — და ჭიჭინაძე შეჩერდა.

— მაგრამ რა?! — შეეკითხა გაზრდილი ცნობისმოყვარეობით ლეიტენანტი მარტე.

— ბატონო ლეიტენანტო, რახან ნებას მრთავთ, მოგახსენებთ: კაცი რომ კრიტიკულად მიუდგეს უფროსის განკარგულებას, მგონი ეს არ ნიშნავს ბრძანების არ შესრულებას. თუ წინა ხაზამდე გზა ვერ გაიგნეს, მაშინ ხომ მტრის ზურგში მთლად დაიბნევიან, ბატებივით დაიწყებენ უგზო-უკვლოდ ხეტიალს.

— მართალს ამბობ! — გამოცოცხლდა ლეიტენანტი მარტე. — და ვითომ იმაზე წუხდა, რომ საქმეს არაფერი ვნებოდა, იკითხა, — მერე ამ წყვდიადში გაიკვლევენ გზას?

— დარდი ნუ გაქვთ, არ დაიკარგებიან! რაკი ეს გაეშვებთ, ცოტაზე გავაცილოთ და გზა დავულოცოთ!

ლეიტენანტმა მარტემ ტელეფონის ყურმილი აიღო და მორიგე მეკავშირეს უბრძანა, კაპიტან ვაგნერთან დამაკავშირეთო.

— ბატონო კაპიტანო! — რიხით, თამამად მოახსენა ლეიტენანტმა მარტემ, — ოპერაციას ვატარებთ! მე უკვე მივდივარ ამოცანის შესასრულებლად!

ლეიტენანტმა მარტემ ორდინარეცი არ წაიყვანა, რაც უფრო ცოტას ეცოდინება ეს ამბავი, მით უფრო უმჯობესიაო.

მარტემ ზემლევის მიწურთან დაყენებული გუშაგი გაანთავისუფლა, შენ აღარ გვჭირდებით. მერე მიწურში ჩასძახა, მზვერავები გამოვიდნენო.

ლეგიონერები ზოზინით გამოვიდნენ. ზემლევი ხარკაძე ფეხდაფეხ გამოჰყვა, მაგრამ ლეიტენანტმა მარტემ შეაბრუნა, დაწექი, დაიძინე, დილაზე ასეული ადრე უნდა ვასაუზმოთ, უთენია მოგიწევს ადგომაო.

„თვითონვე არ ენდობიან ერთმანეთს! საოცარი რამ არის ომი! ალბათ არავის არ უნდა კაცის კვლა, მაგრამ ამას მაინც აკეთებენ! რატომ? იმიტომ, რომ ადამიანებს ერთმანეთისა ეშინიათ. ომში ეს რომ არ იყოს, ტყვიას ვინ სულელი მიუშვერდა მკერდს!" — გაიფიქრა კაპიტანმა ჭიჭინაძემ და ამხანაგებს მიმართა:

— აბა, თქვენ იცით, ბიჭებო!

— იმედი იქონიეთ, ამხანაგო კაპიტანო! — მიუგო ბოტკოველმა.

— ცოტა შევაგვიანეთ, მაგრამ ის ფეხს არ მოიცვლიდა! — ეს უკვე ხმადაბლა თქვა ჭიჭინაძემ და მარტეს მოახსენა, ლეგონერები მზად არიან ამოცანის შესასრულებლად, ველოდებით თქვენს ბრძანებასო.

— მაშ მომყევით! — თქვა ლეიტენანტმა და დაწინაურდა.

კაპიტანმა ლეგიონერებს მიმართა, წავედითო, და მარტეს აედევნა. მზვერავები მეთაურს ფეხდაფეხ გაჰყვნენ.

მთელი ღამე ისეთი დელგმა იყო, ისეთი ნიაღვრები მოხეთქა, არემარე კინაღამ წალეკა.

გარიჟრაჟზე შავი ღრუბლები თეთრ ფთილებად იქცნენ, ბორცვებს გადაუარეს და, თითქოს ძილმა თავი წაართვათ, დათოვლილი მწვერვალების კალთებზე მიწვნენ გამოსაძინებლად.

განთიადის წინამორბედმა ნიავმა დაუბერა.

აღმოსავლეთით მტრედისფრად ინათა და დაფერფლილ ცაზე აქა-იქ აკიაფებული ვარსკვლავნი თვალს მიეფარნენ.

კლდეებს, ხევებსა და ტყეებში გამავალი ფრონტი, ისე იყო შექრილ-შემოჭრილი, ტეხილი. მიხვეულ-მოხვეული, კაცი ვერ დაადგენდა, სად იყო ჩვენი და სად გერმანელთა წინახაზი. ამას ისიც აძნელებდა, რომ წვიმით ჩამორეცხილი ფერდობები, ახასხასებული ტყეები ნაცრისფერ სველ ნისლს შეებურა.

ხეობაში ციდან გადმოღვრილ სინათლესთან ერთად, ნისლიც მოიზლაზნებოდა. მალმალ ქარი დაუბერავდა ხოლმე, ბურუსი მარმაშივით თხელდებოდა და ტყისპირას ჩასანგრებულ წითელარმიელებს ასიოდე მეტრზე საგნების გარჩევა აღარ უჭირდათ.

სამნი იყვნენ: დონბასელი მეშახტე კრავჩენკო, ლენინაკანელი ფეიქარი დალაქიანი და ქართველი კოლმეურნე ესებუა.

სამივე შეღერებული ჭაბუკი იყო, უცოლშვილონი, ახალბედები. სულ რაღაც ორი დღის მოსულები იყვნენ ფრონტზე, ხეირიანად თოფის წამლის სუნი არ ეყნოსათ, არც გერმანელებისათვის მოეკრათ თვალი.

წვიმით დამბალი ფარაჯები ეცვათ, ტანსაცმელიც დასველებოდათ. სანგარში მიმოდიოდნენ, სციოდათ, ერთმანეთს ებღლარძუნებოდნენ.

დალაქიანი ერთბაშად შეჩერდა. ასიოდე ნაბიჯზე ბუჩქებს გაუშტერა თვალი.

— ღმერთო, ჩემო, მეჩვენება, თუ ცხადლივ ვხედავ! — გაოცებით წაილაპარაკა მან და ბუჩქებისაკენ გაიშვირა ხელი, — გაიხედეთ, თითქოს რაღაც ფრიალებს თეთრად.

მებრძოლები სანგრის მიწაყრილზე წაწვნენ

და დალაქიანის მითითებულ ადგილს დააცქერდნენ.

— ჰო, რაღაც ფრიალებს! — თქვა ესებუამ და მაშინვე დაუმატა, — ოღონდ ვერ ვარჩევ, ნისლია თუ რა არის?

— ნისლი კი არა, ბუჩქებში ვიღაცაა? ვერ ხედავ, თეთრ ბაირაღს აქეთ-იქით აფრიალებს! — მიუგო კრავჩენკომ.

— მართალი ხარ! — დაუდასტურა დალაქიანმა.

— გერმანელია! — წაილაპარაკა ესებუამ.

— გერმანელი კია, მაგრამ ვერ გამიგია, ბაირაღით რას გვანიშნებს?

— ეტყობა, ჩვენს მხარეზე გადმორბენა განუზრახავს!

— ბიჭებო, ნუ ვენდობით, ფაშისტებმა არ მოგვატყუონ! — თქვა დალაქიანმა.

— არც ეგ არის გამორიცხული! ჰიტლერელებმა ოღონდ წარმატებას მიაღწიონ და, თურმე ყველანაირ სიბილწეს, ვერაგობას მიმართავენ.

ამასობაში ბოტკოველი ბუჩქებიდან გამოვიდა, თოფის ხიშტზე მიმაგრებული ბაირაღი უფრო ასწია და ნელი ნაბიჯით წითელარმიელთა ზღუდისაკენ გაემართა.

— რა ვქნათ, ვენდოთ თუ არა? — იკითხა დალაქიანმა.

— ახლო მოვუშვათ! გულში კიდევაც რომ სიავე ედოს, რას გახდება, ერთი სამს რას დაგვაკლებს?

ბოტკოველი სანგრიდან მცირე მანძილზე იყო დაცილებული, რომ კრავჩენკომ უბრძანა:

— თოფი გადააგდე!

ბოტკოველმა მყისვე შეასრულა ბრძანება, ხელები ისევ მაღლა ასწია და სანგრისაკენ გაემართა. როგორც კი თხრილში ჩავიდა, მებრძოლები გარს შემოერტყნენ. ფარაჯისა და შარვლის ჯიბეები გაუსინჯეს, უბეც უნახეს, იარაღი არ ჰქონდეს დამალულიო. ამასობაში ოცეულის მეთაურმაც მოირბინა.

მეორე ათეულის მებრძოლებს შეუტყობინებიათ, ჩვენს მხარეს გერმანელმა ჯარისკაცმა გადმოირბინაო.

ოცეულის მეთაური ბოტკოველს გერმანულად შეეკითხა:

—რომელი დივიზიიდან ხარ?

ბოტკოველმა გერმანული არ იცოდა და ვერ გაიგო ლეიტენანტი რას ეკითხებოდა, ამიტომ პასუხი შეაგვიანა.

ლეიტენანტს კი ეგონა, არ უნდა მიპასუხოსო და ხმას აუწია:

— რას გაჩუმებულხარ, რომელი დივიზიიდანა ხარ?!

— განსაკუთრებული ბატალიონიდანა ვარ! — მიუგო ბოტკოველმა რუსულად, მაგრამ მკვეთრი ქართული აქცენტით.

ესებუამ ყურები ცქვიტა. ისეთი წარმოდგენა ჰქონდა, გერმანელები ორფეხა მხეცები იყვნენ, შუბლზე გამოსხმული რქებით; ეს კი ჩვეულებრივი, საშუალო ტანის ჭაბუკი იყო, ყველას მოკრძალებით რომ შესცქეროდა და ალერსით უღიმოდა. ეჭვიც არ ეპარებოდა, გერმანელს პირველად ხედავდა, მაგრამ მისი მოგრძო, შავგვრემანი სახე, იერი, მიხვრა-მოხვრა, ხმა, რაც მთავარია შავი მეტყველი თვალები ისეთი მახლობელი, მშობლიური იყო, გულმა ველარ მოუთმინა და ქართულად შეეკითხა:

— ბიჭო, ქართველი ხარ?

—„ ჰო, ქართველი ვარ!“ — მიუგო ბოტკოველმა მორიდებით, მაგრამ გულში ჩამწვდომი ხმით.

— ფუ, შენს კაცობას! — კინაღამ სახეში შეაფურთხა გულმოსულმა ესებუამ. „ერიჰა, ეს რომ ასე მეპყრობა, სხვებისაგან რა სიკეთეს უნდა ველოდე!“ — გულში გაჰკრა ბოტკოველს, მაგრამ გაახსენდა, იმ საქმის მნიშვნელობა, რისთვისაც იყო მოსული, გამბედაობა მოიკრიბა და მტკიცედ მიუგო

— რა იყო, ამაში რას ხედავ უკეთურს?

— როგორ თუ რას ვხედავ? ამ ცეცხლსა და ორომტრიალში მოძალადე მტერს მხოლოდ სამშობლოს მოღალატე შეუერთდება!

— ჩვენ არა ვართ მოღალატენი!

— მაშ გერმანელების ფორმა რატომ გაცვიათ?

— ეჰ, ამას გრძელი ისტორია ექვს! — ერთი საშინლად ამოიგმინა და ქვედა ტუჩზე ისე გამეტებით იკბინა, პირში სისხლის გემო იგრძნო.

ლეიტენანტი და ჯარისკაცები გაოცებული შესცქეროდნენ ორივეს. უკვირდათ, ესებუამ გერმანულად ინჩიც არ იცის და ტყვეს როგორ ემუსაიფებაო.

და ლეიტენანტმა ეს გაოცება სიტყვითაც გამოთქვა:

— ამხანაგო ესებუა, გაგვაგებინე, რომელ ენაზე ლაპარაკობთ?

— ამხანაგო ლეიტენანტო, რა ვიცი, აბა! — და უკმაყოფილოდ ხელი ჩაიქნია, — ვაგლახ, რომ ეს ვაჟბატონი გერმანელი კი არა, ქართველია!

— ამხანაგო ლეიტენანტო, — მიმართა ბოტკოველმა, მაგრამ ოცეულის მეთაურმა სიტყვის თქმა არ აცალა და დაუფარავი სიძულვილით უთხრა:

— იცი, რა გითხრა, აქ შენი ამხანაგი არავინ არის პირდაპირ მითხარი რა გინდა?

— დიახ... — წაიბურტყუნა ნირწამხდარმა ბოტკოველმა და ენა დაება, თვალზე ცრემლი მოაწვა, შეყოვნდა, — დიახ... იქ, ბუჩქებში, ჩემი ორი ამხანაგია! გთხოვთ, ისინიც გამოატაროთ! მერე კი სამივე წაგვიყვანეთ თქვენი დივიზიის მეთაურთან, ჩვენ მას კაპიტან ჭიჭინაძის წერილი უნდა გადავცეთ!

— კაპიტანი ჭიჭინაძე ვიღაა?

— ჩვენი მეთაურია!

— ვინ თქვენი?

— ქართული ბატალიონის ლეგიონერებისა! ოცეულის მეთაური ჩაფიქრდა.

როგორ მოიქცეს? მისცეს თუ არა ლეგიონერების გადმორბენის ნება! თუმცა რისი ეშინიათ? გადმოსვლისთანავე ორივეს განაიარაღებენ, ბატალიონს სამი უიარაღო კაცი როგორ გაუძალიანდება. აგერ უკვე მეხუთე დღეა სარდლობა ყოველ ღამე მზვერავებს აგზავნის მტრის ზურგში მოენის ხელში ჩასაგდებად. მაგრამ შედეგს ვერ აღწევენ. მათ კი გერმანელთა სამსახურში მყოფი სამი ლეგიონერი თავისი ნებით ბარდება, სხვა, რომ არაფერი, მოენეობას ხომ მაინც გასწევენ!

— თანახმა ვარ, გააგებინე შენს ამხანაგებს! — თქვა მხნედ ლეიტენანტმა და მყისვე ჯარისკაცებს თვალით ანიშნა, ჩასაფრდით ცეცხლის გასახსნელადო, თვითონაც პისტოლეტი იძრო ბუდიდან.

ბოლტკოველი მიწაყრილზე აფოფხდა და ჯიბიდან ამოღებული ცხვირსახოცის ფრიალით ამხანაგებს ამცნო, გადმოირბინეთო.

ბოტკოველი და მისი ამხანაგები დივიზიის მეთაურის გენერალ პრივალოვის წინაშე იდგნენ. მაღალ, მხარბეჭიან გენერალს თავზე ფაფახი ეხურა, მხრებზე ფარაჯა წამოესხა, მაგიდასთან იჯდა და კაპიტან ჭიჭინაძის გამოგზავნილ წერილს კითხულობდა.

აქვე იყო დივიზიის მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში, ტანდაბალი, ჩასუქებული პოლკოვნიკი, გრძელ მაგიდის გასწვრივ ბოლოთას რომ სცემდა.

ბოტკოველი და მისი ამხანაგები მიწურის კარებთან მხრებჩამოყრილები იდგნენ და ხან გენერალს, ხანაც პოლკოვნიკს ქვეშ-ქვეშ მორიდებით შეჰყურებდნენ.

გენერალმა კითხვა რომ დაამთავრა, წერილი პოლკოვნიკს გადასცა.

პოლკოვნიკი ფანჯარასთან მივიდა, სათვალე მოირგო და წერილის კითხვას შეუდგა.

უცებ მაგიდასთან მჯდომი გენერალი, თითქოს წასთვლემა და მოწოლილი ძილი უნდა გაიფრთხოსო შეიშმუშნა, შუბლზე ხელი გადაისვა და ხმადაბლა, თავისთვის წაილაპარაკა:

— ფიქრით თავს ვიტეხ, მაგრამ ვერ გამიგია, რა ღმერთი გაგიწყრათ, ისე როგორ წახდით, გასაცოდავდით, რომ ფაშიტების სამსახურში შეხვედით?

— ამხანაგო გენერალო, სხვა გამოსავალი არ გვქონდა, ან უნდა ბატალიონში ჩავწერილიყავით, ან დავხოცილიყავით! — მიუგო ღურჯუმელიძემ.

— მტრის ხიძულვილმა, მისი კლანჭებიდან თავის დაღწევის წყურვილმა გვაიძულა ასე მოვქცეულიყავით! — დაუმატა ბოტკოველმა.

პოლკოვნიკმა კითხვა დაამთავრა, წერილი მაგიდაზე დადო: ასეთი სირცხვილისა და თავის მოჭრას განა სიკვდილი არ გერჩიათ? თქვენც და კაპიტანი ჭიჭინაძე ლაჩრები ხართ! — და შუბლშეჭმუხვნილმა ამრეზით შეათვალიერა ლეგიონერები.

— მართლაც რა ფასი აქვს საკუთარი ღირსების, ჯარისკაცული სიამაყის შელახვის ფასად შენარჩუნებულ სიცოცხლეს! — კუშტად თქვა გენერალმა და დასძინა, — ამხანაგო პოლკოვნიკო, რაც მოხდა მოხდა... ახლა ჩვენი ვალია ხელი გავუწოდოთ თანამოძმეებს, ვიხსნათ ფაშისტებისაგან! — ასე კი თქვა, მაგრამ ლეგიონერებმა ხმაში შეატყვეს, ისიც უკმაყოფილო იყო მათი საქციელით.

ბატალიონის წარმომადგენლებს კრინტი აღარ დაუძრავთ, თავი ჩაღუნეს. სამივეს კი უნდოდა ეთქვა, განა, ჩვენ კი არ გვიყვარს სამშობლო, ჩვენც გვინდოდა პატიოსნად მოგვეხადა ჯარისკაცური ვალი, მაგრამ ბედმა გვიმუხთლა, გზაკვალი აგვერია, ასეთი სამარცხვინო ლაქა მოგვეცხოო.

გენერალმა პრივალოვმა ადიუტანტი მოიხმო და უბრძანა, გადმოსულები დივიზიის მართვის ბატალიონში წაიყვანეთ, ასადილეთ და დაასვენეთო.

ლეგიონერები გავიდნენ თუ არა მიწურიდან, პოლკოვნიკმა წერილს ისე დასცხო მუშტი, თითქოს მასში იყო მოქცეული მთელი ბატალიონი:

— არამზადები, ყველა დახვრეტის ღირსია!

— ამხანაგო პოლკოვნიკო, ომი რომ არ ყოფილიყო ეს სიცოცხლით სავსე ჭაბუკები ბედნიერად იცხოვრებდნენ. დატკბებოდნენ ყოველივე იმ სიკეთით, რაც ბუნებას ადამიანისათვის შეუქმნია. ომმა, ჯარისკაცურმა ბედმა კი ფაშისტთა მონობაში ჩაყარა. ნურავინ დაიტრაბახებს! შეიძლება გულადიც იყო, სამშობლოს უსაზღვრო ერთგულიც. მაგრამ ტყვედ მაინც ჩავარდე. რა თქმა უნდა, ეს დიდი უბედურებაა, მაგრამ სამშობლოს ღალატი მაინც არ არის!

ამხანაგო გენერალო, მე არ გეთანხმებით! ვინ იცის რამდენი გარეწარი მტერს ავი განზრახვით ჩაბარდა, რამდენმა კიდევ იმათ მხარეს ხელებაწეულმა გადაირბინა, განა ისინი ფიცის გამტეხნი, გამყიდველები არ არიან?!

— ამხანაგო პოლკოვნიკო, მე ვლაპარაკობ ტყვეებზე და არა მოღალატეებზე!

— ამხანაგო გენერალო, ამ ვაჟბატონებმა ხომ ფაშისტური ფორმა ჩაიცვეს, განა ეს ფიცის გატეხა, სამშობლოს ღალატი არ არის?

— დანაშაული უთუოდ ჩაიდინეს, მაგრამ მოდი და, მდგომარეობას ფხიზელი თვალით შევხედოთ. — შეჩერდა, აზრი მოფიქრებული ჰქონდა, მაგრამ იმას ცდილობდა, რაც შეიძლე-

ბა საფუძვლიანად, დამაჯერებლად ეთქვა. — რა თქმა უნდა, ანგარიშგასაწევია, ტყვეობაში ვინ რას აკეთებს, ვინ როგორ იქცევა, მაგრამ გერმანელებმა ხომ ლეგიონერები სიკვდილის მუქარით აიძულეს ბატალიონში ჩარიცხულიყვნენ. რა ექნათ, სული ტკბილია, სიცოცხლის გაწირვა უმძიმდათ! ამასთან ისიც საგულისხმოა, რომ მათ პირველი დღიდანვე მიზნად დაისახეს ორგანიზებულად წითელი არმიის მხარეზე გადმოსვლა, რასაც ანხორციელებენ კიდეც.

— გამოდის, რომ მიზანი ამართლებს საშუალებას? — ორაზროვნად გაიღიმა პოლკოვნიკმა.

— დიახ, ეს ასეა! ამასთან, ჭიჭინაძეს და მის ამხანაგებს ეტყობა სინდისი სუფთა აქვთ. ოდნავადაც არ მეპარება ეჭვი, რომ მათი მიზანია თავგანწირვითა და საკუთარი სისხლით დაამტკიცონ სამშობლოს ერთგულება.

პოლკოვნიკი ერთხანს დუმდა, მერე კი მტკიცედ თქვა:

— იქნებ ეს ასეცაა, მაგრამ რა ვქნათ, ვერ ვიტან, მძულან, მეზიზღებიან ფიცის გამტეხნი. ყველაფერს ვაპატიებ ჯარისკაცს, ყველაფერს შევუნდობ, ამას კი რა, თან ისიც მაეჭვებს, ემანდ ლეგიონერებს გულში ავი განზრახვა არ ედოთ!

— არა მგონია! კაპიტანი ჭიჭინაძე და მისი ამხანაგები უთუოდ გულწრფელნი, სანდონი არიან. უნდა დავეხმაროთ, ხელი გავუწოდოთ.

— მთლად არ გეთანხმები, მაგრამ გემორჩილები. ოღონდ ახლავე მოახსენეთ არმიის სარდალს, ვნახოთ, რას გვირჩევს, რას გვიბრძანებს!

გენერალმა ტელეფონის მილი აიღო და მორიგე მეკავშირეს უბრძანა „ვოლგასთან“ შემაერთეო.

— ამხანაგო ოცდამეათე, ნება დამრთეთ თქვენთან მოვიდე მოსახსენებლად, დიახ, გასაგებია... მოვასწრებ...

გენერალმა მილის დადებისთანავე ადიუტანტს გასძახა, სასწრაფოდ მანქანას გამოუძახეთო, მერე პოლკოვნიკს უთხრა:

— არმიის სარდალი ნახევარი საათის შემდეგ ფრონტის შტაბში აპირებს წასვლას, როგორმე უნდა მივუსწროთ.

მანქანამ ათი წუთით შეაგვიანა. შტაბში მისვლას ნახევარ საათს მოუნდნენ, ისე რომ გენერალმა პრივალოვმა არმიის სარდალი ვერ ნახა.

არმიის შტაბის უფროსმა, სარდალს რომ სცვლიდა, გენერალ პრივალოვს გულდასმით მოუსმინა, მაგრამ გადაწყვეტით ვერაფერი უთხრა რთული საკითხია, სარდალს დაელოდეთო.

არმიის სარდალმა სამი საათი შეიგვიანა. ფრონტის შტაბში რაღაც მნიშვნელოვანი დავალება მიეცათ იგი გენერალ პრივალოვის მოხსენებით დაინტერესდა, მაგრამ რაკი თვითონ დრო არ ჰქონდა, არმიის განსაკუთრებულ განყოფილების უფროს პოლკოვნიკ დიმოვს დაავალა, ეს საკითხი საფუძვლიანად შეისწავლე და დღესვე მომახსენეო.

პოლკოვნიკი დიმოვი დონელი კაზაკი იყო. სამოქალაქო ომის წლებში ჯერ კორნილოვის არმიაში იბრძოდა, მერე თეთრგვარდიელებს ზურგი შეაქცია და წითელი არმიის მხარეზე გადავიდა. თვითონვე ითხოვა, გამგზავნეთ მტრის ზურგში და კაზაკებს გადმოვიბირებო. ეს ამოცანა წარმატებით შეასრულა, კაზაკთა რამდენიმე სტანიცა ბოლშევიკების მხარეზე გადმოიყვანა. საბჭოთა მთავრობამ ორდენით დააჯილდოვა. სამოქალაქო ომის შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა. აქაც ბევრჯერ ისახელა თავი: არაერთი მადლობა, სიგელი და მთავრობის ჯილდო დაიმსახურა.

სამამულო ომის დაწყების პირველივე თვეს დონბასში მოავლინეს და ახლად ჩამოყალიბებული არმიის განსაკუთრებული განყოფილების უფროსად დანიშნეს.

დავალების მიღებისთანავე პოლკოვნიკი დიმოვი გენერალ პრივალოვთან ერთად დივიზიის შტაბში გაემგზავრა საკითხის ადგილზე შესასწავლად.

ისინი მსუბუქი მანქანის უკანა სავარძელზე ისხდნენ. ორღობორღო, ატალახებულ გზაზე მანქანა ხტუნვით მირახრახებდა. პოლკოვნიკმა დიმოვმა, კაპიტან ჭიჭინაძის წერილი რომ წაიკითხა, იკითხა:

— ლეგიონერები ვინ დაკითხა?

გენერლისათვის ასეთი კითხვა მოულოდნელი იყო, ამიტომ შეგვიანებით უპასუხა:

— არავინ! — და რაკი პოლკოვნიკმა თავი უკმაყოფილოდ ჩაიქნია, დასძინა, — მე და ჩემი მოადგილე გავესაუბრეთ!

— ამხანაგო გენერალ-მაიორო, გასაუბრება არ კმარა! საჭიროა დაკითხვა, კვლევა-ძიება!

გენერალი ერთხანს დუმდა, მერე კი მორიდებით თქვა:

— ამხანაგო პოლკოვნიკო, კვლევა-ძიებით საქმე უფრო არ წავახდინოთ, გერმანელები თურმე ისედაც ლეგიონერებს აშინებენ. წითელი არმიის მხარეზე არ გადახვიდეთ, თორემ დახვრეტა არ აგცდებათო.

— ამხანაგო გენერალო, ვინც სამშობლოს ერთგულია, არც ასეთ ანკესზე წამოეგება, არც არაფერს შეუშინდება. მენდე, არ მოვტყუვდები. ნახევარი სიცოცხლე ამ საქმეს შევალიე. უტყუარი ყნოსვა მაქვს. ვინ იცის მტერს რა აქვს ჩაფიქრებული. ფრონტი რომ გავხსნათ, ხომ შეიძლება ლეგიონერებმა და მათ უკან მომავალმა ჰიტლერელებმა ცეცხლი დაგვიშინონ, უკუგვაქციონ!

პრივალოვი ვერ იტანდა, დიმოვი თავის თა-

ვში დარწმუნებული კაცის კილოთი რომ ლაპარაკობდა, მაგრამ მისი ნათქვამიდან ზოგი რამ ჭკუაში დაუჯდა.

რა თქმა უნდა, ლეგიონერებს ბრმად ვერ მიენდობიან! ომში ხომ ყველაზე უფრო მართლდება ბრძნული წესი, რომლის მიხედვითაც ყოველთვის უარესს უნდა ელოდო. მაშასადამე, სიფრთხილე, საკითხის შესწავლა აუცილებელია, მაგრამ კვლევა-ძიება, საქმის შედგენა — ეს უკვე ზედმეტია!

დიმოვს კი ეგონა, პრივალოვი მოხიბლულია ჩემი აზრებით და ამიტომ არ მეპასუხებაო, და უფრო აღტაცებით, დაბეჯითებით წარმოთქვამდა მონოლოგს:

— ამხანაგო გენერალო, მერწმუნეთ, ეს საქმე სარისკოა. მოდი და განვსაჯოთ, სად არის ლოგიკა! გერმანელები წინ მოიწევენ, ჩვენ კი ვიხევთ. აბა, მითხარით, ასეთ ვითარებაში, ლეგიონერები ჩვენს მხარეზე რატომ გადმოვლენ?

— ამხანაგო პოლკოვნიკო, თქვენ ხომ ბრძანეთ, ვინც სამშობლოს ერთგულია, არაფერს შეუშინდებაო?!

— სწორედ ესაა საკითხავი: არიან თუ არა ლეგიონერები სამშობლოს ერთგულნი?! მთელი არსებით მწამს: ის, ვინც წითელარმიელის ხალათი ფაშისტურ მუნდირზე გაცვალა, მოღალატეა. რა ვქნა, ცხოვრებამ გამხადა მკაცრი, ულმობელი. ყველაფერს ეჭვის თვალით ვუცქერა, არავის ვენდობი!

— ამხანაგო პოლკოვნიკო, სიმართლეს ბრძანებთ, ბატალიონის გადმოსვლა რთული, სარისკო საქმეა, მაგრამ ომში ხომ ყოველი გადადგმული ნაბიჯი რისკია? აქედან დასკვნა: რაც უფრო მძიმე, რთულია მდგომარეობა, მით უფრო მეტი გამბედაობა, სითამამე გვმართებს.

— ამხანაგო გენერალო, გთხოვთ, უფრო დააზუსტოთ თქვენი მოსაზრება!

— დიდი სიამოვნებით. რამდენიც არ უნდა მიმტკიცოთ, ვერ დამარწმუნებთ, რომ რაიმე სარგებლობას მოგვიტანს ლეგიონერების დაკითხვა, კვლევა-ძიება, ვფიქრობ ამით...

დიმოვმა სიტყვის დამთავრება არ აცალა:

— მე ჩემს ზოგად შეხედულებებს მოგახსენებ, მაგრამ ისიც კარგად ვიცი, რომ ეს ამბავი, ისევე, როგორც ბევრი რამ ომში, წესდების დებულებებისა თუ დადგენილებების ჩარჩოში ვერ თავსდება. გავიზიარებ თქვენს აზრს ოღონდ ერთის პირობით ერთერთი ლეგიონერი აუცილებლად მძევლად უნდა დავიტოვოთ. ამას გარდა, კაპიტან ქიქინაძეს შევუთვალოთ, რომ მოსალაპარაკებლად თვითონ გადმოვიდეს. თუ ლეგიონერებმა შეძლეს ფრონტის გადმორბენა, არც იმას გაუძნელდება. ვნახოთ, შევისწავლოთ, ვინ არის, რას წარმოადგენს ეს პიროვნება! იქნებ თვითმარქვია პროვოკატორია? ან იქნებ, ჩვენი ქვეყნის თავდადებული შვილია, ნდობას, მხარდაჭერას იმსახურებს!

ამასობაში ბოტკოველმა და მისმა ამხანაგებმა ისადილეს, დაისვენეს, კარგად გამოიძინეს, ნავახშმევს კი ღამის გასათევად ადგილი ერთ პატარა მიწურში გამოუყვეს.

წუთი წუთზე ელოდნენ, ვარაუდობდნენ — დივიზიის მეთაური კაპიტან ქიქინაძეს წერილს გაუგზავნიდა, თუ სიტყვიერ პასუხს შეუთვლიდა, ალბათ უჩვენებდა ბატალიონის გადმოსვლის რაიონს, დაუთქვამდა ოპერაციის დაწყების დროსა და ნიშანს; გადიოდა დრო, იმათ კი არ უძახდნენ. ამ გარემოებამ სამივე დააეჭვა, ალბათ, არ გვენდობიან, ფაშისტების შემოგზავნილი ვგონივართო.

სანამ ღუმელი გიზგიზებდა, მიწურში თბილოდა. ცეცხლი მინელდა თუ არა, ლეგიონერებს, ფარაჯა წაფარებულნი დანესტიანებულ ნამჯაზე რომ იწვნენ, ნელ-ნელა ტანში სიცივე გაუჯდათ.

ბოტკოველი ისედაც გაციებული იყო და ახლა კანკალს აეტანა. ზედიზედ ცხვირი დააცემინა და ჩახლეჩილი ხმით დაატანა:

— დარლუბალო!

— რა იყო, ბიჭო, რა თავს იწყევლი? — გაეპასუხა ლურჯუმელიძე.

— ღირსი არა ვარ, თუ?

ლურჯუმელიძეს არაფერი უთქვამს, გოგიძემ კი წაილაპარაკა:

— ეს რა უბედურ დღეში ვართ! ჩვენებიც ეჭვის თვალით გვიცქერიან, არ გვენდობიან!

— სწორადაც იქცევიან, დავიმსახურეთ! — თქვა ბოტკოველმა.

— ეჰ, მე კი მეგონა, კარგად მიგვიღებდნენ, ჩვენსას ირწმუნებდნენ, ხელს გამოგვიწვდიდნენ! — თქვა გოგიძემ.

— ხელიც არავის უკრავს! გენერალს ვერ დავემდურებით, თანაგვიგრძნობს, მხარს გვიჭერს, დახმარება სწადია! — მიუგო ბოტკოველმა.

— მაშ, რატომ გაგვაიარაღეს? გაურკვევლობა მაწუხებს, სულს მიხუთავს...

— რაც იქნება, იქნება, მოსახდენი მოხდეს... სხვა გზა არ გვქონდა, ადრე თუ გვიან, ახე უნდა მოვქცეულიყავით! სამშობლო უჩვენოდ იარსებებს, ჩვენ კი უიმისოდ არარაობა ვართ!

გარეთ ფეხის ხმა გაისმა.

— მოდიან! — შემკრთალი ხმით თქვა ბოტკოველმა.

სამივე დადუმდა, აჩქარებით სუნთქავდნენ, მათ გულებს ბაგა-ბუგი გაუდიოდა.

მიწურის კარი გაიღო და გენერლის ადიუტანტმა ხმადაბლა თქვა:

— ადექით, გენერალი გიბარებთ!

მიწურში ორნი იყვნენ. გენერალი პრივალოვი და პოლკოვნიკი დიმოვი. პირველი ცოლის გამოგზავნილ წერილს კითხულობდა, მეორე კი ღუმელს მიჯდომოდა.

მაგიდაზე ქურვის ცარიელი ვაზნისაგან გაკეთებული ჭრაქი ბოლავდა. ვაზნის თავი ფითილივით გაებრტყელებიათ და მიწურის წინა და უკანა მხარეს კარგად ანათებდა, გვერდით კედლებზე კი ჩრდილი იწვა.

ლეგიონერები შევიდნენ თუ არა მიწურში, პრივალოვმა წერილი გვერდზე გადასდო და მოსულებს თავი ოდნავ დაუკრა, კაცი ვერ გაიგებდა, მიესალმა, თუ ანიშნა ახლოს მოდითო.

დიმოვმა სამივე გულგრილად შეათვალიერა და მიწურის ბნელ მხარეს გაჩერდა, ისე, რომ გარკვევით ხედავდა ჭრაქის შუქით განათებულ ლეგიონერთა სახეებს.

— არმიის სარდალმა მე და პოლკოვნიკ დიმოვს, — და გენერალმა ლეგიონერებს ხელით დიმოვი უჩვენა, — გვიბრძანა შევიმუშაოთ ქართული ბატალიონის წითელი არმიის მხარეზე გადმოსვლის გეგმა. გადავწყვიტეთ, ლეგიონერი ბოტკოველი დავტოვოთ ჩვენთან მეკავშირედ. ორი კი ამ ღამით უკან დაბრუნდებით ბატალიონში, გერმანელ ოფიცრებს მოახსენებთ, ვითომ ჩვენმა გუშაგებმა შეგნიშნეს, სროლა აგიტეხს და ბოტკოველი მოკლეს. კაპიტან ჭიჭინაძეს კი გადასცემთ, ოპერაციის წარმატებით დაგვირგვინებისათვის აუცილებელია ერთმანეთს შევხვდეთ და ერთობლივად შევიმუშაოთ მოქმედების გეგმა:

— ამხანაგო გენერალო, მგონი, კაპიტან ჭიჭინაძეს გაუძნელდება ფრონტის გადმოკვეთა. — თქვა ღურჯუმელიძემ.

— რატომ? — თითქოს რაღაც მნიშვნელოვან ამბავს ხელი ჩასჭიდაო, იკითხა დიმოვმა, გამომცდელად რომ მისჩერებოდა ლეგიონერებს.

— კაპიტან ჭიჭინაძეს მეთვალყურეები ჰყავს მიჩენილი, უთვალთვალებენ.

— თუ თქვენ შესძელით გადმოსვლა, არც იმას გაუძნელდება. მით უმეტეს, ჩვენ უკვე მოლაპარაკებული ვართ.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, დაყოვნება ზიანის მეტს არაფერს მოგვიტანს, — ჩაერია საუბარში ბოტკოველი, — გამყიდველებმა ჩვენი განზრახვა რომ შეიტყონ, გერმანელები მაშინვე ზურგში გადაგვისვრიან, გაგვაიარაღებენ, თავბედს გვაწყევლინებენ, უმჯობესია საქმეს ნუ გავაჭიანურებთ, ახლავე შევთანხმდეთ, დრო დავთქვათ.

— კაპიტან ჭიჭინაძესთან შეხვედრა აუცილებელია! ქვედანაყოფებს გავაფრთხილებთ. დროს იხელთებს თუ არა, სადაც ერჩიოს, იქ გადმოვიდეს!

კაპიტან ჭიჭინაძეს ფიქრებმა ძილი გაუფრთხო.

ნუთუ გენერალი პრივალოვი და პოლკოვნიკი დიმოვი არ ენდობიან? რატომ დაიტოვეს ბოტკოველი მძევლად? ან მას რად იბარებენ?

ჭიჭინაძეს არასოდეს ჩვენებია ღამე ასე გრძელი. დილის ხუთი საათი იყო, მაგრამ მიწურის ფანჯარაში სინათლის მაგივრად სიბნელემ იმატა.

ფარაჯა ჩაიცვა. პილოტური დაიხურა და გარეთ გავიდა.

ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იყო. მთები, ტყეები, ხევები, სულიერი თუ უსულო, თითქოს დილის ღრმა ძილს მისცემოდა.

ფრონტზე მდუმარება უფრო შესამჩნევია, ვიდრე თოფების ბათქაბუთქი, ტყვიამფრქვევების ხმა და ქვემეხების ზათქი.

ნამეხარ მარტოხესავით იდგა კაპიტანი ჭიჭინაძე.

შექმნილ ვითარებას რომ უკვირდებოდა, რწმუნდებოდა, წარმატების მოსაპოვებლად საჭირო იყო მტკიცედ, უყოყმანოდ ევლოთ წინ.

რაც იქნება, იქნება, კაპიტან ვაგნერს მოახსენებს, რომ წითელი არმიის ზურგში გაგზავნილმა მზვერავებმა მიაკვლიეს ტყეში შენიღბულ მოწინააღმდეგის სატანკო ნაწილებს, „კატიუშების“ დივიზიონს, მაგრამ უცოდინრები, უვიცნი არიან და ვერ შეძლეს ამ ობიექტების რუკაზე აღნიშვნა, კოორდინატების განსაზღვრა.

იქნებ კაპიტანმა ვაგნერმა თვითონვე უბრძანოს, რახან ასეა, მაშინ აღექი და შენ წადი მტრის ზურგშიო. ან თვითონვე მოითხოვს წასვლას, ცდა ბედის მონახევრეა, იქნებ არ იუარონ?

ჭიჭინაძემ უთენია დაურეკა ბატალიონის მეთაურს — მოწინააღმდეგის ზურგში გაგზავნილი მზვერავები დაბრუნდნენ. ნება დაგვრთეთ, გეახლოთ და შედეგები მოგახსენოთო.

— ლეიტენანტმა მარტემ მათ შესახებ! უკვე მომახსენა, უკმაყოფილო ვარ! ამ დილით თავად მოვალ ასეულში!

ჭიჭინაძემ გოგიძე და ღურჯუმელიძე მაშინვე თავის მიწურში მიიხმო და გააფრთხილა, კაპიტან ვაგნერსაც ასევე მოახსენეთ, შენიღბულ სატანკო ნაწილებსაც მივაკვლიეთ, „კატიუშების“ დივიზიონიც აღმოვაჩინეთ, მაგრამ რა ვქნათ, მათი ადგილსამყოფელი რუკაზე ვერ აღვნიშნეთო.

იმ ღამეს ხარკაძესაც გაუტყდა ძილი, რა ღმერთი გამიწყრა, ჭიჭინაძეს ტყვია როგორ ავაცდინეო.

მაშ მადლი არ იყო მისი მოიუსავლეთში გასტუმრება? გერმანელებისათვის სისხლი იაფად ფასობს და ჭიჭინაძის მკვლელობის გამოკვლევით თავს არ შეიწუხებდნენ. არც ლეგიონერები ჩაჰყვებოდნენ სამარეში.

რა ნებისყოფა, რა ჯადო აქვს ამ კაცს! მთელი ბატალიონი ხელმძღვანელად, მხსნელად, მამად თვლის!

ყველაზე უფრო ის უკვირს, გერმანელებს როგორ შეაყვარა თავი! ადრე თუ კაპიტანი ვაგნერი და ლეიტენანტი მარტე უმცროდნენ იხარა ახლა ზონდერფიურერი ზალუპაიც გადაიბირა!

წითელი არმიის ზურგში მზვერავები ქიქინაძის წინადადებით გაგზავნეს. კანდიდატები მანვე შეარჩია, სამივე მისაღმი უსაზღვრო სიყვარულითაა გამსჭვალული. ამ ამბის უკან უთუოდ რაღაც იმალება. ეჭვს ისიც ბადებს, რომ ორი მზვერავი დაბრუნდა, ბოტკოველი კი ფრონტზე გადმოსვლისას მოუკლავთ. ნუთუ სიმართლეა? აბა, მაშ, სად ეშმაკებში გადაიკარგებოდა?! თუ იგი წითელი არმიის მხარეზე დარჩა, მაშინ ამ ორს რაღამ შეუშალა ხელი? და თუ ეს არ მოისურვეს, მაშინ ბოტკოველის საქციელს რატომ დამალავდნენ? თავს მოიწონებდნენ, ბოტკოველი მოწინააღმდეგეს ჩაბარდა, ჩვენ კი არ გიმუხთლეთ, უკან დავბრუნდითო. ან იქნებ სამივე წითელი არმიის სარდლობასთან გამოცხადდა და ქიქინაძის შენათვალი მოახსენეს. ერთი მძევლად დაიტოვეს, ორი კი დავალებით უკან გამოისტუმრეს? არა, ეს ძნელი დასაჯერებელია. განა, ცხადი არაა, რომ ბოტკოველის არ დაბრუნებით გერმანელები უფრო მეტად დაეჭვდებიან და, მაშასადამე, უფრო მეტადაც გაფრთხილდებიან?

მაშ, რაშია საქმე, სად არის ძაღლის თავი დამარხული?

იქნებ ქიქინაძე მართლაც გერმანელების ერთგულია. მაშ, რატომ პირდებოდა ლეგიონერებს ტყვეობიდან გამოხსნას? თათბირებს მართავდა, გეგმებს ადგენდა! ნუთუ ცბიერობდა? ალბათ იმის იმედი ჰქონდა, ლეგიონერები რომ ბრძოლაში ჩაებმებიან, სისხლი დაიქცევა, მერე რუსებისაკენ გადარბენას აღარ მოისურვებენო. ასეც მოხდა! უსახელო მაღლობის დაპყრობის შემდეგ ხომ კრინტს აღარ სძრავენ! კაცის ბუნება ასეთია, რაც არ უნდა გძულდეს მოწინააღმდეგე, როცა ხედავ, რომ იგი შენზე ღონიერია, გრძნობ, რომ იმასთან ვერაფერს გახდები, ძალაუნებურად ემორჩილები, ემონები. ეტყობა ქიქინაძემ და ლეგიონერებმა გადაიფიქრეს, წითელი არმია მარცხდება, ჩვენ რაღას ვუშველით, სჯობია ისევ გამარჯვებულის მხარეზე დავრჩეთო.

ზონდერფიურერი ზალუპა კი რას სჩადის! კინაღამ მეორე ასეულში არ გადაიყვანა! ნეტავი ბარამიძესთან რა არის სათვალთვალო? ეჭვიც არ ეპარება, თუ ბატალიონში მართლა მზადდება ამბოხება, მაშინ შეთქმულთა ბუდე, მესამე ასეულია, მოთავე, ბელადი კი ქიქინაძეა.

ფრთხილად, გონივრულად უნდა მოიქცეს, თორემ რაიმე გაუთვალისწინებელი რომ მოხდეს, დაადანაშაულებენ, ღალატს დასწამებენ და ზონდერფიურერის მუქარისა არ იყოს, მარუეუში თავს გააყოფინებენ!

კაპიტანი ვაგნერი მესამე ასეულის პოზიციაზე რომ მოვიდა, ლეიტენანტ მარტეს უბრძანა, მიწურში გამომყევიო. აქვე იყო კაპიტანი ქიქინაძე, მაგრამ ბატალიონის მეთაურმა თვალი აარიდა.

კაპიტანი ქიქინაძე ლეიტენანტ მარტეს მიწურის შორიახლო ტრიალებდა. ათი-თხუთმეტი წუთი რომ გავიდა, ლეიტენანტი მარტე გამოვიდა მიწურიდან და კაპიტან ქიქინაძეს უბრძანა, ღურჯუმელიძე და გოგიძე აქ მომგვარეო.

ქიქინაძემ მზვერავები მოიყვანა და მათთან ერთად მიწურში შევიდა.

— ქიქინაძე, სად არის თარჯიმანი?

— ბატონო კაპიტანო, ლეგიონერებმა რუსული არ იციან... თარჯიმანი კი ქართულიდან ვერ გითარგმნით!

— აბა, მაშ, როგორ მსახურობდნენ წითელ არმიაში?

— ბატონო კაპიტანო! ჯარში სამსახური მაგ მხრივ იოლი საქმეა. საკმარისია კაცმა იცოდეს რამდენიმე ბრძანება: მარჯვნისაკენ! მარცხნისაკენ! ცეცხლი! წინ!

— ამიტომაცაა, რომ ნახევარი თქვენი არმია ტყეში მოხეტიალე ბრბოდ გადაიქცა! — და ისე ჩაიცინა, კაცი ვერ გაიგებდა, ნაძალადევად ხითხითებდა თუ თავის ნათქვამმა მართლა გაახარა.

მარტე ვაგნერს აჰყვა, თან აღტაცებით გაიძახოდა, ბატონო კაპიტანო, ეს რა გონებამახვილი სიტყვა ბრძანეთო.

ქიქინაძემაც ნაძალადევად გაიცინა.

ღურჯუმელაძეს და გოგიძეს ვერ გაეგოთ, რაზე იცინოდნენ. დაბნეულები აქეთ-იქით იხედებოდნენ. თან იმას ცდილობდნენ, რაც შეიძლება მიამიტად დაეჭირათ თავი.

— მესამე მზვერავს რა დაემართა?! — იკითხა ვაგნერმა.

— უკან რომ ვბრუნდებოდით, წითელარმიელებმა სროლა აგვიტეხეს. ბოტკოველს ტყვია კეფაში მოხვდა და მაშინვე სული განუტევა!— მიუგო ღურჯუმელიძემ და დანანებით თავი ჩაიქნია.

ქიქინაძემ ეს სიტყვები გერმანულად რომ უთარგმნა, ვაგნერი ღურჯუმელიძეს ცივად დაეჭვებით მიაჩერდა.

ღურჯუმელიძე გრძნობდა ვაგნერის გაბოროტებას, მაგრამ არ კრთებოდა, წარბს არ იხრიდა.

— კარგი და, რატომ რუკაზე არ აღნიშნეთ ის ადგილები, სადაც თავმოყრილია მტრის ტანკები, „კატიუშები“? — და ამჯერად ვაგნერი გოგიძეს დააშტერდა.

გოგიძემ ისე მიუგო, ნირი არ შესცვლია:

— ბატონო კაპიტანო გლეხები ვართ, ტეტიები. განა ჩვენ არ გვინდოდა დავალების პირნათლად შესრულება, მაგრამ დავიბენით, სად

ვიყავით, რუკაზე ვერ განვსაზღვრეთ. აი, გაგვაყოლეთ ვინმე და იმ ადგილებს თვალდახუჭული მივაგნებთ!

ვაგნერი ქიქინაძეს მიუბრუნდა და მთელი საუბრის მანძილზე თვალებში პირველად შეხედა:

— ქიქინაძე, ვის გვირჩევდით, ვინ შეიძლება გავაყოლოთ მზვერავებს?

ქიქინაძე ჩაფიქრდა.

— რას გაჩუმებულხარ? ნუთუ ბატალიონში არ გამოინახება ასეთი ოფიცერი?! — მიმართა ვაგნერმა.

— ბატონო კაპიტანო, როგორ არა, გვყავან სამხედრო საქმის კარგი მცოდნე მეთაურები!— მიუგო მტკიცედ ქიქინაძემ.

— ვინ ივარგებს, კანდიდატურა წამოაყენე!

— მიჭირს დასახელება... — და ქიქინაძემ ლეიტენანტ მარტეს გადახედა. თითქოს ეკითხებოდა, რას მირჩევ, ვინ ემჯობინებაო.

ლეიტენანტმა მარტემ სიტყვა შეაშველა:

— ვისაც ენდობი, ის წამოაყენე!

— ბატონო კაპიტანო, მზვერავების გაგზავნის იდეა მე მეკუთვნის, მთელი არსებით მინდა, რომ სასურველ შედეგს მივაღწიოთ. თუ ნებას დამრთავთ, მე წავალ დაზვერვაზე!

— კეთილი, სიამოვნებით! — მიუგო ვაგნერმა და მარტეს შეეკითხა:

— ლეიტენანტო, თქვენი შეხედულება მაინტერესებს!

— კარგი აზრია, — მიუგო მარტემ, გულში კი გაიფიქრა, ბატალიონის მეთაური რახან დათანხმდა, ქიქინაძეს აცილებაც რომ მივცე, სულ ერთია, სიტყვას აღარ გადავაო, და მაშინვე დაუმატა, — დარწმუნებული ვარ, ქიქინაძეზე უკეთ ამ ამოცანას ვერავინ შეასრულებს!

— როდის წახვალთ, ქიქინაძე? — იკითხა ვაგნერმა.

— ბატონო კაპიტანო, ამაღამვე, ამასთან გადასავლელად იგივე პუნქტი უნდა ავირჩიოთ! ალბათ რუსები დარწმუნებული არიან, ასე უცებ, თანაც ამავე ადგილას ველარ გავბედავთ ფრონტის გადალახვას.

პოლკოვნიკი დიმოვი გენერალ პრივალოვთან დარჩა, რაღა აქეთ-იქით ვიაროო, ორ-სამ დღეს დაველოდები, იქნებ კაპიტანმა ქიქინაძემ მოახერხოს ჩვენს მხარეზე გადმოსვლაო. ასე კი ამბობდა, მაგრამ ამასთან უიმედობასაც გამოთქვამდა, რაღაც არ მჯერა, ალბათ გერმანელებს ჩვენი გაცურება უნდოდათო.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, რატომ უცქერით ამ ამბავს უნდობლად, რატომ არ გჯერათ ლეგიონერებისა? — შეეკითხა გენერალი პრივალოვი.

— იმიტომ, რომ ომის დროს მეტისმეტად ვომრავლდნენ მოღალატენი. ვერ გამიგია, რამ აიძულა ეს ადამიანები იარაღი აესხათ თანამოძმეთა შესამუსრავად. — მიუგო დიმოვმა.

გენერალმა პრივალოვმა პაპიროსს მოუკიდა, ზედიზედ ღრმა ნაფაზი დაარტყა, თითქოს ნერვები დაიწყნარაო, და თქვა:

— არ იფიქროთ, რომ ვინმეს ვესარჩლები! ამ ომმა ჩემს შეგნებაში ბევრი რამ შეცვალა. რატომღაც მგონია, რომ ეს ლეგიონერები გულწრფელნი არიან, სწორედ სამშობლოს სიყვარულმა მოიყვანეს ისინი ჩვენთან!

ამ დროს კარები გაიღო, მიწურში ადიუტანტი შევიდა და პრივალოვს სხაპასხუპით მოახსენა:

— ამხანაგო გენერალო, წინა ხაზიდან შეგვატყობინეს კაპიტანი ქიქინაძე ორი მზვერავის თანხლებით ჩვენს მხარეზე გადმოვიდა. როგორ მოვიქცეთ, ველოდებით თქვენს განკარგულებასო.

— გადმოსულები ახლავე, დაუყოვნებლივ მოიყვანონ ჩვენთან! — ბრძანა პრივალოვმა.

ადიუტანტის გასვლისთანავე გენერალი წამოდგა, ხალათის ღილები შეიკრა.

პოლკოვნიკმა დიმოვმა მიწურში გაიარ-გამოიარა, მერე ისევ მაგიდას მიუჯდა.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, რას ჩაფიქრებულხართ, აუდიენციისათვის ხომ არ ემზადებით? — შეეკითხა ღიმილით გენერალი.

— დიახაც რომ ვემზადები — მიუგო დიმოვმა.

— ახლა რაღას იტყვით, გჯერათ თუ არა, რომ ლეგიონერებს კეთილშობილური მიზნები ამოძრავებთ?

— როგორ გითხრათ... ცოტა მადროვე. ერთი კაპიტან ქიქინაძეს შევავლო თვალი და მერე უკვე გადაწყვეტით გეტყვით ჩემს მოსაზრებას...

ნახევარი საათის შემდეგ ადიუტანტმა კვლავ შეაღო მიწურის კარი და გენერალს მოახსენა:

— ამხანაგო გენერალო, გადმოსულები მოიყვანეს!

— შემოიყვანეთ! — ბრძანა პრივალოვმა.

— ამხანაგო გენერალო, იქნებ სჯობდეს კაპიტან ქიქინაძეს ცალკე გავესაუბროთ?! — თქვა დიმოვმა.

— არ იქნება ურიგო! — მიუგო პრივალოვმა და ადიუტანტს უბრძანა მარტო კაპიტანი ქიქინაძე შემოვიდესო.

კაპიტანი თამამდ შევიდა მიწურში, მხედრულად გაიჭიმა და მოახსენა:

— ამხანაგო გენერალო, თქვენს წინაშეა წითელი არმიის მსროლელი დივიზიის ყოფილი შტაბის უფროსის მოადგილე, კაპიტანი ქიქინაძე!

— გთხოვთ, დაბრძანდეთ! — უთხრა გენერალმა და სკამი უჩვენა.

ქიქინაძემ მხოლოდ დაჯდომისას შენიშნა,

რომ კუთხეში მდგარი პოლკოვნიკი ცივად, დაეჭვებით უყურებდა.

— მაპატიეთ ამხანაგო პოლკოვნიკო! — მიმართა ჭიჭინაძემ და მისკენ შებრუნდა.

— მაშ, თქვენ გვარწმუნებთ, რომ წითელი არმიის ყოფილი კაპიტანი ხართ?! — შეეკითხა დიმოვი.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, კი არ გარწმუნებთ, სიმართლეს მოგახსენებთ! რვა წელი ვმსახურობდი შორეულ აღმოსავლეთში, ცოლშვილი იქა მყავს.

— გასაგებია, — თქვა დიმოვმა. ჭიჭინაძე ერთხელ კიდევ გულმოდგინედ შეათვალიერა და შეეკითხა. — სადაური ხარ?

— ამხანაგო პოლკოვნიკო, თბილისელი ვარ!

— თბილისში ვინა გყავს.

— მშობლები, ბებია... სვანეთის უბანში ცხოვრობენ!

— ვლადივოსტოკში თუ ყოფილხართ?

— დიახ, ერთხანს იქ ვმსახურობდი!

— „ზოლოტოი როგში“ გიბანავნია?

— მიბანავნია და კიდეც მიქეიფია!

დიმოვმა მერე იმ დივიზიისა და არმიის გენერლების გვარები჻ჰკითხა, ჭიჭინაძე ტყვედ ჩავარდნამდე რომ მსახურობდა. ხასანის ბრძოლებზეც ჩამოუგდო სიტყვა. ჭიჭინაძეს მასში უშუალო მონაწილეობა არ მიეღო, მაგრამ მათი დივიზია მეორე ეშელონში იდგა. მან ამ ბრძოლების მსვლელობა დაწვრილებით აღწერა.

პოლკოვნიკი დიმოვი, სახე თანდათან ნდობით რომ ემსჭვალებოდა, ჭიჭინაძეს მიუახლოვდა, მხარზე ხელი წაუთათუნა და თანაგრძნობის კილოთი უთხრა:

— მერედა, ამხანაგო კაპიტანო, რა გატირებს?

— ამხანაგო პოლკოვნიკო, არა, არ ვტირი! — ათრთოლებული ხმით მიუგო ჭიჭინაძემ და თვალებზე ხელი მოისვა და ახლაღა იგრძნო, რომ ფერმკრთალ ლოყაზე ცრემლი ჩამოსდიოდა.. მასში უცებ იფეთქა მთელი ბატალიონის ერთად შეტბორებულმა ნაღველმა. — ეჰ, განა მეც და ასობით ჩემს ბედში მყოფთ სატირალი არა გვაქვს? ეს რა უბედურებაა ჩვენს თავს. რა ღვთის რისხვაა! ფაშისტები გვხვრეტენ, სახრჩობელაზე გვკიდებენ! ერთი იმედი გვასულდგმულებდა — როგორმე ტყვეობიდან თავი დაგვეღწია წითელ არმიას შევერთებოდით, თქვენ კი ეჭვის თვალით გვიცქერით, არ გვენდობით!

— ამხანაგო კაპიტანო, დაწყნარდით, უამისობაც არ იქნება!

ჭიჭინაძემ ხმა დაიმორჩილა და მშვიდად განაგრძო:

— ამხანაგო გენერალო, ჩემს უკან ასობით წამებული, გატანჯული ადამიანი დგას! ფიცი, ხვეწნა, მუდარა ამაო იქნება, ერთგულების უტყუარი საბუთებიც უდავო ღალატად მოგეჩვენებათ, თუ არ დაგვიჯერებთ, არ მოგვენდობით!

გენერალი პრივალოვი მოთმინებით უსმენდა მათ საუბარს იგი უხვად იყო დაჯილდოებული დიდი შინაგანი ალღოთი და ახლაც, ეს ძვირფასი გრძნობა უკარნახებდა, რომ კაპიტანი ჭიჭინაძე ალალმართალი, კეთილსაიმედო ადამიანი იყო.

გენერალს უნდოდა ეკითხა — როგორც შევიტყვეთ, თითქმის მთელი თვეა ქართული ბატალიონი მოწინავე ხაზზეა, რატომ აქამდე არ გამოგზავნეთ მეკავშირეები, არ გვაცნობეთ თქვენი განზრახვა, მაგრამ ეს საჭიროდ აღარ ჩათვალა:

— ამხანაგო კაპიტანო, მჯერა თქვენი, გენდობით! — და დიმოვს გადახედა — ამხანაგო პოლკოვნიკო, ალბათ, თქვენც?

პოლკოვნიკმა დიმოვმა, თავის ქნევით, როგორც თავისთავად უკვე ნაგულისხმევმა, მტკიცედ, სულმოუთქმელად განაცხადა:

— დიახ, ამხანაგო გენერალო, მეც თქვენი აზრისა ვარ!

ისინი შუაღამემდე უსხდნენ მაგიდას.

კაპიტანმა ჭიჭინაძემ მოუთხრო, გერმანელებმა თუ რა დავალებით გამოგზავნეს დაზვერვაზე.

პრივალოვმა ჭიჭინაძეს სამუშაო რუკა მოთხოვა და ის ადგილები უჩვენა, სადაც არც არავინ ცხოვრობდა, არც ზურგის ნაწილები იდგა.

ჭიჭინაძემ ეს რაიონები რუკაზე მოხაზა და წარწერები გაუკეთა, ვითომ ერთ ადგილას ტანკები იყო თავმოყრილი, მეორეგან კი გვარდიული ნაღმტყორცნები.

მერე შეთანხმდნენ, ბატალიონი 12 დეკემბერს, ღამის ოთხ საათზე განახორციელებდა გადასვლას. საჭიროების შემთხვევაში შეეძლო დრო წინ, ან უკან გადაეწიათ. წინა ხაზზე გამოყოფდნენ სპეციალურ მეთვალყურეებს.

გენერალმა პრივალოვმა ჭიჭინაძეს რუკაზე უჩვენა გადმოსვლის ადგილი.

ამასთან დათქვეს, რომ ლეგიონერები წითელი არმიის წინა ხაზთან მიახლოებისას შესძახებდნენ, „ჩვენ თქვენთან ვართ!“.

ნაშუაღამევს, ვარსკვლავთა მოციმციმე შუქზე გენერალმა პრივალოვმა და პოლკოვნიკმა დიმოვმა, ჭიჭინაძესა და მის თანმხლებ ლეგიონერებს წინა ხაზისაკენ რომ აცილებდნენ, მაგრად ჩამოართვეს ხელი და წარმატება უსურვეს.

მზვერავები დაბრუნდნენ თუ არა, ჭიჭინაძე ცხენით წავიდა ბატალიონის შტაბში, თან სურამელიც გაიყოლა.

ვაგნერი გახარებული იყო. ის ფაქტი, რომ ჭიჭინაძემ პირნათლად შეასრულა დავალება და, უთუოდ, მნიშვნელოვანი ცნობები მოიტანა,

ბატალიონის მეთაურს, უწინარეს ყოვლისა, თავის დამსახურებად მიაჩნდა. ღრმად იყო დარწმუნებული სარდლობა მაღლობას გამოუცხადებდა, ალბათ ორდენით დააჯილდოვებდნენ ან და მორიგ სამხედრო წოდებას მიანიჭებდნენ. ეს იმითაც იქნებოდა გამართლებული, როგორც ვარაუდობდნენ, საქართველოში რომ შეჭრილიყვნენ, ლეგიონერებს მრავალი მოხალისე შეუერთდებოდა, ბატალიონი ბლოკად გადაიქცეოდა. პოლკის მეთაურისათვის კი კაპიტნის წოდება საკმარისი აღარ იქნებოდა.

ვაგნერი ჭიჭინაძეს ფეხზე ადგომით შეეგება, ხელი ისე ჩამოართვა, როგორც ტოლმა ტოლს, თანაც ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ წოდებითაც მიმართა, — კაპიტანო, მიხარია მტრის ზურგიდან თქვენი უვნებლად დაბრუნება, და მაგიდასთან სკამი შესთავაზა.

ვაგნერს ეშვი რომ არ აცლო, ჭიჭინაძემ ყველაფერი რაც ნახეს და ვითომდა თავზე გადახდათ, შეულამაზებლად, გაუზვიადებლად მოუთხრო. სულაც არ ცდილობდა ვაგნერის დაჯერებას, დარწმუნებას, რადგან იცოდა, ადამიანი რაც უფრო ცდილობს ამას, მით უფრო არ უჯერებენ, არ ერწმუნებიან. თან უმნიშვნელო ამბებზე უფრო ამახვილებდა ყურადღებას, იმის შესახებ, აღმოაჩინეს თუ არა მოწინაალმდეგის ზურგში ტანკები და გვარდიული ნაღმსტყორცნები, კრინტს არ ძრავდა.

ვაგნერს კი ყველაზე უფრო ეს აინტერესებდა, მოთმინება აღარ ეყო და იკითხა:

— ტანკებსა და გვარდიულ ნაღმსტყორცნებს თუ მიაგენით?

— მაშ. სასაცილო არაა, უმნიშვნელო ამბებს გიყვებით. მთავარი კი მავიწყდება! — მიუგო ჭიჭინაძემ და თავის თავზე ჩაიცინა, ვითომ ეს რა დამემართაო.

„ვინც ასე გულიანად იცინის, არ შეიძლება კეთილი, გულწრფელი ადამიანი არ იყოს!“ — ფიქრობდა ვაგნერი და თანამოსაუბრეს ცნობისმოყვარეობით სავსე თვალებით შესცქეროდა.

ჭიჭინაძემ ყოველგვარი ზეიმურობისა და ალტაცების გარეშე, რუკაზე უჩვენა ის ადგილები, სადაც შენიღბული იყო ტანკები და „კატუშები“.

კაპიტანმა ვაგნერმა მაშინვე თავის სამუშაო რუკაზე აღნიშნა ეს ობიექტები. მერე კი დივიზიის მეთაურს ტელეფონით მოახსენა, კაპიტანი ჭიჭინაძე მტრის ზურგიდან დაბრუნდა და მნიშვნელოვანი ცნობები მოიტანაო.

ვაგნერმა ტელეფონის მილი დადო და ჭიჭინაძეს ახარა, დივიზიის მეთაურმა გვიბრძანა, ორივე ახლავე ვეახლოთ, და ორდინარეცს გასძახა, მანქანას გამოუძახეო, მერე ხელები მოისრისა, ვითომ ესეც ასეო და ჩანთიდან ფრანგული კონიაკი, ძეხვი და პურის ნაჭერი ამოიღო.

ვაგნერმა და ჭიჭინაძემ კონიაკით სავსე ჭიქები ერთმანეთს მიუჯახუნეს, ღმერთმა ხელი მოგვიმართოსო, და სასმისი გადაჰკრეს.

ამასობაში მსუბუქი მანქანა მოგრიალდა. ჭიჭინაძემ სურამელი გააფრთხილა აქ დამელოდეთო. თვითონ კი ვაგნერთან ერთად მანქანით დივიზიის შტაბში გაემგზავრა.

როცა ჭიჭინაძემ რუკაზე ტანკებისა და „კატუშების“ ადგილსამყოფელი უჩვენა, გენერალმა ცისფერი მოყვითალო თვალები მოჭუტა, თითქოს რაღაც შეუსაბამობას მიაგნოო, და მკვახედ თქვა:

— რაშია საქმე, ან ჩვენ გამოვშტერდით, ან რუსები გაეშმაკდნენ, შენიღბვა ისწავლეს. გუშინ საჰაერო დაზვერვამ გვაცნობა, ამ რაიონში ჯარისკაციც არ ჭაჭანებსო, თქვენ კი მარწმუნებთ რუსებს ტანკები და „კატუშები“ აქ აქვთ თავმოყრილიო.

— ბატონო გენერალო, საჰაერო დაზვერვაში არასოდეს მიმუშავია, მაგრამ ჩემი ვარაუდით, ალბათ თვითმფრინავიდან შეიარაღებული თვალითაც გაძნელდება იმის დანახვა, რაც ჩვენ ახლოდ ნაბიჯიდან ძლივს გავარჩიეთ. აქ დაბურული ტყეებია, ღრმა ხეობები. ფერდობები დაღარულია, კლდეები დანაოჭებული. ეს ყველაფერი კი მშვენიერ პირობებს ქმნის ტანკების, „კატუშების“, ჯარის ნაწილების შესანიღბავად. — მიუგო კაპიტანმა, ჭიჭინაძემ თავის სიტყვებში ღრმად დარწმუნებული კაცის ხითამამით.

— ჭიჭინაძე, იხედაც საბრძოლო მასალის ნაკლოვანებას განვიცდით, შეცდომაში არ შეგვიყვანო, აბა, გაიხსენე, ხომ ყველაფერი კარგად დაინახე, იქნებ ერთი-ორი ტანკი იყო, ან იქნებ ჩვეულებრივი საბარგო მანქანები „კატუშებად“ ჩათვალე?!

— ბატონო გენერალო, მშვიდობიანობის დროს, და ომშიც დიდხანს დივიზიის შტაბის უფროსის თანაშემწედ ვმსახურობდი... ერთხანობა დივიზიის მზვერავთა ასეულის მეთაურიც გახლდით. კვეხნად არ ჩამომართვათ და, დაზვერვის საქმეში საკმაო ცოდნა, გამოცდილება მაქვს. თვალი მიჭრის არც ყურთ მაკლია, ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, შევმცდარვიყავი, ან წინდაუხედაობა გამომეჩინა და რაღა ახლა გამიწყრა ღმერთი!

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსი რაზიკაშვილი

## იანვრის ღამე

იანვრის ქარი სისინებს გარეთ,
ზანტად ამოდის ბუხრიდან ბოლი,
ფშაველი ქალი გახედავს მთვარეს,
ღამეს სტეხს, სატრფოს მოელის, მგონი.

შორს, იქით, სადაც ვერ წვდება თვალი,
მგლის ჯოგი ყმუის შიმშილის ხმაზე,
ზის მამის კერას ფშაველი ქალი,
არავინ იცის ღამეს სტეხს რაზე.

საჩეჩლის ხმასა და სისინს ქარის,
დაფიქრებული დაჰყურებს მთვარე,
ზის მამის კერას ფშაველი ქალი,
სატრფოს ლოდინში თენდება ღამე.

## არაგვის დაგუბება

არაგვო, უკვე გიკრავენ ხელებს,
რკინა-ბეტონზე გიშლიან ბეჭებს,
უხმობენ ახალ მთის არაგველებს,
ხევსურებს, სვანებს — ლომგულა ბიჭებს.

ზღვაში ჩაძირულს შენს ლამაზ თვალებს
მოზარე ქალი დახედავს მთვარე,
დაგუბებული ცრემლის ტალღებით
შეაჟრიალებ მიწაში ძვალებს...

მეორედ მოხვალ ისევ სიმღერით,
რვა საუკუნის მოიტან ამბავს,
ელნათურების მიხვალ მძივებით,
ვეფხვის თვალებით დაანთებ ღადარს.

კლდეებს გადასჭრი ტალღების ფხაზე,
გადაეხვევი ენგურსს და ზაჰესს,
მებრძოლთ მებრძოლი ,აჰყვები ხმაზე,
კვლავაც გაითქვამ გმირობის სახელს.

## საქართველოს მიწა

აქ დედაჩემის მანდილი არის,
აქ მამა-პაპის ხმა გამიგია,
აქ ჩემი შვილი ჩემს გულზე დადის,
ტრფობის ტაძარიც აქ ამიგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიოლეტა პალჩინსკაიტე

# ლიტვური პოეზია

## ფიროსმანი, მარგარიტა

ჟამი მრისხანედ იგვიანებს დუქნების კვამლში,
ჩამსაფრებია მწუხარება და მომდევს კვალში,
მე შენ მიმყავდი მუშამბისკენ, მოწყენით რომ ჩანს,
ვით უბედური სიყვარულის ფერმკრთალი დროშა,
აიმ ელვარე მუშამბისკენ, მაღალ კედლისკენ,
როგორც იდუმალ, უზარმაზარ და შავ სცენისკენ.
დგახარ თეთრი და მიამიტი და წმინდა მზერით,
უსაზღვრო არის ეგ სითეთრე და მზერა შენი,
და ისევ უცქერ მხოლოდ ერთხელ მოსული თბილისს
მაყურებელთა და ჩამვლელთა დამცინავ ღიმილს,
ღვინონასვამნი ოდეს თრთიან მუქი ტაბლები,
შენ იქ ხარ, იქ ხარ, სად არავის არ ებრალები.

... ყოფიერების საიდუმლო აუხდენელი,
აბა რას ამბობ? რამდენი გყავს ნეტავ მსმენელი,
...ვიღას უცქერი, რა იმედი გიდგა ფიორი,
წავიდა იგი, ის უკვდავი ფანტაზიორი,
უფრო და უფრო ცივ მიწაზე დაჰქრის პირქარი,
უფრო და უფრო ნაკლებია კაცი იმგვარი.

### ქართველი ქალები

მე ვარ წინათგრძნობა, ამაყი, მკაცრი და შავი,
მე წარბთა ფრთები ვარ, საუფლო უნდა დავიპყრო შენი,
შენს უძილობაში ოდეს შემოვიჭრები ღამით,
როს შეშფოთებით დაეცემა წამი და წამი,
იელვებს მიწის სიშავეში ხანჯალი — ელვა,
მინაწერები მიბინდდება გადამსხვრეულ კლდეებზე ყველგან,
ოდეს ვარსკვლავი მოწყვეტილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამაზ პატარძალს თეთრ პირბადეს ჩამოხსნის მზიანს...
მე ვარ წინათგრძნობა ქალური, მე სიბრძნე მქვია,
ფიცვერცხლის წვეთი ვარ, რომელიც ვითარცა დროშა
წმინდა და ნანატრი, მარადის მაღლა მოჩანს,

დაბლა კი, დაბლა, სადაც ველებს ნისლები ფარავს,
გამარჯვებების ციხენი და სასაფლაონი რჩებიან მარად.

## ტიტების მინდორი

ომის დროს დაღუპულ ყველა ბავშვს

იქნებ, ამ ჩამქრალ კოცონთა ქვეშე
ამოდის ოდენ ბალახი მწირი,
მე თქვენ მიყვარხართ და ამ ცივ თვეში,
მაისი მომაქვს მე თქვენი წილი.

არა სიცივე და არა კრთომა,
არცა ჩურჩული შავი და ძველი,
მე თქვენ მიყვარხართ და თქვენთვის მომაქვს
წითელ ტიტების მინდორი ვრცელი.
უნდა მოვასწრო, მოვიდე ჩქარა,
ველზე, ტკივილი სად ჩუმად იწვა,
აქ ყურს სიჩუმის ყვირილი ზარავს,
აქ ყრუ ქვითინი შთაუნთქავს მიწას.

ჩუმია, ჩუმი ნეშო და ექო,
არცა ქარი ქრის და არცა ცივა,
ო, აქ ისეთი დუმილი მეფობს
და აღარავის არარა სტკივა,
მოდით ხელიხელჩაკიდებულნი,
მოხუცებივით დაღვრემილები,
წითელ მინდორზე რა დიდებული
თბილი მზე არის და ყვავილები...
მოდით, პატარა და გამხდარ სახეთ,
დღეს სიხარულმა ცით მოაშუქა,
მოდით დღეთა და ღამეთა აქეთ
განცვიფრებულნი მართლაც ბავშვურად, —
იქნება ერთად მზეც, სასწაულიც,
იქნება თქვენი დღესასწაული,
ჰა, საჩუქარი, დამზრალ თითებით,
ყველამ აიღოს ტიტა წითელი...
ო, გაღიმებას როგორ ცდილობენ,
ნაზი თვალები სევდამ მონისლა,
ხოლო პირგახსნილ, ცოცხალ ჭრილობებს,
ადევს დოლბანდი თეთრი თოვლისა,
და ის ტიტები ისე ღელავენ,
იღიმებიან მზეში როს შვებით,
ზე მიიწევენ და იქ ელავენ
ვით ჩირაღდნები ანდა დროშები...
სევდის ბურუსი ავლია გეტოთ,
ბოლავენ კრემატორიუმები —
მე თქვენთან მოველ, მე უნდა მენდოთ,
მე მოგიტანეთ ტიტა ულევი...
ისევ ბავშვობას გპირდებით კეთილს,
მე მოსული ვარ თქვენთან შორიდან,
ხოლო იმ ჩამქრალ კოცონთა გვერდით,
უწყის ბალახმა, რად ამოვიდა?
არა სიცივე და არა კრთომა,
არცა ფიქრები შავი და ძველი,
მე თქვენ მიყვარხართ და თქვენთვის
მომაქვს,
წითელ ტიტების მინდორი ვრცელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტატიანა როსტოვაიტე

* * *

დავანაწილებ პურს მაგიდაზე —
ჭვავის სხეულს მშვიდს და ახლობელს,
სამ ნაწილად დავყოფ ბატკანსაც —
და ალუბალსაც — ბაღის სისხლსა სამად ვყოფ მუდამ...

დავყოფ ჩემს დღესაც — რა ცოტაა, ო, რა ცოტაა,
მიმზერს მარადის ექვსი თვალი საყვედურთა ჩუმი ეკლები,
მე სამ ნაწილად დავყოფ ჩემს გულსაც —
მერე, მერე კი რა გექნებათ ნეტავ ჭამადი,
როცა ესეც აღარ იქნება?

## იანინა დეგუტიტე

* * *

მე მომაქვს შენთვის, მომაქვს ეს ლექსი —
— პატარა სახლი თეთრი ღრუბლისა,
სად შეგიძლია შეხვიდე, გათბე
და განმარტოვდე საკუთარ თავთან.
არ წკრიალებენ ამ ნათელ სახლში,
უუძველესი ვერცხლის კოვზები,
არცა წითელი ხალიჩები
ხასხასებენ აქ არასოდეს,
მაგრამ მე მომაქვს, მე მომაქვს შენთვის —
პატარა სახლი თეთრი ღრუბლისა,
ამ შეშფოთებულ და შავ ღამეში,
რომ არ დარჩე მიუსაფარი.

* * *

შემოეხვია წყვდიადი, წააწყდა იგი მძინარეს,
დააცხრა რუხი წყვდიადი ჩემს მიჩუმებულ მდინარეს,
ზღვისკენ იდინე, ო, ზღვისკენ, ო, ზღვისკენ, ჩემო მდინარევ,
და ზღვაში და ზღვად იდინე ჩემო მჩუმარე მდინარევ,
ღრუბლები კი მიცურავენ, არა სჭირდებათ ბორანი,
ხოლო მე თავს დამტრიალებს მტრედი და შავი ყორანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მხვნელი

როდის, ო, როდის, რომელ ღამეში შემოვიდა მიწა შენს გულში,
შემოვიდა და გითხრა ჩუმად — ჩემი ხარ შენ.
ორი ძლიერი შენი ხელი —
და მიწა უკვე სავსე ხნულებით,
ორი ძლიერი, ღვთიური ხელი
და რუხ მინდვრებზე უკვე ჰყვავის ჭვავი ვერცხლისფრად.
ო, ორი ხელი — ხელები მამის,
და თეთრ სურაზე დგას სურნელი დაჭრილი პურის,
როდის, რომელ ღამეში შემოვიდა მიწა შენს გულში,
შემოვიდა და გითხრა ჩუმად: ჩემი ხარ შენ.

## ჩიტები ზღვაზე

შავ სამკუთხედად,
შავ სამკუთხედად,
საღამოს წითელ ცაში მოჩანან
წითელ ცაში შავი ჩიტები.
ჩვენ კი აქ ვრჩებით
უნდა ველოდოთ,
ჩვენ ვრჩებით ზღვასთან
ლოდინისათვის.
ჯალათებმა და მჩხიბავებმა
ასჯერ მაინც მოგვკვეცეს ფრთები.
დიდიხანია შევეჩვიეთ,
რომ ჩვენ თვითონ დავანთოთ ცეცხლი;
დიდი ხანია მივეჩვიეთ,
ამ გაყინულ მინებში მზერას
და შემოდგომის უღვთო გრიგალში
ნაგვიანევი ანეულის აჯეჯილებულ მინდვრების რწევას.
ვინმე ხომ უნდა დარჩეს მინდვრებში,
ვინმე ხომ უნდა დარჩეს ნაძვებში
და იანვრის მრისხანე თოშში,
რომ არ ჩაქრეს კერია ჩვენი,
ვინმე ხომ უნდა ელოდოს ჩიტებს?
ჩიტებს, რომელიც
შავ სამკუთხედად,
შავ სამკუთხედად,
საღამოს წითელ ცაში მოჩანან...

## დედა ენა

დიუნთა ჩუმი ჩურჩულისაგან გამოხველ შენა,
ტბათა მშვენიერ ლერწამთაგან გამოხველ შენა,
წყალთა თვალწარმტაც ციმციმისგან შენ გამოხვედი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პურის სურნელის და ტყის წყნარი სიმღერის გზებით,
ასე მოხვედი ველებით და მაღალი მთებით,
ასე მოხვედი მშობლიურო, მოხვედი შინა
და შენ ლიტველის ბაგეებზე დაიდე ბინა.

ჩამოსხმული ხარ პილენაის წითელ ხანძრებში,
სიოს შრიალად შერჩენიხარ გემებს ანძებში,
გამოწრთობილი შენ ანათებ მჭვირვალე ქარვად,
შენ წიაღიდან გამოგიხმო გულების ზარმა,
უძველესობა მღერის შენში იავნანასა
და პირჩუპისი ტირის, ცრემლმა რომ გადანისლა.

ლიტვის ყვითელი მდელოები და მწკრივნი ჯვრების
საგალობელნი მშობლიური ველების, მთების,
ვიწრო ქუჩები უძველესნი, სველი რტოებით
და ცადაწვდილი მომღერალი სამრეკლოები.
ლიტვური სისხლით შავ კედლებზე ნაწერი სიტყვა —
ფერფლი ხარ ნატანჯ ქალაქების, იქ, სადაც ითქვა —
ნიამუნასთან, ბალტიასთან, ზეცას რომ ერთვის,
დედა ენაზე ჩვენ მარადის გვიმღერებს ბედი.

ახლა სიხარულს სახელს ვარქმევთ, ერქვას მას ჩიტი,
დაე გაფრინდეს შენთან ერთად — გზა ჰქონდეს დიდი.
პურის სურნელის და ტყის წყნარი სიმღერის გზებით,
შენ შემოხვედი ველებით და მაღალი მთებით,
ასე მოხვედი, დედაენავ, მოხვედი შინა
და შენ ლიტველის ბაგეებზე დაიდე ბინა.

თარგმნა ლია ჭავჭავაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

# ფაუსტი

ტრაგედია

## ფაუსტის სამუშაო ოთახი

ფაუსტი, მეფისტოფელი.

ფაუსტი

კარზე კვლავ ვიღაც აკაკუნებს. შემოდი! ვინ ხარ?

მეფისტოფელი

მე ვარ.

ფაუსტი

შემოდი!

მეფისტოფელი

სამჯერ უნდა სთქვა შენ ეს სიტყვა.

ფაუსტი

შემოდი!

მეფისტოფელი

უკვე მომწონხარ და იმედი არის,
რომ შევთანხმდებით და გავფანტავთ მაგ სევდა-ნაღველს.
რა კოხტა ფრანტად მოგევლინე, შენ ერთი ნახე,
თუმც ჩემს სამოსზე თავად ფრანტსაც დარჩება თვალი.
ამ ოქრომკედით მოქარგული წითელი ფერის
ძვირფას ხალათზე მე ატლასის მანტია მშვენის.
ქუდზე მამლის ფრთა მიკეთია, წელზე კი მჭრელი
დაშნა მარტყია ძველებური. ჰოდა, მისმინე,
არ უნდა ამას, ჩემო კარგო, ჩიჩინი ბევრი,
გეყო, რაც დარდით ნაღველს ისივებ.
გირჩევ ახლავე გამოეწყო ჩემსავით შენაც,
რომ იგრძნო ქვეყნად მიწიერი ცხოვრების ლხენა.

---

* გაგრძელება, იხ. „მნათობი", № 6. 1976 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაუსტი

როგორც არ უნდა გამოვეწყო, მე მაინც კიდევ
ვერსად წავუვალ ამქვეყნიურ სევდას და ნაღველს.
უკვე საკმაოდ მოხუცი ვარ, — გართობას ავყვე,
და — ახალგაზრდა, რომ სურვილებს არაფრად ვთვლიდე.
ან რა ფასი აქვს ქვეყნად ისეთ სიტკბოს და ლხენას,
როდესაც ყურში მხოლოდ ამას ჩაგვძახის ყველა:
„ზღვარი დაუდე შენს სურვილებს, დაუდე ზღვარი!" —
აი ის სიბრძნე, რომელსაც ჩვენ ათასგვარ ჰანგზე
გვიმეორებენ გამუდმებით შინა და გარეთ,
სიბრძნეს გამოჭრილს, როგორც წესი, საკუთარ თარგზე.
დილით ზარდამცემ შიშისაგან ვახელ მე თვალსა
და ცხარე ცრემლით მემდუღრება ყოველთვის გული,
რადგან წინასწარ ვიცი: ეს დღეც, სხვა დღეთა მსგავსად,
ვერ შემისრულებს ვ ე რ ც  ე რ თ, თითქმის რომ ვ ე რ ც  ე რ თ
სურვილს.
პირიქით, იგი ჩემს იმედაც სევდიან ფიქრებს
გააცამტვერებს ჭირვეული კრიტიკის ძალით
და ჩემს ოცნებებს, ვით ხუხულებს, დაამხობს პირქვე
გრიმასით ყოვლად საძულველით და საზიზღარით.
დღით ნაწამები, როს საწოლში ვწვები კვლავ ღამით,
შიშატანილი გაჭირვებით ვიკავებ ცრემლებს;
მე მოსვენებას მაშინაც ვერ ვპოულობ წამით,
რადგან სიზმრებიც სულს მხდიან და თავზარსა მცემენ.
თუ ღმერთს, ამაყად დავანებულს მშფოთვარე მკერდში,
ძალუძს მთლად შესძრას შინაგანი ჩემი არსება,
რატომ გარედან ვერაფერს მძენს, ვერაფერს მშველის,
რატომ არაფრით ძალუძს ჩემი სულის აღვსება!
ამგვარ სიცოცხლეს ჩემთვის ფასი არა აქვს სულაც,
მე არსებობას ვგმობ და სიკვდილს მოვუხმობ უმალ.

მეფისტოფელი

და მაინც სიკვდილს არვინ არ სთვლის სასურველ სტუმრად.

ფაუსტი

ნეტავი იმას, ვის შუბლზედაც წნავს ხოლმე იგი
ბრძოლის ქარცეცხლში მოპოვებულ სისხლიან გვირგვინს.
ვისაც ეწვევა მას შემდეგ, რაც ცეკვა დასრულდა,
თავდავიწყებით ჩახუტებულს ტურფა ასულთან.
რატომ სიცოცხლეს მე იმ წამს არ გამოვესალმე,
დიადმა სულმა როს თავისად არ მაღიარა!

მეფისტოფელი

თუ არა ვცდები, ერთმა ვინმემ სწორედ იმ ღამეს
არ გამოსცალა საწამლავით სავსე ფიალა.

ფაუსტი

გატყობ, რომ ჯაშუშობისთვისაც ყოველთვის იცლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფისტოფელი

მე ყოვლისმცოდნე არ ვარ, თუმცა ბევრი კი ვიცი.

ფაუსტი

როდესაც ტკბილმა და ნაცნობმა ზარების ჟღერამ
ძალით მომწყვიტა შემზარავ და უბადრუკ ყოფას,
მან მხოლოდ წამით აღძრა ჩემში წარსული ლხენა
და მოატყუა სიყრმიდან გულს შთენილი გრძნობა.
ახლა კი ვწყევლი ყოველივეს, რაც ჩვენს სულს მუდამ
ხლართავს ათასგვარ საცთუნებლით და საზრუნავით,
რაც ჩვენ იმდენად გვიმორჩილებს და ისე გვზღუდავს,
რომ აღარ შეგვწევს მისგან თავის დახსნის უნარი.
წყეულიმც იყოს ეს ბრიყვული თვითრწმენა, ჩვენვე
რომ ვიქმნით ხოლმე და მერე კი ვაჯერებთ სხვებსაც;
წყევლა და კრულვა ჩვენს შეგრძნებებს, ვნებათა ღელვებს,
ჩვენს ფუჭ ოცნებებს, ჩვენს ცრუ მიზნებს და იმედებსა;
წყევლა და კრულვა დიდებისკენ ჩვენს მუდმივ სწრაფვას
და დიდი ხნიდან ნაოცნებარ საქვეყნო სახელს;
წყევლა და კრულვა ჩვენი ფიქრის და ზრუნვის საგანს —
ცოლ-შვილს, სახლ-კარს და მათ გამო სულ ჯავრსა და
ნაღველს.
წყეულიმც იყოს თვით მამონაც, თავისი ძლევენით
რომ აღგვაზევებს მუდამ თამამ საქმეთა გამო,
წყეულიმც იყოს წუთი, როცა მიწიერ ლხენით
რბილ სასთუმალზე ის ჩვენს გახრწნა-განცხრომას ლამობს.
მე ვწყევლი ყურძნის ამ უტკბეს წვენს, ამ მაცდურ ბალზამს,
ვწყევლი სიყვარულს, აღტკინებას და სასოებას,
ვწყევლი იმედებს, ვწყევლი რწმენას და ერთიასად
ვწყევლი მონური მოთმინების უსაზღვროებას.

სულთა გუნდი

*(უხილავად)*

ვაიმე, ვაი!
რა უმოწყალოდ
დალეწე შენ ეს ტურფა სამყარო,
ასე სასტიკი
და მძლავრი ხელით!
ნახევარღმერთმა შემუსრე იგი!
და სინანულის ცრემლების ფრქვევით
არარაობის უფსკრულში მიგვაქვს
ჩვენ ნამსხვრევები მისი და მწარედ
დავტირით ტურფა ოცნების მხარეს.
ო, მიწის შვილთა შორის ძლიერო,
კვლავაც აღმართე სამაგიეროდ
ტურფა სამყარო შენს ამაყ მკერდში,
მაგრამ გულს გარეთ კი არა, — შენში!
და მასზე ზრუნვით,
ნათელი და ხალასი სულით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარად უდრეკი,
ახალ ცხოვრების გზას გაუდექი.
და ჩვენც გიმღერებთ
ახალ ჰანგზე ახალ სიმღერებს!

მეფისტოფელი

ეს ყრმანი ჩემი წრიდან არიან
და ხედავ, როგორ ჭკუას გასწავლიან!
გესმის, რაოდენ სიბრძნეს იჩენენ,
როცა აქედან გასვლას გირჩევენ.
სურთ, სამოქმედოდ და მოსალხენად
რომ გაგიტყუონ აქედან შენა,
სადაც სევდისგან გულდაზაფრული
ზიხარ სულ ასე ფიქრში ჩაფლული.

დაეხსენ მართლაც მაგ მოსაწყენ სევდასთან თამაშს,
სვავივით რომ ნთქავს შენს სიცოცხლეს სულ ერთიანად.
რაგინდ ცუდ ხალხშიც უნდა მოხვდე, გარწმუნებ ამას,
მაინც თავს იგრძნობ შენ მათ შორის ადამიანად.
თუმც ამით სულაც არ ვამბობ, რომ მაინცდამაინც
ნაძირალებში მინდა-მეთქი ამოვყოთ თავი.
მართალი არის, დიდი ვინმე არც მე გახლავარ,
და მაგრამ მაინც, თუ თანახმა ხარ,
ჩემთან კავშირში რომ გაუყვე გზას ცხოვრებისას,
მუდამ ვიქნები მე მორჩილი შენი ნებისა!
სიამოვნებით დაგთანხმდები ყოველთვის, ყველგან
ვიყო მე შენი ამხანაგი; ხოლო თუ ჩემგან
მეტსაც მოითხოვ, — ვთქვათ, ისურვებ მსახურის ყოლას, —
ვიქნები შენი მსახური და თვით შენი მონაც!

ფაუსტი

მერედა რას მთხოვ მე სანაცვლოდ ყველაფერ ამის?

მეფისტოფელი

ნუ აჩქარდებით, ჯერ იქამდე დიდი დრო არის.

ფაუსტი

არა! ეშმაკი ეგოისტი ვინმეა და ის
ტყუილუბრალოდ სხვებისთვის თავს არ გაიცხელებს.
მითხარი შენი პირობა, რომ ჩვენ შორის მერე
არ იყოს რამე საფუძველი ჩხუბის და დავის.

მეფისტოფელი

თუ ჩემს პირობას დაიჯერებ და ერწმუნები,
მზად ვარ უსიტყვოდ აგისრულო სურვილი ყველა.
ოღონდ ასევე შენც ერთგულად მემსახურები,
იქ — საიქიოს, როცა ისევ შევხვდებით ჩვენა.

ფაუსტი

შენ რომ იცოდე, საიქიო ნაკლებ მანაღვლებს,
რადგან, როცა შენ ამ სამყაროს მოსპობ, დაანგრევ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ უწყის, იქ სხვა რა ხამყარო წარმოიქმნება!
მე დედამიწის შვილი ვარ და ჩემს ტანჯვა-ლხენას
დედამიწაზე ძალუძს მხოლოდ ძალუმად დენა,
ხოლო როდესაც ამ ყველაფერს წამართმევ შენ აქ,
რაღა აზრი აქვს, თუ სანაცვლოდ იქ რა იქნება!
რა მესაქმება, ასევე სძულთ თუ უყვართ იქაც,
ძალუძთ თუ არა ჩვენებრ განცდა ტანჯვის და ლხენის,
ან თუ არსებობს ჩემთვის უცხო სფეროთა შიგან,
როგორც აქ, ჩვენთან, — მაღლა, დაბლა, ზევით და ქვევით.

მეფისტოფელი

მით უკეთესი, თუკი ასეთ აზრებზე დგახარ.
მაშასადამე, რისკზეც უფრო ადვილად წახვალ.
ორიოდ დღეში, დამიჯერე, მე ისეთ რამეს
მოგცემ, რომ ქვეყნად არ ენახოს ჯერ კაცის თვალებს.

ფაუსტი

რა უნდა მომცე, საცოდავო, შენ ამისთანა!
ოდესმე შენთვის გასაგები ყოფილა განა
ადამიანის მისწრაფების სიღრმე და ძალა?
შენ მომცემ საკვებს, და იგი ვერ გამაძღობს სულაც;
მბზინვარე ოქროს, თითებ შორის, ვით ვერცხლის წყალი,
რომ გამისხლტება მისი ხელში აღების უმალ;
თამაშს, რომელშიც, რაც არ უნდა იმტვრიო თავი,
წინასწარ იცი, რომ ვერაფერს მოიგებ მაინც;
მომცემ ქალს, მკერდს რომ მომეკვრება, და იქვე ხელათ
მეზობლისაკენ გააპარებს მაცდურად მზერას;
მაღალ ღმერთების ღირს პატივს და დიდებას მომცემ,
მეტეორივით რომ იელვებს და იქვე ქრება;
ნაყოფს, რომელიც მანამ ლპება, სანამ მას მოსწყვეტ;
და ხეს, ნიადაგ ფოთოლთაგან რომ იძარცვება.

მეფისტოფელი

მე ამდაგვარი დავალება სულ არ მაშინებს,
ასეთ განძებს კი, როცა გინდა მოგცემ მაშინვე.
მაგრამ, ძვირფასო, ეგებ დადგეს ისეთი წამიც,
როს არხეინად შეგეძლება მისცე ლხინს თავი.

ფაუსტი

რბილ სასთუმალზე მოსვენებას თუ მივეცემი,
დაე იმავ წამს შეწყდეს მაშინ სიცოცხლე ჩემი.
თუ იმ ზომამდე მოხიბლავ ჩემს აზრსა და გრძნობას,
რომ კმაყოფილი დავრჩე შენგან მოგვრილი ლხენით;
თუ დამაჯერებ, რომ მე თითქოს განვიცდი ტკბობას
დაე იგი დღე იყოს ჩემთვის უკანასკნელი!
ჰა, თანახმა ხარ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფისტოფელი

თანახმა ვარ!

ფაუსტი

მაშ დაჰკა ხელი!
თუკი ოდესმე შევძახო წამს კმაყოფილებით:
„შეჩერდი! ო, რა ლამაზი ხარ, რა მშვენიერი!“ —
უფლებას გაძლევ გამიყარო მყის ბორკილები,
მე მონა გავხდე, შენ — ბატონი კანონიერი.
დაე გაისმას ჩემზე გლოვის ზარების ხმები,
დასრულდეს ვადა ჩემს მსახურად შენი ყოფნისა,
შეჩერდეს დრო და ჩამოსცვივდნენ საათს ისრები,
შეწყდეს, დამთავრდეს ჟამი ჩემი არსებობისა.

მეფისტოფელი

იცოდე, რომ მე ამ ყველაფერს დავიმახსოვრებ.

ფაუსტი

მერე ვინ გიშლის, რაც გინდა ის დაიმახსოვრე!..
როგორც ხედავ, სულ არა მაქვს იმისი ჯავრი,
რომ მე ოდესმე წინ დამხვდება ჩემი სიტყვები.
რაკი ჩემ აზრზე ვრჩები, უკვე სულ ერთი არის,
თუ საბოლოოდ ვიხი ყმა და მონა ვიქნები!

მეფისტოფელი

მაშინ დღესვე შენს სადოქტორო წვეულებაზე
ლაქიასავით ვიტრიალებ მე შენს ნებაზე.
თუმცა კი ყოველ შემთხვევისთვის მე მაინც მინდა,
რომ დამიწერო, მეგობარო, ორიოდ სიტყვა.

ფაუსტი

მაშ შენ ხელწერილს ითხოვ ჩემგან, პედანტო, არა,
და გგონია, რომ კაცურ სიტყვას არა აქვს ძალა!
როგორ, განა შენ ჩემს პირობას არაფრად არ სთვლი,
საუკუნოდ რომ მაკავშირებს ქვესკნელის სულთან?
ქვეყნიერება გაშმაგებით წინ მიისწრაფვის
და მე უბრალო ხელწერილმა შემბოჭოს უნდა?!
ამ სისულელეს, სამწუხაროდ, ჩვენში იმდენად
გაუდგამს ფესვი, მასზე ნებით ვინ იტყვის უარს?
ბედნიერია, ვინც იმას იქმს, რასაც გვპირდება,
და მისთვის მსხვერპლის გაღებაზეც მზად არის უმალ!
მაგრამ დაწერილ, ბეჭედდასმულ პერგამენტს ყველა
ისე გაურბის, როგორც აჩრდილს და საფრთხობელას.
სიტყვა თუ კალამს წამოეგო, მოგკვამა ჭირი,
მას ბატონებად უხდებიან ტყავი და ცვილი.
ბოროტო სულო, მითხარ, რაზე დავწერო აბა:
სპილენძს ისურვებ? მარმარილოს? პერგამენტს? ქაღალდს?
ან რით დავწერო: საჭრეთელით? გრიფელით? კალმით?
ამოირჩიე, რომელიც გსურს, გაქვს ნება სრული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

არ მესმის, ასე რისთვის ცხარობ და მოგდის გული!
გაზვიადება სულაც არ ღირს ამგვარი რამის.
არა გინდა რა, ამ უბრალო ქაღალდის მეტი,
ოღონდ ხელი კი მოაწერე მას სისხლის წვეთით.

ფ ა უ ს ტ ი

ამ სისულელით კმაყოფილი თუკი დარჩები,
დე ასე იყოს — თანახმა ვარ შენი არჩევნის.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

და მაინც სისხლი სხვა თვისების მქონე წვენია!

ფ ა უ ს ტ ი

ნუ შიშობ, მე ჩემს პირობაზე უარს არ ვიტყვი.
და ან ამქვეყნად მე სხვა აბა რა დამრჩენია,
თუ არა იმის შესრულება, რაც შენ აღგითქვი!
რა დიდი წარმოდგენა მქონდა საკუთარ თავზე
და საბოლოოდ კი აღმოვჩნდი შენი რანგისა.
დიადი სული მედიდურად განმიდგა განზე,
ბუნებამ არა გამანდო რა, არა მაღირსა.
მიმტყუნა ჩემი აზროვნების ნათელმა ძაფმა
და სიძულვილსღა იწვევს ჩემში ცოდნისკენ სწრაფვა.
ისე ჰქენი, რომ მოგიზგიზე ჩემი ვნებანი
მგრძნობიარობის სიღრმეებმა დანთქან სრულებით
და მაგიური ჯადოქრობის საოცრებანი
წარმოსდგნენ ჩემს წინ, ვით ნამდვილი სასწაულები.
მსურს მოვლენათა ორომტრიალს მივანდო თავი
და ხმაურიან დროის ნაკადს შევერთო ამით.
დაე მარცხი და წარმატება ერთმანეთს სცვლიდეს,
დაე ტანჯვის და სიხარულის ცრემლს ერთად ვღვრიდე:
ადამიანის ქმედებაში სულ მცირეოდენ
მოსვენებასაც კი ადგილი არ უნდა ჰქონდეს!

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

იცოდე, რომ შენ არაფერი არ გეკრძალება
და თამამად სწვდი, რაც კი რამე მოგივა თვალში.
უხვად იგემე ქვეყნად სიტკბო და ნეტარება
და, იმედია, ბედნიერად იგრძნობ თავს მაშინ.
ოღონდ გამომყე და მოეშვი აქ უქმად ჯდომას.

ფ ა უ ს ტ ი

შენ მაინც შენსას გაიძახი! გაიგე, რომ აქ
ბედნიერება სულ არაფერ შუაში არის.
მე მსურს სიამე, რომელსაც თან ტკივილი მოაქვს
და სულში მარად მოგიზგიზე ვნებათა ალი.
ამიერიდან ცოდნის წყურვილს დახსნილი მკერდი
მსურს გადავუხსნა კაცობრიულ სევდას და ვარამს.
მსურს გულთან ახლოს მივიტანო მისი სვე-ბედი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მისი ბრალი მივიჩნიო საკუთარ ბრალად;
რომ ეს ჩემი მე ისე რიგად გაზარდოს ამან,
რამდენადაც კი ღირსად ჩავთვლი საკუთარ თავსა,
ხოლო შემდეგ კი მეც დავიმსხვრე მისივე მსგავსად.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მერწმუნე იმას, ვინც მრავალი ათასი წელი
ვცოხნი ამ საკვებს არსობისას ქვასავით მაგარს;
ძნელია ვინმემ მოინელოს ეს დვრიტა ძველი,
გინდაც სიცოცხლე შეალიოს საწადელს ამგვარს.
დამიჯერე, რომ დიდი მთელის წვდომის უნარი
მხოლოდ უფალ ღმერთს თუ შესწევს და ხელეწიფების.
მას გარს არტყია ბრწყინვალება გაუხუნარი,
ჩვენ კი მარადჟამს ვართ მოცულნი მკაცრი სიბნელით;
თქვენ, კაცთ, გარგუნათ დღის და ღამის მონაცვლეობა.

ფ ა უ ს ტ ი

მე მაინც მინდა!..

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ქების ღირსი კია მცდელობა,
მაგრამ, ძვირფასო, აი რისი შიში მაქვს მხოლოდ:
დრო ხანმოკლეა, ხელოვნებას არა აქვს ბოლო.
ვფიქრობ, ურიგო არ იქნება შენთვის ახლავე
ვინმე კარგ პოეტს გამოვენახავდეთ,
რომ ამ ბატონმა წარმოსახვის თვისი უნარით
შენს საპატიო შუბლზე უმალვე
ერთად აღბეჭდოს კარგად ცნობილი
ყველა თვისება კეთილშობილი:
ლომის სიმხნევე და ძალა რისხვის,
ველზე გაჭრილი ირმის სიმკვირცხლე,
იტალიელის მგზნებარე სისხლი
და ჩრდილოეთის მკვიდრის სიმტკიცე.
დე ნუ დაზოგავს ნურც ნიჭსა და ნურც ხელოვნებას,
რომ ვერაგობას შეუთავსოს დიდსულოვნება
და მოფიქრებულ გეგმითა და ჭკუით მახვილით
აღძრას შენს მკერდში ყმაწვილური ტრფობის სახმილი.
ამ თვისებებით შემკულ ვინმეს რომ მოვნახავდე,
მიკროკოსმოსად უსათუოდ მას დავსახავდი.

ფ ა უ ს ტ ი

მაშინ რაღა ვარ, თუკი რასაც მიზნად ვისახავ,
ჩემთვის ყოველთვის შორეული დარჩება იგი
და ვერ მივაღწევ კაცობრიულ სურვილთა გვირგვინს?

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

შენ, ჩემო კარგო, რაც ხარ, ისა ხარ.
და რა პარიკიც გინდა თავზე ჩამოიფხატო,
რა ქუსლებზედაც გინდა შედგე, ზეაღიმართო,
შენ მაინც მხოლოდ რაც ხარ, ისა ხარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაუსტი

დიახაც ვგრძნობ, თუ რა ამაოდ ვცდილობდი თურმე,
რომ შემეკრიბა მეტი განძი კაცთა გონების;
თუ როგორ ფუჭად ჩამიარა ამდენმა ზრუნვამ
და ვეღარც სულში ვპოვე ძალა მარად ცხოველი;
რომ მცირედითაც ვერ ავმაღლდი მე იმ ჟამითგან, —
უსასრულოსკენ ნაბიჯიც კი არ გადამიდგამს.

მეფისტოფელი

შენ, ჩემო კარგო, ზუსტად ისე უყურებ საგნებს,
როგორც გჩვევიათ ეს საერთოდ ადამიანებს
მაშინ როდესაც სულზე უნდა მისწრება საქმეს,
თუ გსურს ეწიო ამქვეყნიურ სიტკბო-სიამეს.
დალახვროს ღმერთმა! თუკი შენი ხელი და ფეხი
და ეგ თავი და უკანალი შენად გეგულვის,
განა ის, რითაც სარგებლობას მოვიძევ ჩემ მხრივ,
ასევე ჩემი არ არის და მე არ მეკუთვნის?!
თუ, მაგალითად, შევიძინე მე ექვსი რაში,
მთელ მათ ძალასაც განა მევე არ შევიმატებ?!
როს ეტლში შებმულთ გავაქროლებ მათ, განა მაშინ
ჩემად არ ჩავთვლი ოცდაოთხი ფეხის სიმარდეს?
მაშ წინ გავწიოთ და მოეშვი ფიქრებს სევდიანს,
თორემ სულ მუდამ ტვინის ჭყლეტა ბრიყვთა ხვედრია!
ასეთი კაცი მე იმ პირუტყვს მაგონებს სწორედ,
ავსულისაგან რეტდასხმული სულ ღობე-ყორეს
რომ ედება და აქეთ-იქით აცეცებს თვალებს
და ვერ კი ამჩნევს ფეხქვეშ ამოდ ხასხასა მწვანეს.

ფაუსტი

სთქვი, მაშ რა ვუყოთ?

მეფისტოფელი

მყის დავტოვოთ ჩვენ ეს საკანი,
მასთან ერთად კი — მაგ მუდმივი ჭმუნვის საგანი.
არ გეყო, რაც ამ წამებაში ატარებ დღეებს
და გამუდმებით ტვინს ულაყებ შენს მოწაფეებს
ეს ყოველივე სჯობს დაუთმო იმ შენს ღიპიან
კარის მეზობელს და მოეშვა უქმად წყლის ნაყვას.
საუკეთესო თუ რამ იცი ან გიფიქრია,
თავადაც უწყი, რომ მაინც ვერ გაანდობ მაგათ.
ჰა, ხსენებაზე, დერეფანში ვხედავ ერთ მათგანს!

ფაუსტი

მისი მიღება მე ამჟამად ძალიან მიჭირს.

მეფისტოფელი

ვინ იცის, რამდენს იცდის უკვე საწყალი ბიჭი,
ასე გაშვება უხერხული ხომ არ იქნება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომეცი შენი მოსასხამი და შენი ქუდი, —
სამასკარადო ეგ სამოსი მეც მომიხდება.

*(ტანსაცმელს იცვლის.)*

დანარჩენი კი ჩემზე იყოს, არ მესწავლება.
ჰა, ბევრი-ბევრი მოვანდომო თხუთმეტი წუთი,
შენ კი მანამდის მოემზადე გასამგზავრებლად.

**ფ ა უ ს ტ ი გადის.**

**მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი**

*(ფაუსტის გრძელ ტანსაცმელში)*

ოღონდ შეგძულდეს გონება და მეცნიერება —
ეს კაცთა განძი უმთავრესი და ძლიერება;
ოღონდ მიენდე სიცრუის სულს შენ ყველაფერში,
რომ საბოლოოდ გაგაბას მან ჯადოსნურ ქსელში,
და, დამერწმუნე, უსათუოდ ჩემი იქნები! —
ბედმა მას მისცა ათასნაირ შლეგურ ფიქრებით
აღსავსე სული, შორეულს რომ ესწრაფვის მარად
და ამქვეყნიურ სიამეთ კი არ აგდებს არად.
მალე გავუხდი ყოველივეს ოცნების საგნად.
და როს ჩაითრევს მას მორევი ტანჯვის და ურვის,
მთრთოლვარე ბაგეს სასმისს ბევრჯერ შეახებს, მაგრამ,
რაც არ უნდა სვას, ვერასოდეს მოიკლავს წყურვილს.
ამაოდ ითხოვს შებრალებას, და მაშინ უკვე
ტანჯვა-წამებას ვეღარავინ შეუმსუბუქებს.
თუმცა ეშმაკთან სიტყვაც კი რომ არ დასცდენოდა,
მაინც დაღუპვა არ ასცდებოდა.

შემოდის **მ ო წ ა ფ ე.**

**მ ო წ ა ფ ე**

მე დიდი ხანი არ არის, რაც აქ ვიმყოფები,
და ვიჩქარი, რომ გამოვხატო ჩემი გრძნობები
იმ კაცის მიმართ, ვისაც ასე დიდი პატივით
ახსენებს ყველა და სწავლული არის ნამდვილი.

**მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი**

თქვენი ზრდილობა, მართალია, მომწონს ძალიან,
მაგრამ სწავლულნი ქვეყნად სხვებიც ბევრნი არიან.
ჩემამდე უკვე ვინმესათვის თუ მიგიმართავთ?

**მ ო წ ა ფ ე**

მაინც არავის ავირჩევდი ალბათ თქვენს გარდა.
მერწმუნეთ, რომ მე არ მოვაკლებ სწავლას მცდელობას
და არ დავზოგავ არც ფულსა და არც ჯანმრთელობას.
ჩემი წამოსვლა თუმც დედაჩემს გულს ჩაჰყვა ჯავრად,
მაგრამ რა მექნა, ძალზე მსურდა მე თქვენთან სწავლა

**მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი**

აქ სამისოდ პირობები გექნებათ სრული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწაფე

გამოგიტყდებით: უკვე უკან მიმიწევს გული.
ამ ბნელ კედლების ჭვრეტა და ყრუ დარბაზში ყოფნა
აღმიძრავს რაღაც უჩვეულო სევდიან გრძნობას.
პირქუშ სივრცეში, რაც არ უნდა გულით გინდოდეს,
ვერსად იხილავ ხეებსა და მწვანე მინდორ-ველს.
საკლასო მერხთან ჯდომაზე ხომ აღარას ვიტყვი, —
თავბრუ მესხმის და მეკარგება უნარი ფიქრის.

მეფისტოფელი

ეს ყველაფერი ჩვეულების საქმეა მხოლოდ.
ჩვილი ყრმაც ასე უხალისოდ იღებს პირველად
დედის ტკბილ ძუძუს, ჭირვეულობს, არ უნდა სწოვოს,
მაგრამ შემდეგ კი იკვებება გასაკვირველად.
აი ასევე სიბრძნის ჯიქანს მალე თქვენც ალბათ
დაეწაფებით ჩვილ ყრმასავით სულ უფრო ხარბად.

მოწაფე

ამისთვის მე არ დავზოგავდი დროსა და ძალას,
ოღონდ მასწავლეთ, როგორ უნდა მიღწევა ამას.

მეფისტოფელი

ვიდრე საუბარს განვაგრძობდეთ, მითხარით ერთი,
ამორჩეული თუ გაქვთ უკვე თქვენ ფაკულტეტი?

მოწაფე

დიდი სწავლული მსურს გავხდე, რომ საფუძვლიანად
შევიცნო, რაც აქ ან იქ, ზეცად, კაცთ ეგულებათ;
რომ ვწვდე ყველაფერს და მოვიცვა სულ ერთიანად
მეცნიერების ყველა დარგი და თვით ბუნებაც.

მეფისტოფელი

თუკი ასეა, თქვენ ნამდვილად სწორ გზაზე დგახართ,
ოღონდ გართობას თუ აჰყევით, წინ ვეღარ წახვალთ.

მოწაფე

მეც სიბეჯითის მხარეზე ვარ, თუმც აბა ამით
რა დაშავდება, რომ დაღლილმა მთელი წლის სწავლით,
არდადეგებზე მხიარულად და უზრუნველად
გავინავარდო, როგორც ამას აკეთებს ყველა.

მეფისტოფელი

დროს გაუფრთხილდით! იგი ისე სწრაფად მიფრინავს,
რომ თუ წესად არ შემოიღებთ მკაცრ დისციპლინას,
ვერას გახდებით. ამიტომაც თავდაპირველად
თქვენ Collegium Logicum*-ის გავლა გჭირდებათ.
ისე გამოჰქნის თქვენს გონებას ამ საგნის ძალა,

* ლოგიკის კურსი (ლათ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ესპანური ჩექმაც* კი ვერ შესძლებდა ამას.
რის შედეგადაც ბევრად უფრო მარჯვე და ბასრი
გახდება მასში წარმოქმნილი ყოველი აზრი.
სწორხაზოვან გზას დაადგება უმალვე იგი,
როგორც მოითხოვს აზროვნების წესი და რიგი.
შემდეგ გაიგებთ, რომ ისეთი წვრილმანი საქმეც,
როგორიცაა ჭამა-სმა და სხვა მისთანები,
უნდა შესრულდეს ერთიანი მკაცრი ბრძანებით:
ერთი! ორი! და ს ა მ ი!.. ბარემ აგიხსნით აქვე,
რომ მსვლელობა და მოქმედება ჩვენი აზრისა,
ზუსტად წააგავს მუშაობას სართავ დაზგისას,
რომელზეც უკვე ერთი ბიძგიც საკმარისია,
რომ ყველა ძაფმა შეასრულოს თავის მისია.
მაქოები კი წინ და უკან მიქრი-მოქრიან
და ერთი დარტყმით ათასობით ნაქსოვსა ქმნიან
ფილოსოფოსი ჩაერევა საქმეში მერე,
ყველაფერ ამას ამოგიხსნით და დაგაჯერებთ,
რომ თუ პირველი და მეორე ასე და ასე
მოხდა, მესამე და მეოთხეც მოხდება ასე;
და თუ პირველი და მეორე არ მოხდებოდა,
მათ არც მესამე და მეოთხე არ მოჰყვებოდა.
ამ წესს მისდევენ ყველა სკოლის მოწაფეები,
თუმც ამის გამო არ ხდებიან სულაც მრთველები.
ის, ვინც იმეცნებს აღნაგობას ცოცხალი საგნის,
იგი წინასწარ ცდის ამ საგანს სიცოცხლეს აცლის.
შემადგენელი ნაწილები კი ხელთა ჰრჩება,
მაგრამ ვაი რომ სულიერი კავშირი ქრება!
ქიმია ამას Encheiresin naturae**-ს არქმევს
და ვერ გრძნობს, თვითვე რომ დასცინის თვისივე საქმეს.

მ ო წ ა ფ ე

გავბედავ გითხრათ, ვერაფერი გავიგე-მეთქი!

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მერე რა არის აქ ამაში გულგასახეთქი:
რედუცირებას*** როს ისწავლით, უკვე იმდენად
თქვენ აღარც კლასიფიცირება გაგიჭირდებათ.

მ ო წ ა ფ ე

რა მემართება, მე სრულიად ვერაფერს ვხვდები,
თითქოს ჩემს თავში ტრიალებდნენ წისქვილის ქვები.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

და როცა ნახავთ, სიბრძნე უკვე მტკიცედ გიზიდავთ,
მაშინვე უნდა შეისწავლოთ მეტაფიზიკა,

---

* ე ს პ ა ნ უ რ ი ჩ ე ქ მ ა — ინკვიზიციის საწამებელი იარაღი.

** ბუნების მოქმედების წესი (ბერძ.-ლათ.)

*** რ ე დ უ ც ი რ ე ბ ა ანუ რედუქცია ფორმალურ ლოგიკაში ეწოდება ცნებათა დაყვანას ძირითად კატეგორიებზე; კ ლ ა ს ი ფ ი ც ი რ ე ბ ა ანუ კლასიფიკაცია — ცნებათა კლასებად დაყოფას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ღრმააზროვნად ამოიცნოთ უმალვე მასში,
რაც ადამიანს თავის ნებით არ შესდის თავში.
ამას კი ალბათ გაცილებით უფრო ადვილად
შესძლებთ, თუ ხიტყვებს ჩასვამთ ხოლმე თავის ადგილას.
ოღონდ წლის პირველ ნახევრისთვის კი ბევრად უფრო
ის სჯობს, სწავლების სწორ სისტემას რომ დაეუფლოთ.
ხუთი საათი დღეში ბევრი არ არის სულაც
და ლექციებზე შედით ზარის დარეკვის უმალ.
სახლში წინასწარ გადახედეთ მოცემულ თემას,
რომ არ დაგჭირდეთ შემდეგ ფიქრი და თავის მტვრევა;
იმასვე ამბობს ლექტორი, რაც წიგნში სწერია,
თუ მის ნათქვამში სხვა რამ აზრიც გამოერია.
ისე ბეჯითად ჩაიწერეთ ყოველი სიტყვა,
თითქოს ისინი ეკარნახოს თვით სულიწმინდას

მოწაფე

ნუღარ ეცდებით ხელმეორედ ჩემს დარწმუნებას, —
რა ბევრს მივაღწევ ლექციებზე თქმულის ჩაწერით,
რადგან მეც ვხედავ: თუ გაქვს შავით თეთრზე ნაწერი,
უკვე გულმშვიდად შეგიძლია შინ დაბრუნება.

მეფისტოფელი

მაშ აირჩიეთ ფაკულტეტი, რაღას აყოვნებთ!

მოწაფე

ოღონდ სამართლისმცოდნეობას ნუ გამაგონებთ.

მეფისტოფელი

მეცნიერების ამ დარგის აქ ასე აუგად
მოხსენიებას არ ჩაგითვლით დანაშაულად.
კანონები და სამართალი მათი მცნებებით,
სწორედ ისევე, როგორც სენი უკურნებელი,
მემკვიდრეობით გადადიან, და ერთი მხრიდან
სხვადასხვა მხარეს ედებიან გაჩენის დღიდან.
დღეს მათ გონება ესახებათ უგუნურებად,
კეთილგანზრახვა — მტანჯველ ტვირთად, მადლი —
ცდუნებად.
რით ანუგეშოს წინაპართა კანონთ კრებულმა
ის, ვინც ამქვეყნად შვილთაშვილად დაბადებულა!
იმ სამართალზე, სიყრმიდანვე რომ ველტვით გულით,
მათში სრულიად არაფერი არ არის თქმული.

მოწაფე

მაშ მეთანხმებით, რომ ეს დარგი არ ღირს წვალებად?
ნეტავი იმას, ვისაც ჰყავხართ თქვენ მასწავლებლად!
რას იტყვით, ხომ არ შევისწავლო თეოლოგია?

მეფისტოფელი

ვშიშობ, რომ აქაც არაფერი არ გამოგივათ.
მეცნიერების ამ დარგშიაც ძალზე ძნელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყალბი გზისაგან დაიზღვიოთ ბოლომდე თავი,
რადგან ფარული შხამი მასში იმოდენია,
ნამდვილ წამლისგან გამორჩევა საეჭვო არის.
ამ შემთხვევაშიც ბევრად უფრო უმჯობესია
ერთ მასწავლებელს მოუსმინოთ, როგორც წესია,
და ყურად იღოთ მარტოოდენ მისი სიტყვები.
საერთოდაც სჯობს, თუ სიტყვაზე მტკიცედ იდგებით.
მერწმუნეთ, საიმედო კარით თქვენ აგრე რიგად
თუ შეხვალთ უეჭველობისა ტაძარსა შიგან.

მ ო წ ა ფ ე

მაგრამ სიტყვას ხომ ცნებაც უნდა ზურგს უმაგრებდეს!

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

ეს მართალია! თუმც მართალი არის აგრეთვე,
რომ სულაც არ ღირს ამის გამო დიდხანს წვალება,
რადგან, თუ სადმე უცნებებოდ დაგრჩებათ ფრაზა,
სიტყვები მყისვე აღმოგიჩენთ იქ დახმარებას.
სიტყვები სძენენ კამათს თავის შნოხა და ლაზათს,
სიტყვებით ქვეყნად ათასნაირ სისტემას ქმნიან,
სიტყვებს ადვილად იჯერებენ და სანდოდ სთვლიან,
სიტყვიდან თქვენ ერთ ასოსაც კი ვერ ამოაგდებთ.

მ ო წ ა ფ ე

მაპატიეთ, რომ შეკითხვებით ამდენ დროს გართმევთ,
მაგრამ იქნებ დღეს ბარემ მითხრათ რამე იმაზეც,
თუ როგორია თქვენი აზრი მედიცინაზე.
სწავლება, რომ ვთქვათ, სულ რაღაცა სამი წელია,
ასპარეზი კი, ღმერთო ჩემო, როგორ ვრცელია!
თანაც, თუ სწორი მითითებაც გაქვს, აი მაშინ
არავითარი დაბრკოლება არ გელის გზაში.

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

*(თავისთვის)*

ისე მომბეზრდა პედანტური და მშრალი ტონი,
რომ ლამისაა დავიბრუნო ეშმაკის როლი.

*(ხმამაღლა.)*

ხულ ადვილია მედიცინის სულის გაგება.
დიდი და მცირე სამყაროს მთელ მსხვილმანს და წვრილმანს
როს შეისწავლით, უკვე შემდეგ მიხვდებით იმას,
რომ საბოლოოდ სჯობს მიენდოთ ღვთიურ განგებას.
ამ დარგში ნაკლებ დაგჭირდებათ თქვენ თავის მტვრევა,
რადგან სუყველა იმას სწავლობს, რის სწავლაც ძალუძს.
კაცი ის არის, ვინც ხელიდან არც ერთ შემთხვევას
არ უშვებს, რომ მას სარგებლობა არ გამოსძალოს.
თქვენ გარეგნულად ლამაზი ხართ, ზრდილი გაქვთ ქცევა,
და სითამამეც არ გაკლიათ, თუ არა ვცდები.
ჰოდა, საკუთარ თავისადმი თუ გექნათ რწმენაც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეჭველია, გირწმუნებენ მაშინვე სხვებიც.
განსაკუთრებით შეისწავლეთ ქალის ბუნება!
მათი მუდმივი ოხვრა-კვნესა და ვაი-ვიში,
ბოლოს და ბოლოს, ერთი წამლით განიკურნება.
და თუ სათუთად მოეპყრობით მათ ვასაჭირში,
თქვენ სულ ადვილად იგდებთ ხელში თვითეულ მათგანს.
ჯერ კი მთავარი სახელია ამქვეყნად, რადგან
საჭიროა, რომ სხვა დანარჩენ ექიმებს ყველამ
თქვენ გამჯობინოთ, და მაშინ კი, მოგეცათ ლხენა,
ისეთ რამეებსაც გაბედავთ, რაზედაც სხვები
ასე ამაოდ ოცნებობენ მრავალი წლები:
მომნუსხველ მზერით გაუსინჯავთ ლამაზმანს პულსსა
და დაუნიშნავთ მკურნალობის საჭირო კურსსა.
შემდეგ კი ნახავთ, თქვენს პაციენტს ამასთან ერთად
წელზე კორსეტიც ხომ არ უჭერს ზომაზე მეტად.

**მ ო წ ა ფ ე**

აი ეს უკვე ნათელია ჩემთვის სრულიად,
რადგან ის მაინც ჩანს, თუ როგორ მოიქცე თავად.

**მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი**

ჰო, ჩემო კარგო, თეორია უფერულია,
ხოლო ცხოვრების ხე კი მწვანედ ხასხასებს მარად.

**მ ო წ ა ფ ე**

მართალი გითხრათ, დღეს ხიზმარში მგონია თავი
და იქნებ შემდეგ ერთხელ კიდევ მიმიღოთ მაინც,
რომ უფრო დინჯად და ღრმად ჩავწვდე მაგ თქვენს ბრძნულ
სიტყვებს.

**მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი**

როცა გენებოთ, მაშინ მოდით, და რაც გსურთ, მკითხეთ.

**მ ო წ ა ფ ე**

დღეს კი აქედან ალბათ ნაბიჯს ვერ გადავადგამ,
სანამ ალბომში არ ჩამიწერთ ბრძნულ გამონათქვამს.
ძალიანა გთხოვთ, მე ამაზე ნუ მეტყვით უარს.

**მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი**

სიამოვნებით ჩავწერ, ასე საჭირო თუა.
*(ჩაწერს და გადასცემს ალბომს.)*

**მ ო წ ა ფ ე**

*(კითხულობს)*

Eritis sicut Deus, scientes bonum et malum*.
*(მოწიწებით ხურავს ალბომს და გადის.)*

---

* დ ა  უ წ ყ ო დ ე თ,  ვ ი თ ა რ ც ა  ღ მ ე რ თ მ ა ნ,  ს ი კ ე თ ე  დ ა  ბ ო რ ო ტ ე ბ ა (ლათ.). — ამ სიტყვებით აცდუნა სამოთხეში გველის სახით მოვლენილმა სატანამ ევა, როცა მას ცნობადის ხის ნაყოფი — ვაშლი აგემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

მიჰყე ძველ სიბრძნეს მხოლოდ ჩემი დეიდის — გველის
და როსმე ღმერთისდაგვარობა შეგზარავს შენი.

შემოდის ფ ა უ ს ტ ი.

**ფ ა უ ს ტ ი**

საით წავიდეთ?

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი

საითაც გსურს, წავიდეთ ახლავ.
ჯერ მცირე, ხოლო შემდეგ კი დიდ სამყაროს ვნახავთ.
ო, რა საამოდ დაედება მაგ შენს გულს წამლად
სხვის ხარჯზე ესდენ სასარგებლო ამ კურსის გავლა.

**ფ ა უ ს ტ ი**

რაც გინდა ხთქვი და, მე კი ვფიქრობ, ეს გრძელი წვერი
ხელს შემიშლის, რომ მართლაც დავტკბე მიწიერ ლხენით.
ეს ცდა რომ მარცხით დამთავრდება, ზედვე ეტყობა, —
მე ხომ იმთავით მიჭირს სხვებთან ურთიერთობა.
უცხო პირებთან ყმაწვილივით ვიბნევი ხოლმე
და ვერა ვგუობ ეტიკეტით დადგენილ ნორმებს.

**მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი**

ოღონდ საკუთარ თავისადმი ნდობა გაგაჩნდეს
და ხულ ადვილად მოევლება უკვე დანარჩენს.

**ფ ა უ ს ტ ი**

მერე რით ფიქრობ გამგზავრებას, მითხარი ერთი!
სად გყავს ცხენები, მსახურები? სად არის ეტლი?

**მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი**

შეხედე, ამ ჩემს წამოსასხამს გავშლი მე ახლა
და ჩვენ მაშინვე ავფრინდებით ჰაერში მაღლა.
ოღონდ ამ თამამ მგზავრობის დროს ჩვენ ბევრს მოვიგებთ,
მაინცდამაინც მძიმე ბარგს თუ არ წამოიღებ.
ცეცხლოვან ჭევლის მომზადება უკვე ვიცი და
იგი უმალვე აგვიტაცებს დედამიწიდან*.
მსუბუქად ყოფნა კარგი არის მაღლა ფრენისას...
მომილოცნია მაშ ახალი გზა ცხოვრებისა!

გერმანულიდან თარგმნა **გიორგი ჯორჯანელმა**

* ზოგიერთი კომენტატორის აზრით, აქ ნაგულისხმევი უნდა იყოს ძმების მონგოლფიეების მიერ გამოგონებული აეროსტატი, რომელიც 1783 წელს აფრინდა ცხელი ჰაერის ჭავლის დახმარებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლუდმილა ცერცვაძე

# სამშობლოს მამაცი ქალიშვილები

> კოლხეთის მკვიდრნი: ყმაწვილნი ქალნი,
> ომში მამაცნი და უშიშარნი.
>
> ესქილე — „მიჯაჭვული პრომეთე".

ოცდაერთი წლისა იყო ქეთევან ნაცვლიშვილი, სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტი რომ დაამთავრა. ბაქოში გაგზავნეს სამუშაოდ. ჩვეული შრომისმოყვარეობით მოჰკიდა ხელი საქმეს. შეხაროდა მომავალს და სჯეროდა მისი.

მოულოდნელად ვერაგი მტერი თავს დაესხა საბჭოეთის მიწას. მთელი ქვეყანა, დიდი და პატარა აღსდგა მტრის შესამუსრავად. ისინი შურისძიების ურყევმა ძალამ აღავსო, სამაგიერო მიეზღოთ მტრისათვის. შერკინება იყო ულმობელი, დაუზოგველი, გამარჯვების რწმენით აღსავსე.

სწორედ ამ შფოთიან ტალღებს შეერია გულშეძრული ქეთევანი. მისი ჯარის ნაწილი ბაქოდან ირანის საზღვრებისაკენ დაიძრა.

იდგა მტვრის კორიანტელი. მანქანების, ფორნების და ორთვალების ხმაური აყრუებდა გარემოს. ის იჯდა ფურგონზე, მისი ხათნო სახე მრისხანებას შეეცვალა, ფიქრში ფურცლავდა თავისი ხანმოკლე ცხოვრების წიგნს.

თელავი... ალავერდიდან ალაზნის ველს გადასახედი. გაეღიმა. რა საოცარია, საქართველოს ყველა კუთხე თავისებური სიდიადით არის მოსილი და გულისშემძვრელი. მტკვარი და ხერთვისი, თმოგვი და ვარძია... გული შეუფრთხიალდა, ექსკურსიები მოაგონდა, მეგობრებს გაუცინა, შეეხალისა. ახლა რიონი ახმაურდა კლდეებზე, შემდეგ გაივაკა და გაიზმორა კოლხეთის ჭალებში. სვანეთის და ფშავ-ხევსურეთის კოშკები წამოიმართნენ, აქაფებული ენგური აგრუხუნდა. „მთრბის არაგვი არაგვიანი"... ჭოროხი ლივლივებს სიმწვანეში და ნესვიერობს. მთები, ჩვენი მთები, დაბინდული ქლიავის ფერი, ეს ხომ ჩემი სამშობლოს მთებია! თქვენ იგებ არც კი შეგიმჩნევიათ ეს ბუმბერაზი მთები მზის სხივებზე როგორ იცინის. უცებ თითქოს ვიღაცამ მუჯლუგუნი წაჰკრა. ახლა უფრო სიწყნარე იყო, მისი ფურგონი დინჯად მიდიოდა. აღარც იმდენი მტვრის კორიანტელი იდგა, მაგრამ იდგა ფიქრთა უწყვეტი ბული. ყელში რაღაც გაეჩხირა, თვალებში სიმძიმე წამოეძალა, გონებამ უხწრაფეს გადაფურცლა „ქართლის ცხოვრება".

„...ამ ჟამთა კახთა მცირედ იწყეს შენება და მოსახლეობა, არამედ კუალად მოესმა ესე ყოველი შააბაზს, განრისხნა, განძვნდა, მიუწერა შირაზის ბეგლარბეგსა, რათა გაამაჰმადიანოს დედა თეიმურაზისა ქეთევან დედოფალი, და უკეთუ არა ჰყოს გმობა ქრისტესი, მოკლას ტანჯვითა ფიცხელითა".

მუქი ფერის ტანსაცმელი ემოსა პირმშვენიერ ქეთევან დედოფალს. იყო ტანკენარი და თვალთაგან სხივმფენარი. თვალებში ჩახედა პატარა ქართველ ქეთუნიას — ტირი, ქართველო ქალო?

— არა დედოფალო, არ ვტირი! — თითქოს ფოლადი ჩაესხა სხეულში პატარა ქეთევანს, მაგრამ თვალებზე მომდგარი დიდი ცრემლები დაგორდა და მის ღვაწებზე კვალი გაავლო.

— ტირილითა და გოდებით ომი არავის მოუგია — ხმა აღიმაღლა დედოფალმა — და ერთი რამ გახსოვდეს მარადის: ქართველი ქალისათვის ყოველთვის იყო უპირველესი თავისი

ერის, ენისა და სარწმუნოების დაცვა და შენახვა. მისთვის შვილი იყო სიცოცხლე და სუნთქვა, მაგრამ ერი და ენა — კვლავაც მარადიული უკვდავება და ესე ყოველი წილყრილი იყო თავდადებასთან, წამებასთან, სიკვდილთან.

ქეთევან დედოფლის თვალებში ცეცხლი გიზგიზებდა და კვლავ ხმა აღიმაღლა და, როგორც მოწოდება, გაისმა: ღვთით ასეა დაწესებული, მტრის დანდობა არ შეიძლება. მოუყვარეს კი სიყვარული და გაფრთხილება არ მოაკლო! იყავ დედა ერისა შენისა. წინ გიძღოდეს სიყვარული სიყვარულის წილ, მტრის დანდობა არ ეგების.

ქეთევან ნაცვლიშვილს, როგორც ოცნებათან გაჰყვა ფიქრებში გაცოცხლებული ქართველი წამებული დედის შეგონებანი.

ორი კვირა მიდიოდნენ ირანამდე, რამდენადაც სცილდებოდნენ სამშობლოს საზღვრებს, იმდენად მძაფრდებოდა სატკივარი, ივსებოდა შურისძიების საწყაული.

რეშტში, ირანის მეფის აგარაკზე, დაბანაკდა მათი ჯარის ნაწილი. აქვე მყისვე საველე ჰოსპიტალი გაიხსნა. ჯერ კიდევ ირანის გზაზე აქაიქ შეიმჩნეოდა მალარიის ნიშნები. ახლა კი რეშტში იფეთქა დიზინტერიამ და მალარიამ. სამედიცინო პერსონალი შეერკინა სენს. საველე ჰოსპიტალის ლაბორატორიის უფროსი ქეთევან ნაცვლიშვილი თავდადებით უვლიდა ავადმყოფებს, ის აკეთებდა ანალიზებს, ამზადებდა წამლებს. მის გამოჩენას პალატებში ავადმყოფები მოუთმენლად ელოდნენ. ისიც მიდიოდა მათთან და მიჰქონდა სითბო, ყურადღება, ალერსი, უანგარო სიყვარული.

დაჰქროდა პალატიდან პალატაში ტანკენარი ქალიშვილი და ავადმყოფებთან მიჰქონდა იმედიანი ღიმილი. ირანის მიწაზე მოუსვენრობასა და ორომტრიალში გაატარა ქეთევანმა ერთი წელი, ხოლო 1942 წლის გაზაფხულზე მათი ჯარის ნაწილი სტალინგრადისაკენ დაიძრა.

ფაშისტურმა გერმანიამ 1942 წლის გაზაფხულზე შეტევითი ბრძოლები გააჩაღა დონის მისადგომებთან. ამ დროისათვის მათი შეიარაღებული ძალების სარდლობამ ფრონტზე გადმოისროლა ყველა სამხედრო საბრძოლო შესაძლებლობანი. ჰიტლერი აპირებდა სტალინგრადის ხელში ჩაგდებას, მაგრამ გერმანიის სარდლობას გამორჩა ყველაზე მთავარი, თუ რას ნიშნავს, წაართვა ადამიანებს მიწა, სადაც დარწეული მისი აკვანი, წაართვა ენა, დედაენა, რითაც სუნთქავს, ცოცხლობს, ამაყობს ერის ღირსება. და ვოლგის ციხე-სიმაგრის დამცველებმა ფიცი დადეს: „მოვკვდებით, მაგრამ მტერს არ გავაჭაჭანებთ ვოლგაზე". მათ სასიქადულოდ შეასრულეს ეს ფიცი. ამ ფიცში გაერთიანებული იყო საბჭოთა ხალხის მრავალი ერის ინტერნაციონალური გული, აზრი, წუხილი, ტკივილები და თვით გამარჯვების ურყევი რწმენა.

ქეთევან ნაცვლიშვილი თავისი თვალით ხედავდა როგორ იწვოდა პურის ყანები, იწვოდა არყის ხის ტყეები, დაცარიელებულ, გადაბუგულ, დაფერფლილ სოფლებში გონებადაკარგული, შეშინებული ადამიანები მიმოდიოდნენ; გერმანელები დაკავებულ სოფლებსა და ქალაქებში წამლავდნენ წყალს, აფეთქებდნენ ხიდებს, მიწასთან ასწორებდნენ ყველაფერს.

დიახ, ქეთევანი იყო მოწმე და მონაწილე იმ ქარტეხილიანი დღეებისა, გმირი ქალაქი, ალყაში რომ მოექცა და თითქმის ვოლგასთან მოიმწყვდიეს მისი დამცველები. ფაშისტებმა ხელთ იგდეს ქალაქის გარშემო მდებარე მაღლობები და იქიდან უშენდნენ ნაღმტყორცნებს და ქვემეხებს. ზუზუნით ეცემოდა ქალაქს ათასობით ჭურვი და ნაღმი. ცაში კი მეინკელები, იუნკერსები, მესერშმიტები დაძრწოდნენ და შემზარავი ზრიალით სიკვდილს თესავდნენ დედამიწაზე. იძროდა და ქანაობდა ქალაქი. ცეცხლის ალის ენები ტრანშეებსა და სანგრებს ედებოდა. მიწა აფეთქებისაგან კანკალებდა და ირყეოდა. ცეცხლის ქარიშხალი ნთქავდა ქალაქს და მის მოსახლეობას. შემზარავი სურათები, ჯოჯოხეთი ტრიალებდა ირგვლივ: სისხლის ღვლები, დახოცილთა გროვა, მძიმედ დაჭრილთა კვნესა. ყველაფერი ინგრეოდა და იწვოდა.

ასეთი დაუნდობელი ბრძოლებით, ნგრევით და აფეთქებებით შევიდა ჩვენი საუკუნის ცხოვრების მატიანეში 1942 წლის აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი. საბჭოთა ადამიანებმა მშობლიური მიწის ყოველი მტკაველი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებით შეინარჩუნეს. ჩვენი მებრძოლები უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოდნენ და იცავდნენ სტალინგრადის ყველა ქუჩას, სახლს, იბრძოდნენ დღისით და ღამით.

1942 წლის 28 აგვისტო, ეს იყო მძიმე დღე, — დაიწყო ქეთევანმა, — მტერმა მთელი ძალებით შემოგვიტია. უკან ვიხევდით. ხიდის ქვეშ ვაფარებდი თავს. ყოველი მხრიდან ტყვიებისა და ნაღმთა თქეში მოდიოდა. დავინახე ჩვენი მებრძოლი წაიქცა, სისხლმა იფეთქა, ის მაინც მიფორთხავდა და სანგარს ეძებდა. თვალთ დამიბნელდა, არ ვიცი, როგორ გავვარდი, მივუახლოვდი დაჭრილს, მაგრამ ვაი უბედურებას, თან არავითარი პირველდახმარების საშუალებანი არ გამაჩნდა და სიმწრით თავზე ხელი რომ ვიტაცე, ხელში თავსაფარი მომყვა. მყისვე მოვიგლიჯე თავიდან და ლახტად გამოვიყენე. სისხლის დენა სწრაფად შეუწყდა დაჭრილს. შემდეგ ვცდილობდი, როგორმე სანგარამდე მიმეყვანა. გაოცებული მეომარი მევედრებოდა დამტოვე, ჩემთვის ყველაფერი დამ-

თავრებულია. თავს ნუ [illegible] ამ დროს ჩვენი ჯარისკაცები მოეშველნენ დაჭრილი ხელში აიტაცეს, მეც მიბრძანეს გავყოლოდი.

მერე გავიგე: კაცი, რომელსაც ჭრილობა შევუხვიე, თურმე პოლკოვნიკი ყოფილიყო, მისთვის სასწრაფოდ შეკრეს ტივი, რომელზედაც მხოლოდ ათი კაცი დავეტიეთ. მივცურავდით და ნაპირი არ ჩანდა. მდინარე სავსე იყო მკვდრებითა და დაჭრილებით. ვოლგა შეღებილი იყო სისხლით. ზევიდან ტყვიების ცეცხლი გვაწვიმდა. საოცარია, ხიკვდილი იდგა ჩვენს გვერდით, გარდუვალი ხიკვდილი და მაინც გადავრჩით. როცა ნაპირს მივაღწიეთ, პოლკოვნიკი ჰოსპიტალში წაიყვანეს, მას არასოდეს ვავიწყდებოდი.

— ქართველმა ქალმა ფეხიც შემინარჩუნა და სიცოცხლეცო, — ამბობდა თურმე.

თვე ნახევრის წინ, უკრაინაში — ქალაქ იზიუმში, საველე ჰოსპიტლის ლაბორატორიაში შემოიყვანეს დაჭრილი კაპიტანი, სერგეი სიდორენკო. ბევრი სისხლი დაეკარგა, ფეხზე განგრენა დაწყებოდა. საჭირო იყო სასწრაფოდ სისხლის მიცემა. არც კი დავფიქრებულვარ, ჩემი სისხლი გადაუსხეს. მაგრამ მუხლის ქვევით ფეხის ამპუტაცია მაინც აუცილებელი შეიქმნა.

გარეგნობით ძალიან გვამსგავსებდნენ მე და სერგეის. „სესტრიჩკა კეტევანას" მეძახდა. მპირდებოდა, ომის დამთავრების შემდეგ უთუოდ განახავ თბილისშიო! ერთ დილით, როცა ავადმყოფებთან ვიყავი, მისიანებს მოულოდნელად წაეყვანათ კიევში. ბევრი მეძებეს თურმე. შემდეგ გულდაწყვეტილს ბარათი დაეტოვებინა: „ჩემო დაიკო კეტევანა, შენ ჩემი ჭეშმარიტი და ხარ, რადგან ჩემს სხეულში შენი სისხლი ჩქეფს. შენ კი სიცოცხლე და სული შემინარჩუნეო", და მპატიჟებდა კიევში.

ომის დამთავრებიდან ოცდახუთი წელი იყო გასული. მე და ჩემი მეგობარი ნადია გავაშელი მოსკოვიდან კიევს გავემგზავრეთ. ყველა სასტუმრო გადატვირთული აღმოჩნდა. იძულებული ვიყავით, კერძო ბინა მოგვენახა. ბევრი ძებნის შემდეგ, ერთ წყნარ ქუჩაზე ოთხსართულიან სახლში, მესამე სართულზე დავბინავდით.

კიევში ჩასვლამ სერგეი მომაგონა და წარსული სატკივარი ამიშალა. ერთ დღეს, როდესაც ჩვენ კიბეზე ჩავდიოდით, ქვემოდან გოგონა ამოდიოდა. ეს გოგონა ძალიან მაგონებს შენს ახალგაზრდობას — მითხრა ნადიამ. გამელიმა და გზა განვაგრძეთ. ისევ სერგეი დამიდგა თვალწინ და უნებლიეთ წამოვიძახე — საწყალი სერგეი, ნეტავ როგორ არის? სიტყვა არ მქონდა დამთავრებული, ნადია ვიღაც კაცთან მივიდა და რაღაც ჰკითხა, იმანაც დაბეჯითებით დაუწყო ლაპარაკი და ღიმილით გაშორდნენ ერთმანეთს. ნადია ნამყოფი იყო კიევში და მე მასზე ვიყავი მინდობილი, საითაც წამიყვანდა, უსიტყვოდ მივყვებოდი. ის ერთ სახლთან გაჩერდა და მითხრა — აქ ერთი ჩემი ნაცნობი ცხოვრობს, დამელოდე, ახლავე მოვალო. მე იქვე სკვერში შევედი და ჟურნალ-გაზეთებს დავუწყე თვალიერება. ნახევარი საათის შემდეგ ნადია სიცილით მომიახლოვდა.

— იცი, ქეთევან, ჩვენ თურმე იმ სახლში ვცხოვრობთ, სადაც შენი ძმობილი სერგეია.

— შენ რა იცი? — ვკითხე.

— აი, იქ სამისამართო მაგიდაა და იმათ მომცეს მისამართი. დავბრუნდეთ შინ, ხომ ვიცი, ძალიან გაინტერესებს მისი ამბის გაგება.

დავბრუნდით ბინაში. დიასახლისი შინ არ იყო, ჯერ მისთვის გვინდოდა გვეკითხა სერგეის შესახებ.

— რომელ სართულზე ცხოვრობს სერგეი? — ვკითხე ნადიას.

— ჩვენსავე სართულზე, მარცხენა მხარეს.

ზარის ხმაზე კარი გაგვიღო შავებში მოსილმა სანდომიანი სახის ქალმა. განსაკუთრებით შემათვალიერა. დავიბენი, ენა ველარ მოვატრიალე, ნადია მომეშველა — ჩვენ სერგეის ნახვა გვინდა. ეს ქალი მისი ფრონტელი მეგობარია, თბილისიდანო.

— კეტინო სესტრიჩკა, კეტინო სესტრიჩკა! — და აქვითინებული ქალი გადამეხვია.

— კეტინო დაიგვიანე. აღარა მყავს ჩემი სერგეი. ჯერ ორმოცი დღეც არ გასულა მისი გარდაცვალებიდან...

— რა მოხდა? რა დაემართა სერგეის? — ვკითხე შეწუხებულმა.

— სერგეის მოჭრილი ფეხი ხშირად უმიზეზდებოდა, გულის არეში ნაღმის ნამსხვრევი ჰქონდა, ორთავე ძლიერ აწუხებდა და ტანჯავდა უბედურს. ტკივილებს ვაჟკაცურად იტანდა, ცდილობდა არაფერი გვეგრძნო, მაგრამ იყო წუთები, გონს ჰკარგავდა. ბოლოს აიჩემა ოპერაციის გაკეთება. ოპერაციამ კარგად ჩაიარა, სავარაუდო საშიში დღეები მიიწურა. მერვე დღეს განსაკუთრებით კარგად იყო, ხუმრობდა, რაღა არ გაიხსენა. — ახლა როგორც კი საავადმყოფოდან გამოვალ, აუცილებლად წავიდეთ თბილისში, კეტინო როგორმე მოვძებნოთო, — მითხრა. მან მხოლოდ შენი სახელი იცოდა, გვარი კი ველარ გაიხსენა. ამიტომ იყო, რომ ვერ მოგაგენით. ამას ძალიან განიცდიდა. მუდამ ფიქრობდა ადამიანებზე და აკეთებდა მათთვის იმაზე მეტს, რაც შეეძლო. ჩემს გოგონას ხომ შენი სახელი დავარქვით. იმ დღეს ბავშვებიც ჩვენთან იყვნენ საავადმყოფოში, ისინი გვიან გავისტუმრე. აბა სერგეის როგორ დავტოვებდი. მორიგე ექიმმა გასინჯა, კმაყოფილმა ღამემშვიდობისა გვისურვა. ოპერაციის შემდეგ პირველად ჩამეძინა, მაგრამ რაღაცამ თითქოს ხელი მკრა, გამაღვიძა. სწრაფად სერგეის ლოგინთან გავჩნდი და ვაი, რომ ჩემი სერგეი აღარ იყო!

ქალი არ ტიროდა, მისი თვალები და გული დარდით გამოწვეულ ცეცხლს დაებუგა.

ზარის ხმა გაისმა. — ჩემი კეტინოა, — თქვა ქალმა და კარი გაალო.

— მოდი, გაიცანი მამიდა კეტევანა თბილისიდან, — უთხრა გოგონას, რომელსაც თვალები აენთო და უცნობ დეიდებს სიყვარულით გადაეხვია.

იდგა 1942 წლის დეკემბერი, — ჰყვებოდა ქეთევანი. ძლიერმა ყინვებმა მტრის შეტაკებანი შეანელა, მაგრამ დაჭრილები ყოველდღე გვემატებოდნენ ჰოსპიტალში. ბევრ მათგანს ვედარ ვშველოდით, იხოცებოდნენ.

ერთხელ შეღამებისას, სანიტარმა გოგონამ დაშენკამ მითხრა: — ქეთინო, სამი დღის წინ ჩვენ ჰოსპიტალში ჩემი ნათესავი მოიყვანეს, მძიმედ დაჭრილი. გახსოვს, შენ ნემსიც კი გაუკეთე. დღეს დილით მივედი, მინდოდა მენახა, ცარიელი საწოლი დამხვდა. გარდაიცვალაო, მითხრეს. მაშინვე სარდაფისაკენ გავეშურე. მიცვალებულთა შორის მოვძებნე. ველარ ვიპოვე. იქ ერთი მიცვალებულია ქართველს ჰგავს ოდნავ თბილია, იქნებ მკვდარი არ არის? — დაშენკას სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, ჩემს მეგობარ ნადია გავაშელს მივვარდი, — სარდაფში, მკვდრებში ერთი ქართველი ყოფილა, მგონი ცოცხალიაო, ამბობს დაშენკა.

ხონბოლით ჩავედი სარდაფში. იატაკზე საცოდავად ეგდო ახალგაზრდა ჯარისკაცი. როგორც საბუთებიდან შევიტყვე ნაღმმტყორცნი ბატარეის უფროსი ლეიტენანტი გოგი გამყრელიძე რომ იყო. მაჯა რომ გავუსინჯე, იმედი დამეკარგა. მაგრამ დიდი ხნის შემდეგ ოდნავ ვიგრძენი მაჯის ფეთქვა. იქნებ გადარჩეს! რას იტყვი, ნადია? — შევეკითხე. ჯერ ჰოსპიტალში ავიყვანოთ, უკეთლაფერი ვილონოთ, — ნაღვლიანად შომიგო მან. მართლაც დაჭრილი, უფრო კი მომაკვდავი, ავიყვანეთ ჰოსპიტალში, ქირურგი მოვნახეთ, ნემსი გავუკეთე. მაჯა ოდნავ გამოცოცხლდა. მაშასადამე გულმა იწყო თავისი მოვალეობის შესრულება. გონზე კი ვერ მოდიოდა დაჭრილი. ცოტა იმედი გვქონდა, ძალიან ცოტა. ვიჯექი მის საწოლთან და ვფიქრობდი, ბეჯითად დამეხსომებია ის ადგილი, სადაც დავახაფლავებდით.

დავუწყეთ ფიზიოლოგიური ხსნარით კვება ზოგჯერ პირში ვაწვეთებდით საჭმლის წვენს, სადაც წითელი ღვინოც კი ვიშოვნეთ. ორგანიზმი ცოცხალი იყო, მხოლოდ დაჭრილი გონს ვერა და ვერ მოდიოდა. ოთხი მძიმე ჭრილობა ჰქონდა: ფეხში, ბარძაყში, მკლავში და კისრის მიდამოებში. ჭრილობებს მძაფრი სუნი ასდიოდა, ქირურგმა ოცკოვიჩმა ოპერაცია გაუკეთა, ჭრილობები გაუსუფთავა, მაგრამ ჩირქის მყრალი სუნი დიდხანს ვერ მოვაშორეთ. მგონი რვა დღე იყო გასული გონს რომ მოვიდა.

დანარჩენი მან თვითონ გიამბოთ. სამედიცინო ინსტიტუტის ზოგადი ქიმიის კათედრის უფროსი მასწავლებელია, ნახვა არ გაგიჭირდებათ, — მითხრა ქეთევანმა. მართლა საინტერესოა მკვდრეთით აღმდგარი ადამიანის ხილვა-მეთქი გავიფიქრე.

მეორე დღეს სამედიცინო ინსტიტუტის ზოგადი ქიმიის კათედრის კაბინეტში კოჭლობით შემოვიდა საშუალო ტანის სიმპათიური ვაჟკაცი, — აი ეს გახლავთ გიორგი გამყრელიძე, გამაცნო კათედრის გამგემ ელენე მაჭარაშვილმა.

ერთმანეთი დიდიხნის ნაცნობებივით მოვიკითხეთ.

— ბატონო გოგი! — ქეთევან ნაცვლიშვილზე ნარკვევს ვწერ, იქნებ დამეხმარებოდით.

— დიდი სიამოვნებითო, — მომიგო და ჯერ თითქოს ღრუბელი ჩამოწვა მის თვალებში, შემდეგ კი მზემ გამოიხედა. და დაიწყო, — ქეთევან ნაცვლიშვილი და ნადია გავაშელი ჩემი მხსნელები არიან, მათ დამიბრუნეს სიცოცხლე. ერთ დღისით ხმაურმა გამომაფხიზლა, თითქოს მშვიდად გამომეღვიძა, თვალების გახელა მაინც მიჭირდა. ქუთუთოები მქონდა დამძიმებული. ხმაური ადრეც მაფხიზლებდა, მაგრამ სიტყვებსა და აზრს ერთმანეთს ვერ ვუკავშირებდი. ახლა კი გარკვევით მესმოდა ქართული ლაპარაკი.

— ეს ბოლო ორი დღეა ბევრად უკეთაა, იქნებ გადარჩეს, — მესმის ქალიშვილის ხმა.

— როცა წვენს ვაწვეთებ პირში, ამ ბოლო დღეებში ენერგიულად ყლაპავს, გულიც მშვენივრად მუშაობს. ოცკოვიჩმა მითხრა, თავის ქალა სრულად არ არისო დაზიანებული.

ეს კი სხვა ხმა იყო. თავს ძალა დავატანე და თვალები გავახილე. ორი ქართველი ქალიშვილი ზის ჩემს ლოგინთან და მზრუნველი და მოსიყვარულე თვალებით მიცქერის. — სადა ვარ? რა მომდის? და მათი სიხარული ცას მისწვდა — „გადარჩა, გადარჩა“, — მესმის გახარებული ხმები. თურმე რვა დღე უგრძნობლად ვყოფილვარ. თუ როგორ მიპოვეს, ალბათ გეტყოდნენ, ხოლო შემდეგ მათი ზრუნვა ჩემდამი საზღვარდაუდებელი იყო. ასეთი ერთგულებით მოვლა ავადმყოფისა, როგორც ისინი მივლიდნენ, შეიძლება მხოლოდ დედისაგან, ან ძალიან მოყვარული დისაგან. მომჯობინება დავიწყე, საჭირო იყო გაძლიერებული კვება, ბევრი სისხლი მქონდა დაკარგული. ქეთო და ნადია თავის ულუფას მიყოფდნენ, ჩემთვის რას არ შოულობდნენ.

1942 წლის დეკემბერი იწურებოდა, — განაგრძო გოგიმ, — შედარებით კარგად ვგრძნობდი თავს. ქეთო და ნადიაც კარგ გუნებაზე იყვნენ. დავთქვით, ჩემს ლოგინთან მოეწყობოდა ახალი წლის შეხვედრა, გოგოებმა მოიმარაგეს კონსერვები, თეთრი პური, ღვინო, ტკბილეული. ასე რომ სულ მზად გახლდათ ახალი წლის შესახვედრად. მეც, ცოტა გათამამებულმა უკე-

თესობით, ეტყობა თავისუფლად მოძრაობა მოვისურვე. უნებლიეთ მარჯვენა გვერდზე გადავბრუნდი. ეს მხარე კი სულ ჭრილობებით იყო დაფარული და შემდეგ აღარ მახსოვს რა მოხდა. გონი დამიკარგავს და როცა გონზე მოვედი, 1943 წელი სამი დღის დამდგარი იყო, ხოლო ჩემ საწოლთან ნადია და ქეთევანი ისხდნენ თვალცრემლიანი. ვიმეორებ, ამ ორმა გულითადმა ადამიანმა დამიბრუნა სიცოცხლე. ამის დავიწყება არ შეიძლება.

ისევ ქეთევანთან განვაგრძობ საუბარს.

— ახლა უფრო მიმძიმს, ახლა უფრო ვხედავ იმ სისხლიან დღეებს და ავადმყოფურად განვიცდი, — თქვა ქეთევანმა და მისმა გაფითრებულმა სახემ შემაშფოთა. იქნებ სხვა დროისათვის გადავდოთ ჩვენი შეხვედრა, — ვეუბნები. — ო, არა, არა, — და გაიღიმა. — ყველა სიბნელეს ნათელიც ახლავს და განაგრძო. — აი, თუნდაც კონკრეტული მაგალითიდან მოგახსენებთ, ერთმა ჩვენმა დაჭრილმა ჯარისკაცმა ჟაროვმა სახლიდან ბარათი მიიღო. კითხულობდა და სახე ელუშებოდა. არ ვიცი როგორ, ასეულის მეთაურს გაეგო ჟაროვის უგუნებობა, დაიბარა და გამოკითხა. ოჯახიდან წერდნენ თურმე, უშიროდ და-ძმებს და ავადმყოფ დედას. ალბათ ერთი კვირა იქნებოდა გასული, რომ საველე თათბირზე ასეულის უფროსმა ბარათი წაგვიკითხა, თავის გაგზავნილ ბარათზე პასუხი მიელო იმ საოლქო კომიტეტის მდივნისაგან, სადაც ჟაროვის ოჯახი ცხოვრობდა: „ჟაროვის ოჯახს ყველაფერი გავუკეთეთ, შემდეგშიაც ყურადღებას არ მოვაკლებთ. თქვენი კი დიდი მადლობელი ვარ ასეთი გულისხმიერებისათვის, ჩვენც ვიბრძვით თქვენს მხარდამხარ“, — ეწერა ბარათში.

ჟაროვს შევხედე. შემართული იდგა, მის თვალთაგან მზის სხივები აშუქებდა, რომლის სითბოც ყველა ჯარისკაცის გულს ათბობდა. დიახ, ჩვენს ირგვლივ სუფევდა ჯანსაღი ატმოსფერო, რწმენა და დიდი სიყვარული ჩვენი დიდი სამშობლოსი, ჩვენი ერისა. აი, რას მოჰქონდა ჩვენთვის გამძლეობა, ოპტიმიზმი, ადამიანური ღიმილი, სწორედ ამ ურთიერთ დიდმა სიყვარულმა მილიონობით ჯარისკაცი თუ ზურგში მყოფი ადამიანები შეკრა ერთ ფიქრად, ერთ აზრად, ებრძოლათ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, მტერს კი არ დანებებოდნენ.

ყველა ჯარისკაცმა იცოდა თავისი მოვალეობა. ყველამ იცოდა, სიფხიზლის, ძალების მაქსიმალურად დაძაბვის გარეშე გამარჯვება რომ არ მოვა და ჩვენც ვიბრძოდით საბრძოლო ოსტატობის სრულყოფით, საბრძოლო ტექნიკის გამოყენებით.

1944 წელი. ბელორუსიაში შევედით. გაზაფხული ჯადოსნური ფერებით შემოგვეგება. დამწვარ დამსხვრეულ ხეთა ტოტებზე ყლორტები ამოხეთქილიყო და განახლებულ სიცოცხლეს ზეიმობდა. ყველა სახლი დანგრეულია, შემუსვრილია სიცოცხლე, გაპარტახებულია ადამიანების ზრუნვითა და რუდუნებით შექმნილი დოვლათი. თვით ადამიანი მტრის სიკვდილის ცელს მოუსერავს. ყუმბარებისაგან დახეთქილი, დამსკდარი მიწა კვნესის.

გარბოდა მტერი, მაგრამ უკანასკნელ ძალას იკრებდა და გამწარებული უწყალოდ გვისწორდებოდა, თუკი ოდნავ ამის საშუალება მიეცემოდა.

დიდი სიფრთხილე იყო საჭირო. ზოგჯერ თითქოს მიწიდან ამოძვრებოდნენ ეს გარეწარნი.

ვეძებთ სახლს, სადაც შეიძლება მოვთავსდეთ სამედიცინო პერსონალი. ავტომატის სროლა გაისმა ჩვენ წინ, ცოტა მოშორებით, არყის ხეებში. სროლის ხმა მიწყდა, ირგვლივ არავინ ჩანდა, ხოლო როცა იმ ადგილს მივაღწიეთ, ვხედავთ, ახალგაზრდა შავგვრემანი ჯარისკაცი გდია. სიცოცხლე, ეტყობა, სასიკვდილოდ იყო დაჭრილი. სხეულზე თვალი გაახილა. თითქოს იმედი ჩაუდგა თვალებში. რაღაცას გვევედრებოდა, ალბათ სიცოცხლის შენარჩუნებას. გავსინჯეთ. ჭრილობა მუცელში ჰქონდა. სულ ტყვიებით იყო დაცხრილული. საიმედო აღარაფერი იყო, მაინც ყველაფერი გავუკეთეთ, ვცდილობდით შეგვემსუბუქებინა უკანასკნელი წუთები. ვხედავ, იღიმება, მიყურებს და იღიმება. „იღიმის თუ მეჩვენება?“ ვეკითხები ქართულად ჩემს მეგობარ ნადიას — „კი, მართლა იღიმება,“ — მიდასტურებს ის. დაჭრილს რაღაცის თქმა უნდოდა, წვალობდა, ბოლოს გ-ო-გ-ო-ებო, — ძლივს ჩამოძარცვლა, უფრო კი ჩაიჩურჩულა და გათავდა. თვალები დავუხუჭე. თურმე ქართული ლაპარაკი გაიგონა, აი რა ყოფილა მისი უკანასკნელი სიხარული და ღიმილი. საბუთები მოვუჩხრიკეთ, სისხლში ველარაფერი გავარჩიეთ, ხოლო საგულის ჯიბეში ახალგაზრდა ქალიშვილის სურათზე ძლივს ამოვიკითხეთ წარწერა: „ჩემ მზექაბუკ ირაკლის“. ბელორუსიის მიწას მივაბარეთ შორეული საქართველოს შვილი, — ამოიოხრა ქეთევანმა და განაგრძო: გაზაფხულის მზე ათბობდა დამზრალ მიდამოს, ჩვენს გულში კი ნაღველი ილევნთებოდა, ვეძებდით სახლს, სადაც უნდა დავბანაკებულიყავით, ყველა სახლი ან სულ ნანგრევებად იყო ქცეული, ან რამდენიმე კედელი იყო დარჩენილი. ჩვენგან მოშორებით სახლი მოჩანდა, იქით გავეშურეთ, კარზე დავაკაკუნე, შემდეგ შევაღე. სიჩუმეა, ბავშვის ლანდი გამოჩნდა. ვხედავ და არ მჯერა. ბიჭი დაბრძენებული კაცის თვალებით მიყურებს და მათვალიერებს. ლახლახით ძლივს დადის.

— ჩვენები ხართ, ხომ? — გვეკითხება.

— როგორ გვიცანი?

— შავი საზიზღარი ჯვრები არ გიკეთიათ, —

ის ძლივს ლაპარაკობს, გალეული და საცოდავი შესახედავია. ბიჭი აბორძიკდა, დაილალა და დაჯდა. იქვე იატაკზე ორი პატარა გოგონა იწვა, უფრო სწორად, ეყარნენ, კიწაწა ხელფეხი ჰქონდათ. ჩვენს დანახვაზე წამოდგომა მოიწადინეს, მაგრამ ვერ შეძლეს და ისევ მიწვნენ.

— რა გქვია? — ვეკითხები ბიჭს.

— პეტრიუს.

— პეტრიუს, ეს გოგონები რა არიან შენი, ან რატომ ყრიან იატაკზე.

— ესენი ჩემი დები არიან, მშია, დეიდა, ამათაც შიათ!

ბავშვებს მაშინვე ორცხობილა მივეცით. უფროსებმა სასწრაფოდ გამომართვეს და გადასანსლეს, ხოლო პატარას, რომელსაც ლეკას ეძახდნენ, ხელის განძრევაც აღარ შეეძლო შიმშილისაგან და თვითონ ვაჭამე.

ბავშვებმა ცოტა სული მოითქვეს, წამოდგომა სცადეს, მაგრამ ვერ შეძლეს. პეტრიუსს შევხედე. თითქოს თვალის ჩინი ჩადგომოდა, ახლა უკვე ცოცხლად იყურებოდა.

— პეტრიუს, შენ ყოჩაღი ბიჭი ხარ, — ვეუბნები და ვუღიმი.

— ჰო, აი, — დღეს დედამ მწვანე ქერი დაგვინაყა, მე შევჭამე, ამათ კი ვერ შეძლეს შეეჭამათ, გული აერიათ.

ხამი კვირა დავრჩით იქ, ყოველდღე ვკვებავდით ბავშვებს, ისინიც საგრძნობლად გამოკეთდნენ, მოცოცხლდნენ. სახეზე ღიმილი გაუჩნდათ. უბედური ბავშვების დედა უზომოდ მადლობელი იყო ჩვენი. ხშირად გვეტყოდა: — ნეტავ წაიყვანდეთ ბავშვებს, აბა, აქ რა ვუყო, ნამცეცი პური არ მოგვეპოვება. მაინც ყველაზე მეტად ხუთი წლის ლეკას ვუყვარდი, არ მშორდებოდა, სულ კაბის კალთაზე მეკვროდა. ერთხელ გამოექანა და ხელებზე დამიწყო კოცნა.

— ეს არ შეიძლება, ლეკა, — ვეუბნები.

—ამ ხელებმა პური მომცა. — თქვა მან. ამ წუთებში, მის თვალებში არაფერი იყო ბავშვური. ხელი მოვხვიე, გულში ჩავიკარი, ვტიროდი უცრემლოდ, გული მეწვოდა.

ხამი კვირის შემდეგ, როცა ჩვენი ჯარის ნაწილი დაიძრა, ლეკას დედამ ბავშვები სადღაც წაიყვანა, გაგვარიდა. თქვენ დაშორებას ძალიან იდარდებენო, — მეუბნებოდა უბედური ქალი; მე კი, მივდიოდი და ვხედავდი გაძვალტყავებულ ბავშვებს, რომელთაც სული ძლივს ედგათ. ყურში კი ჩამესმოდა: „ამ ხელმა მომცა პური“, „მშია, დეიდა, ძალიან მშია“.

გამარჯვებამ კენიგსბერგში მოგვისწრო, ამას ველოდით, მაგრამ იმდენად დიდი იყო სიხარული, რომ კარგახანს გაბრუებული ვიყავი. მაინც არ მჯეროდა, არავის სჯეროდა. ეს მაინც გაუდა სიკვდილის განაჩენის შემდეგ სიცოცხლის დაბრუნებას, რასაც აგრერიგად შეჰხარის ადამიანი. ჩვენ ხომ ჯერ კიდევ ახალგაზრდები ვიყავით, მზისა და სიხარულის შვილნი. ჩვენი ცხოვრება ახლა იწყებოდა, დიდი ბრძოლების გავლისა და გადატანის შემდეგ.

ომისა და სიკვდილის ორომტრიალში შეზღუდული, იქნებ სულაც მიმქრალი გრძნობანი დაიძრნენ, გამოფხიზლდნენ. მოზღვავდნენ ოცნებანი; დედ-მამის თუ მეგობრების, საქართველოს ცისა და მიწის ხილვის სურვილებმა ელდა მოგვიახლდა.

საქართველო, ჩემი თბილისი, მთაწმინდა, კიროვის ქუჩა, ჩემი ოთახი, აგერ ჩვენი ეზო სოფელში, დედა ხელებგაშლილი გამორბის, მამა გაღიმებული მიყურებს, ჩემი დები, ყველანი აქ არიან. „დედა, დედა“, ვიძახი. ამასობაში მატარებელმა, რომელშიც ვიჯექი, გაიქროლა, ყველანი გაუჩინარდნენ. შევკრთი, თვალი მიმილულავს ეშელონში. გულამღვრეულს გამომეღვიძა.

ჯერ კი მოსკოვი, კრემლი ხომ დიდებით მიგვიღებს ამ დიდი გამარჯვების მონაწილეთ, ერთგულ მებრძოლებს. ასეთი სიხარულის ღელვით და ფორიაქით მივუახლოვდით მოსკოვს.

ხუმრობაა, საბჭოთა კავშირის გმირ დედაქალაქს ვუახლოვდებით. გულში სიხარულით დანთებული ცეცხლი გიზგიზებს.

ჩვენმა ეშელონმა სვლა შეანელა და გაჩერდა. მოულოდნელი ბრძანება გაისმა: უნდა გადავსულიყავით მეორე ხაზზე მდგარ ეშელონებში, რომელიც შორეული აღმოსავლეთის ფრონტზე წაგვიყვანდა.

თითქოს მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდაო. ჩვენი პირთამდე ავსილი ოცნებანი, სინამდვილემ სწრაფად მოსხიპა და გააქრო. კიდევ ბრძოლები... კიდევ სიკვდილი... კიდევ მოუშორებელი განსაცდელი...

იმედი... ეს მარადჟამ სიცოცხლის ერთგული მეგობარი ამოგვიდგა გვერდში. ეჰე! ახალგაზრდობა თვით იმედების წყაროა და საყრდენი. ჩვენი ეშელონი შორეული აღმოსავლეთისაკენ დაიძრა.

ჯერ კიდევ ყინვები და სიცივეები იყო აღმოსავლეთის გზებზე. ეშელონებში თუნუქის ღუმელები დავანთეთ. კვამლი აღრჩოლდა, სანამ ცეცხლი გაჩაღდებოდა, შევთბით, მაგრამ ვაი ამ გათბობას. ახლა ეშელონის სახურავზე ყინული გადნა, დაცხრილული სახურავიდან წყალმა იწყო დენა. მთლად დავსველდით. გახშირდა ავადმყოფობა...

ხამი კვირა მივდიოდით აღმოსავლეთისაკენ, უკან მოვიტოვეთ დაუსრულებელი ტუნდრა, ტაიგა, უსასრულო ველები. ბაიკალის შემდეგ სითბომ იმატა, თანდათან ილვიძებდა გაზაფხული.

ვლადივოსტოკში გაჩერდა ჩვენი ეშელო-

ნი. აქვე მივიღეთ ახალი სამხედრო აღჭურვილობანი და მანქანებით გავემგზავრეთ მანჯურიის ქალაქ მუდაძიანში, ხარბინის მახლობლად. ჩემი გონება კვლავ აღავსო და დატვირთა ბრძოლების შემზარავი სურათების მოლოდინმა და ღიმილი სადღაც გადაიკარგა.

მუდაძიანში დაბანაკდა ჩვენი ჯარის ნაწილი სათაურებაა, ქალაქში სიმშვიდეა. არც ტყვიამფრქვევების ხმა ისმის, არც ტანკების გრუხუნი და არც თვითმფრინავების წივილ-ზუზუნი. დიდი ბრძოლების ცეცხლის ღვარების ნაკვალევი კი იგრძნობა.

სამედიცინო სამსახურის მუშაკებს მოუსვენარი სამუშაო ჰქონდა და ქეთევანიც ჩვეული ერთგულებით შრომობდა. ისევ ანალიზები, წამლების მომზადება, ავადმყოფების მოვლა, სითბოსა და სიყვარულის მიტანა იმედგაწყვეტილ ადამიანებთან.

მაგრამ „ომის ღმერთს" არ ეყო სულგრძელობა, დაენახა ქეთევანის დამსახურება; დავრდომილთა და უსახოთა მზრუნველს, თვითვე შეეყარა ქოლერინა. ქეთევანი ისევე შეერკინა ავადმყოფობას, ვითარცა მტერს სტალინგრადის მისადგომებთან. სამედიცინო დახმარებამ და ახალგაზრდა ორგანიზმმა იძალა, სამ კვირაში გამოკეთდა და ისევ მხნედ ჩადგა სამედიცინო შრომისა და ბრძოლის რიგებში.

— მიუხედავად იმისა, — იგონებს ქეთევანი, — რომ შეჩვეული ვიყავი შიშსა და ტყვიების წვიმებს, ყველაზე მეტად ავადმყოფობამ შემაკრთო, ალბათ, იმიტომ. რომ შორს ვიყავი ჩემი ქვეყნიდან. ძალიან მომინდა ჩემი მიწის, ქვეყნისა და დედ-მამის ნახვა. ეს სურვილი იყო თითქოს დაუოკებელი, მომაკვდინებელი, უსასრულოდ მძიმე. გამოსავალი აბა სად იყო? თავს დავეუფლე, „ქირსა შიგან გამაგრებას" მოვუხმე, ავადმყოფობას შევებრძოლე. ძნელია ყველაფრის გადმოცემა, რაც ეუფლება ადამიანს, ახალგაზრდას თავისი ქვეყნიდან უშორეს აღმოსავლეთში გადაკარგულს. ძნელი იყო ბრძოლა მრავალგვარ ინფექციასთან, მაგრამ, ვიმეორებ, დიდი იყო ადამიანური რწმენა, ურთიერთგაგება, ურთიერთნდობა, სიყვარული. ალბათ ეს იყო საყრდენი ბალავარი, რითაც გაიმარჯვა ჩვენმა ხალხმა.

სრული ერთი წელი დაჰყო ქეთევან ნაცვლიშვილმა მუდაძიანში. აქვე მიიღო მედალი იაპონიაზე გამარჯვებისათვის და მთავარსარდლის პირადი მადლობა.

**1946** წლის მაისში ბაქოს გზით დაბრუნდა ქეთევანი სამშობლოში. საქართველოს საზღვარზე შემოსვლამ ააფორიაქა, სიხარულის საზღვარი წაიშალა, ცრემლები მოეძალა, მოსვენება დაკარგა. კავკასიონის შეხედვამ და საქართველოს ცის სილურჯემ ისედაც ათრთოლებული გული მთლად გაალღო და ცრემლად დაიღვარა.

დედ-მამა, დები, მეგობრები და ნათესავები შეხვდნენ სადგურზე. ქეთევანი მატარებლიდან ჩამოვიდა, მუხლი მოიყარა და ემთხვია ქართულ მიწას. შემდეგ დედ-მამას და ახლობლებს.

„სამშობლოში დაბრუნებისთანავე, შეუსვენებლივ დავიწყე მუშაობა, — ამბობს ქეთევანი, — ოჯახს უჭირდა. კეთილმა ადამიანებმა იზრუნეს და მეც მესამე აფთიაქში მმართველის მოადგილედ დავიწყე მუშაობა და დღემდე იქ ვაგრძელებ შრომას. სწორედ ეს შრომა-გარჯაა, რომ მასულდგმულებს, ეს ჩემი განუყრელი თანამგზავრია, მე სხვაგვარად არ შემიძლია სიცოცხლე, — მოკრძალებითა და სწრაფად თქვა ქეთევანმა და გაწითლდა, თითქოს შერცხვაო.

ქეთევანი თუ ფრონტებზე ერთგული სამსახურისათვის დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით და მრავალი მედლით, ომის შემდგომაც მისი ერთგულება საქმისა და ქვეყნისადმი შეფასებული და დაფასებულია: მინიჭებული აქვს უმაღლესი კატეგორიის პროვიზორის წოდება, ითვლება, „ჯანმრთელობის ფრიადოსნად", დაჯილდოებულია მედლებით ომის დამთავრების ოცი და ოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით. ჯანმრთელობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ დამსახურებული პროვიზორის წოდება.

განვაგრძობთ საუბარს, მისი ხმა დაბალი, ოდნავ გაბზარული და ნაღველშერეულია. თვალების მიღმა კი მოგონებათა უსაზღვრო ტკივილებია დასადგურებული. თითქოს იმ უშორესი წლების სიღრმიდან დაღუპულთა ხმები მოესმის, მათი შეძახილი და გოდება ელანდება. სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილში გამოწვეული ტკივილები აგონდება. გული ნაღვლითა და სამსალით ევსება. ბევრ უთქმელ დარდსა და წუხილს იბრუნებს გულში.

* * *

ქეთევანის სახლიდან გამოვედი. ქალაქს სიცივითა და ნესტით გაჟღენთილი ცა დამხობია, სიცივე ძვალსა და რბილში ძვრება და სულს აწვრილებს.

ადამიანები გაჩქარებით მიეშურებიან სახლებისაკენ, უნდათ თავი შეაფარონ თბილ ბინებს. ხოლო ტრანსპორტის მომლოდინენი მოუსვენრად მიმოდიან გაჩერებაზე.

მე... სულაც არ მცივა, ვფიქრობ და არ მცივა. ალბათ იმიტომ, რომ სულ რამდენიმე წუთია გავშორდი ადამიანს, რომლის ცხოვრების ჭირნახულობა თუ მებრძოლი სული მათბობს და მავსებს. ვუცქერი მისი ცხოვრების გავლებულ ხნულს, ერთგულებითა და ალალი გულით რომ გააქვს ცხოვრების ბოლომდე".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ მეხრიშვილი

# შირაქელი თავმჯდომარე

## ბეღლის გამგე

მკითხველო, ყოფილხარ ოდესმე შირაქში? არა? მაშ არ გინახავს შირაქული ალიონბა და ცხვრის დადოლლება? არც მეჯოგესთან ერთად გიჟამაა ნაცრიან ლადარში შემწვარი ნედლი ხიმინდი და არც ხალხალაჯის ხურნელოვანი მუგუზალიდან მოგიკიდებია სიგარეტისათვის? სატაცურის ძებნისას ურიოიანიდან კრახით აფრენილ კაკბებს გული არ გადაუტრიალებია შენთვის? ან აკაკის სტუმართმოყვარე ჩრდილ-ში საათობით არ გისმენია დარჯაკში გამო-ვლილ ბერიკაცისთვის, რომლის ძარღვიანი ქართული ისე ილვრება, როგორც ციბრუტი-დან მაისის თაფლი? მაშ არ გცოდნია, რა არის შირაქი!

ლამაზია, ჩემო მკითხველო, შირაქი, ნამეტ-ნავად კი ადრე გაზაფხულობით, როცა ლელ-მანაკრავი თოვლი დნობას დაიწყებს და ერთ-მანეთს უყეფენ ლელე--ღრანტობები.

როგორც კი დატრიალდება სითბოს სუნი, ჯერ შვრიუკა ამოჰყოფს ხოლმე მეტიჩარა წვერებს, მალე მას მხოხავი ჭანგა და ნემსი-წვერა ბაძავენ, ხოლო ორიოდე კვირის შემ-დეგ მათ მხარს უმშვენებს გლერტა, ურო, ძურწა, ჭიოტა, ხოვერა, ქვათესლა, ავშანი, ყენა, ცერცველა... კორტოხების თხემზე შე-მორჩენილი თოვლის ლაქები სიზმარივით ქრებიან, შირაქს თბილი მერეხი ალბობს და მიწის მოცოდომადლე კაცი გუმანით ატყობს, რომ მორჩა — ერთ ღამეში აუვავდება მინდო-რი!

გაზაფხულის დადგომისთანავე კოლმეურ-ნეობებს საზრუნავიც უორკეცდებათ შირა-ქი ხალხით ივსება. ამ დროს ზილიჩის მინდ-ვრებში რომ გაიაროთ, უეჭველად გადაეყრე-ბით იოსებ ჯლუთაშვილს, რომელიც მეთორ-მეტე წელია, რაც ქვემო ქედის კოლმეურნე-ობაში თავმჯდომარეობს.

შირაქი რესპუბლიკის პურის ბეღელია! — ასეთი გამოთქმა მკვიდრობს საქართველოში, წითელწყაროში კი ასე ამბობენ: თუ შირაქი საქართველოს პურის ბეღელია, მაშინ იოსებ ჯლუთაშვილი ამ ბეღლის გამგეაო.

ამ მოხწრებულ შენიშვნაში სიმართლე იმა-ლავს თავს: 1968 წლიდან ; მოკიდებული დღემდე ქვემოქედელმა მხვნელ-მთესველებმა მარცვლეულის უხვი მოსავლისათვის გაჩაღე-ბულ რაიონულ სოცშეჯიბრში 8-ჯერ აიღეს პირველობა! მეცხრე ხუთწლედში ვალდებუ-ლებით უნდა ეწარმოებინათ 28.720 ტონა, ხორბალი, ფაქტიურად აწარმოეს 89.800 ტო-ნა!

რაიონის არც ერთ კოლმეურნეობაში არაა დაჯილდოებული იმდენი მემინდვრე, რამდე-ნიც ქვემო ქედში. მთავრობის მაღალი ჯილ-დო უკანასკნელ 5 წელიწადში 58 მხვნელ-მთესველმა მიიღო, მათ შორის სამმა — აბ-რამ კობაიძემ, მართა ბოძაშვილმა და ნათელა არაბულმა — ლენინის ორდენი.

როცა ასეთი მიღწევებისათვის ჯლუთაშვილს თავმჯდომარეობას უქებენ, ის ბანზე აგდებს სიტყვას.

— მე რა შუაში ვარ?! მოსავალი მოჰყავს მემინდვრეობის ბრიგადას, ; აგრონომს და ამინდს!

ეს თითქო მართლაც ასეა, სინამდვილეში კი..

## იოსებისეული სტილი

შირაქში ხალხმა გულით შეიყვარა მშრომელთა წიაღიდან წამოსული ნიჭიერი ორგანიზატორები: კობა ჩოხელი, ვანო ქავთარაძე, ნიკო მამაიაშვილი, არსენა კობაიძე, ვანო ფიროსმანაშვილი, ნიკო ყოჩიაშვილი, მიხეილ კობაიძე. მაგრამ ხალასმა ნიჭმა ავტორიტეტების წინაშე შიში და კრძალვა არ იცის: იბრძვის, იწრთობა და თავის კუთვნილ ადგილს იჭერს ღირსეულთა გვერდით. სწორედ ასეა ქვემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იოსებ ჯლუთაშვილიც. მართალია, მისი თავკაცობის სტაჟი 30-40 წელიწადს არ ითვლის, მაგრამ ათიოდე წელიც საკმაო გამოდგა, რათა მოწინავე და ხალხის საყვარელი თავმჯდომარე გამხდარიყო...

ცხოვრებაში არსებობს სტილის ცნება. მწერალს თავისებური წერის სტილი აქვს, მხატვარს — თავისი, არქიტექტორს — თავისი, პარტიულ მუშაკს — თავისი, ფეხბურთელს — თავისი, მინისტრს — თავისი.

ყოველ თავმჯდომარეს, და მათ შორის ჯლუთაშვილსაც, მუშაობის თავისებური სტილი აქვს გამომუშავებული.

მაგალითად, ზოგიერთი თავმჯდომარე სხვადასხვა მიზეზით ზომაზე მეტად სარგებლობს რაიკომის მფარველობით და ამას ოსტატურად იყენებს ხალხთან მუშაობაში.

ზოგიერთი თავმჯდომარე ძალზე მკაცრია, უხეში ადმინისტრირების მეთოდი უფრო მკუაში უჯდება და მაგიდაზე მუშტს ისე აბრახუნებს, საკანცელარიო ნივთები ფერხულს ცეკვავენ.

ზოგი თავმჯდომარე მოხუცია, მრავალ ჭირვარამგამოვლილი და ისეთი გამოცდილება მიუღია, მისი ტყუილიც კი დაიჯერება.

იქნებ არ დაიჯეროთ, რომ თითოეროლა თავმჯდომარე ასეთ რამესაც კადრულობს: ბრიგადებსა და ფერმებში თავისი მსტოვრები ჰყავს დაგზავნილი და სადმე კატას კუდი რომ გადაუბრუნდეს, იმასაც კი იგებს. თვითონ მინდვრებში სიარული ეზარება, ნიადაგ კაბინეტში ყუნტია, ხოლო საღამოს თათბირზე მუქარითა და მოხაწყენი ტონით გაჰყვირის.

— ამხა-ნაგო!.. არ იფიქროთ, რომ ჩვენ... ჩვენ ყველაფერი ვიცით!.. ჩვენ ისიც კი ვიცით, რომ გუშინ, მაგალითად, თქვენთან... დიახ, თქვენთან...

შეშინებული დარგის ხელმძღვანელები გაოცებას არიან: საიდან გაიგოო და ეჭვი ერთმანეთზე აქვთ. ეს კი ხალხს თიშავს, უნდობლობას ნერგავს...

**სულ სხვაა იოსებისეული მუშაობის სტილი: აი, ვენახებს მორჩა და ფერმებს მიაშურა. შაბათ-კვირას უნდა მიეტანათ 10 მანქანა ნამჯა, მიტანილია მხოლოდ ოთხი.**

— გუშინ დილას ლაფი იყო და ალაზნიდან ვერ ამოვედი, — თავის დაძვრენას ცდილობს შოფერი.

—იგრე მელაპარაკები, ვითომ პარიზიდან ვიყო ჩამოსული, — უჭრის იოსები, — გუშინღამ იგეთი რა წვიმა მოვიდა, რომ მანქანა დაგბუქსავებოდა?! ლაფი კი არა, აი, რა იქნებოდა: ეს ოთხი გზა შაბათს გაგიკეთებია, შენ ხარ ჩემი ბატონი, შაბათ ღამეს გიგაურგბმა ჯარიდან ჩამოსულ ვაჟს ვახშამი გადუხადეს და შენც იქ იქნებოდი. კვირა დილით ხაშსა და არაყზე გახვიდოდი, შეჰყვებოდით, შეჰყვებოდით სმას და... მე კიდე მატყუებ — ლაფიო. მართალი ვარ?

— ეგრე იყო რა!,. — იღრიჭება შოფერი...

სანაწვერლო ხვნაა გაჩაღებული. ჯლუთაშვილი ნახნავებს ათვალიერებს. ერთ ნაკვეთში რასა ჰხედავს: ტრაქტორისტს დაუზეზეურებია წინმხვნელები და ისე ხნავს.

— რას შვრები! — ეკითხება განრისხებული თავმჯდომარე, — გადარბენაა თუ რა?

— ტრაქტორი ვერა სძრავს, — ცრუობს ცუღლუტი მექანიზატორი.

— ჩამოდი!

იოსები წინამხვნელებს ჩართავს სამუშაოდ, საჭესთან იკალათებს და ხუთიოდე კვალს ისე გალარავს, თქვენი მოწონებული!

— ეხლა როგო სძრავს?

თავლაფდასხმული მექანიზატორი კრინტს არ იღებს. იოსები აგრონომს უხმობს.

— შეამოწმეთ ნახნავის ხარისხი, დაახლოებით მაინც იანგარიშეთ ზარალი და კისერზე დავაწეროთ!...

დოლია გაჩაღებული. ჭირს გამოცდილი მწყემსები. ერთი მცნობი უხეირო ამბავს იგებს შინიდან: ცოლი გახდომია ავად.

იოსები გუმანობს: აქეთ-იქით სიარულს, წითელწყაროს საავადმყოფოში ტრიალს, წამლების შოვნას და ექიმებთან ლიჯინს ორ კვირას მაინც მოანდომებს გამოუცდელი მწყემსით. ეს კი, ვინ იცის, რამდენი ბატკნის სიცოცხლედ დაუჯდება ბრიგადას. არადა პირუტყვს ვილა ჩივის — აგერ, ადამიანის სიცოცხლეა საფრთხეში!...

— ყური დამიგდე, პავლე! — დინჯად იწყებს თავმჯდომარე, — არ იფიქრო, შენი გამვება არ მინდოდეს. ვინ იცის, წითელწყაროში ადგილი არ იყოს და თბილისში წაყვანა დასჭირდეს.. მოდი, ამ ყელისჭრაში ამდენ მაკე ცხვარს ღვთის ანაბარას ნუ დამიყრი და ოთხი შვილის მზეს გეფიცები, ჩემი მანქანით წავიყვან. დასტაქარსაც კარგს დავაყენებ და რა წამალიც უნდა გამოუწერონ, ქვას გავხეთქამ და ვუშოვი!

— თუკი მაგ სიკეთეს იზამ! — მუდარით ამბობს მოხუცი მცნობი, რომელსაც გულით უყვარს მეუღლე, მაგრამ არ ეხერხება სა-

ვადმყოფოს კარზე ატუზვა, წამლების ძებნა, ექიმებთან საერთო ენის გამონახვა.

იოსები დანაპირევს პატიოსნად უსრულებს თავის მწყემსს!..

ერთხელ ერთმა გაიძვერა კაცმა იოსებს ქორჩიტი ჩააწვეთა ყურში: ამა და ამ ბრიგადირმა შენზე ესა და ესა თქვა და უფრთხილდიო. თავმჯდომარე ყველაფერს მიხვდა, მაგრამ წარბიც არ შეიხარა. ცრუმაბეზღარა კაბინეტიდან აღარ გაუშვა და მდივანს ხუთიოდე მოწმე და ცილდაწამებულიც შემოაყვანინა.

— არა გრცხვენია, ბიჭო, ეს რეები გილაპარაკია ჩემზე ამ კაცთან!

ყველაფერს ერთ წუთში აეხადა ფარდა. მაბეზღარას მიწა რომ გახეთქოდა, ის ერჩია. ეს ამბავი მთელ სოფელს მოედო. ის დღე და ეს დღე — მსგავსი სიბილწე აღარავის შეუბედავს იოსებისათვის!...

ერთმა ხნიერმა, მაგრამ ახალბედა თავმჯდომარემ გაუგონარი რამ იკადრა: მეცხვარეების ბინაში რომ მივიდა, ცეცხლზე შემომდგარ გამურულ ქვაბს უბოდიშოდ მოაძრო საფარობელი და კვესა-კვესით დაიწყო.

— ხორცს იხარშავთ, არა?! ვინ მოგცათ? ვისი დაკალით? ეს ხომ ცნობილია, კერძო პირუტყვს არც სენი ეკარება, არც მგელი — მხოლოდ კოლექტივისას!... გეგმები როგორ უნდა შემისრულოთ, ხორცის ხეთქვაზე ყოფილხართ გადასული!... დამაცადეთ, ამასაც მალე გავარკვევ, რა ხორცსა ხარშავთ!

დამცირებული მწყემსები მდუმარედ უსმენდნენ ტუტრუცანა თავმჯდომარეს.

ეს ამბავი მთელმა წითელწყარომ შეიტყო. დიდი მითქმა-მოთქმა და დრტვინვა შეიქმნა. ზოგი რას ამბობდა, ზოგი — რას.

ჯლუთაშვილმა მორიდებით შენიშნა.

— რო იცოდე, იმ ქვაბში ოქროები იხარშებოდეს, მაინც არ უნდა ახლო ხელი! რა უფლებით? რა საბუთით? მეცხვარის ბინა იგივე ოჯახია და პატივით მოპყრობა ესაჭიროება. მწყემსს ისიც ეყოფა, დღედაღამე ცის ქვეშ რო გდია და რაღა შენი ლუკმის დათვლა უნდა... თუ რამეში ეჭვი გეპარება, ბრიგადირს მოჰკითხე აქტით ჩაბარებული ცხვარი. მწყემსის ქვაბთან რა ხელი გაქვს?!.

## ძაღლის ჯერი

რესპუბლიკაში როცა ლაღად ჰყვაოდა მრავალი სიმახინჯე და მანკიერება, წითელწყაროს ერთ-ერთ სოლიდურ დაწესებულებაში მოკალათებული გაიძვერა ჩინოვნიკი წალეტისა და გამოძალვის ხასწაულებს ახდენდა. ამის შესახებ მთელმა რაითნმა იცოდა და ანეგდოტებიც კი ითხზვებოდა. გასაკვირი ის უფრო იყო, რომ აზრადაც არავის მოსდიოდა მისი მხილება-ალკვეთა. თავმოყვარეობადაკარგული გამომძალველის გამათხოვრებას ყველა ისე იყო მიჩვეული და შეგუებული, თითქო ეს ასეც უნდა იყოსო.

ამ კაცმა ბოლოს ისე დაკარგა ნამუსი, რომ უჭირდა თუ არა, მაგას აღარ უყურებდა — რანაირ წარმოება-დაწესებულებაშიაც არ უნდა მისულიყო, უეჭველად რაღაცა უნდა ემათხოვრა.

რაიკომის ბიუროზე გასატანი საკითხის შესწავლის საბაბით მიადგებოდა მიზანში ამოღებულ წარმოებას, რაღაც წვრილმან ნაკლზე აუშარდებოდა ხელმძღვანელობას და ბიუროს დაამუქრებდა, მერე კი ქლესა სიცილ-სიცილით, ხუმრობა-ხუმრობით ჩააწნავდა, რის გამოცინცვლაც ეწადა.

ასეთ შემთხვევაში მასპინძლებიც მზად იყვნენ ხოლმე სამსახურისათვის: ოღონდ რაიკომის ბიუროზე ნუ გაგვჭორავენ და თავში უხლია ხუთიოდე ტომარა ცემენტი, ათასი ცალი აგური, ერთი გოჭი, ასი ცალი კვერცხი, 20 ფრთა ჩრიხვი, ერთი მანქანა წალამი, წყვილი ბატკანი, ერთი შტოფი საფერავი, ერთი წყვილი ფეხსაცმელი, იაპონური ქოლგა, ერთი კვირტი თივა, 10 მანეთის ბენზინის ტალონები, 5 მანქანა ღორღი, ბავშვების სახელმძღვანელო წიგნები, ორიოდე კანძი მატყლი, გაზქურის ხუფები, წყლის ონკანი, რკინიგზის რელსი, ფიცარი, კომბინირებული საკვები, ერთი თოფი ტოლი თუ 40 შიფერი... ერთი სიტყვით, რომელ ორგანიზაციასაც რა მოეძევებოდა!

ჰოდა, აი ერთხელ ეს ჩამრგვალებულ-ჩაჟინულილებული ვაჟბატონი თავისი განუყრელი პორტფელით იოსებ ჯლუთაშვილს ეწვია. შეუმოწმა ფერმები და მეტად სერიოზული სახე მიიღო: იდეურ-პოლიტიკური მუშაობა დაბალ დონეზეა, პლაკატები ცოტაა, დიაგრამები — მოძველებული, ლოზუნგები — გახუნებული. აგიტატორები, ეტყობა, არ მუშაობენ ხეირიანად: მოხუცმა მწველავმა არ იცოდა რა მოხდა გუშინ ნიკარაგუაში... მოკლედ, ბიუროზე გატანა არ აგცდებათო!

— რაკი დამნაშავენი ვყოფილვართ, გაგვიტანეთ. — დაჰყაბულდა იოსებიც.

ხვეწნა-მუდარას მიჩვეულმა თაღლითმა ვაჟკაცური პასუხი რომ მიიღო, ცივი წყალი გადაესხა, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, არ დაიბნა.

— იოსებ, ასეთი კაცური კაცი რომ ხარ, იმიტომ მიყვარხარ. ჩემი თავი მოგიკვდეს თუ საბიუროდ გაგიმეტო!.. ნუ გეშინია, მასალებს გავაუმჯობესებ. აბა წავედი!.. ჰო, მართლა, კინაღამ მავიწყდებოდა (სინამდვილეში კი ამისათვის იყო ჩამოსული!!!) — მაღაზიაში არსად იშოვება და ერთი ხუთი მეშოკი ფქვილი ან მომყიდე ან მახესხე!

— რა სათქმელია სენხი და მოუიდვა. — აილანძა იოსები.

— არადა ჩემზე იყოს, — დაითაფლა ჩინოვნიკი, — მე ამ მასალებს ისე გავაშანშალებ, რომ... ბევრი კი არ მინდა — ერთი ხუთი მეშოკი.

ჯღუთაშვილმა გადაწყვიტა მკუა ესწავლებინა ამ გაცივნებული კაცისათვის და მთელი სერიოზულობით გაუბა.

— ხუთი ტომარა რა არის, მაგრამ ამჯერად შინ ორიოდე გამოცხობალა თუ მეყრება.

— შენსას კი არა გთხოვ, — გაამხნევა თაღლითმა, — კოლმეურნეობის საწყობიდან გამატანე, შე კაი კაცო!

— სულ არ გადამავიწყდა! — ოსტატურად შეიცხადა იოსებმა, — თავიდანვე გეთქვა ე მაგრე. ხუთი კი არა, ათი წაიღე, რა მენაღველება.

გამომძალველმა ყურებს არ დაუჯერა. მეშვიდე ცაზე აფრინდა. ხუმრობ, ერთი მოსმით ათი ტომარა!!!

— მაგრამ, — შუბლი შეიჭმუხნა უცებ თავმჯდომარემ და მწარედ ჩაფიქრდა, — ეს ათი ტომარა ვის დავაწერო?

— შენც ერთი, — წააქეზა გაიძვერამ, — ვისა და ტრაქტორისტებს!

— ტრაქტორისტებს ეგეთი ფხიანი აღმრიცხველი ჰყავს, არ მოტყუვდება.

— არადა მეცხვარეებს!.. სულ მთა-ბარში დაყიალობენ და ძალიან ახსოვთ როდის რა წაიღეს.

— ო-ო-ო, ეგენი ეგეთი ეშმაკი ხალხია, ათ ტომარას კი არა, ათ კილოს ვერ მოამხობ.

— რაკი ასეა, მაშინ სამშენებლო ბრიგადის წევრებზე გადაანაწილებინე: ყოველდღე პურმარილობენ და ვერ მიხვდებიან.

— ვინა? — ჩაიცინა იოსებმა და ორი კაცი დაუსახელა, — მაგათ ისიც კი იციან, თავზე რამდენი ჭალარა მაქვს და უცბად ათ ტომარას როგორ წამოჰკიდებ? გვიჩივლებენ!!!

— მაშ რა ვქნათ? — დაიძმარა სტუმარი.

— სულ გამოვყეყეჩდი! — მოგონილი თვითკრიტიკით შესძახა იოსებმა, — ავიღებ და მაგ ათ ტომარას ძაღლის ჯერში გავატარებ! გინდა ძაღლებს შეუჭამიათ, გინდა — შენ! სულ ერთი არ არის! ძაღლებიც ხომ არ გვიჩივლებენ! ჰა-ჰა-ჰა!!!

მექრთმე ახლაღა მიხვდა ამ სერიოზული საუბრის მთელ სარკასტულობას და საყვედურით ჩაიდუდუნა: რა მჭირს სამაგისო, რომ ძაღლებთან მადარებ და ძაღლის ჯერის ჭმევას მპირებო.

— არ გჭირს და მა რას დაეთრევი და მათხოვრობ — შენზე ანეკდოტები დადის! — ახლა კი ჩამოიგლიჯა იოსებმა ნიღაბი, — რატო არა გრცხვენია, კაცი არა ხარ, ულვაში არ გასხია?!.. მართლა რო გჭირდეს და ცოლშვილი შიმშილით გეხოცებოდეს, როგორც ომის დროს იყო, შენი თქმა რათ მინდოდა, მე თვითონ მოგიტანდი! რატო ვერაფრით გამძღარხარ? რა არის ეგეთი გაწუწკება!.. სახელს რათ უტეხ ან შენს ოჯახს, ან შირაქელ კაცს, ან იმ დაწესებულებას, სადაც შენა ზიხარ!.. იცოდე, თუ გავიგე რომ სადმე კიდევ გიმათხოვრია, ცხვირ-პირს დაგინაყავ! ეხლა წადი და ბიუროზე კი არა, თუნდა ყრილობაზე გაგვიტანე!

კუკუამოკრული თაღლითი ცოცხალმკვდარივით ამოჩანჩალდა წითელწყაროში და თავის ამხანაგებს რომ შეხვდა, ერთი სისულელე კიდევ ჩაიდინა: იოსები კაცი არა ყოფილა, ერთი ტომარა ფქვილი ვთხოვე და — ძაღლის ჯერში გავატარებ და ისე გაგატანო, ძაღლად გამომიყვანა რა!

ამ ამბავმა ბევრი ახარხარა მსმენელები და რაიონს ხანძარივით მოედო.

მალე რესპუბლიკაში ახალმა სიომ დაჰბერა. იმ გაიძვერა მექრთამეს ამოჰკრეს წიხლი და გამოაგდეს სამსახურიდან. „ძაღლის ჯერის“ ამბავი კი არ გახუნებულა. დღესაც ბოგინობს წითელწყაროში და არ კარგავს თავის ძველებურ სიმახვილეს: თუ ვინმეს გამოძალვისა და ქრთამისადმი მიდრეკილების ნიშნებს შეატყობენ, ოსტატურად გადაუარაკებენ ხოლმე „ძაღლის ჯერის“ ისტორიას და ყველაფერი ამით მთავრდება!

## კაფია! კაფია!..

იოსებ ჯღუთაშვილი პოეტი კაცია. მართალია, ლექსების კრებული არ გამოუცია პოეტის კვალობაზე, მაგრამ ის მაინც ნიჭითცხებული პოეტია, თანაც ისეთი კი არა, ლექსთან რომ ცოდვილობენ და ზღვა მელან-ქაღალდს აფოლებენ. არა! ექსპრომტად, სხარტად, მიზანში — კაფიებზე მაქვს ლაპარაკი!

შირაქელები მთიდან არიან ჩამოსახლებულნი. მრავალგვარ ზნე-ჩვეულებასთან ერთად მათ კაფიების შნო და სიყვარულიც ჩამოიტანეს და დღემდე აგრძელებენ. თვით იოსები ხომ პირველი მოკაფიავეა. სხვანაირად არც შეიძლება, რადგან თუ სოფლისთავი და პირველი კაცი ხარ, კაფიაობაშიც პირველი უნდა იყო, თორემ თუ ჩაგჭრეს თანასოფლელებმა, მერე მორჩა: გინდა მჯდარხარ კაბინეტში, გინდა არა — შენს თავმჯდომარეობას აღრინდელი ზავთი და ლაზათი აღარ ექნება.

მკითხველმა ისე არ გაიგოს, კაფია კაფიისათვის უნდოდეთ და ეს უბრალო მოსწრებული სიტყვებით ჟონგლიორობა იყოს. არა, კაფიით მშრომელს აქებენ, დაღლარას — დასცინიან, მეტიჩარას — კილავენ, მავნე ტრადიციას ებრძვიან, ცხოვრებას ილამაზებენ. ამას ქვემოთ დავინახავთ.

ერთხელ სოფელში ღრმად მოხუცებულს ასაფლავებდნენ. დეკემბრის ყინვა ძვალ-რბილში ატანდა. ცხედარი უნდა ჩაასვენონ სა-

მარეში, მაგრამ ერთი მოტირალი დედაბერი, არ იძლევა ამის საშუალებას: ცხედარს ათასგვარ რალაცეებს „აბარებს“ იმ ქვეყნად თავის მკვდრებთან.

პროცესია დაღალა ყინვაში უაზრო დგომამ, სტუმრებს პირისახე ეტუსებათ, დედაბერი კი ბაიბურშიაც არ არის და ტირილით „აბარებს“: ბეწინას ეს უთხარი, ბაბალეს — ეს, მათურის — ეს, თებროლეს — ეს, რაიბულს — ესო...

საყვედური და შენიშვნა ყველას ეუხერხულება, არადა... მაშინ იოსები წინ წადგა და გასაგონი ხმით წაილაპარაკა.

დღეს არ მეწადა ლექსის თქმა,
არც უზურს მქონდა კაფია...
არ დაავიწყდეს, დედილამ,
თითზე შაბი ძაფია!

ყველას გაეცინა. მოტირალიც გამოფხიზლდა, მიხვდა, რომ აჭარბებდა და ამ გაუთავებელ „დაბარებასაც“ ბოლო მოეღო...

ერთ უბირ დედაბერს, რომლის შვილიშვილი ოქროს მედლის კანდიდატი იყო სკოლაში, ეგონა, რომ რაკი იოსები სოფელს თავკაცობდა, ყველაფერზე განუკითხავად მიუწვდებოდა ხელი, და ქუჩაში რომ შემოხვდა, კაფია შეაგება.

თუ ნანას დაეხმარები
მიაღებინებ მენდალსა,
დაგიკლამ დუმიან აზმანს
ზედ მიგიყოლებ დედალსა.

ჭლუთაშვილს გაეცინა და არ დაუგვიანა.

ასე იცოდე, მოხუცო,
ასე უთხარი ნანასაც,
თვითონ მიიღოს მედალი და
მე ჩემით დავკლავ ტანასა!...*

ერთი ახალგაზრდა მევენახე პირდაპირ გიჟდებოდა „ჟიგულისთვის“, მაგრამ რიგით ჯერ არ უწევდა. ამიტომ თავმჯდომარის დანამუსება გადაწყვიტა და ერთხელ, საერთო კრების დაწყებამდე, როცა ხალხით იყო გაჭედილი კანტორის ეზო, კიბეზე ამავალ იოსებს შესძახა.

„ჟიგულ“ მამეცი, იოსებ,
მაგიკრეფ ვარდის კონასა,
თუ ვარდი არად გიღირს და, —
ქრთამს მოგცემ შენსა წონასა!

იოსებმა გადმოსძახა.

მოგართმევ, თუკი ჰექტარზე
მიიღებ ათსა ტონასა!

ეს იყო კაფიაც, გამოწვევაც, სოცვალდებულების ზეპირად გაფორმებაც, რომელსაც ქაღალდი და ბეჭედი აღარ სჭირდებოდა — დამსწრე ხალხზე საიმედო ბეჭედი რაღა უნდა ყოფილიყო! ახალგაზრდამ არ დაზოგა ძალღონე, თავისზე გაპიროვნებული თვითეული ჰექტარიდან 10 ტონაზე მეტი ყურძენი მიიღო. თავმჯდომარემაც ურიგოდ მისცა ცინცხალი „ჟიგული“...

წითელწყაროში ერთი კაცი ცხოვრობს, რომელიც ერთ იჯრაზე ათ ბოთლ ღვინოს ისე უბრალოდ სვამდა (ახლა თურმე კუჭის ტკივილი ჰკლავს და წვეთს აღარ იკარებს), როგორც თქვენ ერთი ფინჯანი ყავა გადაჰკრათ. ამიტომ მეტსახელად ათლიტრიანს ეძახდნენ. ამ კაცმა ახირება და კვეხნა იცოდა: გინდა თუ არა, შენც უნდა დალიოო და აი, მე რამდენსა ვძაბრავო.

ერთხელ ისა და ჭლუთაშვილი ერთად მოხვდნენ პურობაზე. სუფრას ამშვენებდა განთქმული ტიბაანური მწვანე. უკეთეს ღვინოს ვერც ინატრებდით. იოსები არ იყო ხმის იშტაზე. ათლიტრიანი, ჩვეულებისამებრ, აუხირდა, დალიეო, მაგრამ რომ ვერას გახდა, გაებრაზა და კაფიით დაურახრახა შირაქელ თავმჯდომარეს.

რამდენ ყანწს ავაყირავებ,
იჯექ, შორიდან თვალეო,
ღვინოა ბრძენთა სასმელი,
ჭლუთას რათ უნდა მწვანეო!

უხერხული დუმილი ჩამოწვა. იოსებმა შენიშნა.

ვიცი და მეც ეგ მაწუხებს,
რომ ზოგჯერ ბრიყვნიც სვამენო.

სიცილმა იფეთქა. ყველაზე ბევრს თვით ათლიტრიანი როხროხებდა. შუა სიცილშილა მიხვდა, რომ „ბრიყვში“ სწორედ ის იგულისხმებს და ენა ჩაიგდო მუცელში...

საზოგადოდ, ცნობილია, რომ კოლმეურნეობის და საბჭოს თავმჯდომარეები ერთმანეთს ზოგჯერ ხუმრობით კრიჭაში უდგანან ხოლმე და უყვართ ერთმანეთის გაკილვა. ჰოდა, ერთხელ საბჭოს თავმჯდომარე აუხირდა იოსებს: წაგვიყვა სახლში, ყელი დაგვილბეო და კაფიაც მიუყოლა:

სად მალავ მაგდენ ჯამაგირს,
რა არის შენი მიზანი,
ბოლო ხანს ხალხმა შეგატყო
წუწურაქობის ნიშანი.

ჭლუთაშვილმა დარიგებით მიუგო.

რათ გინდა ლუგუმი ლექსი,
არც გინდა მიეთ-მოეთი:
ბიწინტურაი ქოხსა სწნავს,
გიჯობს უნახო პროექტი!

ხალხი სიცილისაგან დაიხოცა: ერთმა სოფლელმა ბინა პროექტის საშინელი დამახი-

---

* ტანა — დეკეული.

ნჯებით აიშენა, რისთვისაც საბჭოს თავმჯდომარე რაიკომის ბიუროზე გვარიანად შეახურეს და იოსებმაც სწორედ ეს გაუხსენა...

ერთ კოლმეურნე ქალს ჰყავდა მეათე კლასელი გოგო, რომელსაც სწავლაზე წელი სწყდებოდა და სულ ბიჭებზე ეჭირა თვალი. ერთხელ დედამისი გამოეცხადა თავმჯდომარეს: რაც ფული მერგება, მომეცით, გოგო უნდა წავიყვანო თბილისს მოსამზადებლადო.

იოსებმა ჭკუაზე დაარიგა: ათი კლასი ძლივს დაამთავრა, ჯობია ჯერ კოლმეურნეობაში იმუშაოს და სტაჟი დაიგროვოს, ეგეც არ იყოს, ძალზე თამამია და თავისი სიჯიუტით და გამოუცდელობით თავში საცემი საქმე არ დაგმართოსო. დედამ თითქო დაიჯერა შეგონება და უკანვე გაბრუნდა, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ ისევ მოვიდა: შვილს უსწავლელს ვერ დავაგდებ, რაც ფული მერგება, მომეციო.

მეტი რა ჩარა ჰქონდა თავმჯდომარეს — ნაშრომს ხომ არ დაუჭერდა?

რეზოლუციით ჩახუჭუჭებული განცხადება ხელთ რომ იგდო, ქალი კაფიის ხასიათზე მოვიდა.

ფულ არ მენანის, იოსებ,
ბზესავით ვუზამ ბნევასა...
საფილოლოგედ ვამზადებ,
ისწავლის ენის ქნევასა.

ჯღუთაშვილმა სინანულით მიუგო.

მარტო მაგას თუ დაჯერდა,
მადლი შავსწიროთ ზენასა!

კარგა ხნის წინათ, მეცხვარეობის ერთ-ერთ ბრიგადას სათავეში ედგა ერთი ავყია, ქარაფშუტა და მკვეხარა კაცი, გვარად ჩოხელი, რომელიც თავის ჭკუაში ჩასპანდლობდა და ცხვარ-მეცხვარე კი ბედის ანაბარას ჰყავდა მიგდებული. ბრიგადას მწყემსთა დენადობა ღრღნიდა. ჯღუთაშვილი ყველაზე კარგ მწყემსებს ჩოხელს უგზავნიდა, მაგრამ აკრაკსა და ლოთს ღიდხანს ვინ გაუჩერდებოდა! ბრიგადა დაშლაზე იყო. სხვა წამალი რომ არა გამოინახა რა, გამგეობის კრებაზე, რომელსაც ცენტრალური კომიტეტის ინსპექტორი და რაიკომის პირველი მდივანი ესწრებოდა, თავმჯდომარემ წინადადება დააყენა ულირსი ბრიგადირის მოხსნაზე. ამან სულ გადარია ჩოხელი. რაკი დაატყო, ჩემი საქმე წასულიაო, წამოხტა და თავმჯდომარეს გულის მოსაფხანადლა დაუტატანა.

ისე მკაცრად მთხოვ, იოსებ,
თითქოს მიგებდე ნოხებსა,
რა შევაჰმინო, მითხარ, მწყემსს, —
ჯიუტს, ბრიყვსა და ოხერსა!

წამიერი დუმილი.

მწყემსები მიტომ გარბიან
ფხა რომ არა აქვს ჩოხელსა!! — დაბეჭდა იოსებმა.

ბრიგადირი მოხსნეს. ერთხელ [illegible] ეს, თუმცა ჯობია კაფიები აქ დავამთავროთ, თორემ ჟურნალის ერთი ნომერიც არ გვეყოფა...

კაცის და მით უმეტეს მიწის მუშაკის ცხოვრება არ იქნებოდა ხუმრობის, იუმორის, მოხწრებული სიტყვა-პასუხისა და ჯანსაღი სიცილის გარეშე. ბუნებამ არც ამ მხრივ იძუნწა იოსებისადმი.

ერთხელ, ივლისის ხვატში, ალოობისას, ქვემო ქედის კანტორას ვოკალურ-ინსტრუმენტალური ანსამბლის ადმინისტრატორი მიადგა, რათა თავმჯდომარეს კონცერტების დროსა და ადგილზე შეთანხმებოდა წინასწარ. კანტორაში კაცის ჭაჭანება არ იყო. სტუმარი რუსი ყოფილიყო, ჩიქორთულლი ქართული კითხვა-ლაპარაკით იოლას ძლივს გადიოდა თურმე და თავმჯდომარის კაბინეტზე წარწერილი „იოსებ ჯღუთაშვილი“ შემთხვევით „იოსებ ჯულაშვილად“ არ წაეკითხა! ირგვლივ ადამიანის ხსენება არ არის, რომ იკითხოს, არადა დაფეთებულ კაცს ველარ გაუგია სადაა: შირაქში, კრემლში თუ გორში! ან ეს რომელი იოსებ ჯულაშვილია და აქ რა უნდა?! ასოციაციებით ვინ იცის, რამ არ გაუელვა თავში! მალე იოსებიც მოვიდა თავისი ხალხით.

— რუსულში „ჯ“ და „ღ“ რომ არა გვაქვს, იმიტომ უფრო შევცდი, — თავს იმართლებდა მერე სტუმარი და ოფლს იწმენდდა, — მეც არ ვიფიქრე, აქ ჯულაშვილებს რა უნდათ-მეთქი.

— როგორ თუ რა უნდათ, — სერიოზულად მიუგო იოსებმა, — მე თვითონ სტალინის შვილიშვილი ვარ და ამ წარწერაზე წითელწყაროს სტამბაში კორექტურა გაჰპარვიათ.,. დამაცადონ!

— ველარ მომატყუებთ, ვერა! — იცინოდა დამშვიდებული სტუმარი. მათი შეხვედრა კარგი გარიგებით, პურმარილით და დამეგობრებით დამთავრდა...

## დაუჯერებელი ამბავი

მაპატიოს მკითხველმა რომ კოლმეურნეობის გეგმის შესრულების, ციფრების და პროცენტების ნაცვლად ჭრელ-ჭრელ ამბებს ვყვები. მაგრამ მე ვცდილობ დავხატო ხალხის საყვარელი თავმჯდომარე თავისი უბრალოებით, ვაჟკაცობით, გამჭრიახობით, ცხოვრებისეული უტყუარი გეშით.

ისე კი, დაინტერესებულთ შემიძლია ვაუწყო, რომ ქვემო ქედის კოლმეურნეობა ერთ-ერთი უძლიერესი და პოტენციურია რაიონში და ყველა სახეობაში დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ყოველგვარ ვალდებულებებს. მათ არაფერი არ უჭირთ. ან რა უნდა გაუჭირდეთ, როცა მათ კუთვნილ 15 600 ჰექტარ მიწაზე 2 500 მსხვილფეხა, 13 500 ცხვარი, 2 000 ღორი და 14 000 ფრთა ფრინველი იმწყემსება, როცა შირაქში

60 ავტომანქანას, 68 ტრაქტორს და 24 კომბაინს ავუგუნებენ მკლავმოუღლელი მშრომელები.

მათ საარაკო წარმატებებიდან მხოლოდ ერთს მოვიტან, რომელიც ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს: მეათე ხუთწლედის პირველ წელს ქვემოქედელებმა გეგმიური 100 ჰექტრის ნაცვლად გააშენეს 330 ჰექტარი ახალი ვენახი, მთელს რესპუბლიკაში ამ მხრივ პირველობა არავის დაანებეს და გაზეთ „კომუნისტისა" და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა და ფასიანი საჩუქრები დაიმსახურეს!..

რას ნიშნავს სოფლისთვის კარგი და ცუდი თავმჯდომარე, ხელმძღვანელი? ქალაქელ მოსამსახურეს თუ კარგი ხელმძღვანელი ჰყავს და შეეწყო, მაგას რაღა სჯობია, არადა აი დარდი — გამოიცვლის სამსახურს და მორჩა — ქალაქში რამ დალია წარმოება-დაწესებულებები? ასეთ შემთხვევაში ქალაქელი კაცის ცხოვრებაში იცვლება სამსახურის შენობა, ქუჩა და ტრანსპორტი, ესეც არა ყოველთვის!

მაგრამ ასეთ შემთხვევაში გლეხკაცმა რა ქნას, როცა სოფელში ერთი კოლმეურნეობა და ერთი თავმჯდომარეა? ცხოვრება რთული და უკუღმართია: არაა გამორიცხული თავმჯდომარეს წაეკინკლაო, შეეჯახო ან აწყენინო. თუ ხელმძღვანელი ვაჟკაცი და სამართლიანია, დიდსულოვნად მოგიტევებს, მაგრამ თუკი, ილიას თქმისა არ იყოს, „ერთი აჯამი, გულქვა, რეგვენია" და დევნა-შევიწროვება დაგიწყო, მაშინ?

რუს მწერალს ვასილ შუკშინს ერთი საოცრად გულში ჩამწვდომი მოთხრობა აქვს — „პროფილი და ანფასი". მოკლე შინაარსი ასეთია: ალტაის ერთ-ერთი მეურნეობის ახალგაზრდა შოფერს ერთი კათხა ლუდისათვის მართვის უფლებას ართმევენ ერთი წლით. ბიჭს ჯარი მოუვლია და სამი-ოთხი სპეციალობა მაინც აქვს: დურგალი, მექანიკოსი, ზეინკალი, ხარატი, მაგრამ გადამტერებული დირექტორი არსად არ უშვებს და მხოლოდ მეღორეობის ფერმიდან ნაკელის გატანას სთავაზობს. ახლა რაზეა გადაკიდებული? ამ ბიჭს ქაბუკობისას მის ქალიშვილთან რომანი ჰქონია და თავიდანვე სძულებია თურმე. ხედავთ! ბიჭს დამცირებად მიაჩნია ნაკელი ხვეტოს, როცა ჯიბეში რამოდენიმე ხელობის მოწმობები უწყვია. მოხუცი დედა ეხვეწება ნება დართოს, რომ დირექტორთან მივიდეს და შეავედროს მისი თავი, მაგრამ ბიჭი ყალყზე დგება — კარგად იცნობს გულქვა თავკაცს. ბოლოს გადაწყვეტს სამუშაოდ ქალაქში გადაიხვეწოს!

ცრემლსა და ჟრუანტელს ვერ იმაგრებთ, როცა გაცილების ადგილს კითხულობთ. მოთხრობაში აღარა ჩანს, ეს ბიჭი ქალაქში გალოთდება, სტახანოველი გახდება, გალარიბდება თუ გამდიდრდება, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ქედანა ხელმძღვანელის წყალობით ახალგაზრდა კაცი მოწყდა მშობლიურ ბუდეს და დაბრუნდებაღა თუ არა სოფელში, ეს ღმერთმაც არ იცის.

კარგი იქნებოდა ეს მოთხრობა ყველა თავმჯდომარეს წაეკითხა და ზოგი რამ გაეთვალისწინებინა. ამას იმიტომ ვწერ, რომ აგერ არცთუ შორეულ წარსულში (სამწუხაროდ, ზოგჯერ დღესაც კი) ისეთ რაღაცეებს გაიგონებდით ზოგიერთი თავმჯდომარის თვითნებობაზე, თავგასულობასა და პატივმოყვარეობაზე, უბრალოდ ყურს არ უჯეროდით, ანდა ანერვიანებული კაცის შეხანხლული ამბავი გეგონათ,

რატომ დამჭირდა ამხელა შესავალი? მინდა ერთი პატარა მაგალითი გავიხსენო, რომელიც უეჭველად დაგვეხმარება ქვემოქედელი თავკაცის ხასიათის გახსნაში.

ვინ არ იცის, რომ თითქმის ყველა სოფელში მოიპოვებიან თითოოროლა ახირებული ბუნების კაცები, რომელთაც ხელს არ აძლევთ ძლიერი ხელმძღვანელი. ისინი ნიადაგ ინტრიგანობენ და ცდილობენ თავმჯდომარედ დასვან თავიანთი კაცი, ხელთ იგდონ კოლმეურნეობის სადავეები და განუკითხავად თალონ და ანიაონ ხალხის დოვლათი.

ასეთები ქვემო ქედშიც იყვნენ. მათ ჯღუთაშვილის მოცილება ეწადათ, მაგრამ ნარი სხვისი ხელითო, ფიქრობდნენ. აიღეს და ერთი თავფქვილა კაცი გააბრიყვეს: რა ვუთხარით ისეთ თავმჯდომარეს, შენისთანა ვაჟკაცსა და სარისტიანს უმუშევრად რომ ატარებსო. იოსებმა შეჭამა კოლექტივი, ფერმები გაანახევრა, ნახევარ მოსავალს თავისთვის იმკის, სულ ნათესავები შემოიკრიბა, მაგის დანაშაულები რომ იცოდნენ, ერთ დღეს არ გააჩერებენო. ამბის მიმტანი არავინ არის, თორემ.., მოდი, ეს საქმე ითავე და არ დაგკარგავთ: ჩვენც ვიცხოვრებთ და შენც გაცხოვრებთო.

ერთი სიტყვით, ეს ცეტი კაცი საბოლოოდ შეაგულიანეს, დაარიგეს და ყასიდად, შარის ასატეხად შეგზავნეს იოსებთან: მემატყლედ გამიშვიო.

— სადაც იყავ, არც ის იყო ურიგო ადგილი, მაგრამ ვერ ივარგე და ვისი ბრალია, — უპასუხა ჯღუთაშვილმა, — ხომ გახსოვს, ხალხი რომ არა, საციხედ გქონდა საქმე. მას აქეთ დაჰყიალობ ცუდუბრალოდ და ხელის განძრევას არ აპირებ, რა პირით ვთხოვო გამგეობის წევრებს შენი მემატყლედ გაშვება? ვენახებში მუშახელი გვიჭირს, გამოდი, დაგვენახე, სოფელს ძველი ცოდვები დაავიწყე და აქ არა ვართ!

— მაშ არ მიშვებ მემატყლედ? — მუქარით ჰკითხა გაქეზებულმა.

— არა!

— მაშინ თბილისში გიჩივლებ!

— რაზე?

— ეგ ჩვენ ვიცით!.. ოხ, ერთი თოვლებისაგან გზები არ იყოს ჩაკეტილი და ავტობუსები დადიოდნენ, რო დღესვე წავსულიყავი!..

— ეგ არაფერი, ორხიდიან მანქანას მე გათხოვებ!

— მათხოვებ?! ჰმ... მაგრამ ჯერ საქალაქო ფულიც არა მაქვს.

— ფულსაც გასესხებ.

— მასესხებ?.. მერე რაღა ჩაგასესხო?

— აი კაცი!.. მაშინ გაჩუქებ.

ზოგს შეიძლება შეთხზული ეგონოს, მაგრამ მართლა დაუჯერებელი ამბავი მოხდა: იოსებმა თავის მომჩივანს გადაუთვალა ფული, აუხსნა ცენტრალურ კომიტეტში რა წესითა და რიგით უნდა შესულიყო, ათხოვა ახალი „კოლმეურნე“ და თბილისის გზას გაუყენა.

ერთ კვირაში თავმჯდომარემ თბილისიდან მომჩივნის წერილი მიიღო: ფული გამითავდა და ერთი ასი მანეთი მომაშველეო.

ჯლუთაშვილმა გაუგზავნა.

მეშვიდე დღეს ახლა ტელეფონით გააბა ჩხავილი — ფულიო.

იოსები კიდევ აპირებდა შველას, მაგრამ ერთი სანდო კაცისაგან შეიტყო: მოკალათებულია სასტუმროში, ცენტრალურ კომიტეტში მისვლა აზრადაც აღარ მოსდის, მთელი დღე რესტორანში გდია და ხუთვარსკვლავიან კონიაკს სვამსო.

გაცეცხლებულმა თავმჯდომარემ ფულის ნაცვლად წერილი აფრინა: თავი დაანებე კონიაკის წრუპვას, მიდი და მიჩივლე, თორემ მანდ თუ ჩამოვედი, სხვანაირად აგიყვავებ გვერდებსო.

რესტორნის ზმანებებით გაბრუებული ნაცარქექია წერილმა გამოაფხიზლა და ახლაღა გაიხსენა შირაქში დაბრუნება.

პირში ჩალაგამოვლებული ვაჟბატონი ჩამოჩანჩალდა ქვემო ქედში და იოსებს წარუდგა: სხვებმა წამაქეზეს, ეს ერთი მაპატიე, მოსისხლედ ნუ გამიხდები და ხვალვე გამოვალ სამუშაოზეო.

ჯლუთაშვილმა დაამშვიდა: რომელი აღა მახმად ხანი მე მნახე მოსისხლედ გადაგეკიდო, შენც იცი, მე მაგის კაცი არა ვარ, თავი დაანებე სხვის დაირაზე ცუნცრუკს და შენს ცოლშვილზე იფიქრე — როდემდე უნდა იდგეთ კანტორის კარებზე ავანსისათვისო.

ეს ამბავი მთელმა წითელწყარომ შეიტყო რაღას არ იძახოდნენ.

— პირველად მესმის თავმჯდომარეს მტრისათვის ფული და მანქანა მიეცეს — წადი და მიჩივლეო, რატო „ის“ თავმჯდომარე არ იყო, რომ...

ერთმა თავმჯდომარემ კი იოსებს მხარზე ხელი წამოჰკრა და გაუცინა.

— ოჰ, რა ხარ, იოსებ, რას არ მოიგონებ ხოლმე შენი განდიდებისათვის!

— ეგ არც მიფიქრია! — ცივად მოუჭრა ჯლუთაშვილმა, — ასე რომ არ მექნა, ვალში ჩაავდებდნენ მაგ საწყალს და მთელი წელიწადი აქეთ-იქით კანკალს მოუნდებოდა. ახლა კი დოლში წავიდა დამხმარეთ და თავის მშიერ-ტიტველ ცოლ-შვილს ლუკმას გაუჩენს!

## მიწამ საათი არ იცის!..

ერთხელ, რაღაც საქმეზე კოლმეურნეობას თბილისიდან ოფიციალური სტუმარი ეწვია.

ჯლუთაშვილმა მანქანაც ათხოვა და კაცებიც დაახმარა, რომ რიგიანად ესაქმა. საღამოთი კი ერთ კარგ ვახშამსაც მოაბა თავი ტყის პირას, სუფთა ჰაერზე. ოღონდ თვითონ ისე იყო გადაქანცული, პურობაზე არ დარჩენილა.

— რატომ გამეპარეთ წუხელის? — ღიმილით უსაყვედურა დილით სტუმარმა და „ბორჯომი“ ზიზღით მოსვა.

— ძალზე დაღლილი ვიყავი, — გაუტყდა იოსები, — ეგეც არ იყოს, მთელი თვე ბაღლები არ მენახა ხეირიანად და ვიფიქრე...

— ა-ა-ა-, — მიუხვდა სტუმარი, — კურსებზე იყავით თუ შვებულებაში?

— არც ერთგან! — მიუგო თავმჯდომარემ და რაკი ქალაქელის სახეზე შეცბუნება დალანდა, განუმარტა, — მოცლა არა მაქვს: დილით გამოვდივარ — სძინავთ, ღამით მივდივარ — სძინავთ! როდისღა...

— კი მაგრამ, რომელ საათზე იწყებთ მუშაობას — ცხრაზე თუ რვაზე?

ამ გულუბრყვილო კითხვამ ცხადყო, რომ ერთმანეთის პირისპირ იდგა ორი განსხვავებული ადამიანი. ერთი მათგანი კაბინეტის კულტურული პედანტ-პუნქტუალისტი, რომელსაც თავის სიცოცხლეში გატენილ პორტფელზე მძიმე არაფერი აეწია და ცხრის თხუთმეტ წუთზე უფრო ადრე ჯერ არ წასულიყო სამსახურში.

მეორე — შირაქის პირმშო, მიწის შვილი, კოლმეურნეობის თავკაცი, რომელიც მგლის ალიონზე უნდა მივიდეს კანტორაში და ხალხი და მანქანები გაანაწილოს. მერე მთელი დღე ზინდვრებსა და ფერმებში იაროს. სადაც მოუხდება, იქ მოიტყუოს კუჭი, საღამოთი ისევ კანტორაში მოტრიალდეს და სპეციალისტებს, დარგის ხელმძღვანელებს და წევრებს ეთათბიროს, ედაოს, ეხვეწოს, უსმინოს ათას საქმეზე, სახლში შუაღამისას შევიდეს და დილის 5-6 საათზე ისევ ფეხზე იყოს!

— საათი! — გაეცინა იოსებს, — მიწამ საათი არ იცის!.. ის იძახის: სულ ჩემთან იყავი, სულ მე მეფერე და მეალერსეო. მიწა ლამაზ ქალსა ჰგავს: თუ გინდა და გიყვარს, სულ იმასთან უნდა იყო, თორემ თუ შეგატყო პაწაწინა გულგრილობა და დაუდევრობა, მერე მორჩა!.. ჰოდა, ჩვენ რომ რვა-ცხრა საათზე შევუდგეთ მუშაობას, რაღა დახლი დაგვიჯდება? ცხრა-ათ საათზე კარგი კოლმეურნე უკვე მუშაობით უნდა იყოს გამძლარი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ გვერდწითელი

# ახალი გმირის ძიებაში

(1977 წლის ქართული მხატვრული პროზის, კერძოდ, რომანის გამოცდილება)

ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრის და სამოციანი წლების მნიშვნელობა საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისათვის, მართლაც, მეტად დიდია. იმ დროის საზოგადოებრივი ცხოვრების დამახასიათებელი მთავარი ნიშანი — განახლებისადმი შინაგანი ლტოლვა, თვითკრიტიკული ანალიზის მოთხოვნილება, საკუთარი კონსერვატიზმის დაძლევის წადილი — თვისობრივად ახალი განვითარების საწინდარი გახდა. ეს, შეიძლება ითქვას, რევოლუციური სიახლე ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს დაეტყო, მოყოლებული პოლიტიკური-საზოგადოებრივიდან ეკონომიურ-ყოფითამდე.

ცხადია, განახლების ტალღამ ლიტერატურასა და ხელოვნებასაც შეაცვლევინა გეზი, ახალი ორიენტაცია დაუსახა მას, ახალი მიმართულება მისცა მის დინებას, ახალი ძალით აავსო იგი. ჩვენ ყველანი მოწამენი ვართ იმისა, თუ ამან რა მშვენიერი ნაყოფი გამოიღო საბჭოთა მწერლობაში, კერძოდ ქართულ მწერლობაშიც. იმ ხანის მწერლობის თვისობრივი სიახლეები თვალნათლივიცაა და შეძლებისდაგვარად აღნუსხულიც. ამიტომ აქ მათ არ ჩამოვთვლით. მე მხოლოდ რამდენიმე მთავარ თვისებაზე შევაჩერებ ყურადღებას, რომლებიც ახლა, უკვე 70-იანი წლების ლიტერატურის სიახლეების გასარკვევად და კერძოდ 1977 წლის ქართული მხატვრული პროზის მნიშვნელობის, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსაკვეთად, ჩემი აზრით განსაკუთრებით საინტერესოა.

მაშინ განახლებისათვის ბრძოლის მთავარ ასპარეზად ლიტერატურული გმირის წარმოსახვასთან დაკავშირებული პოზიციები იქცა. რევოლუციურ რომანტიკით მოსილ გმირებს 20—იანი და ნაწილობრივ 30—იანი წლების ლიტერატურაში დამსახურებულად დაეთმოთ პირველობა, რადგან უშუალოდ ცხოვრებიდან იყვნენ გადმოსულნი მხატვრულ ნაწარმოებებში და რევოლუციისათვის თავგანწირულ თუ ახალი საზოგადოების შთაგონებით მშენებელ ადამიანებს განასახიერებდნენ. როგორც ეს ხშირად ხდება, ამ ჯანსაღი ტენდენციის თანდათანობითმა გაზვიადებამ და გაყალბებამ „გმირომანიის“ საშიშროება შექმნა, რაც უკვე იმავ 30-იან წლებში შეიმჩნეოდა და რამაც განსაკუთრებით მახინჯი ფორმები ომისშემდგომ ლიტერატურაში მიიღო. სწორედ ამ დროს დამკვიდრდა „ძლიერი გმირის“ კულტი, როცა მწერლები რეალურ გარემოში კი არ ეძებდნენ თავიანთ ნაწარმოებების პერსონაჟების პროტოტიპებს, არამედ მხოლოდ, ან მეტწილად საკუთარი ფანტაზიით თხზავდნენ გმირებს და ნაკლებ უწევდნენ ანგარიშს იმას, რასაც ცხოვრების სიმართლე ჰქვია. ამან გამოიწვია ყოველმხრივ შემკული, თუმცა მანეკენური სილამაზით აღბეჭდილი, ფუყე და უსიცოცხლო გმირების მომრავლება საბჭოთა ლიტერატურაში, რომლებიც ავტორების ნებასურვილით იოლად აღწევდნენ ყველაფერს, გარდა ერთისა და მთავარისა — მკითხველების გულებისა.

ამ ტენდენციის უარყოფისა და დაპირისპირების გზით წარმართა 60-იანი წლების საბჭოთა ლიტერატურა და ეს სავსებით ლოგიკური, აუცილებელი რეაქცია იყო, რითაც მწერლობას თავი უნდა დაეღწია მომაკვდი-

ნებელი სენისაგან — სიყალბისაგან. ამ ახალ ლიტერატურას „ანტიგმირის" ლიტერატურას უწოდებს ზოგიერთი. მაგრამ ეს არ არის ზუსტი და მართებული განსაზღვრა. არსებითად „ანტიგმირი" სწორედ ის ფსევდორომანტიკით დაღდასმული გმირი იყო, რომელიც საზოგადოებას, მასებს, საკუთარი შინაგანი სიძლიერით და სიმშვენიერით კი არ უსწრებდა წინ, რომ გზა გაეკვალა მათთვის, არამედ მხოლოდ ავტორის მიერ იყო მათზე წინ დაყენებული, როგორც ამას ტყვიისაგან ჩამოსხმული ქონდრისკაცებით თამაშის დროს აკეთებენ ხოლმე იოლად. ახალი მწერლობის გმირს კი „ანტიგმირი", სულაც არ ეთქმის, რადგან იგი სწორედ რეალური ადამიანების მხატვრულად განზოგადებულ სახეს წარმოადგენს, რომელიც ცხოვრების სიმართლით არის სავსე და უტყუარად გამოხატავს თანამედროვეთა აზრსა და გრძნობას, წადილსა და ყოფას.

იმ ფუყე და მანეკენურმა გმირებმა სავსებით კანონზომიერად გამოიწვია მწერლობის უკურეაქცია. მათი უსიცოცხლო და ყალბი გამომეტყველებით არამარტო შეწუხებულმა, არამედ შეშინებულმა მწერლობამ მთელი თავისი ყურადღება ცოცხალ ადამიანს მიაპყრო, რომელიც გარეგნულად არაფრით არ იყო გამორჩეული. სწორედ ამან მონათვლინა ზოგიერთებს იგი „ანტიგმირის" ლიტერატურად. მაგრამ აბა გადავავლოთ თვალი ამ ლიტერატურას, რა ხალასი მშვენიერებით, დიდი და ადამიანური სიკეთით, სათნოებით სავსე გმირები გაიელვებენ ჩვენს წინ. 60-იანი წლების ლიტერატურამ სწორედ მათი მეშვეობით შესძინა მხატვრულ სამყაროს საოცარი ზნეობრივი სისუფთავე, სისპეტაკე, რომელიც თავად ხალხის ცხოვრებიდან იყო გადმოსული და მერე ისევ ხალხსვე უბრუნდებოდა როგორც მხატვრული ნიმუში ჭეშმარიტი ჰუმანურობისა, ადამიანის კეთილი ბუნებისა, მისი ცხოვრების აზრისა და მოწოდებისა. გავიხსენოთ ამგვარი გმირების პირველი მერცხლები ქართულ მწერლობაში — ედიშერ ყიფიანის ჰობოიზე დამკვრელი, თამაზ ჭილაძის ცხოვრების შუადღეს მიღწეული მძღოლი, არჩილ სულაკაურის მეთევზე, ნოდარ დუმბაძის შესანიშნავი ოთხეული, რევაზ ჯაფარიძის ჯარისკაცის ქვრივი, რევაზ ინანიშვილის სოფლელები, კონსტანტინე ლორთქიფანიძის რკინიგზის ხადგურზე ატუზული პატარა გოგონა და მათ მოყოლილი კიდევ ბევრი სხვა გმირი ამავე თუ სხვა მწერლების შემოქმედებაში და ნათელი გახდება, რომ უამათოდ ქართული ლიტერატურა არამარტო ღარიბი იქნებოდა, არამედ საერთოდ ვერ გაამართლებდა თავის არსებობას.

ამიტომ ვამბობთ თამამად, რომ 60-იანი წლების ლიტერატურამ უაღრესად დიდი როლი ითამაშა საერთოდ მხატვრული აზროვნების განვითარებაში და კერძოდ კი მხატვრული სამყაროს საოცრად საინტერესო გმირებით დასახლებაში. თუმცა ზემოთმინიშნებული უკურეაქციის გამო ისიც მოხდა, რომ მწერლობას ერთგვარად ცალმხრივობის ნიშნებიც დაეტყო. მისი გმირები ხალხის წიაღიდან იყვნენ გამოსულები, უფრო სწორად, გამოყვანილნი ავტორების მიერ და ჩვენც საშუალება მოგვეცა დაგვენახა მათი დიდი გული და წარუვალი ადამიანური ღირსებები. მაგრამ იმავ ხალხში არიან ისინიც, ვინც არა მარტო განასახიერებენ ადამიანურ სიკეთეს და მშვენიერებას, არამედ მათი დამკვიდრებისათვის, მათი ბოროტებაზე და სიმახინჯეზე გამარჯვებისათვის აქტიური მებრძოლნიც არიან. ამგვარი გმირების ხვედრითი წილი მწერლობაში ძალზე შემცირდა. შემცირდა იმის გამოც, რომ დიდი საქმეებისათვის მოწოდებული გმირების სახეები ადრე შეილახნენ ეგრეთწოდებულ „შემლამაზებელ" მწერალთა შემოქმედებაში და ამისი შიში ინერციით ჯერ კიდევ მოგვდევს. და კიდევ, იმის გამოც შემცირდა, რომ მომრავლდნენ ეპიგონები.

ჩვეულებისამებრ, ახალ და ჯანსაღ ტენდენციას ბევრი აჰყვა და სიცოცხლით სავსე მხატვრულ ნაწარმოებებსაც ბევრი ასლი გაუჩნდა. განუკითხაობის გამო ნელნელა ერთმანეთში აირია ნამდვილი ძვირფასი და უბრალოდ ბრჭყვიალა თვლები. ეპიგონთა წყალობით უსაშველოდ მომრავლდა ერთი შეხედვით თითქოს ცხოვრებიდან მოსული, მაგრამ სინამდვილეში აშკარად ლიტერატურული წარმომავლობის უსიცოცხლო გმირები. თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგჯერ ერთბაშად ძნელი ამოსაცნობი ხდება ასლი ,იმდენად ოსტატურად არის იგი შესრულებული. პირდაპირ წალეკილია ლიტერატურული ჟურნალების ფურცლები მოთხრობებით, განსაკუთრებით სოფლის ცხოვრებაზე რომ არის დაწერილი, სადაც უამრავი ბაბუები და ბებიები არიან, დაკოჟრილი ხელებითა და დათაფლული ენებით, საკმარისად კოლორიტულნი იერითა და მეტყველებით, საკმარისზე მეტად მოფუსფუსები და მოქალაქენი, თითქოს უშუალოები და ცოცხლები, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ იმიტირებულნი და ამიტომ მაინც ფიტულებივით უსიცოცხლონი.

ჯერ ისედაც შესამჩნევი გახდა აქტიური, დიდი საქმეებით შთაგონებული, მებრძოლი და მოქმედი გმირის ნაკლებობა ეგრეთწოდებული უბრალო გმირებით გატაცებულ თანამედროვე მწერლობაში, ამ ზღვად მომსკდარი ეპიგონობის ნაკადით კი, რომელსაც სამწუხაროდ ვერ აკავებენ ჩვენი ლიტერატურული ჟურნალები, ხომ პირდაპირ საგანგაშოდ შეიქნა საქმე. ეს მარტო ჩვენი კი არა, საერთო საწუხარი გახდა. ამიტო-

მაც გაისმის ასე ხშირად საკავშირო პრესის ფურცლებზე ენერგიულ გმირს მონატრებული ხმები.

შემთხვევითი არ არის, რომ ისეთ ნაწარმოებებს, სადაც თანამედროვე ადამიანი მთელი თავისი შემართებით, საზოგადო საქმისათვის თავდადებით, დიდი შთაგონებით ჩანს, მხურვალე გამოძახილი აქვს არა მარტო კრიტიკოსთა მხრივ, არამედ მკითხველებშიც, თუნდაც მხატვრულად, არცთუ დიდი ღირსებები გააჩნდეს მათ. ლიტერატურის უპირველესი დანიშნულება მაინც ახალი ტიპის ადამიანის დანახვა და გამოხატვაა, რომელსაც თვით ცხოვრება ჰქმნის. დღევანდელი ჩვენი თანამედროვე, ვინც არ უნდა იყოს იგი — ინტელიგენტი, მუშა თუ გლეხი — ყველაფრით, თავისი ცხოვრების წესითაც, სამუშაო პირობებითაც, იერითაც, აზროვნებითაც, ემოციებითაც კი, თავისი პრობლემებითაც და საერთოდ ყველაფრით დიდად განსხვავდება თუნდაც ოცი წლის წინანდელი ადამიანისაგან. ცხოვრებასთან ერთად, რომელიც საოცარი ტემპით მიდის წინ, იზრდება და იცვლება ადამიანიც და ახალი ლიტერატურის გმირიც სწორედ ეს ახალი ადამიანი უნდა იყოს.

ჩვენი დრო მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქადაა მონათლული. ეს რომ ხელოვნურად მოგონილი ტერმინი არ არის, ამაში არავის ეპარება ეჭვი, რადგან თავად ვართ მომსწრენი და მონაწილენი ამ დროისა. მეცნიერულტექნიკური რევოლუცია მარტო მეცნიერებაში და ტექნიკაში მომხდარ ძვრებს ხომ არ გულისხმობს, იგი მთელი ჩვენი ცხოვრების წესის განმსაზღვრელია, იგი ახალი ადამიანის ტიპის შემქმნელი და ჩამომყალიბებელია. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის სული მეტ-ნაკლებად ყველა სფეროში ტრიალებს, მოყოლებული კოსმოსის ათვისებიდან საყოფაცხოვრებო ნივთების საჭიროების გაანგარიშებამდე, ეს სული ყველა ადამიანს სწვდება — რაკეტების შემქმნელ მეცნიერსაც და ვენახის მომვლელ გლეხსაც.

ქართული მწერლობა ნაკლებ, ძალზე მცირედ თუ ასახავს ამ თვალსაზრისით დროის სიახლე!. იგი უფრო უმალ ეხმაურება ცხოვრების მიერ ყოველდღიურად წამოჭრილ საჭირბოროტო საკითხებს ამ აქტუალობას მას ვერ წავართმევთ, მაგრამ ცხოვრების თვისობრივი შეცვლა, ახალი ადამიანის სულიერი სამყარო მასში ჯერ კიდევ ძალზე ნაკლებად ჩანს. თუმცა ამასი მოთხოვნილება რომ უჩნდება მწერლობას, ესეც აშკარაა. უკანასკნელ წლებში უკვე გამოჩნდა თითო-ოროლა ნაწარმოები, რომელიც ამ იმედიანი განცხადების უფლებას გვაძლევს. ამანაც შეუწყო ხელი იმდაგვარი გმირების გამოჩენას, რომელთა ნაკლებობაც ზემოთ აღვნიშნეთ.

* * *

1977 წელი, რომლის მხატვრული პროზის, ძირითადად რომანების მიმოხილვას და შეძლებისდაგვარად ანალიზსაც ეძღვნება ეს წერილი, ამ მხრივ მეტად საყურადღებო გამოდგა. ხხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო კონსტანტინე ლორთქიფანიძის დოკუმენტური მხატვრული რომანი „რა მოხდა აბაშაში“ იკმარებდა იმისათვის, რომ ქართულ მწერლობაში დროის მაჯისცემა მთელი ძალით გვეგრძნო და მისი სიახლის მოწამენი გავმხდარიყავით. ეს ნაწარმოები მრავალმხრივ საყურადღებო მოვლენაა ჩვენს პროზაში, თავისი ჟანრული ორიგინალურობითაც, კომპოზიციითაც, თხრობის მანერითაც, წამოჭრილი მთავარი პრობლემითაც და უამრავი საჭირბოროტო, სადღეისო საკითხებითაც. მაგრამ აქ არ შევუდგებით მის ყოველმხრივ ანალიზს. მითუმეტეს, რომ ამ დოკუმენტური მხატვრული რომანის შესახებ მე უკვე გამოვთქვი ჩემი მოსაზრება საგანგებოდ მასზე დაწერილ წერილში. ახლა, რაკილა გასული წლის პროზის მიმოხილვის მთავარ ასპექტად გმირი და მასთან დაკავშირებული სიახლეები ვარჩიე, სწორედ ამაზე გავამახვილებ ყურადღებას, თუ როგორ არის ეს გადაწყვეტილი კონსტანტინე ლორთქიფანიძის ახალ ნაწარმოებში.

წიგნში „რა მოხდა აბაშაში“ ქართული სოფლის დღევანდელი ყოფაა წარმოსახული. მაგრამ ამისი თქმა ჯერ კიდევ არ გამოხატავს მის მთავარ ღირსებას. მისი დიდი ღირსება იმაშია, რომ იგი ჩვენი დღევანდელი სოფლის ცხოვრების მთავარ ტენდენციებს სწვდება და აშუქებს. აბაშის რაიონის სოფლებში ჩვენ ვგრძნობთ და ვხედავთ იმ სიახლეებს, რაც თავად დრომ, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქამ მოიტანა. ამით არის დღეს აბაშა ძლიერი, რაკილა მხარი აუბა განვითარების ტემპებს, ამით არის კონსტანტინე ლორთქიფანიძის ეს ნაწარმოებიც საინტერესო, რაკილა მხატვრულად ძლიერად და დოკუმენტური სიმართლით მოიტანა ჩვენამდე აბაშის ახალი ყოფა.

რომანში მოთხრობილია იმის შესახებ, თუ აბაშის რაიონში როგორ დაინერგა სიმინდის წარმოებაში კომპლექსური მექანიზაცია და რა შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო ამან. მექანიზატორთა ოთხკაციანმა ბრიგადამ ისე მოიყვანა სიმინდის უხვი მოსავალი, რომ არსად და არაფერში ხელით შრომა და გარჯა არ დასჭირვებია. ამით ბრიგადამ თოხისა და ყანის ალების მძიმე სამუშაოებისაგან გამოათავისუფლა 46 კაცი. ეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმით იძენს, რომ აბაშის დატბორილ ჭალა-მინდვრებში აცურებული ყანები ყელამდე რეზინის ჩექმებში ჩაფლული კაცისთვისაც კი ძნელი მოსავლელია. და მაინც გაიმარჯვა ადამიანისა და მის მიერვე შექმნილი ტექნიკის კავშირმა.

ეს მხოლოდ ერთ-ერთი ეპიზოდია ამ რომანიდან, სადაც ასე თვალნათლივ ჩანს სო-

ფლის ახალი ყოფა, მაგრამ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია აქ მარტო ამდაგვარ პირდაპირ დანახულ ამბებში როდი გამოიხატება. აბაშის რაიონის მთელი ცხოვრება, მსხვილმანიდან წვრილმანამდე, ახლა მეცნიერულ გაანგარიშებებზეა დაფუძნებული. დროის სიახლეს რომანში სწორედ ამისი წარმოსახვა გვაგრძნობინებს და გვიჩვენებს მთელა სიცხადით და მშვენიერებით.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე ქართული საბჭოთა სოფლის მხატვრული მემატიანეა. ჯერ გაიხსენეთ მისი კოლექტივიზაციის დაარსების დროინდელი რომანი „კოლხეთის ცისკარი". მერე — ომისშემდგომი სოფლის ცხოვრების ამსახველი „ნატვრისთვალი", შეადარეთ ამ ახალ დოკუმენტურ რომანს „რა მოხდა აბაშაში" და თქვენს თვალწინ გადაიშლება ჩვენი სოფლის განვითარების მრავლისმეტყველი სურათი, აშკარა გახდება თუ რაში გამოიხატება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის სიკეთე სოფლის მშრომელებისათვის.

ამ სამ რომანში კონსტანტინე ლორთქიფანიძემ მათში წარმოსახული დროის გმირებიც მოგვცა. ალბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ მისი გმირები არა მარტო ქართულ მწერლობაში, საერთოდ მრავალეროვან საბჭოთა ლიტერატურაში ერთერთი საუკეთესონი არიან, რადგან მართლად და ცოცხლად გამოხატავენ სოფლის მოწინავე ადამიანებს. თვით კონსტანტინე ლორთქიფანიძის გმირების ერთმანეთთან შედარება თვალსაჩინოს ხდის, თუ რა გზა გაიარა სოფლის პარტიულმა ხელმძღვანელობამ ტარასი ხაზარაძიდან გურამ მგელაძემდე, როგორი ღვიძლი შვილები არიან ისინი თავიანთი დროისა, როგორ უძღვებიან ისინი ხალხს მომავლისაკენ.

ახალ ნაწარმოებში კონსტანტინე ლორთქიფანიძეს სოფლისარაერთი მოწინავე მშრომელი ჰყავს გამოყვანილი — ჟორესი სვანიძე, ევტიხი თურქია, ელპიტე არველაძე, კოლია ებრალიძე, ბუხუტი ჩოჩია და სხვები, რომლებიც გმირების სწორედაც მშვენიერ გალერეას ქმნიან და გვიხსნიან თანამედროვე სოფლის ადამიანის სულის თვისებებს, შეგნების დონეს, ცხოვრების წესს. მაგრამ მთავარი გმირი ამ ნაწარმოებისა, რომელსაც გამუდმებით დასტრიალებს თავს მწერალი და ყოველმხრივ გვიხასიათებს მას, ეს გურამ მგელაძეა, აბაშის რაიკომის პირველი მდივანი.

გურამ მგელაძეა ის გმირი, რომელსაც ეკისრება ამ დოკუმენტურ რომანში თანამედროვე პარტიული ხელმძღვანელის, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქის ორგანიზატორის ხასიათის თვისებების და მოღვაწეობის სტილის გახსნა, რომელთაგან ბევრი მემკვიდრეობით აქვს მიღებული, ბევრი კი დროის კარნახით თავად აქვს მიგნებული.

„გახსოვდეს, კვალში ჩამდგარმა გუთანმა უკან დახევა არ იცის, ის მხოლოდ წინ უნდა მიდიოდეს..." ამ სიტყვებით იმშვიდობება გურამ მგელაძეს რესპუბლიკის ხელმძღვანელი, როცა აბაშის ყოველმხრივ ჩამორჩენილ რაიონში აგზავნის თავკაცად. მწერალი არ ერიდება მწარე სიმართლეს, იგი აბაშის ყოფის მძიმე სურათებს შეუფარავად გვიხატავს, რამაც ბევრი აბაშელი მშრომელი აჰყარა და სხვაგან გადაასახლა, ან კიდევ ცხოვრების იოლ და საძრახის გზას გაუყენა. ეს არის რომანი, სადაც ახალი ყოფის დამკვიდრებისათვის ბრძოლა მძიმე და მტკივნეული პროცესია. მაგრამ ამიტომ მოწეული ნაყოფი უფრო ტკბილი და მშვენიერია. ამ თითქოს დაუძლეველი სიძნელეების დაძლევაში იხატება გურამ მგელაძის, ახალი ტიპის ხელმძღვანელის, პარტიული ორგანიზატორის სახე.

გურამ მგელაძემ იმით დაიწყო, რომ ხალხთან დაახლოება, იმ ჩატეხილი ხიდის აღდგენა გადაწყვიტა „ურომლისოდაც გალმა-გამოღმა დარჩენილი პარტიული ხელმძღვანელობა და კოლმეურნე გლეხობა საერთო ჰაპანს ველარ გასწევდნენ". მშრომელთა გულწრფელმა საუბრებმა დაარწმუნა იგი, რომ სანამ შრომის ანაზღაურების საკითხი სწორად და სამართლიანად არ მოგვარდებოდა, სხვა რამეზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. სწორედ ამან განაპირობა, რომ აბაშა გახდა შრომის ანაზღაურების ახალი წესის გამოსაცდელი რაიონი, რამაც მოსალოდნელ ეფექტს ბევრად გადააჭარბა. ამას მოჰყვა სოფლის მეურნეობის მართვა-გამგეობის რეორგანიზაცია და შვიდი დაქსაქსული დაწესებულების ნაცვლად ერთი ახალი ქმედითი ორგანიზაციის შექმნა. ასე ჩაეყარა საფუძველი ახალ აბაშას და თუ რამ ჩაუდგა სული მას, თავად ნაწარმოების ერთ-ერთი გმირი გაგვიმხელს პირდაპირ: „რწმენამ, ბატონო, ყველაფერ საქმეს რწმენა აკეთებს. გურამ მგელაძეს არც ახალი ხალხი ჩამოუყვანია აბაშაში, არც ახალი მიწა ჩამოუტანია! ხალხიც იგივეა, მიწაც — იგივე, ახალი მხოლოდ ის არის, რომ აბაშაში ახალი შრომის ანაზღაურების ყველაზე მართალი სასწორი დგას".

თავისი გმირის გამარჯვების საწინდარს მწერალი მისი სიყვარულის ძალაში ხედავს და კიდეც გვიყვება ამაღელვებელ ეპიზოდებს, თუ ამ ძალამ რამდენი კეთილი საქმე ჩაადენინა რაიკომის მდივანს, რამდენ მშრომელს აუნთო იმედის ცეცხლი გულში, რამდენი გზასაცდენილი მოაბრუნა სოფლისაკენ, პატიოსანი შრომისაკენ. თითოეული ამგვარი ეპიზოდი ჩართული ნოველასავით იკითხება და ასე ნელნელა, ძალდაუტანებლად იხსნება ჩვენს თვალწინ გმირის ცხოვრების წესიც და ხასიათის თვისებებიც.

ომის ქარცეცხლში გამოვლილი და გამობრძმედილი ვაჟკაცი, ჟორესი სვანიძე, ვინც მამისა და ძმის სისხლის ასაღებად, აწიოკებული

ხალხის გამო შურისსაძიებლად, სამშობლოს ნათელი ცისათვის თავდაუზოგავად იბრძოდა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ, ვინც პირველი ჩაეწერა ლეგენდარული მაიორის კუნიკოვის დესანტში ისტორიულ „მცირე მიწაზე“, ამ მართლაც ჯოჯოხეთში გადასასვლელად და იქ პლაცდარმის შესაქმნელად, ვინც ნაღმებისაგან ადუღებულ ზღვასა თუ ხმელეთს არ შეუშინდა, აქ, აბაშაში შედრკა და გაოცდა. თავად გმირი გვიყვება, როგორ გადაწყვიტა მან მეურნეობის დირექტორად დანიშვნის შემდეგ დაენერგა სიახლეები შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად და რა წინააღმდეგობებსაც წააწყდა იგი. ამ ვაჟმოხდილ მეომარს, ვისაც ახლა შრომის ფრონტზე უნდოდა მისთვის ჩვეული თავდადება გამოეჩინა, სახელით ემუქრებოდნენ სიახლეების მისაგნებად თეთრად გათენებული ღამეებისათვის და გლეხების მდგომარეობის გამოსასწორებლად, მოსავლის გასადიდებლად თავაუწყველი შრომისა და გარჯისათვის. რაც კი დაპირა ყველაფერში ხელი შეუშალეს, ჩალის დარიგების ახალი წესიც კი ჩაუშალეს, თორემ შრომის ანაზღაურების საქმეში სიახლეების დანერგვას ვინ აცლიდა. ცარიელი სიტყვა კი ცარიელ ნალიას ვერ გაავსებდა და თექვსმეტი წელიწადი მხოლოდ ზარალი მომქონდა მეურნეობას.

ასე ეცვა ჭვარს ეს გულმართალი და უნარიანი კაცი, ვიდრე გურამ მგელაძე არ მოვიდა რაიონის ხელმძღვანელად. ცხადია, რაიკომის ახალ მდივანს ჟორესი სვანიძეებისთანა ადამიანები ჰყავდა მთავარ დასაყრდენად. ამდაგვარი ხალხი ცოტა არ იყო რაიონში, ვისმა შემოქმედებითმა შრომამაც განაპირობა ძირითადად წარმატება და მწერალიც გულმხურვალედ გვიყვება ამის ნათელმყოფ ეპიზოდებს, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა მწერლისათვისაც და ჩვენთვისაც, მისი მკითხველებისთვისაც გურამ მგელაძის დამოკიდებულება სხვა ტიპის, სხვა შეგნებისა და ფსიქიკის ადამიანებთანაც. ამაზე ცოტა ქვემოთ.

ახლა კი ერთი ძველი ბოლშევიკის, კოტე თოფურიას სიტყვები გავიხსენოთ, მწერალთან საუბრის დროს თქმული: „ჩვენი საქმე ისე იყო, ბატონო, რომ აბაშას ვერ უშველიდა ჩვეულებრივი ღონისძიება, — ვთქვათ ერთი ცოტა სუსტი ხელმძღვანელის წასვლა და მეორე — ცოტა უკეთესი ხელმძღვანელის მოსვლა. ან კიდევ, როგორც ამბობენ — მუშაობის „ცოტა უფრო გაუმჯობესება“, „ცოტა მეტი წესრიგის“ დამყარება. არა, აქ საჭირო იყო ძირეული გარდატეხა, მთელი გადატრიალება — თუ ამ სიტყვისა არ შეგვეშინდება. საჭირო იყო ისეთი ხელმძღვანელი, საქმეს ძირში რომ ჩახედავდა, ყველაფერს თავის სახელს დაარქმევდა და აბაშის მეურნეობას ახალ კალაპოტში მოაქცევდა“ (გვ. 43).

აი, სწორედ ამდაგვარი ხელმძღვანელი მოევლინა აბაშას გურამ მგელაძის სახით და ამდაგვარი გმირიც წარმოგვიდგა კონსტანტინე ლორთქიფანიძის ახალ ნაწარმოებშიც, დოკუმენტურ რომანში „რა მოხდა აბაშაში“.

სოფელ-სოფელ საჯარო სჯა-ბაასით და მოთათბირებით გურამ მგელაძე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ შრომის ანაზღაურების ახალი წესის შემოღება გარდუვალი პირობა იყო აბაშის აღორძინებლად. სახალხო ბჭობით ნივთიერი წახალისების ახალი წესიც დადგინდა: სიმინდის გეგმის შესრულებისათვის, საყოველთაოდ დაწესებული ხელფასის გარდა, კოლმეურნე გლეხს მიეცემა მოსავლის ათი პროცენტი, ხოლო გეგმაზე ნაჭარბი მოსავალიდან — სამოცდაათი პროცენტი. ასეთნაირადვე განისაზღვრა შრომის დამატებითი ანაზღაურება მეურნეობის სხვა დარგებშიც.

პირველსავე წელს სიმინდის გეგმა ჰექტარზე თვრამეტი ცენტნერი დააწესეს, იმ დროს, როცა წინა წლებში საშუალოდ თორმეტი ცენტნერი ძლივს მოჰყავდათ. ეს იყო უაღრესად გაბედული ნაბიჯი. მაგრამ ამასთანავე სწორი და გაანგარიშებული ნაბიჯი, რამაც საოცრად კეთილი ნაყოფი გამოიღო.

მაგრამ ეს კეთილი ნაყოფი, მარტო ახალი წესის შემოღებით როდი იყო მოწეული. გლეხობის ნდობის მოპოვება იყო საჭირო, მშრომელების დარაზმვა თუ უშველიდა ამ ახალი წესის წარმატებას. და აქ მარტო ჟორესი სვანიძის, ევტიხი თურქიას, თუ ელპიტე არველაძის მსგავსთა გარჯა ვერ უშველიდა საქმეს. მთელი გლეხობა უნდა მიჰყოლოდა მათ მხარდამხარ, რომ გამარჯვება გარდაუვალი ყოფილიყო.

რაკი სწორ გზას მიაგნო, გურამ მგელაძემ ახლა ამ გზაზე გლეხობის გადაყვანა იდო თავს და მწერალიც ამაღელვებლად მოგვითხრობს იმ ეპიზოდებს, სადაც იგი გზასაცდენილთა, „ცოდვილთა“ მორჯულებას მთელი გულითა და გატაცებით შესდგომია.

ამდაგვარია ერთი ფრიად საგულისხმო და უაღრესად საინტერესო მოთხრობა (ასევე უწოდებს მას მწერალი) კარლო გრიგოლიაზე. „ციხეში უფრო მიფასებდნენ შრომას, ვიდრე ჩემი სოფლის კოლმეურნეობაში“ — ნაღვლიანი ღიმილით გამოტყდება ამ ჩართული მოთხრობის გმირი. ეს იყო იმ დროის მწარე სინამდვილე და გრიგოლიაც თავისი „გამომგონებლობის“ წყალობით ათას აკრძალულ ხერხს მიმართავდა ფულის საშოვნელად. ერთხელ, ყველა გზა რომ გადაუკეტეს, ამ აბაშელმა არგონავტმა კატარღით ცხენისწყალი და რიონი გაიარა, ზღვას მისცა თავი და ისე გაიტანა სათბურებში მოყვანილი კიტრი რუსეთში მამა-სისხლად გასაყიდად. ასეთი ნაძრახი საქმეებით იყო იგი ცნობილი და რამდენჯერმე ნასამართლევიც. ამ სახელგატეხილმა კაცმა გადაწყვიტა ახლა კი აღარ დამედგომებაო აბაშაში, სახლის

მყიდველთანაც გარიგებული იყო უკვე, მაგრამ გურამ მგელაძეს სწამდა, „ვისაც შრომა უყვარს და ოფლის მადლი იცის, იმას არ შეიძლება ხელი ჰკრა და სოფელს მოჰკვეთო“... გრიგოლია კი სწორედ ასეთი მშრომელი იყო და ამიტომაც ენდო მას რაიკომის მდივანი. ეს მართლაც მშვენიერი მოთხრობაა, გონებამახვილობითა და ადამიანური სიკეთით სავსე მოთხრობა „მეორედ დაბადებულ კაცზე“, როგორც უწოდებს თავის თავს კარლო გრიგოლია.

ამდაგვარი მოთხრობა ერთი და ორი როდია ამ ნაწარმოებში. არანაკლებ საგულისხმოა და შთამბეჭდავი ახობაძეების ამბავი. არც ამ ეპიზოდს აკლია დოკუმენტური სიმართლე, ადამიანის ხვედრის განზოგადებული ხედვა, მხატვრული თხრობის ღირსება, დრამატიზმი თუ იუმორი, რაც მთავარია, არ აკლია ნაწარმოების მთავარი გმირის დამსახურების წარმოჩენა ახობაძეების სულიერ გარდაქმნაში, მისი ხასიათისა და ბუნების კეთილი მხარეების უშუალო, ძალდაუტანებელი მინიშნება.

ასევე მნიშვნელოვანია მოთხრობა შოთა ლოჩოშვილზე. და თუმცა მისი ბედი საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის გარკვეული ნაწარმოებში, მწერალს ღრმად სწამს, რომ არც ამჯერად ჩაუვარდება რაიკომის მდივანს კოვზი ნაცარში, სჯერა, რომ ამ ოჩან კაცსაც მოარჯულებს იგი, რადგან „კაცის არდაკარგვა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის რიგით პირველი საზრუნავი“ გამხდარა.

არამცთუ ნაწარმოების მთავარი გმირი, არამედ ყოველი პერსონაჟიც კი ავტორისათვის ჩვეული დიდი მხატვრული სიმართლით, ცოცხალი შტრიხებითაა დახატული. აქ ყველა უშუალოდ ცხოვრებიდან არის მხატვრულ ტილოზე გადმოსახლებული. მწერალი ყოველ რეალურ ადამიანში, ვინც მისი ნაწარმოების მკვიდრი უნდა გახდეს, ამჩნევს მისთვის დამახასიათებელ თვისებებს, მეტყველებას, ჩვევებს, რაც მათ განუმეორებელს ხდის.

თუნდაც შოთა ლოჩოშვილი, ეს ერთ-ერთი პერსონაჟი ნაწარმოებისა ისე ცოცხლად არის დახატული, რომ ჩვენ ვხედავთ მის ზორბა და ძვალმსხვილ სხეულს, ვამჩნევთ რა ფრთხილი და ნელი ხიარული იცის, “გეგონება, ღელეზე გადებულ მორზე გადადის და ეშინია, ფეხი არ დაუცდესო“, ვიცით, რომ „როცა შენი ნაუბარი ჰკუაში არ მოუდის, მარჯვენა თვალს მოჰუტავს და გაოცებული მოგაჩერდება პირში, ვითომ ჯერ გაუგონარ რამეს ეუბნებოდე“, მოწმენი ვართ რა მიამიტურად და თანაც ეშმაკურად მიმართავს მახვილ სიტყვას მოწინააღმდეგის გულის მოსაგებად. ეს მშვენივრად ჩანს გურამ მგელაძის მონათხრობში მასთან საუბარზე. აი ერთი ნაწყვეტი ამ დიალოგიდან:

„— არა, შოთა, სამუშაოზე უნდა გაგიშვა! იცოდე, თუ შენ საქმეს არ მოჰკიდე ხელი, ისე მე და შენ ამ რაიონში ორივე ერთად ვერ დავეტევით!

— ორი კაცი რავა ვერ დავეტევით, ბატონო, გველეშაპები ხომ არა ვართ! — წარბშეუხრელად დამამშვიდა ლოჩოშვილმა“ (გვ. 157).

ესეც, და არა მარტო ეს, აქცევს კონსტანტინე ლორთქიფანიძის ამ დოკუმენტურ ნაწარმოებს მხატვრული ლიტერატურის კუთვნილებად, ანუ დოკუმენტურ მხატვრულ პროზად. აქ ყველა და ყველაფერი კონკრეტულიც, უშუალოდ ცხოვრებიდან აღებულიც არის და ამასთანავე მხატვრულად განზოგადებულიც, ტიპიურიც, რასაც კიდევ ემატება მწერლის ხატვის და თხრობის ოსტატობაც.

მაგრამ დავუბრუნდეთ ამჟამად ჩვენთვის მთავარ საკითხს, ნაწარმოების მთავარ გმირს გურამ მგელაძეს. სწორედ ამგვარი ეპიზოდებით, ჩართული მოთხრობებით, სადაც მას სხვად-ასხვა, განსხვავებული ზნის ადამიანებთან ურთიერთობაში ვხედავთ, მწერალი დაბეჯითებით და დამაჯერებლად გვარწმუნებს, რომ ყველაფერი, რაც მისმა გმირმა მოიმოქმედა, „ადამიანის სიყვარულმა შეაძლებინა. ნამდვილმა სიყვარულმა“. სწორედ ამის გამოა, რომ მწერლის პათეტიკური ფრაზა „უძლეველია შეყვარებული ადამიანი“ მაღალფარდოვნად კი არ ჟღერს, არამედ, დამარწმუნებლად. ჩვენ გვჯერა მწერლისაც და მისი გმირისაც, ოღგან მარტო კი არ ვისმენთ, არამედ ვხედავთ კიდეც.

გურამ მგელაძე მუდმივ ძიებაშია, მუდამ ახალ-ახალი იდეების გამოცდაშია, მაგრამ იგი მხოლოდ მეოცნებე კი არ არის, არამედ მეცნიერული დასკვნებისა და გაანგარიშებების საფუძველზე შორსმჭვრეტელი ორგანიზატორია. და მაინც, ყოველი სიახლე, ცხადია, რისკთან არის დაკავშირებული. რაიკომის მდივანი თამამად მიდის ამ რისკზე, რადგან მჭიდროდ რწმენაგაღვიძებული ხალხი ჰყავს, ვისაც სჯერა თავისი თავკაცისა.

რომანის გმირს გულისყური ხალხისკენ აქვს მიპყრობილი, იგი ყოველდღიურად ტრიალებს მშრომელებში და ბევრს სწავლობს მათგან, მაგრამ მარტო გამოცდილი გლეხის კარნახით კაცი შორს ვერ წავა და ისიც ხშირად ჩაიკეტება ხოლმე კაბინეტში, კითხულობს, ანგარიშობს, სწონის. ზოგჯერ თვითონაც გაეცინება, ასე მგონია შორს ვიჭრები და ლანდებს დავდევო, მაგრამ „რას იზამ, ჩემო გურამ, — ამხნევებს მწერალი თავის გმირს, — დიდმა ოცნებამ საზღვარი არ იცის“.

„ქვეყანას ბობოქარი და მოუსვენარი ადამიანები აშენებენ, როცა ისინი სიკეთის მოციქულები არიან, და ქვეყანას ბობოქარი და მოუსვენარი ადამიანები ანგრევენ, როცა ისინი ეშმაკის კვალზე შედგებიან.

მეტად მოუსვენარი კაცია გურამ მგელაძე,

მაგრამ მისი მოუსვენრობა — ეს არ არის უნაყოფო ფუსფუსი და ჭაზირი... ეს არის მოუსვენრობა ღარში მიშვებული წყლისა. მხოლოდ ერთი მიზანი ასულდგმულებს ამ წყალს: ყველა თავისი შხეფი და ჩქერი ერთპირად შეჰკრას და წისქვილის ბორბალი დააბრუნოს“ (გვ. 170-1).

კონსტანტინე ლორთქიფანიძეს გულით უყვარს თავისი გმირი, ახალი სოფლის თავკაცი და პარტიული ორგანიზატორი, ეს აშკარად იგრძნობა ნაწარმოებში, მოხიბლულია მისი უნარითა და ენერგიით, ხასიათის სიმტკიცითა და ადამიანური სითბოთი. ბევრი კეთილი თვისება გააჩნია გურამ მგელაძეს, მაგრამ არცერთი მათგანი არა აქვს მიწერილი მწერლისაგან. იგი ხომ დოკუმენტური მხატვრული რომანის გმირია, აქ კი მწერლის ფანტაზიას ნაკლები როლი ენიჭება. მწერალს ისლა დარჩენია, რომ შენიშნოს მისი გმირის რეალური თვისებები და ცხოვრებიდან მოხმობილი ფაქტებით დაგვარწმუნოს ნათქვამის სისწორეში. თანამედროვე გმირის წარმოსახვის ეს გზა მეტად ძნელია, მაგრამ სამაგიეროდ მისი ეფექტიც დიდია. ჩვენს თვალწინ წარმოდგება რეალური პიროვნებაც, მისი უტყუარი ბიოგრაფიით თუ სულიერი სამყაროთი და ამასთანავე ჩვენ ვხედავთ თანამედროვე პარტიული ხელმძღვანელის, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში მასების ორგანიზატორის მხატვრულად განზოგადებულ ტიპს.

ასე რომ, კონსტანტინე ლორთქიფანიძე თვითონაც ახლის ძიების გზით წავიდა თავის შემოქმედებაში, მან თამამად მოჰკიდა ხელი ამ რთულსა და სახიფათო ჟანრს. სასიხარულოა, რომ მისი ექსპერიმენტი წარმატებით დამთავრდა, რისი წყალობითაც ქართულმა მწერლობამ შეიძინა თანამედროვეობაზე დაწერილი ღრმად პრობლემური რომანი და შეიძინა ახალი გმირი, რომელიც ასე აკლდა მას დღემდე.

სხვათაშორის, დოკუმენტური მხატვრული პროზისადმი ინტერესი უკანასკნელი წლების ქართულ მწერლობაში აშკარად შეიმჩნევა. მაგრამ თუ აქამდე ამ ჟანრს მეტწილად ომის თემასთან დაკავშირებით მიმართავდნენ, ახლა თანამედროვე ცხოვრების გამოსახატავადაც უფრო ხშირად იყენებენ. გასულ წელსვე ცალკე წიგნად გამოქვეყნდა კარპე მუმლაძის დოკუმენტური მოთხრობა „გაზაფხულის ათი დღე“.

საერთოდ უნდა ითქვას, კარპე მუმლაძე ერთი იმ მწერალთაგანია, ვინც ჩუმად, უხმაუროდ და უპრეტენზიოდ არაერთ კარგ საქმეს აკეთებს. იგი ჭეშმარიტი მეგობარია ქართველი მეფოლადეებისა, ვისთანაც თავისი ბიოგრაფიით მჭიდროდ არის დაკავშირებული. მისი შემოქმედება ორი თემით საზრდოობს — ფრონტული ცხოვრებით, რომელიც მან თვითონ გამოსცადა და თავის მოვალეობად მიაჩნია იმ გმირულ დღეთა არდავიწყება და მეფოლადეთა შრომით, ვისთან ერთადაც დიდი ხანია ცხოვრობს რუსთავში. მისი ახალი დოკუმენტური მოთხრობაც „გაზაფხულის ათი დღე“ ცნობილ რუსთაველ მეფოლადეზე სოციალისტური შრომის გმირზე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატზე ოთარ ლომიძეზეა დაწერილი.

ოთარ ლომიძის სახელი საქართველოში კარგად არის ცნობილი და მისი ვრცელი ბიოგრაფის, მით უმეტეს მწერლის მიერ დაწერილი ბიოგრაფიის წაკითხვა ბევრისათვის იქნება სასარგებლო და საინტერესოც. წიგნში ჩვენ ვეცნობით ოთარ ლომიძის შრომით საქმიანობასაც და პირად ცხოვრებასაც, მისი ინტერესების სფეროსაც და ხასიათის თვისებებსაც, ვეცნობით იმ გარემოს, რომელშიც ტრიალებს და იღწვის მეფოლადე, რუსთავის ყოფას და მის პრობლემებს. წიგნის ღირსებაა ისიც, რომ ოთარ ლომიძის მხოლოდ წარმატებებზე კი არ მოგვითხრობს, არამედ იმ სიძნელეებზეც და ზოგჯერ მარცხზეც, რისი დაძლევითაც არის მიღწეული გამარჯვებები და რაშიც ჩანს მისი ხასიათის წრთობაც. ამ წიგნით კიდევ ერთი რეალური გმირი შემოიყვანა მწერალმა ქართულ ლიტერატურაში და ეს კეთილი საქმე აშკარად დასაფასებელია.

ამის გამო წიგნის ზოგიერთ ნაკლს თვალს ვერ მოვუხუჭავთ. შრომის პათოსის გადმოცემა მხატვრულ ნაწარმოებში, ცხადია, კარგი საქმეა, მაგრამ როცა ამას კიდევ ემატება თხრობის პათეტიკური ტონი, ეს ანელებს შთაბეჭდილებას. ამას გარდა, კარპე მუმლაძეს მეტი სიფრთხილე მართებდა, რადგან „გაზაფხულის ათი დღე“ დღიურის სახით არაა დაწერილი და ავტორი თავად ოთარ ლომიძეს ალაპარაკებს საკუთარ ცხოვრებაზე, ზოგჯერ კი, სამწუხაროდ გმირის პირით მწერალი ისეთ პრიმიტიულ და პლაკატურ ფრაზებს გვთავაზობს, რომ მკითხველის თვალში უხერხულ მდგომარეობაში აყენებს მას. ამდაგვარი დასანანი ხარვეზებისაგან რომ დაზღვეული ყოფილიყო წიგნი, გმირისათვისაც და ოთარ ლომიძის მრავალრიცხოვანი პატივისმცემლებისთვისაც უკეთესი იქნებოდა.

შრომის პათოსი და მშრომელთა ცხოვრება, განსაკუთრებით იმათი, ვინც მსხვილ წარმოებასთან არიან დაკავშირებულნი თავიანთი ყოველდღიური ყოფით, ქართულ მწერლობაში ერთხანს ნაკლებად ჩანდა. ესეც ალბათ „უბრალო გმირებით“ გატაცების უნებლიე, თუმცა არც თუ მოულოდნელი შედეგი გახლდათ. მწერლები ერიდებოდნენ დიდ მასშტაბებს და ამან თავისთავად გამოიწვია ცხოვრების შედარებით ვიწრო კუთხით ხედვა. ერიდებოდნენ იმიტომაც, რომ თანამედროვე ცხო-

ვრების მთავარი და მაგისტრალური გზების წარმოსახვა შეუძლებელია გრანდიოზულობის შეგრძნების გარეშე, ეს კი ნაწარმოებს მეტნაკლები პათეტიკურობით აღბეჭდავდა. ხოლო ხშირად, ზომიერების გრძნობის ღალატის გამო, მხატვრულ ლიტერატურაში რეალური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი შრომის პათოსი და სიდიადე ავტორთა მიერ ისე ზედაპირულად იყო შემჩნეული და თავშეუკავებელი აღფრთოვანებით გადმოცემული, რომ სიყალბის იერი დაჰკრავდა მათ. უკანასკნელ წლებში ქართული პროზა კვლავ მიუბრუნდა მისთვის ამ მნიშვნელოვან თემას, ოღონდ არა ზედაპირულად, არამედ საგულდაგულოდ. ცხოვრების ღრმა წვდომა, რაც უთუოდ შეიმჩნევა ამ ტიპის სუჟეტიანი ნაწარმოებებში, მათი წარმატების უმთავრესი პირობაა.

* * *

რამაზ კობიძის რომანის „გვიმრის ფოთლების“, ამ ვრცელი და მრავალპლანიანი ნაწარმოების (რომლის მეორე წიგნიც დაიბეჭდა გასულ წელს „მნათობში“) მთავარი თემაა თანამედროვე მუშათა კლასის — მეშახტეებისა და ტექნიკური ინტელიგენციის ცხოვრება. ეს თავიდანვე ანიჭებს მას დიდ მნიშვნელობას, თუმცა, ცხადია, მარტო თემის აქტუალობა ვერ განსაზღვრავს ნაწარმოების ღირსებას.

შეიძლება ითქვას, რომ რომანის ავტორი კარგად იცნობს თავისი გმირების ცხოვრებას, მას ნათელი წარმოდგენა აქვს იმ მეტად სერიოზულ პრობლემებზე, რომლებიც დღეს ჩვენი წარმოების მშრომელების წინაშე დგას. რამაზ კობიძეს იმის უნარი და ოსტატობაც მყოფნის, რომ ყველაფერი ეს ჩვენთვისაც გასაგები და ამაღელვებელი გახადოს, გვიჩვენოს თავისი გმირების მოქალაქეობრივი გრძნობა და ადამიანური ბუნება, დაგვაინტერესოს მათი ყოფითა და იმ პრობლემებით, რომლებიც მის გმირებს აღელვებთ.

რომანი კომპოზიციურად საკმაოდ რთულია, მაგრამ მწერლის ოსტატობის წყალობით მისი აღქმა არა ძნელდება. „გვიმრის ფოთლებში“ სამი მთავარი გმირია. ერთ-ერთ მათგანს, მეშახტე ჯიბრაილ ხელთუფლიშვილს ცხოვრებამ მწარე უსამართლობა განაცდევინა. მან დაუმსახურებლად დაჰკარგა წლების მანძილზე თავდადებული, უანგარო შრომით მოპოვებული მდგომარეობა და იძულებულია ცხოვრება თავიდან დაიწყოს. მაგრამ ჯიბრაილი მაინც რწმუნდება იმაში, რომ იგი სჭირდება ამხანაგებს, მეგობარ მუშებს, საზოგადოებას და ეს სიმხნევეს მატებს მას. ჯიბრაილს ახლაც ბევრი სიძნელის გადალახვა სჭირდება და თუ როგორ დაძლევს მას, როგორ მოაწყობს იგი ახალ ცხოვრებას, ამ ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე პასუხს ალბათ რომანის ბოლო ნაწილში გავიგებთ.

სხვა რიგის სიძნელეები აქვს გადასალახი რომანის ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟს, ახალგაზრდა სამთო ინჟინერს თეიმურაზ არჯევანიძეს. მან, სრულიად გამოუცდელმა სპეციალისტმა, მეშახტეების სიყვარული და აღიარებული წინამძღოლის ადგილი დაიკავა. შეძლებს თუ არა თეიმურაზი ამ მძიმე, ხიფათიანი პროფესიის ხალხთან, თავისი ბუნებით მეტად სამართლიან, მაგრამ ამავე დროს მკაცრ და მომთხოვნ ადამიანებთან — მეშახტეებთან საერთო ენის გამონახვას და მათი ნდობის დამსახურებას, ესეც საკმაოდ მღელვარე საკითხია, რომლის გადაწყვეტა ფინალს დაეკისრება.

ცხოვრებამ არც კიდევ ერთ მთავარ გმირს ნათია ავალიშვილს დააკლო დიდი განსაცდელი. მისი მოუწესრიგებელი პირადი ცხოვრება და მძიმე განცდები ასევე აღელვებს მკითხველს და აფიქრებს ამ გმირის ბედზე. რომანში რამდენიმე ათეული სხვა პერსონაჟიცაა. შეიძლება ითქვას, ყოველი მათგანი მწერლის პროფესიული თვალითაა დანახული. მათ შორის მაინც უნდა გამოვარჩიოთ შახტის უფროსის სარდიონ რაჭველიშვილის ძლიერი და კოლორიტული სახე. იგი უანგარო, საერთო საქმისათვის თავდადებული მშრომელია, მხნედ ეწევა ცხოვრების მძიმე ჰაპანს. ეს მას თავის მოქალაქეობრივ მოვალეობად მიაჩნია და მიუხედავად სხვათათვის უჩინარი მძიმე პრობლემებისა, სარდიონის წინაშე ასე მწვავედ რომ დგას, იგი მაინც კმაყოფილია საერთო საქმეში შეტანილი თავისი წვლილით და სწორედ ეს გრძნობაა მისი შრომისა და გარჯის ყველაზე დიდი საზღაური.

რომანის პათოსი სიკეთისა და ბოროტების ბრძოლაა. აქ ერთმანეთს უპირისპირდებიან უანგარონი და მომხვეჭელნი, პატიოსნები და თაღლითები, საქმის მცოდნენი და უვიცნი. ეს ბრძოლა არ არის იოლი. იგი საკმაოდ დაძაბულია, თუმცა არც ზედმეტად არის დრამატიზირებული მწერლის მიერ. რომანის დადებით პერსონაჟებში, ისინი აქ საკმაოდ არიან, ჩვენ ვხედავთ იმ ადამიანთა მხატვრულ სახეებს, რომლებიც წმინდად ინახავენ საკუთარ ღირსებას, მოქალაქეობრივ მრწამსს, არა მარტო აშენებენ ახალ ცხოვრებას, არამედ ალამაზებენ კიდეც მას.

აი, რისი თქმაც შეიძლება ჯერჯერობით რამაზ კობიძის „გვიმრის ფოთლებზე“. უნდა ვიფიქროთ, რომ ავტორი უახლოეს მომავალში დაამთავრებს რომანს. როცა მთლიანად გამოქვეყნდება იგი, საბოლოო მსჯავრის გამოტანაც ალბათ მაშინ მოგვიწევს. თუმცა თანამედროვეთა მხატვრული სახეების თვალსაზრისით, გმირის პრობლემის მხრივ რომ იგი დიდ და

საინტერესო მასალას იძლევა, ეს ამთავითვე ცხადია.

* * *

გასულ წელს დაიბეჭდა გიორგი ციციშვილის საინტერესო ვრცელი მოთხრობა „პატარძალი, მგლები და მე...“ (განთიადი“, № 4). იგი საინტერესოა გმირის პრობლემის თვალსაზრისით და საერთოდაც. მე კარგად მახსოვს და დარწმუნებული ვარ ბევრ სხვასაც ემახსოვრება გიორგი ციციშვილის ორიოდე წლის წინ გამოქვეყნებული წიგნი „სიყვარული სისხლის წვიმების დროს“, რომელიც მოთხრობების და ნოველების კრებულს წარმოადგენს. მათ წიგნში თემატურად და პრობლემატურად აერთიანებს ფრონტული ცხოვრება. ეს მოთხრობაც იმ წიგნის ახალი თავია. წიგნში არის ერთი ციკლი „არიფანა“, სადაც მხიარული ნოველებია თავმოყრილი — ფრონტელი მეგობრები ერთმანეთს უყვებიან საკუთარი ცხოვრებიდან ხიფათიან და სამხიარულო შემთხვევებს. ამდაგვარი მხატვრული ხერხი, კომპოზიციური შეკვრა დამოუკიდებელი ნოველებისა და მოთხრობებისა ძველთაგანვე ცნობილია და ხშირადაც გამოუყენებიათ სხვადასხვა ეპოქის მწერლებს. გიორგი ციციშვილმა ამ ნაცნობ ჩარჩოში დიდი სამამულო ომის ცხოვრების მართალი, გმირული სურათები ჩასვა და მკითხველს მნიშვნელოვანი ციკლი შესთავაზა. ეს ახალი მოთხრობაც „პატარძალი, მგლები და მე...“ სწორედ ამ „არიფანასათვის“ არის განკუთვნილი. თუმცა უნდა ითქვას იგი საგრძნობლად გამოირჩევა ამ რიგის ნოველებისაგან თავისი განწყობილებით. ამ მოთხრობასაც არ აკლია არც დრამატიზმი და არც ამბის უჩვეულობა, აქაც მოწამენი ვხდებით საბჭოთა მეომრების ვაჟკაცური სულისა და თავგანწირვისა, მაგრამ აქ თითქმის აღარაფერია სასაცილო, ან თუნდაც ღიმილის მომგვრელი, რაც მაინც ასე ძალდაუტანებლად გვეძალებოდა მძიმე განცდებთან ერთად იმ მოთხრობების კითხვის დროს. გიორგი ციციშვილმა ამ უცნაური სათაურის მქონე მოთხრობაში მშვენივრად და ამაღელვებლად მოგვითხრო ფრონტულ მეგობრობაზეც, მამაკაცურ ერთგულებაზეც და იმ მხარდაჭერაზეც, რამაც უფროს ლეიტენანტს ჟირასოვს შიში დააძლევია და გმირული თავგანწირვის ძალა შესძინა. მოთხრობის გმირების, — კაპიტან ლევაშოვისა და ლეიტენანტ ჟირასოვის დახატვით ავტორმა ვაჟკაცური და მომხიბლავი სახეები შემატა ქართულ მწერლობაში საბჭოთა მებრძოლთა გალერეას.

* * *

ქართულ მწერლობაში თანამედროვე გმირის ძიებას გასულ წელს მხოლოდ წარმატება არ მოუტანია და ვერც მოუტანდა. როდის ყოფილა, რომ ყოველი ახალი მხატვრული ნაწარმოები, ან ახალი გმირი საინტერესო ყოფილიყო. ძიების გზაზე მარცხიც ისევე მოსალოდნელია, როგორც წარმატება. გასული წლის პროზას არც ერთი აკლდა და არც მეორე. ის ნაწარმოებები, რომლებიც ამ თვალსაზრისით მე მარცხად მეჩვენება, ძირითადად ორი კატეგორიისა და თითო ნიმუშს, ყველაზე დამახასიათებელს მოვიტან აქ.

გასულ წელს თანამედროვეობისადმი მიძღვნილი რამდენიმე ათეული წიგნი გამოიცა, ცალკე რომანები თუ მოთხრობების კრებულები. უნდა ითქვას, რომ მეტწილად ეს მდარე ლიტერატურაა, რომელიც ვნებს მკითხველის გემოვნებას. მათ უმრავლესობას საერთო თითქმის არაფერი აქვს მწერლობასთან. და მაინც, რაღაცა მანქანებით იბეჭდება და იცემა. არც დედაქალაქის გამომცემლობები თაკილობენ ამგვარი წიგნების გამოცემას, მაგრამ რესპუბლიკის სხვა ქალაქების გამომცემლობები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო სუსტ წიგნს მიაწვდის მკითხველს. მთავარი სენი, რომელიც ამ წიგნებს სჭირთ, ესაა უკიდურესი პრიმიტივიზმი და ყალბი მაღალფარდოვანება. ასეთმა წიგნებმა შეუძლებელია არ გაფიქრებინოთ, რომ ნუთუ მათ ავტორს ერთი ხეირიანი რომანი ან მოთხრობა მაინც არ წაუკითხავს სხვისი, ნუთუ წარმოდგენა არა აქვს იმაზე, თუ რასა ჰქვია მწერლობა. მხატვრულად სუსტი წიგნი მაინცდამაინც გასაკვირი არ უნდა იყოს, მაგრამ ამ წიგნების დიდი ნაწილი გაოცების მეტს არაფერს იწვევს. გაოცებთ ის, თუ როგორ ახერხებს ავტორი მთელი წიგნის მანძილზე ასე ერთგული დარჩეს თავიდანვე ყალბად აღებული ტონისა. ამდაგვარი ნაწარმოებების გმირები, როგორც წესი, ბევრს ლაპარაკობენ მაღალ მატერიებზე, მაგრამ მათ სიტყვას ფასი არა აქვს, რადგან სულ ცოტა ერთი აუცილებელი რამ აკლია — გულწრფელობა.

სამწუხაროდ, ამის ნიმუშად გამოდგება ნოდარ ძირკვაძის მოთხრობების კრებული „თეონა“. ამ კრებულიდან ერთ ვრცელ მოთხრობას „ყველაზე ძვირფასი საუნჯე“ ჰქვია. ჯერ მარტო სათაური რადა ღირს, მითუმეტეს, რომ ეს ყველაზე ძვირფასი საუნჯე, რაღა თქმა უნდა, ამაღლებული სიყვარულია. მოთხრობის გმირები არიან არჩილი და თამარი, ერთმანეთში შეყვარებული ახალგაზრდები, რომლებიც მხოლოდ მაღალფარდოვნად ლაპარაკობენ, მაშინაც კი, როცა მარტონი არიან და ერთხელაც არ წამოსცდებათ ადამიანური, უშუალო, ბუნებრივი ფრაზა. არჩილი შედარებით ცოტას სცოდავს ამ მხრივ, რადგან მალე ფრონტზე მიდის, თუმცა იქიდანაც ახერხებს წერილებში თავისი ყალბი ხმის მოწვდენას. თამარს მეტი დრო და ასპარეზი რჩება.

აი, მაგალითად, თამარი ფრონტზე წასული არჩილის სურათს ამოიღებს, „სიყვარულით“ დახედავს და „საყვედურით“ ეტყვის:

„რატომ წახვედი ჩემგან არჩილ, რატომ? ჩვენ ხომ ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი.. კომკავშირშიც ერთად მიგვიღეს და გახსოვს, სახლში რომ მოვედით, მამა ორივეს შუბლზე გვეამბორა და საჩუქრებიც ერთნაირი მოგვცა, თავისებურად დაგვლოცა.

გამექეცი? რატომ მოიქეცი ასე, რატომ?“ (გვ. 51).

თამარის ტირილი კიდევ კარგა ხანს გრძელდება, მაგრამ მოთხრობის გმირი ქალის შესაცნობად, ვფიქრობ, ესეც საკმარისია. სოფლის მოწინავე, განათლებული ქალი ისე მოსთქვამს, რომ შეიძლება კიდეც დაეჭვდეს კაცი, ეტყობა არჩილი ფრონტზე კი არ არის წასული, სადღაც სხვა ქალთან გაქცევიაო თამარს. ეს კიდევ არაფერი, ქალია და როგორც უნდა ისე იტირებს, მაგრამ კაცის დასანამუსებლად კომკავშირში ერთად მიღებას რომ იხსენებს, ეს უკვე აშკარად ავტორმა აიძულა და აქ უკვე ერთი სახოთირო კითხვა ისმის: მიუხედავად მწერლისა და გმირის მთელი სერიოზულობისა, ეს ხომ უბრალოდ ირონიად შეიძლება აღიქვას კაცმა? ნოდარ ძირკვაძეს ჰგონია, რომ ასეთ ვითარებაშიც კი კომკავშირის გახსენებით თავის გმირს მაღალი შეგნებულობა და პოლიტიკური სიმწიფე მიანიჭა, ჩემის აზრით კი, მან უბრალოდ, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ცუდი სამსახური გაუწია ამ კონტექსტში მოხსენებით კომკავშირს, გმირს უკვე აღარ დავეძებ. თუმცა აქ მეც უნდა ვცდებოდე მგონი, წიგნი რომ დაიბეჭდება, ავტორის გარდა გმირი მკითხველსაც ეკუთვნის და ცოტა მის რეპუტაციასაც უნდა გავუფრთხილდეთ.

ნოდარ ძირკვაძეს სანუგეშოდ ერთი რამ შეიძლება ვქონდეს, კერძოდ ის, რომ ამდაგვარ გმირებს მარტო მის ნაწარმოებებში როდი შევხვდებით, ისინი საკმაოდ მომრავლებულნი არიან მხატვრული პროზის ფურცლებზე. მაგრამ მისთვის თუ სანუგეშო იქნება, ჩვენ მხოლოდ უნუგეშობით აგვავსებს ეს მწარე სიმართლე.

ქართულ პროზას და მის გმირს, ამ უკიდურესი პრიმიტივიზმის გარდა, მეორე არანაკლები საშიშროებაც სდევს თან — უკიდურესი ბუნდოვანება და სუმბურულობა. მეოცე საუკუნის მწერლობას რომ საგრძნობი მიდრეკილება აქვს რთული მხატვრული აზროვნებისაკენ, ეს მგონი სადაო აღარ უნდა იყოს, მით უმეტეს. ამის დასადასტურებლად შორს სულაც არ დაგვჭირდება წასვლა, ქართული პროზაც მშვენივრად გამოგვადგება. ეს შეიძლება ყველას არ მოსწონდეს, მაგრამ მკითხველთა იმ ნაწილისათვის, ვისაც მიაჩნია და სწამს, რომ მხატვრული ნაწარმოების კითხვა თანაზროვნების და წვდომის პროცესია, ამდაგვარი პროზა არამცთუ მისაღები, ფრიად მნიშვნელოვანიცაა.

მაგრამ, როგორც ყველა ახალი და კეთილი საქმე, ესეც მოდად იქცა და მიმბაძველთა ხელში რთული მხატვრული აზროვნება ბუნდოვანებაში, ზოგჯერ კი პირდაპირ აბდაუბდაში გადაიზარდა. ჩვენც ხშირად, იმის შიშით, აქაო და „ახალი პროზის“ გაუგებრობა არ დაგვწამონო, ვერიდებით იმის თქმას, რასაც გულში ვფიქრობთ და ველით სხვა როდის გაბედავს და იტყვის — „მეფე შიშველიაო“.

მე დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, რომ ჯემალ დავლიანიძის რომანი „წონასწორობა“ „(ცისკარი“ № 8—12) სწორედ ამ კატეგორიის ნაწარმოებთა რიგს განეკუთვნება, მაგრამ დიდი მოწადინებას მიუხედავად რომ ვერაფერი გავიგე მასში, ესთეტიკურ სიამოვნებაზე აღარაფერს ვამბობ, ეს უკვე ფუფუნება იქნებოდა ჩემთვის, ამაში გულწრფელად გამოგიტყდებით. მე არ ვიცი რა ფარჩებს ხედავენ სხვები, ჩემთვის კი აშკარად „შიშველია“ ეს რომანი და დიდად მადლიერი დავრჩები იმისა, ვინც „წონასწორობის“ ღირსებებს თუ არა, სათქმელს მაინც გამაგებინებს.

რომანის ავტორი ჯემალ დავლიანიძე ახალგაზრდა მწერალია, თავისი მოთხრობებითა და ნარკვევებით მან უკვე მიიქცია მკითხველის ყურადღება, იგი უთუოდ ნიჭიერი კაცია და სწორედ ამიტომ უფრო არ მინდა დავუმალო ან შევურბილო ჩემი აზრი მის პირველ რომანზე, ვინ იცის, ეგებ კიდეც ვცდები ამ რომანის შეფასებაში, მაგრამ გულწრფელად ვამბობ სათქმელს და ამან მაინც უნდა გამოისყიდოს ჩემი შეცოდება.

ლიახ ბატონო, „ცნობიერების ნაკადისთვისაც“, სხვა თუ არაფერი, ყური მაინც მომიკრავს, „უსიუჟეტობაც“ გამიგია და ამდაგვარი სხვა რაღაცეებიც მსმენია, მაგრამ „წონსწორობა“ ვერაფერ ამას ვერ გავუწონასწორე. როდესაც მეოცე საუკუნის დიდმა მხატვრებმა აზრის აქცენტირებისა და ემოციური დამუხტვის მიზნით ფერწერაში ან სკულპტურაში კლასიკურ პროპორციებზე უარი თქვეს და ამ მხრივ სრული თავისუფლება მისცეს შემოქმედებით ფანტაზიას, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ ფიგურის ზუსტი წარმოსახვის ან გამოძერწვის უნარი არ შესწევთ. ან კიდევ, როცა თანამედროვე მწერლობაში კლასიკური სიუჟეტის დაშლა და დანაწევრება დაიწყეს, ეს იმიტომ არ მოიმოქმედეს, რომ ამბის დალაგებით მოყოლა არ შეეძლოთ. ყოველივე ეს მხოლოდ მხატვრული ხერხი იყო, მართალია რთული და, თუ გულწრფელნი ვიქნებით, საკმაოდ ხშირად მარცხიანი, სათქმელის უფრო

დაძაბულად მოსატანად და შესაგრძნებად. მაგრამ ის, რისი აღქმაც შეუძლებელია, უკვე სირთულეზე კი არა, უკეთეს შემთხვევაში ბუნდოვანებაზე მეტყველებს. ყოველი ექსპერიმენტი მხოლოდ კლასიკურის ცოდნის საფუძველზე შეიძლება მოხდეს და მაშინაც ყოველთვის როდი ელის წარმატება. ეს ყველაფერი არახალია, ცნობილია, მაგრამ ზოგჯერ ჭეშმარიტებებსაც უნდა გახსენება.

ახლა კი დავუბრუნდეთ „წონასწორობას".

აქ სიუჟეტი ისეა ჩახლართული, კომპოზიციურად ისეა შეუკვრელი რომანი, იმდენი მოულოდნელი და, თავს უფლებას მივცემ განვაცხადო, უსარგებლო გადასვლებია, რომ რამდენჯერმე მივუბრუნდი ზოგიერთ ადგილს, ბევრი ვუკირკიტე და მაინც ვერაფერს მივხვდი.

გავიხსენოთ, რომ ამ რომანის გმირი ჯონდო თავისი ცხოვრებით ცხოვრობს; ამასთანავე, იგი მწერალია და წერს რომანს; ამას გარდა, გასამრჯელოსთვის უწერს რომანს სხვას, ამ სხვას მისი ნაწერი ხშირად არ მოსწონს და უბრუნებს უკან, ჯონდო ამ დაწუნებულს ითავისებს და ამდენად კიდევ ერთი ახალი რომანის ავტორადაც გამოდის; გმირის, ანუ ჯონდოს ამ ყველა რომანიდან მწერლის, ანუ ჯემალ დავლიანიძის რომანში ვრცელი პასაჟებია ჩართული და ეს ყველაფერი სიუჟეტურად ერთმანეთთან არის, ან უნდა იყოს დაკავშირებული; ამას ემატება გმირის თუ სხვა ყველა პერსონაჟის მოგონებები. მე დარწმუნებული არა ვარ, რომ „წონასწორობის" სქემა არ გავამარტივე და არ გამომრჩა კიდევ სხვა ჩართული თუ ჩახლართული სვლები. მაგრამ ეს ჩემი გამარტივებული სქემა თავისთავად როგორი მარტივია?

ახლა, რომანის სტრუქტურაზე რაკი წარმოდგენა გვაქვს, მისი ცალკეული პასაჟების დატვირთულობა ვნახოთ. აი, მაგალითად, სულ ორი გვერდის („ცისკარი" № 8, გვ. 19—21) ფარგალში რა გეოგრაფიული გარემო, პერსონაჟები, აზრები, ფიქრები და განცდებია ჩატეული:

ჯონდოს საზანის რომანი მოაქვს (გასამრჯელოს გამო დასამუშავებლად, ანუ ხელახლა დასაწერად რომ აიღო) და ჯდება მატარებელში.

იწყებს საზანის რომანის კითხვას და მიხვდება, რომ ამაზე ჯახირს საკუთარი რომანის დასრულება ჯობდა.

ფულის შოვნის ამ ხერხის გამო სინანული და ნაღველი შემოაწვება.

ნაღვლიანი გახედავს მინდორს და იხსენებს ერთ თავის კარგ მოთხრობას, ამ მინდვრების „ფერფლისფერმა სიჩუმემ" რომ დააწერინა.

ამის შემდეგ წარმოიდგენს მეუღლეს ციოს.

ციოს გახსენებაზე ისევ ნაღველი შემოაწვება და რატომღაც პაპამისი დაუდგება თვალწინ სათონესთან.

ამას მოსდევს ბებიამისის გახსენება, რომელიც თავის მხრივ იხსენებს და ჩამოთვლის მის მეზობლებს (სულ ცოტა ათ კაცს) რა უბედურება დაატყდათ თავს.

ბებიის გახსენებაზე თვითონ ახსენდება, როგორ იწვა საავადმყოფოში და რომელი ავადმყოფი როგორ იქცეოდა.

ამ მოგონებებში რომ არის, მუხრუჭების ხრჭიალი ესმის (ახლა ჩვენ გავიხსენოთ, რომ გმირი მატარებელში ზის).

მუხრუჭების ნატისუსალის სუნი იმ ქარხანას აგონებს, სადაც სამი წელი დადიოდა პრაქტიკაზე.

ეს სუნი აგონებს ტრამვაის, კაფეს, რესტორანს, კინოს და კიდევ ბევრ სხვა დაწესებულებას თუ ადგილს.

მერე მოდის ფრაზა, რომლის გაშიფვრაც მკითხველისათვის მიმინდვია, მე ვერ მოვახერხე: „მუხრუჭები ცვდება, ავადმყოფობენ სტენოკარდიით, წნევით, ასთმით, კბილების ტკივილით, ბუასილით... პალატაში მწოლი დიდცხვირა თურმე დილით ადრე დგებოდა, ისე მიდიოდა სამსახურში" და ასე შემდეგ.

ვინ ან რა ავადმყოფობს სტენოკარდიით დაწყებული და ბუასილით დამთავრებული, მუხრუჭი თუ ძე სულიერი, ეს ამოუხსნელ რებუსად რჩება, მაგრამ ის კი გასაგებია, რომ ახლა ისევ საავადმყოფოში გადავედით.

აქ ავადმყოფი მასწავლებლის ცხოვრებას ვეცნობით და ამ ეპიზოდებში მონაწილეობენ ბავშვები, მშობლები, ოჯახის წევრები და სხვები.

მერე მასწავლებელი იგონებს თავის ძმისშვილს და მის სენტენციებს.

უეცრად გმირი ისევ პაპამისის გვერდით ზის და ბებიამისის წუწუნს ესმის.

მოგონება გაქრება, როცა გმირი სახლის კარს შეაღებს.

შევა თუ არა ოთახში, მუხის მაგიდის „გაკნაჭულ ფეხს" დაინახავს და მამამისი მოაგონდება.

ამაზე ნაღველი შემოაწვება და საკუთარი მოთხრობები მოაგონდება.

მატარებელზე დააგვიანდება და ამ ცუდ ხასიათზე ერთი ქეიფის ისტორია მოაგონდება.

ტაქსში ჩაჯდება. თანამგზავრი ქორწილს იგონებს, სადაც რძლის დედას გაარშიყებია.

მეორე თანამგზავრს დააკვირდება და გაიხსენებს, რომ იგი მებუფეტედ მუშაობს და ხურდას არ აძლევს ხოლმე.

მანქანაში მაგნიტოფონია ჩართული და დუდუკების ხმაზე გაახსენდება ერთხელ მანქანის ავარიაში როგორ მოხვდა, ყველა დაიხოცა და თვითონ კი გადარჩა.

ახლა ის გაახსენდება, რომ ამ შემთხვევაზე მოთხრობა დაწერა...

და ეს ყველაფერი, მოქმედებაც და მოგონებებიც, ფიქრებიც და განცდებიც სულ ორ გვერდზეა წარმოდგენილი. აბა, კეთილი ინებეთ და ყველა ეს გადასვლა ერთი, ან რამდენიმე წაკითხვით შენიშნეთ. თუ გულდასმით არ ჩაუკვირდით და არ ამოწერეთ, კიდეც რომ შენიშნოთ, ვერ დაიხსომებთ. და აი აქ ისმის კითხვა: ან რად უნდა შენიშნოს ეს ყველაფერი მკითხველმა, ან მითუმეტეს — რად უნდა დაიხსომოს. ამას ხომ არავითარი აზრი და მნიშვნელობა არა აქვს!

ახლა ვნახოთ რა რთული მეტაფორული აზროვნება ახასიათებს რომანის გმირს:

„მე დავინახე დედის დარდი, რომელიც ჩვენს ზვარში ციდან ჩამოვარდნილ ქვასავით მძიმედ იდო. ქვის დამრეც, გლუვ ზედაპირზე მანკშეყრილი დედაჩემის გული ეკიდა და ულონოდ ფეთქავდა...

ჩემი დარდი იმდენად დიდი იყო, რომ ვერაფრით ვერ დასრულდა დედის სიკვდილთან. ჩემს დარდში დედაჩემის გარდაცვალება ისეთივე პატარა იყო, როგორც მისი დაბადება და გულის მანკი...

ჩემი დარდი, რომლის საწყისი დედაჩემი იყო, გასცდა ჩვენი ოჯახის ყოფიერებას და ვიგრძენი უსასრულობაში გაბმული ჩვენი არსებობის უსაზღვროება. არადა, ვიცი, სანამ ამ უსაზღვროებას შევიცნობ, მხდალი ვიქნები ყოველგვარი მოჩვენებითი სიცარიელის წინაშე“ („ცისკარი“ № 8, გვ. 25—26).

მე მესმის, რომ კაცმა შეიძლება იფიქროს, რომანიდან ისე ამოგლეჯილი ფრაზებით მსჯელობა სტილზე და მხატვრული აზროვნების ავ-კარგზე იქნებ დამაჯერებელი არ იყოსო. ღვთის მადლით, ეს რომანი ადვილი ხელმისაწდომია და ყველას შეუძლია წაიკითხოს იგი, რათა საკუთარი აზრი შეიქმნას მასზე.

სტილს, სიუჟეტს, კომპოზიციას და ამგვარ კატეგორიებს რომ თავი დავანებოთ, ჩვენთვის მთავარი საკითხის — გმირის პრობლემის გადაჭრის თვალსაზრისით როგორიღაა ჯემალ დავლიანიძის რომანი „წონასწორობა?“ ამ კითხვაზეც, სამწუხაროდ, მხრები უნდა ავიჩეჩო. ძნელია რაიმე გარკვეულის თქმა, რადგან მისი გმირიც, ჯონდოც ისევე ძნელი ამოსაცნობია, როგორც მთლიანად რომანი. დიდი ჯაფის შემდეგ მხოლოდ იმას ჩავწვდი, რომ გმირის მოქმედებაცა და ცხოვრებისეული ფილოსოფიაც ხავსია. ურთიერთგამომრიცხავი საქციელითა და აზრებით. იგი ფულიანი და საქმოსანი ხალხის მოძულეცაა და მათი ახლობელიც, თავხედიცაა და თვინიერიც, გულჩვილიცაა და დაუნდობელიც, აზრიანიცაა და უაზროც. ყველა ამ საპირისპირო თვისებებს ისეთი უკიდურესობებით ამჟღავნებს, რომ პროფესორი და ასისტენტი ველარ გარკვეულან, ერთს უიმედო სულიერ ავადმყოფად მიაჩნია, მეორეს — აბსოლუტურად ჯანმრთელ ადამიანად. არა, გამოგიტყდებით, ვერც ამ გმირისა გავიგე რამე.

იქნებ გმირის სწორედ ამ გაუწონასწორობლობაზეა, ცხოვრებაში საკუთარი ადგილის, მიზნის, პოზიციის ძიებაზეა დაწერილი ეს რომანი. აკი ასეც მთავრდება: „თვალები დავხუჭე და სიკამკამეს გავხედე, რომლის მიღმა ბავშვობაში ნანახი ხის დიდი სასწორი იდგა... წინათ სასწორი ადიოდა და ჩადიოდა... ახლა კი გაწონასწორებულიყო და იმ მხრიდან უსასრულო თეთრი ცეცხლის გაზაფხულთა ყვავილების სიმღერები მოედინებოდა“.

არც ეს დამაგვირგვინებელი ფრაზაა ხინათლით მოსილი, მაგრამ ეგებ გმირმა მართლაც მიაგნო იმ წონასწორობას, რამაც მას სულიერი სიმშვიდე უნდა მოუტანოს, ცხოვრების მიზანი აპოვნინოს. ეს ჯერ ბოლომდე არ ვიცი, მაგრამ თუ კიდეც ასეა, ამისი მიგნება თვით გმირსაც და პირადად მეც საკმაოდ ძვირად დაგვიჯდა.

ამდაგვარი ხელოვნურად გართულებული მხატვრული ნაწარმოების კითხვის შემდეგ, უფრო თვალნათლივი ხდება სადა, ნათელი პროზის უპრეტენზიობა და უპირატესობა. რთული მხატვრული აზროვნება იმ შემთხვევაში იზიდავს მკითხველის ყურადღებას, როცა სათქმელის სიღრმე თავისთავად მოითხოვს ამას და მწერლის ოსტატობაც სწვდება და სძლევს დასახულ ამოცანას, ჩანაფიქრს რეალობად აქცევს. მწერლის სტილი მისი ბუნების, ნიჭის თავისებურების გამოხატულება უნდა იყოს და არა სათქმელის გადმოსაცემად ნაძალადევი, სხვათა წაბაძვით მოხმობილი ხერხების და საშუალებების ეკლექტიკური ნაჯვარი.

ბუნებრიობა და ორგანულობა მწერლობის ერთერთი მთავარი მომხიბლავი თვისებაა და მისი წყალობით ბევრს იგებს მკითხველის თვალში მხატვრული ნაწარმოები. სწორედ ესაა უპირველესი ღირსება ნოდარ შამანაძის ახალი ვრცელი მოთხრობის „ხათრიანი კაცისა“. მწერალმა კარგად იცის არა მარტო ის ცხოვრებისეული მასალა, რასაც მოუხმობს წიგნში, არამედ კარგად ფლობს იმ ჟანრსაც და ფორმასაც. იმ მხატვრულ ხერხებსაც, რომლებსაც მიმართავს სათქმელის გამოსახატავად.

„ხათრიანი კაცი“ არის კრებული იუმორისტული მოთხრობების, ნოველების, მინიატურების, ზოგ შემთხვევაში ანეგტოდებისაც, რომელსაც ორგანული კავშირი აქვს ხალხურ ეპოსთან. ეს უკანასკნელი კი მშვენივრად იცის ნოდარ შამანაძემ არა მარტო როგორც მწერალმა, არამედ როგორც ფოლკლორის მკვლევარმაც. პატარ-პატარა მხიარული ისტორიები კრიალოსანის თვლებივით არის აკინძული ერთ

სიუჟეტურ ძაფზე და წიგნიც მთლიან შთაბეჭდილებას ახდენს. თუმცა, ყველაფერი თანაბარ დონეზე არ გამოუვიდა ავტორს, კრიალოსანს შიგადაშიგ უკვე გაცვეთილი, ან უეფექტო თვლებიც გამოერია, მაგრამ, რაც მთავარია, არაორგანული, საერთო სტილიდან ამოვარდნილი აქ არაფერია. ნოდარ შამანაძე საკმაოდ ოსტატურად მიმართავს ფოლკლორული პერსონაჟების თუ თხრობის მანერის იმიტირებას და ეს მის ახალ ნაწარმოებებს სასიამოვნო ჟღერადობას ანიჭებს. ყურადღებას იმსახურებს სიუჟეტის ჩაძიება.

ამ მოთხრობაში ტყუპი ძმების, ერთმანეთის ანტიპოდების ცხოვრებაა მხიარული კილოთი მოთხრობილი. ერთი თუ თავკერძა, მეთავისე და გაქნილი ვინმეა, მეორე ძმა ხათრიანი კაცია და ამ კეთილი თვისების გამო ბავშვობიდანვე მხოლოდ ფათერაკები სდევს თან, იმ დროს, როცა მისი ტყუპისცალი თავს არხეინად გრძნობს და ცხოვრებასაც იოლად იწყობს.

ტყუპი ძმების ცხოვრების უჩვეულო და ჭკუისსასწავლ ისტორიას თითქოს ქართული ზღაპრიდან ნასესხები პროლოგი აქვს:

„ქვაც კი იწვოდა ჩუტუ მიხოშვილის საცოლის ტანჯვით: დილიდან საღამომდე ბორგავდა, წვალობდა. ბალღი კი არა და არ ჩანდა. ზედიზედ ოთხი მჭობნისმჭობნი ბებია-ქალი მოუყვანეს, მაგრამ ვერც ერთმა ვერ უშველა. ბოლოს მკითხავთან აფრინეს კაცი.

— ტყუპი ბიჭი იბადება. ერთი მეტისმეტი ხათრიანია, არ უნდა ძმაზე უმალ გამოჩნდეს. მეორე კი თავს იკლავს, სურს ტყუპისცალს დაასწროს. მაგრამ წინ ხათრიანია გაჩხირული და გვერდის აქცევას ვერ ახერხებს, — თქვა მარჩიელმა მელოგინეს რომ დახედა."

ამ ერთდროულად მძიმე და პიკანტური მდგომარეობიდან გამოსავალი არ ჩანს. მარჩიელის აზრით, სხვა საშველი არაა, გარდა ლოდინისა. ზღაპრის ძალით ეს საქმე იოლად მოგვარდებოდა, მაგრამ მწერალმა ბოლომდე მისი ტყვეობა არ ინება. მან საკუთარი გზა გამონახა, მედიცინას მოუხმო და, მართლაც, გინეკოლოგის ოპერაციული ჩარევის შედეგად ყველაფერი კეთილად დამთავრდა. ასე შეერწყა თავიდანვე ამ მოთხრობაში ზღაპარი და რეალობა. ამ ნაჭვარმა კარგი შედეგი გამოიღო, მოთხრობამ ფოლკლორული უჩვეულობა და სილაღე შეიძინა და თანამედროვე ცხოვრების, არცთუ სულ დალხენილის, სურათებიც და პრობლემებიც მხიარული ფერებით წარმოგვისახა.

ვიდრე მწერალი ამ მძიმე სიტუაციიდან გამოსავალს ეძებდა, მელოგინის სასთუმალთან მარჩიელის ნათქვამმა დიდი ბჭობა გამოიწვია.

ერთმა თქვა, ხათრიანს. „რომ არ დაიბადოს, ურჩევნიაო". ეს უკიდურესი აზრი. ცხადია, არავინ გაიზიარა. ანკი როგორ შეიძლება მისი სერიოზულად განსჯა, როცა ძირშივე მცდარია. აბა, სიცოცხლეს რა დაუდგება წინ!

მეორემ იწინასწარმეტყველა: „ხათრიანობით ამ ქვეყნად ფონს მაინც ვერ გავაო". არც ეს გამოდგა სულ მართალი. თუმცა დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც მიაგნებს ფონს მოთხრობის ბოლოს ხათრიანი კაცი. ფონს გავიდაო, ასე ითქმის მხოლოდ თორემ სინამდვილეში იგი სწორედ ყველაზე ღრმა წყალს გადალახავს.

ყოფითი ფილოსოფიით ღრმად განსწავლული წარბშეკრული ქალები უფრო იმედიანად უყურებენ ცხოვრებასაც და ამ შემთხვევასაც: „ფიქრი ნუ გაქვთ, როგორ სოფელშიც მოვა, ისეთ ქუდს დაიხურავს". არც ამათ გაუმართლებს სიტყვას ხათრიანი კაცი, ბოლომდე საკუთარი ქუდით ივლის.

თუმცა, სამთავე ამ მოსაზრების გამტყუნება საკმაოდ ძნელი საქმე გამოდგა ხათრიანი კაცისათვის. მწერლის დახმარებით ჩვენ, მოყოლებული გმირის დაბადებიდან ვიდრე დავაჟკაცებამდე, მის მიერ ამ მძიმე გზის დაძლევის მოწამენი ვხდებით. ჩვენთვის სულაც არ არის მძიმე ამ მძიმე გზის თვალის მიდევნება, რადგან მოთხრობა იუმორისტულია და, ამასთანავე, საკმაოდ ხალისიანიც. ეს დაზუსტება ნუ გაგვიკვირდება, რადგან იმავ მოდის წყალობით მომრავლდა უხალისო და უკბილო იუმორისტული მოთხრობები.

ხათრიან ძმას ხიხუნა ჰქვია, უხათროს — პოჭინა. ხიხუნამ თავისი ბუნების წყალობით ბევრჯერ იწვნია სიმწარე. დედაც კი ძუძუს ხულ პოჭინას აწოვებდა, მეორე მაინც ხათრიანია და არ იტირებსო. პოჭინაც მშვენივრად სარგებლობს ძმის კეთილი ბუნებით, ჯერ მის წილ რძეს წოვს, ბოლოს კი იქამდე მივა, რომ ხათრიან კაცს შეყვარებულს წაართმევს და უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე მის ნიშანსაც მიითვისებს. ყველა სიკეთე, რაც კი ხიხუნას დამსახურებულად ერგებოდა, პოჭინამ დაუმსახურებლად დაისაკუთრა. მაგრამ მთავარი და ძირითადი სიკეთე. სიკეთის თესვის უნარი მაინც მხოლოდ ხიხუნას გააჩნია და ამაშაა მისი ბედნიერება.

პოჭინასთან ერთად სხვებიც ხშირად სარგებლობენ ხიხუნას მიმნდობი და კეთილი ბუნებით, მაგრამ ამით მას ბევრი არაფერი აკლდება. ხოლო როცა მოთხრობის ბოლოს, უკვე დავაჟკაცებული ხიხუნა, ბავშვების ცელქობის ნაცვლად, მოზრდილთა ბოროტებას გადააწყდება, მაშინ კი აევსება მოთმინების ფიალა და საკუთარი კეთილი ბუნება სულაც არ დაუშლის ხელს წინაღუდგეს მას. ამის შემდეგ ხათრიანი კაცის ცხოვრებაში ჩვენ ვგრძნობთ და ვხედავთ ნათლად, ახალი ეტაპი იწყება.

მოთხრობის ამ ძალდაუტანებელ ქარგაში მწერალი ბევრ მხიარულ და ამასთანავე საგულისხმო ისტორიას თუ შემთხვევას გვიყვება ძმე-

ბის ბიოგრაფიიდან, რომელთაც ხალხური ეპოსისათვის ჩვეული გამჭვირვალე ან პირდაპირ გაცხადებული სენტენციით ამთავრებს. ასე გვთავაზობს იგი თანამედროვე ყოფის სურათებსაც და მათდამი საკუთარ დამოკიდებულებასაც, ასე წარმოგვიდგენს იგი თავის გმირს, ხათრიან კაცს, ვისი ცხოვრებაც შინაგანი სიკეთით არის განათებული.

* * *

გასულ წელს საერთოდაც და განსაკუთრებით თანამედროვე გმირის პრობლემის თვალსაზრისით კიდევ რამდენიმე საინტერესო რომანი გამოქვეყნდა, მათ შორის — ოთარ ჩიჯავაძის „როცა ფარშავანგი ყივის“ და შოთა ვადაჭკორიას „მზის თვალი“. ამ ორ ერთმანეთისაგან ბევრად განსხვავებულ რომანს ერთი რამ აახლოებს, ორთავე ქართველი ინტელიგენციის ცხოვრებაზეა დაწერილი. პირადად მე ეს განსაკუთრებულ ინტერესს აღმიძრავს, რადგან ქართული პროზა, ჩემი აზრით, ნაკლები ყურადღებით ეკიდება ჩვენს ინტელიგენციას და ამით ბევრად იღარიბებს თავს.

ოთარ ჩიჯავაძე ქართველი მკითხველისათვის კარგად არის ცნობილი. მისი რომანები და მოთხრობები აქამდე მეტწილად სამშობლოსაგან დიდი ხნით მოწყვეტილი ადამიანის ცხოვრებას, მის მძიმე განცდებსა და ფიქრებს. მას აფორიაქებულ სულს წარმოგვისახავდა და გვიხსნიდა. ვინც ოთარ ჩიჯავაძის ბიოგრაფიას ცოტად თუ ბევრად იცნობს, იცის რომ ეს მისთვის ორგანული თემაა. როდესაც ეს ახალი რომანი „როცა ფარშავანგი ყივის“ ავიღე ხელში და თავდაპირველად მისი წინდართული ანოტაციის კითხვას შევუდექი, ასე მეგონა, მწერალი აქაც საკუთარ თემას აგრძელებდა. აი როგორ იწყება ანოტაცია: „ფარშავანგს, მსოფლიოს მრავალი ერი, აღმოსავლეთის ხალხებიდან დაწყებული და ამერიკის ინდიელებით დამთავრებული, სიბრძნის სიმბოლოდ მიიჩნევს. ავტორმაც ამიტომ უწოდა თავის რომანს „როცა ფარშავანგი ყივის“.

ამან მაფიქრებინა, რომ რომანში წარმოსახულ ამბავს რაღაც კავშირი ექნებოდა ქართველი კაცისათვის უცხო სამყაროსთან, რომლის სიმბოლოც სათაურშიც კი გამოეტანა ავტორს. მაგრამ მოვტყუვდი. ამჯერად ოთარ ჩიჯავაძემ „უღალატა“ თავის თემას, რომანში კვალიც კი არ არის შორეთს გადახვეწილი, სამშობლოს მონატრებული, როგორც იტყვიან, ნოსტალგიით შეპყრობილი ადამიანის განცდისა. ეს ნაწარმოები მთლიანად თანამედროვე თბილისელი ახალგაზრდობის ცხოვრებას ეძღვნება. როცა იგი ბოლომდე წავიკითხე, ეს ცხადი გახდა ჩემთვის, მაგრამ სამაგიეროდ ის ვეღარ გავიგე, რად დასჭირდა ავტორს უცხო სიმბოლოს მოხმობა რომანის დასასათაურებლად.

რომანის მთავარი გმირები არიან ახალგაზრდა ექიმი გივი კაპანაძე და სხვა ახალგაზრდა ხელოვნებათმცოდნე ეკა მუჯირი. კიდევ უფრო სწორი იქნება ალბათ თუ ვიტყვი, რომ მათთან ერთად მთავარი გმირები არიან, გივის მეგობრები დათო, ლევანი, დოდო და სხვები, რომელთა ცხოვრება ურთმანეთოდ წარმოუდგენელია. რომანში კარგად, რაც მთავარია, დიდი სიყვარულით არის გახსნილი თანამედროვე ახალგაზრდობის მაღალი მორალური და მოქალაქეობრივი სახე.

ოთარ ჩიჯავაძის ახალგაზრდა გმირები დაძაბული, სისხლსავსე უკომპრომისო ცხოვრებით ცხოვრობენ. ისინი არ ერიდებიან სიძნელეებს არც პროფესიული და არც ზნეობრივი ხასიათისას, თვალს არაფერს უხუჭავენ, ყველაფერში ბოლომდე გარკვევას და საკუთარი პოზიციის აშკარად გამჟღავნებას ამჯობინებენ. ამდაგვარი მძიმე გამოცდები მათ ორთავ სფეროში ელით, განსაკუთრებით გივი კაპანაძეს. ერთი მხრივ საავადმყოფოს ცხოვრება და მეორე მხრივ საავტომობილო ავარიაში მოყოლილი მეგობრის ლევანის ფიზიკური დავრდომილება და ამასთან დაკავშირებული მძიმე განცდები სულიერი ღირსებების გამჟღავნებისა და წრთობის საუკეთესო ასპარეზად და საშუალებად იქცა მისთვის.

რომანში „როცა ფარშავანგი ყივის“, ჩემი აზრით, არ შეიმჩნევა ცხოვრებისეული მოვლენების საფუძვლიანი გახსნისა და ხასიათების ღრმა წვდომის პრეტენზია. აქ უფრო მხატვრული ილუსტრირების მეთოდთან გვაქვს საქმე. ბევრ რამეს გულუბრყვილობის, ან აშკარა შეუსაბამობის დაღიც ემჩნევა, რაც სერიოზულ კრიტიკას ვერ გაუძლებს, მაგრამ ამისი სურვილი ნაკლებ გვიჩნდება, რადგან, როგორც ვთქვი, რომანი სოციალური და ფსიქოლოგიური პლანის ჩაღრმავებული მხატვრული ანალიზის პრეტენზიას არ უნდა აცხადებდეს. თანაც, უხვად მოხმობილი სათავგადასავალო ეპიზოდები და ინტრიგები საინტერესო წასაკითხსა ხდის მას.

ოთარ ჩიჯავაძემ ამ, ასე ვთქვათ, მსუბუქი ჟანრის, ფართო მკითხველისათვის განკუთვნილ საკითხავ წიგნში ბევრი ცხოვრებისეული სიტუაცია წარმოსახა, თავისი ახალგაზრდა გმირების მდიდარი და ძლიერი სულიერი სამყაროც გაგვიხსნა და, რაც მთავარია, პროფესორ შალვა მუჯირისა და ახალგაზრდა სპეციალისტის გივი კაპანაძის მეშვეობით თანამედროვე ქართველი ექიმების მომხიბლავი სახეებიც შექმნა, გვიჩვენა ინტელიგენტი ადამიანების ჩუმი და უხმაურო, თუმცა კეთილშობილებით და თავგანწირვით სავსე პროფესიული საქმიანობაც და მათი ღრმად საგულისხმო პირადი ცხოვრებაც.

შოთა ვადაჭკორიას რომანი-დებიუტი „მზის თვალი“ შემოქმედებითი ინტელიგენციის ცხოვ-

რებაზეა დაწერილი. ავტორის განზრახვა ამ პირველსავე რომანში მეტად სერიოზულია, იგი მწვავე პრობლემებს შეეჭიდა და განსხვავებული, რთული ხასიათების გახსნას შეეცადა. გასაკვირი არ არის, რომ შოთა ვადაჭკორიას გაუჭირდა თავიდანვე და ერთბაშად ამხელა მხატვრული ამოცანის გადაწყვეტა, რომანს დაჰყვა დაღი სქემატურობის, ალაგ ზედმეტობის, გაჭიანურებული მსჯელობის და სხვა ამდაგვარის, ამიტომაც ცოტა მძიმედ იკითხება, მაგრამ მისი სათქმელის მნიშვნელოვანება, აქ გამოყვანილი გმირების ტიპიური ნიშნები და განზოგადების ძალა, მიუხედავად ზემოთმინიშნებული ნაკლისა, მას უთუოდ საყურადღებოს ხდის.

შოთა ვადაჭკორიას რომანში წარმოსახული სამყარო ბევრწილად კრიტიკული თვალით არის დანახული, ავტორი საკმაოდ საფუძვლიანად ცდილობს გაგვიხსნას მეცნიერთა წრეში ღრმად შენიღბული ბოროტება. ამისათვის იგი გმირთა მიერ თვითმხილებასაც კი მიმართავს, რათა უფრო სარწმუნო გახადოს ნათქვამი. ეს ხერხი კარგად არის გამოყენებული ვარლამ ხანთაძის დასახასიათებლად.

„მზის თვალში" გმირთა საკმაოდ მრავალფეროვანი გალერეაა წარმოდგენილი. ყოველი მათგანის საფუძვლიანად გახსნა შოთა ვადაჭკორიას, ჩემი აზრით, გაუჭირდა, მაგრამ, ამასთანავე, მან მეტად საგულისხმო სახეებიც შექმნა როგორც უარყოფითი ტიპების — ვარლამ ხანთაძის, ლადო თვაურის, ავთანდილ ქიპაშვილის და სხვების, ასევე დადებითისა — ნოდარ ურუშაძის, ლალი ციციშვილის, სევერიან ღარასელიას და სხვების.

თანამედროვე დადებითი გმირის თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ნოდარ ურუშაძის სახე. იგი აშკარად გვხიბლავს თავისი შინაგანი პატიოსნებით, შრომის წყურვილით, პროფესიის ერთგულებით, უკომპრომისო ბუნებით და ბევრი სხვა კეთილი თვისებით. ასევე უაღრესად საინტერესოა სევერიან ღარასელიას სახე, რომელიც ერთი შეხედვით საზოგადოებრივად აქტიურ ცხოვრებას თითქოს არ ეწევა და მხოლოდ თავისი შემოქმედებითი შრომით არის გატაცებული, მასშია მთლიანად ჩაფლული, მაგრამ მისი ზნეობრივი სისპეტაკის ძალა უთუოდ გადამდებია.

ამდაგვარი გმირები უპირისპირდებიან სწორედ იმ კონსერვატიულ და ბოროტ ძალას, ვისაც შემოქმედებითი დაწესებულების სათავეები ჩაუგდია ხელთ და ეს ბრძოლა აშკარად ახალი თაობის, ჭეშმარიტი მეცნიერებისა და ახალგაზრდობის გამარჯვებით უნდა დამთავრდეს. ასეთია ცხოვრების ლოგიკაც და ასეთია ამ რომანის სიუჟეტური განვითარების პერსპექტივაც.

როგორც ამ მიმოხილვიდან და ანალიზიდანაც უნდა ჩანდეს, ახალი გმირის ძიების თვალსაზრისით გასული წლის ქართული რომანისტიკა საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა. გმირის პრობლემა ყოველთვის მთავარი იყო და არის მწერლობისათვის. ამ საქმეში წარმატება საერთო ლიტერატურულ წარმატებებსაც განაპირობებს. ამიტომაც უფრო გვაიმედებს გასული წლის მხატვრული პრაქტიკა.

ცხადია, წინ ახალი ძიებები და ახალი გამარჯვებების იმედია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელიზბარ ზედგინიძე

# რევოლუციის ქარიშხალა

დავცქერი წითელ მაუდ გადაკრულ ძველებურ პატარა მაგიდას და მინდა წარმოვიდგინო როგორ წერდა მასზე თავის პირველ მოთხრობას ალექსეი პეშკოვი ოთხმოცზე მეტი წლის წინათ.

გამოუცდელი ახალგაზრდის ძლიერი ხელი ნერვიულად მოძრაობს მასზე, ამ პატარა მაგიდის ფეხები ცახცახებენ, დროდადრო კი ადგილიდან სხლტებიან, მისი მღელვარე და ძლიერი მკერდის დაწოლის გამო. მისი კალმის წვერის ქვეშ იშლება მშვენიერი ტილო:

„ცეცხლოვანი ენებით ვარვარებს კოცონი. ირგვლივ გაშლილია შემოდგომის ღამის სიბნელე. ზღვიდან მონაბერი ცივი ქარი ლამობს ჩააქროს იგი, მაგრამ კოცონი არ ქრება... ანთია“.

ცეცხლის ალში და კვამლის სქელ ბოლქვებში მწერალი ხატავს მკერდშიშველ ადამიანს, ჩიბუხით ტუჩებში, თავისუფლების მოყვარულს ამაყსა და ძლიერს, რომელიც ასწავლის მსმენელს, თუ როგორ უნდა იცხოვროს კაცმა.

„მაშ შენ მოგზაურობ. ეს კარგია? შენ, შენთვის სასახელო ბედი აგირჩევია, შევარდენო!“

„დიდხანს ნუ დარჩები ერთ ადგილზე, რა ყრია ამაში?“.

სწორედ ამ დროს ახალგაზრდა ალექსეის იპყრობდა მარტოობისა და განდგომილების გრძნობა, აწვალებდა სხვა ცხოვრების მგზნებარე ძიება, რამაც აიძულა იგი ფეხით შემოეარა ათასობით კილომეტრი ნიჟნი ნოვგოროდიდან ბესარაბიამდე, შავი და აზოვის ზღვებამდე, ყუბანი, კავკასიონის ძირი, დარიალის ხეობა, გუდაუთის ულელტეხილი და ჩვენი მზიური თბილისი.

აქ იწერებოდა ამაღელვებელი სტრიქონები: „ლოიკო, მე არასოდეს არავინ არ მყვარებია, ლოიკო! შენ კი მიყვარხარ! თავისუფლება კი, ლოიკო, მე შენზე უფრო ძლიერ მიყვარს!“

ახე დაიბადა „მაკარ ჩუდრა“.

და დაიწყო დიდმა ადამიანმა თავისი შემოქმედებითი ცხოვრება სიყვარულით და თავისუფლების მოყვარულობით.

ეს იყო მისი თბილისში პირველად ჩამოსვლის დროს. ის მოისწრაფოდა საქართველოსკენ ახლის ძიებაში, ისე როგორც თავის დროზე მოისწრაფოდნენ პუშკინი, ლერმონტოვი, ტოლსტოი.

მას შემდეგ რაც თბილისიდან რუსეთში გაბრუნდა, ექვსი წელი გავიდა, მშვიდობიანად მიდიოდა წლები სამარაში და ნიჟნი ნოვგოროდში, იალტაში და ალუპკაში. სულ ახალ-ახალი მოთხრობებით აღტაცებაში მოჰყავდა მკითხველები, სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდებოდა იგი. თითქოს თბილისმაც დაივიწყაო ახალგაზრდა შემოქმედი ტანადი, მძლავრი შესახედაობის, ჰკვიანური, ჩაფიქრებული თვალებით და სახის თავისებური გამომეტყველებით, რაც ყველა მათ ყურადღებას იპყრობდა, ვინც ერთხელ მაინც ნახავდა ფართოფარფლებიანი შავი შლიაპა თითქმის მუდამ უკან კეფაზე ჰქონდა გადაწეული. მასში ყველა გრძნობდა ძალისა და სიჯანსაღის მომხიბვლელობას.

აი, ოცდაათი წლის შესრულდა. ის დაქორწინდა. გაჩნდა ბავშვიც, ახალგაზრდა ოჯახის ბედნიერება და სიხარული. აინთო თბილი ოჯახური კერა. მის გულში აენთო მამის წმინდა გრძნობა.

არც ერთი წუთით არ ჩაფიქრებულა შვილის სახელის არჩევანზე. როგორც კი დაიბადა, მაშინვე მაქსიმი დაარქვა. დიდიხნის ნაოცნებარი ჩანაფიქრი. ისე ძალიან უყვარდა მას თავისი მამა, რომ შვილსაც მამის სახელი დაარქვა და თვითონაც მისი სახელი მიიკუთვნა. ის ხომ არც ერთი წუთით არ შეყოყმანებულა, როდესაც თავის პირველ მოთხრობას ხელს აწერდა. გაზეთ „კავკაზის“ რედაქციაში შექმნა მან თავისი პირველი ფსევდონიმი — მაქსიმ

გორკი, რითაც სურდა აღენიშნა მამის მწარე ცხოვრება.

ახალგაზრდა მწერლის საწერ მაგიდაზე ყოველთვის ეწყო წერილები, ჩანაწერები, მოთხრობების ნაწყვეტები, და შუაღამის გადასვლამდე მის სამუშაო ოთახში სინათლე არა ქრებოდა.

მოულოდნელად, თითქოს მოწმენდილ ცაზე ელვამ გადაირბინაო, ნიჟნი ნოვგოროდში მოვიდა ბრძანება: „დააპატიმრეთ, გაჩხრიკეთ და წარმოავლინეთ!.

გორკი შინ არ იყო.

მწერლის ნაწერ ქაღალდებს, რომელიც საწერ მაგიდაზე ეწყო, ჩაებღაუჭნენ ჟანდარმის ხელები. ფუთად შეკრეს და იღლიაში ამოდებული წაიღეს. მშფოთვარედ შესცქეროდა ჟანდარმებს გორკის მეუღლე — ეკატერინე.

— რას სჩადიან?! რა უხეშად იქცევიან?! როგორ ეპყრობიან ქმრის ხელნაწერებს, რომელსაც თვითონაც ხელს არ ახლებდა, მუდამ უვლიდა და თავს ევლებოდა.

აკვანში ბავშვი ტიროდა. ცხრა თვის მაქსიმი ტირილით უძახდა დედას, მაგრამ ეკატერინე პავლეს ასულს არ სცალოდა მისთვის, მთელი ბინა თავდაყირა დააყენეს.

მწერალსაც მიაგნეს. ის სიზნოვში იმყოფებოდა. შუა თითიდან ამოაგლიჯეს ჯვარწერის ოქროს ბეჭედი. ჯიბეები გადმოუქექეს და ფული გადაუთვალეს — ოცდათხუთმეტი მანეთი და რაღაც კაპიკები. იმავე დღეს ორი ჟანდარმის თანხლებით ეტაპით გაგზავნეს თბილისში.

მიემგზავრებოდა გორკი, ტუსაღთა ვაგონით, გული კი მშობლიურ ნიჟნი ნოვგოროდში რჩებოდა. მას არ შორდებოდა ფიქრი შვილზე, პატარა მაქსიმზე. ხუთი დღე და ღამე შფოთვაში იყო. ვერ მშვიდდებოდა. სულ იმის ფიქრში იყო თუ რატომ, რისთვის, რის გამო დაატუსაღეს? არაფრით არ შეეძლო აეხსნა ეს.

ფიქრში წარმოიდგინა თბილისში გატარებული თვეები. აი მუშა მექანიკოსი თედორე აფანასიევი. გორკი მასთან მეგობრობდა. ეს იყო კრასნოგორსკის ქუჩაზე, ნახევრად სარდაფის ოთახებში, სადაც როგორც კომუნაში, ისე ცხოვრობდნენ მუშები, სტუდენტები, მოსწავლეები. მაგრამ რა გააკეთა იქ ცუდი?.. ის იქ ამხანაგებს უამბობდა, რაც ნანახი ჰქონდა უზარმაზარ, მაგრამ ღარიბ-ღატაკ იმპერიის კიდით კიდემდე მოგზაურობის დროს. უამბობდა, რასაც თვითონ განიცდიდა აუტანელ, დამქანცველ და დაუძლურებელ შრომაში. ეს ასეა, მაგრამ ხშირად მუშათა საკითხებზეც მსჯელობდა. არა, არა მგონია, ეს ჩემი დატუსაღების მიზეზი იყოს. ის ხომ კარგად იცნობდა ფედიას, პატიოსან, ერთგულ მეგობარს. განა ის ამას ვინმეს გაუმხელდა?! რასაკვირველია არა!..

სულ თვალწინ ედგა პოლიტიკური გადასახლებული ალექსანდრე კალიუჟნის სახე. იქნებ ის არის დამნაშავე?.. არა, არა! ის წარმოუდგენლად კეთილშობილი კაცია. ეს ის ადამიანი იყო, რომელმაც მწერლობის გზაზე დააყენა, რომელმაც აიძულა დაეწერა „მაკარ ჩუდრა“ და თვითონვე დაბეჭდვაზე ხელი შეუწყო. ეს მან შეიკედლა ახალგაზრდა გორკი თავის ღარიბულ ბინაში ელიზავეტას ქუჩაზე, სადაც პატარა ოთახი გამოუყო. კალიუჟნიმ შენიშნა მასში კარგი მთხრობელის თვისება და სულ ჩასჩიჩინებდა: „დაწერე ყველაფერი ეს, ისიც დაწერე რაც გინახავს!“.. მაგრამ, რასაკვირველია, მხოლოდ კალიუჟნი არ იყო გორკის მწერლობის გზაზე წამბიძგებელი, სხვა გრძნობაც და ფიქრიც უკარნახებდა ამას, რასაც ამტკიცებს თვითონ გორკი; საბჭოთა საქართველოს თხუთმეტი წლის თავზე იგი წერს საქართველოზე:

„შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქვეყნის დიდებულმა ბუნებამ და მისი ხალხის რომანტიკულმა ხასიათმა, სწორედ ამ ორმა ძალამ მიბიძგა და ჩემგან, მოხეტიალესგან, ლიტერატორი გამოიყვანა. ჩემს თავს მცირეოდენი ლირიკის ნებას ვაძლევ, რომ გამოვხატო უშრეტი სიმპათია თქვენდამი და თქვენი ხალხისადმი“.

ტუსაღების ვაგონში ხუთი დღე-ღამის ნჯღრევა-რყევის შემდეგ გორკი თბილისში ჩამოიყვანეს.

აი, მეტეხის ციხეც, რა ამაყად აღმართულა იგი ქვაკლდოვან გორაკზე პირქუშად დასცქერის იგი მტკვარს, რომელიც მის ძირში დაკლაკნილა. შაშხანით ხელში დგანან და მიმოდიან ჯარისკაცები ციხის რკინის ალაყაფის წინ. შესცქერის შორიდან, თანდათან უახლოვდება მეტეხს. მაისის მზით გაბრწყინებული ლურჯი ცის ფონზე ხედავს იგი ძველისძველი ციხის რუხსა და პირქუშ კონტურებს გორკი ცნობისმოყვარულად ათვალიერებს. თითქოს სწავლობს მის არქიტექტურულ ნაგებობას, რომელიც აღმართულია და შეზრდილია შვეულ კლდეზე. გორკის ეღიმება, თითქოს მეტეხში ტუსაღად კი არ მიჰყავთ, არამედ კეთილმოსურნე სტუმრად.

ეს არ იყო მისი პირველი პატიმრობა. პირველად არ სვამდნენ მას ციხეში. ის ერთხელ უკვე იჯდა ნიჟეგოროდის ციხესიმაგრეში.

გორკი ცალკე კამერაში ჩასვეს. აღწერეს მისი გარეგნული ნიშნები:

„ოდნავ ზურგში მოხრილია. მუქი ქერა თმები. თითქმის ქერა ულვაშები. თვალები ცისფერი, შორსმხედველი სათვალე. ცხვირი სწორი, პირდაპირი. მრგვალი, ლაწვმაღალი პირისახე. ყრუ ხმა. სიარული სწორი“.

დიახ, სწორედ ასეთი იყო ახალგაზრდა გორკი. ის მუდამ სწორი, შეუშლელი ნაბიჯით დადიოდა. მის ცისფერ თვალებში მუდამ გამოსჭვივოდა მომავლის რწმენა და წინსვლის მისწრაფება. ის მარტო შორსმხედველი კი არ

იყო, არამედ შორსმჭვრეტელი. როგორც ადამიანი და შემოქმედი დიდი, ის შესახედაობით უბრალო იყო, მაგრამ სულით ამაყი. და ყრუ ხმა კი არა ჰქონდა მას, არამედ, გულის ხმა, ადამიანური.

ქექავდნენ და კითხულობდნენ მისი წერილებისა და ჩანაწერების მთელ დასტას, მაგრამ ვერაფერი გაიგეს. ვერ დააფასეს მისი მნიშვნელობა და მთლად დაიკარგა ეს წარწერები, ისე რომ მწერალმა ის უკან ველარ მიიღო.

არა, არც კალიუჟნის, არც აფანასიევს არაფერი უცნობებიათ ჟანდარმებისათვის, არავითარი მამხილებელი არა ჰქონია. როდესაც აფანასიევა გაუჩხრეკიათ, უპოვნიათ გორკის მიერ ნაჩუქარი ფოტოსურათი ალექსეი პეშკოვის წარწერით, ისიც ექვსი წლის წინათ, და ინახავდა რა როგორც მეგობრულ რელიკვიას, გამოეკიდნენ ამ ამბავს, ვინ არის ეს პეშკოვი, მოიყვათო ის აქ.

„გარდაცვლილი დედის დაკრძალვის დღეს მამშვიდებდა და თავისი სურათი მაჩუქა მაქსიმ გორკიმ“ — უთხრა მათ აფანასიევმა. ეს იყო და ეს, სხვა არაფერი მამხილებელი არ გაჩნდათ.

გორკი გაათავისუფლეს.

და თბილისში აშვებულმა პირველმა აფრამ შორს წაიყვანა დიდი შემოქმედი, რომელსაც, შორი ნაოსნობის გემის მსგავსად, თხელ წყალში ცურვა არა სჩვევია.

მაქსიმ გორკის ცხოვრებასა და შემოქმედებაში დაიწყო ახალი ერა.

* * *

მოსკოვში, კაჩალოვის ქუჩაზე, გორკის სახლ-მუზეუმში, სადაც მწერალი ცხოვრობდა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე, ყველაფერი ისეა შენახული, როგორც მის სიცოცხლეში იყო.

კაბინეტი და სასადილო მის სიცოცხლის დროს ნამდვილ სხდომათა დარბაზებს წარმოადგენდა.

აქ მოდიოდნენ არა მარტო მოწინავე საბჭოთა მწერლები, არამედ სახელმწიფო მოღვაწენიც. აქ სტუმრად ყოფილან რომენ როლანი, ბერნარდ შოუ, იოჰანეს ბეხერი, ბელა ილეში და ბევრი სხვა საზღვარგარეთელი მწერლები.

გრძელ და ფართო სასადილო მაგიდის ირგვლივ სხდებოდნენ სტუმრები და დიდხანს გრძელდებოდა ლიტერატურული საუბრები და ხშირად კამათიც.

საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობის მოსამზადებელ პერიოდში ეს დარბაზი ნამდვილ კლუბს ჰგავდა. აქ მსჯელობდნენ სოციალისტური რეალიზმის მეთოდზე, მის არსებით რაობაზე და მის პრიორიტეტზე ყველა ლიტერატურულ მიმართულებებთან შედარებით. აქ წყდებოდა საბჭოთა კულტურის განვითარების ყველა მნიშვნელოვანი საკითხები.

სტუმართმოყვარე მასპინძელი დაუპატიჟებლად არავის არ უშვებდა. ეს კი ხშირად ხდებოდა. იქვე დუღდა სამოვარი, უცებ ეწყობოდა სუფრა. იწყებოდა ჩაის სმა ფაიფურის ფინჯნებით და უხვად მორთმეული ტკბილეულობით. მაგიდა გრძელია და ფართო. მის ირგვლივ ორმოცზე მეტი კაცი ეტეოდა. გორკი სუფრის თავში არასოდეს არა ჯდებოდა. მას ამორჩეული ჰქონდა უჩინარი ადგილი მაგიდის ნაპირას, კუთხესთან როდესაც ის ლიტერატურული საუბრით ან საქმიანი ლაპარაკით იღლებოდა, წამოდგებოდა ხოლმე, საკუთარი ხელით აერთებდა რადიოლას და ამბობდა, ახლა მოვუსმინოთ შალიაპინს. იტალიაში ცხოვრების დროს მას თავისი სიმღერებისა და არიების კომპლექტი აჩუქა შალიაპინმა, რომლებსაც გორკი ხშირად უკრავდა. გორკი იგონებდა სორენტოს, კაპრს, იგონებდა შეხვედრებს ლენინთან, შალიაპინთან, ლუნაჩარსკისთან, ღიმილი ეხატებოდა სახეზე, როდესაც იგონებდა თავის ერთადერთ შვილს მაქსიმს, რომელიც გორკის ემიგრაციაში ყოფნის დროს პარიზის ახლოს ემიგრანტთა ბავშვების სკოლაში სწავლობდა. ათი წლის ბიჭი კვირაობით კუნძულ კაპრიზე ესტუმრებოდა ხოლმე მამას.

ერთი ასეთი სტუმრობის დროს პატარა მაქსიმმა ქოთანში ყვავილები დათესა და უკან გაბრუნებისას ყვავილები ფანჯრის რაფაზე დატოვა. მამამ ნახა საყვარელი შვილის მიერ ნაზარდი ყვავილები. დიდხანს ჩუმად უცქირა, სიხარულისგან გრძნობიერ მწერალს გული აუჩქროლდა. ფიქრს მიეცა. მერე მიუჯდა საწერ მაგიდას და შვილს წერილი მისწერა:

„შენ წახვედი, მაგრამ შენ მიერ დათესილი ყვავილები დარჩა და ხარობენ. მე დავცქერი მას და მსიამოვნებს ფიქრი, რომ ჩემმა შვილმა თავის შემდეგ კაპრიზე დატოვა, რაღაცა კარგი — ყვავილები....

აი, შენ რომ ყოველთვის და ყველგან, მთელი შენი სიცოცხლე ხალხისთვის დასტოვო ხოლმე მხოლოდ მშვენიერი რამ — ყვავილები, აზრები, სასიამოვნო მოგონებები შენზე, ლაღი და სასიხარულო იქნებოდა შენი ცხოვრება. შენ მაშინ თავს ხალხისადმი საჭიროდ იგრძნობდი და ეს გრძნობა შენ სულით გაგამდიდრებდა. გახსოვდეს, რომ მუდამ სასიამოვნოა გასცემდე, სანამ აიღებდე.

აბა, მშვიდობით, მაქსიმ. ალექსეი“.

ეს წერილი წარმოადგენს მოსიყვარულე მამისა და ჭეშმარიტი აღმზრდელის დარიგებას, წერილი, რომელიც მარტო მის შვილს კი არ ეკუთვნის, არამედ ყველა ბავშვს, ყველა ახალგაზრდას.

გორკის ბიბლიოთეკაში დღეს ინახება ათიათასი ტომი. მათ შორის ორი ათასი წიგნი

მწერლის მიერ შენიშვნებით სავსეა. მაშასადამე, წაკითხულიც არის და დამუშავებულიც. ეს ბიბლიოთეკა რიცხვით მეექვსეა მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში, მის მიერ შეძენილი და გაჩუქებულიც, დაკარგული ქალაქიდან ქალაქში გადასვლის დროს.

გორკი ყოველ დღეს დაუღალავ შრომაში ატარებდა, დილიდან ღამემდე და უფრო გვიანობამდე. იმ პატარა მაგიდის ნაცვლად, რომელზეც გორკიმ „მაკარ ჩუდრა" დაწერა, მაგიდა, რომელიც მოსკოვში გორკის სახლ-მუზეუმს გადასცა კალიუჟნის ქალიშვილმა თბილისიდან, გორკის ჰქონდა განსაკუთრებული საწერი მაგიდა. ეს მაგიდა ძალიან დიდია, გრძელი და ფართო, ყოველგვარი უჯრების გარეშე. დგას იგი უბრალო ოთხ კუთხოვან ფეხზე. ის იმიტომ არის დიდი, რომ მასზე უნდა მოთავსებულიყო ის ვრცელი მასალა, ჩანაწერები და ლიტერატურა, რომლებიც უნდა გამოეყენებინა ისეთი დიდი ტილოებისათვის, როგორიც მაგალითად „კლიმ სამგინის ცხოვრებაა", რომელსაც მწერლის ჩანაფიქრით უნდა მოეცვა ყველაფერი ის, რაც გადაიტანა ჩვენმა ქვეყანამ ორმოცი წლის განმავლობაში, თვითმპყრობელობის დროიდან დაწყებული მწერლის სიცოცხლის უკანასკნელ წლებამდე.

მხოლოდ ღამის 11 საათზე სტოვებდა დიდი შემოქმედი თავის კაბინეტს დიდი მოღვაწე და დაუღალავი მშრომელი ადამიანი გადიოდა საწოლ ოთახში. მაგრამ ის მაშინაც არ იძინებდა. დიდხანს კიდევ ენთო სანთელი მის საწოლ ოთახში. კითხულობდა და კითხვაში ჩაეძინებოდა ხოლმე დაღლილს, დაქანცულს. მაგრამ დილით დგებოდა განახლებული ძალით, მხნე, ხალისიანი და ხელახლა შეუდგებოდა შრომას. ნერვიულობდა, ჩქარობდა, თითქოს ეშინოდაო, რომ ვერ მოასწრებდა „კლიმ სამგინის" დამთავრებას. ასეც მოხდა.

რამდენი სამუშაო ჰქონდა — კითხვა, სწორება, რედაქტირება. ვეებერთელა მაგიდაზე ელაგა დაკაბადონებული ჟურნალებისა და წიგნების გვერდები. მისი ინიციატივით და მისი რედაქტორობით გამოდიოდა „XIX საუკუნის ახალგაზრდა კაცის ისტორიის" წიგნების სერია, „ფაბრიკებისა და ქარხნების ისტორია", „სსრ კავშირი მშენებლობაზე", „სამოქალაქო ომის ისტორია", „შესანიშნავ ადამიანთა ცხოვრება", „ჩვენი მიღწევები" და ბევრი სხვა ჟურნალი და წიგნი, რომლებიც გორკის უნდა გადაეთვალიერებინა მაინც.

გორკის ბიბლიოთეკაში, იმ 10.000 წიგნს შორის, ინახება მოწინავე მწერლების მიერ მისთვის ნაჩუქარი წიგნები ავტოგრაფებით — ანტონ ჩეხოვისა, ალექსეი ტოლსტოისა, კონსტანტინე ფედინისა, ლეონიდ ლეონოვისა, მიხეილ შოლოხოვისა, ვსევოლოდ ივანოვისა, ნიკოლოზ ტიხონოვისა, ვლადიმერ მაიაკოვსკისა, ჩვენი თანამემამულის, ქართველი ხალხის საყვარელი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილისა. „ჯაყოს ხიზნებზე" წარწერილია ასეთი მიძღვნა „მაქსიმ გორკის, ჩრდილოეთის გოლიათს, ახალი რუსეთის საუკეთესო მოქალაქეს, სიმართლის მარადიულ მაძიებელს და ადამიანურობისათვის მებრძოლს, ავტორისაგან, რომელმაც ბევრი რამ ისწავლა თქვენგან".

სიმართლის მარადიულ მაძიებელს, დიდ მოღვაწეს და დიად შემოქმედს, რასაკვირველია, ჰქონდა სასიამოვნო დასვენების საათებიც. იმ სახლის ეზოში, რომელშიც მან გაატარა თავისი სახელოვანი სიცოცხლის უკანასკნელი წლები, მშვენიერი ბაღია გაშენებული. ცისკენ მიისწრაფიან ალვები, ნეკერჩხლები, წაბლის ხეები, ხარობს ვაშლისა და ალუბლის ხეხილი. ყველაფერი ეს მწერალმა საკუთარი ხელით დარგო. იშლებოდა ყვავილები, ჩხრიალებდნენ და ვერცხლისებური ნაკადებით ბრწყინავდნენ შადრევნები. გორკის სიამოვნებდა მწვანე თალარში დასვენება, საიდანაც შესცქეროდა მის თვალთა წინ გადაშლილ მშვენიერებას. დიდ შემოქმედს ყველაზე ძალიან უყვარდა ამ ბაღში კოცონის დანთება. თვითონ აგროვებდა გამხმარ ტოტებს და შემოდგომის ცივი ქარებისაგან ჩამოყრილ ყვითელ ფოთლებს, გროვად აქუჩებდა და ცეცხლს ანთებდა.

ბრიალებდა კოცონის ცეცხლის ენები, თვითონ კი შორიახლოს იდგა, როგორც ოქროსაგან ჩამოძერწილი გოლიათი, გულგადახსნილი, თავდახრილი და ღრმა ფიქრებში წარსული შესცქეროდა კოცონს. ამ კოცონს იგი გადაჰყავდა შორეულ დროში, წარსულში, თავის ახალგაზრდობაში და ესაუბრებოდა თავის პირველ გმირს — მაკარ ჩუდრას, რომელიც, როგორც მაშინ ნახევრად მწოლარე ჩიბუხს ეწეოდა და ეკითხებოდა:

„შენ შეგიძლია ადამიანები ბედნიერები გახადო?"

დიახ, გორკი მთელი სიცოცხლე ადამიანთა ბედნიერებისათვის იბრძოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნათელა გიორგობიანი

# „თუ ვინმემ უწყის...“

შემოქმედებითი ცხოვრების თითქმის უკვე ოთხი ათეული წლის მანძილზე ხუტა ბერულავამ შექმნა თავისი მრავალფეროვანი პოეტური სამყარო — თავისი „პატარა სვეტიცხოველი“, რომელიც ჭეშმარიტად იმსახურებს სათუთ შესწავლასა და შეფასებას.

რამდენიმე თვის წინათ გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ხუტა ბერულავას ახალი ლექსი — „ოცდათექვსმეტ წელიწადს ეძიებდა დედა შვილს...“ და მისი პოეზიის თაყვანისმცემლებმა უმალ იცვნეს იმ ჭაბუკის ხმა, რომელმაც სამამულო ომის დაწყებისთანავე შორიდებულად თქვა სიტყვა უსახელო მაღლობის გმირებზე — მიშაკოვსა და შალამბერიძეზე. მაშინ ჭეშმარიტი სიმღერის ექომ მთელი საქართველო, და არა მარტო საქართველო მოიარა.

რა მნიშვნელობა ჰქონდა ამგვარ სიმღერებს? ამის შესახებ შესანიშნავად წერს სამამულო ომის მონაწილე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი აკაკი თოფურია: „ვისაც იმ მრისხანე წლებში საბჭოთა არმიის რიგებში უმსახურია, ფრონტის წინა ხაზის, სანგრის საშინელება განუცდია... მისთვის მახლობელი და ნაცნობია იმ სიმღერების შთამაგონებელი ძალა“... და ამ სიტყვების ავტორი იხსენებს ერთ ლამაზ ქართულ ოჯახში მოკრძალებისაგან ალანძულმა დებმა როგორ უპასუხეს მას „არსად არ გაგვიგონია, ჩვენ თვითონ შევუწყეთ ხმები ერთმანეთს, ლექსმა თვითონ აგვამღერა“. ეს ლექსი, რომელზედაც თვითონ შექმნეს სიმღერა გოგონებმა, იყო „ამხანაგო მიშაკოვ, ძმაო შალამბერიძევ!“

ხუტა ბერულავამ წლების შემდეგ კვლავ გაიხსენა ძველი ტკივილი...

დედის გულის ძახილი
მიილტვოდა ქარდაქარ:
სად ხარ, შვილო მიხეილ?
ალიოშა, სადა ხარ?
ალიოშა, სადა ხარ,
რომელ ცისქვეშ დაგმარხეს,
რად არ ეტყვი არაფერს
შენგან მიწადასაყრელს!

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ის ნაწარმოებები, რომლებშიც ადამიანები თავისას ვერაფერს ცნობენ და რომლებშიც ყველაფერი მხოლოდ პოეტს ეკუთვნის, ხალხის გულში ვერასოდეს იმკვიდრებს ადგილს.

ორმოცდაათი წელია,
რაც შენი თვალი მიცავს.
თუ ვინმემ უწყის, შენ უწყი,
რაიც მათბობს და ვინც ვარ.

მიმართავს პოეტი მშობელ ხალხს და მისთვის არ არსებობს უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე „ხალხის ლამაზი მეხსიერება“, რომელიც მადლიან კალთას მხოლოდ მას აფარებს, ვინც გულმართლად და უანგაროდ ემსახურება სამშობლოს.

თავის დროზე მხცოვანი კრიტიკოსი იპოლიტე ვართაგავა პოეტის კრებულზე — „ეს ოცი წელი“ — წერდა: „აღნიშნული კრებული ესაა თავმოყრა, შეჯამება პოეტის საუკეთესო ქმნილებებისა, მისი განვლილი გზისა, წიგნი უნებურად გვაგონებს იმ გალერეას, სადაც მხატვარი თავისი ათეული წლების ნამუშევარს გამოიტანს სამსჯავროს წინაშე და, პირველ ყოვლისა, თვითონ შეაფასებს მას. და რაოდენ ბედნიერია ავტორი, როდესაც იგი პირადად გრძნობს საკუთარი შემოქმედების ძალას. ამ შემთხვევაში

მისი შემოქმედება უკვე მარტო ავტორს აღარ ეკუთვნის..."

განვლო დრომ, გამოჩნდა „პირველი უღელტეხილიც".. „დიდი დროა განვლილი. გზების სიმძიმეს ძალიან ძლიერი მხრებიც შეეძლო მოეხარა, — წერს ალექსანდრე მეჟიროვი, — მაგრამ ყოველდღიურმა შემოქმედებითმა ძიებამ, დაძაბულმა შრომამ პოეზიის მხურვალე საამქროში შეუნარჩუნეს ორმოცდაათი წლის პოეტს ახალგაზრდობა, ძალა, სულის სიმხნევე, როგორც უმაღლესი ხამადლობელი". კვლავაც ამ ახალგაზრდული შემართებით განაგრძობს ხუტა ბერულავა პოეზიის ტრფიალს, მისი სტრიქონები კვლავ სავსეა გაზაფხულის აფეთქებებით, მიწიერი სილამაზის შეგრძნებით:

ვდგავარ მწვერვალზე — კარგად მივლია.
რაც მთავარია, არ ვარ დაღლილი,
აქ შეჩერება მართლა ტკბილია,
რომ არ მესმოდეს მთათა ძახილი.
სხვა სილამაზეს რა მომანატრებს:
მწვავს ალტაცება ჯერ არნახული,
მზეც რომ ანათებს, ისე ანათებს
ასე მგონია, დგება ზაფხული...

პოეტისათვის მთავარია სამშობლოს სიყვარული, რომელიც იქ, მშობლიური კოლხეთის მიწაზე დაიწყო, სადაც პირველად იგრძნო პოეტმა კერიის სითბო, წინაპართა ძახილი, სიტყვის ძალა, მოყვასის გატანა. ამიტომ მუდამ თან სდევს პოეტს ბავშვობის შთაბეჭდილებები და თავის ლექსებში სადად, ძალდაუტანებლად აცოცხლებს კოლხეთის განუმეორებელ კოლორიტს:

ჩემი ბავშვობა, ხომ იცი,
სალამურის ხმას ჰგავდა.
...ყანები გვქონდა ხობისპირ,
ზედ ჩვენი სოფლის თავთან.
ჩვენი პრიალა თოხები
ფესვს უკოცნიდნენ სიმინდს.
უწვერულვაშო მოყმენი
ველარ ვმალავდით ღიმილს...

დიდი შთაგონება იყო პოეტისათვის კოლხეთის მიწა, მისი ცა, მისი ხე, მისი ბალახი, ის ძველი წისქვილიც, სადაც პირველად იგრძნო ლექსად დაბადებული განცდის წუხილი. აქ მიიღო პოეტმა ის ძალა, რომელმაც შემდეგ ათქმევინა:

შენი მზე და მთვარე, ლიახვი და მტკვარი,
ეს ჟუჟუნა წვიმა, ეს ციმციმა ცვარი,
ეს შრიალი ხეთა, ლოცვასავით წყნარი,
შენებური ქარი, მშვენიერი დარი, —
ყველაფერი მიყვარს, რაც კი შენი არი...

მშობლიური ადგილების ხილვა დღესაც აღტაცებას ჰგვრის პოეტს, ტკბილად ახსენებს ბავშვობის მძიმე დღეებს და შთაგონებით ავსებს.

ხუტა ბერულავას თავის მოვალეობად მიაჩნია, მისმა ლექსმა საქართველოს და მშობლიურ ხალხს კიდევ მრავალი მეგობარი შეხძინოს. ამ კეთილშობილურ საქმეს მან დიდი ძალა და ენერგია შესწირა, რადგან სწამს, რომ:

თუ არ გიმრავლე ამქვეყნად
მეგობარი და მოძმე,
მაშინ პოეტი კი არა,
ვყოფილვარ მხოლოდ მოწმე.

ჩვენ გვახსოვს მისი მართალი, ძმური სიტყვა კონსტანტინე სიმონოვისადმი, გვაოცებს დაღესტნელი მეგობრებისადმი მიძღვნილი ორსტროფიანი ლექსი, რომელშიც პოეტმა ჩატია უდიდესი სათქმელი, ანდა ადამ მიცკევიჩის ძეგლთან თქმული აღსარება:

როცა თბილისში გულზე დარდი დამეჯახება,
მე რუსთაველთან მივიჩქარი თავგამეტებით,
არა ვით წმინდანს, ვით მეგობარს, ისე
ავხედავ,
და ჩემს ქალაქში ველარ ვეტევი.
აქ, პოლონეთში, თუ არ შენთან, განა სად
წავალ,
ჩემმა ფიქრებმა ამ ბაღშიაც ფრთები გაშალეს,
ვარშაველები მომითხრობენ თავგადასავალს
და სიამაყით გიგონებენ პირველ ვარშაველს.

ხუტა ბერულავას პოეზიის ყველაზე უფრო მტკივნეული სიმია ადამიანი—საბჭოთა ადამიანის მორალური სახე — ძლიერი ნების, მტკიცე ხასიათის დამოუკიდებელი პიროვნება სიმართლის კვერთხით ხელში, მოძმის ტკივილს რომ საკუთარ ტკივილად განიცდის. „ვისაც ხალხისთვის არც სიკვდილი დაზარებია", ვინც იბრძვის მუდამ უკეთესისთვის, ცისკენ მიილტვის და რასაც არ უნდა მიაღწიოს, კვლავ თავიდან იწყებს ბრძოლას და ცხოვრებას („სიმღერა მწველი, ცხოვრება ძნელი იწყება ისევ თითქოს თავიდან"). იგი აიდეალებს ისეთ ვაჟკაცს, რომელსაც სიკვდილის წინ შეუძლია თამამად თქვას:

მე ვიყავ კაცი და ეს წოდება
დიდხანს ვატარე წმინდად, ამაყად.
მე ჩემი რწმენა მომიწოდებდა,
რასაც ვფიქრობდი, მეთქვა ხმამაღლა.
. . . . . . . . . . .
მე ვუჩოქებდი მშობლიურ მიწას
და ზოგჯერ... ზოგჯერ საყვარელ ქალსაც.

ყველა მწერალს აქვს ნაწარმოები, რომელიც მისი ფანტაზიის უახლოესი, გულითადი ნაყოფია, მისი სულის, მისი მთელი სამყაროს ორეულია და სარკესავით ამჟღავნებს შემოქმედის შესაძლებლობებს, ინტერესს, თვით მთელ მის პიროვნებას. ხუტა ბერულავას ასეთი ნაწარმოები, ჩვენი აზრით, არის „ეპიტაფია სვეტიცხოვლის აღმშენებლისა" — ჰიმნი ქეშმარიტ ხელოვნების მარადიულობისა.

დიდოსტატმა ყველაფერი შესწირა სვეტიცხოველს, თვით სიყვარულიც... ხელოვნება დააყენა კაცზე და ღმერთზე მაღლა. მაგრამ ვაი რომ უსამართლოა ცხოვრება, „ქმნა კეთილისა ყოფილა ჯვარცმა“:

რაც კი ძალმედვა, არ დავიშურე,
ქვაზე ჩუქურთმა ვაშარიშურე,
იშვა ტაძარი და... შავი შური.

შურმა შეიწირა დიდოსტატი (ასეთია ხელოვანის ბედი კლასობრივ საზოგადოებაში), მისი მარჯვენა კი დარჩა ამქვეყნად დიდი ხელოვნების მფარველ ძალად, ფრთაგაშლილი ოცნების მცველად.

ამ ლექსის ყოველი სიტყვა, სტრიქონი საქართველოს წარსულის სურნელით არის გაჟღენთილი, სვეტიცხოვლის ჩუქურთმასავით მადლიანია და ნატიფი.

ლექსების ციკლის — „თბილისური ხერენადების“ ლირიკული გმირი უაღრესად თავდაჭერილი და, ამავე დროს, თავგანწირული რაინდია. მას მუდამ ამშვენებს სატრფოს სიშორით გამოწვეული სევდა.

უშენოდ წყარო დამშრალა ბაღში,
უშენოდ ნაძვებს არა აქვთ ფერი,
უშენოდ ბზარი გამიჩნდა ხმაში
და ჩემს მაგიერ ნიავი მღერის:
— ვარაზის ხევთან, ვარაზის ხევთან,
არა ზის ჩემი ლამაზი სევდა.

ვკითხულობთ ამ სტრიქონებს და გვაოცებს ავტორის ჭაბუკური განცდა სიყვარულისა, რომელიც ისევე სუფთაა და ანკარა, როგორც ზანის მიდამოებში დაბადებული მისი პირველი სხივები. უჩვეულოდ მდიდარია მისი სატრფიალო პოეზია: ქალი მის შთაგონებას მან სიზმრად, ხან ხასხასა მწვანე ბალახად, ხან უბედობად, ხან კი დიდი სიხარულის ძალად ევლინება. მისი სატრფო შვლივით ყელმოღერებული დადის ამქვეყნად, ულვთოდ ერთგული და მიუწვდომელი. მისკენ სწრაფვა ამაღლებს პოეტს:

თუ ერთხელ მაინც გადამავიწყდა,
მიუწვდომელი რომ ხარ ოცნება,
დავეკარგები ამ ლამაზ მიწას
და ყველა დარდი გამოცოცხლდება

პოეტს ზოგჯერ აშფოთებს უსაზღვროდ მორჩილი სატრფოს ფერიცვალება და გაოცებული კითხულობს:

გაოცებული გიცქერ ხანდახან:
— ნეტავ, ეს შენ ხარ თუ შენ არა ხარ?
. . . . . . . . . . .
პატარა გულში როგორ ეტევა
სიყვარული და უკუღმართობა?

მაგრამ პოეტი იცნობს ქალის სულიერ სამყაროს. იგი თვით არის ოცნება, იმედითა და სიყვარულის მოლოდინით სავსე არსება, რომელიც მყისვე იქცევა ბავშვად, „როდესაც ვინმე შეუყვარდება“.

დასაბამიდან სათუთად ინახავს პოეზია იმ ქალთა სახეებს, რომელთაც შემოქმედისათვის ლამაზი წამები უჩუქებიათ. ქალი — ჭეშმარიტი პოეტის შთაგონება — ისტორიის კუთვნილებაა მაშინაც კი, როცა მისი ვინაობა ცნობილი არ არის. თვითონ პოეზიაა ნიკოლოზ ბარათაშვილის მიხეილ თუმანიშვილისადმი მიწერილი ბარათი: „შენ ვერ გაიგებ ვინაა ეს უცნობი ასტრა. ეს ავტორის საიდუმლოებაა. იმას არც შენთვის უწერია, არც ქვეყნისათვის, მხოლოდ იმისთვის, ერთისთვის უწერია; იმას ესმის მისი და ავტორი კმაყოფილია. მეტი რაღა უნდა მას?... ერთ ახალ ამბავს გეტყვი, თუ არ გაჯავრდები. მე ამ საღამოს მივდივარ წყნეთში. რისთვის? იმიტომ, რომ ის იქ არის. დედამისმა მთხოვა, გავატარო მათთან რამდენიმე დღე. როგორი უნდა იყოს ეს დღეები? ოხ, მაშ მოკვდი, ბზ!“ ეს იყო 1838 წლის ზაფხული, 6 აგვისტო. შესანიშნავად წერს ერთი ქართველი კრიტიკოსი: „ქართული პოეზია ასე ადვილად როგორ გამოეთხოვებოდა სახეს ამ ქალისას, რაკი-ღა მას ბარათაშვილმა ოდესღაც ლექსიც მიუძღვნა და გულიც“. ზუსტად ასი წლის შემდეგ, 1939 წლის ზაფხულს, წყნეთში გიორგი ლეონიძემ, ამ ქალის აჩრდილს მიმართა: არ ვიცითო, როგორი იყავ შენ, სევდიანი თუ კისკისა, შავთვალა თუ ცისფერთვალა. იქნებ არც გიყვარდა ლექსი... ან იქნებ გიყვარდა და რომანტიკული ალიც გწვავდა, არც ის ვიცით ოცნებობდი თუ არა, ან ერთგულობდი თუ არა მას.

ისიც არ ვიცით, ახლა სად წევხარ
და სად იფშვნება დღეს შენი ძვალი?
მაგრამ ის ვიცი, თვალმშვენიერო,
და მისთვისა ხარ ამ ლექსში თქმული,
რომ სამი ლამაზ დღით გაახარე
ოდესღაც წყნეთში პოეტის გული.

სწორედ დიდი პოეტის — ალ. პუშკინის შთაგონების წინაშე მოწიწების და სიყვარულის გრძნობით არის შექმნილი ხუტა ბერულავას ულამაზესი ლექსი ნატალია გონჩაროვასადმი:

ზღაპარივით ქალი ჰყავდა პოეტს ხატად,
არ იცოდა დარდი, არცა დაღონება.
უფრო გალამაზდა, ეშხი მოემატა,
როცა მეოცნების გახდა შთაგონება.

ყველა მიწიერ ქორსა თუ სიმდაბლეზე მაღლა დგას პოეტის ამაღლებული განცდა საყვარელი ქალისადმი.

ამოუწურავია პოეტის ინტერესთა სფერო: იგი ხან ანანურის ციხესთან ისმენს დუმილით ნათქვამ საქართველოს წარსულს, ხან სვან მშრომელებს ესაუბრება, ხან ხევსურ მელექსეებს ეპაექრება, ხან ალაზნის პირად გატარებულ

ღამეს იხსენებს, ხან მარტვილის ტაძარში მოუყრია მუხლი ქყონდიდელის წინაშე, ხან ანთიმოზ ივერიელის ხსოვნას უნთებს წმინდა სანთელს და ხან სახელოვანი წინაპრების ფერწერულ პორტრეტებს ქმნის.

დიდი ინტერესით და სიხარულით ხვდება მკითხველი ხუტა ბერულავას პოემების ძალდაუტანებელ სტრიქონებს გრიგოლ სხულუხიას თავგანწირვაზე, ბატასა და შუქიას სიყვარულის ნაღვლიან ისტორიასა თუ თინა თორტიზელის გმირობაზე. იგი თითქოს ყველა მამის შვილთან სათქმელს ამბობს პოემაში „ჯარისკაცის შვილი“:

გესმოდეს სხვა კაცის დარდიც და ჯავრიცა,
ვით დარდი და ჯავრი შენი.
იარე ვაჟკაცურ და არა ნელინელ,
და თავსაც ნურასდროს დაზრი...

ჭეშმარიტად გაუძლო წლების გამოცდას და განსაკუთრებული სიყვარული ხვდა წილად პოემა „ვიწა და ფოლადის“ პირველ წიგნს — „რუსულ გულს“, რომლის გაგრძელებაც — „თბილისის თანამგზავრი“ სულ ახლახან მიიღო მკითხველმა ჯერ ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე (1977 წ. № 10, № 12), შემდეგ ახალ კრებულში „ამაღლება“, სადაც შევიდა პოეტის ბოლო წლებში შექმნილი ნაწარმოებები.

პოემის გმირს, ვანო თელიას, რომლის დიდი გზაც საქართველოს პატარა სოფელში დაიწყო, მკითხველი „რუსული გულის“ დასასრულს შორდება ვოლგაზე, სადაც იგი დაეუფლა მეფოლადის რთულ პროფესიას.

ვანო თელიას ავტორი წინასწარგამზადებულ დიდების ჩარჩოში არ აქცევს. იგი რეალური, ხორცშესხმული კაცია თავისი ადამიანური ძალითა თუ სისუსტეებით. ქართველ ჭაბუკს პირველად გაუჭირდა უცხო მხარეში. როცა მარტენის საამქროში პირველად შევიდა, იგი თითქოს დააფრთხო „ფაფარაყრილმა ალმა“:

ცეცხლი — ღუმელში, ცეცხლი თვალებში,
ცეცხლი — საამქროს ჭერსაც ეხება.
გარშემო მხოლოდ ცეცხლის თარეში!
...მაინც რა ცივი გვქონდა შეხვედრა.

მაგრამ მის გვერდით აღმოჩნდნენ ივანე ფროლოვი და მეგობრები. მალე ვანომ იპოვა ძალა და თავის თავს მიმართა:

ვთქვათ, ვერ დავბრუნდი გამარჯვებული.
მერე სოფელი, მერე ბებია,
მერე რუსთავი, რომ მელის თრთოლვით,
მერე ამდენი ბიჭი და გოგო,
უცნობ-ნაცნობი, სწორი და ტოლი!
რას ეტყვი იმათ... შეხედავ როგორ...

დიდი წვალებით, მაგრამ ბოლოს მაინც მიხვდა ვანო თელია, რომ ფოლადსაც თავისი ენა ჰქონია და მის ხმას რომ ჩასწვდე, საუცხოო სმენა უნდა გქონდეს და ცეცხლსავით ძლიერი უნდა იყო თავადაც.

პოემის მეორე ნაწილში — „თბილისის თანამგზავრი“ — ვანო თელია უკვე გამოცდილი მეფოლადეა, რუსთავის მკვიდრი. წლების დუმილში იგი დავაჟკაცდა, ან როგორც პოეტი ამბობს:

სიტყვა კერპია ქალის გულივით,
ზამთრის ხილივით მწიფდება გვიან,
სიცოცხლეს იწყებს მძაფრი დუმილით
და ამ დუმილსაც სიმღერა ჰქვიან...

ვანო თელია ახლა თვით ზრდის შეგირდებს, მაგრამ გმირთა ქალაქშიც ყოფილა ვაუტანელი ადამიანი, ყოფილა შური... თანამედროვე ცხოვრების გმირი მძიმე სულიერ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ კეთილი ადამიანის საქმეს ხალხი არ კარგავს. დიახ! ხალხის სახელით გამოდის პოემის მეცამეტე კარში — „და მზე ქალივით შემოგანათებს“ — ზაქრო რევაზიშვილი, ხალხის სახელით იცავენ თელიას ფარნაოზ ხვედელიანი, თავისი მეგობრები და დიდი სიმართლე იმარჯვებს.

ივანე ფროლოვს საოცრად საინტერესო ბიოგრაფია აქვს. რევოლუციამდე მან შრომით შემოიარა მთელი რუსეთი, მერე:

მარტენის ღუმელს დაუმეგობრდა!
განთიადიდან განთიადამდე
მას შეჰყურებდა...
ასე ეგონა,
ცეცხლში დასწვავსო კაცი სადარდელს.

სიმართლისათვის, ხალხთა თავისუფლებისათვის ისიც იბრძოდა. თავისი თვალით იხილა თბილისის თავზე აფრიალებული წითელი დროშა, ბრძოლაგადახდილი დაბრუნდა სამშობლოში და ჯარისკაცის ფარაჯით კვლავ დაიწყო მუშაობა ოღონდ ახლა უფრო თავისუფლად შევიდა თავის საყვარელ ქარხანაში — „როგორც პატრონი“.

1942 წელს, როცა მარტენს მტრის ხელი შეეხო, მან კვლავ „ცარიცინულად, სტალინგრადულად“ შეუტია. ამიტომაც ამბობს პოეტი:

ხომ ხედავ, კაცის ბიოგრაფიაც
რომ სახელმწიფოს ჰგავს ისტორიას.

ფროლოვი რწმენის კაცია. მან კარგად იცის და სხვასაც ასწავლის, რომ არად ეღირება ადამიანის ცხოვრება, „თუკი სიძნელე წაგვართმევს ფოლადს და გავიქცევით ფრონტიდან წყენით, ისე რომ არც კი დავიწყებთ ბრძოლას“.

სიცოცხლე დათმე უფრო ადვილად.
არ დათმო რწმენა საკუთარ ძალის.

ასე ასწავლის თავის შეგირდს კაცი. რომელიც ხალხისთვის აგებს „მომავლის მზიურ შენობას“.

დედასავით თბილი და ალერსიანია ვანოს გამზრდელი ბებია. როცა „დაღლილი და ფერწასული“ ქალი ოდის კარებთან შეეგება შვილიშვილს და გაიგო, რომ მას რუსეთში აგზავნიდნენ, აღმოხდა: რუსები პატიოსანი და ღირსეული ხალხია, ძმობაც იციან და ადამიანის გატანაც, მაგრამ:

ნუ გაჯავრდები ამისთვის მხოლოდ,
შეუნდე ამ ჩემს გაუთლელობას,
არ შეიძლება სოფლსაბჭოს ვთხოვოთ,
არ შეიძლება წაუსვლელობა?

ბებია გულწრფელია მაშინაც, როცა ვანო გაანდობს მაშა-მარიკას სიყვარულის ამბავს. მას პირველად თითქოს შეაშინებს „უცხო“ ქალიშვილი, შემდეგ კი ამბობს:

არა ღირს, ბიჭო, წინასწარ ჯვარცმა!
წყალს წაუღია დარდიც და კვნესაც!
თვალებით ვამცნობ, სათქმელი რაც მაქვს,
ხელებით ვამცნობ ხვაშიადს ჩემსას.

ეს არის ხასიათი, რეალური სახე, რომელსაც დიდი სიყვარულით ხატავს ავტორი.

პოემაში ზოგჯერ თითქოს გაიელვებს მოქმედი გმირი და მკითხველი კი უკვე ასწრებს მის შეყვარებას. ასეთია მაგალითად დამლაგებელი ანა, რომელიც სათუთად დაჰფარფატებს თავს სამხრეთელ ჭაბუკებს და ყველანაირად ცდილობს მათ მშობლიური გარემო შეუქმნას, ასეთია მოხუცი დარაჯი, რომელიც ქარხნის კარებთან დაეცა ლამაზი სიკვდილით „ვით მეომარი ღონემიხდილი“.

მკითხველს ჭეშმარიტად აღელვებს სიკვდილი ერთი ქართველი კაიუმისა, რომელიც „ვერ გაქცეოდა ცილისწამებას, ზოგჯერ ბრძენსაც რომ თავგზას უბნევდა, გადაიტანა დიდი წამება“. იგი აღარ ელოდა დიდების გვირგვინს, მხოლოდ სურდა თავისი სათქმელი ბოლომდე ეთქვა. აქაც უმტყუნა ბედმა და... თითქოს ჩვენც ვესწრებით ამ უილბლო კაცის „უსიტყვო, დარბაისლურ“ სიკვდილს.

პოეტი არ ივიწყებს რუსთავქალაქის ფუძემდებლებსაც. ჭეშმარიტად დიდი ადამიანები ბრჭყვიალა წარმატებას ვერ ეგუებიან, უსიტყვოდ აკეთებენ კეთილ საქმეს. მათ აქვთ იდეალი, რომლისთვის ბრძოლაც ჩუმი თრთოლვით იწყება, მერე ყველაფერი ეწირება მას. ამ თავგანწირვას ხშირად „მრუდედ“ უცქერიან.. მხოლოდ წლების შემდეგ აღმოჩნდება, რომ ისინი საოცრებებს ქმ იდნენ.

ბიბლიოთეკა

როგორ ცხოვრობენ, რა მოკრძალებით
კეთილი საქმის ფუძემდებლები,
რომ არ გაურბით ცისკენ თვალებს,
რომ არ უშვენებთ გულმკერდს მედლები.

ერთ-ერთი აჩვენარი მაშვრალია სოლომონ შარაძენიძე. კაცი, რომელიც „ურუსთავოდ, ვით უიმედოდ, ვერ იცოცხლებდა... და ჩაჭქრა ჩქარა!“ პოეტი სიყვარულით ლაპარაკობს მათზე. ვინც რუსთავისათვის „სულის ნაწილი“ არ დაიშურა. პირველი ბარი დაჰკრა მიხდორს, პირველ ნადნობს ღამე გაუთია...

ხალხთა მეგობრობის ამაღლებული ჰიმნია პოემა „მიწა და ფოლადის“ თავები — „ძმობის მონოლოგი“ და „სიტყვა ივანე ფროლოვისა“.

„ძმობის მონოლოგი“ რუსეთის მადლით უსაზღვროდ მოხიბლული ვანო თელიას სულის აღსარებაა, ხოლო „სიტყვა ივანე ფროლოვისა“ ჭეშმარიტი რუსი ადამიანის ლოცვა საქართველოსადმი...

უსაქართველოდ, უმისოდ-მეთქი,
არ. ექნებოდა პლანეტას ფერი!

ამბობს ივანე ფროლოვი, კაცი. რომლის „პატარა გული დედამიწაზე უფრო დიდია“.

უკანასკნელი წლების მანძილზე დიდი თეორიული კამათი მიმდინარეობს თანამედროვე პოემის ირგვლივ. ლიტერატურული ცხოვრება კი თავისი გზით მიდის და ამ ბოლო ხანებში გამოქვეყნებული მრავალი პოემა თვით ამბობს საიმედო სიტყვას. ხუტა ბერულავა სწორედ ამ აზრს იზიარებს, როცა წერს:

ოღონდ ფეთქავდეს გრძნობათა თქეში,
ოღონდ
ხმამაღლა
სათქმელი
ჰქონდეს,
ვითარცა მუხა იცოცხლებს ტყეში,
ისე პოემაც არ დახრის ტოტებს!

ლექსის კლასიკური ფორმის უსაზღვროდ ერთგული პოეტი ახალ თემებს, სახეებსა და ფერებს ეძებს თავის საოცრად ტევად, გამჭვირვალე სტრიქონებში. თავისი რწმენით, თავისი გზით მიდის ჩვენი ქვეყნის მჩქეფარე შემოქმედებით ცხოვრებაში და ვაჟკაცური შემართებით აგრძელებს პოეზიისა და ქართული წიგნის უანგარო სამსახურს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გერმანული მოთხრობები ქართულ ენაზე

იუნესკოს მონაცემებით, ყოველწლიურად მსოფლიოში იბეჭდება 40.000 თარგმანი, ე. ი. 100 წიგნზე მეტი დღეში. თარგმნილი ლიტერატურით ყოველდღიურად მდიდრდება ჩვენი რესპუბლიკაც.

ამას წინათ წიგნის ბაზარზე გამოჩნდა და მაშინვე გაიყიდა გერმანული მოთხრობები — „სიკვდილი იგვიანებს". იგი გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" და თარგმნილია ნიჭიერი გერმანისტის, მთარგმნელისა და ჟურნალისტის ნოდარ რუხაძის მიერ.

სარეცენზიო მოთხრობათა კრებულში შესულია თანამედროვე გერმანელი მწერლების 30 მოთხრობა. აქ მკითხველი გაეცნობა სხვადასხვა სტილისა და მისწრაფების მხატვრული სიტყვის ოსტატებს, რომლებმაც გარკვეული კვალი დაამჩნიეს ჩვენი საუკუნის გერმანულ პროზას; მათ შორის არიან ჰაინრიჰ მანი და თომას მანი, ალფრედ დიობლინი და ფრანც კაფკა, შტეფან ცვაიგი და კურტ ტუხოლსკი, ჰანს ფალადა და ბერტოლდ ბრეჰტი, ჰაინც რიხე, ანა ზეგერსი და სხვ.

ჩვენ ხელთ გვაქვს სარეცენზიო წიგნში შესული ყველა ნაწარმოების გერმანული ორიგინალი და გულდასმით ვადარებთ მათ ქართულ თარგმანს. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მთარგმნელი ნოდარ რუხაძე მშვენიერი მოქართულეა, შესანიშნავად ფლობს იმის უნარს, რომ ერთი ენის საფუძველზე გადმოცემული ამბავი მეორე ენაზე უნაკლოდ და ადექვატურად გადაიტანოს. ამ ორი ენის გერმანულისა და ქართულის — ლექსიკური და გრამატიკული სისტემები ისე აქვს შეთვისებული, რომ თავისუფლად და ბუნებრივად გადმოაქვს ნაწარმოების შინაარსიცა და ფორმაც. თარგმანები ძალდაუტანებლად და ბუნებრივად იკითხება.

სარეცენზიო კრებულში მოთავსებული ყველა ნაწარმოები ერთიმეორეზე უკეთესია. არ ვიცი, რომელი გამოვყო, მაგრამ მაინც შევაჩერებ ყურადღებას კურტ ტუხოლსკის ნოველაზე „რჩევა-დარიგება ცუდ ორატორს". ეს არის პამფლეტი ე. წ. ვაი-ორატორზე, ვინც სათქმელს დროულად ვერ ამბობს და მსმენელთა გულისწყრომას იმსახურებს.

მწერალი ასეთ რჩევა-დარიგებას აძლევს ვითომდა ორატორს: სათქმელს ყოველთვის შორიდან მოუარე, ზეპირად ნურასოდეს ილაპარაკებ, უკეთესია მოხსენება თავიდან ბოლომდე წაიკითხო; ილაპარაკე გრძელ-გრძელი წინადადებებით, დამოკიდებული წინადადებები რთულ პერიოდებად ააგე; ყოველთვის შორიდან, ისტორიიდან დაიწყე, ხამუშ-ხამუშ ჭიქიდან წყალი მოსვი, თუკი რამე სასაცილოს თქმას აპირებ, თვითონვე წინასწარ გაიცინე, რათა ამით სასაცილო აზრს ჩასწვდნენ... მოხსენების დასასრულის შესახებ ძალიან ადრე აუწყე აუდიტორიას, რათა მოულოდნელი სიხარულით მსმენელებს გული არ გაუსკდეთო და ა. შ. აქ დაცინვის ობიექტია ისეთი ორატორი, ვინც არც საგანი იცის, არც ორატორული ხელოვნება. თუ გნებავთ, ავიღოთ სარეცენზიო კრებულში წარმოდგენილი მშვენიერი ნოველა „მე სამუშაო მომცეს", რომლის ავტორია ჰანს ფალადა, მე-20 საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი მხატვრული სიტყვის ოსტატი, ავტორი თვრამეტი რომანისა, ორი ავტობიოგრაფიული წიგნისა, საბავშვო მოთხრობებისა და ზღაპრებისა, 30-მდე კრიტიკულ-პუბლიცისტური ხასიათის წერილისა. მისი რომანები თარგმნილია მსოფლიოს ხალხთა ოცდაათ ენაზე, მათ შორის ქართულადაც.

ჩვენი აზრით, კარგად მოიქცა მთარგმნელი, როცა მთელ წიგნს მისცა ერთი მოთხრობის სათაური „სიკვდილი იგვიანებს". მართლაც, ეს ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანია პაულ შალიუკისა, გამოირჩევა თავისი მიზანდასახულობით, მხატვრული და იდეური სრულყოფილებით.

მთარგმნელის, ნ. რუხაძის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მან სარეცენზიო მოთხრობები არა მარტო მაღალოსტატურად გადმოთარგმნა, არამედ ნათლად გვიჩვენა თითოეული ავტორის ინდივიდუალობა, გამოაჩინა მათი თავისებურება. სარეცენზიო ნოველების გერმანულ ორიგინალებთან შედარება სრულ უფლებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ მთარგმნელი მშვენივრად იცავს ნაწარმოებთა მხატვრულ-ესთეტიკურ მთლიანობას, მოხერხებულად სარგებლობს ქართული ენის მდიდარი ლექსიკითა და მოქ-

ნილი გრამატიკული წყობით, ჩვენი ზმნის გასაოცარი ელასტიკურობითა და გამოსახვის მრავალფეროვნებით. ამბობენ, პოეზიის მთარგმნელი ავტორის მეტოქეა, პროზის მთარგმნელი კი — მონაო. ნ. რუხაძეზე ამას ვერ ვიტყვით. ნ. რუხაძის მიერ თარგმნილი გერმანული მოთხრობების კრებული „სიკვდილი იგვიანებს“ კარგად თარგმნილი წიგნია. მისი მთარგმნელი რომელიმე ავტორის მონა ვერ იქნება.

ორიოდე წლის წინათ ქუთაისელი სტუდენტები გდრ-ში, ბერლინში შემთხვევით შევხვდით ნოდარ რუხაძეს. მან მაშინვე საუბარი ჩამოაგდო ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე, თანამედროვე გერმანულ ლიტერატურაზე. გერმანელი მწერლების ნაწერებიდან ადგილებს ზეპირად ამბობდა ჯერ გერმანულად, შემდეგ ქართულად. რატომღაც ანდრეას გრიფიუსზე ჩამოაგდო სიტყვა. შეეხო მწერლის ოდებს, სონეტებს, დრამებს, ლირიკას, განსაკუთრებით კი ყურადღება გაამახვილა დრამაზე — „საქართველოს დედოფალი ქეთევანი“ („კატერინა ფონ გეორგიენ“).

განსაკუთრებით დამამახსოვრდა ნოდარ რუხაძის მიერ ზეპირად თქმული ქრისტიან გიუნთერის ლექსის ნაწყვეტი, რომელშიც მწერალს სჯერა, რომ მისი სახელი უკვდავი დარჩება და ამიტომ არაფრად აგდებს არც ქებას და არც გაკიცხვას. შემდეგ ეს ნაწყვეტი გვითარგმნა: „მხოლოდ მას ვერ ეკარება სიკვდილი, ვინც ჭეშმარიტმა სიყვარულმა და სიბრძნემ გააკეთილშობილა“, რატომღაც ნოდარმა სიტყვა „სიკვდილთან“ ხმას აუწია, ხაზგასმით წარმოსთქვა იგი... ახლა, როცა ამ წიგნის მთარგმნელი ჩვენ შორის აღარ არის, ერთხელ კიდევ დამაფიქრა წიგნის სათაურმა „სიკვდილი იგვიანებს“. ამ წიგნში ხომ ოცდაათი მოთხრობაა შესული! რატომ მაინცადამაინც აირჩია ისეთი სათაური, რომლის ერთი სიტყვა „სიკვდილი“ ჟრუანტელს გვგვრის, ახლა.

სიკვდილმა არა თუ დაიგვიანა, არამედ ძალიან ადრე მოვიდა სარეცენზიო წიგნის მთარგმნელთან. ჩანს, ნოდარ რუხაძემ ყურადღება მიაქცია პ. შალიუკის ზემოთაღნიშნული მოთხრობის ძირითად იდეას: ამ მოთხრობაში აღწერილია, თუ როგორ დაწერა ერთმა ახალგაზრდა მწერალმა პირველი რომანი სათაურით „სიკვდილი იგვიანებს“, რომლის მთავარი გმირი ექიმია. რომანის თემა მეტად აქტუალური იყო — ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებას ეხებოდა.

დიახ, ახლა გასაგებია რატომ აირჩია ქართველმა მთარგმნელმა სწორედ ეს სათაური და არა სხვა... თურმე ნუ იტყვით, მასაც სიკვდილის შავი აჩრდილი ფეხდაფეხ დასდევდა, გვაგონდება ბრძნული გამონათქვამი: „სიკვდილსაც კარგი უყვარსო“, დ. გურამიშვილიც იტყოდა:

სიკვდილი ქრთამს არ აიღებს,
ოქროს, ვერცხლს, არცა რვალებსა,
არც არას გვისმენს ხვეწნასა,
არც არას შეგვიბრალებსა.

დიახ, სიკვდილმა ნოდარს აღმართში მოუსწრო. ნათელი სიცოცხლე შეჩერდა შუა გზაზე.

**რუსუდან შამელაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

# „МНАТОБИ“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ